

114  
1927.



საქართველოს  
რესპუბლიკის  
ხელნაწილების  
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

აბაშა

№ 7

1927



პრელუდარზეთ ყველა ძვეყნისა, მერტდით!



107/111

№ 7

წელიწადი მეოთხე



ყოველთვიური სალიტერატურო, სამხატვრო  
და სამეცნიერო ჟურნალი

ი ვ ლ ი ს ი



თბილისი: სახელგამი. 1927.





ქართული  
ბიბლიოთეკა

ს. შ. უ. ს.  
პოლიგრაფიულ  
ტრესტის მე-3  
სტამბა.



# მხატვრული ლიტერატურა

საქართველო  
რუსეთი  
დასავლეთი





# ახალი ტფილისი

მზით დატვირთული ცხელი ივლისი  
 ქუჩებს მოედო და მოეკიდა.  
 რა უცნაურად მოსჩანს ტფილისი  
 მამადავითის მოხუც ქედიდან.  
 ბილიკზე ასვლით და ამაღლებით  
 მე ისევ ჩქარა დავიქანცები.  
 ხომალდებივით დგანან სახლები  
 ხშირ ანტენების მალალ ანძებით.  
 ნათელს მოისხამს წმინდა ალაგი,  
 ნაპირი ნაპირს შეუერთდება,  
 და საყვარელი ჩემი ქალაქი  
 სულ სხვა თვალებით მომაცქერდება.  
 მტკვარი საწოლში ჩაიკეტება,  
 მაგრამ იმძლავრებს უბანთა ჯარი;  
 ტფილისი ხევში ველარ ეტევა, —  
 და ილეწება კლდეთა აბჯარი.  
 თითქო ქალაქი ცაში აფრინდა  
 დილის სინათლის მოსატანადა, —  
 ერთი ფრთა კოჯორს გადააბინდა,  
 მეორე მცხეთას გადააანათა.  
 და რაც ინატრეს ღარიბ ქოხებმა  
 ზვავად მომსკდარი გრგვინვის წინაშე,  
 შემოქმედების ჰშვა ამბოხებამ  
 ზეცად ასვეტილ ქვა და რკინაში.  
 რკინის ქორებმა ღრუბელი დასქრეს,  
 მოტორი ლაფვარდს ეამბორობა.  
 არხებში წყალი არ უნდა დაშრეს,  
 რომ ტყე ჩაიცვან შიშველ გორებმა.  
 და ასრულდება ძველი ოცნება:

410





გაჰქრება ღვარი და სიცხეები.  
 თეთრი კედლები შეიმოსება  
 ცაცხვით, მუხით და ალვის ხეებით.  
 ფოლადი გრანიტს დაეჯახება,  
 ცად ავარდება კოშკთა კრებული.  
 ქართული სულის სჩანს აჯანყება  
 მარმარილოში დამშვიდებული.  
 წინათ თუ ელვა ცაში იცდიდა,  
 სანამ დასქრიდენ სიერცეს უბნებად,  
 ეხლა დაჯავშნულ ქოროდლის მთიდან  
 რადიო ბერლინს ესაუბრება.  
 ტფილისს შორიდან შეკვეთა მოსდის,—  
 რომ იგრძნონ სხვათაც ცა წარმართული,—  
 და იგზავნება რადიო-ფოსტით  
 მუსიკა, ლხინი და მზე ქართული.  
 გული გაათბო და გაანათა  
 სისხლიან დღეთა ჩამოშორებამ.  
 მღერის ორკესტრი რთულ მანქანათა,  
 დგანან მუშები დირიჟორებად.  
 ქარხნებში სხივი შეიკუმშება,—  
 მზის ცხელ კონსერვებს ბევრი მოელის:  
 უნდა გაათბონ ქართლის მუშებმა  
 ყინვაში მყოფი ძმა ჩრდილოელი.  
 თუჯი უკვამლო და უწყინარი  
 დარიალიდან ლოდებს მოიტანს.  
 ელვას დაათოვს შორით მყინვარი  
 ძველი დიდუბის ძეგლთა მოედანს,—  
 სადაც წარსული დაიშიფრება  
 და მომავალი იმედს აინთებს;  
 ექნებათ ბრძოლა და შეჯიბრება  
 უკვდავებისთვის შობილ რაინდებს...  
 ასე იბრწყინვებს დაუცხრომელი,  
 მილიონ გულის ცემით დამტკბარი  
 ტფილისი მშვიდი, ხან კი მწყრომელი,  
 შეკრული რკინით, ცეცხლით და მტკვარით;  
 დღით შემოსილი ოქროს თოვლითა,  
 ღამით ვარსკვლავთა ყდაში ჩასმული,  
 კოჯრის მთებამდე სვეტიცხოვლიდან  
 მუშის ძარღვებით გადათასმული.





## ზაჰეს, შენ გიჟლერ!

\* \* \*

ეს რა ხანძარი მოგიტანია,  
ზაჰეს, გამურულ რკინის ხელებით!  
წაჰკიდებია ველებს ყანიანს  
სანათურების ცისარტყელები.  
აღარა ვდარდობ მე ესლა ჩემზე,  
სადლა ექნებათ ბინა ღამურებს!  
ზაჰეს, შენს ამბავს ჩობანი-მწყემსი,  
ლერწამზე ტკბილათ ასალამურებს.  
იყო ერთი დრო, არაგვის პირებს  
შეენოდა მწვადი დაბასტურმული,  
და ჯოგებიდან მოსხლეტილ ირემს  
აფრთხოდა ღამით, მძიმე ურმული.  
ესლა იწყება ცეცხლის შეტევა,  
დაგუბებულა მცხეთას მორევი.  
და ეშვებიან ფერად სვეტებად  
მტკვარში დამხრჩვალ მეტეორები.  
ზაჰეს, ცეცხლებით სივრცე მოხაზე!  
მოხველი გმირი, ძარღვებმაგარი,  
და ბებერ ტფილისს წითელ ჩოხაზე  
ოქროს ქამარი შემოაკარი!

\* \* \*

ცაში ფრინავენ ნისლ-დახურული  
უზარმაზარი რკინის ქორები,  
დაბლა კი ხნულში მკერდგამურული  
ბიჭები ტრაქტორს მიაგორებენ.



მტკვარო, რა იქნა შენი პირობა,  
 გერევა განა დევი მცხეთელი!  
 ისმის ჯებირის სანაპიროდან  
 ბორბლების ქშენა შეუწყვეტელი.  
 სადაც დორბლებად აყრიდა ნამებს  
 კლდეებს არაგვი მონიაღვარე, —  
 ზაპეს, ხანჯალი დაეცი ლამეს  
 და შუქი მთებზე სისხლად დაღვარე!



\* \* \*

ჩემო ქვეყანავ, აღარა ვდარდობ,  
 ხვავად დამდგარა შენი სიკეთე!  
 და ვამბობ: აბა პოეტმა მარტო  
 ლექსების წერით რა გაგიკეთე!  
 როცა კვდებოდა აედრიან გზაში  
 ცხოვრება, დიდხანს გასარიყავი,  
 ფრთებ-დალეწილი მიზნებით მაშინ,  
 ჩემთვის, უგულოდ, განზე ვიყავი.  
 და დღემდე ბედი რომ არ მიქია, —  
 ჯანგატეხილი შენთან მოველი,  
 იქ, სადაც შრომამ, მზემ და სტიქიამ  
 მართლა ამართეს სვეტო-ცხოველი.  
 მე გადავყვები ქარებს — ყაჩაღებს.  
 ზაპეს, დარჩება შენი დიდება!  
 და ცეცხლი — ეხლა რომ გააჩაღე,  
 ვგრძნობ, მთელი მსოფლიოს წაეკიდება.

1927 წ. 24 ივნისი.  
 ტფილისი.



## ჩემი ცხოვრება

შევაღებ კარებს, რა ცივია და რა უხეში  
ჩამოღლეტილი ჩემი ოთახი;  
აგურ ოქმები ძველის-ძველი, იქვე კუთხეში  
ძევს დამტვრეული თოფის კონდახი.

ირვლივ მტვერია და გაბზარულ ფანჯრის მინიდან,  
ობობას ქსელი არის გაშლილი.  
ავიღებ ლენინს, „რა ვაკეთოთ“ და იმ წიგნიდან  
დატრიალდება სული ქარიშხლის.

სხვა რა მაქვს კიდევ, მაგონდება... მინდა გაჩვენო  
გულზე პატარა მწვავე იარა...  
აი სიმდიდრე, ყველაფერი, რომლის გარშემო  
ჩემმა ცხოვრებამ გადაიარა.

წინ კი ხმაურობს მხარეები, ხედავ დაბერა  
ქარმა და მიწას ცეცხლი უჩნდება;  
უნდა აგაწყო ჩემო თოფო, უნდა გაგფერო  
სანამ ეს ქარი არ დაუუჩნდება.

მოგესალმებით მეგობრებო ისევ მოგნახეთ,  
თქვენთან ალერსი კვლავ მენატრება.  
კიდევ შორს არის ის დღეები, როცა კონდახებს  
გადავაკეთებთ ნამგლის ტარებად.



## კასუსი

დღეს ბევრი არის ნომდურავი და ბრალმდებელი,  
და ბევრისაგან ულმობელი მესმის მტყუნება:  
რისთვის ვიყავი ოფელიას მონა-მხლებელი,  
და ჩემი ქედი წარსულის წინ რად ილუნება?

როცა მზის ნაცვლად გვინათებდა მთვარის პატრუქი,  
და არსად სჩანდა ცხოვრებაში გმირი საქები,  
როცა გარს გვერტყა სინამდვილე მთლად უბადრუკი,  
შორეულ ლანდებს ვადიდებდი მე გაშმაგებით.

მაგრამ მოვიდა ქარიშხალი ცეცხლის ალაპით,  
და ნისლიანი სინამდვილე მან გადაბუგა.  
ათრთოლებული მივეგებე გრიგალს სალაპით,  
და ვიგრძენ თავი დაულალავ მებრძოლ ჭაბუკად.

ნგრევის მაგიერ გიგანტური იწყო შენება.  
ჩვენი ეპოქა ოსტატია უსპეტაკესი.  
რა საჭიროა ელსინორის მღვრიე ჩვენება,  
როცა აშენდა ცეცხლიანი კოშკი ზაპესი?

უნდა გათავდეს შთაგონება მხოლოდ წარსულით,  
უკვე აივსო დედამიწა ნამდვილ გმირებით.  
ამაღლდეს ხალხი ხანძარებით შემოგარსული  
და გადალახოს მსოფლიოში მტრის ჯებირები.



## მ რ ი უ ვ ი ლ ი

— მაიტა ხელი, გავათავოთ, ოცდახუთმეტი!

— ორმოცი მეტი.

— ოცდა ათიც არა ღირს, გაათავე.

— არა ღირს და, შენ შენთვისა? მეც ჩემთვისა.

და თევდორემ ცხენი მოაბრუნა. დალალე მეხუთეჯერ მისწვდა ალვირს და მედუქნეს შეუტია:

— შენც რას ახირდი, ზაქრო! უწინ ამბობდი, მაგ ცხენში ორმოც თუმან-საც არ დავიშურებო, ახლა კი რა ღმერთი გიწყურება! მიეცი და გაათავე!

— ჯანდაბას შენი თავი, ჩამოდი!

თევდორემ ჯერ შეიღი ჩამოსვდა, უკან რომ ეჯდა ცხენის გავაზე, მერე თვითონაც ჩამოხტა და ხელი მისკა ზაქროს:

— შაგარგოს! შეიღივით გამიზრდია, ჰალალია შენზედა. ცხენის ყადრი იცი, თორემ სხვას არ მივცემდი.

კავშა ცხენი ბოძზე მიაბეს და სამივენი დუქანში შევიდნენ. თევდორეს შეიღი კი, პატარა შიო, ცხენთან დარჩა.

— მაშ ახლა ეს ცხენი ჩვენია? — ეკითხება მისი ტოლი ზურაბი, მედუქნის შეიღი.

— თქვენია. — სინანულით ოხრავს შიო.

— რა ცხენია! გავიზრდები, ჩემი იქნება.

შიოს ცრემლი მოსდის, ზურაბი კი გარს უვლის თაფლა კვიცს, რომელიც გრძელი კუდით ბუზებს იგერიებს, ნიშა თავით თითქო ნანობს თავის გაყიდვას და თეთრწინდიან ფეხებს ინაცვლის.

დუქანში კი ნასყიდობის ბარათს სწერდნენ და ჩარეკიანებს სცლიდნენ. მზე შუბის წვერზე დავიდა, როცა სამივენი გამოვიდნენ.

თევდორე დიდხუარელმა ორმოცი თუმანი ჩაილაგა უბეში. დალალმა თუმანი დაქმუქნა და ბუზლუნით პირი ჰქნა სოფლისაკენ.

— აბა, მშვიდობით იყავით, შაგარგოს. ვინძლო გაუფრთხილდე. — ეუბნება



ცხენის ნაპატრონევი მედუქნეს. — შვილივით გამიზრდია, თქვენც მოუარეთ.

— გაგიმარჯოს. ავაშენოს. არხეინად იყავი, მეც შვილივით მოგუყვლი.

თევდორე კვიცს კისერზე ეხვევა, თავზე ხელს უსვამს, რაღაცას ბურტყუნებს — თითქო ბოდის იხდის გაყიდვისათვის, ემშვიდობებაო — და ნამტირალი შვილი ხელით მიჰყავს.

მედუქნე ზაქრო კი თვალებით ჰბურღავს მიმავალს, ცალის ხელით უღვაშებს იწიწკნის და აზრით რაღაცას თუ ვილაცხას ეჭიდება.

უცებ მოტრიალდა, თავი ჩაიქნია, თითქოს ის აზრი მოერია ან თვითონ დასძალაო მას:

— დედაკაცო!

ბნელ კარებში მისი ცოლი ნატო გამოჩნდა — თვითონაც გარუჯულ კარებივით შავი, უნჯი, ხმელი და ქმარივით მაღალი, პირუტყვისი, ძვლებისა და ძარღვებისაგან ნაქსოვი.

— იქნებ დავიგვიანო. — კედელს ეტყვის ზაქარია და იქიდან ხანჯალ-რევოლვერს ჩამოხსნის. — ცხენს უპატრონე. დუქანზედაც თვალი გეჭიროს.

დედაკაცი ხმას არ გასცემს, გაბრუნდება. ზაქრო კი გზას გადასჭრის, ღობეს ჩასტეხავს და ვენახს დათვივით შაერევა..

\* \*

ზაქარია მედუქნემ თევდორეს მეტი მისცა. თვლაში შესცდა, სამი თუმანი გადააყოლა. იმ თუმნიანებს გზაზედ ხომ არ პოულობს! ამ ხნის კაცი რიურაგიდან შუალამემდის ფეხზე სდგას: ყბედობს, ჰგვის, ვაქრობს, ხარშავს, რეცხავს და ალაგებს. როცა ეტირება — იცინის, თუ ეცინება — სტირის, როგორც მუშტარს შეეხამება.

ზოგჯერ აბაზის მოსაგებად, მუშტარი რომ არ დააფრთხოს, ორ საათს მასხრობს, ან ბიჭივით ტრიალებს.

აბაზს აბაზი ეღება, მანეთს მანეთი მოსდევს, თუმანი თუმნისკენ მოილტვის. სიცოცხლე კი მიდის, თითქმის წავიდა, დაიშრიტა. ოცდაათი წელიწადი დალია ამ დუქანში. ჯერ ბიჭად ჰყავდათ, მერე დახლიდრად, შემდეგ მოზიარედ.

ერთ დღეს მისი ამხანაგი ქალაქის გზაზედ იპოვნეს გაგუდული. მულანლოელი თათრები საპატიმროში დააღპეს, ზაქარიას კი მოკლულის წილი, ქამარ-ხანჯალი და გაქონილი ჩოხა-ქურქიც არ ეყო ვალის ასანაზღაურებლად.

ზურაბს შველა უნდა. თუ მამამ საძირკველი არ შეუმზადა, თუ ათასი თუმანი მაინც არ შეუგროვა, მისი შვილი კაცებში ვერ გაერევა, ადრევე დაიჩაგრება და ჩამორჩება. ამიტომ...

ამიტომ თუ იმიტომ... ორმოცი თუმანი გზაზედ არა ჰყრია. ამ ორმოც თუმანს, დღეს რომ წამოიღო თევდორემ, ზაქარიამ სამი თვე შესწირა, ამიტომ... —

აჰა, პაპას ბოვირიც. ბინდიც მოდის. აი აქ, ბუჩქთან, წამოწვება, მოუცდის. თევდორე ჯერ არ გაივლიდა. გზა გრძელია, ბილიკი კი მოკლეა. შეისვენებს კიდევაც. სამაგიეროდ სამ თუმანს დაიბრუნებს.



წიგნებს და ისვენებს.

აგერ თევდორეც მოაბიჯებს. გატეხილი კაცია—თხელი, მოხრილი, დათოვლილი.

შვილიც მოსდევს. მიწას დასცქერის და ბუჩქებს წკებლით ფოთოლს აყრევინებს. ეხლალა შეამჩნია ზაქარამ: რუსული ქუდი ჰხურავს, ჭრელი ხალხით აცვია და მარჯვენა ლოყაზე გროშის ოდენა ხალი აზის.

— გამარჯვება, თევდორე!

ორივენი შესდგნენ—შვილიც და მამაც.

— ზაქრო, შენა ხარ? აქ რა გინდა, კაცო?

— გეტყვი. მოდი, დაჯექი.

— ბილიკით წამოხვიდოდდი.

— ბილიკით წამოვედი. მოდი, ნუ გეშინიან.

თევდორეს თითქოს ეშინიან. გზაზე სდგას და პირლია შესცქერის. ან როგორ არ შეეშინდეს! ავი კაცია ზაქრო. ცუდი ხმები დადის ირგვლივ, ძალიან ცუდი!

— მოდი მეტქი, ნუ გეშინიან. მართლაცა და, მგელი ხომ არა ვარ!

— მგელი ირა ხარ, მაგრამ... მაინც, რამ წამოგიყვანა ამ დროს აქეთა მხარეს?

— იმან, რომა... ფული გადაგაყოლე, სამი თუმანი მეტი მოგეცი.

— რას ამბობ, კაცო! ე ოხერი სამჯერ არ დავთვალეთ?!

— მაინც შეეცდი. თუ ვტყუოდე, ის ფული მანდ არა გაქვს? დავთვალათ.

— აქა მაქვს, მაშა!.. დავთვალათ... ამაზე ადვილი რალა იქნება... აჰა, შე

კაი კაცო.

გზას გადაუხვია, ზაქროს გვერდით მოუჯდა და უბეში ხელი ჩაიყო.

— აჰა, დავთვალათ... მაგისტვის როგორ გაწყენინებ, შე კაი კაცო... აი, დავთვალათ... ჰარამი იყოს ჩემზე, თუ სამ თუმანზე ხელი გავისვარო.—ჰყლაპავს სიტყვებს თევდორე და ჭრელი ხელსახოცი ამოაქვს უბიდან.—დასთვალე.

— ჯერ შენ დასთვალე.—მიმხრჩვალა ხმით უთხრა ზაქრომ და წამოდგა.

თევდორე თავჩალუნული ზის. მწვანეზე ჭრელ ხელსახოცს შლის, დასტა ფულიდან თითო-თითოს იღებს, ხელსახოცზე სდებს და ხრინწიანი ხმით სთვლის:

— ეს... ეს ერთი... ეს ორი... სამი... ოთხი...

შვილი წინ უდგა და ფულს ჩასცქერის, მამა კი ქალაღდს ქალაღდზე სდებს და აგრძელებს:

— ესეც ხუთი... ექვსი...

— თავიდან დაიწყე...—ეუბნება ზაქრო და კიდევ ერთი ნაბიჯით იწევს უკან.

— აჰა, შე კაი კაცო, დავიწყეთ... ეს ერთი... ორი... სამი...

ესეც ერთი! ორი! სამი!

და განიერ ფოლაღს თევდორეს გადალუნულ კისერზე სამჯერ გააქვს კრიალი და ჩახუნა.



ბიჭი უმაღლეს ფერდობზე ჩაგორდა და ბუჩქებში შესხლტა. მისმა მამამ კი ჯერ თავი ჩაიქნია, თითქო დასტური მისცაო, მერე გვერდზე გადავარდა, ათართხალდა.

ერთი წუთის შემდეგ ზაქრო იმ კაცის ფეხებში ცხენივით შეება და მარხილივით დაითრია. ბუჩქებში შეაგდო და თვითონაც იმ ბიჭს გამოუდგა. მისდევს როგორც მგელი კურდღელს და გახურებულ აზრს მიაქნის მასში —  
— დამლუპავს... თუ გამეჭვა, დამლუპავს!

\* \* \*

ნატო და ზურაბი ახლად ნაყიდ ცხენს უვლიან: წყალს ასმევენ, აურვებენ, თავლაში შეჭყავთ და ბზე-ქერს უყრიან. მერე დედა ეუბნება შვილს:

— მეზობელთან გადავალ, შვილო. ყური უგდე, გენაცვალე, აქაურობას დუქანს არ მოშორდე.

მხნე ბიჭია ზურაბი: იქაურობას რწყავს, ჰგვის, ალაგებს და მუშტარსაც ისტუმრებს. ერთს თამბაქო მიჰყიდა, მეორეს არაყი დაუსხა, მესამეს მარილი აუწონა. მერე დირეზე ჩამოჯდა და სოფლის ნახირს ააყოლა თვალი.

ვილაც კაცი თითქოს მიწიდან ამოძვრა და თავთ წაადგა.

— გამარჯვება, პატარავ!

— ღმერთმა გაგიმარჯოს.

— ვისი ხარ, ბიჭო?

— ზაქროსი.

— სად არის ზაქრო?

— მგონი ვენახში.

— დედა შენი?

— მეზობელთან გადავიდა.

— შენი სახელი?—და გვერდით მოუჯდა.

— ზურაბი.

— ზურაბი, ზურაბი... კარგი სახელია, მომწონს.

— კიდევ რა მოგწონს?—ჩაიციხა პატარამ.

— შენი ჭკუა, თუ გაქვს.

— ჩემთვის შეყოფა, სხვისთვის კი რა გითხრა.—აჰხედა და დაუმატა:—  
შენ აქაური არ უნდა იყო.

— რაზე მეტყობა?

— ყველაფერზე. არსად მინახვიხარ. სადაველი ხარ?

— მეც არ ვიცი.—და ხელი გადაუსვა ქოჩორა თავზე.—არაფერს დამალე-  
ვინებ?

— რატომ არა.

უცნობი ჭიქას ჭიქაზე სცლიდა. ერთ ჩარექას მეორე მოჰყვა. სვამდა, პურსა და ყველს ატანდა და ათას რამეს ეკითხებოდა: როგორ სცხოვრობენ? რას აკეთებენ? როგორი მოსავეალი ან ვიჭრობა აქვთ?



ბავშვი ჯერ ერიდება, პასუხს თითქმის არ აძლევს. უცხოა, აქაური ამბავი რას ეკითხება? ზურაბი ზაქროს შვილია, მედუქნის ნაგეშია. ფრთხილობს. ვინ იცის, სადაურია ეს კაცი, ან ხუთიქალაში რა უნდა, ან ამდენს რად კითხულობს? მაინც, სხვა რა ვნა აქვს, მუშტარი უნდა გაართოს. სიტყვა-პასუხს უნებურად მისდევს და უამბობს. მერე ეკითხება:

— სირაჯი ხომ არა ხარ?

— ჰო, სირაჯი ვარ.—იღიმება მუშტარი.—ღვინის სასყიდლად მოვედი.

— რა დროს ღვინოა, ჯერ ყურძენიც არ შემოსულა.

— ძველი ღვინო მინდა. გაქვთ თუ არა?

— მგონი ერთი ქოცოლა დარჩა.

როგორც ეტყობა, მუშტარი დაღლილია—თვალეებს ჰბლეტავს. ფულის დასტა ამოიღო, სამთუმნიანი გაუწოდა და უთხრა:

— აჰა ზურაბ, რაც გერგება აიღე. დანარჩენი შენთვის მიჩუქებია.

— ჩემთვის?—და ბიჭმა პირი დააღო.

— შენთვის, შენთვის. როგორც გინდა მოიხმარე. წიგნები და ტანისამოსი იყიდე:—ტახტზე იჯდა. იქვე მიწვა და დათენთილი ხმით დააყოლა:—ძალიან დაღლილი ვარ. ცოტას მივიძინებ. მამა ან დედა თუ მოვიდეს, გამალვიძე.

გადაბრუნდა, პირქვე მიწვა და სამი წუთის შემდეგ აფშვინდა.

შიომ სამ თუმნიანი გასინჯა, ჩაფიქრდა, მერე მუშტარის ზურგს გადაჰხედა, ფული დაჰკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

— აი, დედილო, რა მაჩუქა ამ კაცმა.—უთხრა ათიოდე წუთის შემდეგ დაბრუნებულ დედას და მფშვინავზე მიუთითა. მერე ყოველივე უამბო.

— რას ამბობს, ვინა ვარო?—ჩურჩულით ეკითხება დედა.

— სირაჯია. ღვინის სასყიდლად მოვედიო. როცა დედა და მამა მოვიდეს, გამალვიძეო.

— დაანებე თავი. ჩემთან რა საქმე აქვს ვილაც სირაჯს? წადი, ცეცხლი დაანთე და წყალი დადგი.

ზურაბი მოშვებულა, ბარბაცობს. ეხლალა დააცქერდა დედა შვილს.

— რა იყო, რა დაგემართა?.. აბა მაჩვენე, ავით ხომ არა ხარ?

შუბლზე ხელი დააღო. თონესავით ცხელია. ლოყებიც ანთებული აქვს, თვალეები—მიბზნდილი.

— ისევ ცხელება გაქვს. წადი, დაწეკი. მეც ეხლავე შემოვალ.

ზურაბი ბარბაცით გავიდა, ნატო კი ერთ ალაგზე გახევდა და ორივე თვალი უცნობის ზურგს მიაბჯინა. ვილაც თუ რაღაც აწვალეებდა, ან თვითონ სჯიჯგნიდა რაღაც ზრახვას, და ცოლიც ეხლა ისე იდგა, როგორც წელან მისი ქმარი, როცა თევდორეს ზურგს უბურღავდა. ოღონდ უღვაშის ნაცვლად დედა-კაცი განიერ ნიკაბს ისრესავდა და მეორე ხელში სამ თუმნიანს აშრიალეებდა, რომელიც შვილს გამოართვა „ახალ ხალათისა და წიგნებისათვის“.



\* \* \*

დაიღუპა ზაქრო, ნამდვილად დაიღუპა: ბიჭი გაექცა, დაემატა კურდღელ-ლივით მოჰქრის შიო. მწვეარივით მოსდევს მელუქნე. აღარც გხა სჩანს, არც ბილიკი. ჯერ თხელი ტყე გაირბინეს, მერე ბუჩქნარს შეერივნენ, შემდეგ ნახნავენახებს მოედვნენ.

მელუქნემ ორჯელ დალია მანძილი, მაგრამ ბიჭი ~~არა~~ <sup>საქმე</sup> გაუსხლტა: ერთხელ გვერდზე გაუხტა და ჩირგვნარში შეერია, მეორედ კი ისკუპა და ხევში ჩავიდა.

ზაქრო რევოლვერს ვერ ხმარობს. ჯერ არ გაგიყვებულა: მისი ხმა ორ-საგ სოფელს მისწვდება. ისევ დაჰკლავს, ან დაახრჩობს.

მის ხელში ხანჯალი, კრიალებს, უკნიდან ჩოხის კალთები მოსდევენ, წინ კი ბავშვის ქუსლები პრიალებენ და ქრელი ხალათი შრიალებს.

მირბის შიო და ზოგჯერ ერთის წუთით მოიხედავს. თუ ხანჯალი სადმე ახლოს გაიპრიალებს, ბალლი დაქერილ მელიასავით შესჩხავლებს და მეტის სისწრაფით გასხლტება; ზოგჯერ კი რალაცას შესძახებს, მაგრამ ის ძახილი უფრო ხრიალს ჰგავს ვიდრე კვილს, და იქვე სადმე იკარგება.

ბინდი მუქდება. სიბნელეში ორი ლანდილა მოსჩანს, ორი ჩრდილი მოჰქრის ხატიქალისაკენ. აჰა სოფლის ნაპირიც. ავერ ზაქროს ვენახიც. აი მისი ღუქანიც. გარეთ ფანარი ანთია, და ბალლის აჩრდილიც ღამის ფარვანასავით მიდის იმ შუქისაკენ.

ჩქარა, ზაქრო, ჩქარა თორემ იღუპები! თუ ის ლანდი ღუქანს გასცდა, თუ სოფელში შევარდა ან მეზობლებთან შეუხვია, გირჩევნია ეგ ხანჯალი შენთვისვე მოიხმარო—ან ყელი გამოიჭრა ან თავი ჩამოიხრჩო.

აბა, ნაბიჯს მოუმატე, მჩატე კუნთები დაიჭიმე! გასწი, თორემ ბეწვზედლა ჰკიდია შენი თავიც და შენი ოჯახიც.

\* \* \*

— დედი, მიშველე!

— რა იყო, შეილო? ვინა ხარ, რა დაგემართა?

— დედი, მიშველე... მკლავენ... მომდევენ.—და აქშენილი უცხო ბავშვი მთართოლვარე ხელებით ეჭიდება უცხო დედაკაცს, თან ქოშინით იხრჩობა და კალთებს აგლეჯავს:—მოსაკლავად მომ... მომდევენ. დამმალე... მალე! მალე!

დედაკაცი თითქმის მირბის ბავშვი კაბაზე ჰკიდია. დახლის უკან კარია გააღო, ბნელში შეაგდო და მიაყოლა:

— დაიმალე... მარჯვნივ გადი. ნუ გეშინიან, გომურია.—კარები გამოიხურა და ისევ ღუქანში გამოვიდა.

შიო კედელს მიეყრდნო. დაღლილ ძალღივიტ ქაქანებს და გულს იმაგრებს, თანაც სიბნელეს აშტერდება, არემარის გარჩევას სცდილობს.

გაახსენდა დარიგება. მარჯვნივ კარი შეაღო და წყვდიადში შეცურდა.



ბუხარში ნალვერდალი ღვივის. იქვე ტახტი სდგას. ტახტის უკან დარაბე-  
ბია. დარაბეების იქით—გომური.

იქ, გომურში, სიბნელეში ცხენი ფრუტუნებს. იქვე კამეჩიტ ცოხნება.  
შორს კუთხეში სანათური მოსჩანს და იმ სანათურში ერთი ვარსკვლავი კამ-  
კამებს.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

\* \* \*

— დედაკაცო, დავიღუპე! — ლაქლაქით ჩურჩულებს მოვარდნილი მე-  
ღუქნე.

— რა იყო, რა დაგემართა?—დაბალივე ხმით ეკითხება ცოლი, თან პირ-  
ზე ხელს იღებს და მძინარეზე აჩვენებს თვალით.

ზაქრო ქოშინით იხრჩობა. ფეხზე ძლივსლა სდგას. ხელში ხანჯალი უჭი-  
რავს და თვითონაც იმ ფოლადის ფერი ადევს.

— რა დაგემართა, კაცო? აქეთ წამო.

ხელში ხელი წააელო და დუქნიდან გაიყვანა.

— ის ბიჭი... პატარა ბიჭი რა იქნა?

— ბიჭი?—და უმაღვე მიუხვდა.—უი, დამიდგა თვალები! მაინც, რა დაგე-  
მართა, კაცო?

— ღვთის წყრომა და წმინდა გიორგის რისხვა, აი რა დამემართა!.. კაცი  
შემომაკვდა.

— კაცი? ვინ კაცი? როგორ? სად?

— დიდზვარელი თევდორეი... ცხენი რომ მომყიდა.

— ვაიმე, ჩემო თავო! მაშ დავიღუპეთ!

— დავიღუპეთ, თუ ის ბიჭი დამემალა... აქეთ მორბოდა... აქ უნდა და-  
მალულიყო სადმე... ის ამბავი მაგის მეტს არავის დაუნახავს.

ღუმილი ჩამოვარდა—ისევ იმ მახვილივით მჭრელი და მრისხანე. ნატოს  
თავის გულის ბაგუნი და ქმრის ქშენალა ესმის. ყურებშიაც რაღაც თუ ვილაც  
ჩასწივის.

თითქოს აქ სადღაც დამემალა. სახლს შემოვურბინე, მაგრამ ვერსად  
ვიპოვნე.

და ზაქროს ხმაში სასოწარკვეთილი უიმედობა ისმის.

— ვერსად ვიპოვნე... დავიღუპე... დავიღუპეთ!

ისევ დადუმდა. უცებ მოეშვა, მოსწყდა, მოიდრიკა. ხელები მართახებივით  
ჰკიდია და მოდუნებულ ხელიდან საცაა ხანჯალი ჩაუვარდება.

და უცებ ყურში ცოლის ჩურჩული ჩაეღვარა:

— წადი, გაათავე... იქ არის... გომურში.

— გომურში? მართლა?

და ეხლალა დაინახა, რომ თვითონაც გომურის კარებთან იდგნენ.

— ტსს... ფრთხილად!.. ეს ვილაც კაცი არ გააღვიძო, ძლივსლა გააგო  
ცოლის ხმა.

აგრეა. მართალია: ეს ვილაც არ უნდა გააღვიძოს, თორემ ის ბიჭი აღ-  
ბად დაიყვირებს, ამ კაცს გააღვიძებს და...

ქურნალი „მნათობი“ № 7.

5546

016

ბიბლიოთეკის მისამართი  
საბურთალოს რაიონი  
ს. ბაქრაძის ქ. 10





— ვინ არის, ვინ ოხერია? — ეკითხება ნატოს.

— აბა რა ვიცი. წელან მოსულიყო, მე შინ არ ვიყავი... ორი ჩარევა და-  
ულევია და ზურაბისთვის სამი თუმანი უჩუქებია...

— სამი? სამი თუმანი?

— ჰო, სამი. სირაჯი ვარო.

— ჩემი სირაჯი ხომ არ არის, საქულაი?

— არა. საქულა ერთი პატარა კაცია, ეს კი ძალიან მაღალია.

— ნახე?

— პირქვე წევს. ოდნავ თვალი მოვკარი. რაკი პატარა ბიჭს სამი თუმანი  
აჩუქა, მაშ ეტყობა...

„მაშ ეტყობა დიდი ფული აქვს“. — ერთსა და იმავე დროს გაიგევა  
ორივეს თავში. „რა თქმა უნდა, დიდძალი ფული ექნება. სირაჯია...  
პირველად მოდის აქეთა მხარეს, თორემ ნათლიმამასთან ან ნაცნობთან მივი-  
დოდა. ესეც რომ არ იყოს, ისეთ დროს შემოგვესწრო, რომ... ან ეგ დაგვლუ-  
პავს, ან... ან კიდევ ჩვენვე უნდა მოვიშოროთ გზიდან“.

— დრო მიდის, ადამიანო... გაათავე, გაახსენა ნატომ. მაგრამ ზაქროს  
თითქოს აღარა ესმის რა.

ღმერთო, აპატიე ზაქროს, ნატოსაც! შენცა ხედავ, რომ გულში ბოროტი  
არა უდევთ რა.

„სტუმარი ღვთისაა, მაგრამ“...

მაგრამ რა ჰქნან! ეს კაცი უდროოდ შეეჩებათ შუა გზაზე. ისე მოეწყო  
თავისთავად, რომ ვიღაც უნდა გადავარდეს ხრამში—ან ეს კაცი, ან ზაქრო და  
მისი ოჯახი.

არჩევანიც აღარ არის: ამ კაცს სძინავს, ზაქრო კი ფხიზელია და სანჯა-  
ლიც ხელში უჭირავს. გარდა ამისა, სულ ერთი არ არის, ექვსი იქნება თუ  
შვიდი?

„თევდორე მეექვსეა... მგონი მეექვსეა.— გაუელვა მეღუქნეს.— ეს მეშვიდე  
იქნება... ის ბიჭიც— მერვე, მერვე და უკანასკნელი“.

— დრო მიდის, კაცო!

უეჭველად უკანასკნელი იქნება, უეჭველად! ღმერთი შეეწევა და ფიცს შე-  
ასრულებინებს. ცოდვილია ზაქრო, ცოდვილი! მაგრამ ამასაც მოინანიებს, მოი-  
რეცხავს: შუამთაში წავა, შეენაბადას მოივლის, ალღავერდსაც ეწვევა, მცხე-  
თასაც— ყველას თითო საკლავს მიუტანს, სანთლებს დაუნთებს და შენდობას  
გიიღებს.

— „დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა!“ — უცებ გაახსენდა მეცხვარის ბლა-  
ვილი, როცა ერთხელ—ოთხი თუ ხუთი წლის წინათ მოხდა ის ამბავი— როცა  
ერთხელ... ერთი სიტყვით, როცა ის მეცხვარე „უცაბედათ შემოაკვდა“.

— ზურაბი მომაშორე, დედაკაცო. წაიყვა სადმე...

— არაფერია... აჟად არის... სძინავს. ვერას გაიგებს.



ქართული  
საბჭოთაო



ბევრი მსგავსი აგონდება ზაქროს: ქერივ-ობოლთა წყველა-კრულვა, მუქარა და სიძულვილი. აღარ იცის, რომელ-ერთი გაიხსენოს, ვისი რა მოიგონოს.

— აღამიანო, გესმის?... რა გემართება!.. იქნება ამ კაცმა გაიღვიძოს, ან ვინმე შემოგვესწროს!

გაიხსენოს?! ან რა საჭიროა გახსენება! რაც ერთ წუთშიც მოგვინდა, თავისთავად მოაგონდა, ან ეშმაკმა გაახსენა, ისარგებლა მედუქნის სმარტნიკით და ჩააწვეთა, თორემ...

თორემ რა დროს წარსულის გაძსენება! აქვე, კარების უკან, ის ბიჭი იმალება. ეხლავ უნდა მოიშოროს, თორემ დაიღუპა ზაქრო. აგერ იქაც, დუქანში, ვილაც კაცი შემოესწრო. კიდევ კარგი, რომ სძინავს, თორემ საქმეს გაურთულებს.

— არ გესმის, კაცო!.. რა ექნა, რა დაგემართა?

ესმის, როგორ არ ესმის, მაგრამ... რალაც უცნაური დაემართა. ადგილიდან ვეღარ იძვრის. ალბად დაიღალა, სირბილმა თუ დაღალა. კუნძზე ჩამოჯდა, დაიკვნესა:

— იქნებ შენ გაათავო... შენ თვითონვე გაათავო დუქანში... მერე მე შევალ გომურში.

ნატომ მხარზე ხელი დაადო და მძლავრად შეანჯღრია:

— ადექი!

— შენ გაათავე... წალდიც იქვეა.

— ადექი მეთქი!

— არ შამიძლიან, დედაკაცო!

— რა ღმერთი გაგიწყრა! რამ დაგჯაბნა?!

— წადი მეთქი... გაათავე.

— დაგწყველა ჩემმა გამჩენმა!—წაიბურტყუნა დედაკაცმა და დუქნისაკენ გაბრუნდა.

რამდენი დრო გავიდა, სანამ ნატო გამოვიდოდა და ფანარს ჩააქრობდა, ზაქრომ ვერ შეამჩნია. ცოლი გვერდით მოუჯდა და გაყუჩდა. მედუქნე ჰგრობნობს, ეხლა მისი რიგი მოვიდა. მაგრამ უცდის—რას ან ვის, თვითონაც არ იცის. ცოლი ხმას აღარა სცემს, მაგრამ ხანგაშვებით ფერდში მუჯლუგუნს ჰკრავს, თითქოს ეუბნება—ადექი, გაათავეო.

ცხადია, დუქანში გასათავებელი გათავედა. ახლა გომურის ჯერი დადგა. მაშ... ღმერთო, უშველე ზაქროს და შეიწყალე ცოდვილი!

გომურის კარი ჭრიალებს. ზაქრო შედის და კარებს ურდულს უყრის. გარედან ნატო სდარაჯობს.

ცხენი ისევ ფრუტუნებს. კამეჩებიც ილოღნებიან. ბაგაში რალაც ფაჩუნია. სანათურში ისევ ერთი ვარსკვლავი იხედება. სიბნელეში ოღნავ მოსჩანს შავი ბუხრისა და დარაბების ხაზები.

სიღრმეში ისევ ისმის ფაჩუნი, და ზაქროც კედელ-კედნლ იმ ხმაურისაკენ მიიპარება.



ზაქრო ხბოს წააწყდა. გვერდი აუქცია და დარაბისაკენ გასხლტა. იქ რალაც თუ ვილაც მოეჩვენა. ეხლა უკეთ არჩევს ჩრდილებს. თვალი ბნელს შეაჩვია.

აჰა ლომა კამეჩი... აგერ კავშია ცხენი... აი ბზის გოდორიც. გოდორის უკან აჩრდილი რამ მისცოცავს... მიიპარება.

მაგრამ გვიანდაა, პატარა ბიჭო! დათვლილია შენი წუთები! ვედარსად წაუხვალ ზაქროს თვალს, ვერც იმის ხელს!

აჩრდილი კარებისაკენ მივბის და მეორე აჩრდილს, ზაქროს შკლავებს აწყდება.

ერთი! ორი! სამი!

კმარა, ეყოფა!

მგონი რალაც დაიგმინა, დაიქნავლა თუ დაიკივლა, დედა თუ მამა ახსენა.

ძველი ამბავია, იცის ზაქრომ: სიკვდილის დროს ყველას დედა აგონდება.

დიდხანს სხედან ცოლქმარი გომურის კარებთან.

— კაცო, მოისაზრე, — ეუბნება ცოლი — დრო მიდის.

ზაქრომ უკვე მოისაზრა. იქვე თივის ბულული სდგას. გვერდით მიწას ამოსთხრის, ჩაჰფლავს და იმ ბულულს ზედ დაადგავს. ამ თივას გაზაფხულზედ-ლა დახარჯავს, მანამდე კი კვალიც წაევა, დაილევა.

და იმ ზვინთან უკვე ბარი წკრიალებს. ბელტი ბელტს მოსდევს. მიწის გროვა იზრდება. მედუქნე წელამდე ჩასულა გრძელ ორმოში.

მედუქნეს ცოლი ეშველება ნიჩაბით, ზაქრო კი მძიმე ტვირთს ეზიდება: ერთი ნაბადში გაახვია და ილლით მოიტანა. იქვე დასდებს და გაბრუნდება. მეორესაც ნაბადში გაახვევს და ზურგით მოათრევს.

არა უშავსრა, ნაბადსაც თან ჩააყოლებს. ოღონდ სისხლის კვალი არსად დარჩეს. კრაქის შუქი ან სანთელი სახიფათოა. სოფელს ჯერ არა სძინავს, გზაზე მგზავრი არ შემწყდარა. დანარჩენი მერე იყოს, შუალამეს რომ გადასცდება.

— გეყოფა, დედაკაცო, ამოდი...

— მიშველე... ამომიყვანე. — ისმის წყვდიადში მიმხვეალი ხმები.

ხელი მისცა, ამოსწია. ოოჰ, რა მძიმეა დედაკაცი! ნეტა ცოლი დაუმძიმდა თუ თვითონ დასუსტდა?

ზაქრო ფიქრობს: აღარ იცის, ნაბადი საფლავის ძირზე გაუშალოს თუ ზევიდან დააფინოს.

„სულ ერთია,“ — გადასჭრა და ჯერ ნაბადი ჩააგდო. მერე უცნობს დასწვდა ფეხებში და...

და გახევდა, მოკუხული გაქვავდა.

გზაზედ ცხენის თქარა-თქური ისმის. აგერ წინელალებიც მოჰქრიან — ორი, სამი, ხუთი.

ღმერთო დიდებულო, შენ უშველე ზაქროსა! აქ რალაც ამბავია! აქეთ საით მოდიან! ზაქროს დუქანი სოფლის ნაპირზეა, მაშ... ალბად... ზაქროსთან თუ მოდიან.



— დედაკაცო, მოეფარე!  
 და თივის ზვინი ორივეს ჰფარავს.  
 ცხენების ფეხები თითქოს ცოლქმრის მკერდს ურახუნებს და გაშხალე-  
 ბიც მათს გულში ანთია.

„გაივლიან... სხვაგან სადმე მიდიან.“ — ორივეს თავში რეკავს იმედის ხარი.  
 — ალბად გაივლიან.  
 „რა თქმა უნდა, სხვაგან სადმე მიდიან“.  
 მაგრამ... ჯერჯერობით...  
 ჯერჯერობით დუქნის წინ შესდგნენ.  
 ქინჯლალები გველის ენებივით სისინებენ და დუქანს ცეცხლით ემუქ-  
 რებიან.

ვილაც კარებს არახუნებს—გაშმაგებით და ყვირილით:  
 — გააღეთ ეხლავე!  
 ფიცრული კარი მხოლოდ მიხურულია, არავის დაუკეტნია—არც შიგნიდან,  
 არც გარედან. ვილაცამ გამოაღო. ერთი ქინჯლალი პრიალით შევარდა დუქან-  
 ში და ორი თუ სამი კაცი შეითრია.

— ზაქრო, სადა ხარ?.. გამოდი!.. ტყუილათლა გვემალეები!  
 ეხლა კი ცხადია. ტყუილადლა იმალემა. გაიქცეს? ცოლი მარტოდ დასტო-  
 ვოს? რა საკადრისია! ან სად წავა? ვისთან დაიმალება? ვინ შეინახავს?  
 და უცბად—თვითონაც არ იცის, ვინ ან რამ წაჰკრა ხელი, ან ვინ ააყვი-  
 რა— უცბად გაიქცა დუქნისაკენ და დაიძახა:  
 — დაიცადეთ!.. მოიცადეთ! ბიჭი არ შამიშინოთ, ბიჭი!  
 — აქ არის, აქა!—შესძახეს გარეთ დარჩენილებმა და შვილისათვის შეში-  
 ნებული მელუქნე შუაში მოიმწყვდის.

— აქა ვარ, აქა!—დუქნის ღია კარებს შესძახოდა ზაქრო.—აქა ვარ მეთ-  
 ქი, ხალხნო! გამოდით, ჩქარა გამოდით, თორემ ავადმყოფ შვილს შამიშინებთ!  
 — მკვდრები რა უყავი? დახოცილები სად არიან ძეთქი?—და უფროსმა  
 ისე დაჰკრა და ჩასქიდა ხუთგირვანქიანი მუშტი სახელოში, რომ ზაქრომ კინალამ  
 ჩაიკეცა.—სად არიან მეთქი?  
 და ერთხელ კიდევ შეანელრია.  
 — იქ არიან... აგერ იქა... სათივესთან.—ლულლულებს მომაკვდავიყით.  
 — გვაჩვენე!  
 და მელუქნე ძაღლის მძორივით წაათრია სათივესაკენ.  
 — ახლა თქვენს ხელში ვარ. რაც გენებოთ... მიყავით. ოლონდ ბიჭი არ  
 შამიშინოთ.—თავისთვის ბუტბუტებს ზაქრო.—აი... აჰა!  
 აი, აჰა! დედაკაცი თივას მიჰყუდებია, თითქო ზედ მიუკრავთო, და ქინ-  
 ჯლალების შუქზე თვითონაც თივის ფერი დასდებია. ორმოსთან ორი გვამი  
 სდევს: ერთი ნაბადწახურული, მეორე კი—ჰაწაწინა—პირქვე ჰგდია.  
 — სად არის შენი შვილი?!—და ის ხელი, უფროსი მილიციელის ხელი,  
 ცალიერ ტომარასავით ჰბერტყავს მელუქნეს.—სად არის მეთქი შენი შვილი?!  
 — რომელი შვილი?.. ანტონა?..—ლულლულებს გაოცებული ზაქრო.





მართლა საოცარია! თუ მედუქნის უმფროს შვილს ანტონას კითხულობენ, თვითონაც კარგად იციან მისი ამბავი: დაიკარგა, თორმეტი წლის წინად ომში წაიყვანეს და დაჰკარგეს.

თორმეტი წელიწადი სდია ზაქრომ შვილის კვალს, მაგრამ ბოლო ვერსად უპოვა, ველარაფერი გაიგო.

ვექილიც კი აიყვანა ქალაქში. ჯერ ოც თუმანს დაჰპირდა, მერე ოცდა ხუთს, ბოლოს ორმოცდაათიც აძლია და ასიც გაიმეტა, მაგრამ...

დაიკარგა ანტონი! ზაქარია მედუქნე და მისი ნატო დღისით ვაჭრობდნენ. ღამით კი, როცა დუქანს დაჰკეტავდნენ და გარეთ წყვედიადი ჩამოწვებოდა, მათს შავ გულშიც შავი ბინდი შევიდოდა, მოიკეცავდა და განთიადამდე აღარ გავიდოდა. დაქანცული ცოლი და ქმარი სტიროდნენ—ზოგჯერ ჩუმად, ხან ხმამაღლა, და უღალავად დადიოდნენ—ხან ისევ ვექილთან, ზოგჯერ მღვდელთან, ზოგჯერ კიდევ შკითხავთან.

სალოცავი აღარ გამოჩნათ და მარჩიელი. ცხვარი და მონვერი მრავალი დაიკლა. თუმშიანიც ბევრი დაიხარჯა. მაგრამ ანტონისაგან ერთი სიტყვაც აღარ მოვიდა.

სამუდამოდ დაიკარგა ანტონი. ღმერთმა მისცა და ისევ ღმერთმა წაიყვანა. მადლობა უფალსა, თორმეტი წლის ზურაბი მაინც შერჩათ! პატარაა, ანტონის მაგივრობას ვერ გასწევს, მაგრამ ესეც ხუგეშია: ათიოდე წელიწადსაც მოითმენენ, მერე დაისვენებენ. ყოჩალი ბიჭია ზურაბი—აზრიანი, გამჭრიახი, მხნე და გამძლე.

მთელმა ქვეყანამ იცის ეს ამბავი—ერმაც, ბერმაც და მთავრობამაც. ეხლა კი ამ ხელისუფალს მედუქნისათვის კისერში ხელი წაუვლია და მრისხანედ ეკითხება—ისიც ვის?—მამას, მშობელ მამას:

— სად არის მეთქი შენი შვილი?!

— ანტონი?—ისევ ლულლულებს მედუქნე.

— ჰო, თუნდაც ანტონი.

— დაიკარგა... შენც იცი, დაიკარგა.

— ვიცი, მაგრამ...—და თივის ზვინზე გაკრულ ნატოს მიუბრუნდა: დედაკაცო, სად არის შენი შვილი?

— დაიკარგა.—თითქოს ქვევრიდან ისმის დედის ხმა.

— მაშ... კეთილი... სად არის შენი მეორე შვილი?!

და დაჩუტული მედუქნე ერთხელ კიდევ შებერტყა.

— ზურაბი?

— ჰო, ზურაბი, ზურაბი.

— ზურაბი... ჩემი ზურაბი...

და უცებ თვალი მოჰკრა ვიღაც ბაღს. სდგას ორმოს ნაპირზე პატარა ბიჭი. რუსული ქუდი ჰხურავს, ჭრელი ხალათი აცვია. თეთრი წინდები... ლოყაზე გროშის ოდენა ხალი.

— „ღმერთო დიდებულო!“—იძახის გულში, ხმა მალლა კი ძლივს ლულლულებს:—აკი გითხარით, ავათ არის მეთქი... არ შეაშინოთ... ცოდოა.



— მართლა? ავით არის? — და მძლავრი ხელი ისე ანჯღრევს, თითქო ზაქრო კედელზე ეკიდოს და ეს კაცი მის ჩამოგლეჯას ლამობდესო. — სთქვი, ეხლა სად არის მეთქი ზურაბი?

— „ეს ბიჭი, აქ რომ სდგამ, — ფიქრობს მედუქნე და იმ ბიჭს თვალს ვეღარ აშორებს, — ეს ბიჭი... ის ბიჭი... რუსული ქუდი... ქრელი (ხედი). თეთრი წინდები... ლოყაზე ხალი... ღმერთო, მიშველე! ლანდის ზღვასა და მელანდებზე, თორემ“... — და ენას ძლივსლა ამოძრავებს: — იქ არის... ოთახში წევს... არ შეაშინოთ... ცოდოა.

— ეს ბიჭი ვილა არის? არ იცნობ?

ზაქრომ თვალები მოიფშენიჭა, ხუთიოდე წუთით დჰხუჭა, მერე ისევ გაახილა. მოჩვენება არ გაჰქრა. ბიჭი ისევ სდგას ლანდივით: რუსული ქუდი, დიდი ხალი, თეთრი წინდები და ქრელი ხალათი — სწორედ ის ხალათი, რომელსაც დღეს ერთ საათს დასდევდა მწევარივით. ეს ხალათი იმას უნდა ეცვას, აგერ იმ ბიჭს, ორმოს ნაპირზე პირქვე რომ ჰგდია.

— „მაშ ცხადია“...

— „დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა!“ — აგონდება მეცხვარის კრულვა. მაგრამ მედუქნე თავისას ფიქრობს:

„მაშ ცხადია“...

რასაკვირველია ცხადია: ვილაცამ მკვდარს გაჰხადა ის ხალათი და სხვა ბიჭს ჩააცვა... ქუდიც დაჰხურა, სწორედ ის ქუდი... წინდებიც ჩააცვა... და ის ხალიც ააგლიჯა და ამ ბიჭს მიაკრა.

რა თქმა უნდა აგრეა, აგრეა! უეჭველად აგრე იქნება!.. აი საბუთიც: ის ბიჭი, აგერ ის... პირქვე რომ ჰგდია, საცვლების ამარად დაუტოვებიათ...

„დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა!“ — ისევ ჩაჰკივის მეცხვარე. ალბად ავი სიზმარია ეს ლანდიც და მეცხვარის კვილიც, ან განგებ მოაწყეს ზაქროს გამოსაცდელად და შესაშინებლად.

მაგრამ ვერა, ზაქროს ვერ მოატყუებთ, მასხარად ვერ აიგდებთ.

და მედუქნე ჯერ ქრელხალათას გაულიმებს, მერე სხვებსაც გადაჰხედავს და ისევ ღიმილით თავს გაიქნევს, თითქოს ეუბნებაო: ვერ მომატყუებთ. ვიცი თქვენი ეშმაკობა, ვიციო!

— იცნობ თუჯარა ამ ბიჭს?

არა, არ იცნობს. გონება ეუბნება: „სთქვი, არ ვიცნობთქო, თორემ...“ მაგრამ ვილაც უხილავი უბასუხებს მედუქნის პირით:

— ვიცნობ... ეს ის ბიჭია, რომელიც... წელან რომ...

— ვინ არის, სთქვი!.. გაათავე!

— ის არის... დიდხვარელი თევდორეს შვილია... შიო. რომ მოვკალი...

— მამა მომიკლა — ჩაერთა ქრელი ხალათი. — მამა მომიკლა და მე დამედევნა. გავექეცი. აგერ იმ დედაკაცმა დამმალა გომურში... იქ მაგის შვილი იწვა.. იმ ბიჭმა ბაგაში დამმალა... მერე სანათურში ამაძვრინა და გადამარჩინა.

— „დაგეწევა ჩემი ცოდო, დაგეწევა!“ — უკვე მტკიცედ ჩასძახის მეცხვარე.



— ეს საწყალი გადააბრუნეთ.—იძლევა ბრძანებას დიდხელა.—ამ უბედურ-  
საც აჭხადეთ ნაბადი.

და როცა ბრძანება შეუსრულეს, დაუმატა:

— ახლოს მოიტათ მაშხალები.

და როცა ესეც შეუსრულეს, როცა სამმა ეინელაღმა, რომელი წითელი შვილი,  
ორი ძმა წითლადვე გაანათა, დიდხელამ მედუქნეს ხელი გაუშვა, პირი მიიბრუნა  
და სივრცეს უთხრა:

— აჰა, უბედურებო, დაჭხედეთ და გაიგეთ... აი თქვენი შვილები.

მოწმენდილი ცა გასკდა: დაიქუხა, დაიქეჭა და ჩამოვარდა. დედამიწაც  
გაიწრღვა და მთელი ქვეყანა ჩაიტანა.

თივის ზვინზე მიკრული დედაკაცი თითქოს ჯერიდან ჩამოცურდაო: თვა-  
ლები დაჭხუჭა, მოდუნდა, დაიკეცა და ზვინის ძირში გაიშოტა.

ზაქროს კისერი აუტოკდა, თვალები აუხამხამდა.

— „დაგეწია! დაგეწია! დაგეწია!“—ურაკუნებს თავში მეცხვარე.

ჯერ ხელახლა დაიხარა, მოირკალა და მუხლის თავებზე ჩაჯდა. მერე  
უმფროს ვაჟიშვილს ჩააცქერდა, შემდეგ უმცროსს გადაჭხედა. და როცა ზევით  
აიხედა და იქ მდგომებს თვალი მოავლო, მის აღრეცილ სახეზე უკვე შიშნაქამი  
ლიმილი თამაშობდა.

— ავად არის... ორივენი ავად არიან.—აჩურჩულდა.—არ შამიშინოთ...  
ცოდონი არიან, ცოდონი.

ზოგმა პირი მიიბრუნა, ზოგმა თავი ჩაპლუნა. წელანდელ რიხხვის ნაცვლად  
ეხლა მათს თვალებსა და ტუჩებზე ლმობიერი გულჩვილობა და სიბრაღულიდა  
დასახლებულიყო.



## ცოლი რუსთაველის

პოემა — ლეგენდა

### გაცილების ნაღიმი

სურათი პირველი

(თავი მოუყრიათ შოთას მეგობარ-არიფებს და ნათესავ - მახლობლებს. ზოგნი სუფრას შემოსხდომიან, ზოგნი აშლილან, ზოგსაც მუსიკაზე ფერხული ჩაუბამს).

სიმღერა: შოთა შიდის, შოთა გეტოვებს,  
გადაივლის უცხო მდელს;  
უვნებელი დაგვიბრუნდეს —  
მისთვის შევსვამთ სადღეგრძელოს!  
მეგობრების სიყვარულმა  
იქაც გული გაუშთელოს;  
ძმებო ასწით აზარფეშა!..  
შოთა ჩვენი აღღეგრძელოს;  
სიბრძნის შუქით შემოსილი  
დაუბრუნდეს საქართველოს;  
ძმებო, ასწით აზარფეშა!..  
შოთა ჩვენი აღღეგრძელოს!

(სამეფო კარის წარმომადგენლები შოთას „დასტურს“ უკითხავენ და პარკით ოქროს გადასცემენ).

უხუცესი: თამარი დასტურს გიბოძებს,  
განლიო უცხო მხარენი;  
სალაროც ოქროს მოგიძღვნის,  
შემდეგაც დაგეხმარებით.



სამეფო კარის დარბაზმა  
საქმე საქვეყნო არჩია;  
ახალგაზრდებში პირველი  
შენ ერთი ამოგარჩია!

**ხორა:** შოთას სიცოცხლე! მრავალჯამიერ!

**უხუცესი:** შენზე ამყარებს დიდს იმედს  
მცირე, მოყმე და მცხოვანი;  
გზა წაგემართოს, დაბრუნდი  
ქვეყნისთვის სახელოვანი!

**დედა:** (აღრემლებული ავგაროზს გადასცემს, ჰკოცნის).

შვილო, ატარე დედის სახსოვრად...  
ეს დაგიფარავს ზღვათა დელვისგან!  
გზის ხიფათისგან, ცეცხლის აღისგან!  
ბოროტი კაცის ავი თვალისგან!  
მოშურნე მტრისგან..... დამილოცნიხარ!

**მიმა:** | შვილო შოთა: მშობლებს სტოვებ,

ემგზავრები უცხო მხარეს;  
ეს ქვეყანა მოგენატროს,  
შეევედრე მზეს და მთვარეს!  
ისევ იმათ გაგინათონ,  
შუქი გფინონ გულმწუხარეს;  
თან გაგატან მშობლის ლოცვას,  
გრძნობით გამთბარს და მხურვალეს!  
მოერიდე ცრუ მეგობარს,  
სიბრძნე იყოს შენი ფარი;  
ნუ იქნები გულზვიადი,  
თავდაბლობის აღე კარი!  
ჩასწვდი სულის ვითარებას:  
ეს ცხოვრება რაგვარ არი?  
და თუ ხალხსაც ასახელებ,

**ხორა:** მრავალჯამიერ! შოთას სიცოცხლე!

**შოთა:** დღეს, მეგობრებო, ვილხინოთ,  
გულით და სულით ვიამოთ;  
ხვალ ველარ მნახავთ თქვენს ახლოს,  
საზღვარი გადავიარო!

(საერთო სიმხიარულე და აღტაცება. კეკლუცი ქალები  
სხვადასხვა სახსოვარს სთავაზობენ და უმღერიან).

**ქალები:** შენზე ამყარებს დიდს იმედებს:  
მცირე, მოყმე და მცხოვანი;





გზა წაგემართოს, დაბრუნდი  
ქვეყნისთვის სახელოვანი:

(ერთი მშვენიერი ქალი—ნინო, გულდაწვეტილი უმზერს  
დაბოლოს ისიც მიუახლოვდება, მოიხსნის ძვირფას რიდეს  
და შოთას ყელზე შემოახვევს.)



ნინო:

თან ატარებდეს სახსოვრად,  
მიჯნურის მოსაგონებლად;  
ამოიღებდეს, ნახავდეს,  
გულისა გასაყოლებლად.  
სიხარულს, სევდას, ჩემს გრძნობას  
თან ვატან, არა მრჩება-რა;  
ნიშანი არის სინაზის,  
მკოცნიდა, სახეს შეუფარა!  
ფიცით მოგიტბრობ, ძვირფასო,  
შევიროთო თუ კი სხვა ქმარი;  
სიცოცხლეს მოვწყდე უდროოდ,  
გამეჭრას მიწა სამარი;  
თვალს დამიბნელდეს სინათლე,  
ბედიც აღთქმული დამეფსოს;  
ბაგე ვარდისა დამიჭკნეს,  
ფიალა შხამით ამეფსოს!  
როდესაც ბაღში გავიდე,  
შენ იქ არ ჩამოიარო;  
ამბავი ვკითხო ჩემს ლერწამს,  
სევდაც მას გავუზიარო!

შოთა:

უცხო მხარეში ვარსკვლავებს  
შევხედავ — მომაგონდები;  
ბინდისას მთვარე ამოვა,  
შენს სახეს დაველოდები;  
ღრუბელს დავაწერ მოკითხვას:  
ჩემო, ნუ დამილონდები!  
ვერ დაგვაშორებს მანძილი,  
შენს ამბავს მამცნობს ნიაფი;  
დაგიბრუნდები შენს მიჯნურს  
გულით უცვლელი, მზიანი!

ნინო:

შენი სიცოცხლე შეყოფის  
ჩემად იმედად გულისად;  
მომიგონებდეს, გახსოვდეს  
სხვა ქვეყნად ვარდასული სად?  
შენმან მზემან, თავი ჩემი არვის ჰმართებს უშენოსა.



**შოთა და ნინო:** უშენოდ ჩემი სიცოცხლე  
ვაი, რა დიდად ძნელია!  
(შოთა თითზე ბეჭედს უკეთებს.)

**შოთა:** შენ ხარ მიჯნური, ხარ დანიშნული  
მე შენი სახე გულს მისვენია;  
ვფიცავ ზენაარს არ დაგივიწყო.  
ოცნების საზრდო ერთი იქნები!

**ნინო:** შენ არ გატეხა კარგი გქირს  
ზენაარისა ფიცისა;  
ჩემი სთქვი, რა ექნა ბედქმნილმა,  
მზე მიმეფაროს მე ცისა!  
და მიკვირს ჩემი სიცოცხლე,  
ესრე დარჩენა მრთელისა!

**შოთა:** მშვიდობით ნინო! იყავ მშვიდობით!

**ნინო:** მშვიდობით შოთა!

**ხორო: ]** მშვიდობით ჩვენო შოთა,  
მისდიხარ უცხო მხარეს;  
გისურვებთ გამარჯვებას,  
კეთილად დაბრუნებას!  
დელია რანიანა!  
არ დავიწყებო მოყვრისა  
აროდეს გვიზამს ზიანსა!...



(აცილებენ. მღერიან. დედა კვლავ ლოცავს. ნინო ტირილს იმაგრებს, მაგრამ, როდესაც შოთა მოფარდება, სახეს ჩამალავს და ქვითინებს. დობილები ანუგეშებენ.)

## ათინიდან დაბრუნების შემდეგ

### სურათი მეორე

და ამის შემდეგ განვლო რამდენიმე წელმა. შოთა უკვე დავაჯვაცებულია. „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობს. შუშაბანდიდან მოსჩანს ბალი.

**შოთა:** გული ბრძოლას მოუქანცავს,  
ბედი სასჯელს აგვარიდებს:  
სიცოცხლესაც მოგვიშხამავს,  
გვამხოვს კიდევ და გვამდიდრებს.  
ერთხელ გრძნობით აგვამღერებს,  
მოგვიწოდებს დრო ნეტარი;  
დაეშურე ამ საწუთროს,  
შესვი სიტკბო და ნექტარი!  
— რაცა ვის რა ბედმან მისცეს,  
დასჯერდეს და მას უბნობდეს;



კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა  
 უყვარდეს და გამოსცნობდეს;  
 ყოველს მისთვის ხელოვნობდეს,  
 მას აქებდეს, მას ამკობდეს;  
 მისგან კიდევ ნურა უნდა,  
 მისთვის ენა მუსიკობდეს;  
 მსწრაფლ გაირბენენ ნეტარნი დრონი  
 და მყუდროებას შესძრავს ქუხილი;  
 მგოსნის ნაზ სულსაც ბრძოლა მოჰქანცავს,  
 დევნა მოიღწობს, სევდა-წუხილი;  
 ბედნი თვის ბრჭყალებს არ დაგვარიდებს,  
 იგი თუ გვამხობს, იგივე გვადიდებს!  
 ტკბილად მოვმართე ებანი,  
 შევუწყე ჩემი ვნებანი,  
 ჩემმა სიმღერამ ბედითმა  
 ვერ მომცა სულის შევებანი!  
 ვინ იცის რა სთქვან შემდგომად  
 ვინ დაიმონა ნებანი!?

— აწ ჩემი სცანით ყოველგან  
 მას ვაქებ, ვინცა მიქია;  
 იგია ჩემი სიცოცხლე,  
 უწყალო, ვითა ჯიქია!  
 ცხოვრება დაუნდობელი  
 წამია კაცთა თვალისა;  
 სამარადისო შენ მომეც,  
 ამგზნებო, ციურ აღისა;  
 მიყვარხარ და ვერ გაიგებ,  
 წმინდაა გრძნობა, ცხოველი;  
 შევინება მხოლოდ შენშია,  
 მომაკვდავთ მიუწვდომელი;

(„ვეფხისტყაოსნით“ გატაცებულია. ჰხედავს თავის გმირებს. თითქოს უახლოვდებიან და აგვირგვინებენ.)

**ღანღები:** დიდება მალაღს ზეშთამგონებელს!  
 დიდება სულის განმანათლებელს!  
 დიდება უკვდავს და მარადიულს!  
 შოთას დიდება!  
 ნებით ძლიერით,  
 ხმით მშვენიერით  
 იმედს აუგზნებს გულით დაცემულს!  
 შოთას დიდება!



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა



- შოთა:** ჩემი გმირები, ჩემი ოცნება  
ნესტან-ტარიელ! ესოდენ ცხადათ!  
(„ვეფხისტყაოსნის“ გმირების წინ გამოჩნდება ვინმე  
ასული დათალებული. იჩოქებს. ხელიდან ნიშნობის ბეჭედს  
იძრობს და შოთას გადმოუგდებს. ჩვენება ~~პქრება~~)
- შოთა:** ვიცან, აჩრდილი იცრემლებოდა;  
მისტვის მე გული აღემნთებოდა.  
ის გრძნობას მიმხელს და არ მივიწყებს,  
თითქოს იღუმაღს შურსაც იძიებს!  
(შემოდის რუსუდან—ცოლი რუსთაველის, ტანადი და  
წარმტაცი მშვენიერების. ხმა, მოძრაობა, ღიმილი, თვალთა  
ელვარება—ვნების ამშლელი.)
- რუსუდან:** შენ ეტრფი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“,  
მე კი რა ტანჯვით გელოდებოდი:  
აბა, მიმხირე, შენი მეუღლე  
გარე მოაფენს სიტურფის სხივებს!  
შენი მოპყრობა ასე უგულო  
გრძნობას ჩამიქრობს და გამიციებს;
- შოთა:** რუსუდან ჩემო!
- რუსუდან:** მე შემოგვედრებ მხურვალე აღერსს!
- შოთა:** მეუღლე ჩემო!
- რუსუდან:** მეუღლე? ხა, ხა!
- შოთა:** შენი სიცილი?
- რუსუდან:** მწყურიან სიტკბო ჯერ არ ნახული!  
ჰხედავ, ცეცხლს ვაფრქვევ...  
და თვალნი ვნებით აღგენტებიან;  
შენის წყურვილით იბნიდებიან...  
შენ კი?..  
ახ შოთა!—  
მე მოგითხრობ უცხო ზღაპარს,  
დაგაძინებ ტკბილის ნანით;  
დაგავიწყებ, თუ გაქვს სევდა,  
და სულს გავბან ციურ ნამით!  
სიხარულის სხივს დაგაფრქვევ,  
დაგატკბობს და მიგაყუჩებს;  
სიამეში გაეხვევი,  
დაგიკოცნი გრძნობით ტუჩებს!
- შოთა:** ზღაპარი ხარ იღუმალი,  
ვნებით სავსე დედოფალი;  
დამპირდები მომატყუებ,  
ისევ მოხვალ ეშხით მთვრალი!





- სიკეკლუცე მომწონს შენი  
და მაგიტომ შეგიყვარე;  
მიწიერი შენში ღელავს,  
ზეციური უკუ ჰყარე!
- რუსუდან:** ღღეს უცნაურს მიმღერ ჰანგებს,  
კიდევ მალხენ და მალონებ;  
ჩათხრობილი შენი სიტყვა  
თითქოს ცოდვებს მომაგონებს...  
და არ კი ვიცი...  
ჩემი ალერსი მკვდარს გააღვიძებს...  
**შოთა:** (რუსუდანს თითქოს იცილებდეს)  
ნუ გამიწყობი...
- რუსუდან:** რაზედ?  
**შოთა:** მივდივარ!  
მიწვეული ვარ შეფის ნადიმზე...
- რუსუდან:** შენ თამარს ეტრფი, მიტომ ისწრაფი...  
მე მარტო მტოვებ?  
ახ! გულო ჩემო!
- შოთა:** მე ვეტრფი მაღალს მშვენიერებას,  
რაც არ მოგიძღვნის სამაგიეროს:  
საკუთარს გულში ცეცხლად ენთება,  
რომ ჩაუმტრალმა გაბედნიეროს!  
მე ვეტრფი მაღალს, რომელს ვერ ჰხედავს  
გრძნობა და ჟინი ყოველდღიური;  
ვეტრფი რაც ცოცხლობს სამარადისოდ,  
იგია სუნთქვა ჩემი მზიური.  
(რუსუდანი ღელვას იკავებს)
- რუსუდან:** აქ უნდა დარჩე! მე მსურს...  
**შოთა:** რა ექვი გიპყრობს?  
**რუსუდან:** „იგია სუნთქვა შენი მზიური“...  
და ეგე წიგნიც შენ იმას უძღვენ!...  
დავხევე!  
(„ვეფხისტყაოსანს“ მივარდება და ისერის)  
შენს ჩანგს აელერებ მის სადიდებლად...  
შენი ცოლი კი?...  
ელერსები თინათინს, ნესტანს...  
ჩემთვის კი ღესავ შხამიან ნესტარს!  
(შემოდის მსახური აბდულ არაბი)
- აბდულ არაბი:** კიდევ მთხრობელი!  
(შემოდის მთხრობელი)



**მთხრობელი:** შემოკრბა ყველა დარბაისელი  
და თამარ მეფე შენ ერთს მოგელის!

**რუსუდან:** (თავისთვის)

რატომაც არა!

ო, გულო ჩემო, დამცირებულო!..

**შოთა:** მოხსენდეს შოვალ!

რუსუდან ჩემო! შენ ვერ გაიგებ...

ტყუილად ჰგონებ...

მიწვეული ვარ, რომ მომისმინონ...

„ვეფხის ტყაოსანს“ დაუგდონ ყური...

(შოთა ვეფხის ტყაოსანს აიღებს და გადის. მთხრობელი უკან მისდევს. აბდულ არაბი სდგას გარინდებული).

**რუსუდან:** რატომ შენს ბატონს უკან არ გაჰყე?

ნუ თუ თამარი შენ კი არ გიწვევს?

ხა! ხა! ხა!

(აბდულ არაბი წასვლას აპირებს)

შესდექ!

მომიახლოვდი!

დაემხე ჩემ წინ!

იმ დღეს რა გითქვამს?

**აბდულ:** მე, ქალბატონო?

**რუსუდან:** შენ! მონავ! ვითომც მახინჯი ვიყო...

ჩემი სიტუროფე არვის ხიბლავდეს...

ქალური ვნება დამშრალი მქონდეს...

**აბდულ:** ვფიცავ, არ მითქვამს...

**რუსუდან:** მაშ, აბა, რა სთქვი!

**აბდულ:** მე? არაფერი! ვფიცავ ზენაარს...

**რუსუდან:** ცუდი არ გითქვამს? მაშ კარგი რა სთქვი?

**აბდულ:** სულ არაფერი!

ვფიცავ, ზენაარს! ცილს მწამებს ვილაც...

**რუსუდან:** არც კარგი გითქვამს არც ცუდი, მონავ?

მაშ არც იტყოდი, შემთხვევა გქონდეს?

**აბდულ:** ბევრს! ბევრს, ბატონო!

ვიტყოდი, ჩემი ქალბატონი ნათელი მზეა...

ვიტყოდი, ცოლი... მე რომ...

აბა, რა ვიცი, რას ვიტყოდი?... სად შემიძლიან?

მე... მე... მიბრძანე... მოგემსახურო!

**რუსუდან:** მომიახლოვდი!

შენს შუბლს თუჯის ფერს თვალყურს ვადევნებ!

შენს თვლებს მუდამ ვაკვირდებოდი,

უცბად მნახავდი; უცბად კრთებოდი!



ქართული  
საქმიანობა



ვგრძნობდი, შენს ბატონს ვერ მიბედავდი,  
მაგრამ ტრფობისთვის მუდამ ღელავდი!...  
მართალი არის?

**აბდულ:**

(რყევაშია)

გთხოვ მაპატიო! და ნუ შემრისხავ!  
ჩემს უნებურად თუ გამომქლავდა.  
გულში დაფარულს ტანჯვა-სიხარულს  
ისევ ფარულად ვმარხავ სიყვარულს!  
მონა ვარ თქვენი მე უსახური,  
მუდამ ერთგული შავი მსახური!

**რუსუდან:** მაშ მე გიყვარვარ?

**აბდულ:** გთხოვ მაპატიო! თქვენთვის არ მითქვამს,  
და ნურც ჩამითვლი დანაშაულად!

**რუსუდან:** მეც რომ მიყვარდე?

**აბდულ:** ახ! ქალბატონო!

**რუსუდან:** იყავ დღეს მონა ჩემი სურვილის,  
მონა ერთგული უშრეტ წყურვილის!  
შენ მძლე ხარ მკლავით!  
შეგიტკობ მაღვით!  
მინახულებდე მარტო მყოფს ღამით!  
გადასწი ფარდას!..

(აბდულ სარეცელის ფარდას გადაწვეს. რუსუდან კიბეზე  
შეჩერდება. აბდულს უმხერს. ანიშნებს. თავდავიწყება).

დაე სტკბებოდეს იქ ჩემი ქმარი!  
აქ ვიყო შენთან მე ეშხით მთვრალი!  
(შეშოდის ნინო.)

**ნინო:**

მეგონა თუ ჩემი იყავ,  
შენ გიცადე, მოგელოდე;  
მოხველ, მაგრამ ჩემთვის უცხო,  
მოთქმით უნდა თავს ვიგლოვდე!  
ეს ბეჭედი მსურს გადმოგცე,  
მე აღარ ვარ დანიშნული;  
სანუგეშოდ ცრემლი დამრჩეს  
სევდით გული გაისრული!  
(თვალს შეასწრობს რუსუდანს და არაბს)  
ამას რას ვხედავ?  
შოთას ღალატობს?  
აი, სასჯელი! შურის ძიება!  
ბედმა მიუზღო სამაგიერო!  
ვინ ეტყვის შოთას? თვალს ვინ აუბელს?





საზიზღარ ამბავს მას ვინ გაუმხელს?  
მე უნდა შევძლო... ჩამოვხევ ნილაბს!  
(გადის)

**რუსუდან აბდულ:**

ო. ტრუიალების მყუდრო სავანევ!  
ო, სიყვარულის ტკბილო ნექტარო!  
ერთად სიკვდილი, ერთად სიცოცხლე!  
ერთად განვლიოთ დრო საანეტარო!



## შოთას დიდება

### სურათი მხსამე

(დიდუბე. ხალხის მოძრაობა, ბურთაობა. ჯირითი. გაივლის  
ჯარი სიმღერით: „თამარ მეფე და ხონთქარი“... საზე-  
მო სუფრას შლიან. შუაში ტახტი).

**კარის-ძაცვი:** დღეს დიდებით ვაგვირგვინებთ

სიამაყეს და ჩვენს მგოსანს;  
გადაუხდით დღესასწაულს  
ვინ სიამით მარად გვმოსავს!

**ხორო:**

აქ ყოველ მხრიდან მოსულან  
შვილნი ერისა რჩეულნი;  
განთქმულნი გმირნი ბრძოლაში,  
ხმალში ვერვისგან ძლეულნი;  
აქვე არიან სარდალნი  
მუდამ ზარხდომას ჩვეულნი.

**კარის-კაცი:** უანბე იმ დღეს რაც მოხდა,  
სანამ აქ მობრძანდებიან:

**მეფანდურე:** იმ დღეს შოთამ წაგვიკითხა  
თვისი „ვეფხის ტყაოსანი“;  
არც გვინახავს, არც ვესმენია,  
არც გვყოლია სხვა მგოსანი!  
ვის ვეძახდით სახელოვანს,  
დღეს შოთასთან აღარ მოსჩანს;  
ყველას ჩრდილი მოეფინა,  
მას ბუნება მალლით ჰმოსავს.  
ჩვენს ხალხს გულში ჩასწვდომია,  
ენა-ტკბილად მოუბარობს;  
ხელთუქმნელი დიდი განძით  
ღამაყობთ და სულიც ჰხარობს!  
ბრძანა თამარ დედოფალმა:  
„ზეიმს გიხდით სასახელოს!“



**გიუნდი:** შიტომ არის, მოუყარა  
თავი სრულად საქართველოს!  
დიდება შოთას, დიდება!

(საყვირის ხმა. თამარ ტრახტეევანით. მოსდევინ. დავით  
სოსლანი, უცხო ელჩები, შოთა და სხვა. ცერემონია).

**ხორო:** სხივით მაღალო მნათობო,  
შენ ოქროს მზეო ზენაო;  
სიტყვა მკვერო და ძლიერო,  
დამწველო, ლამაზ ენაო!



ერისთავთა  
შინა

**შეორე ხორო:** მზე მოგვეახლა, უკუნი  
ჩვენთვის აღარა ბნელია;  
ბოროტსა სძლია კეთილმა,  
არსება მისი გრძელია!

**თამარ:** კიდით-კიდემდე ჩამოვარდა ერის სიმშიდე.  
დღეს ხალხს სწყურია საზრდო სულია, გონიერების;  
პატივსაცემად გავუმართე შოთას ზემი! (შოთას)  
შენი ლექსები ოდეს ხალხშიც დაიმღერების,  
იმ დროს დიდებით ამაღლდება ერი ქართველი!  
ჯილდოთ მოგიძღვნი დაფნის გვირგვინს და  
ოქროს კალამს;

სულის მეფე ხარ და მომცემი უსაზღვრო შვეების!  
ვაქებთ შენს სახელს! იყავ სიბრძნის მარად მართველი!  
(შოთას დაუნის გვირგვინს ადგავენ. საპატიოდ ჰმოსა-  
ვენ. დავით ხმალს შემოარტყავს).

**ქალების ხორო:** ვაქებდეთ მგოსანს!  
სიამით გვმოსაგეს!  
მის ჩანგს დიდება!  
სული ბრწყინდება!  
მარად ინთება!  
შოთას დიდება!

**ორივე ხორო:** რა გვესმოდის მღერა შენი  
სმენად ყველა მოვიდიან;  
სანეტარო ციურს ჰანგებს  
ისმენდიან, გაჰკვირდიან!  
შენი ტკბილი ნაუბარით  
თვალსა ცრემლი აღარ სდიან;  
ვაშა! ვაშა მაღალ მგოსანს!  
მადლი შენდა მოგვიხდია!

**თამარ:** გთხოვთ დაბრძანდეთ! გმართებთ შვება,  
სიამე და აღტაცება!



- ხორთ:** — სმა-ჭამა დიდად შესარგი,  
 დება რა სავარგულია;  
 მეფეთა დიდი სიუხვე  
 ედემში ალვად რგულია!  
 უხვსა მორჩილობს ყოველი  
 იგიც, ვინ ორგულია!  
 რასაცა გასცემ შენია,  
 რაც არა—დაკარგულია!
- დავით:** ვილებ ფიალას და მოგილოცავთ,  
 პირველ მგოსნისას ვსვამ სადღეგრძელოს;  
 შემდეგ ადგილის, სად აღიზარდა,  
 დიდება ხალხსა და საქართველოს!
- ხორთ:** დიდება და ჩვენს ხალხს დიდება!  
 — თამარს ვაქებდეთ, ვაქებდეთ!  
 იგია მალლით რჩეული;  
 ვინცა ისმინოს, დაესვას  
 ლახვარი გულსა რხეული;  
 აქვს საქონელი ურიცხვი,  
 არვისგან ანაწონები;  
 მისცა გლახაკთა სიმდიდრე,  
 ანთავისუფლა მონები!
- თამარ:** შენთვის ზეიმი გავმართე,  
 სტუმრებიც დამირჩევია;  
 შენ სდუნხარ, რუისთაველო,  
 სევდა რად დაგინჩნევია?  
 შენ ტარიელი არა ხარ,  
 ცრემლი მას დაუფრქვევია!  
 გაჭრილსა მიჯნურისათვის  
 ტანჯვა ვერ დაუძლევია!  
 — მიჯნურსა თვალად სიტურფე  
 მართებს მართ ვითა მზეობა;  
 სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე,  
 სიყრმე და მოცალეობა,  
 ენა, გონება, დათმობა,  
 მძლეთა მებრძოლთა მძლეობა;  
 ვისაც ეს სრულად არ ახლავს,  
 აკლია მიჯნურთ ზნეობა!
- შოთა:** თითქოს ჩემს გულში ჰკითხულობ:  
 მჭირს საქმე სავაგლახია;  
 შენი მზერა და სიახლე  
 ლხინადვე დამისახია.





გამქარვებელი სევდისა  
 მართ, ვითა მუფარახია;  
 ვეჭვობ, სცნა შენცა ამართლო,  
 ჩემი სულთქმა და ახია! —  
 ბოლოს დაერწმუნდი, სიცოცხლე  
 მიუნდობელი, მწარია;  
 სასურველს მიზანს ვერ მისწვდე,  
 ბუნებაც მრავალგვარია!



თამარ:

— რაცა ვის რა ბედმან მისცეს  
 დასჯერდეს და მას უბნობდეს;  
 ერთი უჩნდეს სამაჯნუროდ,  
 მხოლოდ მისთვის მუსიკობდეს! —  
 მისი სახელი თინათინ,  
 მართ ოდენ მარტო ასული;  
 სოფლისა მნათი მნათობი,  
 მზისაცა დასთა დასული.  
 მან მისთა მჭვრეტთა წაულის  
 გული გონება და სული;  
 ბრძენი ჰხამს მისად საქებრად  
 და ენა ბევრად ასული!  
 თუმცა ქალია ხელმწიფედ,  
 მართ ღვთისა დანაბადია;  
 ლეკვი ლომისა სწორია,  
 ძუ იყოს, თუნდა ხვადია!  
 ვარდთა და ნეხეთა ვინადგან  
 მზე სწორად მოეფინების;  
 დიდთა და წვრილთა წყალობა  
 ნურცა ჩვენ მოგვწყინების! —

შოთა:

თანამედროვეს სიამეს ჰგერის ჩემი ხსენება,  
 რადგან შევიტკბე და ვიმღერე შენი მშვენება!  
 ჩემში ერს უყვარს შენი სახე, თამარ დიელო,  
 თამარ სპეტაკო და ნარნარო ივერიელო!  
 ჩემის დიდების საუნჯეო, სოფლად ძლიერო!  
 — ჩემი აწ სცანით ყოველგან,  
 მას ვაქებ, ვინცა მიქია;  
 ეს მიჩანს დიდად სახელად,  
 ჩემი სიცოცხლაც იგია!  
 მელნად ვიხმარე გიშრას ტბა  
 და კალმად მინა რხეული;  
 შვენების სარკედ გარდვიქეც,  
 იმავ შვენებით ძლეული!



**ხორც:** ზაფხულის პირო, წმანდა ნებით მარად ციერო!  
 შენ! თამარ! თამარ! საუნჯეო, სოფლად მზიერო!  
 რა გვესმოდის ტკბილი მღერა,  
 სმენად შენთან მოვიდიან;  
 სანეტარო ციურ ჰანგებს  
 ისმენდიან, გაჰკვირდიან!  
 შენი ტკბილი ნაუბარით  
 თვალსა ცრემლნი აღარ სდიან;  
 ვაშა! ვაშა სულით მნათობს,  
 მადლი შენდა მოგვიხდია!

(ბალეტის)

(ცეკვის დროს შემოდის ნინო, ვაჟურად გადაცმული-  
 შოთას ყურში).

**ყმაწვილი:** მგოსანო! სტკბები დიდებით,  
 შენს სახელს შეეფერება;  
 სახლში კი ცოლი გლაღატობს,  
 ირღვევა ბედნიერება!

**შოთა:** რას ამბობ, ყმაწვილო!?  
 ჩემს სახლში ლაღატს რა უნდა?

**ყმაწვილი:** მომყე, გიჩვენებ, გაიგებ...  
 (გაჰყავს).

## ჰნეგის ტალღეზი

### სუკათი მართხა

**რუსუდან:** დღეს წადილი აგვისრულდა!..

**აბდულ:** ჩვენს სიყვარულს მალეა უნდა...

**რუსუდან:** მაგრამ უფრო სიტკბოს შეგვძენს,  
 თუ იმატა სულის ღელვამ;  
 დავეწათო მაგ შავს ბაგეს  
 და ამანთოს თვალის ელვამ!

**აბდულ:** მზეო, დამწვა შენმა ეშხმა  
 და აღერსი ცნობას მპარავს;  
 მე შენს მონას გამიმზადებს  
 საღალღობოდ მორთულ კარავს!

**რუსუდან:** ველარ დავემობ მაგ ბნელს თვალებს,  
 შენ წარიღე გრძნობა სრულად!

**აბდულ:** ჩვენი გაყრა მოინდომოს,  
 მტერი დაგრჩეს გაბასრულად!

**რუსუდან:** უშრეტი ვნებით,  
 ცეცხლის გზებით





ამინთე გრძნობა!  
 თავდავიწყებით,  
 გატაცებით  
 ვიგემე ტრფობა!  
 ქსელში გავები  
 და თვალები  
 თინით ელვარებს;  
 შენთან დავები  
 მძლე მკლავებით  
 გული ნეტარებს!  
 შენი სიცოცხლე მეყოფის  
 იმედათ სიყვარულისა;  
 ვბოვე წამალი გულისა  
 აქამდე დაკარგულისა!  
 მოვკრიფე ტკბილი ნაყოფი  
 ედემში აღვა რგულისა;  
 გადამავიწყე ნალველი  
 დროება გარდასულისა!

აბღულ:

ობოლი ვიყავ არაბეთს,  
 სოვდაგარს მოვემსახურე;  
 პატარა ჩამსვა ხომალდში  
 ცრემლი თვალთაგან ვასხურე!  
 შემოიარა ქვეყნები,  
 მრავალჯერ ტვართი ამკიდა;  
 კოლხეთის ნაპირს მოადგა  
 და ერთს ვაქარზე გამყიდა!  
 აქ გავიზარდე ვაჟკაცი,  
 აქ ვარ მრავალის მნახველი;  
 თქენ რო მიყიდეთ, იმ დღიდან  
 აღარ მტანჯავდა ნალველი!  
 შენი შევნება ვიხილე,  
 მონა რას გაგიბედავდა?  
 მაგრამ ეს გული სურვილით  
 და სიყვარულით ლელავდა.  
 მიყვარხარ, ვფიცავ ზენაარსს,  
 მონა ვარ უერთგულესი;  
 მიბრძანე, როცა მოგძულდე,  
 ან დანა დამქარ ულესი!

(ყმაწვილს შემოჰყავს შოთა და აცქერინებს)

ყმაწვილი: მგოსანო! დასტკბი! ხომ ჰხედავ?  
 შენს სახელს შეეფერება!





ეგ არის შენი გვირგვინი,  
ოჯახის ბედნიერება!  
ცოლმა გაგცვალა მსახურში,  
მეტი-ლა გამოშტერება?  
ხა! ხა! ხა!

ესეც ხომ არის საზეო  
მომცემი აღმაფრენათა:  
ძნელად სათქმელი, საჭირო,  
გამოსაგები ენათა!  
პირველს მიჯნურს შენ უმტყუნე  
და შაირთე ბილწი, მრუში;  
ამჯობინე მისი ხვევნა

შოთა:

და უგულო ტლაშა-ტლუში!  
ო გრძნეულო! რა მიჩვენე?  
გაღაუხსენ პირი წყლულსა;  
აფსა კაცსა ავი სიტყვა  
ურჩევნია სულსა, გულსა!  
რალაა ჩემი სიცოცხლე,  
თუ კი თან ახლავს ბნელია?

ყმაწვილი: მე ბრალი სულ არ მიმიძღვის,  
ცოლი აუგის მქნელია!

შოთა: რომ არ მცოდნოდა ამბავი  
გულსაც ვერ მომიწამლავდი:

ყმაწვილი: მეც უნებურად ვიხილე  
და ველარ დაგიმალავდი!

შოთა: მოგიღებ ბოლოს მთხრობელო!  
შე ავის მახარობელო!  
რისთვის მომწამლე?

ყმაწვილი: ნუ თუ არ გსურდა შენ თვით გენახა  
ესრეთ ოჯახის ბედნიერება?

შოთა: რად მჭირდებოდა შენი მხილება!

(ხანჯალს იძრობს. ყმაწვილი შეჰკიელებს. უკან დაიხვეს.  
ამ ბრძოლაში ქუდი მოვარდება, თმა ჩამოეშლება. შოთა  
სახტატ რჩება).

ვინ ხარ? ვის ეხედავ?  
ნუ თუ შენ – ნ.ნო?

(შოთას ხანჯალი გავარდება).

ნინო: გახსოვს გარდმომეც ბეკედი ქალწულს?  
რად არ იხსენებ იმ ნეტარ წარსულს?  
თითქოს ერთმანეთს შევეფიცეო კიდეც,  
მოწმეს უხილავს, განგებას მტკიცედ!





რომ დაბრკოლება ჩვენ ვეღარ გვძლევდა,  
გაყრას სიკვდილიც ვერ შეიძლებდა!  
ათინას წახველ, გასცილდი საზღვარს,  
რომ დამიბრუნდი, გულში მცემ ხანჯალს?  
აი, მე თვითონ!



(ხანჯალს სტაცებს და გულში ჩაიცივებს)  
— მე სიკვდილი აღარ მიმძიმს,

სიკვდილიც ვერ შეიძლებდა!

შემოგვედრებ რადგან სულსა;

მაგრამ შენი სიყვარული

ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა!

მოგშორდები სამუდამოდ,

მიწა შესუ მს მძიმე წყლულსა;

ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ.

ჩემო, შენთვის განწირულსა!

შოთა:

სულზედ უტკბესო! ო, რა ვილონო,

რომ გამოგტაცო სიკვდილის ფხალებს?

რისთვის დამსაჯე ესდენ სასტიკად?

რაღა აღმადგენს? რა გამახარებს?

აღარ ძგერს გული, მე რო ვუყვარდი,

უმწეოდ დავსცქერ მის ღია თვალებს!

თუნდაც ვიცოცხლო უნდა ესეა 'ზხამი!

გლან სინანულის დამიდგა ჟამი!

(შემოდის დარბაისელი).

დარბაისელი:

ეუცნაურად შენი წამოსვლა!

გთხოვენ...

შოთა:

ამუნელ! ძმა ხარ ჩემი მეუღლის...

აღარ არსებობს ჩემთვის ღბინი... ჩემთვის დიდება!

სულიც დამძიმდა...

ამუნელ:

ამას რას ვხედავ?... სისხლი?..

შოთა:

იქ რაღას ჰხედავ?

ო, უმიზეზოდ დაისაჯა ავი მთხრობელი!

ამუნელ:

ხალხო! გეაშველეთ!

შოთა:

ვის ძალუძს შევლა!? ო, აღარავის!

იქნებ თვით მე ვარ დამნაშავე!? ვარ!.. ვარ!..

ცხოვრების გზაზე მე ბრმა ვიქენ და შეცდომილი.

რათ დაისაჯა ყრმობის ერთგული?

და სიყვარულის ფიცით შეკრული?

(გადის. შემორბის სასახლის ამალა. რუსუდანი სდგას გაფითრებული. გვამი გააქვთ.)

ამუნელ:

რუსუდანი რა ჰქენ?

ო რატომ რისხვა არ დაგვატყდება

და შენთან ერთად მეც მტვრად არ მაქცევს?

ნუთუ შენ მართლა დაამდაბლე ჩვენი სახელი?

რუსუდანი:

მეც მოწიპინე!

ამუნელ:

მრუშო დიაცო!

მე თუნდ შეგინდო. არ შეგინდობს შთამომავლობა!

რუსუდანი:

დანაშაული არ მიმიძღვის!

ამუნელ:

როსკიპო ქალო!

შენ დაამდაბლე ჩვენი სახელი

გვარი და ჯიში! ო, სულმდაბალო!



კარის-კაცი: (შემორბის. არაბს)

სასჯელს გადაჩი!

მაგრამ... რიჟრაჟი არ უნდა იყოს,  
უნდა განშობოდე ამ ქვეყნის საზღვარს!

რუსუდან: მეც მომისმინეთ!

ამუნელ: აჰათ ხანჯალი, ვული გამიპეთ!  
ო ჩემი გვარი შერცხვა საქვეყნოდ!

რუსუდან: მეც მქონდა გრძნობა!

სიყვარულით მეც ვინთებოდი!

ის ჩემს მუდარას... აღერსს ვნებიანს...

რად გაურბოდა!?

ის შექმნილ ლანდებს რად ევლებოდა!

სურვილს იკლავდა ვისდაში გრძნობით?—

თამარისადმი მიძღვნილი გრძნობით!

მას უყვარს იგი! მე ეს ვიცოდი!

ხოლო ჩემდაში ცივი იყო... ცივი... უგულო!

თუ მას სხვისადმი ტრფიალება ეპატიება...

მე, მისმა ცოლმა, არ ვაპატიე...

თავი იმართლოს თქვენს წინაშე... და ჩემს წინაშე...

შური ვიძიე...

ვის შეუძლიან გამასამართლოს!

იდუმალ გრძნობებს შეახოს ხელი...

მეც მაქვს უფლება ისეთივე...

ამუნელ: (ხანჯალ მოღერებულის)

მოკვდი, რად სცოცხლობ!

შოთა: (უცბად შემოდის)

შეჩერდი!

ჩემის მიზეზით კმარა ის სისხლიც!

კმარა რაც მოხდა!

ძველად ელადის განთქმულს რაინდს აგვირგვინებდნენ.

ამ დროს აცნობეს ცოლის ღალატი!

მოჰკლა მთხრობელი.

რაინდს, მოესპო სულის სიმშვიდე...

დადის თან დააქვს გული მწუხარე!

დადის სიცოცხლე გამწარებული.

იციო, ვინ იყო ამბის მთხრობელი?

იციო, ვინ ადრე დაესამარა?—

რაინდის სატრფო, ყრმობის ერთგული,

და სიყვარულის ფიციო შეკრული!

რაინდმა იგრძნო დანაშაული.

გადაიკარგა გულით მწუხარე;

ის დღესაც დადის მიუსათვარი.

დადის სიცოცხლე გამწარებული.

თუ მეც საწუთრომ დამამხო, ყოველთა დამამხოებელმან,

ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტეროს მშობელმან.

ჩემი ამბავიც დასრულდეს, ვითა სიზმარი ღამისა!

უკვალოდ გადავიკარგო სტუმარი ერთის წამისა.

გარდამხდეს გარდასავალი, ნახეთ სიმუხთლე ჭამისა!



ეროვნული  
ბიბლიოთეკა





## ლოდინი

(ნაპოვნ დღიურადან)

შეტვი, 5 აგვისტო 1906 წ.

ერთი კვირა გავიდა, რაც აქ ვიმყოფები. კიდევ რამდენი კვირა გაივლის? თუმცა არც ისე ცუდი პირობებია, როგორც მეგონა. უკვე გავიცანი ორი-ოდე ამხანაგი. სწინს ყველაზე უფრო ნესტორს დავუხლოვდები. მოწინავე მუშაა. ერთხელ კრებაზედაც შევხვედრებართ ერთმანეთს.

პირველ ღამეს კი სული შემეხუთა! თითქო ბაწარი წამიჭირეს ყელში და გულზე მძიმე რამ ლოდი დამადევს! როცა საკანში შემიყვანეს და კარები გაიხურეს, ერთხანად დაბნეული და გაბრუნებული გავცქერდი ნარებზე კედლის პირად მიყოლებულ ბალიშებსა და საბნებში გახვეულ ტუსალების სხეულებს. ზოგს საბანი გადახდოდა და მკლავები და მუხლები მოტეხილ ტოტებივით აქეთ-იქით გადაშლოდა.

დახუთული ჰაერი. ოფლის სუნი და ხვრინვა. თითქო ჩემს გულსაც ხერხით მიადგა ვინმე და ჰვატრავდა დაუნდობლად.

გარშემო კი დუმილი, როგორც ტრიალ მინდორში.

კედელზე ჩამოკიდებული გაქვარტლული ღამპარი, მკრთალად აბნევდა შუქს მიძინებულ ტუსაღთა სახეებზე.

ლანდივით გადაედგი ფეხი. ტახტის პირად ჩამოვჯექი. სული ამოვითქვი და სხეულიც დავასვენე.

ერთმა ტუსაღმა თავი წამოყო. ლოგინში წამოჯდა, და დამაკვირდა.

შერე, როცა დარწმუნდა, რომ ეს სინამდვილე იყო და არა მოჩვენება, რომ მის წინ ახლად მოყვანილი ტუსაღი იჯდა, — ხმა-ამოუღებლად გადაბრუნდა მეორე გვერდზე, საბანი კისრამდის აიწია და კვლავ ძილს მიეცა.

მე კი მთელი ღამე არ დამძინებია.

ვაგონის ხრიალი და ქანაობა ჯერ კიდევ სხეულში იყო გაბნეული...

ირგვლივ სიჩუმე იყო. მხოლოდ კედლის გადაღმიდან ყრულ მოისმოდა მო-



ნოტონური სიარული ჩექმიანი ყარაულის. ერთ ადგილს ახმაურდებოდა და მერე მიწყდებოდა წყვილიდ ლამეში.

ალბად ჯდომით დავიდალე. თვალებმა გამალებით იწყეს ძებნა დასაწოლი ალაგის. მერე ერთ ალაგს შეაჩერდენ. კუთხეში, ტახტის პირად, ~~მატარა~~ ვიწრო ალაგზე ცალი გვერდით წამოვწეტი.

არ მეძინებოდა. მხოლოდ სხეულს უნდოდა მოსვენებუ ~~დაუფრენეს~~ მოგონებათა ფიქრებში ცურვა...

..... „რატომ იყო ასეთი მწუხრი ელოს თვალები? ორი შავი მალაროს ხვრელივით სიღრმეში წასული თვალი კუპრზე მიმდგარი სხივივით ბზინავდა. და ეს ორი შავი წერტილი წვეტიანი ლიურსმებივით იჭრებოდენ ჩემს კუნთებში. თრთოლას მაგრძნობინებდენ.

თავშიშველი იყო. ბუჩქად დახვეული შავი თმა ყურებს მალავდა და ყურის ძირში შავი ხალი შავ წერტილად გამოიციქრებოდა.

დიდხანს ვუცქერდით ერთმანეთს და ლაპარაკს კი ვერ ვახერხებდით. თითქო არ სჯეროდა ელოს, რომ ტუსალების ვაგონში ვიყავი სალდათებით გარშემორტყმული.

მეც ვერაფერს ვეუბნეოდი. ან კი რა უნდა შეთქვა! ჩემი გული დაქერილ ჩიტის გულივით ფეთქდა და მე ვგრძნობდი მის უროსავით დარტყმას.

ნეტა რას ფიქრობდა ელო? ჩემთვის მოსულიყო სადგურზე, ჩემთვის?... ანიკოსგან გაეგო რომ საღამოს მატარებლით უნდა წავეყვანეთ და ამიტომ მოსულიყო სადგურზე...

თითქო უნდოდა რამე ეთქვა ჩემთვის ელოს. თითქო ტუჩებსაც შლიდა და თეთრ კბილებს გამოაჩენდა, მაგრამ არაფერს კი არ ამბობდა. ალბად სალდათების გამო ვერ ბედავდა ეთქვა რამე.

ანიკომ კი საქმე გამიჭირა თავისი რჩევით და დარიგებით: „თავს გაუფრთხილდი. ნუ იჯავრებ. ნუ იღარდებ! ყოჩაღათ იყავი!.. მომავალი ჩვენიაო“. — თავი მომამბეზრა ლაპარაკით.

ელო კი სდუმდა. ყელზე მოხვეულ ლეჩაქის მსგავს მანდილს თითებით სკმუჭნიდა და ვაგონის ფანჯარას შემოსცქეროდა.

როცა მატარებელი დაიძრა, მხოლოდ მაშინ ამოძრავდა და ალაპარაკდა ელო... „კარგად იყავით! ნუ დაგვივიწყებთ. გინახულვებთ!.. მშვიდობით, მშვიდობით!“. და ცხვირსახოცის ქნევით გამოჰყვა მატარებელს...

ფიქრებში გართულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ მალე დაილია ზაფხულის მოკლე ლამე და ფანჯარაში თეთრი ზეწრით აფარებელმა სინათლემ ლამპრის შუქი ჩაჰყლაპა.

შმუშვნით, ლოგინზე წამოჯდომით, ლაპარაკით, ხმაურობით, — გაიღვიძეს ტუსალებმა.

ახლა „ნარზე“ მეც მაქვს ადგილი და ჩემს ლოგინზე წამოწოლილი კვლავ ფიქრებს ვაგძელებ.



— ამხანაგო, თუთუნი ხომ არ გაქვს?— ფიქრებს მაწყვეტინებს ახლად გაცნობილი ნესტორი. შე ვაწვდი თუთუნს.

— მალე სადილს ჩამოატარებენ, ამხანაგო, და შენი ჯამი მოამზადე!— მეუბნება.

მეც ვდგები და კედელზე მიკრულ ფიცრიდან ვიღებ თიხის ჯამს.

..... ჩემთვის მოსულიყო სადგურზე ელოდებოდა, ნესტორის ვინახულებო— დამპირდა. ალბად ამ კვირას ჩამოვა ჩემს სანახავად... უეჭველად მოვა და მნახავს... მალე მნახავს, მალე!..

12 აგვისტო.

— რადგან „პოსლესტენი“ ხარ, ამხანაგო, შენი ნახვის ნებას ჯერ კი არ მისცემენ შენ ხათესავეებს...— მეუბნება ნესტორი.

— იაჲ, როდის მისცემენ?— ვეკითხები.

— როცა გამომძიებელთან დაგიძახებენ, მას შემდეგ.

— მერე, როდის იქნება ეს?..

— ეს იმის ნებაა. შეიძლება ამ კვირაშიაც... ან მერე... არავინა გყავს გავლენიანი, რომ გამომძიებელთან მივიდეს?..

— მერე?

— მერე და ის დააჩქარებინებს.

როცა ნესტორი ლაპარაკობს, მის სიტყვებში რაღაც მტკიცე და ურყევი რწმენაა. ამასთან ისე ვგრძნობ თავს, როგორც ბავში მამასთან. დინჯია, აუჩქარებელი და ტუსაღებშიაც დიდი გავლენა აქვს. მასში რაღაც უხილავი ძალაა და ეს ძალა გიპყრობს და თან გამხნეებს. მზათა ხარ მიენდო მას დარწმუნებული, რომ არ გიღალატებს, გაგიტანს და შეგობრობას გაგიწევს.

არწივის თვალები აქვს მოგრძო ცხვირით, სახე კი— დამშვიდებული. ხოლო როცა პარტიულ საქმეებზე ლაპარაკობს, თვალები ენთება, ზევითა ტუჩი უთრთის და მოპირდაპირეს ირონიით სპობს. უფრო ხშირად მარტო დაიარება ჩაფიქრებული. ეხლაც კედლიდან კედლამდის ბოლთას არტყამს და საერთო თამაშობაში მონაწილეობას არ იღებს.

გამოსვლების დროს რაზმის უფროსი იყო. მრავალ თავდაცემას და ტერორისტულ აქტებს აბრალებენ. შერიგებულია იმ აზრს, რომ კატორღა არ ასცდება და დამშვიდებულია.

ხშირად იგონებს თავის პატარა ბავშვს, კუკურის. მოგონების დროს სახე ეღიმება, თვალები უბრწყინდება. მის ცელქობას და დაუდევრობას აღფრთოვანებით ასწერს და მხოლოდ მასზე ფიქრობს: „რა ეშველება ჩემს პატარა ბიჭიკოს, ჩემს პატარა კუკურის!“— სინანულით იტყვის. თვალებს გადაატრიალებს, თითქო უნდა მოგონება თავიდან მოიშოროსო.

საკნის ერთ კუთხეში ტუსაღები შეჯგუფულან. „ნარებზე“ ზეწარი დაუფენიათ, რკალივით გარს შემორტყმიან. წინა რიგი დამჯდარია, მეორე წამოჩოქილი და შემდეგი ფეხზე მდგარი, — ასე რომ რკალი კომკივით არის აყუდებული. კამათლებს აგორებენ. ფულზე თამაშობენ.



მათი სახეები გაწითლებულია, საკინძები გახსნილი აქვთ და შიშველ მკერდებზე ოჟული ჩამოსდით. კამათელს რო გააგორებენ, გაშლილ ხელის გულს მკერდზე ირტყამენ, რისგანაც მკერდი თონესავით გახურებულია. კამათელს რომ ზეწარზე აათამაშებენ იმუდარებიან, ჰყვირიან: „დუშაში კამათელო. გენაცვა, დუ-შაა-შიი!“ და როცა კამათელი დუშაშს არ მისცემს — ილანძლებიან ივინებიან.

ჩემს ლოგინზე ვარ წამოწოლილი. წიგნიც არა მაქვს <sup>საკითხავად...</sup>

...რა 'კარგი სალამო იყო! მე ვიცოდი, რომ ელო ბალში იქნებოდა თავის დეიდასთან ერთად!

— სალამო მშვიდობისა!

— სალამო მშვიდობისა! გაიცანით ჩემი დეიდა.

— თქვენ პირველათ ხართ აქ სააგარაკოთ? — მეკითხება ელოს დეიდა.

— დიად, ქალბატონო!

— ჩვენ შარშანაც და შარშანწინაც აქ ვიყავით. ძალიან კარგი სოფელია.

— სწორედ გითხრათ, მშვენიერია. — ვუპასუხებ.

მას ეგონა, რომ მე სააგარაკოდ ვიყავ მისული, ის კი არ იცოდა, რომ იქ თავს ვიფარავდი. მაგრამ აქი იქაც მომაგნეს!

ელოს დეიდა თავდახურულია, ქართველი დარბაისელი ქალია. ასეულ მოსეირნეთა შორის თვალი პირველად მას შეამჩნევს. გაბადრული თეთრი სახე, შავი წარბებით, ჩიხტით და ლეჩაქით დამშვენებული, დასეირნობს ნელი, დინჯი ნაბიჯით, ელოს მკლავში აქვს ხელი გაყრილი და წელში ცოტა მოღუნულია. (რადგან ელოს დეიდა დაბალი ქალია).

მალე ელოს დეიდა სეირნობით იღლება. ვაცილებთ სახლში. ხოლო ელოს კი არ უნდა სახლში დარჩენა. ისევ უკან ბრუნდება.

ყელში სიხარულის ბურთი მაწვება და ფეხს ისე მჩატედ ვადგამ, თითქოს დედამიწას არ ვაკარებდე... ოო!.. ელო, ელო ჩემს გვერდით იყო და აბა როგორ არ გაიხარებდა ჩემი გული!..

— ელო, თქვენი დეიდა ძალიან მკაცრია?

— არა რად იკითხეთ?

— ისე, ტყუილად.

უსერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ ძალიან გდევნიან, სერგო? არ გეშინიანთ ეგრე თავისუფლად რომ დაიარებით? — მეკითხება ელო.

— მერე რა? აქ ხომ არავინ მიცნობს?

— კი, მაგრამ... მაინც! კიდევ დიდ ხანს დარჩებით აქ?

— ამ ზაფხულს აქ გავატარებ, მერე კი — ტფილისში.



— ნეტავი თქვენ, ასე თავისუფლად რომ ცხოვრობთ იდებით გატაცებული! ძალიან საინტერესო უნდა იყოს თქვენი ცხოვრება. თქვენი ამხანაგები ტუილისში არიან?

— ზოგი სად, ზოგი სად.

— შერე, ერთად რომ მოიყრიტ თავს, რაზე დასჯილობთ? რაზე ლაპარაკობთ? მუშის გამარჯვებაზე არა?

— ჰო, მრავალ რამეზე, — და ვუამბობდი ჩვენი არალეგალური მუშაობის შესახებ. გატაცებით, აღფრთოვანებით ვლაპარაკობდი იმაზე, თუ როგორ გვდევნიან ჯაშუშები, როგორ მალულად ვმართავთ კრებებს, ვბეჭდავთ პროკლამაციებს და ვაწყობთ დემონსტრაციებს.

ბალში მოსეირნეთა ჯგუფი შემცირდა და ელოც სახლისკენ გაეშურა. კიბეზე რომ აღიოდა, ჩემი სხეული თრთოდა. თვალეში შევხედე, ორი შავი ვარსკვლავი ზევიდან გადმომცქერდა გაბრწყინებული, შერე თეთრი კბილები გაელვარდენ, ელომ ხელი ჩამომართვა და კარებში მიიშალა.

ოო! ალბად მალე მოვა ელო და მიჩახულებს, მალე!

იქნებ წარსულ კვირასაც იყო აქ, მაგრამ ჯერ ნება არ მისცა გამომძიებელმა ჩემი ნახვისა. ჯერ ხომ გამომძიებელს არ დაუძახებია?

ოოჰ! როდის ვნახავ ელოს, როდის!?

— ნესტორ!

— რა გინდა, ამხანაგო!

— მოდი თუთუნი მოვწიოთ.

— მოვწიოთ.

— შენ რამდენი ხნის შემდეგ დაგიბარა გამომძიებელმა, ნესტორ?

— აღარ მახსოვს. ასე, ორი თუ სამი კვირის შემდეგ. შენც მალე დაგიბარებს. რა გეჩქარება, სულ ერთი არ არის?

— ჰო, რასაკვირველია, სულ ერთია. ისე გკითხე.

— Разойдись по местам! — კარების სარკმელში შემოგვძახებს გაბარდნულ წვერებიანი ზედამხედველი.

კომკივით ამართული რკალი, კამათლებს რომ თამაშობდა, ნელნელა იშლება.

— ჰოი, შენი სისხლი კი დავლიე, შენი!.. როცა ეს ფედორიაა „დეურნი“, მოსვენება არ გვაქვს! — ბურტყუნებს ერთი ტუსალი.

...ამ კვირაში ალბად გამიძახებს გამომძიებელი და შემდეგ კვირას უეჭველად მნახავს ელო, უეჭველად!..

18 აგვისტო

დღეს გამომძიებელთან ვიყავი. საკვირველია, ასე დაწვრილებით საიდან იციან ყველაფერი! ჩამომითვალეს თუ რა კრებებს დავსწრებივარ, ვისთან მქონია შეხვედრა. შეიარაღებული გამოსვლის შესახებ ხომ ყველა მონაწილეების ვინაობა გარკვევით სცოდნია.



როგორ წავა ნეტა საქმე? ორ კითხვაზე პასუხი არ მიმიცია, რადგან პასუხის მიცემა ამხანაგის გაცემას მოასწავებდა.

რა იქნება? ვნახოთ!..

აი, ზეგ კვირეა და ელო მოვა სანახავად. გამომძიებელმა ხომ უკვე დაძკითხა! მაშასადამე ელოც მოვა. რა დაუშლის?

ზეგ, ზეგ მოვა ელო!

ამალამ რომ დავიძინებ, ხვალ ერთი დღე, მერე კიდევ ერთი ღამე და მეორე დღეს მოვა ელო.

„ბატონო ლიაძე“—სარკმელში შემომძახებს ზედამხედველი—„на свидание!“.

და დავეშვები კიბეზე. შვეალ სანახავ ოთახში და იქ, ბადეს ოქით, შევხედავ ელოს შავ თვალებს.

ეხლა კი წინ მიდევს გძელი ღამე.

სალამოს „პროვერკაზე“ უკვე ჩამოიარეს. ჩახუნით და ხრიალით შემოაღეს რკინის კარები ზედამხედველებმა და სალდათებმა. ფანჯრის რკინებს ჩაქუჩი ჩამოაყოლეს, გატეხილი ხომ არსად არისო, ნარებ ქვეშაც შეიხედეს, ქათმებივით დაგვთვალეს და გავიდნენ.

საკანში სიწყნარეა. კედელზე ჩამოკიდებული ღამპარი მკრთალად აბნევს მიმქრალ სხივებს. ტუსალები ზოგი ნარზეა წამოწოლილი, ზოგი ჩამომჯდარი და მუსაიფში გართული.

— ამხანაგებო—სიჩუმე დაარღვია ნესტორმა,—ჩვენს საკანს წარმომადგენელი არ ჰყავს კაი ხანია და საჭიროა ავირჩიოთ ვინმე.

— საჭიროა, საჭირო!—წამოიძახეს აქეთ იქიდან.

— მე ვასახელებ ახლად მოსულ ამხანაგ სერგოს. წინააღმდეგი ხომ არავინ არის?

— ვინ იქნება წინააღმდეგი! კარგია, კარგი!..—გაისმა არეული ხმები.

— მაშ, ამხანაგი სერგო იქნება საკნის წარმომადგენელი.

— გმადლობთ ამხანაგებო, მაგრამ მე არ ვიცი, რაში მდგომარეობს საკნის წარმომადგენლობა?..

— ეგ არაფერია, ამხანაგო! მაგას მერე გეტყვით—მეუბნება ნესტორი და მთხოვს დავთანხმდე.

ჯერ კიდევ არავეის ეძინება. მერე ერთი ტუსალთაგანი ნარიდან ძირს გადმოდის. იკუხება. ხელებს უკან ზურგზე იწყობს და იძახის: აბა, გამოცნობია ვითამაშოთ!

ტუსალები ნარებიდან ტომრებივით ძირს ცვივდებიან და მოკუხულ ამხანაგს გარს ეხვევიან. ერთი მათგანი მას თვალს უხუჭავს. სხვები—ზურგზე გაშლილ ხელის გულს მოქნეულ სილას არტყამენ. საჭიროა დამრტყმელის გამოცნობა და ქვეშ მდგომი თუ დამრტყმელს გამოიცნობს, მაშინ ის შეეცვლება მას.

რომელიმე დახელოვნებული დამრტყმელი განზე გადგება, მარჯვენა მკლავს უროსავით მაღლა ასწევს და ზურგზე დადებულ ხელის გულს ტლამუნით ჩასცხებს.



ლოგინზე ვარ წამოწოლილი და თამაშობაში მონაწილეობას არ ვიღებ.  
 .....ზეგ, ზეგ მოვა ელო!.. ზეგ ვნახავ ელოს... უეჭველად  
 მოვა ზეგ ელო, უეჭველად!..



— ნარდის თამაშში არ იცი, სერგო?—მეკითხება ნესტორი.  
 — როგორ არა, ვიცი!  
 — მოდი თუ გინდა ვითამაშოთ. ნამდვილი ძვლის კამათლები მაქვს. არ  
 გინდა?..

— არა ნესტორ რაღაც არ ვარ გუნებაზე. მერე...  
 იდაყვით ფანჯარაზე დაყრდნობილი, ქალაქს გავცქერო. შორს, ციხის კედ-  
 ლის იქით მოსჩანან სახლის სახურავები და შიგადაშიგ ამწვანებული ხის  
 ტოტები.

მზე ჩასავალშია და ამიტომ მისი ირიბად წამოსული სხივები, ეკლესიების  
 გუმბათებზე ამართულ ჯვრებს ეთამაშებიან. მოოქროვილი ჯვრები ბზინავენ,  
 ციმციმობენ. ცის კიდურზე კი ცხვრებივით გაფანტული ღრუბლები ნელა და-  
 სრიალობენ. ქალაქის მხრიდან ყრუ ხმა და გრუხუნის მოისმის.

.....როგორ იყო? ჰო! ერთი დღის ჩასული ვიყავი სოფელში,  
 ვიცოდი რომ ელოც იქ იყო სააგარაკოდ წასული.

ელო და ბიქტორი ერთად დასეირნობდნენ. ბიქტორი ულვა-  
 შებს იგრებდა ჩვეულებრივ და ჩვეულებრივ რაღაცას კვებულობდა,  
 სცრუობდა. ყალბი პატოსით ელოს ყურადღების მიქცევას ჰლამობდა.  
 ელოც გატაცებული იყო მისი ლაპარაკით და სმენად გადაქცეული  
 ყურს უვდებდა, აღფრთოვანებული.

ფეხის კუნთები ამიცახცახდა და სხეულში მწვავე სითხე გაი-  
 ფანტა. მოსხლეტილი გავექანე მათკენ.

- სალამო მშვიდობისათ, ქალბატონო ელო!
- გამარჯობათ ბატონო, სერგო! როდის ჩამობრძანებულხართ?
- ორი დღეა, სხვა, ბიქტორ, შენ როგორა ხარ?
- რა მიჭირს. შენ? — და გავაბით მუსაიფი.

ბიქტორმა უფრო გაცხარებით დაიწყო ულვაშების გრება, თით-  
 ქო ამოგლეჯა სდომებოდეს მათი.

მსჯელობა-ლაპარაკი ბიქტორმა და მე განვაგრძეთ. ჩუაში ჩამ-  
 დგარი ელო კი ყურს გვიგდებდა. ბიქტორის მიერ კამათის დროს  
 მიღებული ფანდები კარგად მჭონდა შესწავლილი. მისი გამომწვევი  
 კილო იმ დღეს ჩემს ნერვებს არ სწვდებოდა და ეს აბრაზებდა მას.  
 აღფრთოვანებით და გატაცებით ვლაპარაკობდი.

— შენ ამბობ, რომ ჩვენი ქალები რუსის ქალებს ჩამორჩებიან?  
 რომ ჩვენში არ მოიპოვებიან ქალები რევოლუციონურ მოძრაობას  
 რომ მისდევდენ? შეიძლება, მაგრამ ამას ხომ თავისი მიზეზები აქვს?  
 ნუ დაივიწყებ, რომ რევოლუციონურ მოძრაობას რუსეთში დიდი  
 ხნის ისტორია აქვს და ჩვენში კი—მცირე ხნისა. თუ ეხლა არ



მოგვეპოვებინ ასეთი ქალები, მალე გაჩნდებიან.—გავიძახდი აღფრთოვანებით.

— აი, მაგალითად, ანიკო—დამეხმარა ელო. <sup>ხომ არიან ამისთანები?</sup>

— კი, ქალბატონო ელო, მაგრამ ცოტაა, ცოტა, <sup>სულ თითებზე</sup> ჩამოსათვლელი—მოუგო ბიქტორმა.

რაკილა ელოს განწყობილება ჩემს მხარეს იყო, <sup>მხნეობა მომემატა</sup> და გატაცებით დავაწყე ქართველი ქალის შექება. მოვიყვანე ისტორიული მაგალითები: ნინო, ქეთევან, თამარი, და დავახასიათე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მოჩვეული თამარი. კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ.

მალე ელომ სახლში წასვლის სურვილი განაცხადა.

— ანიკო ძალიან კარგი ადამიანია. აი, მაგისტანა მომუშავე ბევრი უნდა ჰყავდეს პარტიას, მაშინ კარგი იქნება—სთქვა ელომ და გამოგვემშვიდობა.

მაგრამ, რ. ტომ გუშინწინ არ მოვიდა ელო ჩემ სანახავად? ალბად აგარაკიდან ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან. შეიძლება!.. მომავალ კვირას კი ჩამოვა და მინახულებს, უეჭველად მინახულებს...

### 1 სექტემბერი.

კვირა საღამოა. დღეს კიდევ არ მოსულა ელო! როგორ მოხდა ეს? ნუ თუ ელო ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა აგარაკიდან? შეიძლება დაბრუნდა კიდევ და ჯერ ვერ მოასწრო ნებართვის აღებ! ალბად, ალბად!..

— ნესტორ, შენთან იყვნენ დღეს სანახავად?

— კი, ჩემთან ყოველ კვირაობით დადიან ხოლმე.

— ვინ იყვნენ?

— ჩემი ცოლი და ბავში! აი, თუთუნიც მომიტანეს...

— შე რომ გამომჩიებელმა უკვე დამკითხა, ხომ იცი? მერე, რატომ არ მოვიდნენ ჩემთან?

— ვინ უნდა მოსულიყო შენთან, სერგო?

— ერთი ნაცნობი.

— ნაცნობი?—გაკვირვებით მეკითხება ნესტორი.

— ჰო, ერთი ნაცნობი.

— შეიძლება ნაცნობს არ მისცეს ნახვის ნება. ჯერ მხოლოდ ნათესავებს მისცემენ.

— ჰაა?. მართო ნათესავებს?

— თუმცა, ნაცნობს შეუძლია უთხრას, შე ესა და ეს ნათესავი ვარ ამ კაცისო.

— ჰოო, ხომ შეუძლია?

... იქნებ ეს არ იცია ელომ!.. იქნებ ვერ მიხვდა თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ალბათ შეცდომა ჩაიდინა. მაშ, სხვა რა მიზეზი უნდა იყოს, რომ



ელო არ მოდის სანახავად? რატომ? რატომ არ მოდის ელო? მაგრამ არა! ელო მოვა კვირას, უსათუოდ მოვა!..

4 სექტემბერი.

ყველას სძინავს. მე კი არ მეძინება. სიჩუმეა, სიცხე და ოფლის სუნია. / ნარებზე მიყრილი შიშველი მკლავები და ფეხები, და ესმბუტუტავი ლამპაოი. კედლის გადაღმიდან, მინოტონური ჩექმიანის სიარული. დღისით ციხე მოძრაობაშია. გაისმის სიმღერა, ხმაური, ჟივილი და ხივილი. საკნიდან საკანში გახვალ, ნარდს ითამაშებ, იმსჯელებ, იკამათებ, წარსულს მოიგონებ.

დღე—ნუგეშია, იმედი, გატაცება. ღამე—მწუხრით საესეა.

სძინავს ციხეს. მე კი არ მეძინება. ისევ მეწვევიან ჩემი ფიქრები.

...„თქვენ ხომ წამოხვალთ ხვალ არიფანაზე, ელო?“

— არა.

— რატომ?

— ისე, არ მინდა.

— მე რომ გთხოვოთ, ძალიან გთხოვოთ, მაინც არ წამოხვალთ?

— არა მგონია.—გავწითლდი და ვერაფერი ვთქვი.

ამ დროს ანიკო მოვიდა ჩვენთან. რა დიდი ხელები აქვს ანიკოს, არც სიცილი უხდება!

— სადა ხარ, მთელი დღე დაგეძებდი—მეუბნევა.

— რა გინდოდა?

— ის წიგნი ვიშოვე ნაცნობებში, შენ რომ გინდოდა.

— მადლობელი ვარ.

— ელო, ხომ მოხვალთ არიფანაზე?—ეკითხება ანიკო ელოს.

— არ ვიცი, შეიძლება!

— როგორ არა! შექველად მოხვალთ ხვალ არიფანაზე, შექველად! ვეუბნევი ელოს.

— არ ვიცი, ვნახოთ. მშვიდობით იყავით, მეჩქარება, დეიდა მიცდის.

— ნახვამდის, ნახვამდის! მოდით ხვალ არიფანაზე ელო, შექველად მოდით...

ელო ჩქარი ნაბიჯით და კაბის რხევით მიეშურება სახლისკენ.

— ჩვენ კი ჩვენსა წავიდეთ, წიგნს მოგცემ.

— კარგი, კარგი, წავიდეთ.

ელო მეორე დღეს არ მოსულა არიფანაზე. რა მოწყენილობა იყო! ანიკომ საქმე გააჭირა თავის ნაქები ცხურის წვადებით...

ახლა კი შექველად მნახავს ელო, შექველად! მაშ, რად მიცქერდენ მისი თვალები ისეთი სინაზით და თანაგრძნობით, როცა დამიჭირეს? რისთვის მოვიდა სადგურზე? ხომ დამპირდა, გინახულეო!..

მოვა, შექველად მოვა ელო!



აი, სამი დღე კიდევ! მაზეგ კვირეა, და ამ კვირას უსათუოდ მოვა ელო!. ნებართვა ელოს უკვე აღებული აქვს და კვირას უცდის. მეც კვირას ვუცდი. მაზეგაც კვირეა. კვირას თორმეტ საათზე, პირველად ელო მოადგება ციხის კარებს და პირველად მე გამიძახებენ სანახავ ოთახში. მაზეგ მოვბ, უმძველად მოვა.

ბატონო ლიაძე, на свидание! შემომძახა დღეს <sup>7 სექტემბერი</sup> ზედამხედველმა სარკმელიდან.

გული აჩქროლდა ისე, როგორც ცივ მდინარეში შეცურვის დროს ზაფხულში. ანთებული წამოვხტი. ხალათი გავისწორე. თმაზე ხელი გადავისვი და ზედამხედველს არც კი დავუცადე, ისე დავეშვი კიბეზე.

— Куда прешь! — შემაჩერა კიბეზე მდგომმა სალდათმა.

მოუთმენლობისგან ვთრთოდი, ვცახცახებდი, სანამ ზედამხედველი მოვიდოდა და მისი ბძანებით დერეფანში გამიშვებდენ.

სანახავ ოთახში რომ შევედი, გაფაციცებით დავუწყე თვალთვლება მათულის ბადეზე სურათებივით მიკრულ სახეებს. მაგრამ ელო არ სჩანდა. კიდევ სრიალებდენ თვალები ბადის მეორე მხრიდან მომდგარ სახეებზე, მაგრამ ელოს თვალები არ სჩანდა.

— სერგო, სერგო! — მომესმა ძახილი არეულ ხმებში. მივიხედე. დავაკვირდი და ჩემი ძმა ვიცანი.

— ბიჭო, როგორა ხარ, ხომ კარგად!

— ოჰ! ანდრო! გამარჯობა! კარგად ვარ, რა მიჭირს!

რამ ჩამოგიყვანა? — ჩავარდნილი ხმით ვუპასუხე და თან კვლავ ბადე დავათვალიერე.

— შენ სანახავად ჩამოვედი. ჩვენებმა გამოგზავნეს. მამასაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ვერ მოიცალა. თან გაბრაზებულნიც არის შენზე. იმ დღეს როგორ მოვესწარი, შვილი ციხეში მყავდესო!.. სხვა, თავს ხომ კარგად გრძნობ? ჯერ საბრალმდებლო ოქმი არ ჩაუბარებიათ?

— არა ჯერ.

— ვეჭილად ნიკო გეყოლება, ხომ იცი?

— ვიცი. სახლში ხომ ყველა კარგათაა?

— კაგად არიან.

წამოსვლისას კიდევ დავათვალიერე ბადეზე მოკრული სახეები, ელო არ სჩანდა.

— მოვიდა შენი ნაცნობი? — შემეკითხა სალამოს ნესტორი.

— რაო?.. ჰო!.. არა, არა! არ მოსულა. ჩემი ძმა იყო. მოდი ნესტორ, აი, რამდენი ხილი მოიტანა ჩემმა ძმამ. არ გიყვარს ატამი? აი, ყუძენიც ბევრია... აი, კიდევ გაკეთებული პაპიროსები. აიღე ნესტორ, აიღე.

.....ეს როგორ დამემართა, როგორ მომივიდა: არა ვკითხე ჩემ ძმას, როგორ აიღო ნებართვა? რატომ ვერ გავიგე. მისგან რამდენად ძნელია ნებართვის აღება... აღბად ელომ ვერ გაიგო. ვერსად იკითხა, თუ როგორ უნდა ნებართვის აღება...



რატომ არ მინახულებს ელო, რატომ?..

— ნესტორ! მესამე საკნის ფანჯარას რატომ ეტანებიან ტუსალები?

— იმიტომ, რომ იქიდან ქუჩა სჩანს.

— მერე?

— მერე ის, რომ ვინც ნახვას ვერ მოახერხებს, იქიდან <sup>სხუდავენ რატიანთ</sup> ნათესავებს.

— ჰაა? იქ მიდიან ხოლმე ნაცნობების დასანახად?

— ჰო.

— მერე, გამოელაპარაკები კიდევ?

— ისე, ცოტას. როცა სალდათი ქვეით ჩავა...

.....რად მინდა გამოლაპარაკება, ოღონდ შევხედო. ვინ იცის, იქნებ დადის ელო ხშირად და ჰფიქრობს, რომ ფანჯარას მეც მივადგები... ოოჰ! მე კი ამდენ ხანს ეს ამბავი არ ვიცოდი! ალბად ნებართვა ვერ აიღო და ფანჯარასთან მოდის ხოლმე. ეხლა კი ასე არ ვიზამ. ხვალ მთელი დღე ფანჯარასთან ვიქნები და ელოსაც დავინახავ... ხვალ, ხვალ ვინახულებ ელოს. ხვალ უეჭველად მოვა ქუჩაზე ელო, უეჭველად!..

### მ სექტემბერი.

მთელი დღე ფანჯარასთან ვიდექი. ტუსალების ნაცნობები მოდიოდნენ. ერთმანეთს ცნობილობდნენ. ხელით ნიშნებს იძლეოდნენ. იცინოდნენ. ერთმანეთს რაღაცას ჰპირდებოდნენ...

ქუჩის პირად სახლის კედელს მიეფარებოდნენ მოქუთული თვალებით. აწეული თავით ფანჯრის საკნებზე მომდგარ ტუსალს უცქეროდნენ და ასე დიდ ხან შესცქეროდნენ ერთმანეთს.

შორით მომავალი ქალიშვილი შევნიშნე ისეთივე სიარულით, როგორც ელოს სჩვევია. რკინის ცივ მოაჯირს შუბლით მივექდე და გაფართოებული თვალებით დავაკვირდი. თავჩალუნული მოდიოდა და სანამ ფანჯარას გაუსწორდებოდა, გული ყელში მომებჯინა. კედელთან დადგა. თავი მალლა აიღო და ფანჯრისკენ გამოიხედა. ჩემს გვერდით მდგომმა ტუსალმა წამოიძახა: „ბიჭებო კოტეს დაუძახეთ, კოტეს!..“ მაშინვე იცნეს ის ქალი, იცოდნენ ვისთანაც დადიოდა.

ერთი ტუსალთაგანი სარკმელს მიადგა და ფანჯარაში გასძახა: „კოტე, კოტე!.. მოდი მესამე საკანში, გიცდიან!“

სუროსავით მოაჯირს მიჭდობილი ჩემი თითები და შუბლი, მოთენთილი და მოდუნებული მოეშვა. გულის სიღრმეში ტკივილი ვაგრძენ.

საკნიდან გამოველ მოლუშული სახით.

რატომ არ მოდის ელო, რა დაემართა? იქნებ ავად არის? იქნებ ავადმყოფობით უკანასკნელ დღეშია და მე კი არაფერი ვიცი?. ის ხომ ისეთი სუსტია, რომ ავადმყოფობას ვერ გადიტანს... იქნებ მოკვდა კიდევ!.. არა! არა! ეს რა აზრები მომდის თავში!



— სერგო! სერგო!—მიძახის ნესტორი.—ძღვენი შემოგიგზავნეს, ძღვენი! მოდი საკანში, აქ არის!

მოსხლეტილი გავეჭვანე. გავხსენი კალათი. შემწვარი ქათამი, ნახუქები, ატამი! ვაშლი, მსხალი!

აი, ელო... ეს ხომ მისი გამოგზავნილია! ალბად ნებართვას ატეხა ჯერ ვერ მოახერხა და ამიტომ მხოლოდ ძღვენი გამომიგზავნის. ატმები მისი თითებით არის აქ ჩაწყობილი. არ დავვიწყებოვარ ელოს, არა! ვინა თქვა ელო არ მინახულებსო! კარგად არის ელო, კარგად და მალე მინახულებს კიდევ!

ვაშლებს და ატმებს ცალკე ვაწყობ და ვგრძნობ, რომ ელოს თვალები შეაღწერსებინან. მოწიწებით და სინაზით ვუმზერ ვაშლის წითელ ლოყებს... უხილავი ძაბვებით ვარ ელოსთან შეერთებული... „ელო, ელო!“—ათასჯერ ვიმეორებ გულში!.. სახეზე ღიმი მიკრთის. ვაშლებს აქეთ-იქით ვალაგებ დაბნეული. ხან ისევ უკან ვაწყობ კალათში და ნახუქს ამოვიღებ, ხან ატმებს დავუწყებ ცხვირსახოცით წმენდას. ხელში ვაბურთავენ, ვეღერსები. ხან კიდევ დაბნეული ვდგევარ ერთ ალაგს...

უეცრად ვაჩნევ ნესტორს, ჩემს გვერდით რომ სდგას გაკვირვებული.

— ნესტორ, თუ ძმა ხარ აიღე რაც გინდა! აი, ჩვენებური ნახუქი, ატამი. აიღე, აიღე!.. ვინ შემოგზავნა ნესტორ, ვერ გაიგე?

— არ ვიცი. ზედამხედველმა სთქვა, ვილაც ახალგაზრდა ქალიშვილმა შემოგზავნაო. შიგ წერილიც იყო, მაგრამ უფროსმა ზედამხედველმა დახია კალათის გასინჯვის დროს.

— მერე, როგორი იყო ის ქალი, არ გიკითხავს?

— არა, არ მიკითხავს.

ოოჰ, რატომ არ მივუსწარი დროზე! იქნებ წერილიც გადამერჩინა! მაშ, ამ კვირას უეჭველად მოვა ელო, უეჭველად! როგორ დამივიწყებდა ელო! „ჭეეეი, იცით თქვენ ვინ შემოგზავნა ატმები?“—მინდა გავძახო ტუსალებს: აბა, თქვენ რა იცით! თქვენ გეგონათ რომ მე ფანჯარაში ტყუილად ვიცქირებოდი და გავცრუვდი? არა, არა! ეხლა კი მოვა და მაშინ ნახავთ, ვინც არის ელო!

კვირას უეჭველად მოვა ელო, უეჭველად!..

### 13 სექტემბერი.

გამომძიებელთან ვიყავი. ჩავიბარე საბრალმდებლო ოქმი. ორ კვირაში გამასამართლებენ. ას ორი მუხლი! რას ნიშნავს ნეტა ას ორი მუხლი?

— ნესტორ! ხომ არ იცი რას ნიშნავს ას ორი მუხლი?

— ას ორი მუხლი, ჩემო ძამია, კატორლას ნიშნავს.

— ჰა? რაო? კატორლას?

— ჰო, კატორლას. მაგრამ შენ ნუ გეშინია! ეგ მუხლი შეიძლება სულაც გააბათილოს შენმა ვეჭილმა და სხვა მუხლზე შეგიცვალოს. ხომ კარგი ვეჭილი გყავს?

— კი, ძალიან კარგი.

— ჰო, და მაშ ნუ გეშინია.



სრულებითაც არ შეშინია! ჩემი ვეჭილი უეჭველად გადამარჩენს კატორლას. შეიძლება ციმბირში გადამასახლონ, იქიდან კი ძალე გამოვიპარები.

ტივის ხეებივით ნარზე მიყრილი ტუსალები ძიღს ეპირებიან. ერთმანეთს ეკამათებიან. ზღაპრებს ჰყვებიან.

ვინმე კუთხეში მიმჯდარა და დახეულ პერანგს ჰკერავს. მეორეს პურის გუნდა ჩაუბლუჯავს, სახელოებ-დაკარწახებული ჰზელავს. დაჭიმულ მარტოებით ხვნეშის.

ლამპარი მკრთალად ბეუტავს და მის მკრთალ სინათლეზე ლანდებივით ქანაობენ კედელზე აჩრდილების ზოლები. გასაშრობად ჩამოკიდებული „კირიელეისონები“ თითქო მოძრაობენ. იქვე, მოკლე ფიკაოზე, პურისაგან გაკეთებული ირმები, მალლა აშვერილი რქებით, ოთხ ხაზად გაჩაჩაული ფეხებით—გარინდულან, თითქო გადმოვარდნისა ეშინიათო.

სიწყნარეა საკანში.

და მე მინდა ღამე მალე დაილიოს, იმიტომ რომ ხვალ კვირაა და ხვალ მოვა ელო. ხვალ ვნახავ ელოს! რამდენ რამეს შეტყვი! „როგორა ხარ სერგო! ძალიან ძნელია ციხეში ყოფნა? ნუ მოიწყენ. აი, ახლა ჩამოველ და ყოველთვის მოვალ ხოლმე შენ სანახავად!..“

...დაჭერის წინ დღით მთელი ღამე ერთად ვისეირნეთ მე და ელომ. ბაღში მოსეირნენი არეული ტალღასავით აგვივლიდა. ახმაურდებოდა. სიტყვებს ისროდა და დაგვშორდებოდა.

ჩემს თავგადასავალს ვუყვებოდი ელოს ალტაცებით. ჩვენს პარტიულ მუშაობას ვუამბობდი აღფრთოვანებით. და თითქო გულში მოტორი ამუშავებულიყვეს, ისე სძგერდა მთელი სხეული, თრთოდა და ცახცახებდა...

ელო სდუმდა. ყურს მიგდებდა.

როგორი მიუკარებელი და ამაყია ელო და თან როგორი მიმზიდველი და ტკბილი ხმა აქვს! როგორი შემოხედვა იცის თავის შავი თვალებით და მოპარული ჩუმი გაციინება.

ჩემს გვერდით მოდიოდა ელო და თითქო უხილავი ძაფით ვყოფილიყვე მასთან გადაბმული—ველარაფერს ვხედავდი მის გარეშე, ვერაფერს ვგრძნობდი მის გარდა.

სახლში გაცილებისას დიდხანს ვიარეთ მდინარის პირად. იდუმალი რაკრაკით მიმდინარეობდა წყალი და პატარა ტალღებს მიათამაშებდა. და მაშინ, თითქო ეს იდუმალი ხმა მდინარისა შეეხო ჩემს გულს და იქ უხილავი სიმები ააქლერა...

ელო მალე გაეშურა სახლისკენ. კიბე აირბინა. „ღამე მშვიდობისა“—მითხრა და კარში მოიმალა...

დამძიმებული ფეხებით გამოვბრუნდი უკან და ისევ მდინარეს მივადექი. და თითქო იქ კი არ დამეტოვებნოს ელო, —თავის სახლში—თითქო თან წამომყოლოდეს... თითქო გვერდში მედგა ელო, კვალად მასთან მუსაიფს ვაგრძობდი. მას ვებაასებოდი. მდინარის



პირად ვჯდებოდი და ელოც ჩემს გვერდით იყო. თავს მის კალთაზე ვდებდი და რაღაც ზღაპარს ვუყვებოდი. იმას თავზე ჰქონდა ხელი დადებული და თმას მიბზევდა.

რამდენ ხანს დავრჩი მდინარის პირად, აღარ მახსოვს.

თენდებოდა შინ რომ მივედი. მეორე დღეს კი დამიჭირეს.

ხვალ თორმეტ საათზე ვნახავ ელოს, მის მოვლვარე შანს ხელებს... სულ დამრჩა კიდევ თორმეტი საათი ელოს ნახვამდის. მისი შემოგზავნილი ატმები და ვაშლები ჯერ კიდევ შენახული მაქვს... ელოსაც ვეტყვი, კიდევ მაქვს მეთქი.

თორმეტი საათი კიდევ, თორმეტი საათი! და თორმეტი საათის შემდეგ ვნახავ!

ჰო, არ უნდა დამავიწყდეს ვუთხრა, რომ ქუჩაზე მოვიდეს ხოლმე, რომ ფანჯრიდან შევხედო. ამნაირად ჩვენ ყოველ დღე ვინახულებთ ერთმანეთს.

ხვალ ვნახავ, ხვალ!..

#### 14 სექტემბერი.

რა მოხდა დღეს? რად არის ტუსალების სახეები და საკნები ლეჩაქით გადაფარებული? რა ბინდია საკანში! რა დაემართათ ტუსალებს! რატომ ყველა დაღვრემილია? სხვა ამ დროს მხიარულება და თამაში იყო საკანში...

ასე ადრინად მიანებეს ყველაფერს თავი და ძილს მიეცნენ. მეორე საკნიდანაც რომ ასეთი მწუხარი სიმღერა ისმის?.. „ციხეე მოგიკვდეს ამშენებელი, შენ ხარ ვაჟკაცის დამღონებელი!..“ რატომ დღეს მღერიან მაინც და მაინც ამ სიმღერას!.. რა დაემართათ... რა ამბავია?..

კედლის გადაღმა მოსიარულე სალდათის ნაბიჯი გარკვევით გაისმის მიწუნარებულ არეში. ჰაერს გააპობს და საკანში შემოიჭრება, როგორც ცულის დარტყმა უღრან ტყეში.

ჩემი გულიც კენესის, თითქო მოკვდა ვინმეო.

მერე, რატომ ასეთი დაღონებული დავბრუნდი დღეს სანახავ ოთახიდან?

— სერგო, იყო შენთან შენი ნაცნობი ქალი?— შემეკითხა ნესტორი, საკანში რომ დავბრუნდი.

— ჰო, იყო.

— აი, კიდევ მოუტანია შენთვის ძღვენი. კიდევ შემწვარი ქათამი. ატმები. ვაშლები... ეს ის იქნება, ამას წინად რომ შემოგიგზავნა, არა?

— ჰა?.. არა!.. ჰო!.. ჰო!.. ისევ ის იყო!..

— ახლა ხომ უკვე იცი, ვისგანაც იყო შემოგზავნილი ის ძღვენი?.

— ჰო, როგორ არა!

— რას დამდგარხარ კაცო! ამოალაგე კალათი!

— ამოალაგე ნესტორ შენ თვითონ.

აქანდაკებული ვიდექი და ნესტორის მოძრაობას, კალათიდან რომ ატმებს ალაგებდა, დაბინდული თვალებით ვუცქეროდა... ფიქრები კი სხვაგან იყვნენ...

... რა მხიარული იყო დღეს ანიკო! როგორ უხაროდა ჩემი ნახვა! თვალები უბზინავდა და სახე ღიმით სავსე ჰქონდა!.. „ხომ მიიღე ჩემი შემოგზავ-“



ნილი ძღვენი, სერგო?.. აი, კიდევ... ჩურჩხელები ხომ გიყვარს სერგო, ჩურჩხელები!.. შემდეგ ნახვაზე მოგიტან!.. რომელი უფრო გიყვარს—თხილისა თუ კაკლის?.. კარგად იყავი, ნუ დაღონდები... ყველაფერი მალე იქნება, მალე! — მხიარულდებდა ანიკო...

მე კი გაშტერებული ვიდექი და ღია თვალებით შევცქეროდი ანიკოს! რატომ ელოზე არ ვკითხე რამე? რატომ იმანაც არაფერი მიფიქრე? რატომ არ ვკითხე, რატომ?.. იქნებ ავად არის ელო! იქნებ სხვა ქალაქში წავიდა სადმე! რატომ არ მოდის, რატომ?.. რატომ არ მნახავს, რატომ!.. არა, ეხლა რაიმე დაბრკოლება აქვს ელოს... და მალე მნახავს... უეჭველად მნახავს...

1 ნოემბერი.

გათავდა ყველაფერი! „ან რაღა დაბრჩა! — საუკუნო სიჩუმე მხოლოდ?!?“ გადასახლება!

ას ორი მუხლი, კატორღას რომ ამბობდა, ციმბირში გადასახლებით შეიცვალა.

ანიკოს უხაროდა. თან ცრემლებს ძლივს იკავებდა. საწყალი ანიკო! ნესტიანი თვალებით მიცქეროდა, თან ღიმი ეფინებოდა სახეზე. დაბნეული იდგა. სკამებზე ჩამომსხდარი ხალხი აიშალა. ვეჭილი ჩემს ძმას ელაპარაკებოდა.

ნაცნობები მოცვივდენ მოაჯირთან და მილოცავდენ ასე იოლად რომ გადავრჩი. მე კი სალდათებით გარშემორტყმული, დაბნეული და ნერვიული გავიცქირებოდი სივრცეში, თითქო საქმე სხვას, შორეულს შეეხებოდეს და არა მე!..

მთელი პროცესის განმავლობაში გაბრუებული ვიჯექი. ხშირად არც კი მესმოდა რას მეკითხებოდენ მოსამართლენი. და როცა განაჩენი გამოიტანეს— არც გამხარებია, არც მწყენია.

მომბეზრდა გაქიანურებული პროცესი. მსურდა ყველაფერი მალე გათავებულიყო და ისევ უკანვე წავეყვანეთ ციხეში.

იქნებ გზაში შემივედროდა ელო! იქნებ შემთხვევით ქუჩაზე მიმავალ ელოსთვის მომეკრა თვალი... ელო აქ არის, ამ ქალაქში, და ჩემთან კი არ მოდის სანახავად! რატომ არ მოდის, რატომ?..

იქნებ ახლა მოვიდეს, როცა გაიგებს, რომ ციმბირში გადასახლება მომისაჯეს. იქნებ გამოსამშვიდებლად მაინც მოვიდეს...

სასამართლოდან ციხის კარებამდე დაუშორებლად უკან მომდევდა ანიკო. ახლო მოსვლას ვერ ახერხებდა სალდათების გამო და ამიტომ ვერ შევძელ ელოზე მეკითხნა რამე.

შუაგულ ქუჩას მივყვებოდი. გამვლელ ქალიშვილის დანახვაზე გული აძგერდებოდა, — თითქო ელო მოდიოდეს ქვაფენილზე, ისე მომერვენებოდა... ელო კი არ სჩანდა!..

უდაბნოსავით მოწყენილი ქუჩები გავიარე და ციხის კარს რომ მივადექი შორით მდგარი ანიკო შევამჩნიე ნესტიანი თვალებით...

ეხლა ციმბირისათვის მოვემზადები. ალბად მალე გადამასახლებენ და ელო რომ გაიგებს ჩემს გადასახლებას, მაშინ უსათუოდ მოვა და მნახავს, უსათუოდ მოვა და მნახავს...



25 ნოემბერი.

ის იყო, ის!..

სადგურის ბაქანზე დაიარებოდა არეულ ხალხში.

ვაგონის ფანჯრიდან გავცქეროდი ტალღებსავეით არეულ თავებს ელოც იქ იყო, მათ შორის!..

თალხი კაბა ეცვა და გაფაციცებული თვალებით ათვალიერებდა ჩემს ყოველ ვაგონების ფანჯრებს... არ იცოდა, რომ ჩვენ სულ წინა ვაგონში შეგვიყვანეს... მოწყენილი სახე ჰქონდა და წარბები შექმუხნილი...

ოჰ, როგორ სძგერდა გული!..

ვაგონის ფანჯრიდან დავყურებდი არეულ ხალხს, ერთმანეთში რომ იბნეოდა, შექუჩდებოდა და ისევ გაიშლებოდა. ზოგი მირბოდა და ჯგუფურ ხვეულებში მხრებს შეანძრევდა, გვერდს გაჰკრავდა, ჯგუფს გაარღვევდა...

ზოგი ნაცნობს ღიმილს შეხვდებოდა და ბაასს გააბამდა. ტალღებსავეით ირეოდა ერთმანეთში ტყავის ქუდები, „კარტუზები“, ქალების აქრელებული ქუდები და ამ ქუდების გროვაში ჩემი თვალი არ შორდებოდა წითელი ბანტით მოხვეულ ქუდს.

ნეტა ვის ეძებდა ელო? ალბად გაიგო, რომ ამ დღეს უნდა გავემგზავრებინეთ და ამიტომ გამოსულიყო სადგურზე. მერე, რატომ არ წამოვიდა წინ, ჩვენი ვაგონისკენ?..

ახალგაზრდას შეხვდა. შეჩერდა და მუსაიფი დაუწყო. არეულ ხალხის მსვლელობა მიშლიდა მისი სახე მთლიანად დამენახა, მაგრამ კარგად გავარჩიე ყურის ძირში მისი ხალი...

ოოჰ! რატომ, რატომ არ შეიძლებოდა დამეძახნა ელოსთვის! ის ხომ ჩემთვის იყო სადგურზე მოსული! შეძებდა და კი არ იცოდა რომელ ვაგონში ვიყავი.

„აი, ლაპარაკს გაათავებს და წამოვა ჩვენი ვაგონისკენ, უსათუოდ წამოვა!“ — გაიძახდა ჩემი გული. მაგრამ აგერ მესამედ დარეკეს ზარი. ნუ თუ არ მოვა ჩემთან? თითქოს მობრუნდა კიდევ ჩემსკენ...

აგერ გადმოდგა ნაბიჯი... აქეთ იცქირება...

ორთქლმავალის ყივილმა გააპო ჰაერი... ნელა შეინძრა ვაგონი...

არეული ხალხი შეჩერდა და ყველამ ვაგონისკენ მოაბრუნა სახე...

ელოც მოდის აქეთ. მაგრამ მატარებელი სვლას უმატებს.

მთელი ტანით ავიზიდე ფანჯარაში... თავი გადავწიე...

— ელო, ელო! — შევძახე.

უკვე გვიან იყო...

მატარებლის უკანასკნელი ვაგონი უკვე მოშორდა სადგურს და მიბნელებული ბაქანი განათდა.

უკვე შორს მოსჩანდა შეჯგუფულ ხალხის დაპატარავებული სახეები... მათში მიიშალა ელოს სახეც...

მოსახვევში ერთი კიდევ შეყივლა ორთქლმავალმა და სადგურიც დაიფარა...

მოტეხილი ტოტივით დავეშვი სკამზე...

ელო ჩემთვის მოსულიყო და ვერ მნახა!..

მალე დავბრუნდები ციმბირიდან და ვნახავ, მალე, მალე!..



## ა მ რ კ ა ლ ე ბ ი

შავი ზღვის ლეგენდა.

1.

ამბავი ასე იწყება: შავი ზღვის სანაპიროებიდან თითქმის ყველა მამაკაცი წავიდნენ აზიაში საომრად. ძველ ადგილას სოფლებში დარჩენ მხოლოდ მოხუცი მამაკაცები, პატარა ბავშვები და დედაკაცები. უკაცო ქვეყანაში დედაკაცებს უბედობლად ყველაფრის გაკეთება, რასაც წინად მამაკაცები აკეთებდნენ. ამისათვის უბრალო საოჯახო შრომის გარდა, საჭირო იყო მეზობელ ხალხებზე თავდასხმა, რომ დაებრუნებიათ წართმეული ცხენების ჯოგები, ტყავები და სხვა საჭირო ნივთები. ჯერ მათ ეხმარებოდნენ სახლში დარჩენილი მამაკაცები, მაგრამ შემდეგ ისინიც გაიწვიეს აზიაში საომრად: ამას დაერთო ისიც, რომ გაჩნდა სიმშობობა, ავადმყოფობა. ქალები დღითი-დღე კვდებოდნენ: მოინდომეს გაეკეთებიათ თავიანთვის იარაღი, რომ დაეცვათ თავი და, თუ საჭირო იქნებოდა, თავდასხმაზეც გადასულნიყვნენ—მაგრამ გამოჩნდა, რომ შვილდისრის გამართვა არც ისე ადვილია, მაშინ კი ადვილი ეგონათ, როცა თავიანთ ქმრებს ხედავდნენ.

საშინელი სასოწარკვეთილება ჩამოვარდა: ისმოდა ირგვლივ ტირილი, ბედზე ჩივილი და ოხერა. ელოდნენ ქმრების დაბრუნებას ომიდან—მაგრამ დრო გადიოდა და არაფერი სანუგეშო არ ისმოდა შორეულ აზიიდან:

ამ დროს ახალგაზრდა ასატრას დაებადა ბავში: ასატრამ იფიქრა, რომ ამ ბავშვსაც ის ბედი ექნება, რაც მის ქმარს, დატოვებს დედას, მომავალ ცოლს და შვილებს და გადაიხვეწება საომრად ისე, როგორც ამისი მამა—ასატრამ აიყვანა თავისი პატარა ბიჭი და კლდიდან ზღვაში გადაისროლა.

ამას მიბაძეს სხვა ქალებმაც და გადაისროლეს ზღვაში თავიანთი ბავშვები. მაგრამ სიმშობმა მიაღწია უკანასკნელ საფეხურამდე—ამდენის ატანა ვეღარ შეიძლეს და მიიღეს ქალებმა საშინელი გადაწყვეტილება.

ერთ ღამეს გაიყვანეს ყველა მოხუცები და ბავშვები და გადაყარეს ზღვაში. ტომირანდა წინამძღოლის ცოლი არ გავდა სხვა ქალებს.



ის დაბადებული იყო გრიგალისა და ქარიშხლისათვის. მას ეჯავრებოდა მყუდრო ცხოვრება და მშვიდი ამიდი—მისთვის დღესასწაული იყო იარაღის ხმაურობა და ბუნების ქარიშხალი. ერთხელ მისი ქმარი, რომელიც წინამძღოლი იყო აზიაში წასულ ჯარებისა.—ვერ ლუნავს მშვილდს, ტომირანდამ მოჰკიდა ხელი და ერთ წამში მოგრიხა. ქმარმა ამისათვის ძალიან დეტექსა-უდაკათასი დამცირებაც გადაატანია.

მაშინ პირველად შეეზიზლა მას მამაკაცი. მას შვილები არ ჰყოლია და დედის გრძნობა არ განუცდია—არც სხვა ნათესავები ჰყოლია. ჯერ სულ ბავში მოიტაცა ის ქმარმა მეზობელ ტომიდან.

მას შემდეგ, რაც მამაკაცებმა დასტოვეს ეს მხარე, ტომირანდა ბევრ რამეზე ფიქრობდა. გრანდიოზული გეგმები არ ასვენებდენ მის გონებას.

ქარიშხლიან ღამეს გამოვიდა ტომირანდა ზღვის კლდიან ნაპირზე, რომ უკანასკნელი გონება მოეკრიბა და ყველაფერი გაეზომა. მხოლოდ ქარიშხალში ეხერხებოდა მას ფიქრი, გრიგალი ხევდა მის ტანისამოსს და ძლივს ჩერდებოდა კლდეზე და ხელი ჩაეკიდა უხარმაზარ ქვისთვის. ამ ღამეს დამწიფდა მისი ოცნება. ეს იყო ძალიან მარტივი, როგორც მისი ცხოვრება, მაგრამ ძალიან გამბედავი, როგორც ქარიშხალი.

ეს აზრი იყო ქალების სამეფოს დაარსება. ომში ქალებსაც შეუძლიანთ წასვლა, ამისათვის საჭიროა შეილდ-ისრის ხმარება და ცხენოსნობის ცოდნა. ორივე შეუძლია ქალს თუ მოინდომებს. ამ საქმის გაკეთება ეხლა კიდევ უფრო ადვილია, როცა მამაკაცები სახლში არ არიან—ტომირანდას ზიზლის ერუანტელმა გაუარა ტანში, როცა თავისი ქმარი წარმოიდგინა: ის გიყივით გაიქცა სახლში, თითქო ეშინია ფიქრი ქარიშხალმა არ მოსტაცოსო.

მოჰკიდა ხელი ქმრისაგან სახლში დატოვებულ შვილდისარს და მოზიდა.

მას ასე ადვილად ეჩვენა ეს საქმე, რომ გაეცინა კიდევ.

ტომირანდამ გაარბენია შვილდისარი შავ ზღვასთან და ერთი მეორეზე ესროდა ისარს ტალღებს, მაგრამ ტომირანდამ შენიშნა ერთი უხერხულობა: ის მიხვდა, რომ ისრები სწორად არ მიდიან, მიზეზიც მონახა, ეს იყო ქალის ტანის აგებულობა, რომელიც უშლის ისარს გვერდზე მიტანას.

მაგრამ ტომირანდა ამაზე დიდხანს არ დაფიქრებულა, წავიდა სახლში, აიღო ორი კვესი, გააჩინა ცეცხლი და შემდეგ კოცონი.

როცა შეშას ცეცხლი მაგრად წაეკიდა, ტომირანდამ ამოიღო გახურებული მუგუზალი და ბევრი არ უფიქრია—მიიტანა მარჯვენა ძუძუსთან. ხორცმა დაიწყო შიშინი და ნამწვარი ხორცის სუნი მოედო არემარეს.

საშინელი ტკივილი იგრძნო ტომირანდამ, მაგრამ ერთი არ დაუკვნესია და არც ერთი ცრემლი არ ჩამოვარდნია.

შეიხვია ვალეზული იარა ძონძით, შეახტა ველურ ცხენს და შუბივით გაექანა კლდეებისაკენ. ქარიშხალი ჩადვა. ზღვაც დაწყნარდა, ცა მოიწმინდა: დათვინიერებულ ცხენით ტომირანდა ბრუნდება სახლში.

გზაში ესმოდა მას სოფელში დატოვებულ ქალების ტირილი:

სახლში დარჩენილი ქალები ერთხელ კიდევ შეიკრიბენ უკანასკნელათ, რათა გაგზავნონ ვინმე აზიაში, რომ დააბრუნონ იქ წასული მათი ქმრები.



ჩვენ მეტი არ შეგვიძლია—ჩვენ ვიღუპებით შიმშილიდან და ავადმყოფობიდან—თვალეზ-ცრემლიანი სტიროდენ ქალები,—თუ ქმრები არ დაბრუნდენ სახლში ჩვენ უთუოდ ყველანი დავიღუპებით.

მაგრამ ვინ უნდა გავგზავნოთ იკითხა ასატრამ, ჩვენ ყველანი ისე/დაოლილი ვართ, რომ იქამდე ვერ მივალწევთ. მაშინ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. ყველას წინ წარმოუდგა შორეული გზის სიძნელე. ყველანი გულში თავისთვის არჩევდენ ისევ სახლში დარჩენას და აქ სიკვდილს.

ამ დროს გაისმა სიჩუმეში ახალგაზრდა ხმა:

— ტომირანდას ესთხოვოთ, ტომირანდას, ის ჩვენში ყველაზე უფრო ძლიერია. მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი გადაარჩენა.

ამას ამბობდა ახალგაზრდა ფემა. ის სულ ერთი წელიწადია, რაც გათხოვდა, მას სიგიჟემდე უყვარდა თავისი ქმარი, რომელიც ასე უეცრად დაშორდა—და შემდეგ მოუთმენლად მოელოდა მის დაბრუნებას.

— ტომირანდა არასოდეს არ დათანხმდება ასეთ სისულელეზე—მოისმა ქუხილივით მაგარი ხმა ტომირანდასი—მე ისე არ დავმცირდები არასოდეს, რომ მიემართო იმ ხალხს, რომელიც მე მეზიზღება.

ყველამ მოიხედეს და მალლა ასწიეს თავები. ხმა შორიდან მოისმოდა. ბევრი შიშისა და ცრუ მორწმუნეობისაგან მუხლებზე დაეცა კიდევ. კლდის მწვერვალზე, რომლის ქვევით მოსჩანდა ათასი ცეცხლით განათებული ზღვა—მზის ამოსვლაზე გამოჩნდა ტომირანდა ცხენზე. ის იყო დიდებული შესახედავი.

შავი და ხშირი თმა ქარზე ირხეოდა ისე, როგორც წამოსასხამი—თვალეზი ელვასავით ელავდნენ და წარბები კიდევ გველებივით ჩამოდიოდნენ სახეზე. ღამე ცხენის ჭენებაში ტანისამოსი შემოხეოდა და მას მოუჩანდა დიდებული ტანი. მხოლოდ მარჯვენა ძუძუ ჰქონდა მას შეხვეული და ზედ ჰქონდა გადაკიდებული შვილდისარი. ცხენი კიდევ ქაფში იყო აცურებული.

მთელი მისი ფიგურა მოსჩანდა, როგორც ფანტასტიური მოჩვენება—ხმა კი ისმოდა უფრო ძლიერი:

— ტომირანდა არასოდეს არ წავა მამაკაცების სანახავად, იმ მამაკაცებისა, რომელნიც ჩვენ ისე გვამცირებენ და რომელთაც ასე დაგვტოვეს, მაგრამ უთუოდ უნდა გადააარჩინოთ თქვენ, ქალებო...

— მხოლოდ შენ უნდა დაგვიხსნა ჩვენ, ტომირანდა,—მოისმა აღფრთოვანებული ხმა ასატრასი, რომელიც მოწიწებით მისჩერებოდა ტომირანდას.

— და შე მალე ვნახავ ჩემ ქმარს და მოვეხვევი მას—გამხიარულდა ფემა. მაგრამ ტომირანდას სახეზე უდიდესი ზიზლი გამოიხატა.

— შენ ძალიან შემცდარი ხარ ფემა, — შესძახა ტომირანდამ—მე დაგიხსნით თქვენ მხოლოდ ერთი პირობით—რომ არასდროს არ იფიქროთ თქვენ ქმრებზე, თქვენ სამუდამოდ უნდა დაივიწყოთ თქვენი ქმრები—განა ცოტა გახსოვთ თქვენ დამცირება?! -

— მაგრამ თუ ქმრები დაბრუნდენ!

— ჩვენ იმათ უთუოდ გავაგდებთ. ჩვენ თითონ უნდა ვიშოვოთ ცხენები შვილდ-ისრები. მე თქვენ გასწავლით ცხენოსნობას და შვილდ-ისრის ტარებას და ჩვენ თვითონ უნდა დავეცეთ თავზე სხვებს და დავირჩინოთ თავი.



ტომირანდა დააწვა ცხენს და ცხენი აქიხვინდა და შესდგა ყალყზე. შემდეგ ტომირანდამ მოსწია შვილდ-ისარი და ისარმა გაიხუზუნა ჰაერში და გადაუარა თავზე ხალხს.

ჰაერში გაისმა აღტაცების ხმები.

— ტომირანდა, გვიპატრონე ჩვენ, ჩვენ დაგემორჩილებით ყველანი, — ისმოდა ძახილი.

— დაიფიცეთ ყველამ, რომ შეასრულებთ ჩემს ბრძანებას, რომ ყოველი ჩემი სიტყვა თქვენთვის კანონი იქნება:

— გფიცავთ! — ყვიროდენ ქალები.

— ჯერ კიდევ იფიქრეთ, სანამ გადაწყვეტდეთ. შემდეგ გვიან იქნება. ეს ყველაფერი თქვენგან მოითხოვს მსხვერპლს. მართალია, ცხენისა და შვილდ-ისარის მოხმარება ძნელი არ არის, მაგრამ საჭიროა გამბედაობა.

— შეხედეთ, — დაიყვირა ტომირანდამ და მოიხსნა ძონძი ძუძუდან. ყველა მიაშტერდა: მარცხენა ძუძუს მაგიერ ტომირანდას არაფერი არ ჰქონდა, გარდა ნამწვარისა.

— მე თქვენ დაგიწვავთ ძუძუებს, როგორც მე დაგიწვი წუხელი, ეს საჭიროა, რომ შვილდ-ისარი იხმაროთ და ამის გარდა ეს იქნება თქვენგან მორჩილების ნიშანი — ამიერიდან დაგერქმევით **ამორძალები (უძუძუონი)**.

— თანახმა ვართ, თანახმა... მხოლოდ გვიხსენი სიკვდილისაგან, — ყვიროდენ ქალები.

ტომირანდა ჩამოვიდა კლდიდან: მას ჰქონდა ისეთი დიდებული 'შეხედულება, რომ ქალები მის წინაშე დავარდენ მუხლებზე.

ტომირანდამ მორჩილების ნიშნად დააკოცნია ფეხები. ქალები სათითაოდ დავარდებოდენ მუხლებზე და კოცნიდენ ტომირანდას ფეხზე. როცა მიუახლოვდა ტომირანდას ფემა და აკოცა ფეხზე — ტომირანდამ წაჰკრა მას ფეხი და განრისხებულმა უთხრა:

— დაივიწყე ფემა ქმარი, თორემ შენ ცუდი რამ დაგემართება.

ტომირანდამ ამოიჩნია ექვსი ყველაზე ლამაზი და ყველაზე ძლიერი ქალი თავის ამაღლაში. იქვე წავიდა ის მახლობელ სოფელში იმ ქალებით და მწყემსებს წაართვა მთელი ჯოგი ცხენებისა. დაბრუნებისას მან გამართა დიდი ნადიმი და დააპურა დაბნეული ქალები.

იყო დიდი სიხარული.

მეორე დღე ტომირანდამ დანიშნა ამორძალების დღე.

ქალებმა მისი ბრძანებით მოიტანეს აუარებელი შეშა, დაანთეს უზარმაზარი კოცონი და ყველა ქალებს თავისი ხელით გაუკეთა ძუძუების ოპერაცია. ზოგს ძალიან ეტკინა, მაგრამ როცა შეხედეს ტომირანდას მრისხანე სახეს, ხმა გაიკმინდეს.

ფემას გული შეუწუხდა და დაეცა მიწაზე.

ამის შემდეგ ტომირანდამ უბრძანა ქალებს გადაეყარათ ტანისამოსი, რომ ამით შეჩვეოდენ შავი ზღვის ცვალებადობას.



ამის შემდეგ ქალებს ტომირანდამ მისცა ერთი კვირის ვადა, რომ კრილობები მოეშუშებიათ და, რომ მერე დაეწყოთ სწავლა შვილდ-ისრისა და ცხენოსნობისა.

— ასე დაიწყო ქალების სამეფო, ამბობს ლეგენდა.

II.



ღამის შეხვედრა

ყოველ დღე დანიშნა ტომირანდამ ცხენოსნობისა და შვილდოსნობის ვარჯიშობა. ტომირანდამ ქალები დაყო პარტიებად. როცა ერთი პარტია ვარჯიშობდა, მეორე პარტია, უფრო ძლიერი და მამაცი ამორბალებისა, აწყობდა მეზობელ ტომებზე თავდასხმას და შოულობდა საჭმელს. მესამე პარტია ციხეებით და კლდეებით ამაგრებდა სოფელს. მეოთხე ჯგუფი კიდევ საშინაო საქმეებს აკეთებდა და შვილდ-ისარს ამზადებდა. არავის არ შეეძლო ტომირანდას სიტყვის შებრუნება. მან ამოირჩია თავის მახლობელ ამაღლაში ყველაზე უფრო რჩეული, ლამაზი და ძლიერი და გამბედავი ამორბალები. სულ ცოტა არ დამორჩილებას სასტიკად სტუქსავდა.

მალე ყველა მიეჩვია იმ აზრს, რომ ტომირანდას გარდა მათი ხსნა არსად არის, რომ მამაკაცები არ არიან საჭირო. ტომირანდასაც თავის დროზე ჰქონდა მომარაგებული ყველაფერი. სულ მალე შეჰქმნა მშვენიერი ჯარის კადრი, მაგრამ ჯარი მაინც არ იყო საკმარისი და რაც მთავარია, ჯარს უნდოდა ამუნიცია: განსაკუთრებით კი ცხენები. და, თუ ის იმარჯვებდა ომებში, მხოლოდ იმიტომ, რომ იყო თავგანწირული ჰკუა-მახვილი და, ამის გარდა ქალების შეხედვაც აშინებდა მეზობლებს. ხალხს ეგონა, რომ რაღაც არაადამიანური არსებანი დაეცნ თავზე.

ტომირანდას გაეგონა თავის ქმრისაგან, რომ სადღაც არიან უცხო ტომები, რომელთაც ჰყავთ ცხენების ჯოგები. ტომირანდამ ჩვეულებისამებრ გადასწყვიტა განმარტოება კლდეებზე, რომ მოიფიქროს გეგმა, რამდენ ხანს გაგრძელდება ბრძოლა, ხომ არ ჩამოვლენ ამ დროს მათი ქმრები და ათასი სხვა.

— ამ დროს მას მოესმა რაღაც უცნაური ხმა.

ტომირანდა შეშფოთდა.

— რა უნდა იყოს?

არსაიდან არაფერი არ სჩანდა.

ტომირანდამ დაუყურადა: უცებ მან შეამჩნია, რომ ზღვაზე გამოჩნდა რაღაც შავი ნაჭუჭი. ტომირანდამ შენიშნა, რომ ნავში ზის ვიღაც კაცი. მეზღვაურს უნდოდა ნავი ნაპირს მიეგდო, მაგრამ ტალღა არ უშვებდა. კაცი მაინც არ იშლიდა და ისევ უპირდაპირდება ნაპირს. უცებ ნავი ტალღამ შეაგდო საყუდლეში. ტომირანდა გაეჭანა ამ მგზავრისაკენ. მთვარე ნათლად აჩვენებდა ამორბალის ფიგურას. ის თითქოს ვერცხლიდან იყო ჩამოსხმული. მგზავრმა შენიშნა ტომირანდა, შეხედა ვაკვირვებით და აცახცახებით დაეცა პირქვე მის წინაშე:



— ნუ გეშინია, მგზავრო, შესძახა ტომირანდამ. ასდევდი და მითხარი ვინ ხარ? საიდან მოდიხარ?

— შენ ლაპარაკობ ჩვენ ენაზე, ძლივს დაილულულა მგზავრო. განა შენ არ ხარ ლამის ღმერთი ქალი?

— არა—უპასუხა ტომირანდამ.

— მაშ შენ ხარ ამ საშინელ კლდეების ღმერთი. — ეკითხებოდა თავქვე და-ცემული მგზავრი.

— არა—იყო პასუხი.

— მაშ ვინ ხარ მაინც, — გაბედა მგზავრმა და აიხედა ზევით და შეხედა ქალის თვალს, რომელშიც მთვარის სხივები გაჩერებულიყვნენ.

— მე ვარ ამ ქვეყნის მბრძანებელი, მე ვარ ამორძალების დედოფალი.

— მაშ მე მოვუტყუებდით ამ ნაპირებს — მე ეს მხარე სულ სხვა მეგონა, მე ჯერ არაფერი არ გამიგონია ამორძალების სამეფოს შესახებ. გამიშვი ჩემ გზაზე — შეეღმერთა მგზავრი, — მე წავალ, რომ ვნახო ჩემი სამშობლო ნაპირი.

— მაგრამ შენ არ გითქვამს, ვინ ხარ შენ? ან საით მიდიხარ? — შეეკითხა ტომირანდა. მაშინ მგზავრი მოუყვა, რომ მათ დიდი — ხანია დატოვეს ეს ქვეყანა და წავიდნენ აზიაში საომრად, რომ მათ დატოვეს სახლში ცოლები და ბავშვები, რომ ისინი დიდხანს იბრძოდნენ, რომ ბევრი მათგანი ომში დაიღუპა და ვინც გადაარჩინ, ეხლა ბრუნდებიან სახლში, რომ ის გამაგზავნილია წინ-და-წინ გააგებინოს მათი ჩამოსვლა. სამჯერ არ ამოვა კიდევ მთვარე, რომ ისინი აქ იქნებიან. ვინც ცოცხალი დარჩენ, მათ მოაქვთ აუარებელი ოქრო და ვერცხლი, ტყავები, ქსოვილები, ცხენები, იარაღი და სხვა კიდევ ბევრი ნადავლი.

ჩვენ მოგვყავს აუარებელი მონები და უფრო კიდევ მეტი მონა ქალები და ტყვეები. ეხლა ჩვენ შეგვიძლია დიდხანს კარგად ვიცხოვროთ, მე აქ დავტოვე ცოლი და ბავშვები — მათთვის მომაქს საჩუქრები — გამიშვით დედოფალი.

ტომირანდას სიხარულის ცოფი აღრჩობდა, როცა ისმენდა ამ ამბავს. ამდენი სიმდიდრე, ამდენი მონები, მონა ქალები და ტყვეები — საჭირო იყო, რომ ის თვითონ გამხდარიყო ამის პატრონი, მაგრამ როგორ? და ახალი დიდებული ბრწყინვალე გეგმა დაიბადა მის თავში.

— რა ქვია შენ ცოლს, მგზავრო? — კითხა ტომირანდამ.

— ასატრა... და მე მყავს კიდევ ბავში.

— შენი ბავში დიდხანია, რაც მოკვდა, მხოლოდ ასატრა ცოცხალია და მოგელის შენ.

— როგორ, შენ იცნობ იმას?..

— ისე, როგორც შენ მიცნობ, — მე ვარ ტომირანდა.

ამ სიტყვებმა ძალიან გააკვირვეს მგზავრი.

— როგორ, შენა ხარ ტომირანდა?

— მე ვარ ტომირანდა.

— ჩვენი წინამძღოლის ცოლი. მაგრამ რა სამეფოზე და ამორძალებზე ლაპარაკობდი და ან შენ რისი დედოფალი ხარ?



— ეს სამეფო მე დავაარსე.

თქვენ, რომ დაგვეტოვეთ ასე უმოწყალოთ, ჩვენ მოუარეთ თვითონ ჩვენ თავს, ჩვენ გვეყავს ჯარი და მე ვარ მისი წინამძღოლი.

ეს, რომ გაიგონა მგზავრმა მორთო სიცილ-ხარხარი და დაიწყო დაცინვა.

— მაშ ასატრა ამ დიდებულ ჯარში ყოფილა... მაშ ეს ყოფილა ამორძალები, განა ჩვენ ხომ არ მოგვიხდება აზიის ველურ ხედვებსა და თქვენი დამორჩილება. მგზავრი თანდათან უმატებდა დაცინვას.

— ტომირანდას რისხვას სახლვარი არ ჰქონდა.

— ჯერ მოიცა—ადრეა დაცინვა—არ გირჩევდი ჩემთან ხუმრობას კადნიერო და საწყალო კაცო. დაიყვირა ტომირანდამ.

— ან შეიძლება თვითონ ასატრა, იყოს თქვენი წინამძღოლი? ხითხითებდა მგზავრი—იქნებ მე ძიძათ წამიყვანოს თავის ბავშთან?..

მე გითხარი, რომ ასატრას შვილი არ ყავს, მან წყალში გადაისროლა, დიახ გადაისროლა, მე ვარ წინამძღოლი ჯარის და ასატრა ჩემი მახლობელი თანაშემწეა.

შენ კი ეხლავე უნდა დამემორჩილო და წამომყვე თან.

გაცოფებულმა მგზავრმა აიღო შუბი და გაექანა ტომირანდასკენ მაგრამ ამორძალის ცხენი გვერდზე გახტა ყალყზე ამდგარი, ტომირანდამ ამოიღო და ესროლა ისარი...

ისარი ხელში მოხვდა მგზავრს და შუბი ხელიდან გაუვარდა.

სისხლი ღვარივით წამოვიდა კრილობიდან და ცხელი წვეთები ამორძალს ფეხებზე მოესხა.

მეორე ისარი ტომირანდამ კიდევ ფეხში გაართყა მგზავრს. მგზავრი დაეცა.

— რომ მომენდომებია—შიგ გულში გაგართყამდი—შესძახა ტომირანდამ.

— აი, თურმე რა ჰყოფილან ამორძალები!.. თუ ყველანი ასეთები არიან, დამორჩილების მეტი არაფერი დაგვრჩენია.

— მგზავრი მიფორთხდა ამორძალთან და მორჩილების ნიშნათ აკოცა ფეხზე. ტომირანდამ უბრძანა, აიღოს მოტანილი ძღვენი და მისდიოს უკან, მიუხედავად ხელის და ფეხის კრილობისა.

უკვე გათენდა, როცა ისინი მივიდნენ ამორძალების ბანაკში.

ბანაკში უკვე დიდი მუშაობა იყო გაჩაღებული. კედლები თითქოს დასრულებული იყვნენ სამხრეთის კარებიდან შემოდრიოდა რაზმი, რომელსაც წინ მოსდევდა ამ დილით ნადავლი ცხენების ჯოგი.

მგზავრი უყურებდა ყველაფერ ამას და ფანტასტიურ ოცნებაში გადადიოდა—ლონე მიხდილი ის დაეგდო ტომირანდას ფეხის წინ.

მოაყვანიეს ასატრა—მაგრამ ასატრამ მხოლოდ გაციებულ გვამს მიუხსწრო.

დიდხანს უყურებდა ტომირანდა ასატრას, თითქო უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა მის გულში და მისი აზრები წაეკითხა.

ასატრა მიხვდა დედოფლის აზრს, და დაეცა მის ფეხთა ქვეშ და დაუკოცნა ფეხები



— მე მოვკალი ეს კაცი—და რამდენიმე დღის შემდეგ ეს ბელი ეწვეა ყველა თქვენ ქმრებს.

წაალებიეთ აქედან მკვდარი. გაწმინდეთ ისრები, ჩვენ ისინი კიდევ დაგვჭირდებიან. მალე ჩვენ ვიქნებით მდიდრები და ძლიერები. ჩვენ ქმრებს ბევრი სიმდიდრე მოაქვთ თურმე—ჩვენ იმათ დაეხოცავთ და ყველაფერი ჩვენი იქნება. სუსტი ოხვრა მოისმა ერთის გულიდან. ეს ფემა სტრასს და თავისი ქმარი, მისი ალერსი და ყველაფერი—შემდეგ ასატრას ქმარის ბედი და აღმოხდა ოხვრა—მას უყვარდა სიცოცხლე.

კარგია, რომ ეს ოხვრა ტომირანდას არ გაუგონია.

## 3

## სიკვდილის ჩოველი

მთელი სამი დღე ემზადებოდნენ ამორძალები, თავიანთ ქმრების შესახვედრად. შესწყდა ყველა მუშაობა—გარდა კედელის მოთავეებისა. ვისაც კი შეეძლო იარაღის ტარება გამოიყვანეს მოედანზე. ერთი მხრივ იყო საომარი მზადება—მეორე მხრავ მზეში გაოფლიანებული ამორძალები აშენებდნენ კედელს. სალამოს ციხეზე მუშაობა გათავდა და ყველანი გაემგზავრნენ მდინარე ტერმანდონაზე, რომ გაბანილიყვნენ. იქვე ძირს კლდეებთან თვითონ მდინარის პირში შესართავთან იდგა ახალი რაზმი ამორძალებისა, რომელიც გაემგზავნა ტომირანდას, რომ ეყურადებიათ ქმრების ჩამოსვლისთვის, რაზმები შეერთდნენ და მათ ხუმრობას და ოხუნჯობას არ ჰქონდა ბოლო.

ყველანი ელოდნენ რაღაც უჩვეულოს და საკვირველს. მეორე დღეს ტომირანდამ გასცა ბრძანება, რომ მთელი ჯარი შეკრებულყო მდინარე ტერმანდონაზე. დაიწყო დაღამება. ამორძალები უკვე მიჩვეული იყვნენ მორჩილებას და ელოდნენ დედოფლის ბრძანებას.

შემდეგ გამოჩნდა კიდევ ბნელაში დედოფლის ფიგურა. ამორძალებს შორის გაიარა ქრუანტელმა.

ასატრას ქმარის მაგალითზე მათ იცოდნენ, რომ ტომირანდას არ უყვარს ხუმრობა.

ტომირანდამ გადახედა ჯარს და დაიწყო ცხენიდან მაღალი ხმით:

— აქ პონტის მრისხანე ნაპირას, ტერმანდონის საღვთო მდინარეზე გიბრძანებთ:

ხვალ როგორც ვიცით ასატრას ქმრისაგან, მოვლენ ჩვენი ქმრები და ძმები. ჩვენ შევხვდებით მათ ქალაქ გარეთ; ჩვენ თან წამოვიღებთ ძღვენს, ღვინოს და საკმელს.

ჩვენ მათ გაუწყობთ ნადიმს და ვაჩვენებთ, რომ ძალიან გაგვიხარდა.

თუ გკითხონ სად არიან ჩვენი ბავშვები—უთხარით რომ დახოცეს.

— თუ გკითხონ სად არის ტანისამოსი—უთხარით, რომ ჩამოგვეხა სილარიბეში.

თუ გკითხონ ძუძუებზე. რამე უთხარით, რომ ზღვის ავადმყოფობამ ჩამოგვიარა.



— თქვენ შეგიძლიათ ეალერსოთ თქვენ ქმრებს.

მაგრამ გახსოვდეთ, რომ უთუოდ უნდა დაათროთ, შემდეგ როცა მთვრალეები და გალაღებული დაიძინებენ, თქვენ უნდა დაბრუნდეთ უკან ცხენებთან და არც შემდეგ მოხდება ამის შესახებ გაიგებთ.

მაგრამ ვაი, იმას, ვინც გამოიჩენს სიმბდალეს და უძღურებს ტომირანდა დიდხანს ეძებდა ვილაცას ჯარში. შემდეგ მისი კუთვნილება ჩერდენ ახლაზე.

— გახსოვს, ახლა, შენ რომ მიგაბა ქმარმა გარეულ ხარს და მინდორზე გააქცია... გახსოვს ის როგორ ხარობდა, როცა შენ ტანს ქვები და კენჭები ესობოდენ?

— მახსოვს, დედოფალო, და არც არასდროს დამავიწყდება, ჩემი იმედი გქონდეთ.

— პროტია, გახსოვს შენ, რომ დაგამწყვდია ქმარმა. ქვიან გამოქვაბულში და არ გაქმევდა საკმელს—მხოლოდ იმისთვის, რომ შენ დაგებადა ქალი და არა ვაჟი?

— მახსოვს და არც დამავიწყდება, დედოფალო.

მეც არ დამივიწყია არაფერი, გაათავა ტომირანდამ და არც არავის ვაპატიებ.

— გესმით თქვენ, ჩვენი ქალაქი მიუვალა. მე კიდევ მეტს გავაკეთებ თქვენთვის, თქვენ იქნებით მდიდრები, ძლიერები—თქვენ დაგიმორჩილებთ მეზობელ ტომებს, მხოლოდ მომყევით მე და მხოლოდ მე.

ტომირანდა ჩამოხტა ცხენიდან და დაჯდა ქვაზე, სათითაოდ მიდიოდენ ამორძალები და მორჩილების ნიშნათ უკოცნიდენ ფეხებს. ამის შემდეგ ტომირანდა დაბრუნდა ქალაქში და ელოდა მეორე დღეს.

ნაწილი ჯარი ტომირანდამ დილას გაგზავნა მდინარეზე, ნაწილს კიდევ მიქონდათ ხორავი, ღვინო, ცხერები, ხარები და სხვა.

დამხვედრი ანიშნებდენ, რომ შუა ზღვაზე გამოჩნდენ, როგორც შავი წერტილები მათი ქმრების ნავები.

მოვიდა მზის ჩასვლისას პირველი ნავი, მოსულებს ძალიან გაუკვირდათ, რომ შეხედეს ტიტველ ქალებს და მათ ღია თმებს—და მამაკაცურ გამოხედვას.

პირველად მათ დაუხვდა ტომირანდა და მიაართვა ძღვენი. მანვე აუხსნა მათი ძუძუების გაფუჭება და სხვა ამბები. და როცა მოათავა დაშორებისა და მარტო ყოფნის უბედურება და შეხვედრის ბედნიერების ამბავი, გადაწყვიტეს აქ გამართონ ზღვის პირას ნადიმი.

ზოგი ქმრები ვერ ცნობენ ცოლებს და ცოლები კიდევ ქმრებს. ამასობაში არჩევდენ ადგილს მოსასვენებლად კლდეების ახლო დასაბანაკებლად და თანდათან ნავებიდან გროვდებოდენ მამაკაცები.

მამაკაცებს, რომელთაც ნახეს აფრიკის ნაპირები და წითელ კანიანები—მაინცა და მაინც არ უკვირდათ ამორძალების ამბავი.

ზოგს კიდევ მოეყვანა წითელი კანიანი მხევალი ქალები, და თავიანთ კანონიერ ცოლებს—ამსახურებდენ მათ.



ამორძალების გულში საშინელი ბრაზი გროვდებოდა. ისინი ცნობის მოყვარეობით ათვალეირებდნენ მონა ქალებს.

მოვიდნენ გემები ნადავლი სიმდიდრით სავსენი. ნაპირზე ჩამოქონდათ ძვირფასი ბეწვეულები, სპილოს ძვლები, ოქრო, ყელსაბამი, ძვირფასი ქვები, იარაღი, ხეხილი, ქსოვილები და ბევრი კიდევ სხვა.

ამორძალების ცნობის მოყვარეობას საზღვარი არ ჰქონდა. ნაპირი დაემსგავსა ფანტასტიურ ბაზრობას, მაგრამ აქლემების ნახვამ ყველანი დააშინა. და ამორძალები შიშით აქეთ იქით გაიბნენ.

თვითონ ტომირანდაც განცვიფრდა.

მალე გამოიტანეს ნაპირზე აზიიდან წამოღებული კარავები.

ყველაზე დიდი ტომირანდას ქმარის წინამძღოლის კარავი იყო. მოჰქონდათ ტახტრევანზე წინამძღოლი, ის კიდევ ეალერსებოდა თავის წითელ კანიან მხევალ ქალს, რომელსაც ეცვა ჰაეროვანი, როგორც ღრუბელი ტანისამოსი.

მისი ტანი სრული კონტრასტი იყო ტომირანდას ამორძალურ ტანისგან.

წინამძღოლს, რომელსაც არასდროს არ ყვარებია თავისი ცოლი—ეხლა უფრო ეტყობოდა გულგრილობა და ზიზღით გადმოხედა ტომირანდას.

ტომირანდამ გულში ჩაიკლა წყენა.

ტომირანდას ამდენ სანახაობიდან თავბრუ ეხვეოდა. ის არ მიუშვეს წინამძღოლთან—სანამ არ მოაწყვეს კარავი.

მის ძლიერ ბუნებას ეზმანებოდა ქმრის ალერსი და ამ გრძნობით შედიოდა კარავში. ხედავს, მისი ქმარი ეალერსება ქალს, რომელიც გავს ჰაეროვან ასულს. ეს ქალი წევს რბილ ბალიშებში, აბრეშუმის ბეწვეულებში და მის სახეზე დამცინავი ღიმილი ისახება.

— ტომირანდა—უთხრა წინამძღოლმა ამიერიდან ეს არის შენი ქალბატონი, დაბრუნდი სახლში და ყველაფერი მოამზადე მაგის დასახვედრად წაილე ყველაფერი რაც საჭირო იყოს, გემის უფროსი მოგცემს ყველაფერს და მოაწყვე ძვირფასად ოთახები—შენი ქალბატონისათვის.

— განა მე არ უნდა ვიყო მაგის ქალბატონი? შეეკითხა ტომირანდა და გაფითრდა რისხვისაგან. შენ ალბად გზაში დალლილხარ და აზრი გებნევა, უთხარი შენ მხევალ ქალს, რომ მე ვარ მაგის ქალბატონი, შენი კანონიერი ცოლი და არ შეიძლება, როცა მე შემოვიდე ეს მანდ ეგდოს და ფეხზე არ წამოდგეს.

— კიდევ ერთი სიტყვა მეტი და მე შენ მოგკლავ—დაიღრიალა წინამძღოლმა. მე არც დაღალული ვარ და არც ავადა ვარ, და ვიცი რასაც ვიბრძანებ. შენც ისე იზამ, როგორც ვიბრძანე და რომ ეს დაგიმტკიცო... წინამძღოლმა შესწყვიტა ლაპარაკი და რაღაც გაუგებარ ენაზე მიმართა მხევალს.

ის კიდევ ხანტად ავიდა თავის ადგილიდან და დაჯდა კარავის შუაში მაღალ ბალიშზე, რომელიც ძალიან ჩამოგავდა ტახტს. ამის შემდეგ თავისი დიდრონი თვალებით უჩვენა ტომირანდას მიწაზე თავის ფეხებთან და წინამძღოლმა უთხრა თავის ცოლს:

— ამ ქალს უნდა, შენ თავკევე დაეშვა მაგის წინ და ისიც თავისუფლების ნიშნად ფეხს დაგადგამს თავზე.



- ტომირანდას აუკანკალდა კბილები—მაგრამ მაინც აასრულა ბრძანება.
- ლამაზი ქალი კიდევ იღიმებოდა.
- ტომირანდა განრთხული იყო მის ფეხებთან.

თავზე იგრძნო იმ ქალის ფეხი, უნდოდა ავარდნილიყო და ისაჩუქრებოდა. მაგრამ მოიგონა, რომ იარალი არა აქვს და იფრთხილდა. მოაგონდა ამაღამის გეგმები, რომ მის ხელშია მთელი სამეფოს ბედი—იყო ასეთ მდგომარეობაში, მხოლოდ იმისა ეშინოდა რომელიმე ამორძალს არ ენახა ასეთ ყოფაში.

ადექი. გახადე შენ ქალბატონს და დადექი ყარაულად კარავთან. ტომირანდამ გახადა მხევალ ქალს. მისი მშვენიერი რბილი ტანი სავსე იყო ახალგაზრდობით და სინორჩით და თან სურნელებით შეზავებული.

მხევალმა ქალმა კიდევ წინამძღოლს ჩამოხადა საჭურველი. კარავში დაბნელდა.

წინამძღოლმა დალია რალაც ტკბილი სასმელი, რომელიც მხევალმა მიუტანა და ლუდი ამორძალების მიტანილი კიდევ გადააქცია.

მხევალი ქალი დაწვა მის ფეხთან და ტომირანდა დადგა სადარაჯოზე. როცა მათ დაეძინათ, ტომირანდა ჩუმად გამოვიდა კარავიდან. ის უფიქრდებოდა ატანილ შეურაცყოფას, მაგრამ მალე ერთმა აზრმა დაფარა ყველაფერი. ცაზე ვარსკვლავები ბრწყინავდნენ და ბანაკში კოცონები აენთენ, მთვრალეების ორგია გრძელდება.

ტომირანდა მიდიოდა ბანაკის შუაგულში და უყურებდა შეზარხოშებულ მხედრებს.

ამორძალები, მხედრები და წითელ კანიანი მხევალი ქალები ერთმანეთში იყვნენ არეული, წითელ კანიანი ქალები იგონებდნენ თავის შეურაცხყოფას.

ტომირანდა მივიდა მდინარე ტერმადონასთან, აქ მას უცდიდნენ შეშფოთებული დანარჩენი ამორძალები. ამორძალები უცბად შეიარაღდნენ. თითქმის ყველანი დაბრუნებულიყვნენ. ზოგიერთები კიდევ ფხიზელ ქმრებს არ სცილდებოდნენ და აცლიდნენ იარაღს.

ტომირანდას არ სჭირდებოდა ბევრის მტკიცება, თითქმის ყველა ამორძალები გრძნობდნენ თავს შეურაცხყოფილად და მზად იყვნენ შურისძიებისათვის.

ტომირანდამ მაინც მიმართა სიტყვით.

კოცონები თანდათან ჰქრებოდნენ, მთვარე მიეფარა ღრუბლებს, ქარი ჩადგა, მხოლოდ ზღვა ღელავდა—მხოლოდ აქა იქ ისმოდა მთვრალი ამოძახილი რამდენიმე მხედარის და წითელ კანიანი ქალის ოხვრა და ზოგი კიდევ ძილათ მიგდებულყო.

შემდეგ ამორძალები გადაესიენ მდინარე ბანაკს. განსაკუთრებით ტომირანდა იბრძოდა. ქალებს ამორძალები არ კლავდნენ და გაიარეს ბანაკი როგორც სიკვდილის ანგელოზებმა.



## ტომირანდას სასახლე

ტომირანდას არ ეძინა. მას აგონდებოდა წუხანდელი ბრძოლა და იზმო-რებოდა კმაყოფილებით. მან წაიყვანა ამორძალები წუხანდელ ბრძოლის ველზე. ჯერ კიდევ ეყარენ მკვდრები და კოცონები იღვლიფებოდნენ, — ამორძალები გრძნობდნენ თავიანთ გამარჯვებას. მათ მიალწიეს წინამძღოლის ვაჭროვთან. ტომირანდა შეჩერდა და შეიხედა, შიგ მისი ქმრის ტანი ევლო ბაღის მესხში, თავი კიდევ ცალკე მივარდნილიყო, ცხედარის ფეხზე მიბმული იყო წითელ კანიანი მხევალი ქალი. ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მის თვალებში საშინელი ში-ში იხატებოდა.

ტომირანდას არ უნდოდა მისი სიკვდილი, ის ეძებდა უფრო საშინელ შურისძიებას. ჯერ მხოლოდ გადააბა მკვდარს — შემდეგ შევიდა კარავში, ჰკრა ფეხი მკვდარ ქმარს და გადააგდო სხვა მხარეზე. შემდეგ შესდგა ქუსლებით მხევალ ქალს და სხვა ამორძალებსაც აქელვინა ფეხებით. თან საშინელ სიტყვებს ეუბნებოდა თავის ენაზე. მაგრამ ამანაც ვერ მოუგო გული, უბრძანა წაიყვანონ მხევალი ქალაქში და დააბან ჯურღმულში. შემდეგ ამორძალები დაესიენ მკვდრებს და ისროდნენ ზღვაში. სხვა რაც იყო სიმდიდრე ამორძალებმა ჩაიტანეს ქალაქში.

მაღე ქალაქის კედელი სრულიად მოთავდა. კარის ბჭეებს იცავდნენ შეიარაღებული ამორძალები.

ამორძალებმა გაიყვეს სიმდიდრე და მოაწყვეს თავიანთი სახლები. ახლა ყველაფერი ბლომად ჰქონდათ, როგორც იარალი, ისე სიმდიდრე, მათი სოფელი სრულიად გამოიცივალა.

ტომირანდამ ქალაქს დაარქვა სახელად ტელისკირი და გამოაცხადა ამორძალების სამეფოს სატახტო ქალაქად. ქმრების მოყვანილი მონა ქალები ტომირანდას დარჩენ — ასეთები კი ბლომად იყვნენ, მან იმათგან განსაკუთრებული ამაღლა შეიდგინა თავის თავისათვის და იმათ უფროსად დააყენა ახლა, რომელსაც დაარქვა ქარიშხალი, გულადობისა და სიმარდისათვის.

ეხლა მას ყავდა მშვენიერი ჯარი. მრავალი ქალების სადარაჯო რაზმი და ფლოტი — ქმრების მოყვანილი ნაგებიდან — უმთავრესი ნაწილი ნადავლისა თვითონ ტომირანდას დარჩა — მათ შორის აღმოჩნდა ოქროს ქამარი უძვირფასესი პატიოსან ქვებით მოფენილი. ეს ქამარი მან შემოირტყა თავის მეფობის ნიშნათ. და გასცა ბრძანება, რომ არც ერთ ამორძალს ქამარი არ ეტარებია — ეს გამოცხადდა დედოფლის უხენაეს უფლებათ. შემდეგ მან აირჩია გამჭვირვალე ქსოვილი მხევალ ქალზე რომ ნახა ესეც მეფობის ნიშნად.

გავიდა ნახევარი წელი.

შუა ქალაქში აღსდგა მარმარილოს სასახლე. ქვებისათვის ძალიან შორს გაგზავნა ტომირანდამ ამორძალები პროტოას წინამძღოლობით. სასახლე მორთეს ნოხებით და სხვა ძვირფასი სამკაულებით.

ეს იყო ტომირანდას სასახლე. ეხლა კი მოისურვა თავის ქვეშევრდომებისთვის მიეცა კანონმდებლობა. მოიწვია სასახლეში ყველაზე უფრო გავლე-



ნიანი და ქვეიანი ამორძალები და იმათთან ერთად დაიწყო ახალ კანონებზე ბჭობა. ახალი კანონით ტომირანდა თავისი სიცოცხლეში უნდა ყოფილიყო მეფეთ. ამორძალები ხდებოდენ მისი ქვეშევრდომები და უნდა დამორჩილებულიყვენ ყოველ პირობის გარეშე.

მას ჰქონდა უფლება მათი სიცოცხლისა და სიკვდილისა. არაფითარი გა-  
დასახადი კი არ დაუწესებია.

მხოლოდ სასახლეში უნდა მიეტანათ, რაც იყო საჭირო და ემსახურათ ჯარში.

რამოდენიმე ამორძალები ამოიჩნია, საერთო წრიდან გამოჰყო და მხოლოდ მასთან უნდა ემსახურათ. ამორძალები მის დანახვაზე უნდა დაეარდნილიყვნენ მის ფეხებთან და ნიშნათ კეთილგანწყობილებისა, მხოლოდ რჩეულთა შეეძლოთ მისი ფეხის კოცნა. ვინც ამისი ღირსი გახდებოდა—ეს იყო დედოფლის რჩეული და სხვა ამორძალები უნდა მოკრძალებოდენ მათ და მიეტათ პირველი ადგილი.

საერთოდ ტომირანდას ზვიადად ეჭირა თავი, რაც მოაწყო სამეფო და მამაკაცები დაწყვიტა—თითქო ის მალლიდან არის დანიშნული ამ დიდი საქმისათვის.

ხანდისხან თავის მარმარილოს სასახლეში მას თვითონ თავის თავი წარმოუდგებოდა იმ უმაღლეს არსებათ, რომელზედაც ეუბნებოდენ მშიშარა ამორძალები.

ასატრამ თავისი ხელით ამოკრა მარმარილოდან ტომირანდას ქანდაკება. დასდო სასახლის წინ და გაუკეთა სამსხვერპლო, რომელიც აღმოჩნდა გემში და რომელიც აგრეთვე ქმრებს მოეტანათ აზიიდან.

ტომირანდას ძალიან მოეწონა ეს ამბავი და გადაახურვია ქანდაკება, თანაც ბრძანება გასცა, რომ ღვთის მსახურება დაეწყოთ: გუნდრუკის კმევვა და მსხვერპლის მოტანა. აქ ამორძალები დაემხობიენ თავქვე და ლოცულობენ ტომირანდას, თან მოქონდათ აუარებელი შესაწირავი.

ქურუმების უფროსად ტომირანდამ დანიშნა ასატრა. ტომირანდა დილით ისევ ადრე სდგებოდა, გაიარდა ცხენით ქალაქში და ზღვის ნაპირზე. შემდეგ დაბრუნდებოდა ქალაქში და შეუდგებოდა საქმეებს—უფრო კი ასამართლებდა ხალხს. ან ამტკიცებდა ან უარყოფდა იმას, რასაც გადაწყვეტდა მსაჯულთ უხუცესი, რომლის ადგილას მან დანიშნა პალა.

ამის შემდეგ დედოფალი ისადილებდა და ისვენებდა. ჯარების უფროსი იყო პროტოა.

შინაურ საქმეებს განაგებდა, და დედოფლის ცხენს უვლიდა ამორძალი მენალიპა, რომელიც იყო მისი მარჯვენა ხელი და მეფისნაცვალი.

მენალიპა დააწვეუნდა ტომირანდას. სადილის დროს ემსახურებოდა, ტანთ გახდიდა და უყურებდა თავქვე დამხობილი, სანამ დედოფალი არ დაიძინებდა. მენალიპას ბედი ბევრ ამორძალს ეშურებოდა.

ყველა ვინც შემჩნეული იქნებოდა მამაკაცებთან კავშირში, ან თავისთან ან ტყვეთ მოიყვანდა მამაკაცებს მას უთუოდ სასტიკი დასჯა მოელოდა.



დამნაშავეს მოამბავდენ გარეულ ხარს და გაუშვებდენ მინდორში. მაგრამ ჯერ ვერავის გაებედა. ასეთი სასჯელი ვინც დედოფალს შეურაცხყოფდა დაამწყვდევდენ ჯურღმულში და იქ სიმშლით ამოძვებოდა სულს, შერე კი დათხრიდენ თვალებს. სამეფოს ღალატისათვის დამნაშავეს გადააგდებდენ კლდიდან ზღვაში.

ამორძალები ძალიან თავშეკავებული იყვენ. მაგრამ <sup>ერისუფლის</sup> ~~ინგლისის~~ გულზე აწვა საშინელ ლოდით ამორძალის დესპოტია.

## 5

## ფ ე მ ა

იმ დღიდან რაც ამორძალებმა ქმრები დახოცეს, ფემა სადღაც გაქრა. არც იმ ღამეს და არც მის შემდეგ ის არავის უნახავს. ამ დროს ან ვინ მიაქცევდა მას ყურადღებას, არც ნადავლის გაყოფის დროს მოიგონეს—მხოლოდ ერთხელ პალამ მოახსენა დედოფალს, რომ ფემა არ სჩანს და არც იციან სად არის.

— ტომირანდამ გასცა ბრძანება უთუოდ მონახონ.

დღეები მიდიოდენ, ფემა კი არსად სჩანდა.

ფემა იმ დღესვე, როცა ამორძალებმა გადაწყვიტეს ქმრების სიკვდილი, მივიდა ბანაკში—მონახა თავისი ქმარი. ქმარს ძალიან უყვარდა ფემა—მაგრამ ფემას არ გაუცია ხმა—უთხრა მხოლოდ თუ გინდა რომ არ დაიღუპო, მზე რომ ჩავა, მოდი იმ ადგილას, სადაც მე და შენ პირველად შევხვდით ერთმანეთსო.

ქალები, რომ დაბრუნდენ ქალაქში იარაღის წამოსაღებად ფემა მათ გამოჰყვა მაგრამ დაბრუნებისას მან ისარგებლა სიბნელით და გადაუხვია ზღვისაკენ.

ორჯერ—სამჯერ მოესმა ხმა, რომ უძახოდენ ამორძალები, მაგრამ მას თითქოს არ გაუგონია. სხვებმა იფიქრეს, რომ წინ წავიდა და გაჩერდენ. ვარსკვლავები უჩვენებენ გზას, მიაღწია კიდევ ზღვის ნაპირს, მას ეზმანება ქმრის აღერსი და უხარია, რომ გადარჩა პრისხანე დედოფალს. ეს ადგილი წინათაც იყო მათი შეხვედრის ადგილი. ქმარი ნახულობს ფემას.

აქ მოხდა მათი შეხვედრა და პირველი მიაღერსება. ფემამ ყველაფერი უამბო თავის ქმარს. მას უნდოდა მიშველებოდა თავის ამხანაგებს, მაგრამ ფემა ეუბნება, რომ ეხლა უკვე გვიან არის, რომ ის ვერაფერს ვერ გაბედავს, ამდენ შეიარაღებულ ამორძალების წინააღმდეგ.

მათ გადასწყვიტეს ამ გამოქვაბულში დარჩენა უკეთეს შემთხვევამდე. კაცმა ისარგებლა შემთხვევით და, როცა ამორძალები გართული იყვნენ ომში, მოხსნა თავისი გემი, ჩააწყო შიგ ყველაფერი, რაც საჭირო იყო და წავიდა ზღვაში. მივიდნენ იმავე გამოქვაბულში.

ტყვილად ლანძღავ შენ ტომირანდას, ხედავ რა ღონიერი და გულადათ გადაუქცევინარ ფემა.

ფემა იცინის. ქმარს უხაროდა მისი სიმკვირცხლე და მალი-მალ გადაატანიებდა ტომრებს და სხვა ნივთებს გემიდან.



კაცმა გააბა გრძელი ბაწარი გამოქვაბულში, რომ გზა არ დაბნეოდა მოაწყვეს თავიანთი კუთხე მშვენივრათ ბალიშებით და ნოხებით, ლეპარდებისა და ლომების ტყავეებით. მერე საგზლად მთელი ჯოგი ცხვრებისა შორეულს. დღე სცხოვრობდენ გამოქვაბულში, ღამე კიდევ გამოდიოდენ ზღვაზე სასაჩინოთ.

დღეები ღამეებს აგავდენ და ღამეები დღეებს, ფემამ კვანძებს ვალამაზდა. ქმარი გამოუტანდა ლევანტის წებოს, ანთებდა და მის შესესე ფემა მოსჩანდა, როგორც თანტასტიური სიკეკლუცე.

მის სილამაზეს მხოლოდ ტომირანდასგან მოკრილი ძუძუ აფუჭებდა — ქმარიც ვალამაზებულყო, დაეაქაცებულყო. მთელი დღეები ისინი ელაპარაკებოდენ ერთი მეორეს.

ის უყვებოდა ამორძალების ცხოვრებიდან, ქმარი კი თავის თავგადასავალს შორეულ აზიაში ომის დროს.

კაცი ასწავლიდა ფემას წითელ კანიანების ენას და თან ოცნებობდენ თუ ზღვა დაწყნარდებოდა წასულიყვენ სხვა ქვეყანაში. ღამე გამოათრევდენ თავიანთ ნავს. იჭერდენ თევზებს, დილას ძალიან ადრე ესროდენ ისარს არწივს ან რომელიმე ზღვის ფრინველს და როგორც ცა განათდებოდა, ისევ დაიმალებოდენ გამოქვაბულში.

ტომირანდა თანდათან შორს მიდიოდა თავის ოცნებაში, მას მოსწყინდა თავის გაღმერთება, გუნდრუკი და ამორძალების მორჩილება და მოინდომა თანდათან გააფართოვოს თავისი სამეფო.

ტომირანდა უბრძანებს მენალიპას ღამე გამოიყვანოს ცხენი: მენალიპას სძინავს მის ფეხებთან, ჯერ არ ესმოდა დაძახება, შემდეგ წამოვარდება შეშინებული. მენალიპა უშლის დედოფალს, მაგრამ დედოფალი არ იჯერებს და შეუკაზმავენ ცხენს, ის გაიარს თავის ნაჩვევ კლდეებისაკენ ახალი გევგების დასაწყობად. დიდებულია დილის გაღვიძება შავ ზღვაზე. უცებ მას მოესმის რალაც ჩურჩული: ტომირანდა დააკვირდება და ხედავს ორ ლანდს, რომელნიც უახლოვდებიან გამოქვაბულს.

ტომირანდას თვითონ შეეშინდა ამ ჩრდილებისა, რადგან ეს მიუვალი ადვილი იყო და ეგონა, რომ ეს არიან ღმერთები და უნდათ მისი დასჯა თავის გაღმერთებისათვის. შეძდეგ მას ესმის ხმა:

ლაპარაკობს ფემა და მისი ქმარი.

საშინელი რისხვა გაიარს ტომირანდას სახეზე. მე შენ გაჩვენებ, როგორ დაემალო ღმერთ ქალ ტომირანდას.

ტომირანდა მრისხანე დაბრუნდება სასახლეში. მზე ამოდის ქალაქზე. ტომირანდას ტადრიდან ისმის ღვთისმსახურება და გუნდრუკი ღრუბელივით მიდის ცისკენ. — სასახლესთან სდგას ცხენოსანი რაზმი მონა ქალებისა.

იქვე არიან: ახალი, მათი უფროსი, ჯარების უფროსი პროტოა, მსაჯულთ უხუცესი პალა. მენალიპამ ჩამოართვა ცხენი დედოფალს საშინელი კანკალით, ყველანი დაემხენ დედოფლის წინ — მაგრამ მის სახეზე არაფერი არ სჩანს, რისხვის გარდა და შევარდება თავის ოთახში.



ცოტა ხნის შემდეგ მოითხოვს პალას. ყველას შიშით აკანკალებს. პალაც შეშინებულია და გაფითრებული, დაემხო პირქვე და უკეთებს მოხსენებას მიმდინარე საქმეებზე. ტომირანდა—უსმენს. მაგრამ მის სახეზე მაინც საშინელი რისხვაა.

— უკვე რამდენიმე თვეა შენ ჯურღმულში ამწყვდევი, შენც კმარა მხევალი, დიდებული ღმერთო ქალო, რას გვიბრძანებ. რა უნდა გუფიქროს?

— მალე შენ დაიკავებ ალბად იმ მხევალი ქალის ადგილს. პალას შიშით გააცივა.

— მეარ გაგხადე შენ ყველაფრად (აქ ჩამოთვლილია თუ საჭირო იქნება).

— მე გიბრძანე შენ უთუოდ მოგენახა ფემა—სად არის იგი.

პალა ეუბნება, რომ ყველგან გააგზავნა მღვერები და ითხოვს სამ დღეს ვადათ კიდევ, რომ მონახოს. მაშინ ტომირანდა ეუბნება ფემას ბინას. კმარი მოჰკალით, ფემა კი აქ მომგვარეთ. ფემა იმ მხევალ ქალთან დააბით.

პალა გამოდის. შედის ტაძარში, კოცნის ტომირანდას ფეხს, მიიღებს ამატრიდან კურთხევას და ხუთი ამორძალებით გაუდგება გზას კლდეებისაკენ.

დიდხანს ეძებენ, უნდათ კიდევ უკან დაბრუნება, შემდეგ ნახულობენ ბაწარს და მიაგნებენ ცოლქმარს ერთმანეთის ალერსში, პალას და სხვა ამორძალებს ძალიან გაუკვირდებათ, რამდენი ხანია არც იციან რაა ალერსი მამაკაცის.

კაცს გაუკრავენ ხელს და გადააგდებენ კლდიდან ზღვაში.

ფემას მიაგნავენ პალას ცხენს და მიჰყავთ სასახლეში. პალა მიდის დედოფალთან, მაგრამ მონალიპა არ უშვებს. მაშინ—ის ეტყვის რაც უნდა გადასცეს და მიჰყავს ფემა, რომ დააბას ჯურღმულში: ჯურღმულში სცივა, ნესტია და სხვა რალაც ფრინველები დაცოცავენ.

ფემა რჩება ჯურღმულში.

პალა მიდის ტაძარში სალოცავად, რომ გადარჩა დედოფლის რისხვას.

ფემას გული უწუხდება და სტირის.

6

### ქ ლ ი ბ ე ვ რ ა

სანამ ფემა და საწყალი მხევალი ქალი ერთად იტანჯებოდნენ გვერდით ფერდზე მიბრუნებული—და ტომირანდა ნებიერობდა გამარჯვებით, ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ტელისკირში მოვიდნენ ელჩები. დილას ადრიანად გაისმა ქალაქის კედელთან რალაც ინსტრუმენტების ხმა, რომელიც წინათ არავის გაეგონა. ეს ელჩები უკრავდნენ რალაც რქებზე გაჩეთებულ ტომრებით, რომელიც ხარის ბუშტიდან იყვნენ გაბერილი და ხან გაიბერებოდნენ და ხან დაიკუმშებოდნენ.

ამორძალების ყარაულები გაჰკვირდნენ. ეს პირველი გულადი მამაკაცები, რომელნიც მოუახლოვდნენ ქალაქის კარებს. ამორძალების უფროსმა გაგზავნა ქალაქში კაცი ბრძანების მისაღებად. ცოტა ხნის შემდეგ ისინი დაბრუნდნენ და მოიტანეს გასაშვები ნიშანი. მამაკაცები შემოვიდნენ ქალაქში თან მიჰქონ-



დათ აუარებელი ძღვენი, ჯოგი ცხვრებისა და ცხენებისა, ხარები, კამეჩები და სხვა. ჯორები—ყველანი დატვირთული იყვნენ საქონლით მოგზაურებზე დაკითხვისთვის მოუყვანეს პალას. მან ისინი მიიღო მწყრალად და თავიდან ფეხება მდე ჩაათვალიერა. ტომირანდას დაშინებული პალა ეხლა უფრო ქვიან და დაკვირვებული შეიქმნა.

პალამ ჩამოართვა მათ თავიანთი მოკლე დანები, უკან ჩაიხიჩქინა გარკობილი და ჰკითხა, რისთვის მოვიდნენ.

ჩვენ მეზობელი ტომების ელჩები ვართ—მოვედით, რომ წარუდგეთ თქვენ ბრწყინვალე და ძლიერ დედოფალს. ჩვენ გვინდა მოუტანოთ ძღვენი და ვთხოვთ მოწყალება. პალამ ჩაათვალიერა კიდევ. შემდეგ მიუყენა მცველები და წავიდა სასახლეში მოსახსენებლად. აქ ის წარუდგა მონალიპას, რომელმაც მიიღო გულმოწყალებით.

შენ აქ მოიცადე და მე მოვახსენებ.

მალე მოვიდა მონალიპა.

მოახსენე მათ, რომ დიდებული დედოფალი დათანხმდა მიიღოს ელჩები.

პალა სანამდე წავიდოდა, მენალიპამ გასცა ბრძანება ქალაქი მორწყონ. ტაძარი გააჩაღონ. მგზავრებმა იბანავეს ტერმადონაში, ჩაიცვეს ახალი ტანისამოსი და მივიდნენ ტაძარში და მუხლები მოიყარეს ტომირანდას ქანდაკების წინაშე. გუნდრუკი უკმეის, ძღვენი დააწყვეს და მზაკვრად ორი ხარი მიუტანეს. ასატრა ამორძალების ხოროთი მღეროდა ჰიმნებს. ტომირანდა იდგა სასახლესთან და ისმენდა საგალობელს, როცა გაათავეს, უბრძანა მენალიპას შემოსოს გამჭირვალე ქსოვილით, რომლის ქვეშ მოსჩანდა ძვირფასი ქამარი. შემდეგ ის დაჯდა ქვის ტახტზე და უბრძანა შემოიყვანონ ელჩები.

შემოიყვანეს მგზავრები: მათ მიიხედ-მოიხედეს და გაკვირდნენ, როცა ნახეს დედოფალი. დაეცნ მის წინ პირქვე. ტომირანდა უბრძანებს მენალიპას, გამოკითხონ რა უნდათ მგზავრებმა.

მწყემსებმა აუხსნეს, რომ ისინი მეზობელ ტომების წარმომადგენელი არიან, რომ ისინი არიან მეცხვარეები, რომ ცხოვრობენ მშვიდათ, სანამ ამორძალები არ გამოჩნდნენ და არ დაესხენ თავზე. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს—პროტოა სწავს სოფლებს, კლავს მამაკაცებს და ქალები მიყავს ტყვეებათ—ეხლა ისინი მოვიდნენ დედოფალთან სთხოვონ შეწყნარება და ელჩი დაეცა დედოფლის ფეხთქვეშ.

— უთხარით, რომ დაგვიბრუნონ ქალები და ჩვენ მოვალეთ ვრაცხავთ ჩვენ თავს მოვიტანოთ რაც გვაბადია და რაც თქვენ მოგვთხოვთ, მხოლოდ შესწყვიტეთ თავდასხმა.

აქ, ელჩები დააწყობენ რაც მოუტანიათ. ამის შემდეგ მათ მორჩილების ნიშნათ აკოცეს ტომირანდას, ტახტის კიდეს დასდევს ტომირანდას ფეხებთან ერთი მუჭა მიწა და ერთი თასი წყალი.

ტომირანდას თითქოს არც დაუნახავს ლამაზი მწყემსები, შორს იხედებოდა და გადასცა მენალიპას, რომ ორი დღის შემდეგ გაიგებენ პასუხს, მანამდე უბრძანა კარგად შეინახონ სტუმრები და ძღვენი აკრიბონ. ტომირანდას სიამაყეს საზღვარი არა ჰქონდა, მან დანიშნა ჯარების აღლუმი.



ჯარი მიდიოდა დედოფლის წინ პროტოას ხელმძღვანელობით. წინ მიუძღვებოდა დამცველი რაზმი ახლას მეთაურობით. ტომირანდას ბრძანებით ამორძალები ერთმანეთში აირიეს და საშინელი ქარიშხალი გაჩნდა ისრების სროლიდან. ისრები სტუმრების თავზე გადადიოდნენ—მათ ნაცრის ფერი ედოთ და ტომირანდა ზიზლით უყურებდა იმ მშიშარა მამაკაცებს.

უცებ ტომირანდამ აიღო შვილდი და ისროლა ისარი სტუმრისაკენ; ყველანი შიშით წაიქცნენ. ისარი იქვე დაეცა ახლო; ამას მოჰყვა მეორე და მალე მწყემსების გარშემო დადგა ისრების ლობე, ეხლა მოეწყო ცერემონიული დედოფლის უკან დაბრუნების. წინ მიდიოდა ქურუმთა ქურუმები საცეცხლელებით, რომელნიც მღეროდნენ ჰიმნებს, შემდეგ ახლა დამცველი რაზმის თავში, შემდეგ მენალიპას მიყავდა დედოფლის ცხენი. მერე ფეხით მიდიოდნენ პალა და რამოდენიმე რჩეული ამორძალი და მათ შორის კლიტევრა ახალგაზრდა და ლამაზი ამორძალი დიდებული ცეცხლის თმებით—ტომირანდამ უკანასკნელად მას მიაქცია ყურადღება, გაანთავისუფლა ქურუმობიდან და გაიხადა სასახლის მოსამსახურეთ, მას შეეძლო დედოფლის საწოლ ოთახში შესვლა და ხანდისხან შეცვლიდა მენალიპას.

მენალიპას ეს არ მოსწონდა. წუხელისაც კლიტევრა დასტოვა დედოფალმა თავისთან სასახლეში. კლიტევრას ყელზე ეკიდა მშვენიერი მარგალიტის საყულო, ეს იყო ნიშანი წუხანდელი დედოფლის წყალობისა.

შემდეგ მიდიოდნენ სტუმრები მორჩილების ნიშნათ ხელშეკრული, შემდეგ ცალკე ქალები ფეხებშეკრული, რომელნიც ბორძიკობდნენ. შემდეგ ექვს ამორძალს მოჰქონდა ტომირანდას ტახტრევანი, რომელზედაც იჯდა დედოფალი ამჟამად. პროცესიას ათავებდა ჯარი, პროტოას მეთაურობით. შემდეგ პროცესია გაჩერდა სასახლესთან. ტომირანდა დიდი ზეიმით შეიყვანეს სასახლეში. ამორძალები ჩამოხტნენ ცხენებიდან და თავები დახარეს მიწასთან. ტომირანდას შეყვენიან კლიტევრა და მენალიპა.

— შენ დარჩი მთელი ღამით ჩემთან, კლიტევრა.

— შენ კი მენალიპა წახვალ დასაძინებლად.

— მაგრამ მე არ დავლლილვარ დედოფალო და ნუ მომაკლებ შენი სახის შეხედვის ბედნიერებას.

— კიდევ ერთი სიტყვა და შენ სამუდამოდ დაკარგავ მაგ ბედნიერებას. მენალიპა მხად იყო დამორჩილებოდა, რომ კლიტევრამ შესძახა.

— დედოფალო, მე ჯერ არ მეძინება, მე მინდა ვნახო უცხო მგზავრები და ამოვირჩიო შენ პატარა კრავი.

— წადი პატარა გოგო, მხოლოდ მალე დაბრუნდი, ისეთი სინაზე ჯერ არავის უნახავს ტომირანდასაგან.

კლიტევრა დაემხო დედოფლის სარეცელის წინაშე და მისი სპილენძის თმების ნიაღვარი, დაიღვარა მარმარილოს იატაკზე და გამოჩნდა ქალის დიდებული სილამაზე. მენალიპამ შეასწრო თვალი, რომ დედოფალი სიამოვნებით შესცქეროდა ქალს. შემდეგ კლიტევრამ აკოცა ფეხებზე დედოფალს და გავარდა გარეთ.



დედოფალი მაინც მარტო დარჩა. მან გაგზავნა მენალიპა, რომ გასცეს ბრძანება აუშვან ხელები მგზავრებს, აჩვენონ ქალაქის შესანიშნავი ადგილები და თანაც კარგად გაუმასპინძლდნენ.

ტომირანდამ მიიღო მათი მორჩილება, აპატია ყველაფერი, თუ მოიტანენ ხარკს და აგრეთვე გასცა ბრძანება მიეცათ მათი ტყვე ქალაქის მენალიპამ რაღაც ჩასჩულჩულა ყურში პალას; უკანასკნელი სიხარულმა გამოაღწია ქალაქი როგორმე ასიამოვნოს დედოფალის რჩეულს.

ტელისკირის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქალაქის ყრუ ნაწილში გაშენებული იყო დაჩრდილული ბაღი მოხუცი ამორძალ ქალის ამალიასი. ამალიას მეტად კარგი ხასიათი ჰქონდა, იყო იშვიათი მხიარული და უდარდელი, სანამ შეეძლო იყო ამორძალი, როცა დაბერდა მერე ხელი მიჰყო ლუდის გამოხდას და ხელში ჩაიგდო მთელ ქალაქში ლუდის მონოპოლია.

მაღე მისი ბაღი ქალაქში ყველაზე უფრო მხიარული ადგილი გახდა.

ბაღი დიდებულათ იყო მოწყობილი. ჩანჩქერებით და ლეოპარდისა და ლომის ტყავებით. მიწაში იყო დამარხული დიდი ქური, რომელშიაც ქარვის ღვინო იყო ჩასხმული. ამორძალებს ძალიან უყვარდათ ბაღში სიარული. ამაღა ხვდებოდა დიდი ამბით. გამოჰქონდა ყველაფერი, უფენდა ტყავებს და სხვა. ამორძალებსაც მოჰქონდათ ყველაფერი. განსაკუთრებით დიდი დღესასწაული იყო ხოლმე „ტომირანდას დღე“-ს ანუ „განთავისუფლების დღეს“. ეს დღე იყო ამორძალთა სამეფოს დაარსების მოგონების დღე.

დღეს აქ იყო გამართული დიდი ქეიფი. მტანჯველი იყო ტომირანდას ტირანია და ამიტომ ქეიფის დროს ამორძალები უფრო გამძაფრებით ეძლეოდნენ თავისუფლებას, თანაც არ იკლებდნენ და კანონმდებლობას სასტიკ კრიტიკას უკეთებდნენ. მხოლოდ ტომირანდას ღვთიურ პიროვნებას ჯერ მაინც ვერ ეხებოდნენ, სამაგიეროთ მისი ახლობელ ქალებს: მენალიპას, პალას, პროტოას და სხვებს ხვდებოდათ ძალიან, თუმცა მათი შიშით ამორძალები ძლივს იბრუნებდნენ სულს.

ბაღი სავსე იყო როცა შემოვიდნენ უცხოელები. ისინი იყვნენ ლამაზი მამაკაცები: ერთი საშუალო ტანის—ბრიუნეტი, ცოტა ხნიერი. მეორე—ქერა, მაღალი და ცისფერი თვალებით, თანაც ძალიან ახალგაზრდა.

მოკლე კაბა, რომელიც მას ეცვა, ვერ მალავდა მისი ტანის სილამაზეს, ორთავეს ეკიდათ სალამურები, რომლითაც დღეს მოადგენ ქალაქს. მათ შემოყვანა ბაღში ლამაზი კლიტევრაც. ის მიჯდა ერთი დიდ ხის ქვეშ და განიერი თვალებით მიშტერებოდა უცხოელებს, მისი თვალები ვერ მალავდნენ ვნებას.

ამალიამ მიართვა სტუმრებს ლუდი.

ამორძალები მოეხვიენ უცხოელებს და ეკითხებოდნენ სხვადასხვა ამბებს. მათ ძალიან გაუკვირდათ, რომ ამ ტომს მეფე არ ყავთ და ყველა საკითხებს თვითონ ხალხი სწყვეტს.

ეს იყო ნამდვილი კომუნა.

მწყემსები ამბობენ, რომ ისინი ერთ და იმავე დროს მწყემსებიც არიან და მხედრებიც, რომ არავის თავს არ ესხმიან, თუ მათ არ დაეცენ თავზე, რომ



ისინი თაყვანს სცემენ მხოლოდ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. ლუდი იღეოდა და თანაც ლაპარაკს შნო ეძლეოდა.

და უმატეს ხმას უცხოელებმა და თანაც ამოიღეს თავიანთი საღმრთოები. მალე კლიტევრა წამოხტა და წინ დაუჯდა უცხოელებს. ახალგაზრდა მწყემსი ეალერსება კლიტევრას და თან უსხამს ლუდს. ორთავეს გაუჩუქეს უჩუქებელი. ორგია გრძელდება. ამორძალები სასტიკად დათვრენ. მწყემსებმა წაიყვანეს კლიტევრა მახლობელ გამოქვაბულში. კლიტევრას დაავიწყდა ყველაფერი, ტომირანდა და ამორძალობაც და ახალგაზრდული ვნებით მიეცა თავდავიწყებას. ტომირანდას საწყალ ფავორიტკას უდარაჯებდა პალა და აკი მოასწრო კიდევ...

კლიტევრა გაფითრდა. ის ემუდარება ახალგაზრდა მწყემსს თან წაიყვანოს თავის ქვეყანაში. მას მოსწყინდა სასახლე და ამის გარდა არის რაღაც უჩვეულო თვით ტომირანდას მისდამი სიყვარულში.

მწყემსიც ეალერსება და პირდება თავის ქვეყანაში გადამალვას. მწყემსი სხვა მხარეს წავიდა, კლიტევრას უნდა ტანი დაებანა მდინარეში და სასახლეში წასულიყო, რომ ამ დროს თავზე ესხმება ახლა, თავისი მცველი რაზმით და ატუსაღებს კლიტევრას და ასე მიყავთ კლიტევრა სასახლეში.

სასახლის ძირს ოთახში გაიმართა სასამართლო:

სულ მალლა ზის მსაჯულთ უხუცესი პალა, ძირს კიდევ სხვა კიბეებზე არეობაგი მოსამართლეთა და დაიწყეს გასამართლება კლიტევრასი, რომელსაც ჯერ კიდევ არ მოსცილებია ბედნიერების ნამი სახეზე.

— თქვენ წინ არის ამორძალი, რომელმაც დაარღვია კანონი, რომელმაც არ აასრულა ტომირანდას პირობა—ტომირანდას სახელზე მსაჯულები პირქვე დაეცნენ.

— კლიტევრა მე თვითონ მოვასწარი მამაკაცთან.

— რისი ღირსია კლიტევრა?

— სიკვდილისა, სიკვდილისა—ტომირანდას კანონით და ამორძალები ისევ დაემხენ პირქვე.

— მე გეტყვით განაჩენს: და პალა გავიდა. კლიტევრა კი დარჩა მარტო. სასამართლო დაიშალა. პალა შევიდა სასახლეში, მას შეხვდა მენალიპა და ბოროტმა ღიმილმა გადაუარა სახეზე. პალა ყველაფერს მოპყვა, მენალიპამ აკოცა პალას დიდი დავალებით. მენალიპა წავიდა დედოფალთან. ამ დროს ხალხს კიდევ გაეგო ეს ამბავი და სასჯელის მოლოდინში მოაწყდა სასახლეს, მენალიპამ ყველაფერი მოახსენა დედოფალს, დედოფალი გაწყრა.

— შენ სტყუი საძაგელო, მაშინ მენალიპა მოყვა, რომ ამის შესახებ ყველამ იცის, რომ სასამართლომ კიდევ გამოიტანა განაჩენი. ტომირანდა მიხვდა, რომ ამორძალებს ძალით დაეჩქარებიათ საქმე. შემოყავთ კლიტევრა.

კლიტევრას შეეკითხა ტომირანდა, რაშიც სდებდენ ბრალს. კლიტევრა ადასტურებს და ამბობს, რომ მას შეუყვარდა ის ახალგაზრდა მწყემსი. ტომირანდას ახრჩობს ბრაზი. გასცემს ბრძანებას მოკლან კლიტევრა. პალა და მენალიპა იმის მაგიერ რომ დაესაჩუქრებინათ, კიდევ დატუქსეს.



შემდეგ კი გახლებულ ხარს, რომელსაც ესროლეს ისრები, ბაწრით მიბ-  
მული კლიტევრა მიჰქონდა მინდორში. მალე მისი ლამაზი სხეულს მაგიერ  
მხოლოდ უმსგავსო ძორი ეგდო.

7



ქართული

ტომირანდა ჩაიკეტა სასახლეში რამოდენიმე დღეს. არაფერს მძებდა.  
გასცა ბრძანება ქალაქში ღვთის მსახურება შეეჩერებიათ. სატახტო ქალაქი  
ტრაურში გაეხვია, ყველაფერი გავდა უწინდელ უბრალო ქალაქს. ყველანი და-  
დიოდენ დამწუხრებული და ნალელიანი.

ტომირანდას ეჩვენებოდა ლამაზი კლიტევრა—რომელმაც არჩია დედო-  
ფალს მეცხვარე: თუ ეს ლამაზი გოგო დაიღუპა, მაშინ სხვები რატომ ცხოვრო-  
ბენ? ტომირანდა ხვდებოდა, რომ კლიტევრა დაჰლუპეს მისმა ახლობელმა ამო-  
რძალებმა და მის გულში საშინელი შურისძიება გუბდებოდა. ტომირანდაში  
თანდათან იღვიძებდა ქალი. მას მოწყინდა უკვე სახელი და დიდება, მას უნდა  
სისხლი, ტომირანდამ მოიხმო მენალიპა და გასცა ბრძანება, რომ დასაჯონ  
ამალია და მოთხარონ ბალი.

— სად არის სისხლი; რომ ჩამორეცხოს საწყალი კლიტევრას დაღუპვა—  
ყვიროდა ტომირანდა და მისი თვალები ცეცხლს აფრქვევდენ. მენალიპა მიხვდა  
დედოფლის ენებას და მოახსენა, რომ კიდევ ელიან ჯურღმულში წითელკანიანი  
მხევალი ქალი და ფემა სასჯელს.

ტომირანდამ გიჟივით გადიხარხარა: გასცა ბრძანება ამოეყვანათ ქალები,  
ესმიათ, ეკმიათ და შემდეგ საჯაროდ დაეწვათ კოცონზე.

მენალიპამ გადასცა პალას ბრძანება. პალა შემოდის აკანკალებული,  
არ შეიძლება დედოფლის ბრძანების ასრულება, რადგან ლუდით დამ-  
თვრალი ანალია წუხელი გაგიჟდა და წითელ კანიანი მხევალი ქალიც მომკვდა-  
რა და მისი გახრწნილი ლეში ჰკილავს ფემას. მენალიპა მოახსენებს დე-  
დოფალს. დედოფალს თითქოს არც გაკვირვებია. მოითხოვს პალას. შემოდის პა-  
ლა, დედოფალი გაბრაზებულია, „როგორ დაუშვი, რომ წითელკანიანი მხევალი  
ქალი მოკვდა“. აიღებს შუბს და მიაჩობს ბეჭზე პალას. საწყალი ქალი ხმა-  
საც ვერ იღებს.

გადაეცი ახლას, რომ ჩაგრიცხოს მონა ქალებში, შენ ამიერიდან არა ხარ  
მსაჯული, პალა წამოდგა და ისარ-გარკობილი გავიდა გარეთ. ტომირანდამ ხე-  
ლი ჩაიქნია და უთხრა მენალიპას:

— წადი და იცოდე, ეს დღე მოგელის შენც. აწი მე არ მინდა მსაჯულთ  
უხუცესი, აწი მე თვითონ ვიქნები მოსამართლე. ტომირანდა, ამალიას სიკვდილმა,  
ფემას მომეაღმა სატანჯელმა საგონებელში ჩააგდო. რა დაემართება ამორძალების  
სამეფოს, მისი სიკვდილის შემდეგ. საჭიროა ფიქრი შთამომავლობაზე, რომ მან  
უნდა დაბადოს ასული, რომელიც იქნება შემდეგ ამორძალების დედოფალი—  
თორემ ისე სრულიად ამოწყდება სამეფო.

ტომირანდამ გადასწყვიტა გამოსცეს კანონი. რომ წელიწადში ერთხელ  
გაზაფხულზე ორი თვით ამორძალები გავიდენ ქალაში ქალაქიდან და იქ მოა-



წყონ „ქორწილის ღამეები“. ვინც დაბრუნდება ორსული, განთავისუფლდება მუშაობისაგან. დაბადებული ქალები გაიზრდებიან და ზოგიერთ ვაჟებსაც შეინახავენ ჯიშის მოსაშენებლად. თვითონაც მოაყვანიებს ქმარს და დაბადებს ასულს მემკვიდრეს — სისხლი უთამაშებდა ტომირანდას. მან დაუძინა მენალიპას და გადასცა თავისი გეგმა.

ერისუფალი

ამ ამბავმა მალე მოიარა ტელისკირი. ამორძალებს <sup>ქალაქი</sup> გაუხარდათ. ტომირანდამ დანიშნა ალღუმი და დაიწყო მზადება ქორწილის ღამეებისთვის: ამორძალებმა დაიბანეს ტანები ტერმადონაში და თავზე წაისვეს სურნელოვანი ზეთი და ისევ მიიღეს ქალების სინაზე.

ტომირანდამ გაგზავნა მოციქულები მწყემსების კომუნაში, მათაც გაუხარდათ ასეთი ხარკი, მხოლოდ შეუთვალენ რომ მეფე არ ყავთ და თვითონ ტომირანდამ უნდა ამოირჩიოს მამაკაცი, არა ხარისხით, არამედ თავის გემოვნებით. ქალაქში ტომირანდამ დასტოვა მხოლოდ მოხუცი ამორძალები და მონა ქალები. სხვებმა წაიღეს კარვები, იარაღი და გაემგზავრენ მდინარე ტერმადონაზე.

ხალხში დაბადებული იყო ტომირანდას წინააღმდეგ უკმაყოფილება. პალა უკმაყოფილო იყო გადაყენებით, სხვები ამას მალავდნენ, მაგრამ ასეთი კანონის შემდეგ, ისევ დაიწყეს გაღმერთება ტომირანდასი და მის ტაძარში გახშირდა ღვთის მსახურება, ხსხვერპლის მიტანა და ლოცვები.

ტომირანდამ ასეთი სიტყვებით მიმართა ამორძალებს:

— მე თქვენ გადაგაჩვიეთ მამაკაცებს. თქვენ იცით როგორ დიდებული გამოდგა ეს. ეხლა ამორძალების სამეფო, რომ არ გადაშენდეს, საჭიროა გამრავლება, ამისათვის თქვენ გეძლევათ ორი თვე მამაკაცებთან დარჩენისა, მხოლოდ მამაკაცები თქვენ უნდა აქციოდ მონებად და ვაი იმას, ვინც გადაუხვევს ამ ბრძანებას. მე თვითონ ავირჩევ ქმარს და თქვენი დედოფალი დაბადებს მემკვიდრე ასულს. შემდეგ თქვენ დაბრუნდებით სახლში და დაიწყებთ ჩვეულებრივ შრომას და, ვაი იმას, ვინც გადაუხვევს ბრძანებას და გაეკიდება მამაკაცს.

გახსოვდეთ კლიტევრა და გეშინოდეთ. როცა გეყოლებათ შვილები, გახარდეთ ამორძალების წესზე. ვაჟები გადაყარეთ კლდიდან და ყოველ წელს გახვალთ თქვენ ქალაქში „ქორწილის ღამეებისათვის“.

ტერმადონის ქალა გაივსო კარვებით; იყო დიდი მხიარულება. იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ამდენი მამაკაცი დაიხოცა, ეხლა ახალი ცხოვრება დაიწყო. მწყემსები უკრავდნენ სალამურებს, იყო ბევრი სასმელი, საკმელი, ალერსი და მხიარულება. მთვარე დანათოდა ამორძალებს მდინარეში რომ იბანდნენ ტანს, შორს მოსჩანდა დიდებული ზღვა. ბუნება ემზადებოდა ადამიანის გარდაქმნისათვის.

ყველაზე დიდებული იყო ტომირანდას კარავი. ლომის ტყავებით, ყვავილებით მოფენილი. მის ფეხებთან ეძინა ლამაზ მწყემსს, რომელმაც ერთხელ შეაცდინა კლიტევრა, ეს მწყემსიც ალბად დედოფალმა კლიტევრას მოწონებით აირჩია.

ამორძალებმა, მამაკაცები გაიხადეს მონებად. დღე ამუშავებდნენ სამუშაოზე და ყელაფერს ისე აკეთებინებდნენ, როგორც წინათ ქმრები მათ უბრძანებდნენ. ასე გავიდა სამოცი დღე.



ტომირანდამ განაცხადა, რომ ის არ გრძნობს კიდევ ბავშვის სუნთქვას და ამიტომ თავისი ქმარი უნდა წაიყვანოს სასახლეში, შეუყვარდა ტომირანდას მწყემსი. ტომირანდას ვერ წარმოუდგენია, წინ ვინ აღუდგება მის სურვილს და ეს ამბავი გამოუცხადა ხალხს. და თან დაუმატა რომ მან უნდა დაიწეროს ჯვარი ტაძარში და მისცეს ხალხს ასული, მემკვიდრე.

ამორძალებმა მოისმინეს ეს ამბავი მშვიდათ, ისე კი გულნი დაწყდათ ძალიან. მენალიპამ გასცა ბრძანება მოამზადონ საქორწილო საწილი და ასტრას ებრძანა ცერემონიის მოწყობა. მენალიპა მიხვდა, რომ მისი გავლენა სასახლეში თანდათან გაჰქრება, და მის გონებაში, რომელიც გამობრძმენდილი იყო სასახლის ინტრიგებში, დაიბადა ახალი ინტრიგა. მენალიპა მიხვდა რომ ტომირანდა გადასულა წრეს და ვერ მოხიბლავს ქმარს, მხოლოდ საჭიროა მას აჩვენოს ისეთი ქალი, რომ აუნთოს ვნება და ასეთ ქალად ვინ გამოდგებოდა, გარდა ფემასი, რომელიც კლიტევრას არ ჩამოუვარდებოდა სილამაზით.

მენალიპამ უთხრა ასატრას, რომ მან განაცხადოს, რომ ღმერთები არ იძლევიან ტაძრიდან ჯვარისწერის ნებას—ამით ასატრა დათხოვნილი იქნება ქურუმთა ქურუმობიდან და მათ შეთქმულებას მიემატება კიდევ ერთი ქალი. ესენი იქნებიან: ახლა, პროტოა და პალა.

ტომირანდამ მენალიპას აზრით დიდი შეცდომა დაუშვა, რომ საქორწილო ღამეები მოაწყო. ამორძალებში ეხლა უფრო დაიბადებოდა უკმაყოფილობა, რადგან წინეთ ისინი გადაჩვეულნი იყვნენ მამაკაცებს და ეხლა კი სურვილები აენტოთ და ტომირანდას ღმერთობაც არავის სწამდა.

ასატრა გადაყენებული იქნა ქურუმთ-ქურუმობიდან და მისი ადგილი ისევ ტომირანდამ დაიჭირა—მან თვითონვე მოაწყო თავისი ჯვარის წერა და თავის ქმარს საჯაროთ გადასცა ზოგიერთი უფლებები. მენალიპა შეიქმნა შეთქმულების სული და გული, თანაც მას აუარებელი დრო ჰქონდა, რადგან ტომირანდა არ იბარებდა.

8

ტომირანდას აღსახული

ყოველ დღე ტომირანდა სულ ჭვევით და ჭვევით მიდიოდა, მისი შეკავებული ვნება ეხლა გაორკეცდა. ის შეიქმნა გამხდარი, ფერმკრთალი. მისი ბრწყინვალე თვალები არ იყვნენ ისე მიმზიდავი და ბოროტად გამოიყურებოდნენ. ტომირანდა ერთი ნაბიჯით არ იცილებდა ქმარს. სახელმწიფო საქმეები სულ მიივიწყა. ამორძალებმაც ამოისუნთქეს. მენალიპას პარტია იზრდებოდა. რაც უფრო ტომირანდას ვნება იზრდებოდა, ის იმდენად სასტიკი ხდებოდა და ყოველ უბრალო შემთხვევისათვის სასტიკად სჯიდა ამორძალებს. მინდერის მწყემსიც მოწყენილი იყო გადაჭარბებულ ვნებიანობით და მას თავისუფლება ენატრებოდა. მას აგონდებოდა კიტევრას სილამაზე და ნაღვლიანობდა. მწყემსი თან-და-თან აკვირდებოდა სხვა ამორძალებს, მაგრამ ტომირანდამ იქვი აიღო და სასახლიდან გააგდო ყველა ამორძალები, ვისაც სილამაზისა და ახალგა-



ზრდობის ეცხო რამე. მაშინ მეფემ პირდაპირ მიმართა მენალიპას შველისათვის და ცბიერი მენალიპაც დროს უცდიდა.

ერთხელ მენალიპამ უთხრა ფემას, რომ მას დიდი ბედი ეწვია, რომ მისი ნახვა უნდა თვითონ მეფეს და შეუძლია კიდევ მისი საქორწინლო სარეცელი ნახოს. ფემას კიდევ დააფიწყდა თავის ჯურღმულში ქმარს და მისთვის შეწყობილი სული ეხლა არაფერზე არ ფიქრობდა. მისი სხეულისათვის კიდევ არჩევანი არ იყო.

მთვარიანი ღამე იყო—ტომირანდას ცუდათ ეძინა. რალაც საშინელება არ ასვენებდა და ძილში ბოდავდა.

შემდეგ მას გაეღვიძა და ჩუმად დაუძახა თავის ქმარს. არავინ არ უპასუხა. მეორეჯერ დაუძახა, და კიდევ არავინ ხმა არ გასცა.

ტომირანდა წამოდგა ლოგინიდან, მაგრამ თავი დაებრუნა და წაიქცა. არაფერი მას არ ახსოვდა. ეხლა მიხვდა, რომ ქმარმა დაწოლის წინ მას დააღვია რალაც არაჩვეულებრივად მაგარი ლუდი. ელვის სისწრაფით მის თავში გაიარა აზრმა:

— ალბად მას უნდოდა, რომ ჩემთვის დასაძინებელი წამალი მოეცა, მაგრამ ჩემმა ჯანმრთელობამ გაუძლო, მაგრამ რა აზრი უნდა ჰქონდეს მას. და მისი გული ეკვებმა დასერეს.

ტომირანდა გამოვიდა სახლიდან, მთვარით განათებული ის მიაგავდა მოჩვენებას. უცებ შესდგა და შეაქრუოლა. მას მოესმა ნაცნობი ჩურჩული.

ტომირანდა ბრუნდება სასახლეში და გამოაქვს შვილდ-ისარი. მოესმის სასახლის ბალთან საუბარი.

მეფე ვილაცას შესჩივის, რომ მას ტყვიასავით აწევს გულზე ტომირანდა და მისი სასახლე რომ მას უყვარს, როგორც ანკარა ნაკადული, და როგორც მთის ნიავი მხოლოდ ფემა და მოისმის სიმღერა ნელი. ტომირანდამ სული გაკმინდა და, როგორც შველი გადახტა. მეორე მხარეს ბალახებზე იწვენ მეფე და ფემა. როგორც დაჭრილი ვეფხვი გადავარდა ტომირანდა და მიეტანა ახალგაზრდა ქალს და გულში გაურჭო ისარი.

ფემა უხმოდ დაეცა მიწაზე. ტომირანდას ფეხებთან განერთხო შეშინებული მეფე. ტომირანდამ წაართყა ფეხი და უბძანა მიყოლოდა უკან. ტომირანდამ დაუძახა მენალიპას და უბრძანა დილიდანვე მომზადებულიყო სასიკდილოთ.

— შენ ვერ შესძელი ფემას მოვლა—ხვალ შენ გადაგადებენ ზღვის ფსკერში.

ტომირანდამ უბრძანა დაუძახონ დამცველ რაზმთა უფროსს და მენალიპა დაატუსალონ. დამცველი რაზმის უფროსი ემთხვია ტომირანდას ფეხებს. მაგრამ მას დასწვდა ტომირანდა და ახადა ყელსახვევი, რომელიც ნიშანი იყო მისი სასახლის წოდებისა.

— დამსაჯე დიდებულო დედოფალო, შესძახა მეფემ.

ტომირანდამ გადახედა საშინელი რისხვით.

— ნუ გგონია შენი შავი სისხლით შეიყიდო საშინელი ლალატი, მე შენ ჯერ გაჩვენებ სეირსა.



ტომირანდაში იბრძოდა ორგვარი გრძნობა: შეურაცხყოფილი ქბლისა და დედაკაცისა—დილას გადასწყვეტა მაინც დედოფალმა, რომ მეფემ უნდა რცოცხლოს.

ხალხს კიდევ გაეგო წუხანდელი სასახლის ამბები და მანუყდა სასახლეს. ყველას აწუხებდა მენალიპას სიკვდილის ამბავი.

— რა გინდათ თქვე საძაგელო მონებო—შესძახა ტომირანდამ, რათ მოგროვილხართ აქ და არ მიდინხართ ტაძარში სალოცავად.

სამარისებური სიჩუმე იყო პასუხი: ზოგი ვინც წინ იყვნენ დაეცნენ მუხლებზე, მაგრამ ვინც უკან იყვნენ. ისინი იდგნენ გაუნძრევლათ.

დედოფალი ამან ძალიან გააკვირვა.

— გესმით, ჩემი ბრძანება? — იკითხა დედოფალმა.

უკანა რიგებიდან მოისმა ხმა:

— ჩვენ გთხოვთ დედოფალო, რომ თუ მენალიპა დაისჯება, მაშინ მწყემსიც დაისაჯოს. ჩვენ არ გვინდა მამაკაცის ხელისუფლება. ჩვენ მოვითხოვთ მაგის სიკვდილს.

ტომირანდა გაგიჟდა რისხვისაგან და გადაადგო ბრაზისაგან რამოდენიმე ისარი, ხალხში გაისმა ზრიალი და რამოდენიმე ამორძალი დაეცა მიწაზე განგმირული.

მაგრამ ეს იყო ნაპერწკალი, რომელმაც ააფეთქა ჯანყის ცეცხლი. ხალხი აინძრა, მთელი დაგუბებული გრძნობა მოზავდა და დაიძრა ხალხი სასახლისაკენ.

ტომირანდა გიჟივით ისროდა ისრებს და ეცემოდენ ამორძალები. ეზოში უკვე იდგა სისხლის ნაკადული. ამ დროს ხალხში გამოჩნდენ მენალიპა, ახლა, პროტოა და პალა. ისინი რალასაც ეუბნებოდენ ამორძალებს და ისინი კიდევ ყოყმანობდენ, ისრები კი მიდიოდა ამორძალებში და ყოველ ახალ გასროლაზე ახალი მსხვერპლი ეცემოდა მიწაზე.

ელვამ დასერა უცებ ხალხი.

— მაშ ასე, შენ ჩვენ არ გვზოგავ, იყვირეს ამორძალებმა, მაშ არც ჩვენ დაგზოგავთ. სიკვდილი დედოფალს და მის მწყემს—ყვიროდა ხალხი.

ტომირანდას აყარეს იარაღი და დააგდეს მიწაზე. მისი მწყემსი კი შეკრეს და დააგდეს ეზოში.

— რისი ღირსია დედოფალი, რომელმაც უღალატა თავის ხალხს? ყვიროდა მენალიპა.

— სიკვდილი მაგას და მაგის საყვარელს; უპასუხა პალამ, მაგრამ ქურუმთა-ქურუმს ასატრას, მაინც დასძლია ცრუმორწმუნეობამ და დაიყვირა შიშით:

— თქვენ გავიწყდებათ, რომ ტომირანდა ღმერთია.

— ტაძარში, გვაჩვენოს, თუ მართლა ღმერთია, უშველოს თავის თავს, ვაფრინდეს მთვარეზე, ყვიროდა ხალხი.



ტომირანდა და მისი ქმარი შეათრიეს ტაძარში, იქ წააქციეს თავის ქანდაკების წინ და ალოცეს გადარჩენას, მაგრამ ქანდაკება იდგა წყნარად და ბაწარი უფრო მაგრად ეკროდა ტომირანდას ხელებს.

ხალხი ამან სულ გამოიყვანა მოთმინებიდან.

— შეაგდეთ ჯურღმულში თავის მწყემსთან. სიციცხლეში ნაჭურღმლოდა მაგას დაშორებოდა, ერთად მოკვდენ ეს ძაღლები.

ტომირანდა სდუმდა. თითქო გაოცებულიყო. მის თვალებში არაფერი არ იხატებოდა. ჯურღმულში... ჯურღმულში... ყვიროდა ხალხი.

ტომირანდა მიიყვანეს და ჩააგდეს ჯურღმულში და დამარხეს.

შემდეგ მიადგეს უხარმახარი ქვა—ტომირანდას ქანდაკება გამოიტანეს ტაძრიდან და კლდიდან ზღვაში გადააგდეს.

ასე გათავდა ეს ამბავი, ამორძალების დედოფლისა...



სიციცხლეში ნაჭურღმლოდა  
მაგას დაშორებოდა

ეს ლეგენდა გაკეთებულია—იმ მასალებიდან, რომელიც მოთავსებულია აკად. ლატინურისა, ბარონ უსლარისა და განის წიგნებში, აგრეთვე სხვადასხვა „კავკასიის კრებულებში“ და უმთავრესად სვეტლოვის კავკასიის ლეგენდების წიგნის მიხედვით.



## საღი

(რომანი)

(გაგრძელება) \*

### VIII

სანადიმო საღამოებსა და ოპერებში სიარულის დროს ვერიკოსგან დაგე-  
ბულმა ფაცერმა მშობლებს იმედები არ გაუცრუვა. მთავარმართებლის ამალიდან  
თერგის ოლქის ყაზახები დაიჭირა. ერთ დღეს საღარბაზოდაც ეწვივნენ.  
პირველ შეხვედრაზედვე ნატოს გული ერთმა მათგანმა მოინადირა. ეს იყო  
ახალგაზრდა, მაღალ-მაღალი, ქერა, ლამაზი პოდპორუჩიკი. თუმცა სხვებიც  
როგორც ჩინით, ისე შეხედულობით კიდევაც ჯობდნენ მას, მაგრამ ნატოს  
გუნებამ ეს ნიშანში ამოღებული ყმაწვილი მიითვისა. ვერიკოს ბედის  
გადამწყვეტად გამოდგმულ ყუთებიდან გამოყო ალექსეი პეტროვიჩ ზარა-  
ტინის ყუთი და მასში ჩაუძახა ვეებერთელა თეთრი კენჭი, რომლის ხმაურობამ  
არამც თუ თვით არჩეულს აგრძნობინა, არამედ ვერიკოსი და მთელი ოჯახის  
ყურადღებაც მიიქცია. მაგრამ ნატოს სერვიზის წინ დაბრკოლებანიც აღიმართნენ.  
ვერიკოს უმწვერვალესმა გამარჯვებამ დიდკაცთა სფეროში მალლა აიწია, რომ  
ყმაწვილ ქალს თავბრუ დაახვია და ერთხელ კიდევ აგრძნობინა, რომ მართლა-  
დაც თურმე ქვეყანა ამისი იყო და თვალსა სჭრიდნენ ღრმად მნიშვნელოვანნი  
საგრძნობი მსხვერპლები. მთავარ არსებულის ადიუტანტი ედრინსკი, დიდი  
შემამულე პოლკოვნიკი თავადი ზავრიაშვილი, მილიონების მემკვიდრე ინჟინერი  
მანთაშოვი და კიდევ სხვა მრავალნი, რომელნიც, მის სიყვარულით დატყვევე-  
ბულნი, ფიანდაზად გულებს უშლიდნენ. ქალის ნათალი ბროლი თითებით  
შემკული ხელიც ჰაერში კრთებოდა და რაკი ვერ გადაეწყვიტა რომელ მოთაყვა-  
ნეზე გაჩერებულიყო, ყველას თანაბრად უღიმოდა. ოთარიც პირს იტკბარუნებ-  
და იმ წინასწარი წარმოდგენით თუ თვითეული მათგანი რა სხვადასხვანაირი  
ვანძის შემომტანი იქნებოდა. ნატო ხედავდა ამას თვითონაც და გადაჭრილ  
აზრზე ჯიუტად იდგა, რომ მისი სიძე უსათუოდ ზარატინი ყოფილიყო.

\*) იხ. მნათობი № 5-6.



ალექსეი ხარატინი ბუზმენტებ გაწყობილ წითელის ახალოხით, შავ ჩოხაში თეთრის ფაფახით, ცისფერ-თვალემა, გრძლად გადაგრეხილის ულვაშებით ზემოდ აღნიშნულ პირების წინ დგებოდა ძლიევამოსილებით, რომელშიაც ახვევდა ნატო. ნატოს ეჯავრებოდა ზავრიაშვილი, როგორც ქართველი, მანთაშოვი, როგორც ვაჭრის შვილი, ყველაზე მეტად თვალს ისევ უფრო ედრინსკის უსწორებდა, რადგან იცოდა მთავარმართებელის მარჯვენა ხელი იყო, მაგრამ რაკი ფრაკი ეცვა და არა სამხედრო ტანისამოსი, ესეც მალე ხუნდებოდა. ხარატინის პრიალა ეპოლეტებისა და დეზების წინაშე.

მის შემყურე ნატოს აგონდებოდა ოთარის ახალგაზრობა.

— ეჰ, ჩემ ქმარს უქკუობა მაშინ დაეტყო, როცა პაგონები და ხმალი ქართულ კაბაში გაცვალა. ხარატინი კი ისეთი ქვეყნის შვილია, რომ ქკუას არ დაკარგავს. ზავრიაშვილს ექვი არ უნდა, ოთარის გზა არ ასცდება, მანთაშოვის მამის ამბავიც ვიცი. თურმე კევის გაყიდვით გამდიდრებულა და იმას ქალს როგორ მივცემ? — ამბობდა ნატო მაშინ, როდესაც ხარატინის მამაპაპათა ვინაობას არ იცნობდა და არც უნდოდა ეცნო.

ამ ქალისგან ხარატინზე გულის ზედ შევარდნა იმდენად ძლიერი იყო, რომ თვით იმპერატორიც კი, თუ რასაკვირველია, ფრაკში იქნებოდა, ხარატინთან ერთად მოსულიყო და ვერიკოსთვის ხელი ეთხოვნა, ნატო მაშინაც არ შეფიქრიანდებოდა და ვერიკოს ხელს ხარატინს გადასცემდა. მეტად ელდა ნაცემი დარჩა ერთხელ, როდესაც ვერიკომ გამოუცხადა, რომ მანთაშოვმა მესამე კადრილის დროს ხელი სთხოვა და პასუხს ელოდა. ნატო დიდის რისხვით ზეზე წამოიჭრა და უბრძანა დაუყოვნებლად უარი ეთქვა, მეწვრიმალის შვილისთვის თორემ ეკლესიაში ჯვარის დასაწერადაც რომ წამდგარიყვნენ, მაშინაც, როგორც შმობელი, შუაზე ჩაუდგებოდა და გაჰყრიდა. მუქარა დაუნდობელი, სასტიკი იყო. ამგვარ შემთხვევებით შეშინებული ნატო ყოველთვის ყურებ დაცქვეტილი იდგა, რომ მის სურვილების წინააღმდეგ არა მომხდარიყო.

ამ გარემოებაში მყოფ ოჯახში დაიწყო მკურნალმაც ყოველ საღამოს სიარული. კარებს სალი უღებდა, სახე დაღრეჯილი წინ გამოუძღვებოდა, რადგან იცოდა, რა სიამოვნებაც მოჰქონდა ამისკენ. ამავე დროს სასტუმრო ოთახიდან მოისმოდა ქალ-ვაჟთა სიცილ-კისკისი, როილის ნაზი აკორდები, ლიზიკა და დარო შაქარლამას და სხვადასხვა ტკბილეულობას ამზადებდნენ, სალის კი მკურნალი შეჰყავდა იმ ოთახში, სადაც ოთარი იყო. ტიკინსავით გამოლენჩებული ბავშვი მიაჩრდებოდა სახეში მკურნალს, რომელიც ცხვირში და თვალეში წამალს უშხაპუნებდა.

— ხვალ ამ დროს—იტყოდა მკურნალი, როდესაც საქმეს მორჩებოდა. მაგრამ ოთარი მასთან ბაასს მაინც არ ათავებდა. ექიმიც მიდარაჯებული იყო ესარგებლა მოხერხებულის წუთით და თავაზიანად შეეწყვიტა ეს მკერმეტყველური სჯა, რომ სხვა ავადმყოფებთანაც არ შეგვიანებოდა. მისთვის საათი ფული იყო, ოთარისთვის კი ლითონის ცალიერი ჩაკიჩუკი.

ხამთრის ღრუბლიანი დღეები, თოვლი, სიცივე, მიმსვლელ-მომსვლელთაგან ატეხილი ღრიანცელი, ხვალ ამ დროს! ექიმისაგან ეს ბოლომოუღებელი



სიტყვა, ყველა ეს ყოველდღიურ აუცილებელ საჭიროებათა მოვლენად ჩამოყალიბდა. მაგრამ სალის არსებაში ძალდატანებული, შემავრებული გამძლეობა, რათა ექიმის წამლობას ყოველთვის მოთმინებით დახვედროდა. დღითიდღე შეუსუსტდა, რაკი გრძნობდა განკურნების მაგივრად თითქო თვალემა თანდათან უარესად უხდებოდა, სხეულის გაუძლისი ტკივილებიც ბავშვს სასოწარკვეთილებაში ავდებდნენ. ექიმისაგან ნაჯიჯგნი, დაქანცული გრძნობიერება უკიდურესს შეწუხებამდე აღიოდა და ფარვით სადმე კუთხეში მიმჯდარი მარტო უხმოდ ქვითინებდა. მკურნალის ხანგრძლივმა სიარულმა მალე სხეებსაც თვალში ჩაიხირო დაუწყო. არიამმა უკვეგანაცხადა, რომ მას იმდენი შეძლება არა ჰქონდა ყოველდღე სამ-სამი მანეთი ეძლია ექიმისათვის, როდესაც სალის არაფითარ უკეთობას არ ატყობდა. ნატოც უკმეხ სიტყვებს თითქმის პირში აგონებდა.

— ამაზე მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან, ოთარ, ეს არის ზარი დაირეკა. ოთახიდან გამოვარდი, სახლი ურიგოდ ხომ არ არის შეთქი, მეგონა ალექსეი ზარატინი მოდიოდა და მის მაგივრად ექიმმა კი შემოჰყო თავი. გეთაყვა გაუთავე დროზე საქმე, მიე, რაც ერგება და გაუშვი! სალის თვალების მოჩვენა ისევე შეუძლებელია, როგორც მიცვალებულის მკვდრეთით ადგომა! — უთხრა ერთ საღამოს ნატომ ქმარს, როდესაც ექიმი წავიდა. თვითონ ოთარსაც მობეზრებოდა ყოველ დღე ექიმის შეხვედრა და დიდი ხანია ფიქრობდა, როგორ უმტკივნეულად და შეუმჩნეველად მოეწყო მისი დათხოვნა, მაგრამ თვითონ ექიმმა დაასწრო, ყური მოეკრა ნატოს სიტყვებისთვის, თუმცა არ შეემჩნია. ბოლო ხანებში აღარც ოთარი გამოდიოდა მასთან სალაპარაკოდ.

— მამა შინა ბრძანდება? — ჰკითხა ერთხელ სალის, როდესაც ბავშვმა ჩვეულებრივად კარი გაუღო.

— დიად, შინ გახლავთ. — უცბად უპასუხა სალიმ, მაგრამ, როდესაც მოაგონდა ოთარისგან ნაბრძანები ჰქონდა, არ გაემხილა მისი შინ ყოფნა, დაიბნა.

— შეიძლება ვნახო?

— არა... რა ვიცი... იქნება შინ არცკია. — ლულულულებდა სალი და ალღელებისგან ხელებს იმტვრევდა, თან უკვირდა ექიმისგან ასეთი წმინდა ქართული ესმოდა.

— თქვენ ეხლა სთქვით, სახლშიაო და რახან სახლში ბრძანდება, უთხარით, რომ დღეს უკანასკნელად მოვედი, თქვენთან წამლობას ვწყვეტავ და უსათუოდ მინდა მამა თქვენი ვნახო.

სალი მოიბუზა. თავი ძირს დაიღო.

— პატარა ქალო, დიდხანს ცდა არ შემიძლიან. წადით და უთხარით რაც დაგაბარეთ! — მკურნალის ხმაში ბრძანება იხატებოდა. სალი ნელ-ნელა წავიდა. მუხლები ძნელად ემორჩილებოდნენ და ოთარის წინ, როგორც კაქკაქმა, ძლივს წაილულულა ექიმის სიტყვები.

სალი გაოცდა, როდესაც ოთარი და ექიმი ისევ წინანდებურის სიცილით შეხედნენ ერთმანეთს.

— სამწუხაროდ თქვენი ბავშვის წამლობა ჩემგან დღეის იქით შეუძლებელია თავადო, რადგან ამ დღეებში საზღვარგარეთ მივდივარ. ამასთანავე არ







სალის გონება გაურბოდა იმ სახლისკენ, სადაც ენია სცხოვრობდა. ამ უზამაზარ შენობაში სხვა ოჯახებთან შორის ცხოვრობდნენ არტაშ აბოსოვი, მდიდარი ვაჭრის შვილი, ზიბრიაკოვის მამა მასწავლებელი, მაგრამ ენიას ოჯახთან გარემოშეილება მარტო თხელი კედელი ჰყოფდა, მარიამის ოთახის ერთი კარი ენიას ოთახში შედიოდა, კარი მაგრად ჩაკეტილი იყო და სალის საწოლიც ზედ მიმდგარი.

განა არა, სალის ძილში წინადაც არა ერთხელ ყრუდ შესმენია იქიდან რაღაც ბრახუნი, ჯავრობა, მუქარა, ტირილი, ყური არ უთხოვებია, შერე კი, როდესაც ენია კარზე დაუნახავს ცრემლით, დარწმუნებულა, რომ ეს ქალი თავის ოჯახთან განზე ისე მდგარა, როგორც თვითონ სალი. როგორც იყო ბავშვმა ლიზიკას მოხერხებით გამოსტყუა და ზოგიერთი რამ გაიგო. ენიას ჰყავდა დედა, ბებია, მამა მოკვდომოდა, დედას შეერთო თავისზე უმცროსი რუსი პოლკოვნიკი, რომელთანაც ოთხი ბავშვი გასჩენოდა.

ენიას იშვიათად გამოჰყავდა ეს ბავშვები ბაღში, თუ გამოჰყავდა, სტუქსავდა, მუჯღუგუნებს სცემდა, თითქო უნდოდა, თავიდან მოეშორებინა.

ენიას დედა შავგრემანი, გამხდარი ქალარა იყო, ყოველთვის დაბლვერილი და დაღონებული. ერთ ღამეს სალიმ თეთრის თვალით გაათენა.

— კიდევ წახვალ?.. კიდევ იწანწალე შე ოჯახის შემარცხვენელო?.. გარკვევით მოესმოდა ჩახლეჩილი ხმა, ჩურჩული, რომელიც ყრუვდებოდა ენიას შეკავებულ გულამოსკვნილ სლოკინით.

ცხადი იყო ენიას სცემდნენ. რისთვის? ეს იყო საკითხი, რომელიც სალის არ ეშვებოდა, მოსვენებას უკარგავდა.

— ვერ მომატყუებ... მე შენზე ბევრი ისეთი რამ ვიცი, რაც შენს ამხანაგებს თქვრადაც არ მოუვათ.— უხმოდ შელაპარაკობდნენ ენიას ლურჯ სათვალეებიდან თანაგრძნობით გამომყურე სალის თვალები. ენია ვერაფერს მიხვედრილიყო, ისე თავს არიდებდა.

„დიდად პატივცემულო კნენა!

მაპატიეთ, უცნობლივ გწერთ ამ ბარათს, იძულებული ვარ ასე მოვიქცე, თუმცა ჩემთვის დიდად სამძიბოა. იქნება კიდევაც დამძრახოთ, მაგრამ თავს მოვალედა ვგრძნობ შეგატყობინოთ. თქვენს პატარა ქალებს ეზოს ბაღში ნულარ გაუშვებთ, იქ იყრიან თავს სხვადასხვა გაკინტოებული ყმაწვილები. აგრეთვე ნუ მიაკარებთ ჩემ ქალიშვილ ენიას, რომლის უმართებულო უწესო ქცევა წარყენის თქვენს ჯერ კიდევ უმანკო ბავშვებს.

პატივისცემით სოფიო პარკოვსკაია“.

შემდეგი შინაარსის წერილი შემოუტანა ერთ დილას დარიკომ დედას. წერილი თვითონ პარკოვსკაიას გადაეცა.

ნატომ რამდენჯერმე წაიკითხა წერილი და ტუჩზე იკბინა, ენიშნა მარიამის გაფრთხილება ბავშვების ბაღში ხეტიალზე და გადასწყვიტა, არავისთვის გაემხილა, თან საჭირო ზომები მიიღო.

კვირა დღე იყო, მარიამს სალი დილიდანვე საყდარში გაჰყოლოდა, კვირკო და ბაბუცა კნენა შერისთან სადარბაზოდ წასულიყვნენ, ლიზიკა ტახტზე



დაწოლილი თავს იტკივებდა, ხუთი წლის ილუშას დარიკო სათამაშოებით არ-  
თობდა.

— ბავშვებო, დღეის იქით არ გაბედოთ ეზოში ფეხის ჩადგმა, ი ვიდაც  
ეენიაა, თუ რაღაც, იმასთანაც მიკარებული არ დაგინახოთ, თორემ ვინც ჩემს  
სიტყვას გადავა, სოფლისკენ ვუკრავ თავს და გალავანში ჩამწყვდევდნენ მარტო-  
ობასა და სიცივეში სული ამოხდება.— წარმოსთქვა დამუქრებით ნატომ, მიბ-  
რუნდა ლიზიკასკენ, რომელიც შემკრთილი ის იყო უნდა ეწაჩოვებოდნენ ჩლიყო,  
მაგრამ თავრეტდასხმული ისევ მუთაქაზე დაეშვა, დარიკომ უწყობის სიტყვად გრი-  
ლად შეხვდა ამ ბრძანებას და ილუშასთან თამაშობა ისევ განაგრძო.

ეს ყოველივე, რაც მოხდა, დარიკომ მაშინვე დაწვრილებით წინ დაახვე-  
დრა სალის. სახე შეწითლებულმა ბავშვმა ჯერ ფრთხილად მიმოიხედა. რო-  
დესაც შენიშნა ოთახში ბავშვების გარდა არავინ იყო, თამამად წინ წაიწია და  
ლიზიკასთან გაჩერდა. ლიზიკამ თითქო ვერ შენიშნა, გულაღმა მწოლიარე პირ-  
დაპირ სიერცეში იყურებოდა.

— მაშ ესენი ეენიას ველარ შეხვდებიან?!. დარიკოსგან მოტანილ წერილ-  
ში ნეტა ისეთი რა ეწერა, რომ ნატომ ასე სასტიკად აუკრძალა ბაღში ჩასვლა?—  
გაიფიქრა სალიმ, მაგრამ ამავე დროს ტუჩებზე აღუჩნდა დამცინავი ღიმილი.  
მოუნდა ეენიას ნახვა. ამ მიზნით მთელი დღე აივანზე იტორლიალა, ეენიას  
თვალის მომკრავი არ იყო. არ დასდევდა, თუ ეენიას არ უნდოდა სალი, მაგი-  
ერად ამას სჭირდებოდა ეენია. ბავშვს სწყუროდა დროზე გაეხსნა მისი გული.  
შიგ ღრმად ჩაეხედა, სავსებით ამოესუტა მიზეზი იმ ცრემლებისა, რომლებსაც  
ჩუმად აფრქვევდა ყველასაგან მოძულეებული ქალი და ამ მოძულეთაქმიმართ აღ-  
ძრული წინააღმდეგობის სურვილი თანდათან უმწყვავდებოდა სალის. მოუთმენ-  
ლად ელოდა ღამის კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედულ ცას, ქანდაკების სური-  
დან გადმონადუნ წანწყარა შხებებს, მაშინ სალის გაშლილი ორი მკლავიც ეე-  
ნიას ხელს თასმასავით მაგრად შემოეხვევოდა ხელის თითებში ჩამალული ბრჭყა-  
ლები, ბასრებად ქცეულები მსწრაფლ გააპობდნენ გულს და ღამურასავით ხარბად  
ამოსწოვდა იმ დიდი ხნის საიდუმლოებას, რომელიც სალის მოსვენებას უფრ-  
თხობდა. მაგრამ დღე ღამდებოდა, ღამე თენდებოდა, ეენიას სახე ბაღში აღარა  
ჩნდებოდა. სალის ოცნება ოცნებად რჩებოდა, თითქო ეენია გადაქცეულიყო ქა-  
ჯად და სადღაც გადაკარგულიყო. პარკოვსკიების სახლიდანაც ჩამიჩუმი არ  
ისმოდა. სალი მაინც ელოდა მას, სჯეროდა უსათუოდ დადგებოდა დრო, რო-  
დესაც ეენიას პირისპირ შეხვდებოდა.

\*  
\*

რამდენიმე დღის შემდეგ სასაშვილი გარემოშვილებს სახლშიაც ეწვია.  
როდესაც მარიამმა გაიგო, თუ ვინ იყო სასაშვილის მამა, მაშინვე კრიალოსნის  
მარცვლების ჩათვლით იანგარიშა, რა ნათესაობა აკავშირება სასაშვილსა და  
ამათ.

— ნათესავი ათთოთხმეტ. შვიდი აქეთ, შვიდიც იქით. ძალიან მახლობ-  
ლები ვართ, შვილო.—სიამოვნებით წარმოსთქვა მანდილოსანმა, როდესაც ანგა-



რიში თოთხმეტს არ გადასცდა. გარდა ამისა, სასაშვილი ახლო მეზობელიც აღმოჩნდა. ამისი ბინის სარკმლები გარემოშვილების სარკმლებს პირდაპირ უყურებდნენ. შუაში მარტო ქუჩა ჰყოფდა. სასაშვილი ბინით ქაიხოსრო რიხიანთან ცხოვრობდა. ქაიხოსრო რიხიანის ხსენებაზე მარიამი უფრო აღტაცდა, რადგან ძმა იყო მარიამის დეიდაშვილი-შვილის დედინაცვლისა. ნატომ კი შუბლი შეიქრა, თუმცა შემაგრებულის სიმშვიდით, შეეკითხა:

— ეგ რომელი ქაიხოსროა, ყმაწვილო? ციმბირში რომ ყველაფერი...

— დიახ.— დამშვიდებით უპასუხა ბავშვმა. შიშაში...

— მერე მამაშენმა იმასთან როგორ მიგოყვანა? სხვა ველარავინ ნახა?

— რატომ, ის ჩვენი ახლო ნათესავია.

— სოციალისტი როა? ალბად, თავისთანა სოციალისტები სხვებიც ბლომად მოსდიან.

— დიახ სულ საქმის ხალხი მოსდის. ცალკე ოთახში შეიკეტებიან ხოლმე და გაცხარებით ბაასობენ.

— მაინც რაო, რას ამბობენ?

— რა ვიცი ისე, რაღაცებს, ერთხელ ყური მოვკარი, მეფეზე ძალიან ჯავრობდნენ. ყველაზე მეტად ძია ქაიხოსრო ყვიროდა, უსათუოდ მეფე უნდა ჩამოვაგდოთო.

— და იმ ჩამოვარდნილ მეფის მაგივრად მე ვიყვეო?

— არა, ხალხიო.

ოთახში უცბად გაისმა ცივი, სისხლის გამყინავი კისკისი ნატოსი და ყველანი, ვინც კი იქ იყვნენ, შეკრთნენ. სასაშვილში ხმა ჩაკმინდა. სიტყვა სოციალისტი მეტად თავზე ხარდამცემი და მოსარიდი იყო ოთარის ოჯახისთვის. მეტადრე ნატოს დიდ შიშსა და ამასთანავე სიბრაზეს ჰგვრიდა, მაგრამ სასაშვილის წინ მაინც არ შეიმჩნია რაკი იცოდა ღვთის მადლით ამ სახლიდან ქაიხოსროს ოთარის გარდა არავინ იცნობდა და თვითონ ოთარიც ამნაირ ხალხს ყოველთვის განზე უვლიდა.

ბავშვებს სასაშვილის მოსვლა იამათ. ერთადერთი არსება იყო, რომელიც განსაკუთრებით ამათთან მოდიოდა და უფროსებისგან ხშირად შელახულ თავმოყვარეობას ხელახლა აღუდგენდა.

რაკი სასაშვილი დიდხანია ბავშვებს იცნობდა, დაუფარავად უამბობდა ნახულ-გაგონილს, სხვათაშორის, ახალ ამბად შეატყობინა ისიც, თუ ენია ორი კვირე იყო, რაც დაკარგულიყო, ეძებდნენ პატრონები. მის აზრით ენია სუბუქად იქცეოდა და ცუდი ბოლოც ელოდა.

გაჩუმებული ლიზიკაც თითქო გულში ეთანხმებოდა ზოგიერთებში, რომლის ნიშნები ეცნო. ლიზიკას უნდოდა ეთქმევიანებინა, რას აკეთებდნენ არტაში, ორესტი და სხვა კიდევ ნაცნობი ყმაწვილები, მაგრამ აქ სასაშვილი თითქო უფრო ენას კბილს უჭერდა და ერთხელ განმარტებას ერიდებოდა. ერთის სიტყვით, თავიდან იცილებდა, რომ მათ აღარ ხვდებოდა.

სასაშვილმა ხშირად დაიწყო ბავშვებთან სიარული. მათთან ერთად ხან ქართულ წიგნებს კითხულობდა, ხან მასლაათობდა.



ერთ უქმე დღეს დილით ზურაბი და ბავშვები სასადილო ოთახში მხიარულად რალაცაზედ ლაპარაკობდნენ. სარკმელთან მიმჯდარმა სალიმ უცბად თვალი შეასწრო პირდაპირი სახლის სარკმელთან მომდგარ დათუხ ტყავისგან შეკერილ ქურქში გახვეულ, ცხვირზე სათვალეებ გაკეთებულ ჯაცს, რომელიც ქუჩაში მოუსვენრად იყურებოდა, თითქო ვილასაც ელოდა.

მისი თვლები სალის თვალებს შეხვდნენ. ჯაცს სახე მონათესავე, სათვალეებიდან არწივსავით იბღვირებოდა. სალიმ თვალებიდან საჩქაროდ ლურჯი სათვალეები ჩამოიხსნა და უფრო დაკვირვებით მიაჩერდა ბავშვი. მიხვდა, რომ ეს იყო სწორედ ის ძია ქაიხოსრო, რომელზედაც ამას წინად ზურაბი და ნატო ლაპარაკობდნენ.

ქაიხოსროს თხელი წვერით შემოსილი ვიწრო ნიკაპი ძირს დაელო, გაშტერებული იყურებოდა. ტუჩების გარშემო ნაკეცები უთრთოდნენ დამცინავის ღიმილისგან.

— ზურაბ, შეხე, შენი ძია ქაიხოსრო ფანჯრიდან როგორ იყურება, თითქო ვილასაც ეძებს.— შესძახა სალიმ.

— შე თუ მეძებს. იმას არ უნდა აქ ვიარო. მეუბნება, თუ იქ ფეხი შეგიდგამს როდისმე, სახლში აღარ შემოგიშვებო. შეკი მაინც მოვდივარ—სთქვა ზურაბმა და დარიკოს ღიმილით გადახედა, მერე სკამიდან წამოდგა, კუთხეში მიიყუდა.

— რა იყო, შეგეშინდა? შე მხდალო, იქიდგან აქ როგორ უნდა დაგინახოს? იმან ხომ არ იცის რო ეხლა ჩვენთანა ხარ?

— ძია ქაიხოსროს მკრელი თვალი აქვს, თუმცა ვეფიცები, არ დავდივარ მეოქი, მაგრამ მაინც ექვშია. მეც როცა აქეთ მოვდივარ ვატყუებ, ამხანაგთან გაკვეთილები უნდა ვისწავლო მეოქი.— ხმადაბლა ამბობდა ზურაბი, თითქო ეგონა საცაა ქაიხოსრო სარკმელს შემოტეხავდა.

— რად გიშლის ჩვენთან სიარულს? აკი ისიც დიდედას ნათესავია— იკითხა გაოცებით დარიკომ.

— ის ნათესაობას არ დაგიდევს, ვინც იმის აზრისაა— უყვარს, ვინც არა— სძულს. იმას თქვენც ეჯავრებით— ტიტინებდა სასაშვილი.

— მაშ, თუ აგრეა გვიყუროს, ფანჯრიდან როგორ მალე გავაბრუნოთ!— შესძახეს ერთხმად ლიზიკამ და დარომ, მივარდნენ სარკმელს, ცივ შუშას უცბად ცხელი ენები მიაღეს.

ქაიხოსრომ დაინახა თუ არა ბავშვების ენები, გაიხარხარა, მალე გვერდში ქალიც ამოუდგა, როგორც შემდეგში ზურაბმა განმარტა, თურმე ცოლი ყოფილიყო. ცოლქმარნი გულიანად ხარხარებდნენ, თან ბავშვებისკენ თითებს აშვერდნენ. სალისაც ძალიან მოეწონა ორი ოჯახის ერთმანეთთან ასეთი გამოხუმრება და სურათს რომ უფრო მუქი ფერი დასდებოდა, მესამე ენაც მიუმატა. მაგრამ ბავშვების იერიში მალე შეჩერდა, ოთახში სტუმრები შემოვიდნენ. ცხადი იყო ქაიხოსროს ბინის სარკმელი ფუფუნებაში მყოფ ოჯახს თითქო რალაზედაც ემუქრებოდა, მუქარას გველაზე მეტად ნატო გრძნობდა, შეშინებული ქმართან არ ამხელდა თუ ქაიხოსრო პირდაპირ ცხოვრობდა. ოთარმა კი აღრევე იცოდა



და ესეც იმავე მიზეზის გამო ცოლს უმაღავდა. ორივე ცოლქმარნი პირველსავე შემთხვევაში მზად იყვნენ ბინაც კი გამოეცვალათ, ოღონდ ამ უსიამოვნო მეზობლისთვის არ ეცქირათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბინის ქირა წინდაწინ ქონდათ გადახდილი და ერთი წლის ტყვენი იყვნენ.

ამ უამად სალის გონება სულ სხვანაირად მსჯელობდა. ქაიხოსროს და ნახვის შემდეგ ბავშვის ფიქრები ეენიას შესახებ თანდათან დასრულდა. მისი ლანდი მისუსტდა ამ შედგარ, მრავალ მეტყველ ადამიანის წინაშე. ქაიხოსროს სახე ისეთის მაგარის რკინის მარწუხებით ბოჭავდა და ჯაჭვავდა ბავშვის ნორჩს, მაგრამ მძლავრ ნებისყოფას რომ, როგორც კი შენიშნავდა სარკმელთან რაიმე ლანდს, სალიც მაშინვე ანგარიშმიუცემლად ფანჯარასთან ჩნდებოდა და უყურებდა.

მალე ქაიხოსრომაც მიაქცია ყურადღება სალის უცნაურ ქცევას და ისიც აკვირდებოდა თითქო უნდოდა გაეგო, თუ ეს პატარა ქალი რას ითხოვდა მისგან?

სალი ამჩნევდა ქაიხოსროს დღითი-დღე როგორ ეცვლებოდა სახის მეტყველება, დღემდე კუშტად გამომყურე ადამიანს რალაც სათნოების ღიმილი უჩნდებოდა. ასეთი ღიმილი სალის მივლო სოფელში, როგორც ტოლებისგან, ისე იმათ მშობლებისგან და ამ ღიმილის განახლება ეხლაც კვლავ მოსწყურდა, მალე ისეთ მოთხოვნილებად გარდაექცა, როგორც სხეულს საქმელი.

მაგრამ როდესაც გაახსენდებოდა, რო ეს მეტად კეთილი, გულის გამთბობი ღიმილი ეკუთვნოდა სწორედ იმ სოციალისტს რომელიც შეფეს ტახტიდან ჩამოგდებას ემუქრებოდა და რისთვისაც ნატოს თვალით დასანახავად ეჯავრებოდა, ბავშვის არსება ჯერ რალაც მძიმე გაურკვეველ განცდისგან მთლად შეიკუმშებოდა, მაგრამ მალე ამ ტყვიისფერ ღრუბლებიდან მზის შუქსავით ბრწყინვალედ გამოიქიატებდა ქეშმარიტი მხილება, რომ ნატოსგან შეძლებულ უარყოფილი სალისთვის ყოველთვის სარგო სასიცოცხლო იყო, ამის შემდეგ პატარა ქალი სარკმლიდან ქაიხოსროს უფრო თამამად უღიმოდა.

\* \* \*

მოჰკლეს ალექსანდრე მეორე. ხმამ ელვისებურად გაჰკრა ყურში მთელ ქალაქს, ერთ აზრად, ერთ განცდად გარდააქცია. ქუჩაში სამგლოვიარო დაშვებული დროშები მხედრობის რაზმების ხელში დინჯად მოცურავდნენ.

ხალხი ერთმანეთს მიჩერებოდა პირში სიტყვა გაწყვეტილი, მალევე სცილდებოდა, თითქო ეშინოდა მათი გულის ბგერაც კი არაეის გაეგონა და გარბოდა საითაც ეწეოდა გაოგნებული გონება.

ქანდარმები სახლებს ჩხრეკდნენ, საეჭვო პირებს აპატიმრებდნენ.

ზარატინიც თავისის ორის ამხანაგით შავ ჩოხებში, მკლავზე შავ მარნაშ-გაკეთებულები, გარემოშვილებთან დილით მოვიდნენ. ოთარი და ნატო შესაფერის სახით დახვდნენ. მიუსამძიმრეს, ამ დღისთვის ნატოს თალხი კაბა ჩაეცვა. ბაასი ნაწყვეტ-ნაწყვეტი იყო, სოციალისტების



ვარშემო ტრიალებდა, ბავშვებიც ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ უფროსებს, თუ ეს უკანასკნელები კიდევ რას იტყობდნენ.

ქუჩიდან მოისმა სამგლოვიარო მარში სამხედრო მუსიკისა, მუსიკის სევდიანმა ჰანგებმა, რომელნიც ცხადად ლაღადებდნენ დიდძალმა მარშის გარდაცვალებაზე, ნატო აღშფოთებაში მოიყვანა, სავარძლიდან შეხე ქაშოვარდა. ეს კიდევ ვერ შერიგებოდა იმ ქეშმარიტებას, რაც უკვე მომხდარიყო, ზღვა ლაშქარის მყოლი მეფე ვილასაც მოეკლა.

ნატოს არსება მოიცვა უზომო ზიზღმა სოციალისტების მიმართ და ესეც სარკმელთან მივიდა. ქაიხოსროს ფანჯარასთან ვილასაც თვალი შეასწრო, მრისხანედ შუბლი შეიკრა.

— ალექსეი პეტროვიჩ, ამ სახლში სოციალისტი სცხოვრობს! შესძახა მკვეთრის ხმით და თითი გაუშვირა საითაც საჭირო იყო. ქალი თავის ნათქვამს ანგარიშს აღარ უწევდა.

ზარატინმა დი მისმა ამხანაგებმაც თავი დაუკრეს, აგრძობინეს რომ უკვე მიხვედრილები იყვნენ, თუ კიდევ რის თქმა უნდოდა ნატოს. ოთარი იმ დროს მეორე ოთახში შესულიყო, მარშალთან წასასვლელად ემზადებოდა. ვერიკო ყველა ამას უთანაზიაროდ უყურებდა, იცოდა პოლიტიკაში მისი ჩარევა არ შეიძლებოდა, მეფის სიკვდილიც იმდენად აწუხებდა, რავედენადაც ამისი მზიარულების და გართობების დამაბრკოლებელი.

ახალგაზდა ქალი ისე შესჩვევოდა ყოველ დღე ნადიმებზე ყოფნას, რომ ვერ წარმოედგინა ამ მგლოვიარობის დროსაც კი სახლში რა ეკეთებინა?! თუნდ შინაც სწვევოდნენ სტუმრები, მათ როიალი მღუმარედ დახვდებოდა, ნომღერალთა ზარივით წკრიალა ხმებიც შეწყდებოდნენ. ვერიკო დაღონებული იყურებოდა, შემხედვარენი კი ამასაც მეფის ქირისუფლად სახავდნენ.

ზარატინი უფროსს გენერალს ახალ ახალის ვალდებულებით დაეტვირთა, წინანდებურად ყოველ დღე ველარ მოდიოდა.

სტუმრების ფეხის ხმა მინელდა, ცხოვრება დაყურუსდა, დღეები მიდიოდნენ, ხალხი მომხდარ ამბავს თანდათან ეჩვეოდა, ცხოვრება თავის კალაპოტში ვარდებოდა, მეფის სიკვდილით ქვეყანას ცვლილება არ ეტყობოდა, ცა არ ინგრეოდა, დედამიწა თავის ადგილზე რჩებოდა. თურმე ალექსანდრე მეორეც მომკვდარიყო ისე, როგორც მომკვდარიყო ძია რამაზი, ან კიდევ სხვა რომელიმე მდიდარი კაცი. ასე მსჯელობდა სალის გონებაც. ბავშვს მტკიცედ სჯეროდა, რომ მეფე მოეკლათ სოციალისტებს და სოციალისტი ხომ ძია ქაიხოსროც იყო.

ამ გახსენებაზე სალიმ შეხედა პირდაპირ სარკმელს და შეკრთა, როდესაც ქაიხოსროს კარებთან გაჩერებულ ეტლში ჟანდარმები დაინახა.

— დარო, ლიზიკა, ჟანდარმები! — დაიჩურჩულა სალიმ და ხელი დაუქნია დებს, რომლებიც იქვე ოთახში რაღაცას ფუსფუსებდნენ.

ჟანდარმის ხსენებაზე შემკრთალი ბავშვები სარკმელს ეცნენ. მალე სახლიდან გამოვიდა ქაიხოსრო ქურქში შეხვეული. ჟანდარმებმა ეტლში ჩასვეს. სალიმ შენიშნა, ვიდრე ეტლი დაიძროდა, ქაიხოსრომ აქეთ გამოიხედა, მაგრამ სახეზე ღიმილი დაჰკარგოდა, მაგიერად ზიზღი ეხატებოდა. ეტლი წავიდა.



ფერგადატეტილმა ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს. სალი დიდუღისკენ გაიქცა, ნატო და ოთარი მეფის პანაშვიდზე წასულიყვნენ. მარიაში ზორანს ბეჭავდა. ბავშვი მივარდა, მოხუცებულს ნიკაპზე ხელი წაავლო. დიდუღისკენ მოსწია.

— დიდედა, ეს არის ესლა ძია ქაიხოსრო ჟანდარმებმა ეტლით სადღაც წაიყვანეს. რათა? — ათრთოლებულის ხმით ძლივს სიტყვას არკვევდა აღელვებული ბავშვი.

— რაღა რათა შვილო! თუ აგრეა, დაუჭერიათ უბედური და ეს არის, რაკი მაგათ ხელში ეს მეორედ ჩავარდა, რაღა კეთილს დააყრიან? — წარმოსთვა მარიაშმა, თვალეში ცრემლი გამოუკრთა.

— მეფე მოჰკლეს... ქაიხოსრო დაიჭირეს... ზურაბი დაიკარგა, ალბად ძია ქაიხოსრომ თუ გაუგო და ჩვენთან აღარ გამოუშვა?... რად ეჯავრებოდა ქაიხოსროს ესენი?... რად ეჯავრება ნატოს ქაიხოსრო?... რა სიძულვილი ეხატებოდა ნატოს იმ დროს სახეზე, როდესაც ზარატინს თითით უჩვენებდა ქაიხოსროზე?! რად დააბეზლა ნატომ ზარატინთან, ან ზარატინი რა იყო ამათი?! ეს და შრავალი ამგვარი საკითხები აღარ ეშვებოდნენ სალის გონებას და მათგან შეწუხებული ბავშვი კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა... ბოლოს მოთმინება დაკარგულმა დარიკოს სახელოში ხელი სტაცა და შესძახა:

— დარიკო, ჩქარა მითხარი გაიმეორე, სასაშვილმა როგორა სთქვა, რად უნდოდა ძია ქაიხოსროს, რომ მეფე ჩამოვარდესო? შერე რა იქნებაო?

— იმის მაგივრად ხალხი უნდა იყვესო. — მოესმა დამშვიდებული პასუხი დარიკოსი, რომელიც მაგიდასთან იდგა და ქვეით კაკალს ამტვრევდა.

— ხალხი იყვესო?! — ფიქრიანად გაიმეორა სალიმ და ხელი მიიღო გულზე, რომელიც ძალზე აუძვერდა — მაშ ხალხი იყვესო? — დიდხანს რეკდა მის ყურებთან რაღაც ზარი. სალიმ თვალეში მოხუჭა. მთელ სხეულში სასიამოვნო სითბოს ნაკადმა ელექტრონსავით დაუარა.

— მაშ, იცი, დარიკო, რახან აგრეა, ერთს რასმეს გეტყვი. მე აქ ყველაფერი მეჯავრება, ისევე სოფელში უნდა წავიდე. — დაილაპარაკა სალიმ და ბავშვს ისევე ხელი მაგრა ჩაავლო. სალის გამოხედვა მტკიცე იყო, ურყევი, ტუჩები უღიმოდნენ იმ სიყვარულით აღსავსე ღიმილით, რომელიც აერთებდა ხალხს ძია ქაიხოსროს და სალის.

დარიკო ამ დროს პირს ივსებდა ნიგვზის ლეზნებით, თან გაოცებით შეჰყურებდა დას, რომლის სიტყვების მნიშვნელობა სრულიად არ ესმოდა.

— არა, იმ უბედურმა ვილაშაც მოჰკლა, არ იცოდა მაინც და მაინც, რომ მეფობა ერთის კაცის სიკვდილით არ გათავდებოდა?! რო ერთის მეფის მაგივრად მეორე დაჯდებოდა?! — თავისას არ იშლიდა ნატო სუფრაზედაც, როდესაც სადილს მიირთმევდნენ. ოთარი სახლში არ იყო, მარიაშიც უგუნებოდ უსმენდა. სალი დინჯად და უშიშრად იყურებოდა, ეტყობოდა დილანდელ განცდებს



სამშვიდობო ბილიკით გამოეყვანათ მისი მშფოთავი სული და თავისებურის დამცინავის ღიმილით უხვდებოდა ნატოს სიტყვებს, რომლებიც უკვე ბორიოს მიჰქონდა.

## IX



სალამოს შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც კურგუზოვი და მასპინძლების შორის დიდი ბაასი გაჩაღებულ იყო. ბაასის საგანი უმთავრესად პრიკაზი იყო. კურგუზოვი დამგირავებელს ავალებდა სარგებელი უსათუოდ დრო-დროზე შემოეტანა, თან ამშვიდებდა, რომ მის მამულს არავითარი საფრთხე არ ელოდა, ვიდრე ანდრეი პავლოვიჩი პრიკაზის განგედ ეგულებოდა. აგრეთვე აღუთქვამდა მისი ანია სამერმისოდ ინსტიტუტისათვის მოუმზადებდა პატარა ქალებს, რომლებიც ამით ოჯახში ისე იქნებოდნენ, როგორც თავის დედ-მამის სახლში.

წამოსადეგი, ჩასხმული ანდრეი პავლოვიჩი სწორედ ოთარის ხნისა იყო. შავგვრემანი, მუქი, ფართე თვალები ლაპარაკის დროს ეხუჭებოდნენ, ტუჩებზე ღიმი უკრთოდა, შავად მზინავი თმა, ნიკაპის აქეთ-იქით გაშვებული უღვაშები მისს მედიდურობას ხაზს უსვამდნენ.

სერთუკში გამოწყობილს განაშებულ პერანგზე გაკეთებულ ყელსახვევში ბრილიანტის ქინძისთავი უბრწყინავდა, სერთუკის მარჯვენა მხარეს გულზე გარკობილი აკადემიის ნიშანი შემხედვარეს პატრონისადმი დიდ პატივის ცემას აგრძნობიებდა.. მიხვრა-მოხვრაში მოუჩანდა დიდი ნებისყოფა, სიტყვა—მძიმე, როგორც ჩაქუჩი. აქვე იჯდა მეუღლე მისი აგაფია, ფერმიტეტკილი, ქერა, თეთრის ჩეფჩიკით. შეხედულობით ქმარზე უხნესი სოსან ფარჩის კაბაში. ბეჭებზე თეთრი ქირმანი წამოესხა და უფრო ფაიფურის გაცრეცილ ტიკინსა ჰგავდა. ხმაგაპარებით, მაგრამ ალერსიანად ელაპარაკებოდა პატარა ქალებს, რომელნიც აქვე ჩამომწყრივებულ იყვნენ, დიდის ყურადღებით ათვალერებდნენ ოთახის მოწყობილობას, ახალ ხალხს, სასტუმრო ოთახის მდიდრული სანახაობა აოცებდა მათ.

სახლი საკუთარი იყო, ერთ სართულიანი, ფართე, განზე ვაჭიმული და მკვიდრი.

პატარა ქალები დაბნევით მოკლე-მოკლე პასუხებს იძლეოდნენ, თან ჩიტებსავით კენკავდნენ შაქრის პურებს, სხვადასხვა ტკბილეულობას, რომლებიც მათ წინგაშლილ მაგიდაზე უხვად დაელაგებინათ. კეთილი მოჩანდა აგაფია, მაგრამ მალი-მალ წითლდებოდა, ცალი თვალი ქმრისკენ ექირა, თითქო ყოველ სათქმელზე მისგან ნებართვას იღებდა.

ოთახში შემოვიდნენ მათი შვილებიც: ხნით ერთი-მეორეზე მომდევნონი.

გლებიკი პატარა ქალებთან ახლო დაჯდა, ლიუბამ განზე გაიწია, მის ამრეზილ სახეს ცხადად შეეტყო, რომ ეს მეოთხე კლასის მოსწავლე არავითარ საერთოს არა ხედავდა ამ ვიღაც ქართველ გოგონებთან. აქედან მონაბერმა სუსხმა ბავშვებს სხეულში ერუანტელი აგრძნობინა.

— მაშ ასე, ანდრეი პავლოვიჩ, დიდადა გმადლობთ თანაგრძნობისთვის, თუნდ არ გეთქვათ, ისეც დარწმუნებული ვიყავი, რომ აგრე იქნებოდა. თქვენ სკოლის სკამიდანვე გიცნობთ და უკვე ვიცი რა ერთგული ამხანაგი მყევხართ...



ოთარის სიტყვებს პასუხად მოჰყვა ანდრეი პავლოვიჩის ხითხითი..

— გარდა ამისა, გთხოვთ ჩემი შეილები სწავლასთან ერთად ფიზიკურადაც ავარჯიშოთ, სახლში ყველაფერი გააკეთებინოთ ეს გარჯა მაგათთვის სასარგებლო იქნება და არა საზარალო. — დაუმატა ოთარმა, მორეულ გრძნობებისაგან აღელვებულმა მხრებზე ყურთმაჯები გადაიყარა და ანდრეი პავლოვიჩის წყალობით პრიკაზიდან აღებულ ფულიდან ასი თუმანი ისევ ანდრეი პავლოვიჩსვე ბავშვების სასწავლებლად ხელში ჩაუთვალა.

— თქვენ პატივისცემას მართო ამ გადასახადით არ გავათავებ და შეძლებისამებრ ვეცდები კიდევ გასიამოვნოთ. ხვალ სოფელში მივდივარ, იქიდან გამოგიგზავნით ჩემგან საგანგებოდ დაყენებულ ღვინოს შამპანიურის მიხედვით.

— კმარა. ნუ სწუხდებით. ეგეც არ იყვეს, მე მაინც, როგორც თქვენი ამხანაგი, მოვალე ვარ პატივი გცეთ. — ამ სიტყვებით ანდრეი პავლოვიჩმა ღიმილით ოთარს ბეჭებზე ხელი დაჰკრა, ოთარმა ბავშვებს აკოცა, ბრძანების კილოთი კიდევ განუმეორა მასპინძლების მონა-მორჩილები ყოფილიყვნენ, გამოეთხოვა კურგუნოვებს და ოთახიდან გავიდა.

ბავშვები, დარეტოანებულიყავით დარჩნენ...

— აგაფია პეტროვნა! როგორც გითხარით, პატარა ქალებს თავთავიანთი ადგილები მიუჩნიეთ. უკვე ათი საათია, ყველანი დაწეკით. — შემოიძახა კარებიდან ქურქში გახვეულმა, საითკენღაც წასასვლელად მომზადებულმა ანდრეი პავლოვიჩმა. მისი ხმა იყო მკვეთრი, მასში მკაფიოდ ისმოდა:

— აქ მე ვარ, ეს მე ვარ, თქვენი მბრძანებელი და პატრონია!

\* \* \*

ბავშვები გააცალცალკევებს. ლიზიკა და დარო — სასადილო-სასტუმრო ოთახებში პატარპატარა ტახტებზე მოათავსეს.

სალი აგაფიას ოთახში მოხდა, თვალს არ აშორებდა ყუთს, რომელიც ახლად მიწამიყრილ საფლავსავით შეკოკოლავებულიყო, მაზე გაშლილი ლოგინის კალთები ყუთის აქეთ-იქით გვერდებზე გადაშვებოლიყო და ყუთის კუხზე სალის უსათუოდ წელი მაგრა უნდა დაეჭირა, რომ არ გადმოვარდნილიყო.

სალიმ დაინახა თუ არა თავისი ლოგინი. მივარდა. როგორც ერთად-ერთ ძვირფას განუყრელ ნუგეშს, რომელსაც წინადაც არაერთხელ გაუთბია, დაუმშვიდებია ამისი აღელვებულ-შეშინებული გონება და ეხლაც საჩქაროდ ჩაწვა, მუშტსავით მოიკრუნჩხა, თავი მისდო იმ ყურთუქზე, რომლის ბუმბული სოფლის ბავშვებთან ერთად თვისის ხელით გაურჩევია.

სალი ბალიშზე პირქვე დაემხო, ორივე ხელები ქვეშ გაუტარა, მაგრა ჩაეკრა, ბალიშმაც თარულად წვეთ-წვეთად შეისუტა მის თვალთაგან გადმონადენი მღუღარე ცრემლები, მაგრამ მალე თვითონვე შერცხვა ამ ცრემლებისა, თავს ძალა დაატანა, დამშვიდებოლიყო, საბნიდან სახე გაინთავისუფლა, რომ კვლავ ახალის სანახავეებით გართულიყო.

შესახედავად ღირდა ის განიერი ხის საწოლი, რომელშიაც რბილად ჩაფლულიყვნენ აგაფია და ლიუბა. მათ პირდაპირ აკვანსავით გამოჩარხული ხის სა-



წოლი ხელის შეხების დროსაც ქანაობდა. შიგ ხუთმეტრი წლის ჩასუქებული გლები კი ოთხად მოკაკულიყო.. ამის დანახვაზე სალის კინალამ სიცილი წასკდა, მაგრამ პირში მუშტი ჩაიდო.

აგაფი ს ოთახი სადა იყო. კედლის თახჩა ტანისამოსის შკაფად გარდაექციათ. ხატებით სავსე კუთხეში ყველაზე ცხოვლად მოჩანდა ანდრია პარველწოდებული, რომელსაც სალი ვერა სცნობდა.

ცამეტი წლის ლიუბა დედას ლოგინში უალერსებდა, გლებიდან დაიდან ესაყვარლებოდა:

— დაიძინეთ, ჩემო მერცხლებო, დაიძინეთ, ჩემო გვრიტებო! — ისმოდა დედის მინახებული ხმა, რომელიც სალის ყურში სიაშოვნებით უღიტინებდა.. ასეთი ტკბილი სიტყვები არ გაეგონა თვით მარიამისგანაც, არც ელოდა, რადგან, როგორც ხედავდა ეს სათუთი ალერსი შეეძლო მარტო დედას, სალის კი დედა არა ჰყავდა.

პატარა ქალმა ისევ ნალველი იგრძნო, თვალები მოხუჭა, ეგებ მკვნესარე გულის ხმა ძილით გაეყრუებინა.

\* \* \*


მეორე დღეს ლიზიკა და დარო ახალის განცდებისგან აგრეთვე ძილგამფრთხალნი აგაფიას საჩქაროდ გაეღვიძებინა სწორედ იმ დროს, როდესაც ის იყო ახლად ჩასძინებოდათ.

დილის ექვს საათდზე ოთახები უნდა დაეღაგებინათ, საცაა ანდრეი პავლოვიჩი ჩაის დასალევად განოვიდოდა. უიღ საათდზე ანდრეი პავლოვიჩი უკვე მაგიდას უჯდა აზიურ აბრეშმის ხალათში თავზე ფესკით, ქოშებში ფეხებ-გაყრილი. ერთ ხელში სიგარით, მეორეში „რუსის უწყება“. შენიშვნებისა და განკარგულების მისაცემდაც დროს პოულობდა და თვალები აქეთ-იქით მიმოურბოდა. მას ლიზიკა და დარო გვერდი ა მოესხა, შემდეგ სალი, უფროსი ქალიშვილი ანია გაბღვერილი დედის გვერდით იჯდა, უკვე თვრამეტი წლისა იყო, გიმნაზია ოქროს მედლით გაეთავებინა და იმავე სასწავლებელში გაკვეთილებს აძლევდა. ანდრეი პავლოვიჩი იმ აზრისა იყო, რომ, როგორც კი გახდებოდა სრული წლოვანი, ქალი იქნებოდა თუ ვაჟი, მას თავისის შრომით უნდა ეცხოვრა. სწავლის დამთავრებამდე თავს მოვალედა რაცხდა დახმარებოდა. ანიაზე უფროს დასაც აგრეთვე მედლით გაეთავებინა სასწავლებელი, პეტერბურგის სამუსიკო კონსერვატორიაში შესულიყო, დარჩენილიყვნენ გლებიკი და ლიუბა, ამათაც შეკვეთილი ჰქონდათ უფროსების კვალზე სვლა და თუ როდისმე რომელიმე ხუთზე ნაკლებ ნიშანს მოუტანდა, რაც იშვიათად არა ხდებოდა, მას აუცილებლად სხეულის რბილ ადგილზე მამისგან მწეავე მათრახი ხედებოდა. მათრახი ანდრეი პავლოვიჩს განსაკუთრებით მარტო ამ მიზნისთვის შეეძინა. შეიღებიც ცდილობდნენ მამის რისხვა თავიდან აეცილებინათ, რაც გლებიკს უფრო უძნელდებოდა, ვიდრე ლიუბას.

— ანია, აი ის ბავშვები, რომლებზედაც წინად გეუბნებოდი და ეხლაც გიმეორებ რომ მერმისთვის უსათუოდ უნდა მოამზადო ინსტიტუტისთვის, შესაფერ



კლასში მოხედნენ.—წარმოსთქვა დამშვიდებულის ხმით ანდრეი პავლოვიჩმა, თან ლონივრად ჩაჰკრა დანა იქვე თეფშით მდგარ ხიზალაღას, რომ პურის ნათალზე წაესვა.

—ანია, გესმის?—გაიმეორა ანდრეი პავლოვიჩმა, და სათვალეების ზემოდან გადმოუბღვირა ქალიშვილს, რომელიც განგარძობდა ჩუმად უკვე წაყვარებულ ჩემს წინადადებაზე უკმაყოფილო ხარ. ეს კი არ მომწონს.—განსვამი მსხინებელი ხმა.

—საქმე უკმაყოფილებაზე არ არის. რა გითხრათ, როდესაც ჯერ ვერ გამომირკვევია მაგათი სწავლება როდის უნდა მოხდეს?

—დრო შენ თვითონ უნდა გამოძებნო, ეგ შენი საქმეა..

—როდის? დილიდან ორ საათამდე ვაკვეთილები, სადილის შემდეგ მუსიკა, მერე სიმღერა. ამასობაში ღამდება.. დასასვენებელი დრო აღარა მრჩება.

—წელანაც გითხარი და ეხლაც გამეორებ. მაგ წვრიძალებში ჩემი გარევა მეტია.. სანამ ჩემ ჭერ-ქვეშა ხარ, სახლშიაც უნდა შემოიტანო რაიმე თუ არა? მარტო შენ თავზე ფიქრი არა კმარა.

—მე მგონი, ჩემი წვლილი საკმაოდ შემომაქვს.. ჩემით ვიცვამ, ვიხურავ ოთახის ქირასაც კი გაძლევთ ისე, როგორც ის უცხო პირი, რომელიც აქვე ოთახში გიყენიათ. არ მესმის ამაზე მეტს ჩემგან რაღას ითხოვთ?

—უმთავრესი გავიწყდება და ეს უმთავრესი კი ყველაფერზე უმთავრესია,—ჩაიხითხითა ანდრეი პავლოვიჩმა..

—რა?—იკითხა ანიამ და გაოცებით შეხედა მამას.

—სასმელ-საქმელი. არა, ჩემო კარგო, ღამდენი მჭამელის შენახვა ერთ მშრომელ ადამიანს არ შემეძლიან და ამისთვისაც გთხოვთ თქვენც გაისარჯოთ. ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არი. როგორც გინდა საათები გაანაწილე, ამ პატარა ქალებს კი უსათუოდ უნდა ასწავლო.

—მე მაგათ ვასწავლო და სწავლაში აღებული ფული ვის?—დამცინავის კილოთი ჩაილაპარაკა უფრო თავისთვის ანიამ!

—ანია! საკითხი ამოწურულია!—შეჰყვირა ანდრეი პავლოვიჩმა და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა. ანიამაც პურს კბილით წიწქა დაუწყო, ნამცეცებთან ერთად ცრემლიც გადაყლაპა ამ დროს აგაფიამ ქმარს ჭიჭით ჩაი გადააწოდა.

—აგაფია პეტროვნა, რაც რასაკვირველია ბუნებრივად ხდება, თქვენ თანდათან მეხსიერებას ჰკარგავთ და გავიწყდებათ, რომ მე ყოველთვის მუჭი ჩაი მიყვარს. —ამ სიტყვებით ანდრეი პავლოვიჩმა უკანვე დაუბრუნა ჭიჭა ცოლს. აგაფია სახეზეწითლებული აცახცახებულის ხელებით დაფაცურდა სამოვრის გარშემო, მას მიუშველნენ გლებიკი და ლიუბა, რომლებიც გვერდით უსხდნენ. აგაფიამ თავისი მეცდომა მალე გამოასწორა, ყავასავით ჩამუქებული ჭიჭა ღიმილით გადააწოდა მეუღლეს, თან თვალებით მოტევებას სთხოვდა. კარგასიხუმის შემდეგ ანდრეი პავლოვიჩი პატარა ქალებსაც მოუბრუნდა. დაუსვა თავზე ხელი, ღიმილით უთხრა:

—ბავშვებო, ყოჩაღად იყავით. სწავლაში იბეჯითეთ, ზარმაცი ადამიანი მეჯავრება. თქვენი მასწავლებელი ანიაა, თუ კარგად არ გასწავლოთ, ან რამე დაგიშავოთ, მაშინვე მითხარით, მე თქვენი მამის მაგიერი ვარ და თქვენს მაწყინარს შესაფერ პასუხსაც გავცემ, როდესაც დაგჭირდეთ და რისთვისმე მომმართოთ, უსათუოდ „პაპაშა“ დამიძახეთ, აგაფია პეტროვნას კი—ღეიდა,—პატარა ქალებიც გულში ინახსოვრებდნენ, რასაც ავალეებდა მათ ახალი, „პაპაშა“





## მტრის სიგლარა

(აღმოსავლურ ჰანგებიდან)

ქალაქში ხმა გავრცელდა, ბოლშევიკები საზღვართან მოსულან და ზარბაზნებს ისვრიანო. ვის ენახა, ან ვის შეემოწმა — არავინ არ კითხულობდა. ყველას ერთმანეთისაგან ესმოდა და ყველანი ერთმანეთს აშინებდნენ.

ბაზარში ერთი თავზარ-დამცემი არეულობა, ხმაურობა და ყიჟინა ასტყდა, თითქოს ქვეყნის აღსასრული დადგაო. შიშისაგან თავზარ-დაცემული ვაჭრები დარბოდნენ ხაფანგში ჩავარდნილ თავგებივით.

უცებ ბაზრიდან მოისმა:

— ჰეი, მართლმორწმუნენო, დიდი მეჩეთისკენ!... თვალის ერთ დახამხამე-ბაზე ასტყხეს ჩხარა-ჩხური, დაკეტეს დუქნები და გაეშურნენ წმინდა მეჩეთისაკენ. იქ მუშტაიდს უნდა ელოცა, რომ ალლაჰს მფარველობა გაეწია თავის მორწმუნეთათვის, მოეშორებინა მათგან ეს ახალი, ჯერ კიდევ უხილავი უბედურება.

მეჩეთის ქუჩაზე ერთი ალიაქოთი და აურ-ზაური იდგა. ვაჭარი, ზარაფი და ხანი — ყველანი ელდანაკრავებივით მიეშურებოდნენ სალოცავად. მაგრამ ამ აურ-ზაურში ყველაზე მკვეთრად გაისმოდა მათხოვრის ხმა. ის თავის ჩვეულებრივ ალაგას იდგა, ქუჩის კუთხეში — ადამის ტანისამოსით, მხოლოდ პატარა ნაგლეჯით სასირცხო-დაფარული, გამხდარი, დაღარული სახით და ნახევრად ბრმა თვალებით. ტიტველა ტანი ეკლაკნებოდა, და ხელებ-გაშვერილი, დამალონებელ და შემზარავის ხმით გაიძახოდა მოჯადოებულებით:

— ოოჰ, ალაჰო, ბალშევიკებს სახლი დაუქციე, მათი სინსილა გაწყვიტე!... ოოჰ, ალლაჰო, მათ გზას ცეცხლი წაუკიდე, მთელი ქვეყნის ჭირ-ვარამი მათ თავზე დააბნიე!... ოოჰ, ალლაჰ, ალლაჰ!

და ახალ ახალ წყველა-კრულვას უგზავნიდა ბალშევიკებს და ნერვიულად იშვერდა ხელებს მოწყალების მისაღებად.

გამვლელები გულგახეთქილნი უახლოვდებოდნენ, ეკონათ რაიმე ახალ უბედურობას გვატყობინებსო, და რა დაინახავდნენ, რომ ის თავის გულისას ლაპარაკობდა, ერთ გროშს — სპილენძის ფულს მიუგდებდნენ.

მეჩეთი რომ გაივსო მორწმუნეთაგან და ქუჩა დაწყნარდა, მათხოვარს



ერთი ჭაბუკი მიუახლოვდა, საეჭვო ღრმა თვალებით აქეთ-იქით დაიწყო ყურება და უთხრა:

— ალი, რა გეკითხება, ბალშევიკებისა რათ გეშინიან? მე უცხო ქვეყნიდან მოვდივარ და ვიცი, რომ ისინი საწყლებს შველიან, მდიდრებს კი მძებრობიან... დაე შეშინდეს ვაჭარი, ზარაფი და ხანი, შენ რაღა გაშინებს? სხვების მაგიერ შენ რად იწყევლები?

— ბატონო, მე მოწყალებით ვცხოვრობ, ბალშევიკები რომ მოვიტყუებ და მდიდრები გაცარცონ, მაშინ ვილა მომცემს მოწყალებას?

— მე ბატონი არა ვარ, ამხანაგი დამიძახე... ალი, გაიგე რა გითხარი?.. საწყლებს, მათხოვრებს, ისინი შველიან მეთქი... იმ ხალხს რომ იცნობდე ალი, მაგ სისხლის მწოვარებს აგეთი სიტყვებით გულს აღარ მოჰფხანდი და ალლაჰს მაგათთვის გულის სიმშვიდეს აღარ მოსთხოვდი.

— ძმაო, რა ჭკუა შემრჩენია, რომ ვიცოდე? დაბადებიდან ერთი ტკბილი დღე არ მინახავს. როდესაც ბედმა უკანასკნელად მილალატა და გამთელა, მას შემდეგ აღარაფერი გამეგება. მე ამ ქვეყანაში მხოლოდ ორ ხელს ვხედავ: ერთი რომელიც მოწყალებას მაძლევს, მეორეს კი ჩემს გამხმარს ხელს, რომელიც ართმევს... ეჰ, ძმაო, ერთ დროს სოფელში ვსცხოვრობდი ჩემი სახლობით, ერთი გაცეცხლებული ხანის ყმა ვიყავ, ნახევრად მშიერი, ძალღის დღეში ვიმყოფებოდი, მაგრამ გვერდით სახლობაც მყავდა... ეხლა კი არავინ აღარა მყავს!.. ეს ჩემი გამხმარი თავი-ლა დამრჩენია...

ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა დამწვარ თვალებიდან.

— როდესაც სიმშვილი ძლიერ დამეძალა, ვსთქვი: ხანისაგან ერთ ახალ მიწას ავიღებ, იქნება რამე გავაკეთო მეთქი. წავედი, ერთი ხრიოკი, უვარგისი მიწა ვსთხოვე და იჯარით ავიღე, ამაგი დავსდე, სისხლი, ოფლი ჩავღვარე, ჩემის ხელით ყანად ვაქციე და დიდი იმედით დავთესე. მაგრამ არწივი როდის სტოვებს არხეინად პატარა ულონო ბარტყებს.

ერთ დღეს ხანი სასერიზოდ გამოვიდა. მოვიდა ჩემთან ცხენით, ჩემს ყანას თვალი გადაავლო და შურის ღიმილით ჩაიციხა, დიდრონი უღვაშები აათამაშა:

— კარგი ხელი გქონია, ალი,—მითხრა—მხოლოდ ეს ალაგი ჩემთვის მჭირდება.

— ბატონო,—ვუპასუხე, კარგს იზამ აქვე მომკლა, ვიდრე ეს ყანა წამართვა, ჩემ ოჯახს საცხოვრებელი მოუსპო. ამაგი მაქვს, ოფლი დამიღვრია ყოველ ადღ მიწაზე..

უთხარი თუ არა, ხანი აღუღდა, აქაფდა, დორბლები გადმოჰყარა და დაიღრიალა:

— პირუტყვო, მხეცო, მხეცზე უმდაბლესო! სიცოცხლე მოგბეზრებია!.. ხანი დაგვიწყებია?.. მე შენ ისე მოგაგონებ, რომ საუკუნოთ დაგახსოვდეს! და მათრახი რამდენჯერმე სახეზე გამაწნა, გამასისხლიანა.

— ამას ბეთ გაძლევ, დანარჩენს კი თავის დროზე მიიღებ...

დღე დაიწურა, დაღამდა, ერთი ბაიყუშური ღამე დადგა. მოვიდნენ ხანის



მოსამსახურენი, როგორც უწმინდურნი, და ხვიხინით, გინებით გამათრიეს, შემკრეს, ცოლშვილი ამიტირეს...

ეჰ, რაღა ვსთქვა! რაღა გავაგრძელო?... იმდენი მცემეს, საფლავის კარამდის მიმიყვანეს... და იმ დღიდან, ძმაო, — კარგათ დამივდე ყური — ბეჭებ-ჩამტვრეული, უვარგისი გავხდი. ერთ კვირაზე ცოლი მომიკვდა, კვლავსკან. მეც ცხოველის ლეშივით გადამავდეს ჩვენ სოფლიდან... ჩემი ქვეშევრდები ეჰ, რაღა გითხრა! მშიერ-მწყურვალ დარჩნენ სხვის მოიმედეთ, ავით გახდნენ და წავიდნენ ამ ქვეყნიდან... და ჩემი ოჯახის კვამლიც ჩამიქრეს...

დავრჩი ესე, — გამხმარი თავით, უვარგისი და უბატრონო, დარდებისგან დასრესილი, მარტო და მშიერი... ეხლა, ძმაო, ხედავ ჩემ დღეს? ქალაქის ქუჩეში და ტალახში ხელს უშვერ ყველას... არაფერი აღარ გამეგება... სიკვდილს-ღა ვნატრულობ, რომ აღარ დავინახო ეს უსამართლო ქვეყანა...

— ალი, ძლიერ გულშემზარავია შენი ამბავი, მაგრამ ათასჯერ უფრო სამწუხაროა, რომ შენ შენი მკვლელის წყევლას იმეორებ, შენი მტრის სიმღერას მღერი... შენ რომ ეს გაიგო, ალი, გაცოდებოდი, შენი თავი შეგძულდებოდა და ისეთ ნაირად ამოიკვნესებდი, რომ შენი ხმისაგან ქალაქის კედლებიც შეირყეოდნენ.

მეჩეთიდან მლოცველნი თითო-თითოთ გამოდიოდნენ. ჭაბუკი ხელახლად მიიმალა ვიწრო ქუჩაში, გულდამწვარი ალი კი დარჩა თავის ალაგას გაბრუებული.

— ალლაჰ! ალლაჰ! — ისევ გაიძახოდა მანქანებრივ და დავიწყებოდა — სადაც იყო, რას აკეთებდა? ჯერ ისევ ცოცხლობდა, თუ ჯანდაბის სიღრმეში დადიოდა?..

და როდესაც ქუჩა ხელახლად მოიცვა მლოცველების ჟრიაშულმა, ვაჭარმა ხარაფმა და ხანმა გაცეებით გაიარეს მათხოვარის გვერდით, ალი, ალი! რატომ აღარ ისმის შენი ხმა, წელან რომ წყევლა-კრულვას და უხვ უბედურებას უგზავნიდი ბალშევიკებს?..

— ალლაჰ! ალლაჰ! — დუდუნებდა ალი. ჩემი ოჯახი... ჩემი სისხლით და ოფლით დამუშავებული ყანა... მე არაფერი არ გამეგებოდა... როგორ ვიფიქრებდი, რომ ის ასეთ ამბავს... ასეთ სასწაულს მიაბზობდა? ეჰ მე არაფერი არ გამეგებოდა... არ ვიცოდი, რომ ჩემი მტრის სიმღერას ვმღეროდი...

## მ. ღარბინიანი

### მ ტ რ ე ბ ი

ზამთრის პირი იყო. წყვილი ლამე, ნისლს თავისი ცივი ბრჭყალები მაგრად ჩაეფლა მიწაში.

სიცივე ადამიანს ძვლებში უვლიდა.

ქაჩალ-დავის თავზე ისხდნენ. თათრებისა და სომხების საზღვარს ერთმანეთისაგან დიდი გზა ჰყოფდა. ერთ ქვაზე იჯდა კაროა, ნაბადში შეხვეული,



თოფ-ჩაკრული. ფეხები შეეკეცნა, რომ ყინვას არ წაეღო, და დარაჯობდა პო-  
ზიციას, — ვინიციობაა თუ მტერი ღამით შემოსულაყო — თოფის სრულით ეცნო-  
ბინებინა სოფლისათვის.

— ფრონტი გაგვეგონა, მაგრამ არ გვენახა, — ფიქრობდა კაროა, — ეაეც  
ვნახეთ. სად ჩვენი ველური მთები და სად ტყვიისმფრქვეველი მთა? ჩვენი ჰა-  
ლალნი ხენა და თესვა, ჩვენი ბალახი და ნამგალი, და სად მთა-მთა მტკიცება, თო-  
ფი და ხმალი... ბრძოლა სხვებს შეჰშენისთ, — შორს, დადრონ სახელმწიფოებს.  
განა შუა სოფელში, სახლის კარებთან ომი შეიძლება? ვის უნახავს, რომ მთი-  
ბავს ხელში ნამგალი ეჭიროს და მხარზედაც თოფი ეკიდოს, ანუ გუთნის დე-  
დას ერთ ხელში გუთნის ტარი ეჭიროს და მეორეში კი თოფის ლულა? ამბობ-  
დნენ — ნიკოლაი ტახტიდან გადმოაგდეს, მოჰკლეს, ქვეყანა უნდა დამშვიდდესო,  
სომეხი და თათარი ძმებსავით უნდა იყვნენო; ვზებიც გაიხსნება და თავისუფ-  
ლად ივლითო. გაგვეხარდა. გვეგონა, დღეის შემდეგ ერთ ლუკმა ჰალალ პურს  
გემრიელად შევჭაძდით, კარგ დღეს ვნახავდით. აჰა, აი ესეც, ჰალალნი ცხოვრე-  
ბაც და სიცოცხლეს!

კაროა ფიქრის მორევში იყო წასული. ძილი ეპარებოდა, და რომ ძილი  
არ მორეოდა, თავის თავთან მალლა ხმით დაიწყო ლაპარაკი:

— ოჯახი დაგეტყვას, დაშნაკო, გზა რაზე შეგვიკარი, ხენა-თესვას რის-  
თვის მოგვაშორე! მთაში და ხევში გადაგვადღე, სახლში ერთი ნაქერი პური  
არა მაქვს, ბავშვებს ტანთსაცმელი შემოვხიათ. მე ნება არა მაქვს, რომ ჩემი  
ჭირვა ჰასანა ვინახულო, მის სახლში წავიდე, ცოტა ხორბალი მაინც მოვიტანო.  
გადაგვამტერეს, ერთმანეთის სახეს აღარ ვხედავთ. ნეტავი ერთი იკითხოს კა-  
ცმა, მე და ჰასანას სამტრო რა გვაქვს? ერთმანეთში იოლათ მივდიოდით. რო-  
დესაც მე არ მქონია პური, მისთვის გამომირთმევი; მას ხარი არა ჰყოლია, ჩემი  
წაუყვანია, უმუშავებია. ეჰ! თქვენ ოჯახდაქცეულებო, ოჯახს რაზე გვიტყვით? თავი  
დაგვანებეთ, თავი დაგვანებეთ, ჩვენ სატკივარს ჩვენვე მოუვლით. ახ, ჰასან, ჰასან,  
ეხლა სადა ხარ? ნეტა ეხლა რას აკეთებ? ნეტავი შენი ადგილი ვიცოდე, რომ  
მოვიდე და ჩემი დარდი შემოგჩივლო... ჰასან, ეი ჰასან! ნეტავი ვიცოდე მომ-  
კლავ მე? გამიმეტებ? ნუ თუ ჩვენს პურ-მარცხს ფეხ-ქვეშ გასთელავ?.. ჰასან,  
მოდი რალა! თუ გეშინიან, შენი ბავშვები მაინც გამოგზავნე. ვნახო, მათი ნა-  
ხვა მენატრება. როგორ არის პატარა მუსა, შენი ხალილა? ჰასან! ხელები გამი-  
ხმეს, თუ ხელი ვახლო! ტყუილია, ჩვენ მტრები არა ვართ! მოდი, მოდი, ეი  
ჰასან! მაშ შენი სვინიდიისი რას ამბობს?.. ბავშვები მშიერი მყვანან: მოდი, ერთი  
ძროხა მოგცე, სამაგიეროთ ცოტა ხორბალი მომე, ზამთარი გავატაროთ.

კაროას ორი მსხვილი ცრემლის კურცხალი ჩამოუგორდა.

ყოველისფერი სდუმდა: ცივა, წყვილიაღია... მხოლოდ ქარი ზუზუნებდა და  
შორიდან მშიერი მგლის ღმუილი მოისმოდა.

— ამბობენ, ვითომ მე დაშნაკი ვიყო, თათრის მტერი, ჰასანაც ვითომ  
მუსავათია, ვითომ სომხის მტერია, და თუ ერთმანეთს შევხვდით, უსათუოდ  
ერთმანეთი უნდა დავხოცოთ. — ფიქრობდა კაროა.



— ახ, ვინ მოიგონა ეს? ვინ?.. მე დამეკითხნენ დაშნაკი რომ გამხადეს?.. მე ვარ და თათარს არა ვკლავ, არამედ ერთი კარგად ვკოცნი, რას მიზამ?.. არა!.. მეუბნებიან, ჯგუფის უფროსი თავს მოგჭრისო... შენ ხომეხი არა ხარო, თუ მშიერი ხარ წადი თათარი გაცარცვეო, მას მიწა და სახლი წაართვიო... ახარ, მე ჩემს ჰასანას ხელი როგორ ვაალო? მე მას სახლი როგორ წაართო? როგორ დავლუპო? ჩემ სინიდიხს რა პასუხი მივცე?.. მისი და ჩემი სახლი დღევანდლამდე ვის გაუჩრჩია?.. ნუ თუ კაცი თავის სახლს თავისი ხელით დააქცევს?..

— კარო! კარო! ჰეი, ჭირვა კარო! — უცებ ვილაცამ დაბალი ხმა მისცა მას.

კაროა გველის ნაკბენივით წამოხტა და, თითქოს სიზმრიდან გამორკვეულმა, თოფი მიმართა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოესმა.

— ქიმ სიან? (ვინა ხარ?) ადგალიდან არ დაინძრა, თორემ მოგკლავ! — დაიძახა კაროამ და თოფი დაამხადა გასასროლად.

ხმა მისწყდა. კაროას აკანკალებდა.

— დამძინებია, სიზმარში ვყოფილვარ... სჩანს მე ჩემი ხმა გამიგია და წამომდგარვარ, თუ მართლა დამიძახეს? — ფიქრობდა კაროა, ერთ ალაგას გაჩერებული, გაშეშებული. — ვაი თუ ვინმემ გაიარა აქეთკენ!.. არა! თათრის პოზიციაში ხმა-კრინტი არ გაისმის, არაეინ არა სჩანს...

— კარო ჭირვა, კარო! ჰეი, ჭირვა კარო! — განმეორდა იგივე ხმა წყვედიადში, მხოლოდ ძლიერ ახლოს.

— ვინა ხარ? ჰეი თათარო, რა გინდა?

— ჰასანა ვარ, ჰასანა! შენი ხმა გავიგე და მოვედი, რას მეძახდი?

— მაშ მოდი, მოდი! ახლოს მოდი! ჰასანჯან ნუ გეშინიან.

— არა! შენ მოდი! შენ! ნუ გეშინიან, მე ჰასანა ვარ!

კაროა ძეგლივით იდგა გაშეშებული. ფიქრობდა, წასულიყო, თუ არა? ვაი თუ ჰასანა არ იყოს და თათრებმა მომატყუილონ, წამიყვანონ, მომკლან? ჰასანას ხმას ჰგავს, მაგრამ ვინ იცის!..

— კარო! ჭირვა კარო!..

ხმა ძლიერ ახლოს იყო.

— ჰასან?..

— კარო?..

— ჰასან, მარტო ხარ?.

ჰო!.. შენ?..

— მეც მარტო ვარ.

— მაშ ახლოს მოდი, რაღა!

კაროა მიუახლოვდა.

წყვედიადში ორი ადამიანის აჩრდილები მაგრა ჩაეკვრნენ ერთმანეთს.

თოფები ერთ მხარეს გადაეყარნათ და ჩახუტულნი ქვითინებდნენ.

რამდენიც დრო მიდიოდა, სიცივე უფრო ძლიერდებოდა.



მაგრამ ისინი თითქოს არც კი ჰგრძნობდნენ—არც ქარს, არც სიცივეს. დიდხანს იყვნენ გაჩუმებულნი, ეშინოდათ არავის არ დაენახა.

— შენი ხმა ქარმა რომ მომაწვდინა, კაროჯან, ვიცანი და გული მომწყდა, ჩემ ყარაულობის დროს ბევრჯერ დამიგდია ყური, რომ გამეგო შენი ხმა და შენახე. იქნება იმ დროს შენც ყარაულობდი, მინდოდა შენთვის დამეძახნა, შენთან მელაპარაკნა, რამდენჯერმე მოვსულვარ თქვენს პოხტოვსებში, მაღვით. დარაჯი დამინახავს—სხვა ყოფილა... როგორ არიან? როგორ არიან შენი ბავშვები? როგორ არის მარიამ ბაჯი?—ქვითინებდა ჰასანა...

ნისლი თანდათან იწმინდებოდა, განთიადი ახლოს იყო.

— მაშ ეგრე, კაროჯან, ყოველ პარასკევ ღამეს ფარულათ მოხვალ იმ დიდ მუხასთან, დიდი ბუჩქის ქვეშ ხორბალი იქნება. იმ ხორბალს ჩაპყრი შენს ჭურჭელში და ჩემს პარკს დასტოვებ ბუჩქის ქვეშ. გაიგე?.. ფრთხილად!.. ისე მოიქეცი, რომ არავინ არ დაგინახოს, თორემ ორივეს ვაი დაგვეყრება...

ერთმანეთს დაშორდნენ.

ორი დღის შემდეგ ბრძოლა დაიწყო. აღელვებული ბრბო შეშლილივით ხოცავდა ერთმანეთს და ანადგურებდა ყოველივეს, რასაც წააწყდებოდა. ცეცხლს უკიდებდნენ უპატრონოდ დატოვებულ ბაღებს და ანგრევდნენ გომებსა და წისქვილებს. მოპირდაპირეთა პოზიციებზე სისხლი იღვრებოდა...

პარასკევ საღამოს, დაღამდა თუ არა, კაროამ მხარ-ქვეშ ამოიღო ხორბლის პარკი, მის ცოლ მარიამას იმ პარკში ჩაეწყო ჰასან ქირვას და ბავშვებისთვის წინდები, ხმელი ხილი და ერთი მოხარშული ქათამი. კაროა გზას გაუდგა შეპირებულ ალაგისკენ.

ისევ ღამე იყო.

პოზიციებზე ბრძოლა შეწყვეტილიყო. ბიჭები რიგრიგად ისვენებდნენ და ლაპარაკობდნენ ხვალინდელ ბრძოლის გეგმაზე.

კაროა ძლიერ ფრთხილათ, კატის ნაბიჯით მიუახლოვდა ბუჩქს. მის გულს გალიაში დამწყვდეულ ჩიტისვით გაჰქონდა ფართხალი. აი ხორბლის პარკიც, ერთი ვაეკაციისთვის კარგი ასაკიდი, დაახლოვებით ორი ფუთი იქნებოდა.

დასცალა, მოტანილები შეახვია ჰასანას პარკში და დასდო შეპირებულ ალაგას.

— ახ, ჰასანჯან, ნეტავი ეხლა სადა ხარ? სთქვა კარომ, პარკი მხარზე შეიგდო და გზას გაუდგა. ერთავად უკან იყურებოდა, რომ არავის ენახა.

რამდენიც დრო მიდიოდა, ბრძოლაც უფრო და უფრო ძლიერდებოდა. და იმ დროს, როდესაც მოპირდაპირენი ერთმანეთს ხოცავდნენ გაკაპასებით, კაროა ყოველ პარასკევს მიდიოდა დიდ ბუჩქთან ხორბლის მოსატანად.



## სიგონ ნაბახტიანი

## ზადელე



— სირცხელი და შეურაცყოფა, ბოლოს რას ნიშნავს ეს ყველაფერი საიდუმლო აგენტის უფროსს და ვუჩვენე იატაკზე დაგდებულ უფროსმა აიღო წერილი და დაიწყო კითხვა.

„ზოქალაქე უფროსო“!

„მე სისხლის სამართლის ქვეყანაში ზადელე\*,) მეტ სახელად ცნობილი „შმარა“ \*\*) მოველ თქვენ ქვეყანაში მხოლოდ ერთი გასტროლის მოსაცემად. წაიკითხეთ დღევანდელ გაზეთებში „შემთხვევების“ განყოფილება, საცა იპოვნით ცნობას „ერთი კოცნა 500 მანეთი“-ს სათაურით. ეგ მე ვარ, რომ ღამით ერთ სულელ არისტოკრატს ქუჩაში გავლის დროს ვაკოცე და 500 მანეთი ჯიბიდან ამოვაცალე. უბრალოთ ნუ შესწუხდებით. მე მივდივარ „ცაპლაზე“ (რკინის გზის ლიანდაგი). ერთი თვის შემდეგ დავბრუნდები თქვენთან რამდენიმე გასტროლისათვის. პატივცემით ზადელე“.

— ეს ჩვენთვის პირდაპირ შეურაცყოფაა—დავიყვირე მე.

— ვინ არის ეს საძაგელი ზადელე? — დამეკითხა აღშფოთებული უფროსი.

— მე მეკითხებით? მთელი სისხლის სამართლის ქვეყანას ზანჯარი გააქვს, თქვენ კი არაფერი იცით ზადელეს შესახებ. ეს დიდი შეურაცყოფაა! ზადელე ავტომობილით გავლისას თქვენ ჰაერის კოცნას გიგზავნით, თქვენ კი არ მოგგონებიათ ავტომობილის ნომრის დახსოვება. ეს სირცხელი და შეურაცყოფაა სისხლის სამართლის განყოფილებისთვის! მიბრძანდით ებლა და ზადელე დაიჭირეთ „ცაპლაზე“, რკინის ლიანდაგი კი ფინლანდიამდე მიდის...

აღელვებული გავედი გარეთ და მოვითხოვე საიდუმლო საქმე ზადელეს შესახებ.

საიდუმლო საქმიდან სჩანდა, რომ ზადელე იშვიათად ღამაში ქალი იყო, მაღალი ტანისა, იცვამდა მშვენივრად ტ ძვირფასის ბრილიანტებით იყო შემკული. დღეში რამდენჯერმე იცვლიდა მშვენიერ ტანისამოსს და თმებს იღებავდა ზოგჯერ შავად, ზოგჯერ ოქროს ფერად და ასე გამოდიოდა ქუჩაში. მისი ცხოვრება სასიყვარულო ამბებით იყო სავსე. ერთი პროკურორის თანაშემწეც კი შეჰყვარებოდა, რომელსაც ქალაქის მეორე სისხლის განყოფილების უფროსი პასუხისგებაში მიუცია სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლის ძალით, ვინაიდან მას გაუბედნა ზადელეს დაპატიმრება.

ზადელე დადის ქალაქიდან ქალაქში, უკავშირდება საზოგადო მოღვაწეებს, მალ-მალ ჯვარს იწერს და იმდენად უყვარს ჯვარის წერა, ქორწილი, რომ სისხლის სამართლის ქვეყანაში მისთვის დაურქმევიათ მეტ სახელად ზადელე. მუშაობს ერთ აფერისტთან, რომელიც განსაკუთრებით სახელმწიფო დაწესებულე-

\*) ზადელე: სისხლის სამართლის ვარგონზე ნიშნავს ჯვარის წერას, ანუ ქორწილს.

\*\*) შმარა: ბოროტმომქმედის დამწმარე ქალი.



ბიდან ქურდობდა. ზადელე იმდენად დაფიქრებულად და მოხერხებულად მოქმედობდა, რომ ეშმაკიც კი ვერ გაუგებდა. ბევრჯერ თავის მსხვერპლს ჰიპნოზით ხიბლავდა, აძინებდა და სძარცვავდა ყოველთვის გარშემოტყუნული მატინტებით \*).

ასე თუ ისე, ზადელე მარტო მე კი არ მაინტერესებდა, არამედ მთელი სისხლის სამართლის თანამშრომლებსაც.

ერთი თვის შემდეგ ზადელესგან მივიღეთ კიდევ ერთი წერილი.

„მე სამი დღის განმავლობაში თქვენთან ვიქნები. იმედი მაქვს სადგურზედ ერთმანეთს შევხვდებით, მაგრამ თქვენ მე ვერ მიცნობთ. პატივისცემით—ზადელე“.

წერილი ჩაგდებული იყო ჩვენი ქალაქის ფოსტაში. ცხადი იყო, ზადელეს წერილი გადაეცა ერთ მატინტისთვის ჩვენს ფოსტაში ჩასავდებად, რომ ჩვენთვის გზა გაეხლართნა.

დღეები გადიოდა, ზადელე არა სჩანდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ქალაქში არ იყო, ვინაიდან სერიოზული შემთხვევები არა ხდებოდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, ზადელე ჩვენს ქალაქში იყო, ოღონდ ჯერ საქმე არ დაეწყო. ის რამდენიმე ჯგუფს ადგენდა და ემზადებოდა, რომ ერთი დღის განმავლობაში უცებ რამდენიმე სერიოზული საქმე მოეხდინა და უკვალოდ გამქრალიყო.

თავის სილამაზის წყალობით ზადელე უახლოვდება ერთ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და ჯვარს იწერს, მიზანიც ცხადია: რომ თუ დამეპატიმრებინა, დიდი აურ-ზაური ასტყდებოდა ქალაქში. ის ისარგებლებდა გარემოებით და ხელიდან გამისხლტებოდა.

ზადელე თავის ძვირფას ნიეთებს მატინტებს მიაბარებს შესანახად, თითონ კი საქმეს შეუდგება. ქმარს ფულებს დასტყუებს და გაფლანგავს, რისთვისაც ჩვენი საზოგადო მოღვაწე პასუხისგებაში მისცეს გაფლანგვისთვის. საქმეს იძიებდა საგანგებო საქმეების გამომძიებელი. მას უნდოდა საიდუმლოების გაგება და მე მომმართა. მეც საიდუმლო აგენტის საშუალებით გავიგე საქმის ვითარება: დამეპატიმრე ერთი მატინტი და მინდოდა აგრეთვე დამეჭირა ლამაზი ქალიც, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყო ის ლამაზი ქალი.

მატიენტი გამოტყდა, რომ ის ლამაზი ქალი ის ზადელე იყო, რომელსაც ვეძებდით.

ასე თუ ისე, თვალთმაქც ზადელემ თავის დასახსნელი ნიადაგის გასამაგრებლად არ ითაკილა და უთხრა პროკურორს, ვითომ მე ზადელე მიყვარდა, ვითომ რამდენჯერმე წინადადებაც მიმეცა და მას ჩემთვის უარი ეთქვა, ესე იგი წინდაწინვე გაეფრთხილებინა პროკურორი, ვითომ შესაძლებელი ყოფილიყო დამეპატიმრებინა ის ქალი ჯავრის ამოსაყრელად.

\*) მატინტი: სისხლის სამართლის ქვეყანაში ეძახიან იმისთანა არისტოკრატ მოწაწვალეებს, რომელნიც უკავშირდებიან ქურდებს და მოპარულ ფულიდან ერთ ნაწილს თითონ იღებენ.



მაგრამ ჩემ სიცოცხლეში ზადელე ჯერ არ მენახა.

ზადელეს მეუღლემ, საზოგადო მოღვაწემ, ვერ აიტანა უბედურება და ნერვიული ავადმყოფობა მიიღო.

ზადელე დავაპატიმრეთ ერთ-ერთ უმთავრეს ქუჩაში გავლის დროს, ძირს დაეცა, კივილი დაიწყო, და ვითომ ისტერიკა მოუვიდა. ხალხი მოგროვდა და უკმაყოფილებას აცხადებდა ჩვენი უზღველობის გამო. ერთი სიტყვით, დამაჯერებელი ჩავიდინეთ ლამაზი ქალისა და საზოგადო მოღვაწის წინაშე. ზადელე ეტლით წაიყვანეთ. მან იმავე წუთში დაიბარა პროკურორი და უთხრა:

— მე თქვენთვის უკვე შემიჩივლია ამ უფროსის მამაცი საქმეების გამო და, გთხოვთ დამიხსნად ამის ბრკალებიდან.

მაგრამ ყოველივე ამას იყო შემსუსრავი საბუთების წინაშე. რაკი დაინახა ზადელემ, რომ არავისგან იმედი აღარა ჰქონდა, როდესაც მარტონი დავრჩით, გაიცინა და მიჰმართა ჩემ თანამშრომელს:

— ჩემზე თვალმაქცი ყოფილხართ.

— ციდან ჩამოსული ანგელოზები ხომ არ გეგონეთ?— ვუპასუხე და მორიგეს უბრძანე:— წაიყვანეთ ზადელე, დაე დაისვენოს, მერე ვალაპარაკებთ.

ზადელემ ამოიღო პორტსიგარი და პაპიროსი ნითავაზა სიცილით.

გაოცებული დავაშტერდი პორტსიგარს და დავინახე, რომ ჩემი იყო, როდის ამომაცალა ჯიბიდან— არ ვიცი.

ზადელე გავიდა ღიმილით.

— რამდენად გაფუჭებული და შეუპოვარია, რომ თქვენ ჯიბიდანაც კი ჰპედავს და იპარავს პორტსიგარს,— სთქვა მდივანმა და მთხოვა, რომ მისთვის ნება მიმეცა ზადელეს საქმის გარჩევას დასწრებოდა.

გამოძიებიდან აღმოჩნდა, რომ ზადელე ჩამომავლობით ბესარაბიელი იყო, სადაც ძველი რეგიმის დროს ყალბი ფულის მომჭრელებს ბუდე ჰქონდათ. და ზადელეც ამ ბუდეში გაიზარდა. ერთთავად ფარულად ცხოვრობდა. მის მამასთან დაიარებოდნენ მხოლოდ აფერისტები და ყალბი ფულის გამავრცელებელი. ბავშობიდან, გარდა სისხლის სამართლის ტიპებისა, არც ერთი რიგიანი კაცი არ ენახა. ჯერ 16 წლისა არც კი იყო, რომ თავის ოჯახში გავიანილი აფერისტების მამაცი საქმეების გავლენით უკვე ცდილობდა გაქცეულიყო სახლიდან და თავის მოქმედებით შეერყია მთელი სისხლის სამართლის ქვეყანა... გატაცებით კითხულობდა კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსს“ და ნად პინკერტონის ნაწერებს, რომელიც მაგ დროს მილიონებით ვრცელდებოდა ხალხში. 18 წლიდან, უკვე საკმარისად მომზადებული, შეიყვარებს ერთ ახალგაზრდა ჯიბგირს და შედის სისხლის სამართლის ქვეყანაში სამუშაოდ. მოკლე ხანში ყურადღებას მიიპყრობს ციხის ბინადრებისას და მეტადრე პოლიციისას. ძველი რეგიმის დროს ქრთამის აღება ჩვეულებრივი რამ იყო, ზადელეც ქრთამს აძლევდა ყველას— უბრალო პოლიციელიდან მოყოლებული გუბერნატორამდე, და თავისუფლად მუშაობდა, არასოდეს არ იჭერდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან შემოვიდა მდივანი და მომახსენა:



— ზადელე გამოძიების დროს უცებ სკამიდან დაეცა და აღარ სუნთქავდა: ჩვენ ძლიერ შეგვეშინდა, იმავე წუთს ექიმი და სწრაფი დამხმარების ეტილიც დავიბარეთ, უცებ ზადელე წამოდგა და დაციხვით მოგვემართა:

— გულუბრიყვილებო!.. ტუტუცებო!

მდივანს ჯერ არ გაეთაყვებინა თავისი მოხსენება, როდესაც მორიგე შენიღბულნი მოვიდა და მითხრა:

ზადელეს თქვენთან ლაპარაკი სურს.

— მოიყვანეთ, — ვუბრძანე. ზადელე შემოვიდა, ერთი განსაკუთრებული იერით დაჯდა, მშვენიერი თვალები მომაპყრო და მითხრა:

— როგორცა სჩანს, ჩემზე ძლიერ გაჯავრებული ხართ, რომ ქუჩაში ჩემი დაპატიმრების დროს ჯიბიდან პორტსიგარი ამოგაცალეთ.

— სრულიადაც არა, ჩვენ ჯავრის ამოყრა არ ვიცით, ჩვენი მიზანია დავიჭვიანოთ და მოვარჯულოთ შემცდარნი და გზადაბნეულნი, — ვუპასუხე დიდსულოვნებით და განვაგრძე: — გთხოვთ მიპასუხოთ, სად იყავით 1917—1920 წ. რევოლუციის დღეებში?

— მე მაშინ საბრალო, უნწევით ვიყავი, ვცხოვრობდი ერთ ოფიცერ ბოლშევიკთან. 1919 წლიდან მას გავეჭეცი და დღევანდლამდე ვმუშაობ სისხლის სამართლის ქვეყანაში, — მიპასუხა მან.

ერთი მიამბეთ, როგორ მოხვდით ოსმალის ჰარამხანაში?


— ეგ უკვე კომედიიაა, მაგრამ გეტყვით. ვისთანაც ვცხოვრობდი, იმ ოფიცერს სახელმწიფო ფულები მოვპარე. ის დახვრიტეს გაფლანგვისთვის. მე კი დამეძებდნენ. სხვა გზა აღარა მქონდა. განგებ მივყიდე ჩემი თავი ერთ მდიდარ ვაჭარს, რომელიც ცოცხალი საქონლით ვაჭრობდა. მან ისარგებლა ჩემის სილამაზით და მიჰყიდა ჩემი თავი ერთ ოსმალს. ამან წამიყვანა თავის ჰარამხანაში. იქაც შემიყვარდა ერთი ახალგაზრდა მამაცი დარაჯი. ჰარამხანიდან ერთად გავიქეცი. ბევრ შემთხვევებს გიამბობდით, მაგრამ თქვენ ლეგენდათ ჩასთვლით.

— სად შეხვდით ჩვენს საზოგადო მოღვაწეს?

— მე, როგორც იცით, ცაპლაზე ვიყავ (რკინის გზის ლიანდაგი). ის, როგორც სავაჭრო წარმომადგენელი, მოსკოვიდან ბრუნდებოდა და სადგურზე შემხვდა, ერთად ვმგზავრობდით. მატარებელში გავიცანი. წამლით დავაძინე, ამოვაცალე რაც წვრილი ფული მქონდა და გადავეცი ჩემს მატინენტს. როდესაც მან გამოიღვიძა, ყურადღება არ მიაქცია წვრილ ფულს. გაიგო, რომ მე „ქვრივი“ ვიყავი, დამიმეგობრდა, მერე ჩემი სილამაზით აღტაცებულმა, ჩემზე ჯვარი დაიწერა. შემდეგ რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით.

დაპატიმრებულმა მატინენტმა დაასახელა თავისი ამხანაგები, ყველანი დავაპატიმრეთ. ესენი იყვნენ ყოფილი მემამულენი, ფაბრიკანტების და არისტოკრატების ნაძირალნი, რომელნიც ყველას შეუძლიან ნახოს მშვენიერად ჩაცმულნი, უსაქმონი და მოხეტიალენი სახელოვან ქუჩებში და ყავახანებში.

ზადელეს დაპატიმრების შემდეგ შევატყობინე ცენტრალურ ქალაქების



როდესაც მორიგე შენიღბულნი მოვიდა და მითხრა:  
ზადელეს თქვენთან ლაპარაკი სურს.



სისხლის სამართლის განყოფილების უფროსებს, და რა აღმოჩნდა! მოკლე ხანში შხაპუნა წვიმასავით წამოვიდა დეპეშები. აგრეთვე მოვიდნენ აგენტები და უფროსები და თითქმის ყველანი თხოულობდნენ, რომ ზადელე ეტაპით გავგზავნა მათთან.

პროკურორი დასთანხმდა, ზადელე გავგზავნა იმ ქალაქში სადაც უფრო მძიმე დანაშაულობანი ჩაედინა.

ეგრეც მოვიქეციით და ზადელესთან ერთად მისი საქმეც გავგზავნეთ.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ზადელესაგან გავთავისუფლდით და მოვისვენეთ.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან საჭირო საქმისათვის ჩამოსულიყო ერთ შორეულ ქალაქის სისხლის სამართლის განყოფილების უფროსი, რომელმაც სხვათა შორის მაცნობა, რომ ცნობილი ზადელე მორჯულდა და მეცადინობს სისხლის სამართლის განყოფილებაში ნამდვილი შერლოკ ჰოლმსის როლში.

— ჩვენ ეშმაკის წიწილასაც კი მოვარჯულებთ. დაასრულა უფროსმა ღიმილით.

თარგმანრ სომხურით ლ. კარაპეტიანიხა.

1926 წ.



## „ა მ რ კ“

(დასასრული)

ისევ პაუზა, ისევ სიჩუმე, ისევ შეუწყვეტელი ჩურჩული, თითქოს შეუჩერებელი დენაა მთვარის სინათლის, რომ აჩურჩულებს ამ წყალს. დაბოლოს, კელავ მისი ხმა:

— მოიხურა კარი... მაგრამ მე უძრავი ვიდექ ჩემს ადგილზედ. თითქოს ჰიპნოზის ქვეშ ვიმყოფებოდი, მის ბრძანებას დამორჩილებული. მე შესმოდა როგორ ჩადიოდა იგი კიბეზედ, როგორ დაიხურა შემოსავალი კარი... შესმოდა ყველაფერი, და მთელი ჩემი ნებისყოფა მიმართული იყო მისკენ... რომ იგი... არ ვიცი რა... რომ დაძებრუნებინა, გამერტყა, ან დამეხრჩო... ერთი სიტყვით, მხოლოდ მისკენ... მისკენ მივილტოდა. მაგრამ რაღაც მაჩერებდა. ჩემი კუნთები თითქოს ელექტროს ძალით მოდუნებულიყვნენ. თვით სულის წიაღში დამანარცხა მისი თვალების სასიკვდილო ელვამ. ვიცი ამას ვერც აგიხსნით და ვერც ვიამბობთ. შეიძლება ეს სასაცილოდაც გეჩვენოსთ, მაგრამ მე სულ ვიდექ და ვიდექ უძრავად. განვლო რამოდენიმე წამმა, იქნებ—ხუთმა, იქნებ—ათმაც, ვიდრე შეესძელი მიწიდან დამეძრა ფეხი.

მაგრამ როგორც კი ფეხი გადავდგი, უკვე ანთებული ვიყავ და უკვე გაქცევაც შემეძლო. ერთ წამში ჩავირბინე კიბე. მას ხომ მხოლოდ სადგურისაკენ მიმავალ ქუჩით შეეძლო წასვლა. ვეცი თავლას, რომ ველოსიპედი გამომეტანა—გასაღები დამევიწყებოდა. გავამტვრიე დარაბა და... აი უკვე კვალ და კვალ მივქრი ველოსიპედით. მე უნდა... უნდა დავეწიო მას, ვიდრე იგი ავტომობილში ჩაჯდება... უნდა ველაპარაკო მას...

მივქრი და ჩემს უკან მტვერის მთელი ღრუბლები რჩება. მხოლოდ ეხლა ვგრძნობ თუ რა დიდხანს ვყოფილვარ უგრძნობლად გარინდული მისი წასვლის შემდეგ. იქ, ტყის მოსახვევში უკვე თვით სადგურთან ვხედავ მას, მიმავალს. მაგრამ იმანაც უეჭველად შემაჩნია, რაღაცას ეუბნება ბოის. ბიჭი ჩერდება, იგი კი მარტო განავრძობს გზას. რა განიზრახა? რატომ სურს მარტოდ ყოფნა

\* ) იხ. „მნათობი“ № 5—6.



იქნებ უნდა მე მომელაპარაკოს, რომ ბოიმ არ გაიგოს? მთელის ძალით ვაწვეები პედალს. უეცრად გვერდიდან რალაც მეცა. თურმე ბოი დამეტაკა. ძლივს გავასწარი ველოსიპედის გაწევა მარჯვნივ, და უმაღლ მიწაზე დავეცი.

ვსდგები გინებით. უნებლიედ ვიქნევ მუშტს რომ, მაგრად დავერტყა ამ რეგვენს, მაგრამ იგი ადვილად იცილებს ჩემს ხელს. ვიღებ ისევ ჩემს ველოსიპედს, რომ ზედ შევახტე. ეს არამზადა ისევ აქ არის, ეტანება ველოსიპედს და დამტვრეულ ინგლისურ ენაზედ ბურტყულობს; *You remain here*

თქვენ არ გიცხოვრიათ ტროპიკებში. არ იცით რა წარმოუდგენელი კადნიერებაა, რომ აი ასეთმა არამზადა ყვითელკანიანმა თეთრი „ბატონის“ ველოსიპედს სტაცოს ხელი და მას, „ბატონს“ უბრძანოს, ადგილიდან არ დაიძრეო!

პასუხის ნაცვლად მაგრად ჩავარტყი სახეში. წაბარბაცდა, მაგრამ ველოსიპედს მაინც ხელს არ უშვებს. მისი თვალები, ვიწრო, მშიშარა თვალები, ფართედ გახსნილან და მონური შიშით აღესილან. მაგრამ მას ხელთ უპყრია საჭე და, დალახვროს ეშმაკმა, ისეთი ძალით ჩასტიდებია მას „*You remain here*“, — ბურტყუნებს ისევ. საბედნიეროდ, თან არ მქონდა რევოლვერი, თორე ამ ბიჭს აუცილებლად იქვე მოვკლავდი.

— შორს, არამზადა! — შევბლაღვე. — ის კი მოღუნული შემყურებს, მაგრამ საჭეს მაინც ხელს არ უშვებს. მე ისევ ვურტყამ თავში, ხელებს მაინც არა ხსნის... ეხლა კი გავხელდი. ვხედავ, რომ ის ქალი იქ აღარ არის, იქნებ წავიდა კიდევ... ნამდვილ ბოქსიორის დარტყმით ნიკაპ ქვეშ მიწაზე ვანარცხებ ბიჭს. ველოსიპედი ისევ ჩემს განკარგულებაშია. ვახტები საჯდომს, მაგრამ მანქანა არ მოძრაობს. ბრძოლაში საჭე მოღუნულა. ათრთოლებული ხელებით ვსცდილობ გავასწორო, არაფერი გამოდის. მივუგდე ველოსიპედი ამ დაცემულ არამზადას, და ისიც, მთლად სისხლში ამოსვრილი, ზეზე დგება და განხედ მიდის... და მაშინ — არა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ სასაცილოდ და სამარცხვინოდ ითვლება იქ, რომ ევროპიელმა... ერთი სიტყვით, მე აღარ მესმოდა რას ვჩადიოდი... მხოლოდ ერთი ფიქრი-ლა სუფევდა თავში: დავწეოდი მას, რითაც კი შესაძლებელი იყო. და როგორც გიჟი, გავიქეც სოფლის ქუჩით. ყვითელთა ხროვა განცვიფრებით ეტუხებოდა თავიანთ ქოხების კარებებს და ფანჯრებს, რომ დაენახათ უჩვეულო სურათი: თუ როგორ მირბის თეთრი კაცი, როგორ მირბის ექიმი!..

ოფლში დაწურულმა მივალწიე სადგურს... ჩემი პირველი კითხვა იყო — „სად არის ავტომობილი?“ „ეს არის წავიდა!“ განცვიფრებით მიყურებდა ყველა. — აღბად მე უნდა ვმზგავსებოდი გიჟს, როდესაც მივევარდი სველი, ტალახით მოსვრილი, და შორიდანვე გყვიროდი ჩემს კითხვას... ქუჩაში, სადგურს იქით, ვამჩნევ ავტომობილის პატარა თეთრ ბოლს. მოახერხა გაქცევა! მოახერხა! როგორ ხერხდება ყველაფერი მისი მტკიცე, სასტიკი ანგარიშების მიხედვით!

მაგრამ გაქცევა მას ვერ უშველის! ტროპიკებში, ევროპიელთა შორის საიდუმლოება არ არსებობს. ყოველი წვრილმანი ამბავად გადაიქცევა. შოფერმა ხომ ტყუილად არ იცადა ერთი საათი სახელმწიფო ბენგალოს წინ! რამოდე-



ნიმე წამის შემდეგ მე ყველაფერი ვიცი: ვიცი ვინც არის. ცხოვრობს ქვეით საოლქო ქალაქში, რკინის გზით რვა საათის სავალია აქედან... ვიცი რომ დიდი კომერსანტის ცოლია, საოცრად მდიდარია, კარგი ოჯახიდან არის, ინგლისელია. ისიც ვიცი, რომ მისმა ქმარმა ეხლახანს ხუთი თვე დაჰყო ამერიკაში და ამ დღეებში უნდა დაბრუნდეს, რომ თან წაიყვანოს ევროპაში... მსგავსების ხომ — როგორც საწამლაფი მწვავეს ეხლა ეს ფიქრი — იგი, მხოლოდ თორე, სამი თვე თუ იქნება, რაც ორსულად არის!

აქამდის, შესაძლოა, გასაგები ვყოფილიყავი თქვენთვის — იქნებ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ მომენტამდე მე კიდევ მესმოდა ჩემი თავის... მე თვითონ, როგორც ექიმი, დიაგნოზს ვურკვევდი ჩემს მდგომარეობას. აქ კი თითქოს ციებამ შემიბყრო. ამის შემდეგ მე უკვე ველარ ვმართავდი საკუთარ თავს, ე. ი. ნათლად ვგრძნობდი მთელს უაზრობას იმისას, რასაც ჩავდიოდი, მაგრამ მე ჩემს თავს ველარ ვფლობდი.

გიჟივით მიერბობდი და მხოლოდ ერთს მიზანს ვხედავდი... თუმცა, მოითმინეთ ცოტა! ვეცდები ეს უფრო გასაგები იყოს თქვენთვის. იცით რა არის „ამოკი“?

— „ამოკი“? რაღაც მაგონდება... თრობის მსგავსია მალაელთა შორის.

— დათრობაზე მეტია. გაცოფებაა, ძალის გაცოფების მსგავსი, უაზრო სისხლის მსმელი მონომონიის მოვარდნა, რაც სიმთვრალის არც ერთ ფორმას არ შეედრება... იქ ყოფნის დროს მე თვითონაც მქონია საქმე რამოდენიმე ასეთ შემთხვევასთან — როდესაც საქმე სხვას შეეხება, ჩვენ ყოველთვის აზრიანი და დაკვირვებულნი ვართ — მაგრამ მე მაინც ვერ შევსძელი მომეძებნა მიზეზი ამ საშინელი და საიდუმლო ავადმყოფობის. მას უსათუოდ რაღაც კავშირი აქვს იქაურ ჰაევასთან, რომელიც, როგორც გრუხუნი იქამდე აწვება ნერვებს, ვიდრე ისინი ნეტს ველარ აიტანენ. მაშ ასე, მე გელაპარაკებოდით ამოკის შესახებ. დიად, ამოკი! აი როგორ ხდება ეს: ზის რომელიმე მალაელი, უბრალო და გულუბრყვილო, და თავის არაყს სწუწის. ზის ისევე გულგრილი, გამოშტერებული და უილაჯო, როგორც მე ვიჯექი ჩემს ოთახში. უეცრად წამოხტება, სტაცებს ხელს ხანჯალს, გავარდება ქუჩაში და მირბას წინ, მხოლოდ წინ, პირდაპირ, თითონაც არ იცის საით. ვინც უნდა შეხვდეს გზაში, ადამიანი თუ მხეცი, უთუოდ ჰკლავს თავისი „კრისით“. სისხლი უარესად ახელებს. ტუჩებზედ ცოფი გადმოსდის და სირბილის დროს გარეულ მხეცივით ღრიალებს... და მირბის, მირბის, მირბის არ იხედება არც მარცხნივ, არც მარჯვნივ. მირბის თავისი საშინელი შეუდრეკელი გზით, ღრიალით და გასისხლიანებული „კრისით“. სოფლებმა იციან: არ არსებობს ძალა, რომ შეეძლოს ამოკით დევნილის შეჩერება. ისინი მხოლოდ ყვირიან, რომ სხვები გააფრთხილონ: „ამოკი!“ „ამოკი!“ ყველანი იმალებიან, ის კი მირბის, არც ესმის, არც ხედავს, ჰკლავს ვინც კი შეხვდება, მირბის სანამ თვით მას არ ჩაჰკლავენ ცოფიან ძალლივით, ან არ დაეცემა ჭანცგამოლეული.

ერთხელ ვნახე ჩემი ბენგალოს ფანჯრიდან. საშინელი სანახავი იყო... და მხოლოდ მის გამო, რომ თვითონვე ვნახე ეს, ეხლა მესმის ჩემი თავი იმ დღეებ-







და სწორედ ეს აუცილებლობა, რომ უნდა მეთხოვა პატიება ჩემს მიერ ჩადენილ სასაცილო და თავ-შეუკავებელი საქციელის გამო, კიდევ უფრო მეტად მახლებდა. ვიცოდი, როგორ ძვირფასია ყოველი წამი, ვიცოდი რომ მისთვის ეს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, და მაინც არ შემეძლო მეთქვა ერთი სიტყვა, მენიშნა მაინც რითიმე, მიტომ რომ იგი დაშინებული იყო ჩემი სწავრობა და საშიში თავდასხმით. ეს ჰგავდა... არ ვიცი როგორა ვსთქვა... ერთი რომ მისდევს ვისმეს, რათა აცნობოს, რომ მას წინ სიკვდილი ელის, ხოლო მეორეს კი თვითონ ეს მდევნელი ჰგონია მკვლელი და კიდევ მეტის სიჩქარით მირბის პირდაპირ დამლუპველ საშიშროებისაკენ. იგი ხედავდა ჩემში მხოლოდ ამოკით დევნილს, რომელიც სდევნის მას მხოლოდ მისთვის, რომ დაამციროს იგი, ხოლო მე... და სწორედ ამაში იყო მთელი უაზრობა, რომ მე უკვე აღარ ვფიქრობდი ამაზედ... სავსებით განადგურებული, მხოლოდ იმასხედ და ვოცნებობდი, რომ როგორმე მეშველნა მისთვის, როგორმე გადამერჩინა... წავიდოდი სასიკვდილოდ, დანაშაულსაც ჩავიდენდი, ოღონდ კი იგი გადამერჩინა. მაგრამ მას არ ესმოდა ეს. გავიღვიძე თუ არა დილით, პირდაპირ იმის სახლისკენ გავიქეცი. კარებთან ბოი იდგა, ის ბოი, რომელიც მე გავლაზე. როგორც კი შორიდან შემნიშნა—უეჭველად მე მიდარაჯებდა—უცხად მიიმალა კარებში. შესაძლოა ეს იმისთვის ჰქნა, რომ წინასწარ ეცნობებია ჩემი მოსვლა... შესაძლოა... ოჰ, როგორ მაწვალებს ეხლა ეს გაურკვეველობა... იქნებ... იქნებ მაშინ ყველაფერი გამხადებულიც იყო ჩემს მისაღებად. მაგრამ იმ წუთში, როდესაც მე ის დავინახე, მთელი ჩემი შერცხვენა გამახსენდა და უკვე გამბედაობა დავკარგე, რომ ვიზიტი კვლავ გამემეორებია. მუხლები მეღუნებოდა. უკვე შესავალ კარებთან ვიყავი, რომ მოვტრიალდი და უკანვე წამოველ... წამოველ იმ წუთს, როდესაც იგი შესაძლოა, არა ნაკლების ტანჯვით მელოდებოდა.

ეხლა კი აღარ ვიცოდი რა მექნა, რა უნდა გამეწყო ამ უცხო ქალაქში, რომელიც მტანჯავდა და მაშინებდა კიდევ. უეცრად გამიელვა აზრმა: იმავ წუთს დავუძახე ეტლს, გავემართე იმ ვიცე-რეზიდენტთან, რომელსაც იქ ჩემს სადგურში დახმარება აღმოვუჩინე და, ვბრძანე მოეხსენებინათ ჩემი მისვლა. ჩემს გარეგნობაში რაღაც უცნაური იყო ალბათ, რადგან მის თვალში კრთოდა შიში, ხოლო თავაზიანობაში მღელვარება ისახებოდა. მან ალბათ მაშინვე გამოიცილა ჩემში ამოკით დევნილი ადამიანი. გადაკვრით განუუცხადე მას, რომ ვითხოვ გადამიყვანოს ქალაქში, რადგან ჩემ სადგურში მეტის გაძლება აღარ ძალმიძს... უნდა გადმოვიდე დაუყოვნებლივ! შემომხედა. მაგრამ მე ვერ გადმოგცემთ, როგორ შემომხედა. მაგალითად ისე, ექიმი რომ ავადმყოფს შეხედავს.

— თქვენმა ნერვებმა ვეღარ აიტანეს ალბათ, ჩემო ექიმო, — სთქვა მან შემდეგ. — ძალიან კარგად მესმის! ყველაფერი როგორმე მოეწყობა, მხოლოდ ცოტა მოითმინეთ... ვსთქვათ, სამი ან ოთხი კვირა... ჯერ უნდა მოადგილე მოგიძებნოთ.

— ერთი დღის მოცდაც აღარ შემეძლია, — განუუცხადე. მან ისევ შემომხედა იმ უცნაური შეხედვით.



— უნდა მოითმინოთ, ექიმო, — უკვე სერიოზულად დასძინა მან. — ჩვენ არ შეგვიძლია სადგური უექიმოთ დავსტოვოთ. მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ ამ საქმეს დღეიდანვე მოვკიდებ ხელს.

ვიდექ მის წინ დაკრეჭილი კბილებით. პირველად ვიგრძენი ნათლად, რომ ვიყავე მონა, გაყიდული ადამიანი. ჩემში უკვე უღრეკი წინააღმდეგობა დავუბრუნე. მაგრამ მან, როგორც საზოგადოებაში გაწვრთნილმა და მოქნილმა მოსწავლემ, დამასწრო: — თქვენ გადაეჩვიეთ ხალხს, ექიმო, და ესეც თავისებური ავადმყოფობაა, ჩვენ ყველას გვიკვირდა აქ, რომ თქვენ არასოდეს არ ჩამოდიოდით, არასოდეს არ აგილიათ შვეებულება. თქვენ საჭიროებთ საზოგადოებას, გართობას! დღეს სალამოს მაინც მოდიოთ. გუბერნატორს დღეს მიღება აქვს და იქ მთელს კალონიას შეხვდებით. ბევრი, დიდი ხანია რაც ბევრნი მოწადინებულნი არიან თქვენს გაცნობას. ხშირად უკითხავთ თქვენი ამბავი და არა ერთხელ გამოუთქვამთ სურვილი, რომ აქეთ გადმოსულიყავით.

უკანასკნელმა სიტყვებმა განმაცვიფრეს. უკითხავთ ჩემი ამბავი? მას ხომ არ უკითხავს? თითქოს გადავსხვაფერდი და, მოვახსენე რა მადლობა ვიცე-რე-ზიდენტს განსაკუთრებული ზრდილობით, დავპირდი აუცილებლად მესარგებლა მისი დაპატივებით. და მართლაც, დროით მიველ წვეულებაზედ, დანიშნულ დროზედ ადრეც. განა საჭიროა ვითხრათ, რომ საშინელი მოუთმენლობით ავსილმა, პირველი გიახელით მთავრობის სახლის უზარმაზარ დარბაზში? ყვითელკანიანი მსახურნი ფუსფუსებდნენ ყოველ კუთხეში, რბილად აბიჯებდნენ ტიტველა ფეხებს და, როგორც ჩემს ავადმყოფ გონებას ეჩვენებოდა, თითქოს მე დამცინოდნენ ზურგს უკან. მთელი მეოთხედი საათის განმავლობაში ერთად-ერთი ევროპიელი ვიყავი ამ მდუმარე ხალხში და იმდენად მივეცე თავი საკუთარ ფიქრებს, რომ მხოლოდ საათის კაკუნი ლა მესმოდა ეილეტის ჯიბეში.

როგორც იქნა მოვიდნენ რამოდენიმე მოხელე თავიანთ ოჯახებით, ხოლო შემდეგ თვით გუბერნატორიც გამოჩნდა და ხანგრძლივ საუბარს შეუდგა ჩემთან. გულდასმით ვუსმენდი და, როგორც ვატყობდი, დალაგებით ეუბასუხებდი, ვიდრე... ვიდრე უეცრად არ შემიპყრო რაღაც აუწერელმა გაუგებრობამ, და უაზრო პასუხების მიცემა დავიწყე. მე ვიდექ ზურგით შემოსავალ კარისკენ, მაგრამ მყისვე ვიგრძენი, რომ ის შემოვიდა, რომ ის უკვე დარბაზშია!

ვერ აგისხნით, როგორ აღმოცენდა ჩემში ეს მშვიდობიანობის დამკარგველი დარწმუნება, მაგრამ, როდესაც ველაპარაკებოდი გუბერნატორს და ვაკვირდებოდი მის ხმას, სადღაც ჩემს უკან ნათლად ვგრძნობდი მის ყოფნას. საბედნიეროდ, გუბერნატორმა მალე გაათავა საუბარი ჩემთან — ვფიქრობ, მას იმ წუთში რომ არ გავეშვი, აღარ მოვერიდებოდი არავითარ უზრდელობას და უთუოდ მოვიბრუნებდი პირს — ჩემი ნერვები ისე მძიმეთ იყვნენ დაჭიმული, ისე მაწვალებდა ეს სურვილი უკან მოხედვის. და მართლაც, ვერც კი მოვასწარი მობრუნება, რომ ის სწორედ იმ ადგილას დავინახე, სადაც ჩემს ფიქრში წარმომედგინა. ყვითელი, სადარბაზო კაბა ეცვა, რომელიც ღიად სტოვებდა მის საუცხოვო ჩამოთლილ მხრებს, სპილოს ძვალისგან რომ ბრწყინავდნენ. იგი იღიმოდა, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს მის სახეზედ რაღაც დაჭიმული ხაზი დავიჭი-



რე. მიუახლოვდი. იგი ან ვერ მხედავდა, ან არ სურდა დავენახე. მე კი შეეცქეროდი ამ ღიმილს, თავაზიანს და ნახს, მის სათუთ ტუჩებზედ. და ამ ღიმილში ასევე დამათრო მე, მიტომ რომ იგი... ვიცოდი რომ იგი იყო ტყუილი, ხელოვნება, ტეპნიკა, პირმოთნეობის შედეგრი. „ოთხშაბათია დღეს“, გამკრა თავში. შაბათს მოდის გემი, და მისი ქმარი დაბრუნდება... მხოლოდ შეუძლია ასე იცინოს, ისე... ასე დაშვებებით იცინოს და მხარშის ცხელი სისხლის მარაო იმის ნაცვლად, რომ მღელვარებისაგან სულ ერთიანად დაკუმშოს. მე... მე, უცხო... უკვე ორი დღეა ვართი იმ საათის შემდეგ... მე უცხო განვიცდიდი მის ნაცვლად შიშს, მთელს მოსალოდნელ საშინელებას, ის კი ზეიმზედ მობრძანდა და ილიმება, ილიმება, ილიმება...

სადღაც დაუკრა მუსიკამ. დაიწყო ცეკვა. ხანში შესულმა ოფიცერმა გაიწვია იგი. მან მოიხადა ბოდიში, დასტოვა ნაცნობები და წაჰყვა ოფიცერს მეორე დარბაზში. როდესაც მე შემაჩნია, უცრად მღელვარებამ გადაჰკრა—მხოლოდ ერთის წამით, შემდეგ, ვიდრე გარდავწყვეტილი—მიმეცა სალამი თუ არა, თვითონვე დამიკრა თავი, როგორც შემთხვევით ნაცნობს:

— სალამო მშვიდობისა, ექიმო.

წამი ძლივს გავიდა. მან უკვე გაიარა. ვერავენ ვერ ახსნიდა, რა იმაღლებოდა ამ რუხ-მწვანე ცქერაში, და მეც, მე თვითონაც ვერაფერი გავიგე. რატომ დამიკრა თავი? რატომ მიცნო უცბად? იყო ეს თვითდაცვა, თუ ნაბიჯი შერიგებისაკენ, ან შედეგი უბრალოდ მოულოდნელობის? ვერ აგიწერთ რა მღელვარებას განვიცდიდი! შემდეგ ყველაფერი აიძვრა ისევ და მზად იყო გადმონთხეულიყო. მე ვუცქერდი მას, ვალსის წრეს რომ ხაზავდა, მიკრული ოფიცრის გულს, ცივი და უდარდელი გამომეტყველებით სახეზედ, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ იგი... რომ იგი ჩემსავით ფიქრობდა მხოლოდ იმაზედ... მხოლოდ იმაზედ რომ... რომ ჩვენ ორს შორის ამ ხალხში საშინელი საიდუმლოება სუფევს... ის კი ცეკვავს... ჩემი ავადმყოფობა, ჩემი ტანჯვა და ალტაცება ამ წუთებში იყო უფრო ალტყინებული, ვიდრე ოდესმე. არ ვიცი, მაკვირდებოდა თუ არა ვინმე, მაგრამ აშკარაა, რომ ჩემი მოქმედებით უფრო ვააშკარავებდი ჩემს მდგომარეობას, ვიდრე იგი. მისი განცდების მალვას, მე ვერ ვაიძულე თავი, რომ გადამეტანა ყურადღება სხვა საგანზედ, მე უნდა... უნდა მეცქირა მისთვის, ვჭამდი მას თვალებით, შორიდან ჩავერჭე მის აუღელვებელ სახეში და მხოლოდ ერთ რამეს ვაკვირდებოდი: ნუ თუ ერთი წუთით არ გაუვარდება მას ეს ნიღაბი? იგიც აშკარად გრძნობდა ჩემს ცქერას. ეს არ ჰგვრიდა მას სიამოვნებას. როდესაც ცეკვის შემდეგ, ხელგამოყრილმა თავის კავალერთან, ჩემს გვერდით გამოიარა, თვალები დამიბრიალა ბრძანების მეტყველებით, რომ აქედან წავსულიყავი. ჩემს მიერ უკვე ერთხელ ნახულმა, ამაყი აღშფოთების ხაზმა გასკრა მისი შუბლი.

მაგრამ—მოგახსენეთ უკვე—რომ მე მღეენიდა ამოკი და არც მარცხნივ და არც მარჯვნივ არ ვიხედებოდი. მაშინვე გავიგე იგი. ეს შეხედვა ნიშნავდა: „ნუ იპყრობ ყურადღებას! შეიმაგრე თავი!“ მე გავიგე, რომ იგი... არ ვიცი როგორა ვსთქვა...: რომ აქ, ამ საზოგადო ადგილს, ჩემგან წესიერ მოქცევას ითხოვდა.



მე შესმოდა, რომ თუ ეხლა სახლში წავიდოდი, დარწმუნებით შემეძლო მეფიქრა, რომ ხვალ იგი აუცილებლად მიმიღებდა... მას მხოლოდ აქ სურდა აეცდინა თავიდან ის უხერხული, თითქმის ინტიმური ხასიათის ცქერა, ჩემს გამომეტყველებას რომ ემჩნეოდა და, რაც თვალში ეცემოდა გარეშე მაყურობელთაც... მე ვიცოდი, რომ მას ეშინოდა—და ჰქონდა კიდევ ამის საბუთო რაიმე მოულოდნელი და უხერხული საქციელი არ ჩამედინა. აი, ხომ ხედავთ ყველაფერი გავიგე. მე გავიგე ეს მბრძანებელი, რუხი გამოხედვა, მაგრამ... მაგრამ ეს უკვე ჩემს ძალას აღემატებოდა, მე უნდა მელაპარაკნა მასთან და ასე, ბარბაციით, გავემართე პირდაპირ იმ ჯგუფისაკენ, სადაც ის იდგა, და შეუერთდი მათ, თუნც მხოლოდ ერთს, ან ორს თუ ვიცნობდი მათს შორის. მე მინდოდა გამეგონა, თუ როგორ ლაპარაკობს ის, მაგრამ გალახულ ძალღვივით ვერ უსწორებდი მას თვალს, მხოლოდ ვგრძნობდი კი იშვიათად, როგორ სრიალებდა ჩემს ტანზედ მისი გამოხედვის სიცივე. ვიდეჭი მისი სიტყვის მოლოდინში, ველოდი რაიმე ნიშანს შერიგებისას, ვიდეჭი და საერთო საუბრის დროს თვალს არ ვაშორებდი მას. ჩემს ქცევას უთუოდ უნდა მიექცია სხვების უყურადღება, „უთუოდ“ ვამობ მე, რადგან არავის ჩემთვის ხმაც არ გაუცია. იგი იტანჯებოდა ჩემი უხამსი საქციელით.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდეჭი ასე. იქნებ მთელი საუკუნე მდგარვიყავ. მე არ შემეძლო დამერღვია ეს ხიბლეა, ასე რომ ბორკავდა ჩემს ნებას... მაგრამ მან ვეღარ მოითმინა: უეცრად მისთვის ჩვეული აღმტაცი უშუალობით მოტრიალდა ვაეებისაკენ და სთქვა: „მე ოდნავ დავიღალე... მანდა დღეს ადრე დავიძინო... ღამე ნებისა!“—და აი, უკვე გასრიალდა ჩემს გვერდით, და ძლივს დამიკრა თავი. წუთებმა განვლეს, ვიდრე მე გავიგე მისი წასვლა. გავიგე, რომ ვეღარ ვიხილავ მას, ვეღარ დაველაპარაკები ამ საღამოს, ამ უკანასკნელ საღამოს, როდესაც კიდევ შესაძლოა ხსნა. ასე ვიდეჭი გაქვავებული, ვიდრე არ გავიგე ყველაფერი, და როდესაც გავიგე... როდესაც ამას მივხვდი...

თუმცა, მოითმინეთ ცოტა... ასე თქვენ ვერ გაიგებთ ჩემი საქციელის მთელს უაზრობას, მთელს სისულელეს... ჯერ მოქმედების მთელი ადგილი უნდა აგიწეროთ. ეს მოხდა მთავრობის შენობის დიდ დარბაზში, დარბაზი სავსეა სინათლით, თითქმის ცარიელია. წყვილნი საცეკვაოდ იყვენ წასულნი, მამაკაცები—ბანქოს სათამაშოდ, მხოლოდ კუთხეებში თუ ლაპარაკობდა კიდევ რამოდენიმე პატარა ჯგუფი, ასე რომ დარბაზი ცარიელი იყო, ამიტომ ყოველი მოძრაობა უთუოდ შემჩნეული იქნებოდა დიდი ჭაღების ზღვა სინათლეზედ... იგი მიდიოდა იმ ამაყი, აულელევებელი სიმშვიდით, რომელიც ასე მიტაცებდა. მე კი... მე ისევ ვიდეჭი ჩემს ადგილზედ, როგორც მოგახსენეთ. თითქოს დამბლა დამეცა იმ წამს, როდესაც მივხვდი რომ იგი მიდის. და როდესაც ამას მივხვდი, იგი უკვე დარბაზის მეორე მხარეს იყო, პირდაპირ გასასვლელთან. გავიქეცი... ოოჰ, ეხლაც მრცხენია ეს რომ გამახსენდება. რაღამაც ხელი წამკრა. გავიქეცი—გესმისთ?—დავედევნე. და ჩემი ქუსლების ბრახუნი შორს ისმოდა. მე თვითვე მესმოდა მათი ხმა, ვხედავდი გაკვირვებული ხალხის თვალებს... ვიწოდი სირცხვილისაგან... უკვე სირბილშივე ვგრძნობდი ჩემი საქციელის სიგიჟეს. მაგრამ უკვე



აღარ შემეძლო, აღარ შემეძლო დაბრუნება. კარებთან დავეწიე. მოტრიალდა. მისი თვალები რუხი ფოლადით შეიჭრენ ჩემში, ნესტოები თრთოდენ აღმუვოთებისაგან. ძლივს მოვახერხე წამელულულულებინა რაღაც. მან უეცრად ხმა-მალღათ გაიციინა—მხიარული, უღარდელი, გულწრფელი სიცილით გადინარობრა:

— ახ, ეჭიმო, თქვენ მხოლოდ ეხლა მოგაგონდათ დაპირებულ რეცეპტი ჩემი ბავშისათვის, არა? ეს შეცნიერები...

ვინც ახლოს იდგენ, იმათაც გულიანად გაიციინეს. მივხვდი, პირდაპირ მიწაზე დამანარცხა. რა ჩინებულად იხსნა თავი ამ საშინელ მდგომარეობისაგან! მოვძებნე ჯიბეში ბლოკ-ნოტი, ამოვაძრე წმინდა ფურცელი. მშვიდათ გამომართვა და... წავიდა. და შორიდან კიდევ ერთხელ შემომითვალა მადლობა თავისი ცივი ღიმილით. პირველ წუთში თავს კარგად ვგრძნობდი. ვხედავდა, რომ იგი შესანიშნავად გაუსხლტა საშიშ მდგომარეობას და გამოასწორა ჩემი უხერხული საქციელი. მაგრამ ამასთანავე გავიგე, რომ ჩემთვის უკვე ყველაფერი დაკარგულია, რომ ჩემი სულელური სიფიცხის გამო იმას ვძულვარ... ვძულვარ სიკვდილზედ უფრო. გავიგე, რომ შემეძლია ასჯერ მივადგე მის კარებს, და რომ იგი ძალღივით გამაგდებს გარეთ.

ბორძიკით მივდიოდი დარბაზში. ვგრძნობდი, მიყურებდნენ. ალბათ საშინელი სანახავი ვიყავი. წავედი ბუფეტში, ზედი-ზედ გამოვცალე ორი, სამი, ოთხი ჭიქა კონიაკი. ამან მიშველა, თორემ გული წამივიდოდა. ნერვები ველარ იტანდნენ მეტს, თითქოს გაწყდნენ კიდევ. უკანა კარით, ჩუმად, როგორც ბორტმომქმედი, გამოვძვერი იქიდან. არაფრის გულისათვის აღარ გავივლიდი აწ იმ დარბაზში, სადაც კედლებს ჯერ კიდევ არ დაუვიწყიათ მისი სიცილის ხმა. წავედი აქედან. მეც აღარ ვიცი, სად წავედი—რომელღაც დუქანში. და დავთვერი, დავთვერი, როგორც კაცი, რომელსაც სურს ყველაფერი დაივიწყოს. მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე სავსებით გამებრუებია თავი... ეს სიცილი ჩამქდუნოდა თავში და ველარაფრით ვერ ამოვაგდე იქიდან. შემდეგ დავიწყე ნავთსადგურში ხეტიალი. რევოლვერი დავსტოვე ოტელში, თორემ უთუოდ მოვიკლავდი თავს. უკვე აღარაფერზედ აღარ ვფიქრობდი და მხოლოდ ერთი განზრახვითლა გავემართე ბინისკენ. მაგიდის მარცხენა ყუთში ჩემი რევოლვერი იდო. აი, მხოლოდ ეს ერთი განზრახვა მქონდა.

თუ მაშინ თავი არ მოვიკალი, გეფიცებით, სიმზდალისაგან არ მომსვლია. მე ბედნიერებად მიმაჩნდა იმ წამში ამართული, ცივი, ჩახმახის დაშვება, მაგრამ, არ ვიცი როგორ აგიხსნათ... ვგრძნობდი, რომ მაინც მაწევს კიდევ მოვალეობა... დიად, ის წყეული მოვალეობა, დახმარების მოვალეობა. ჭკუიდან მშლიდა აზრი, რომ შეიძლება მე კიდევ ვიყო საჭირო მისთვის... რომ მე საჭირო ვარ უკვე. ეს იყო ხუთშაბათ დილას, ხოლო შაბათს—მე ხომ მოვახსენეთ—შაბათს უნდა მოსულიყო გემი და მე ვიცოდი, რომ ეს ქალი, ეს ამაყი, მედიდური ქალი ვერ გადიტანდა სირცხვილს ქმრისა და ქვეყნის თვალში. როგორ მაწვალებდა ამასობაში ფიქრი იმის გამო, რომ ასე უაზროთ დაიკარგა ძვირფასი დრო, მაწვალებდა ჩემი გიჟური წინდაუხედაობა, რომელმაც შეუძლებელყო თავის დროზე დახმარების მიწოდება. გეფიცებით, მთელი საათობით, გრძელი



საათობით ბოლთას ვსცემდი ოთახში და ვიმტვრევდი თავს ფიქრით, რომ მეპოვნა რაიმე საშუალება მისი ნახვისათვის, რათა ყველაფერი ამეხსნა, რომ რითიმე გამესწორებია ჩადენილი შეცდომა და მეშველა როგორმე. ჩემთვის აშკარა იყო, რომ იგი ახლოსაც აღარ მიმიკარებდა. ყოველ წუთს ცოცხლდებოდნენ მესხიერებაში მისი სიცილი, აღშფოთებული თრთოლვა მისი ნესტოების. უკვე დღე იყო და დრო უკვე შუადღეს უახლოვდებოდა...

უეცრად რაღამაც მიმაგდო მაგიდას. ამოვათრიე მთქმობა — დახსტაქაქალაღდის და დავიწყე წერილის წერა — წერა ყველაფრის შესახებ... აწრიპინებული, ძალღური კილოთი, რომელშიც მას ვსთხოვდი პატიებას, უწოდებდი ჩემს თავს გიჟს, დამნაშავეს, ვთხოვდი, ვემუდარებოდი ენდო ჩემთვის; ვსდებდი პირობას დაუყოვნებლივ დავკარგულიყავ ; ქალაქადან, ახალშენიდან, მთელი ქვეყნიდანაც, თუ კი ის მოისურვებდა... ოღონდ ეპატიებია და დაეჯერებია ჩემთვის... ოღონდ მოეცა ნება მეშველა მისთვის ამ უკანასკნელ, საბედისწერო საათში... ოცი ფურცელი დავწერე. ეს იყო უცანური, გაგიჟებული, წარმოუდგენელი წერილი, მძიმე ავადმყოფის ბოდვის მსგავსი. როდესაც მაგიდიდან წამოვდექ, მთლად გაოფლიანებული ვიყავი. ოთახი სცურავდა თვალის წინ. დავლიე ცივი წყალი და მხოლოდ მაშინ მოვიწადინე გადამეკითხა დაწერილი. შემეშინდა პირველივე სიტყვების. მთრთოლვარე ხელებით დავკეცე და ჩავდე კონვერტში. და უეცრად აზრმა გაანათა ჩემი თავი: მე ვნახე ქეშმარიტი, გადამწყვეტი სიტყვა. კიდევ ერთხელ ვსტაცე ხელი კალამს და მივაწერე უკანასკნელ ფურცელზედ: „მე ვუცდი აქ, სტრანდ-ოტელში, თქვენს პატიებას. და თუ შეიძლება საათამდის არ მივიღე პასუხი, მოვიკლავ თავს“.

ამის შემდეგ დაურეკე ბოის და ვუბრძანე წაეღო წერილი.  
როგორც იქნა, მოიძებნა საჭირო სიტყვა.

\* \* \*

ჩვენს ახლოს რაღაც გარაჩხუნდა და დაკოტრიალდა. გაუფრთხილებელი მოძრაობით მან წააქცია ვისკის ბოთლი. მესმოდა, როგორ ფათურობდა მისი ხელი პალუბაზედ. ბოლოს, როგორც იქნა, სტაცა ხელი ბოთლს და ერთის მოქნევით გადისროლა ზღვაში. რამოდენიმე ხანს სდუმდა კიდევ და შემდეგ დაიწყო უფრო მეტი ალტყინებით და აჩქარებით:

— მე უკვე არაფერი აღარ მრწამს. ჩემთვის აღარ არსებობს არც ზეცა, არც ჯოჯოხეთი. და თუ ჯოჯოხეთი მაინც არსებობს, მე მისი არ მეშინია — არ შეიძლება იმ საათებზედ საშინელი იყოს, რომელნიც შუადღიდან საღამომდის განვიცადე. წარმოიდგინეთ პატარა ოთახი, გამთბარი მზით, კიდევ უფრო გახურებული შუადღის სიცხით, ოთახი, სადაც არის მხოლოდ საწოლი, სკამი და მაგიდა. ამ მაგიდაზედ არაფერია საათისა და რევილვერის გარდა, ხოლო მაგიდასთან — ადამიანი უძრავად მიპყრობილი საათის ისარზედ, ადამიანი, რომელიც მთელი ეს ხანი, გესმისთ, მთელი ეს ხანი, ზედი-ზედ სამი საათი მისჩერებია ციფერბლატის თეთრ წრეს და პატარა ისარს, ტოკვით რომ დახტის ამ წრეში... აი ასე...



ასე გავატარე მთელი დღე და სულ ველოდი, ველოდი ამოკით დევნილივით — უაზროთ, უტვინოთ, გიჟური, უაზრო ჯიუტობით.

ვერ აგიწერთ ამ საათებს. მათი აწერა შეუძლებელია. თვითონაც აღარ მესმის ეხლა, როგორ შევძელი ყველაფრის ატანა ისე, რომ ჭკუას არ შეეცდი. მაშ ასე, ოთხის ოც და ორ წუთზე. მე სწორედ მახსოვს, რადგან მხოლოდ საათს მივჩერებოდი. უეცრად ბრახუნი გაისმა კარებთან, წამოვხტი. წამოვხტი ვეფხვივით, საშოვარს რომ ეცემა, ერთი ნახტომით მივსახტე კარებს და გავვლიჯე. დერეფანში პატარა შეშინებული ჩინელია ბარათით ხელში. გამოვგლიჯე ქალაღი, ისიც მყისვე გაქრა.

ვხსნი წერილს და მინდა წავიკითხო. არ შემძლია. წითელი წერტილები ხტიან თვალის წინ. წარმოიდგინეთ ეს ტანჯვა. როგორც იქნა, მივიღე პასუხი და... ეხლა კი ყველაფერი ხტის და ცეკვავს ჩემი თვალის წინ. ვისხამ თავზე ცივ წყალს. ცოტა უკეთ ვგრძნობ თავს. ისევ ვიღებ ქალაღს ხელში და ვკითხულობ:

„დაგვიანებულია. მაგრამ მოიცადეთ სახლში, იქნებ კიდევ დაგიძახოთ“.

ხელს არ აწერს. ქალაღი დაკუმშულია, ამოხეულია რომელიღაც ძველი განცხადებიდან. აჩქარებული, ფანქრით დაწერილი სტრიქონები. მეც არ ვიცოდი, რატომ ამაღელვა ამ ფურცელმა. რაღაც საშინელება, რაღაც საიდუმლოება იმალებოდა ამ სტრიქონებში, რომელნიც თითქოს გაქცევის დროს დაუწერიათ სადმე მოაჯირზედ, ან ეტლში. რაღაც აუწერელი შიში და სიცივე მოიტანეს თან ამ სტრიქონებმა. და მიუხედავად ამისა, მე მაინც ბედნიერი ვიყავი. მან მომწერა, მაშ მე ჯერ არ უნდა მოემკვდარიყავ. იგი მაძლევდა ნებას მიეშველებოდი... იქნებ... მე შევსძლო... და ერთბაშით ამიტაცა ათასმა აუსრულებელმა იმედმა. ასი ათასჯერ გადავიკითხე ეს სტრიქონები. ვკოცნიდი. ვათვალისწინებდი და ვეძებდი, რომ რომელიმე სიტყვა არ გამომრჩენოდა. უფრო და უფრო მძიმე და გაურკვეველი ხდებოდა ჩემი ოცნება, ეს უფრო რაღაც ფანტასტიური ძილი იყო გახილებული თვალებით, რეტი, გამოთაყვანებული და ამავე დროს დაქიმული, რაღაც საშუალო ყვინთვასა და სიფხიზლეს შორის, რომელიც — ვერ გავიგე — მეოთხედ საათს გრძელდებოდა, თუ მთელმა საათებმა განვლეს.

უცბად შევინძერი. ნუ თუ დააკაკუნეს? სუნთქვა შევწყვიტე. წუთი მკვდარი სიჩუმის, ორი და შემდეგ ისევ ჩუმი, თითქოს თავგის შრიალი იყოსო, ჩუმი, მაგრამ დაეინებითი კაკუნი კარზედ. წამოვხტი ზეზე, თავს ბრუ მესხმის, ვაღებ კარს, სდგას ბოი, მისი ბოი, რომელსაც სახეში გავარტყი. მისი ყავის ფერი სახე ეხლა ფერფლის ფერისა იყო, თვალები ამბობდენ, უბედურება მოხდაო... საშინელებამ შემიპყრო.

— რა... რა მოხდა? — ძლივს მოვახერხე მეკითხა...

— Comme quickly — მიპასუხა. და მეტი არაფერი. ერთ წამს ჩავიბინე კიბე, იგი უკან მომყვა. ქვევით იდგა „საღო“ — პატარა ეტლი. ჩავჯექით...

— რა მოხდა? — კიდევ ერთხელ შევეკითხე.



ის აძვირებული მიყურებდა და კბილებ-დაკრეჭილი სდუმდა. მე ერთხელ კიდევ დიდის სიამოვნებით გაეარტყამდი სილას, მაგრამ მისი ძალღური ერთგულება ამ ქალისადმი ეხლა უკვე პირდაპირ მიზიდავდა. აღარ დაეუწყე გამოკითხვა. ისეთი სიჩქარით მიქროდა ეტლი ხალხით ავსილ ქუჩებზე, რომ გავლელნი განზედ გინებით ხტოდნენ. უკვე უკან დავსტოვეთ ევროპული უბანი, გავიარეთ ქვევითა ქალაქი და ჩინური უბნის მყვირალა ფუნქციონირებით. როგორც იქნა მივალწიეთ ვიწრო ქუჩამდე, სადღაც განზედ გავჩერდით, დაბალი ქოხის წინ. სადგომი იყო ბინძური, შეჭრილი მიწაში, წინ—სავაჭრო დუქანი, ქონის სანთლით განათებული, ერთი იმ დუქანთაგანი, რომლის უკან იმალებიან ოპიუმის სათრობნი და მეძავი სახლები, ქურდების თავშესაფარნი და ნაქურდალ ნივთების საწყობნი. ბოიმ საჩქაროდ დააბრაახუნა. ქუჭრუტანას იქით გაისმა ხრინწიანი ხმა. დაიწყო გაუთავებელი დაკითხვა. ველარ მოვითმინე, ჩამოვხტი ეტლიდან, ეკარი ფეხი ნახევრად გაღებულ კარს და... ჩემს წინ კვილით დაიხია შეშინებულმა მოხუცმა—ჩინელმა ქალმა. ბოი მომყვა, გამატარა ვიწრო გასაღვლელი. გაიღო შემდეგი კარი. ბნელ ოთახში, სადაც იდგა არყის და დაგუბებული სისხლის სუნი, ისმოდა კვნესა. ძლივს ვპოულობდი გზას...

ისევ ჩაწყდა მისი ხმა. და შემდეგი ლაპარაკი უკვე შეუჩერებელ ცრემლებად წყდებოდა.

— მე... მე მივალწიე იმ ადგილს... და იქ... იქ, ბინძურ ლეიბზედ, ტკივილისაგან დაღმეჭილი იწვა და კვნესოდა ადამიანი... იწვა ის...

სიბნელეში ვერ ვხედავდი მის სახეს. ჩემი თვალები ჯერ კიდევ ვერ მიეჩვიენ სიბნელეს. ვიგრძენი მისი ხელი, ცხელი, როგორც ცეცხლი. სიცხე ჰქონდა, საშინელი სიცხე. შევკრთი. უცბად მივხვდი ყველაფერს; მე გამომექცა აქ... პირველსავე ბინძურ ჩინელ ქალს მისცა თავი, რადგან უფრო დარწმუნებული იყო, რომ საიდუმლოებას შეუნახავდნენ... მისცა ნება, რომ ვილაც კუდიანს მოეკლა იგი, ოღონდ ჩემთვის არ მოენდო... მხოლოდ იმიტომ, რომ მე გიჟმა... არ დაეზოგე მისი სიამაყე, არ მივეშველე მაშინვე... რადგან ჩემი უფრო ეშინოდა, ვიდრე სიკვდილის...

მე დავიყვირე სინათლე მოეტანათ. ბოი გაიქცა, საძაგელმა მოხუცმა აძვირებული ხელით შემოიტანა აყროლებული ნავთის კრაქი... ჩემი თავისთვის ძალა უნდა დამეტანებია, რომ ყელში არ ვცემოდი ამ ყვითელ ვერაგს... კრაქი მაგიდაზე დასდგა... ყვითელმა სინათლემ გაისრიალა დატანჯულ სხეულზე... და შეეცრად... შეეცრად თითქოს ხელით მომხსნეს მთელი ჩემი აღშფოთება და ამ დღეების წამება, მთელი უწმიდური ნაგუბი გადადულეებულ ვნებათა... ეხლა მხოლოდ ექიმი გავხდი, დამხმარე, მშველელი, ადამიანი, შეიარაღებული ცოდნით... დავივიწყე ყველაფერი პირადული... ჩემი შეგნება განათდა და შეუდექი ბრძოლას მოწოლილ საშინელებასთან... ტიტველა ტანს, ამდენს რომ ვოცნებობდი, ეხლა ვგრძნობდი როგორც... როგორა ვსთქვა... როგორც მატერიას, როგორც ორგანიზმს... მე აღარ ვგრძნობდი, რომ ეს იყოს ის, ვხედავდი მხოლოდ სიცოცხლეს, რომელიც სიკვდილს ებრძვის... ადამიანს, რომელიც სა-



სიკვდილო ტანჯვაში წვალობს: მისი სისხლი, მისი წმინდა სისხლი სდიოდა ჩემს ხელებს. მაგრამ მე ველარ ვგრძნობდი ვერც აღტაცებას, ვერც სასოებას... მე ვიყავი მხოლოდ ექიმი... ვხედავდი მხოლოდ ტანჯვას... ვხედავდი...

მე ვხედავდი, რომ დაიღუპა ყველაფერი, თუ სასწაული არ ჩაერია... მას ზიანი ჰქონდა და სისხლიდან იცლებოდა ბოროტი ხელის უფიცი შეხებისაგან... მე კი, საბაგელ ბუნაგში არ მქონდა არაფერი, რომ შემეჩვენებინა ეს სისხლის დამლუპველი დენა... წმინდა წყალიც კი არ მქონდა... ყველაფერი, რასაც კი ხელი შევახე, საშინელი სიბინძურით იყო მოცული.

— ეხლავე საავადმყოფოში უნდა გადავიტანოთ, ვსთქვი. მაგრამ ძლივს მოვასწარი ამ სიტყვების წარმოთქმა, რომ ავადმყოფმა საშინელი ძალდატანებით წამოიწია ბალიშიდან.

— არა... არა... სიკვდილი სჯობს... არავინ არ უნდა გაიგოს... არავინ არ გაიგოს... სახლში... სახლში...

მივხვდი. მხოლოდ საიდუმლოსთვის, მხოლოდ პატივისთვის იბრძოდა იგი... და არა სიცოცხლისთვის... და მეც დაუჯერე. ბოიმ მოიტანა საკაცე... დავაწვინეთ ზედ... და ასე... თითქოს მიცვალებული... სუსტი და ცხელების აღმურში... მიგვექონდა იგი ამ ღამით სახლში... დაეითხოვეთ გაკვირვებულნი მსახურნი... ქურდულად შევიტანეთ მის ოთახში და დავკეტეთ კარები... და შემდეგ...

შემდეგ დაიწყო ბრძოლა, ხანგრძლივი ბრძოლა სიკვდილთან...

\* \* \*

უეცრად ჩემს ხელს ჩაეჭიდა მისი ხელი, და მეც შიშისა და ტკივილისაგან ღამის შეეკივლე. ამ წყვილიადში, პირდაპირ ჩემს წინ, ვხედავდი მის სახეს, თეთრ კბილებს, მღელვარებისაგან რომ წკაპუნებდნენ, სათვალეებს, რომელნიც მთვარის სინათლის ანაშუქხედ, თითქოს კაცის ორი უშველებელი თვალი ყოფილიყო. ეხლა იგი აღარ ლაპარაკობდა ღრიალებდა შეპყრობილი საშინელი მღელვარებით:

იცით თუ არა თქვენ, — უცხო კაცმა, აქ პალუბის სკამზედ რომ მშვიდათ ზიხართ და საამო მოგზაურობას რომ მისცემიხართ, იცით თუ არა თქვენ, რას ნიშნავს, როდესაც ადამიანი კვდება?! დასწრებიხართ ამ დროს, გინახავსთ, როგორ იგრიხება სხეული, როგორ ეჭიდებიან სიცალიერეს გალურჯებული ფრჩხილები, როგორ ხრიალებს ყელი, როგორ იბრძვის ყოველი კუნთი, ყოველი თითი როგორ იღუნება შეუბრალებელ მოჩვენებასთან ბრძოლაში, როგორ ტრიალებენ თვალები საშინელების ხილვით, რომელსაც ვერავითარი სიტყვა ვერ გადმოვცემსთ. გამოგიცდიათ თქვენ, უდარდლო მოგზაურო, დახმარების მოვალეობაზე რომ ბაასობთ? მე ხშირად მინახავს ყველაფერი, როგორც ექიმს. მინახავს ეს, როგორც... როგორც კლინიკური შემთხვევები, როგორც ფაქტები... ასე ვსთქვათ, შემისწავლია, მაგრამ მხოლოდ ერთხელ განვიცადე... მომაკვდავთან ერთად განვიცდიდი ამას იმ ღამეს... იმ საშინელ ღამეს, როდესაც ვიჯექ და ვიმტვრევდი ტვინს, რომ მომეძებნა რაიმე, მომეხერხებია, ან მომეგონა რომ სისხლი შემეჩერებია, რომელიც სდიოდა; სდიოდა და სდიოდა შეუჩერებლივ



ცხელების შესანებლად, ჩემს თვალს წინ რომ სწავდა მას... სიკვდილის წინააღმდეგ, რომელიც სულ ახლოს და ახლოს მოდიოდა და ვერავითარი ძალით ვერ გამეგდო მის ლოგინიდან. გესმისთ თქვენ, რას ნიშნავს, აუო ექიმი, იცოდეთ ყველაფერი ყველა ავადმყოფობის შესახებ — გრძნობდეთ დახმარების მოვალეობას, — რაიც თქვენ ასე საფუძვლიანად აღნიშნეთ, და მაინც უღონოდ იჯდეთ მომაკვდავთან, იცოდეთ და არ შეგწევდესთ ძალა... იცოდეთ მხოლოდ ის რამ, მხოლოდ ეს საშინელი სინამდვილე, რომ შეველა აღარ შეიძლება, აღარ შეიძლება... აღარ შეიძლება, თუნდაც ყველა ძარღვები რომ გაიხსნათ სხეულში... უყუროთ, როგორ იცლება სისხლიდან თქვენთვის საყვარელი სხეული, იტანჯება ტკივილებისაგან, გრძნობდეთ პულსს, აჩქარებულს და შეწყვეტილს... იყოთ ექიმი და არაფერი შეგეძლოსთ, არაფერი, არაფერი, არაფერი!.. მხოლოდ იჯდეთ და როგორც საყდრის ბებრუხუნა, რომელიმე ლოცვას ბურტყუნებდეთ, ან მუშტით ემუქრებოდეთ ღმერთს, — რომლის შესახებ იცით მხოლოდ ის, რომ იგი არ არსებობს. გესმისთ თქვენ ეს? გესმისთ? მე კი... მე მხოლოდ ერთი რამ არ მესმის: როგორ ახერხებენ, რომ ავადმყოფთან ერთად არ კვდებიან ასეთს წუთებში, როგორ ახერხებენ მეორე დღეს, გამოძინებულნი რომ იწძენდენ კბილებს და ყელსახვევს ისკვნიან; როგორ შეიძლება ცხოვრება იმის შემდეგ, რაც მე განვიცადე — როდესაც ვგრძნობდი, თუ როგორ მიფრინავს მისი სუნთქვა; რომ ეს ადამიანი, ვისთვისაც ვიბრძოდი და მთელი სულით და გულით მივდიოდა როგორმე შემენარჩუნებინა, მიჰქრის ჩემგან სადღაც უხილავში, მისრიალებს ხელიდან უფრო და უფრო და ველარაფერს ვეღარ ვპოვებ ჩემს ანთებულ ტვინში, რასაც შეეძლოს მისი შეკავება.

რომ გაორკვეცდეს ეშმაკისაგან მონატანი სატანჯველი, ამას თან ერთვის კიდევ... აი კიდევ ეს... როდესაც მე მის საწოლთან ვიჯექ — მივეცი მას ჭაფური რომ დამემშვიდებია ტკივილები, და შევცქეროდი, როცა იწვა ანთებული ლოყებით, ცხელი და დაქანცული, და... როდესაც აი ასე ვიჯექი, მუდამ ვგრძნობდი ორ თვალს, დაჭიმული ცქერის საშინელებით რომ მიცქერდენ. ეს იყო — ბოი, რომელიც იატაკზედ დასკუბულიყო ფეხის თითებზედ და რაღაც ლოცვებს ჩურჩულებდა. როდესაც მისი თვლები ხვდებოდნენ ჩემსას, მასში — არ შემიძლია ავწერო — შიგ ისეთი მუდარა იხატებოდა, ისეთი მადლობა იყო ამ ძალღურცქერაში და ასეთს წუთებში იშვერდა იგი ხელებს ჩემსკენ, ხსნას მემუდარებოდა... თქვენ გესმისთ? ჩემსკენ იშვერდა ხელებს, როგორც ღმერთისკენ... ჩემსკენ... უნებო, უღონო ადამიანისაკენ, რომელმაც იცის, რომ ყველაფერი დაღუპულია, რომელმაც იცის, რომ იგი აქ ისევია საჭირო, როგორც მიწაზე, მლოლავი ჭიანჭველა... ოჰ, როგორ მტანჯავდა მე მისი ცქერა! ეს ფანატიური, ეს ცხოველური იმედი ჩემი ხელოვნების... მე შემეძლო დამეყვირა მისთვის, ან დამერტყა ფეხი, ისეთს ტკივილს მგვრიდა იგი, და მიუხედავად ამისა, მაინც ვგრძნობდი, რომ ჩვენ ორივე შეკავშირებულნი ვართ მისდამი სიყვარულით და საიდუმლოთი... როგორც შეფარებული მხეცი, ჩამჯდარიყო კალათად ჩახვეული, ჩემს უკან... საკმარისი იყო მომეთხოვა რაიმე, რომ იგი წამომხტარიყო, უხმოდ გასრიალებულიყო ტიტველი ქუსლებით და



თრთოლვით, იმედით აღსავსეს, მოეტანა ნათხოვნი ნივთი, თითქოს ამაში ყოფილიყო სველა, ხსნა... ვიცი, იგი ყველა ძარღვებს დაიჭრიდა, ოღონდ ეშველა მისთვის... ასეთი ქალი იყო ის, ასეთ უფლებას ავრცელებდა კაცებზე... ოჰ, ეს ღამე, ეს საშინელი, დაუსრულებელი ღამე სიკვდილსა და ~~სიციცხლს~~ შორის!

დილით ერთხელ კიდევ გამოფხიზლდა, გაახილა თვალები. მათში აღარ ღვიოდენ არც სიამაყე, აღარც სიცივე. თვალები ენთრ... ~~სიციცხლი~~, ციებ-ციხელების კრიალით, როდესაც მან, როგორც უცხოშ, მიმოიხედა ოთახში. შემდეგ მე შემომხედა. თითქოს ფიქრობდა რაღაცას, მიყურებდა სახეში და სცდილობდა რაღაც გაეხსენებია. და უეცრად—მე დავინახე ეს—მან გაიხსენა რაღაც შიში, რაღაც აღშფოთება, რაღაც... რაღაც მტრულმა, უსიამოვნომ დაკლანა მთელი სახე. დაიწყო ტრიალი ხელებას, თითქოს გაქცევას აპირებსო... შორს, შორს, შორს ჩემგან. მე ვხედავდი, რომ ის ფიქრობდა იმ... იმ საათხედ, როდესაც მე... მაგრამ შემდეგ დაუბრუნდა შეგნება. მიყურებდა მშვიდათ, მაგრამ მძიმეთ სუნთქავდა. ვგრძნობდი, რომ მას უნდოდა ლაპარაკი, უნდოდა რაღაც ეთქვა. ისევ ამოძრავდენ ხელები. უნდოდა წამოდგომა, მაგრამ ძლიერ დასუსტებული იყო. ვამშვიდებდი. დავლუნე თავი სულ ახლოს, მის თავთან. და მაშინ შემომხედა ისეთი გრძელი, ტანჯვით აღსავსე ცქერით. მისი ტუჩები ძლივს მოძრაობდენ. ეს იყო უკანასკნელი, თითქმის სავსებით მიმჭრალი ხმა. მან სთქვა:

— არავინ არ გაიგებს... არავინ...

— არავინ.—ფუპასუხე მტკიცე, დარწმუნებული ხმით.—გაძლევთ სიტყვას. მაგრამ მის თვალებში მაინც გამოკრთოდა მღელვარება გაურკვევლად. დიდის ძალდატანებით ძლივს წაიღულულა:

— შემომფიცეთ... რომ არავინ გაიგებს... შემომფიცეთ...

ხელი ავწიე, ფიცის დროს რომ ასწევენ ხოლმე. მიყურებდა აუწერელი თვალებით—ნაზი, თბილი, მადლობით სავსე თვალებით... დიად, ჭეშმარიტათ, — ჭეშმარიტის მადლობით იყო აღსავსე ის შემოხედვა. დიდხანს იწვა სრულებით ღონე-მიხდილი და დახუჭული თვალებით. შემდეგ დაიწყო საშინელება... საშინელება... კიდევ ერთი გრძელი და წამებით სავსე საათი იბრძოდა, მხოლოდ დილისთვის აღსრულდა.

\* \* \*

დიდხანს სდუმდა. ეს მხოლოდ მაშინ შევნიშნე, როდესაც სიბნელეში სამჯერ ჩამოჰკრა ზარმა,—ერთი, ორი, სამი... სამი საათია. მთვარის სინათლე დნებოდა, მაგრამ პაერში უკვე თრთოდა რაღაც ახალი სიყვითლე და, ხანდახან, მსუბუქი ქარიც მოჰქროდა. ერთი საათის შემდეგ გათენდება და ეს მაჯლაჯუნა სინათლეზე გაქრება. ჩვენს კუთხეში ეხლა უკვე აღარ სუფევდა წინანდელი გაურკვეველი სიბნელე და ჩემი მოამბის სახის იერი უფრო ნათლად მოსჩანდა. მან მოიხადა ქუდი, დავინახე მისი მელოტი თავი და დარჩანული სახე, რომელიც ეხლა უფრო საშინელი სჩანდა. მის სათვალეთა მბრწყინავი შუშები ისევ ჩაერქენ ჩემს თვალებში, მან გაასწორა სკამი და მისმა ხმამ ცივი, შხამიანი იერი მოიღო.



— ჩვენთვის ეხლა დადგა აღსასრული, — მაგრამ არა ჩემთვის. მარტო ვიყავ, მარტოთ მიცვალებულთან, — მარტოთ უცხო სახლში, მარტოთ ქალაქში, რომელიც ვერ ითმენდა საიდუმლოს, და მე... მე უნდა დამეცვა ეს საიდუმლო... დიად, წარმოიდგინეთ, ეს მდგომარეობა: საუკეთესო საზოგადოების ქალი, საესებით ჯანმრთელი, წინა დღით არხეინათ მოცეკვავე მთელი საქმეების საზოგადოების თვალწინ — ეხლა მიცვალებულია თავის საწოლში. მისი მსახურმა მოიხმო... არავის ამ სახლში არ უნახავს, საიდან და როგორ მოვიდა იგი... ღამით შეიტანეს საკაციო სახლში, ჩაკეტეს კარები, დილით კი იგი უკვე მკვდარი იყო... მხოლოდ მაშინ დაუძახეს მსახურთ და მთელი სახლი მოიცვა ქვითინმა. იმავე წუთს გაიგეს ეს ამბავი მეზობლებმა, მთელმა ქალაქმა... და მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია ყველაფერი ეს ახსნას... და ეს ადამიანი მე ვარ, მე, უცხო კაცი, ექიმი შორეულ სადგურიდან... სასიამოვნო მდგომარეობაა, არა?..

ვიცოდი რაც მელოდა. საბედნიეროთ ჩემს გვერდით იყო ბოი, საუცხოვო ბიჭი, რომელიც ყოველივე სურვილს წინდაწინვე კითხულობდა ჩემს თვალში. ამ ყვითელ კანიან პატარა მხეცსაც კი ესმოდა, რომ წინ დიდი ბრძოლა გვექონდა გადასატანი. სავსებით საკმარისი იყო, რომ შეთქვა მისთვის:

— ქალბატონმა ისურვა, არავინ გაიგოს რაც მოხდა.

მან შემომხედა თვლებში თავისი სველი, ძალღურვი, მაგრამ მტკიცე შეხედვით:

— Yes, sir, — მეტი არაფერი უთქვამს. მაგრამ მან აწმინდა სისხლის ნიშნები იატაკიდან, მოიყვანა თავი წესრიგში და მის მოქმედების გარკვეულობამ თავშეკავების ძალა დამიბრუნა. მე შემოძლია ვთქვა დანამდვილებით, რომ არასოდეს ჩემს ცხოვრებაში ასეთი ენერჯია არ გამომიჩენია და ალბათ ვერც გამოვიჩენ ვერასოდეს. როდესაც ადამიანი ჰკარგავს ყველაფერს, იგი ვააფთრებით იბრძვის იმისთვის, რაც უკანასკნელი მას დარჩენია. და ეს უკანასკნელი მისი ანდერძი მისი საიდუმლო იყო. მე სრულიად დამშვიდებული ვუხვდებოდი ხალხს, ვუამბობდი ერთსა და იმავე შეთხზულ ამბავს, თუ როგორ შემხვდა შემთხვევით ქუჩაში გაგზავნილი იმ დედაკაცის მიერ ექიმის მისაწვევად. მაგრამ იმავე დროს, როდესაც თითქოს დამშვიდებით ვუამბობდი ყველაფერს ამას, მე ველოდი... ველოდი გადამწყვეტ წუთს... ველოდი ცხედარის შემოწმებას, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო, ვიდრე მას კუბოში ჩავჭედავდით — და მასთან მის საიდუმლოსაც არ დაგავიწყდეთ, რომ პარასკევი იყო, ხოლო შაბათს მისი ქმარი უნდა ჩამოსულიყო...

ცხრა საათზე, როგორც იქნა, მაცნობეს ქალაქის ექიმის მოსვლა. მე ვუბრძანე, რომ შემოეშვათ. სამსახურით იგი ჩემზე უფროსი იყო და ამასთანავე ჩემი მოქიშპეც — სწორედ ის ექიმი, რომლის შესახებ ასეთი დაცინვით ლაპარაკობდა იგი თავის დროზე და რომელმაც უთუოდ უკვე იცოდა ჩემს მიერ აღძრული თხოვნა ქალაქში გადმოყვანის შესახებ. როგორც კი შემომხედა, მე ვიგრძენი, ის ჩემი მტერი იყო, მაგრამ სწორედ აი ამან შემმატა ძალა.



უკვე დერეფანშივე იკითხა:

— როდის გარდაიცვალა ქალბატონი?

— დილის ექვს საათზე.

— როდის მოგიწვიეს თქვენ?

— საღამოს თერთმეტ საათზე.

— თქვენ იცოდით, რომ მე მისი ექიმი ვიყავი?

— დიალ, საქმე მეტად საჩქარო იყო... და გარდა ამისა... განსვენებული დაეინებით ითხოვდა, რომ მხოლოდ მე მოვსულიყავი. მან აკრძალა სხვა ექიმის მოწვევა.



ქართული  
საბავშვო ბიბლიოთეკა

ჩამაჩერდა თვალებში. მის მკრთალ, რაოდენადმე ჩასუქებულ სახეზე სიწითლემ დაჰკრა, ვგრძნობდი, რომ მისი თავმოყვარეობა შელახული იყო. მაგრამ ამ წუთში სწორედ ეს იყო ჩემთვის საჭირო. მთელი ძალღონით ვესწრაფოდი შეკრული კვანძის გახსნას, ვგრძნობდი, რომ ჩემი ნერვები დიდხანს ვეღარ გასძლებდნენ. მას უნდოდა რაღაც ეპასუხნა მკვახედ, მაგრამ გადიფიქრა და უკან წაილაპარაკა:

— თუ თქვენ გგონიათ, რომ შეგეძლოთ ავანტიურის უჩემოთ მოვლა, ჩემი სამსახურის მოვალეობა ყოველ შემთხვევაში ითხოვს შევამოწმო სიკვდილი და მიზეზი თუ რამ გამოიწვია იგი.

არაფერი არ ვუპასუხე და გზა მივეცი გასავლელად. შემდეგ მოებრუნდი კარებისკენ, ჩავკეტე და გასაღები დავსდე მაგიდაზე. მან გაკვირვებით ასწია წარბები:

— ეს რას ნიშნავს?

მე დამშვიდებით დაუდექი პირისპირ:

— აქ საქმე იმაში კი არ არის, რომ სიკვდილის მიზეზი გამოარკვიოთ, არამედ იმაშია, რომ დამალოთ იგი. ამ ქალმა მე მომიწვია, რომ მე მივშველებოდი... ჩინელ ექიმბაშის ჩარევის შემდეგ... მე ვეღარ მოვახერხე დამეხსნა იგი, მაგრამ დავპირდი დამეხსნა მისი პატიოსნება და ამას შევასრულებ კიდევ. ეხლა გათხოვთ დამეხმაროთ ამაში.

განცვიფრებისგან მან ფართოდ გაახილა თვალები.

— ნუ თუ გსურთ, — წაიბურტყულა მან, — რომ მე, ოფიციალურმა ექიმმა ეს დანაშაული დავფარო?

— დიალ, მე ესა მსურს, მე ეს უნდა მსურდეს!

— რომ მე თქვენს მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის...

— მე უკვე მოვახსენეთ, რომ ხელიც კი არ მიხლია ამ ქალისათვის... თორემ აქ, თქვენს წინ არ ვიდგებოდი და დიდი ხანია თავს მოვიკლავდი. მან თვითვე გამოისყიდა თავისი დანაშაული — თუ ასე გსურთ უწოდოთ ამას — და საზოგადოებამ არაფერი არ უნდა გაიგოს ამის შესახებ. მე ვერ მოვითმენ, რომ ამ ქალის პატიოსნება უაზროთ იყოს შეგინებული.

ჩემი სიტყვების სიმტკიცემ იგი უფრო მეტათ გააბრაზა.

— თქვენ ვერ მოითმენთ... მაშ... თქვენ ხომ ეხლა ჩემი უმფროსი ბრძანდებით... ან, ყოველ შემთხვევაში, აპირებთ გახდეთ... გაბედეთ მხოლოდ ბრძა-



ნება... მე მაშინვე ვიფიქრე, რომ აქ რაღაც ბინძური ამბავი უნდა ყოფილიყო, თუ თქვენ თქვენი ჯურღმულიდან ამოგათრიეს... კარგი პრაქტიკა კი დაგიწყიათ აქ... არა უშავს-რა ამ მაგალითს!.. მაგრამ ეხლა კი მე თვითონვე შეუდგები ცხედარის შემოწმებას, და შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ოქმი, რომელიც ჩემს მიერ იქნება ხელმოწერილი, ყველგანვე დაემატებით იქნება აღნიშნული. მე ტყუილს ხელს არ მოვაწერ.

მე მაინც მშვიდათ განვაგრძე:

— ამ შემთხვევაში, თქვენ მაინც იძულებული იქნებით მაინც ჩაიდინოთ ეს. მანამდე ოთახიდან ვერ გაბრძანდებით.

და ხელი ჯიბეში ჩავიყავი, ჩემი რევოლვერი თან არ მქონია. მაგრამ ჩემი კოლეგა მაინც შეკრთა. ერთი ნაბიჯით მიუახლოვდი და პირდაპირ თვალებში ჩავაცქერდი.

მომისმინეთ, მე მხოლოდ ორ სიტყვას მოგახსენებთ... ზედმეტი ლაპარაკი აქ საჭირო არ არის. ჩემთვის სიცოცხლეს არავითარი ფასი არა აქვს... სხვისას აგრეთვე... ჩე უკვე მივალწიე ამ წერტილს... ერთად-ერთი, რაც ჩემთვის მნიშვნელობას წარმოადგენს, ეს არის — შევასრულო მიცემული სიტყვა და საიდუმლოთ შევიწინაბო ამ სიკვდილის მიზეზი!.. გაიგონეთ?.. მე გაძლევთ პიტიოსან სიტყვას — თუ თქვენ ხელს მოაწერთ მოწმობას, რომ სიკვდილი გამოწვეულია... რაიმე შემთხვევით, მე ერთი კვირის განმავლობაში დავსტოვებ ქალაქს, სრულებით გავალ ინდოეთიდან... მე, თუ კი ამას მოითხოვთ, ავიღებ ხელში რევოლვერს და თავს მოვიკლავ, როგორც კი კუბო მიწაში ჩაეშვება და შემეძლება დამშვიდებული ვიყო, რომ არავინ — გესმით? — არავინ, არავინ არ დაიწყებს კვლევას. ეს თქვენთვის საკმარისი უნდა იყოს — ამან უნდა დაგაკმაყოფილოთ თქვენ.

ჩემს ხმაში უეჭველად რაღაც იყო მუქარის მსგავსი, რაღაც საშიში, რადგან რამდენადაც უახლოვდებოდით მას, იმდენად ის უკან იხევდა ისეთივე საშინელი გამომეტყველებით, როგორც, მაგალითად, ვსთქვათ, ამოკით დევნილისაგან თავს რომ იფარავენ... უეცრად შეიცვალა... შეიქნა როგორღაც უნებო და გასავათებული... მისი ამაყი პოზიიდან აღარაფერი დარჩა. მხოლოდ ძლივს წაიღულულა:

— ეს პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში, რომ ყალბ მოწმობაზე ხელის მოწერა მიხდება... მაგრამ ასეა თუ ისე, შეიძლება რაიმე ფორმა გამოვძებნო... ყოველნაირ შემთხვევებს აქვს ადგილი ცხოვრებაში... თუმცა, თქვენ უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში, პირდაპირ ხომ არ შემეძლო მომესაზრა...

— რასაკვირველია, ვერ მოისაზრებდით, — საჩქაროთ დავეთანხმე მეც („ოღონდ ჩქარა... ოღონდ მალე!“ — მიფეთქდა საფეთქელთან), — მხოლოდ ეხლა, როდესაც თქვენ უკვე იცით, რომ მხოლოდ უსიამოვნებას წიაყენებდით ცოცხალს და სასტიკად მოექცეოდით მიცვალებულს, თქვენ, რასაკვირველია, აღარ იყოყმანებთ.



მან თანხმობის ნიშნით თავი დამიქნია, მივუჯექით მაგიდას. რამოდენიმე წუთში მოწმობა მზათ იყო. შემდეგ იგი გამოქვეყნებული იყო გაზეთებში და გულის დამბლის ნამდვილ სურათს შეიცავდა. ამის შემდეგ წამოდგა და მე შემომხედა.

— თქვენ ამ კვირეშივე წახვალთ, აქედან, არა?

— პატიოსან სიტყვას გაძღვეთ!

ერეკლესი

კვლავ შემომხედა: შევნიშნე: მას სურს, რომ მისმა სახე-სახელი-სახე-ანი იერი მიიღოს.

— ეხლავე შეუკვეთავ კუბოს, — წარმოსთქვა საქმიანად, რომ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსულიყო. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე იყო ჩემთვის — მეც არ ვიცი რატომ, — როდესაც ხელი გამომიწოდა და მოულოდნელ გულწრფელობით მაგრად ჩამომართვა.

— გისურვებთ ყოჩაღათ გადაგეტანოთ ეს ამბავი — სთქვა მან და მე არ ვიცი რა ჰქონდა მას გულში. ავად ვიყავი, თუ... ჰკუაზედ შევცდი? გავაცილე კარებამდე, მოვიკრიფე უკანასკნელი ძალა, მივაცილე გასასვლელამდე და ჩავკეტი ქარი. შემდეგ ისევ დაიწყო ფეთქა საფეთქელმა, ყველაფერი დაბარბაცდა და დატრიალდა ჩემს წინ, და პირდაპირ მის საწოლთან იატაკზე დავენარცხე... ისე როგორც... როგორც დაენარცხება დაწყვეტილი ნერვებით, ამოკით დევნილი, თავისი შეშლილი სირბილის აღსასრულის შემდეგ.

\* \* \*

ისევ შეჩერდა. მე მაცხიებდა — ალბად მიტომ, რომ გემზედ რიერაჟის ქარის პირველმა ქროლვამ გაისრიალა. მის დატანჯულ სახეს, რომელსაც მე ეხლა უკვე ვარჩევდი, კვლავ მძაფრი გამომეტყველება დაეტყო.

არ ვიცი რამდენ ხანს ვეგდე იატაკზედ. უეცრად ვიგრძენი ხელის მსუბუქი შეხება. წამოვხტი. ეს იყო ბოი, შეძკრთალი და მოკრძალებული გამომეტყველებით დამდგომოდა თავს და ცოტათი შეშინებული ჩამცქეროდა თვალებში.

— სურთ შემოვიდენ... უნდათ ნახონ ის...

— არ შემოუშვათ არავინ.

— მესმის... მაგრამ .. —

მის თვალებში შიში კრთოდა. მას რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ ბედავდა, ერთგული ცხოველი რალაც ტანჯვას განიცდიდა.

— ვინ არის?

ძიგძიგით მიყურებდა თითქოს ელოდა, რომ საცაა თავში ჩაეარტყამდი. ხოლო შემდეგ სთქვა — არ დაუსახელებია მხოლოდ... საიდან ჩნდება ამ დაბალ ქმნილებაში უეცრად ასეთი შეგნება? რატომ არის რომ ზოგიერთ წუთებში ტაქტის უცნაური გრძნობა პირდაპირ გაანათებს სრულებით ბნელ ხალხს? მან სთქვა... ჩუმათ და შიშით:

— ის ვაჟია.

წამოვხტი, მივხვდი მაშინვე და უეცრად ამიტანა მწველმა სურვილმა და მოუთმენლობამ მენახა ეს უცნობი. საქმე იმაშია, რომ როგორც უცნაური არ უნდა იყოს ეს... მაგრამ მთელ ამ ორომტრიალში, მთელი ამ მღელვარების



ციებ-ცხელებაში და ფუსფუსში, მე როგორღაც დამავიწყდა იგი... დამავიწყდა, რომ საქმეში ჩარეულია კიდევ ერთი კაცი... ადამიანი, რომელიც უყვარდა ამ ქალს, ვისაც მან ვნებათა ღელვის დროს მისცა ის, რაც მე არ დამავიწყდა... თორმეტის ან ოცდაოთხი საათის წინ მე ალბათ შემძულდებოდა ეს ადამიანი, შემეძლო ალბათ მისი ნაკუწ-ნაკუწათ ქცევა... მაგრამ ეხლა არ შემეძლო, ვერ გადმოვცემთ, როგორ მიხიდავდა ეხლა მისი ნახვა. ეხლა კიდევ ვხედავ კვანძებს მისთვის, რომ მას უყვარდა ის...

მყისვე გავჩნდი კარებთან. ჩემ წინ იდგა ახალგაზრდა, სულ პირ-ტიტველა ოფიცერი, ახოვანი აგებულების, ქერა და მეტათ ფერ-მიმკრთალი. ბავშავით იყურებოდა, ისე... ქაბუკი იყო იგი... და აუწყრელად ამალელვა, როგორ სცდილობდა იგი ეჩვენებინა თავი მამა-კაცათ, გამოეჩინა სიმტკიცე ხასიათის, დაემალა მღელვარება... მე მაშინვე შევნიშნე, ხელი უძიგძიგებდა, გულთან რომ მიიტანა... მინდოდა მოვხვეოდი ჩამეკრა გულში... მისთვის რომ იგი იყო სწორედ ისეთი, როგორც მსურდა რომ ყოფილიყო კაცი, რომელიც ფლობდა ამ ქალს... შემცდენელს კი არა, ან მკვებარას, ან ამაყს... არა, ნახევრად ბავშს, წმინდას, ნაზ ქმნილებას აჩუქა მან თავი.

შემკრთალი იდგა ახალგაზრდა ჩემს პირდაპირ. ჩემმა გახელებულმა ცქერამ და სწრაფმა მოძრაობამ კიდევ უფრო შეაკრთეს. პატარა უღვაშები კრთოდნენ ტუჩებზედ და მის მღელვარებას უფრო ამელავნებდნენ... ამ ქაბუკ ოფიცერს, ამ ბავშს მთელი თავისი ძალი უნდა დაეკრიფა, რომ არ ატირებულყო.

— მაპატიეთ, — როგორც იქნა წარმოსთქვა მან, — მე მინდოდა კიდევ ერთხელ... მენახა... ქალბატონი...

უნებლიეთ, ისე, რომ მეც არ შემიმჩნევია, დავადე ხელი ამ უცხო კაცის მხარს და წავიყვანე, როგორც მოჭყავთ ავადმყოფი. მან განცვიფრებული და უღრესად მაღლიერი თვალებით შემომხედა... ამ წუთში ჩვენს შორის ჩაისახა რაღაც ერთობის შეგნება... წავიყვანე მასთან... ის იწვა თეთრი, თეთრ ხეწრებში... მე ვიგრძენ, რომ ჩემი ყოფნა სვიწროებდა ქაბუკს... ამიტომ დავიხიე უკან, რომ მარტო დამეტოვებია მასთან. იგი ნელი-ნელ მიუახლოვდა საწოლს... მთრთოლვარე ნაბიჯით. ძლივს მიათრევდა ფეხებს... მისი მხრები თრთოდნენ. მივხვდი როგორ ჰფლეთდა ტკივილი მის გულს... ისე მიდიოდა როგორც ადამიანი, საშინელი ქარ-ცეცხლის წინააღმდეგ რომ მიდის... და უეცრად დაეცა მუხლებზედ საწოლთან... ისევე, როგორც წინათ დავეცი მე.

ვეცი, ავაყენე და სავარძელში ჩავსვი. აღარ რცხვენოდა მეტი და ქვითინი აუტყდა. მე ერთი სიტყვის წარმოთქმაც აღარ შემეძლო და, მხოლოდ შეუგნებლად ვატარებდი ხელს მის ღია, რბილ თმებში, თითქოს დამწუხრებულ ბავშს ვანუგეშებდი. უეცრად მტაცა ხელი... რაღაც შიშით... და მეც ვიგრძენი მისი კითხვით მომართული ცქერა...

— მითხარით მართალი, ექიმო—წაილულულა მან,—ხელი ხომ არ აიღო სიცოცხლეზე?

— არა, — ვუპასუხე.



— და... მე მინდა გკითხოთ... ვინმე... დამნაშავეა ვინმე მის სიკვდილში?

— არა, — გავიმეორე მე, თუმცა უკვე მზად იყო, რომ ყელიდან ამომვარდნოდა: „მე, მე, მე... და შენც. ჩვენ ორივენი. და მისი ჯიუტობა, მისი უბედური ჯიუტობა.“

მაგრამ თავი შევიკავე და კიდევ ერთხელ გავიმეორე:

— არა... არავინ არ არის დამნაშავე... ასეთი ბედი

— მე არ შემძლია დავიჯერო, — წამოიკვნესა მან — არ შემძლია დავიჯერო! მხოლოდ გუშინ წინ იყო ზეიმზედ, იღიმებოდა, თავი დამიქნია. წარმოსადგენია, რომ ასე უეცრად... როგორ შეიძლება, რომ ასე მომხდარიყო!

მე დავიწყე გრძელი ამბის თბრობა. ამასაც კი არ გაუმხილე მისი საიდუმლო. მთელი ეს დღეები ჩვენ, როგორც ძმები ვსაუბრობდით, თითქოს განათებულნი ახალი გრძნობით, ჩვენ რომ სამუდამოთ შეგვაკავშირა... არ გავგიმხელია ერთიმეორისთვის, მაგრამ ყოველი ჩვენთაგანი გრძნობდა, რომ მეორეს სიცოცხლე ძლიერათ არის უკვე დაკავშირებული ამ ქალთან... ხანდახან მზად იყო მოვარდნოდა ტუჩებს, აკრძალული სიტყვა, მაგრამ მე დავკრიქავდი კბილებს — და მას არასოდესაც არ გაუგია, რომ თავის გულიდან იგი ამის ბავშს ატარებდა... და რომ მე მოვკალი ეს ბავში, მისი ბავში... და მან კი თავისთან გაიყოლია უკუნეთში, და ჩვენ მაინც მხოლოდ მასზედ ვლაპარაკობდით მთელი ეს დღეები, ვიდრე მე მასთან ვიძალებოდი, რადგან — დამავიწყდა მეთქვა თქვენთვის — მე შეძებდენ... მისი ქმარი ჩამოვიდა, როდესაც კუბო უკვე დაქვდილი იყო... მას არ უნდოდა ერწმუნა ოფიციალურ მოწმობისათვის... დადიოდენ რალაც ხმები... და იგი მე დამეძებდა... მაგრამ მე ვერ ვბედავდი შევხვედროდი მას... მენახა იგი, ადამიანი, რომელიც, როგორც ეს მე ვიცოდი, საკმაოდ სტანჯავდა მას ცხოვრებაში... მე დავიმალე... ოთხი დღე არ გამოვსულვარ გარეთ, ოთხი დღე ჩვენ ორივე ერთ ბინაში ვიმყოფებოდით... შემდეგ, ქაბუკმა, აიღო ჩემთვის ადგილი გემზედ სხვისი გვარით, რომ გაქცევა შემძლებოდა... თითქოს ქურდი ვყოფილიყავ. ღამით გავძვერი პალუბაზედ, რომ არავის არ ვეცანი... მივატოვე იქ, შორეულ სადგურზე ყველაფერი, რაც მებადა: ჩემი სახლი, ნამუშევარი, რომელსაც ეს საოცარი შვიდი წელი მოვანდომე. მთელი ჩემი დოვლათი მივაგდე ბედის ანაბარად... ხოლო მართველობამ კი, ალბათ, უკვე სამსახურიდანაც დამითხოვა, რადგან ნებადაურთველად დავსტოვე სადგური... მაგრამ მე აღარ შემეძლო მეცხოვრა იქ მეტი... იმ ქალაქში, იმ მხარეში... ყველაფერი მას მაგონებდა... როგორც ქურდი, გამოვიქეცი ღამით, რომ წამოვსულიყავ მისგან... დამევიწყა იგი, მაგრამ, როდესაც ფეხი შემოვადგი ამ გემზე, ღამით... შუალამე იყო... ჩემი მეგობარიც ჩემთან იყო... მაშინ... მაშინ... სწორედ მაშინ სწევდენ ბაწრებით ზევით რალაც გრძელს, შავს... ეს იყო მისი კუბო... გესმისთ?... მისი კუბო... იგი კვალ და კვალ მსდევდა ეხლა, როგორც მე ვსდევდი მას წინეთ... და მე უნდა ვმდგარიყავ აქვე, უგრძნობი სახით, მიტომ რომ მისი ქმარი აქვე იმყოფებოდა, აქვე... მიასვენებდა ცხედარს ინგლისში... იქნებ მას მისი გაქრაც სურდა იქ, გამოძიების მოხდენაც... ეხლა იგი დაეუფლა მას... ეხლა იგი ისევ ამას ეკუთვნის... და არა ჩვენ... ჩვენ ორთავეს... მაგრამ



მე აქ ვარ კიდევ... მეც მივყვები მას ბოლომდე. იგი ვერ გაიგებს... მან არასოდეს არ უნდა გაიგოს. მე მოვახერხებ დავიცვა მისი საიდუმლოება ყოველივე ძალდატანებისაგან... ამ არამზადისაგან, რომლისთვისაც მხოლოდ და მხოლოდ წაეიდა იგი სასიკვდილოდ... ვერაფერს, ვერაფერს ვერ გაიგებს. მისი საიდუმლო მეკუთვნის მე და მხოლოდ მე... გესმისთ თქვენ?... გესმისთ ეხლა, რატომ არ შემიძლია ვიყო ხალხში, რატომ ვერ ვიტან მათ სიცილის... როდესაც ისინი არშიყობენ და რწყვილ-რწყვილათ დასეირნობენ?... მიტომ, რომ იქ, ქვევით, ქვევით, ტრიუმში, ჩაის კოლოფებსა და კაკლის ხეებს შორის სდგას მისი კუბო... მე ვერ გავეტიე იქითკენ, რადგან იგი ჩაკეტილია?... მაგრამ ვგრძნობ კი ამას ყოველ წუთს... ვგრძნობ ამას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქ ვალსს ან ტანგოს უკრავენ... სისულელეა ეს ხომ, ზღვის ფსკერზედ მილიონი მკვდარი წევს: ყოველ ფეხის დადგმაზედ, მიწაზედ რომ სადმე ვაბიჯებთ, იბრუნება ალბათ ცხედარი... მაგრამ მე მაინც ვერ ვითმენ, არ შემიძლია მოვიტყინო, როდესაც აქ აწყობენ კარნავალებს და ასე უდარდელათ ხარხარებენ... მე ვიცი, რომ მაწყვეს ვალი... მე ჯერ კიდევ არ შემისრულებია... მისი საიდუმლო ჯერ დამარხული არ არის... იგი ჯერ კიდევ არ მიშვებს... ჯერ კიდევ საჭირო ვარ.

\* \* \*

საშუალო პალუბაზედ აფართხუნდენ ფეხები, აშრიალდენ სველი საგველები. მატროსებმა დაიწყეს წმენდა. ჩემი მოსაუბრე შეკრთა უეცრად, როგორც კაცი. მოულოდნელათ რომ შეესწრობით. მის დატანჯულ სახეზედ შიში გამოისახა. წამოდგა და წაილულლულა:

— უკვე დროა... ეხლა წავალ.

მძიმე შესახედავი იყო, საშინელი იყო ცარიელი ცქერა მისი დასიებული თვალების, დაწითლებულის ალკოგოლისა და ცრემლებისაგან. მას ეთაკილებოდა ჩემი თანაგრძნობა; მთელ მის მოლუნულ ტანში ვგრძნობდი დარცხვენას, მწვავე დარცხვენას წარსული ღამის აღსარების გამო.

მე უნებლიეთ წამოვსთქვი:

— მომცემთ ნებას, რომ ნასადილევს თქვენს კაბინაში გეწვიოთ?

მან შემომხედა, დამცინავმა ღიმილმა დაგრიხა მისი ტუჩები და რალაც გაბოროტებული დაცინვით, თითქოს თითო-თითოდ დაიწყეს ჟონვა სიტყვებმა მის ბაგედან:

— ე... ე... თქვენი სახელოვანი მოვალეობაა... დაეხმაროთ ყველას... ე... ე... აი სწორეთ ამ სიტყვებით... ამ სიტყვებით... მოახერხეთ, რომ შეგეცდინეთ ამ ლაყობისათვის... მაგრამ, არა, ბატონო ჩემო, გმადლობთ! არ წარმოიდგინოთ, თითქოს მე ეხლა, იმის შემდეგ, რაც მთელი ჩემი შიგნეული გადმოვიბრუნეთ, უფრო თავისუფლად ვგრძნობდე თავს... ისე გამოვიდა, თითქოს... თითქოს ტყუილ-უბრალოდ ვიმუშავე ამდენ ხანს, გოლლანდიის პატივცემულ მთავრობისათვის... პენსიაც დამეკარგა. უსახლკარო-ძალღივით ვბრუნდები ეხლა ევროპაში... ძალღივით, ღმუილით, კუბოს რომ მისდევს უკან... ღმუილით



მოეთრევა ამოკით ბნედილნი დაუსჯელად არ მირბიან: აღრე თუ გვიან მომეკვე-  
თება ფეხები, და იმედი მაქვს, რომ აღსასრული უკვე მოახლოვებულია... არა,  
ჩემო ბატონო, გმადლობთ, ნახვის და მონაწილეობის თავაზიანი სურვილინათვის...  
ჩემს კაბინაში უკვე მოვძებნე მეგობრები... სამი თუ ოთხი ბოთლი რვისკი... ისინი  
ხანდახან კარგად მამშვიდებენ... და შემდეგ ჩემი ძველი მეგობარი ვინმე მელსაც  
მე სამწუხაროთ თავის დროზედ ვერ მივმართე—ჩემი კეთილბუნაობის გამო  
ყოველივე ლაყბობაზედ უკეთ მიშველის... თქვენ კი გთხოვთ, თავს ნუ შეიწუ-  
ხებთ... აღამიანს ყოველთვის რჩება უკანასკნელი უფლება ისე ამოიძროს სული,  
როგორც თვით მოისურვებს... და ამავე დროს უარი განაცხადოს ყოველივე  
უცხოს დახმარებაზედ.

ერთხელ კიდევ შემომხედა დაცინვით, თითქოს გამოწვევითაც კი, მაგრამ  
მე მაინც ნათლად ვგრძნობდი—მასშიდ მხოლოდ დარცხვენა ლაპარაკობდა,  
უსაზღვრო დარცხვენა. შემდეგ ჩასწია თავი მხრებში, მოტრიალდა და დასუს-  
ტებული და უსწორ-მასწორო ნაბიჯით. გამოუმშვიდობებლად გაემართა კაბი-  
ნებისაკენ. იქ მიიმალა, მე კი შემეძლო ყველაფერი ეს მხოლოდ ღამის მოჩვე-  
ნებით წარმომედგინა, რომ ჩემი ყურადღება უეცრად არ მიეპყრო ერთ მგზავრს,  
არ მიეპყრო სამგლოვიარო ზოლით მკლავზედ. ეს იყო მსხვილი ჰოლანდიელი  
კომერსანტი და, ნეც დამიდასტურეს, რომ მან სწორედ ეს ხანს დაჰკარგა  
მეუღლე, გარდაცვლილი რალაც ტროპიული ავადმყოფობისაგან. მე ვხედავდი  
როგორ სეირნობდა იგი, მოცილებით სხვა მგზავრებიდან, დიტანჯული და  
ფერმკრთალი სახით. ის აზრი, რომ მე ვიცი მისი დამალული ფიქრები, საოც-  
რად მათელეკებდა და... და როდესაც მას ვხედავდი, ყოველთვის უხვევდი გზას,  
თითქოს მეშინოდა კიდევ, რომ რაიმე მოულოდნელი შეხედვით არ გამომეკლა-  
ვებია, რომ მე მასზედ მეტი ვიცი იმ უბედურების შესახებ, მას რომ წვია.

\* \* \*

სწორედ ამის შემდეგ მოხდა ნეაპოლის ნავთ-სადგურში ის უცნაური შემ-  
თხვევა, რისი ახსნაც, ჩემის აზრით, ექიმის მოთხოვნაში უნდა ვეძიოთ.

სალამოზე მგზავრთა უმეტესი ნაწილი ნაპირზე გადავიდა. მე თვითონ გა-  
ვემართე ოპერაში, ხოლო იქიდან ვია-რომას ერთ-ერთ ბრწყინვალეთ განათებულ  
კაფეში. როდესაც ნავით გემზედ ვბრუნდებოდით, თვალებში მეცა რამოდენიმე  
ნავი ჩირალდნებით და აცეტილენის საშუქებით გემის ირგვლივ ტრიალებდენ  
და რალაცას ეძებდენ, ხოლო ზევით, სიბნელით მოცულ პალუბაზედ, ჟანდარ-  
მები და კარაბინერები დადიოდენ. მე შევეკითხე ერთ-ერთ მატროსთაგანს, თუ  
რა მოხდა. მან გვერდი აუხვია პასუხს და აშკარა იყო, რომ აკრძალული ჰქონდა  
ლაპარაკი ამის შესახებ. არც მეორე დღეს, როდესაც გემი მშვიდათ, თითქოს  
იქ არაფერი მოხდაო, ნავთ-სადგურიდან გენუასაკენ გავიდა, არაფრის გაგება  
არ შეიძლებოდა და მხოლოდ შემდეგ იტალიურ გაზეთებში წავიკითხე რომან-  
ტიულათ შეფერილი ცნობა უბედური შემთხვევის შესახებ ნეაპოლში.

„იმ ღამეს“—სწერდენ გაზეთები—„გვიან ღამით, რომ არ შეეწუხებიათ  
მგზავრები სამწუხარო სანახაობით, გემიდან ნავში უშვებდენ კუბოს წარჩინე-



ბული ქალბატონისას ჰოლლანდიის ახალშენებიდან. მტვირთველს ჩაჰქონდა იგი ქვევით თოკის კიბეზედ, ხოლო მიცვალეზულის ქმარი ეხმარებოდა მას და ხელი ეკიდა ბაწარზედ. უეცრად რალაც მძიმე გადმოეშვა პალუბიდან, დაეცა კუბოს და ორივე კაცი კუბოსთან ერთათ ზღვაში გადაიყოლია“.

ერთ-ერთი გაზეთი ამკიცებდა, რომ ეს იყო ვილაც გიფე, რომელიც ზევიდან თოკის კიბეზედ გადმოეშვა. მეორე ვერსიით კი კიბე ჩაწვდა მტვირთველს სიმძიმისაგან.

როგორც უნდა ყოფილიყო, გემის კომპანიამ, ალბათ, ყველა ზომები მიიღო, რომ ჭეშმარიტება ამ საქმის შესახებ არ გამოემჟღავნებულყო. ქმარი და მტვირთველი დიდის გაჭირვებით, როგორც იქნა, გადაარჩინეს, კუბო კი მაშინვე დაიძირა და ველარ იპოვეს.

იმ ხანებშივე დაბეჭდილმა ცნობამ, რომ ნავთ-სადგურში ტალღებმა გამოაგდეს უცნობი ორმოცა წლის მამაკაცის ცხედარიო, საზოგადოების ყურადღება არ მიიქცია, რადგან, როგორც ეტყობოდა, იგი არაფრით არ იყო დაკავშირებული ამ რომანტიულათ აწერილ შემთხვევასთან; მაგრამ ჩემს წინ, როგორც კი გაზეთში ეს სტრიქონები ამოვიკითხე, კიდევ ერთხელ მოჩვენებასავით წამოდგა გაზეთის ფურცლიდან სახე,—მკრთალი, როგორც მთვარე, სათვალეების ელვარე შუშებით.

თარგმანი ლელი ჯაფარიძის.





ქართული  
ბიბლიოთეკა

კრიტიკა მხატვრობა  
და  
კუბლიცისტიკა



## სიმბოლიზმი საქართველოში

### ზოგი რამ

სიმბოლიზმი საქართველოში, რომელსაც ჩვენი საზოგადოება „ცისფერ ყანწელების“ სახელით იცნობს, დღეს უკვე დრომოქმული პოეტური სკოლაა. მართალია, ჯერ კიდევ ცხოვრობენ ფიზიკურად ამ სკოლის წარმომადგენლები, მაგრამ, როგორც ლიტერატურული სკოლა, სიმბოლიზმი უკვე წარსულს ეკუთვნის. რით აიხსნება ყოველივე ეს? ეს აიხსნება, ერთის მხრივ იმით, რომ ხსენებული სკოლის credo, ე. ი. ახალი პოეტური პრინციპები, რომელიც შეადგენდა მის არსებას, უკვე ამოიწურა და ამიტომ აუცილებლად უნდა დაწყებულიყო სკოლის დაცემა, მეორეს მხრივ კი იმით, რომ სიმბოლიზმის იდეოლოგიის ინდივიდუალისტური და მისტიური საფუძველი უცხო შეიქნა თანამედროვე შემეცნებისათვის, რომელიც რევოლუციონურ ქარიშხლების და პრაქტიკული სოციალური ამოცანების ატმოსფეროში ჩამოყალიბდა.

უკანასკნელი ხნის განმავლობაში ამ სკოლის წარმომადგენლებმა, მართალია, მოგვცეს ახალი ნაწარმოები, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იყო ზოგიერთი მხატვრულად გამართლებული ფაქტი—ამით მაინც არაფერი რაიმე ახალი და ღირებული არ მონატებია მათ პოეტურ სახის გამოსაჩენად.

ამრიგად, „ცისფერი ყანწელების“ სახით უკვე გვაქვს დასრულებული ლიტერატურული სკოლა. საჭიროა განვიხილოთ ის თანამედროვე მეცნიერულ-მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით.

### სიმბოლიზმი საერთოდ

სიმბოლიზმი საქართველოში საფრანგეთის სიმბოლიზმის გავლენით აღმოცენდა. თითქმის ყველა ჩვენი სიმბოლისტი აღიარებს, რომ მათი სკოლის პრინციპების სათავეს ფრანგი სიმბოლისტები წარმოადგენენ.

„სიმბოლიზმი, როგორც სკოლა, დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში“, — ამბობს შ. აფხაიძე (ჟურნ. „მეოცნებე ნიამორები“ — 1919 წ. თებერვალი. წერ. „ქართული პოეზიის პერსპექტივები“).



გრ. რობაქიძე სწერს... „ქუთაისის დუქნები უცბად გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებად, სადაც არღნის ხმასთან და აუცილებელ „მრავალეა-მიერთან“ ერთად გაისმის საყვარელი სახელებიც: ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უალდი, პოლ ვერლენი და სიტყვები მალარმე, ხოზე-მარია ერედია და ემილ ვერჰარნი, კონსტანტინე ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ხრენსკი და ალექსანდრე ბლოკი და სხვ.“ (ქ. „Ars“ № 1—1918 წ. წერ. „Средствами модернизма“).

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი.—ადიდე ხალხო, ეს მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობდენ ჩვენი ლოთი ძმები—ვერლენი და ბოდლერი, მალარმე—სიტყვების მესაიდუმლე, და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ქაბუკი“ (პ. იაშვილი „პირველთქმა“, ქ. „ცისფერი ყანწები“).

აქედან სრულიად ბუნებრივად ისმება კითხვა: რა ახასიათებს საფრანგეთის სიმბოლისტების შემოქმედებას კერძოდ და საერთოდ მთელ სიმბოლიზმს?—რემი დე-გურმონი „ნილაბთა წიგნში“ შემდეგნაირად ახასიათებს ამ მიმართულებას:

„რა არის სიმბოლიზმი—თუ დავეყრდნობით სიტყვის სწორ გრამატიკულ მნიშვნელობას, თითქმის არაფერი. თუ კითხვას გავწევთ განზე—მაშინ იმას შეუძლია აღნიშვნა იდეათა მთელი რიგის:

ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარისყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურისადმიც კი.—ის ნიშნავს აგრეთვე იდეალიზმს, სოციალური რიგის ფაქტების უგულვებელ ყოფას, ანტინატურალიზმს, ტენდენციას, მხოლოდ იმ ხაზების გადმოცემას, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ანსხვავებს“ (Рем де-Гурмон „Книга Масок“—1913 წ. წინასიტყვაობა. გვ. 6). ამ სიტყვებში საკმაოდ ნათლად და ფართედ არის მოცემული სიმბოლიზმის ბუნების განსაზღვრა. მას ჩვენი სიმბოლისტებიც იზიარებენ (იხ. ტ. ტაბიძე „ცისფერი ყანწებით“).

საფრანგეთის სიმბოლიზმის თითქმის ასეთსავე განსაზღვრას იძლევა ვ. ბრიუსოვიც. „საფრანგეთის სიმბოლიზმში,—სწერს ის—უნდა გავარჩიოთ ორი მიმართულება: პირველი მშვენიერების კულტი, ესთეტიზმი, და მეორე—პიროვნების კულტი, ინდივიდუალიზმი“. უკიდურესობამდე განვითარებულმა ინდივიდუალიზმმა და სუბიექტივიზმმა თავისებური მიმართულება მისცა სიმბოლისტების მხატვრულ ფორმასაც. „ისინი მზად იყვნენ,—განაგრძობს ვ. ბრიუსოვი,—უარეყოთ ყოველგვარი „წესები“ ლექსთაწერის სფეროში, სცნობდნენ რა, რომ თვითვეული პოეტი თავისუფალია შეჭმნას ის ფორმები, რომელიც უფრო შეეფერება მისი პოეზიის შინაარსს. დაუბრუნდნენ რა ისინი რომანტიკოსების „სუბიექტური“ ენის იდეას, განავითარეს ის უკანასკნელ უკიდურესობამდე, არ ჩერდებოდნენ იმის წინაშეც, რომ ამ მოქმედებით ზოგიერთი მათი ნაწარმოები მეტად ძნელი გასაგები ხდებოდა. ამის შემდეგ სრულიად არაა გასაკვირველი, რომ სიმბოლისტები მიმართავდნენ მისტიურ მოძღვრებებს, ცდილობდნენ რა მიეცათ მისთვის უფრო ღრმა და ფართე დასაბუთება. პიროვნების კულტის ასეთი უკი-



დურესობამდე აყვანამ, არსებულ რეალობასთან სრულმა ჩამოშორებამ და მისწრაფებამ მისტიციზმისაკენ, „გაუცნაურებისაკენ“, „იმ ქვეყნისაკენ“ დაბადა ის ძირითადი მხატვრული ხერხი, რომელმაც სახელწოდება მისცა მთელ მიმართულებას. „სიმბოლოების დამოუკიდებელ განძს წარმოადგენდა, — ამბობს ბრიუსოვი, — სიმბოლოების იდეა, როგორც ძირითადი მხატვრული სწავლებლები. ნატურალიზმი, რომელიც 80-იან წლებში გაბატონებული სტრუქტურაში, კმაყოფილდებოდა მხოლოდ იმით, რომ სისწორით სახავდა გარეშე სინამდვილეს. სიმბოლისტები გადაჭრით უარყოფდნენ შემოქმედების ასეთ მეთოდს, რომელიც ხელოვნებას მხოლოდ ცხოვრების გამოხატულებად აქცევდა, ისინი მოითხოვდნენ, რომ ჭეშმარიტ მხატვრულ შემოქმედებაში გარეგან, კონკრეტულ შინაარსს იქით ყოველთვის უნდა იმალებოდეს მეორე, უფრო ღრმა შინაარსი. მხატვრული სახის ადგილას, რომელიც განსაზღვრულად ხატავს ერთ მოვლენას, მათ დააყენეს მხატვრული სიმბოლო, რომელიც მთელ რიგ დაფარულ ენიშვნელობას იტევს, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოს, მრავალაზროვანს, ჩაბნელებულს და გაუგებარს, — თავისი ბუნებით შესაფერისი დარჩა იმ პოეტებისთვის, რომლებმაც როგორც სწერს ბრიუსოვი, „უარყვეს... პოეზიის საზოგადოებრივი იდეალი... მოისწრაფოდნენ რა იმისაკენ, რომ ხელოვნება გამხდარიყო მხატვრის პიროვნების სრული გამოხატულება“ (В. Брюсов „Французские лирики XIX века“, წინასიტყვაობა).

აი, ასეთი ლიტერატურული მიმართულების გამოძახილია ჩვენში „ცისფერი ყანწილები“; აი, ასეთმა პოეტურმა გზამ გაიჩინა საქართველოში მთელი წყება მოწაფეების, მიმდევრების და მიმბაძველებისა.

1916 წელს ქუთაისში გაისმა პირველი ხმები, რომელიც საზოგადოებას ატყობინებდა ახალი ლიტერატურული პერიოდის დაწყებას. ამ წელს გამოვიდა ჟურნალი „ცისფერი ყანწილები“, რომელშიაც გარკვევით იყო აღნიშნული ჩვენი სიმბოლისტების შეხედულებები და გრძნობები.

### სიმბოლიზმი, როგორც სოციალური მოვლენა

რა არის სიმბოლიზმი, როგორც სოციალური მოვლენა?

მარქსისტულ ლიტერატურათ მეტყველებაში სიმბოლიზმის სოციალური გენეზისი უკვე სათანადოდაა გარკვეული და განსაზღვრული. თითქმის ყველა კრიტიკოსი და ლიტერატორის მკვლევარი, რომლებიც ეხებოდნენ ამ საკითხს, ასეთ დასკვნამდე მიდის: საზოგადოებრივი ფსიქიკა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ლიტერატურულ სკოლას, გამოხატავს ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილის განწყობილებას, რომელიც აღმოცენდა მეტად რთულ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაზე და რომელიც გამოწვეული იყო კაპიტალიზმის განვითარებით.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი კაპიტალისტური საზოგადოების სიკვდილის წინათგრძნობის ხანაა; ის ხასიათდება ბურჟუაზიის სასიკვდილო განცდების გამომჟღავნებით. იმ სოციალურ ფენას, რომელსაც სინამდვილე დალუბვას უქადის, დარჩენია მხოლოდ რომ თვითონაც უარკოს ის სინამდვილე, რომელიც მას სიკვდილის გარდა არაფერს არ უმზადებს. ისინი ფრ. ნიჩშეს თქმით,



ცდილობენ „თავისი თავი დამალონ ციური საგნების ქვიშაში“. ამიტომ არის, რომ ისინი მიმართავენ სიმბოლოებს, ცას, წარსულ ცხოვრებას, მისტიციზმს, ამიტომვე არის, რომ მათი ლიტერატურული სახე სიმბოლიზმში ყალიბდება.

საერთოდ სიმბოლიზმის ასეთი დახასიათება მართალია. მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ის კორექტივს მოითხოვს. ჩვენი აზრით, ძნელია მივიღოთ ქართული სიმბოლიზმი—*in corpore*—მივაკუთნოთ „კაპიტალიზმის მომდევნო სტადია“, რომ ქართული სიმბოლიზმის ობიექტური როლი რეაქციონურია, მაგრამ ამით მაინც არ შეიძლება ითქვას, თითქოს ჩვენი სიმბოლიზმები, ინტელიგენციის ეს ჯგუფი განსაზღვრულად და გარკვევით ბურჟუაზიული იყოს, ე. ი. უშუალოდ იყოს შეკავშირებული მსხვილ ბურჟუაზიასთან (ასეთი ხომ საქართველოში თითქმის არც კი გვყავდა), ან მიწათმფლობელებთან.

ამგვარად, საქართველოს სინამდვილეში საჭიროა ამ დებულების კონკრეტიზაცია, არსებითად უნდა გავითვალისწინოთ ინტელიგენციის ის ჯგუფები, რომელიც შეიქნა ამ სკოლის ნამდვილი სოციალური საფუძველი საქართველოში.

მეოცე საუკუნე საქართველოსათვის უეჭველად შესანიშნავ მომენტს წარმოადგენს ეკონომიურ და საზოგადოებრივ დარგში: თანდათან ისპობა ფეოდალური ურთიერთობა; თავადაზნაურთა ბატონობის ნაშთები უბრძოლველად და ყოველგვარი ტრადიციის გარეშე უთმობს თავის ადგილს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ-იდეოლოგიურ სფეროში ახალ ბატონებს.

ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა ახალი, ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოებრივი კლასები—მათ შორის მუშათა კლასი, რომელმაც დამოუკიდებლად და საჯაროდ განაცხადა თავის მოთხოვნილებების, საჭიროების, ამოცანების და მიზნების წესახებ.

სოციალური ყოფის ამ უჩვეულო სირთულემ, ცხოვრების ამ საკვირველმა დინამიკამ, როდესაც ყველაფერი დაინგრა თავისი ძველი სათავეებიდან და აქაფებულ ტალღებად გაექანა უცნობ და ბევრისათვის საშიშ მომავლისაკენ,—შერყეობა და წინააღმდეგობა გამოიწვია საზოგადოებრივ „შემეცნებაში“, ხელი შეუწყო ინტელიგენციის მრავალ და სხვადასხვაგვარ ჯგუფებად დაქსაქსვას.

მაგრამ ყველა ეს ინტელიგენტური ჯგუფები, უდიდესი ისტორიული პრობლემისადმი:—ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი იქნება ქვეყნიერების ბატონ პატრონი,—მიდგომაში შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: 1) განსაზღვრული ბურჟუაზიული ფენა, რომელიც შეგნებულად ემსახურებოდა კაპიტალიზმს და იცავდა იმის მიერ შექმნილ წესწყობილებას; 2) რევოლიუციონურ-დემოკრატიული ინტელიგენცია, რომელიც იბრძოდა გაბატონებული ექსპლოატატორი წყობილების წინააღმდეგ (მარქსისტები), 3) საშუალო ფენები, რომლებსაც არ შეეძლოთ მიეღოთ „საშინელი ქვეყანა“, ე. ი. მათ გარშემო არსებული სოციალური წესწყობილება, მაგრამ ამავე დროს, ამ წესწყობილებასთან მტკიცე კავშირის გამო, (სულერთია, წარმოშობით, აღზრდით თუ მატერიალური ინტერესებით იყვნენ დაკავშირებულნი) იმათ არ შეეძლოთ გულახდილად გამოსულიყვნენ მის წინააღმდეგ ახალ სოციალურ ურთიერთობათა შექმნისთვის, რისთვისაც იბრძოდა რევოლიუციონურად და მარქსისტულად მოაზროვნე დემოკრატია.



და, აი, ამ უკანასკნელ კატეგორიაში ინტელიგენციის უკანასკნელ, საშუალო ჯგუფებში უნდა ვეძიოთ „ქართული სიმბოლიზმის“ სოციალური საფუძვლები.

ამ საშუალო მერყევი ტიპის ინტელაგენტებს, რომლებიც ქვეყნის მხრივ მოსწყდენ გაბატონებულ კლასებს, და ამავე დროს, მეორეს მხრივ პაროლეტარულ რევოლუციონურ შექურასაც ზურგი შეუქციეს, მხოლოდ ერთი გამოსავალი დარჩათ: რეალური ცხოვრებისაგან გაქცევა ფანტაზიის მიმართული ზეგრძნობიერ, არა მიწიერ სამყაროში, ჩაკეტვა თავის ავადმყოფურ ფსიქიკაში, რალაცა მარადიული მშვენიერების ძიება და სხვა (E. Никитина и С. Шувалов „Поэтическое искусство Блока“. გვ. 6-8).

და სწორედ ყოველივე ამითაა მათ პოეზიაში გამოწვეული პასვიობა და დაბნეულობა, ანარქიულობა და დაცემა. რომანტიზმი და მისტიციზმი, ინდივიდუალიზმი და ფსიქოლოგიზმი.

ამრიგად, ქართველი სიმბოლისტები არიან საშუალო საზოგადოებრივი ელემენტები: დეკლასიურად გამოსული სხვადასხვა წრეებიდან, კულტურის მხრივ უმაღლესად კვალიფიციური ანარქიული ბოგემა, ნაწილობრივ წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომლების დამახასიათებელია ინდივიდუალისტური და ანარქიული განწყობილებანი (იქვე, გვ. 7). მათ შემოქმედებაში გვაქვს პოეზია იმ ჯგუფის, რომელიც არ მოქმედობს, არამედ მხოლოდ გრძნობს...

ასე გვესმის ჩვენ საერთოდ სიმბოლიზმი და კერძოდ ჩვენი „ცისფერი ყანწელები“...

ამ თეორეტიული ექსკურსიის შემდეგ ჩვენ შევხებით მათ პრაქტიკას.

### ვალერიან გაფრინდაშვილი

ვ. გაფრინდაშვილი თავისებური ფიგურაა ქართველ სიმბოლისტებში. ის მთლიანად მოქცეულია ესთეტიური ხედვის მეტისმეტად ვიწრო რკალში. მან თავის შემოქმედებაში საკუთარი ხელოვნური სამყარო შექმნა. ქართველი სიმბოლისტებიდან ის ყველაზე უფრო ფანტასტიური და მისტიკის პოეტია. ორეულები, მირაჟები, ფანტომები, ჰამლეტი, ჰაგონინი, აშორდია, ოფელია, კალიოსტრო, მაჩაბელი—აი მისი მხატვრული თქმების გზები, მისი სამყაროს პერსონაჟები. პირველი ლექსიდან დაწყებული და უკანასკნელი ლექსით გათავებული. ვ. გაფრინდაშვილი ერთი გზით მიდის, მას ამ გზიდან იოტის ოდენაც კი არ გადუხვევია. სწორედ ამიტომაც არის, რომ მის შემოქმედებაში ხშირია ერთფეროვნება, სხვადასხვა ვარიაციებით ერთის და იმავეს გამეორება.

ამგვარად, ვ. გაფრინდაშვილი თავისი შემოქმედებით გვევლინება, როგორც დასრულებული სიმბოლისტი. მის შემოქმედებაში ფართედ არის მოცემული მთელი რიგი იმ მოტივებისა, რომელიც საერთოდ ახასიათებს სიმბოლიზმს: —ინდივიდუალიზმი, ესთეტიზმი, მისტიური ოცნებანი იქეთა ქვეყნის შესახებ, სინამდვილის უარყოფა და სხვა. საჭიროა გავარკვეოთ, თუ როგორი ხედვით და მხატვრული შესაძლებლობით არის მოცემული ყოველივე ეს ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში...



როგორც უკვე სხვებმაც აღნიშნეს ე. გაფრინდაშვილი სინამდვილის ყოველ მოვლენას და საგანს „სარკისებურად“ ითვისებს. მისი წარმოდგენით, თვითოეულ საგანს და მოვლენას თავისი ორეული ჰყავს, თავისი მეორე სახე აქვს—როგორც სარკეში:

„ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ მევლინება, ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმკრთალ თვალებს? ნუ თუ მიცქერის საკუთარი ჩემი ჩვენება? ნუთუ ჩემს გულში მისტიური შიში იალღებს? მისი ღიმილი ჩემში ბნელად გაიშრიალღებს. უშიშარი დღის დაიკარგა ცხადი ხსენება. თეთრი ოცნება გადარჩენის თოვლივით დნება. დამწვარ სხეულის ჩემს გარშემო სუნი ტრიალებს. ასე სასტიკად რად მიცქერი, მწუხარე ლანდო, ჩემი წამება, ულმობელო, შენ ვინ მოგანდო? ვინ გაგიმთვარა აგზნებული ტანჯული სახე, სარკის მორევეში ათრთოლებით რომ დავინახე? გადიდდა სარკე—ზვირთებიან ზღვათ გარდაქმნილი, და მის ტალღებში იძირება ჩემი აჩრდილი“.

(„მე—სარკეში“).

პოეტის რწმენით მთელი ქვეყნიერება ორეულებით არის სავსე. ორეული პოეტის განუშორებელი თანამგზავრია: როდესაც ის „ბოროტ ლამეში“ მიდის ხიდზე—

„დამიძახებს ბნელი ხმით წყალი...  
ჩემი აჩრდილი, როგორც ქურდი, მომეპარება,  
რომ ვადამაგდოს შავ ტალღებში—შორს მიმავალი.  
აზვირთდებიან ჩემ თვალის წინ მკაცრი ლომები—  
გზის დარაჯები. ხიდს აბნელებს მათი ფაფარი.  
ფერდაკარგული მოჩვენებებს შევეომები,  
იქნება წყალი ერთად-ერთი თავშესაფარი.  
ამოვა წყლიდან ოფელია ზღვის ძალღზე მჯდომი,  
მისი ღიმილს სხვანაირი და სანეტარო“.

(„ორეულებთან შეხვედრა ხიდზე“)

პოეტს ხშირად დუელიც კი აქვს გამართული თავის ორეულთან: „იარაღით“, „დამბაჩით“, „დანით“, „სამართლებლით“, „მათრახით“:

დუელს ერთმანეთს ვპირდებოდით ბოროტ მინაში,  
როგორც ლურჯ გედის მოტრფიალე ფალავანდები.  
აი, ცბიერად აქანდაკდა ის ჩემს წინაშე,  
თითქმის მაშინებს საზიზღარი მისი ფანდები.  
ზრდილობიანათ, ვით მსახური, მაწვდის იარაღს...  
როცა დამბაჩას დაუფიზნებ, მიეფარება  
საშინელ სარკეს და სიჩუმეს სვამს, როგორც არაყს.



შემდეგ ფრთიანი ავაზაკობს და მეპარება.  
 შემომთავაზა ორეულმა სამართებელი:  
 ერთად ვიპარსავთ—ის ბროლში და მე სიცხადეში.  
 და თუ დაიჭრა სამუდამო ჩემი მხლებელი,  
 სწრაფად ჩაეყვინთავთ სასოკვდილო სარკის ბადეში.  
 ის დანით ყელთან მე მიცქერის, ვით თავის მკვლელებს.  
 ისევ ერთმანეთს ვუკვირდებით, როგორც ჯაშუსებს.  
 ხელის გაქნევას უკანასკნელს იმისგან ველი  
 და ჩემს იარებს მოურჩენელს ვერ დააშუშებს.  
 ვართ დანიშნული ერთმანეთის მისტურ დალით.  
 როგორც რაყიფნი, ველოდებით წუთს შესახვედრს.  
 ვხვდებით სიზმარში; ის გამიპობს სახეს მათრახით,  
 და მათრახითვე ვუპასუხებ თანასწორ მხედარს.  
 ვხვდებით ერთმანეთს განწირულნი სარკის მინაში  
 მესმის მუქარა: „შებრალებას ჩემგან ნუ ელი“.  
 ის კიდევ ხშირად ამატროლებს თავის წინაშე,  
 არ ვიცი, როდის გათავდება ჩვენი დუელი“.

(„დუელი ორეულთან“).

პოეტს ორეულები არსად არ ასვენებენ. ისინი პოეტს თვითმკვლელობას,  
 დახრჩობასაც კი ურჩევენ:

„როცა სარკის წინ მე ვიკეთებ ყელსახოცს ცბიერს.  
 მირჩევს სარკიდან ორეული თავის დახრჩობას“-ო.

— ამბობს ის.

(„მისტური მარულა“).

1903 წელს თავისი ლექსების წინასიტყვაობაში რუსი სიმბოლისტი ქალი  
 ხ. გიპიუსი სწერდა: „ადამიანის არსების ბუნებრივ და აუცილებელ მოთხოვნი-  
 ლებად მე ვთვლი ლოცვას... პოეზია საერთოდ, კერძოდ ლექსთაწყობა. სიტყვი-  
 ერი მუსიკა—ეს არის—ერთ-ერთი ფორმა, რომელშიაც ჩვენი სული ღებულობს  
 ლოცვას... დამნაშავენი ვართ განა ჩვენ იმაში, რომ ოვითეული „მე“ ახლა გახდა  
 განსაკუთრებული, ერთად-ერთი, განმარტოებული მეორე „მე“-საგან, და ამიტომ  
 მისთვის გაუგებარი და უსარგებლო? ჩვენთვის, თვითთვისათვის მეტის მეტად  
 საჭიროა, გასაგებია და ძვირფასია ჩვენი ლოცვა, საჭიროა ჩვენი ლექსი—ჩვენი  
 გულის სისრულეს წუთიერი სრული გამოხატულება. მაგრამ სხვისთვის, ვისაც  
 აქვს თავისი ალექსიკონი „მე“—მისთვის გაუგებარი და უცხოა ჩემი ლოცვა. სი-  
 მარტოვის შემეცნება კიდევ უფრო აშორებს ერთიმეორესაგან ადამიანებს, განა-  
 მარტოებს და აიძულებს თვითეულს, ჩაიკეტოს თავის სულში. ჩვენ გერცხვენია  
 ჩვენი ლექსების, მაგრამ, ვიცი რა, რომ ვერ შევუერთდებით იმით ვერავის,  
 ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ, ვთხზავთ მათ დაბალი ხმით, ჩვენთვის, ალგორიე-  
 ბით, რომლებიც გასაგებია მხოლოდ ჩვენთვის“ (З. Гиппиус „сборник стихов“  
 წინასიტყვაობა).



ამგვარად, სიმარტოვე, სოციალურ სინამდვილესთან სრული კავშირის გაწყვეტა და მისტიციზმი მტკიცედ არიან ერთნანეთთან შეკავშირებული სიმბოლიზმში. ის, რაც მეტიმეტი გარკვევით და გაბედულად გამოსთქვა ზინაიდა გიპიუსმა, შეეხება არა მარტო რუსეთის სიმბოლისტებს, არამედ საერთოდ მთელ სიმბოლიზმს. მისტიციზმი და ინდივიდუალიზმი მტკიცედ არიან შეკავშირებული ჩვენს სიმბოლისტებშიც. ეს მისწრაფება ზებუნებრივისადმი, რელიგიოზობა იქეთური ახასიათებს თვითთულ ქართველ სიმბოლისტსაც. კერძოდ, ამ შემთხვევაში, ეს განსაკუთრებით საგრძნობია ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში. ის პირდაპირ ლაპარაკობს:

...„გამოკვეთე თრთოლვა იქეთური...“

და სხვა.

(„ლოცვა“).

ზუნებრივია, რომ ეს ტრფობა „იმ ქვეყნისიღმი“, მასზე ოცნება პოეტში იწვევს რეალურ ცხოვრების უარყოფას. ლანდები, რომლებიც მისთვის ახლობელია, მიმართავენ პოეტს: „შემოგვიერთდი, ახლობელო, გიცხადებთ ძმობას“, უარყავი ცხოვრება, მზის სინათლე და ყველაფერს გაიგებ მაშინ:

„გაბედე მხოლოდ, უარყავი ეს ყოფა ძნელი,  
სინათლე მზისა და დღეების განმეორება,  
და შენ მიხვდები, თუ რა არის მთვარის სურვილი,  
და შენ გაიგებ, თუ რა არის ლანდის ცხოვრება“.

და როდესაც ლანდები ჰქრებიან, მაშინ პოეტს სინამდვილეში დაბრუნება დაეზარება.

სინამდვილისაგან თავის დახწევის ერთ-ერთი საშუალებაა მისი უარყოფა, ხოლო პირველი ნაბიჯი კი უამ გზაზე არის, შემოიფარგლო მთელი ქვეყნისაგან თავი, როგორც პიროვნება, ჩაიმალო საკუთარ ნაჭუჭში, გახდე მხოლოდ საკუთარი „მე“. ვ. გაფრინდაშვილიც სწერს ლექსებს, რომელშიაც ნათლად გაისმის: „ეს—მე—ვარ“, მან შეჰქმნა თავისი სამყარო, მაგრამ მას ავიწყდება რომ „მე“-ს შეუძლია განსაზღვროს თავისი თავი მხოლოდ პასივობაში. ასეთ შემთხვევაში ის კი არ ჰქმნის რამეს, არამედ უმოქმედობას იჩენს. ამით კი პიროვნება ამტკიცებს თავის სისუსტეს, თავის სიმკრთალეს, თავის სისხლნაკლულოვანებას.

ვ. გაფრინდაშვილის მრავალ ლექსში გარკვევით გაისმის ჩვენი ცხოვრების უარყოფა, რწმენა იმ ქვეყნიური ცხოვრების, რომელიც მისი წარმოდგენით, არის ნამდვილი ცხოვრება, ცხოვრება თავისუფლების და შემოქმედების. აქ დედამიწაზე კი ყველაფერი სიცრუე და მატყუარობაა, სიცოცხლე საშინელებაა, ხსნა არსად არის, მხოლოდ „ის“ ქვეყანაა რეალური, ჭეშმარიტი და ბედნიერი.

ამგვარად, ვ. გაფრინდაშვილისათვის არ არსებობს ცხოვრება თავისი ჭირვარამით და სიხარულით, თავისი გამარჯვებებით და დამარცხებებით. მან იცის მხოლოდ „ზამთრის დაისი“, „ლამის ფოთლები“, „მარტობის დედოფალი“, „ლამის სტუმრები“, „ოცნება წვიმაში“, „მისტიური მარულა“, „სალამოს მასკები“, „ქიმერების მარულა“, „გიჟი ოცნებით უფსკრულისკენ კვლავ დაექან-



დები“, „სიგიჟე, ქლეჭი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა“, „ცრუ მსოფლიოში ბევრი ვიარე და ვერსად ვპოვე მე დამშვიდება“, „ამ ჯოჯობხეთში რამ მოგიყვანა“, „მე საიქიოს კულისებში გადავალ ჩქარა“ და სხვა.

სინამდვილეს პოეტი ყველგან გაუბრის, ცდილობს სინამდვილეს დაეწიყებას მისცეს. ამ გზით სულას ის სხვებსაც ურჩევს და მოუწოდებს: ის ძლიერ აღფრთოვანებულია, როდესაც მას შიმდევრებიც აღმოუჩნდებიან („სინამდვილე“).

აგრეთვე პოეტი ძლიერ გატაცებულია ოცნებით იმაზე, რომ ქარმა სამყარო დაუბრუნოს ქაოსს, სადაც აღარ იქნება სინამდვილე და ცხოვრება:

„ქარის სფინქსები ეხლებიან ერთმანეთს მწარეთ,  
ქარის სფინქსები აშენებენ კოშკებს წამიერს.  
როგორც გიჟები იძახიან: ვერ შევაფარეთ  
ქვეყანას თავი,—გაუმარჯოს უფსკრულებს ხმიერს.  
ნაცრისფერ ცეცხლში ბუმბერაზობს, იწვის ქალაქი.  
ვით სალომეა, საფირონი მოცეკვავს ქარი.  
გაჩნდება ცაზე სამართებლით თეთრი დალაქი—  
დაედევნება რუხ ჰამლეტებს ავი მუქარით.  
უცბად გადირბენს თმაგაშლილი ძველ სასაფლაოს—  
და ჰქმნის ქიმერებს—თვალწარმტაცი, ჯავარიანი;  
რომ ეს სამყარო დაუბრუნოს მომხიბლავ ქაოსს,  
მკაცრად უარყოფს სინამდვილეს ქარი ფრთიანი...  
(„ქუთაისი ქარში“)

სინამდვილის უარყოფა განსაკუთრებული სიძლიერით არის მოცემული ლექსში, რომელსაც ეწოდება „Agonie“. ეს ლექსი სიკვდილის აღფრთოვანებულ ჰიმნს წარმოადგენს. მოვუსმინოთ თვით ავტორს:

„დავტოვებ პარტერს და გადავალ სცენაზე.—კმარა!..  
მე საიქიოს კულისებში გადავალ ჩქარა“...

ამ სტრიქონებში მთელი სიძლიერით არის მოცემული ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედების ალფა და ომეგა: სინამდვილე სისულელეა, სინამდვილე არა-რაობაა, სინამდვილის მაგივრად პოეტმა, „გამოკვეთე თრთოლვა იქეთური“,— მიაშურე იმ ქვეყანას,—აი რა არის მისი დევიზი და ოცნება.

თუ პოეტი სინამდვილეს, ბუნებრივს ყველაფერს გაუბრის, სამაგიეროდ მას ყველაფერი ხელოვნური მოსწონს. მაგალითად, მას ბუნებრივი თვალი კი არ იზიდავს, არამედ ხელოვნური—შუშის თვალი. მიმართავს რა ის „ქალს ჩაჯენილ თვალებით“—ეუბნება:

„ო, რა უცხოა შენი თვალები მხიბლავი ყალბად—  
ნეტავი იმას, ვინც ამ თვალზე ნაზად გაკოცებს!  
თვალის მაგივრად შენ ძვირფას ქვას მუდამ ატარებ,  
რომ მე ყოველთვის ვიოცნებო ხელოვნურ თვალზე“.  
(„ქალს ჩაჯენილ თვალებით“).



ამასთანავე ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით საპატიო ადგილი აქვს დათმობილი სიგიჟის, თვითმკვლევლობის, ქლექის და ალკოგოლის კულტს. ერთ-ერთ ლექსში ის ამბობს:

„სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა,  
გარდა თვითმკვლევლობის.

არა მსურს ვიყო ჰიუგო, ან აკაკი,  
მე მირჩევნია დავიღუპო, როგორც ბოჭემა.  
სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა,  
გარდა სიგიჟის.

არა მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოეტე,  
მე მირჩევნია დავიღუპო, როგორც როლინა.  
სამარცხვინოა პოეტისათვის სხვა კარიერა,  
გარდა ქლექისა.

დღეგრძელ მალარმეს მირჩევნია ისევ ლაფორგი.

პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა:

სიგიჟე, ქლექი, და თვითმკვლევლობა.

სალამი შენ—ტროტუარის პოეტო!

შენ ეკუთვნი თვითმკვლევების დინასტიას  
და შენი გვარი რაინდული არის—ლოზინსკი...

მე მეჯავრება პოეტისათვის რამე ხელობა.

მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა:

სიგიჟე, ქლექი, ალკოგოლი და თვითმკვლევლობა!

სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ ბარიერად!“

(„ბოჭემის მონოლოგი“).

ამ მოტივს ხშირად შეხვდება მკითხველი ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში. საკმარისია დავასახელოთ: „ყელსახვევის პოეტიკა“, „კალიგულა, აშორდია და გაფრინდაშვილი“, „დაისი მესამე“, „სალამოს მასკები“, „მისტიური მარულა“, „თვალთა საფერფლე—ყვითელი მთვარე“ და სხვა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ვ. გაფრინდაშვილი შეეცადა რევოლუციის გზას გაჰყოლოდა, მას თანამგზავრული მისწრაფებები დაეტყო. ასეთი გზის ლიტერატურული ფაქტები მან მოგვცა შემდეგ ლექსებში: „ლენინი“, „კომუნარებს“, „ჯან—პოლ—მარატ“, „მიხეილ ბაკუნინი“ და პოემაში—„პარიზის კომუნა“.

სამგლოვიარო ლექსში „ლენინი“, თუმცა რომანტიულათ და განყენებულათ, მაგრამ მაინც იძლევა ის ლენინის სურათს,—როგორც მშრომელთა ბელადისას. დიდი წინამძღოლის სიკვდილმა მთელი მსოფლიოს მუშათა კლასში უდიდესი მწუხარება გამოიწვია. ასეთივე მდგომარეობაში იყო ტფილისიც, მისი პროლეტარიატიც:

„მთელი ტფილისი შეიმოსა ყორანის ფერად.  
იანვრის მტკვარი ახმაურდა მეტ მწუხარებით.  
გარდაიცვალა ლენინი—ტოლი ერესეფესერის





და რევოლიუციის.

სახელი გავარდნილი, როგორც მეტცენგერშტეინ  
ტფლისში მოულოდნელად გამოჩნდა

ტროცკის აჩრდილი

და მან პირველმა დაიტერა მსოფლიოს გმირი.

მისი პორტრეტის წინაშე

სდგას საპატიო ყარაული:

ჯარისკაცი და კომანდირი,

გიმნაზიელი და სტუდენტი.

ფილიპე მახარაძე და ლევან ლოლობერიძე.

თვით უხუცესი რევოლიუციის—

მიხა ცხაკაია

არის ამართული, როგორც ქანდაკება.

ისეთი სახით სდარაჯობენ ლენინის სურათს,

თითქო ის მართლა განისვენებს იმათ წინაშე,

და ეშინიათ შეაშფოთონ ბელადის ძილი,

თეატრები გლოვობენ ლენინის სიკვდილს

ღუმლით და თალხით.

სტამბები გაშმაგებით მუშაობენ

და, როგორც როიალები,

უმღერიან დიდებას ლენინს...

უკანასკნელად ეთხოვება მსოფლიო ლენინს.

ის იყო სტეპან ხალტურინის ნებისყოფა

და ჟელიაბოვის ინტელექტი.

ის იყო მერედიანის გაქანება და თრთოლვა.

ის იყო უნაზესი სახელი,

რომელსაც არქმევენ ბავშვებს—

მობრუნებული ნინელ.

თან ირონიული და სხივოსანი ღიმილი.

თან სოკრატის შუბლი,

რომელიც შეატრიალებს მიწას“.

ასეთია ვ. გაფრინდაშვილის წარმოდგენით ლენინი...

გულწრფელი და მხატვრული განცდებით არის დაწერილი პოემა „პარიზის კომუნა“— მიძღვნა ოქტომბრის დიდი რევოლიუციის სახელოვან წინაპრისადმი.

ამ პოემაში პოეტი ცდილობს განიცადოს „პროლეტარიატის ჯვარცმა ბარკადებზე“, „კომუნარების კედელი პერ-ლიაშეზის სასაფლაოზე“, „ამბოხებული პარიზი და გარყვნილი ვერსალი!“, „დელეკლიუზის ტრალედია და სამარცხვინო გამარჯვება ტიერის“, პოემა მეტად ფართე ფონზეა გაშლილი, მასში არის საკმაოდ კარგი ადგილებიც. პირდაპირ დაუფიწყარია თავი—„ლუიზა მიშელის სიმღერა განდევნაში“.





მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი სამწუხარო მოვლენა.—ეს ის, რომ ვ. გაფრინდაშვილი უკანასკნელი ლექსებით გადაუხვია თანამგზავრულ ტენდენციებს. ამას მოწმობს მისი ლექსი „სოფლისაკენ“.

ეხლა რამდენიმე სიტყვით შევეხეთ ვ. გაფრინდაშვილის შემოქმედების ფორმალურ მხარეს.

ვ. გაფრინდაშვილი უმთავრესად აზროვნების პოეტური ფორმით იმ ლექსებშია ც კი, სადაც ის ცდილობს უფრო გრძნობით მსაჯულსა და

ვ. გაფრინდაშვილის სიტყვებში მკითხველი უსათუოდ გრძნობს სიმძიმეს, რომელიც ზოგჯერ ლექსის მხატვრულ სახეს ფარავს. ეს იმიტომ, რომ გაფრინდაშვილი ისევე ეპყრობა ლექსს, როგორც მაგალითად, ხელოსანი ბრინჯაოს და მარმარილოს. უდავოა, რომ მათზე მუშაობა დაქიმულ შრომას და სერიოზულ შრომას მოითხოვს. მისთვის არაა საკმარისი მარტო უშუალო ნიჭი. ვ. გაფრინდაშვილი, ალბათ თვითონაც არ უარყოფს, რომ შრომის-მოყვარეობა და დიდი ტექნიკური მუშაობა არის მისი პოეტური შემოქმედების ერთი უმთავრესი იარაღთაგანი. უნდა ითქვას, რომ ის ყოველთვის შრომისმოყვარეობით ვერ იძლევა მხატვრულ სახეებში ის იდეებს, რომელსაც უკარნახებს მას მისი პოეტური ხედვა. ძნელია იმის უარყოფა, რომ ვ. გაფრინდაშვილის ბევრ ლექსში მოსჩანს მძიმე და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი და ხელოვნურობა.

ცივია ბრინჯაოსა და მარმარილოსაგან ჩამოკვეთილი ნივთები. ხშირად ცივია ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაც, მაგრამ ეს სრულიად არ უშლის მას ხელს იყოს თავისებური.

ვ. გაფრინდაშვილის პოეტური ლექსიკა (სიტყვების ამორჩევა და ხმარება) თავისი უმთავრესი დამახასიათებელი თვისებებით იმ ლიტერატურული სკოლით განისაზღვრება, რომელსაც ის ეკუთვნის, ე. ი. სიმბოლიზმით. როგორც უკვე აღვნიშნეთ „პოეტი—სიმბოლისტი ნაწილობრივ თავისი მსოფლმხედველობით და განსაკუთრებით თავისი მსოფლათვისებით—მისტიკოსია: ის რეალურ მოვლენის იქით ხედავს სხვას, ზეგრძნობიერ ყოფას. ამ იდუმალ, ზერეალურ, ჩვენი გრძნობების ცდისათვის მიუხსნეველ ქვეყნიერებათა შესახებ, (რომელის არსებობაც მისტიკოსს სჯერა) ცდილობს ის ილაპარაკოს თავის ლექსებში. ცხადია, რომ სასაუბრო სიტყვები, პრაქტიკული ენა, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა, სოციალურ მოვლენათა სხვადასხვა სახის გამოსახატავად,—არაა საკმარისი ანდა მეტად მცირედაა სასარგებლო. ამიტომ იბადება აუცილებლობა უჩვეულო სიტყვებისა, ისეთი სიტყვებისა, რომლებიც ნაკლებად არის გავრცელებული ანდა სრულიად არ იხმარება პრაქტიკულ ცხოვრებაში,—სიტყვები, რომლებიც ტრადიციულ ელფერის საგანს აძლევს ამაღლებულის, წმინდა და ყოველ შემთხვევაში ჩვენი არსებობისაგან შორეულის, რაღაც განმარტოებულის სახეს — (Е. Пяетина и С. Шувалов „Поэтическое искусство Блока“ გვ. 108). სიტყვის ასეთ ელემენტს ეკუთვნის არქაიზმი საერთოდ ყველა სიმბოლისტი ძლიერ გატაცებულია ძველი საუკუნოებით, წარსული ცხოვრებით; სიმბოლისტები გატაცებული არიან აგრეთვე მითოლოგიით, ლიტურჯიკით, რადგანაც ესე-



ნი ერთ-ერთ საშუალებათაგანია თანამედროვე სოციალური სინამდვილისაგან დაშორებისა. ამ გზას მიჰყვება ვ. გაფრინდაშვილიც. ილუსტრაციისათვის მისი ლექსების სათაურების ჩამოთვლაც კი საკმარისი იქნება: „ოფელიას ტრაქეტი“, „ოფელია და ნერონი“, „ოფელია და ისებში“, „მე და ოფელია“, „აშორდია“, „ავადმყოფ კოლომბინას“, „ოფელია და გედები“, „ოფელია და ნერონი“, „ოფელიას დღესასწაული“, „საფირონი და კორდელია“, „მე და ოფელია“, „ვაგანინი“, „აშორდია და გაფრინდაშვილი“, „აშორდია ტენორით“, „საფირონი აშორდია“, „კალიგულა“ და სხვა. ყოველივე ეს მხოლოდ სათაურებშია, ტექსტში ხომ ის დაუსრულებელია.

აქედან ცხადია, რომ პოეტს ნაკლებათ აინტერესებს ემპირიული სინამდვილე და რომ ის ჩაფლულია სიძველეში, ფანტასტიურ და მისტიურ განცდებში.

ამავე გზით მიემართება ვ. გაფრინდაშვილის **სიტყვიერი სახეებიც** (მეტაფორები, ანალოგიები და სხვ.). მათთვის მასალებს პოეტი იღებს ერთის მხრივ, სიმბოლიზმის დამახასიათებელი ტრადიციული სფეროდან და მეორეს მხრივ კი თავისი პირადი განცდებისაგან.

პოეტი უმეტესად **ანიმისტურ** მეტაფორებს მიმართავს: უსულო საგანს ან განყენებულ მოვლენას ის აწერს ცოცხალი არსების თვისებებს. „ანიმისტური მეტაფორა პოეტ-სიმბოლისტისათვის არის არა მარტო ხერხი ან მარტო მხატვრული ფორმის გამოთქმა, არამედ განსაზღვრული მსოფლათვისებაც, რომელიც დამყარებულია მკვდარი ბუნების გასულიერებაზე.“ (იქვე, გვ. 126). ვ. გაფრინდაშვილის მრავალ ლექსებში „უსულო“ მოვლენები და საგნები ამოძრავებულია. ისინი სულიერები არიან. ასე მაგალითად, ის ღამეს გვიხატავს მოძრავ, ცოცხალ, გასულიერებულად, განცდების და მოქმედების მატარებლად:

„ეს უცხო ღამე, ვით შავი ძაღლი,  
დაეძებს, ყნოსავს უხილავ ვარდებს.  
სანამ ვარსკვლავობს ზეცის სიმაღლე,  
ყვავილებს შორის ის ინავარდებს“.

(„ღამის ფოთლები“)

ნომაკვდავი შემოდგომაც განცდების მატარებელია პოეტისათვის. სიკვდილის მოახლოებისას ის ღამით კიდევ კვნესის, რაც ესმის პოეტს:

„მე ხმას ვაყოლებ შენს ღამურს კვნესას,  
ისე ვით ძაღლი, მოცული ბრაზით“.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ვ. გაფრინდაშვილის მიერ ხმარებული სახეები მეტისმეტად რიტორიული, აბსტრაქტული და „უსულოა“ (მაგალითად: „სიჩუმეს სვამს როგორც არაყს“, „ამოვა მთვარე, გამათეთრებს თავისი პუდრით“ და სხვა).

ვ. გაფრინდაშვილს სიტყვიერი მასალის მოხმარებაშიც აქვს სუსტი მხარე. ის ხშირად სიტყვას ვერ იმორჩილებს, ვერ არჩევს მას სათანადოდ. აბა რა არის ასეთი სტრიქონები:









## გენალიკტ სკინოზა

(გარდაცვალებიდან 250 წლის შესრულების გამო)

უდავოა ის დებულება, რომ თვითოეული გენიოსი ერთი რომელიაე განსაზღვრული ეპოქის შვილია. ისტორიამ იცის კიდევ ერთი მსგავსი ქეშმარიტება: თვითოეული დიდი ეპოქა თვითვე შობს ამ ეპოქის სახისსრულმქნელს, დიდს მოაზროვნეს ან დიდს მხატვარს. კარგს ჯერ კარგი მეჯოგე ჰყავს, დიდ რევოლიუციას—დიდი ბელადი, დიდ ისტორიულ ეპოქას დიდი მოაზროვნე. მე-17 საუკუნე ამ კანონის ცხადყოფაა. მე-16 საუკუნის დასასრულს დასავლეთის ბელადი უცნაურად შეიცვალა. ოკეანეს ტალღებმა გადასწყვიტეს თუ ვის ხელთ უნდა ყოფილიყო მომდინარე ბურჟუაზიული ეპოქის სადავე. ესპანეთის უზარმაზარი სახელმწიფო, მფლობელი ურიცხვი კოლონიებისა, საზღვაო გზებისა და ისტორიაში მანამდე უმაგალითო ფლოტისა, პირველობისათვის ებრძოდა მთელ დანარჩენ ქვეყანას. და უმთავრესად ჰოლანდიას და ინგლისს. და 1588 წელს ესპანეთის ფლოტი, ფილიპეს „უძლეველი არმადა“, ინგლისს გასანადგურებლად მიმავალი, ჩანთქა ოკეანეს ტალღებმა. ესპანეთი მოიხსნა მსოფლიოს ბატონთა რუქიდან და ინგლისი დაეპატრონა მის უზარმაზარ ქონებას: კოლონიებს და ზღვას. ამ დღეს დაიბადა ბურჟუაზიის ცივილიზაცია, ინგლისური წესი კულტურისა. ამ დღესვე, 5 აპრილს 1588 წ., დაიბადა აგრეთვე ამ ეპოქის პირველი მესიტყვე: თომას ჰობზსი.

ასე დაიწყო ბურჟუაზიის ბატონობის ერა. მან ორი რევოლიუცია გადაიხადა ზედიზედ: ერთი ინგლისში, მეორე საფრანგეთში და ამ ორი რევოლიუციის პრინციპების წინაშე დააჩოქა არამც თუ ევროპის დანარჩენი ერები, არამედ მთელი კაცობრიობა.

რადღა მოუვიდა დასახელებული ბრძოლის დასაწყისის მე-3 მონაწილეს, ე. ი. ჰოლანდიას? 1588 წლის შემდეგ ინგლისთან მეტოქეობა არავის შერჩენია. ჰოლანდიამ ძალიან ადრე შეიგნო ეს და ბრძოლაზე ხელი აიღო. მაგრამ მე-17 საუკუნის დასაწყისს ჰოლანდია იყო კონტინენტის უმდიდრესი, უგანვითარებუ-



ლესი და ყველაზე მეტად კულტურული ქვეყანა. ჰოლანდია შეიქნა ცენტრი ახალი ეპოქის, ახალი სიტყვის, თავისუფლების და მოქმედების. ამსტერდამი არამც თუ ერთი უდიდესი სავაჭრო ცენტრი იყო მთელი მსოფლიოსათვის, არამედ იგი გადაიქცა ნავთსაყუდელად ყველასთვის, ვინც კი მსოფლიოს /რომელიმე კუთხეში თავისუფლებას დაეძებდა. სქოლასტიკამ და ექვედენტამ მე-16 საუკუნეში განიცადეს რა უკანასკნელი იდეური გაკოტრება, რელიგიური უხეშ ძალას და საზღაპრო რეპრესიების საშუალებით შეეცადენ თავის შავი ავტორიტეტის შენარჩუნებას. და სწორედ ამ დროს ჰოლანდია იყო ბუდე დევნილების და თავისუფალ მოაზრებებისა.

ყველა ის დიდი წიგნი, რომელიც მე-16 საუკუნის დასასრულს და მე-17-ში ევროპის ხალხებმა დასწერეს, ჰოლანდიაში იბეჭდებოდა. ჰოლანდია იყო „არალეგალური“ სტამბების და აკრძალული წიგნების ქვეყანა. ვისაც ახალი სიტყვის თქმა სურდა, ახალი აზრის გავრცელება, ის თავის სამშობლოდან ჰოლანდიაში უნდა გადასახლებულიყო. მაგრამ მე-17 საუკუნის ჰოლანდია მარტო უცხოელთა თავშესაფარი არ იყო. მან მე-17 საუკუნეში ამოსწურა თავისი თავი და კაცობრიობას მისცა სამი უდიდესი გენიოსი: ჰუგო გროციუსი, ფან-რიინ-რემბრანდტი და ბენედიქტი დე-სპინოზა.

\* \* \*

მიმდინარე წლის თებერვალში 250 წელი შესრულდა სპინოზას გარდაცვალების დღიდან. მოაზროვნე კაცობრიობამ განსაკუთრებით აღნიშნა ეს დღე. ამ დღისათვის ჰაიდელბერგის სამეცნიერო აკადემიამ გამოსცა სპინოზას ნაწარმოებთა სრული კრებული. ევროპის ფილოსოფიურმა ჟურნალებმა სპეციალური ნომრები უძღვნეს სპინოზას მოძღვრებას. საბჭოთა კავშირმაც განსაკუთრებით აღნიშნა ეს გარემოება; ჟურნალი *Под Знаменем Марксизма* № 2—3 მიძღვნილია სპინოზას დღისთვის.

250 წელია რაც კაცობრიობა კამათობს ამ უდიდეს რაციონალისტის ნააზრების გარშემო; სხვა და სხვა ეპოქა სხვა და სხვა ნაირათ აფასებს სპინოზას. ზოგი მას „ათეიზმის მეფედ“ და მატერიალიზმის მესიტყვედ აცხადებს, ზოგისათვის სპინოზა რელიგიისა და იდეალიზმის სრულმქნელია. ერთი სიტყვით, არც ერთი მოაზროვნის გარშემო არ გამოთქმულა იმოდენა საწინააღმდეგო მოსაზრება, როგორც სპინოზას შესახებ ხდებოდა და ხდება. მე-17 საუკუნე სპინოზაში ხედავდა „უსაშინელეს ათეისტს“, „უსაზიზღრეს ღვთის მგმობელს, ურიას“ და კოველიეე „მორალის შეურაცმყოფელს“. ერთი პატივცემული თეოლოგი ისე შორს წავიდა, რომ სპინოზაში „ხორცშესხმული სატანა“ დაინახა, — ისე როგორც ქრისტეში ღვთაებამ ხორცი შეისხა და ადამიანის სახით მოვლინდა, თურმე ასევე სპინოზას სახით ეშმაკი შესისხლხორცებულა და ქვეყნის მაცდურათ გადმოვლენილა. აბა როგორ არ აამხედრებდა ეს სპინოზა მართლმორწმუნეთ და „მორალისტებს“, რაკი მან თურმე ყურანი და სახარება ერთ ტომად აკინძა. სპინოზას რადიკალიზმი და თავისუფლების მოტრფიალე ბუნება შედარებით თავისუფალი ჰოლანდიის სახელმწიფოსათვის აუტანელი აღმოჩნდა და მთელი საუ-



კუნის განმავლობაში მისი ნაწერების გამოცემა და გავრცელება მთავრობის განსაკუთრებული კანონის ძალით სასტიკად იყო აკრძალული.

თვით ისეთი უდიდესი გნიოსიკ ამ ეპოქისა, როგორც იყო ლაიბნიცი, იმდენად უტიფარი და წვრილმანი გამოდგა ამ დარგში, რომ ყოველ ღონისძიებით მალავდა ერთ დროს სპინოზასთან დამეგობრებას და მიწერ-მოწერას. ~~ქრეთუ სიტყვით,~~ კლერიკალებმა სავსებით მიახწიეს იმას, რომ მე-17 საუკუნის ~~სპინოზას~~ სახელთან ერთად შავი ქირი აგონდებოდა. მე-18 საუკუნის დასაწყისშიც კი სპინოზა იყო „გონების მკვლელი“ და „სულელთა მესიტყვე“; მაგრამ დიდი გენიოსის ნააზრევი არ შეიძლებოდა ხანგრძლივად დაეჩრდილა კლერიკალების ზიზღს. სპინოზა მთელი მე-17 და მე-18 საუკუნეთა მანძილზე მაგალითი და ლამპარი იყო თვითოეული ახალი აზრის, ახალი საქმისა და თაობის.

დიდი ლესინგი იყო ის კაცი, რომელმაც პირველად გაბედა და სპინოზას ფილოსოფია თავის სიმაღლეზედ მოათავსა. ლესინგიდან იწყება სპინოზიზმის რენესანსი. ამიერიდან აღარც ერთი დიდი თეორიული თუ რელიგიური ბრძოლა აღარ გამართულა, რომ სპინოზას სახელს იქ მონაწილეობა არ მიეღოს. სპინოზისტად გრძნობდა თავის თავს მე-18 საუკუნის უნივერსალური გენიოსი გიოთე. გერმანელი დიდი იდეალისტების კონცეპციების ჩამოყალიბებაში სპინოზამ უდიდესი როლი ითამაშა. ჰეგელის პანლოგიკაში ადვილი ამოსაკითხია სპინოზას აბსოლიუტური რაციონალიზმი. რომანტიკოსებმა სპინოზა თავიანთ იდეალიზმისა და რელიგიოზობის მამამთავრად გამოაცხადეს. მე-18 საუკუნის მატერიალისტები თავიანთ თავს სპინოზისტებათ გრძნობდენ. ლ. ფოიერბახმა სპინოზა ახალი დროის მატერიალიზმის მეთაურად სცნო. მარქსისტები სპინოზაში თავიანთ ფილოსოფიურ წინაპარს ხედავენ. ერთი სიტყვით, დავა სპინოზას შესახებ დღემდე არ შეწყვეტილა. ამ ერთი წლის წინათ გაცხოველებული კამათი და ნამდვილი ხელჩართული ბრძოლაც კი გაიმართა სპინოზას მოძღვრების ინტერპრეტაციის საკითხებში რუსს მარქსისტებს შორის. ამიტომ გვგონია, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ ჩვენს აზრსაც გავუზიარებთ მკითხველს სპინოზას შესახებ. —

### სპინოზას ბიოგრაფია

ბარუხ სპინოზა ჩამომავლობით იყო ესპანელი ებრაელი. დაიბადა 24 ნოემბერს 1632 წ. ქ. ამსტერდამში. მიიღო მკაცრი რელიგიური აღზრდა. მშობლები ამზადებდენ მას რაბინის წოდებისათვის. ამიტომ ახალგაზრდა სპინოზას სულიერი საზრდო იყო ძველი ტექსტამენტი. თალმუდი და კაბალაჰ, შემდეგ — ებრაელთა თეოსოფები, განსაკუთრებით, რასაკვირველია, მაიმონიდეს. სპინოზას მასწავლებელი იყო თალმუდის სახელგანთქმული მცოდნე მარტიერა. თალმუდის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელი იყო არაჩვეულებრივი დახელოვნება ცარიელი სიტყვების კიდაობაში, სოფისტიკაში და რაბულისტიკაში. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა სპინოზაში კრიტიკული უნარის განვითარებას. საბედნიეროდ ამ დროს სპინოზა შეხვდა ერთს ჰუმანისტურად განათლებულ და თავისუფლად მოაზროვნე ექიმს. ამ ექიმმა შეასწავლა მას ლათინური



ენა. სპინოზას გენიალური ბუნების წინ გადაიშალა ახალი ქვეყანა. ის შეიქნა დეკარტის ფილოსოფიის და გალილეის მეცნიერების მიმდევარი. სპინოზას მკაცრმა ლოდიკურმა გონებამ ხელად გააკეთა შესაფერი დასკვნა: მისთვის ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იყო ერთი მხრით ახალი დროის ბუნებათმეცნიერებითა და ფილოსოფიით აღფრთოვანება, და მეორე მხრით კი—ებრაული სინაგოგის წევრობა. სპინოზამ მალე შეატყობინა სინაგოგას წესდებულს, რომ ის გამოდის ებრაელთა მრევლიდან. ამ ამბავმა უსაშინლესი აღშფოთება გამოიწვია ამსტერდამელ ებრაელთა შორის. სპინოზას შეაძლიეს დიდი ქრთამი. ამით რომ ვერას გახდენ, მიუგზავნეს მკვლელი. ბედმა არც ეს ისურვა. მაშინ 27 ივლისს 1656 წ. 23 წლის სპინოზა შეაჩვენა ებრაელთა სინაგოგამ და თავის წრიდან განდევნა. სპინოზასაც, რასაკვირველია, ეს უნდოდა. ამ დღიდან მან გამოიცვალა თავისი ებრაული სახელი „ბარუხ“ და დაირქვა ბენედიქტე. ეს ქრისტიანული სახელი, რასაკვირველია, ქრისტიანულ რელიგიასთან დაახლოვებას არ ნიშნავდა. სპინოზა განშორდა ყოველივე რელიგიას და ამიერიდან მას დარჩა ერთი რწმენა და ერთი საქმე: რწმენა მეცნიერული გონების ძლიერებისა და წყურვილი საკუთარი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა.

მალე სპინოზა გადასახლდა ერთ პატარა დაბაში და დაიწყო მსოფლიო ბრძნისთვის შესაფერი წყნარი ცხოვრება. 1663 წ. მეგობრების რჩევით სპინოზამ გამოაქვეყნა თავისი პირველი ნაშრომი, რომელიც დეკარტის ფილოსოფიის პრინციპების დალაგებას შეეხებოდა, ხოლო 1670 წ. გამოაქვეყნა მისი პირველი დიდი ნაშრომი: „თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი“. რადიკალურმა აზრებმა, რომელიც ამ შრომაში იყო თავმოყრილი, სპინოზას გადაჰკიდა მთელი ქვეყნის კლერიკალები; სპინოზას წიგნში დაინახეს უსაშინლესი ღვთის გმობა, ამბოხების და ყაჩაღობის ქადაგება—სატანას მოციქულობა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ. ამიტომ თავისი მთავარი ნაწარმოების „ეთიკის“ გამოქვეყნება სპინოზამ თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო. ის გამოსცეს მისმა მეგობრებმა მის სიკვდილის შემდეგ.

სპინოზა იყო იშვიათი ნებისყოფის და სპეტაკი ბუნების კაცი. ურადიკალესი მოაზროვნე თავისი ეპოქის და უდიდესი მოტრფიალე თავისუფლების. 1673 წ. მან მიიღო ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორის ფაბრიციუსისაგან წერილი. სპინოზა მიწვეული იყო ჰაიდელბერგის სახელგანთქმული უნივერსიტეტის ფილოსოფიის ორდინარ პროფესორად. ფაბრიციუსი ატყობინებდა სპინოზას: „თქვენ გექნებათ ფილოსოფოსობის სრული თავისუფლება და მეფე იმედოვნებს, რომ ამას თქვენ საქვეყნოდ ცნობილ რელიგიის საწინააღმდეგოდ არ მოიხმარებთ“. იმ დროისათვის ასეთ ლიბერალურ პირობის მიუხედავად, სპინოზამ უარი განაცხადა პროფესორობაზე და ფაბრიციუსს მისწერა, რომ მას არ შეუძლია ფილოსოფოსობის თავისუფლება ისეთ საზღვრებში მოაქციოს, რომელიც რელიგიას გმობის საშიშროებისაგან უზრუნველყოფდეს.

სპინოზა გარდაიცვალა 21 თებერვალს 1677 წელს.



**სპინოზას ფილოსოფიის ამოსავალი სათავეები**

ვისაც სურს სპინოზას სისტემატიურ ნაწარმებში გზა გაიკაფოს, მან მხედველობიდან არ უნდა გაუშვას ერთი გარემოება: სპინოზას სისტემის ამოსავალი წერტილი არის პრაქტიკული. თვითონ სისტემის შინაგანი კონსტრუქცია და ამ დებულებას თითქოს პარადოქსონის სახეს აძლევს. სისტემის ჩამოყალიბებული *mos geometricus* — მკაცრი მათემატიკური დედუქციების მეთოდით, ანოეტური და აკოსმიური, რაციონალისტური დოქტრინის აბსოლიუტურ გამართლებით, აბა როგორ უნდა შეეგუოს პრაქტიკის ეთიკურ მოთხოვნებებს, ადამიანისათვის მოქმედების და თავისუფლების მინიჭების საქმეს! საქმე სწორედ იმაშია, რომ სპინოზას მკაცრი ნატურალისტურ-რაციონალისტური თეორეტიკა მისი ეთიკის პრაქტიკული თავისუფლებისათვის არის აშენებული. თეორეტიკა, ემსახურება პრაქტიკას, და არაეითარი შემთხვევა არ არის ის გარემოება, რომ სპინოზას მთავარ ნაწარმოებს, წმინდა დედუქტიური თეორიის ამ ბროლის ციხეს სახელად „ეთიკა“ ჰქვია.

სპინოზა, როგორც მოაზროვნე, პირველი შეიღია თავისი პირობების და თავისი დროის. როგორც ინდივიდუუმა, მან თავი განითავისუფლა თალმუდისტების ფატალისტური მისტიკისაგან, ამიტომ ცხადია, ამიერიდან თავისუფლება უნდა ყოფილიყო მისი არსების ცენტრალური მომენტი. ებრაული რელიგიური დოგმატიკა გაშლილი იყო ორ მოურიგებელ კონტრაპუნქტს — ღმერთისა და ადამიანის შორის: დრაკონულ იეჰოვას სახელმწიფოში. ადამიანი იყო ბედისწერის (ამ შემთხვევაში მას ღვთის კანონს უძახოდენ) უსიტყვო მონა. და როცა სპინოზამ დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ ამ მონობას თავი დაახწია, მას, ცხადია ახალი მდგომარეობისათვის თეორიული გამართლება უნდა გამოენახა. სინაგოგური მონობისათვის რელიგიური დოგმა იძლეოდა თეორიულ გამართლებას. მაგრამ სადღა უნდა მოენახა სპინოზას გამართლება თავისი ახალი ნაბიჯისათვის? შეიძლება ქრისტიანულ რელიგიაში? სპინოზამ ეს გზა არ აირჩია. მან გულახდილათ გააცხადა, რომ მას არაფერი არ ესმის ახალი ტესტამენტის, ე. ი. მას არ ესმის ვითომ ახალი რელიგია სჯობდეს ძველს.

იმ დროინდელი ობიექტური პირობების მიხედვით სპინოზას წინ იყო ორი ახალი და უაღრესად რევოლუციონური ძალა: გალილეის ბუნებათმეცნიერება და დეკარტის ფილოსოფია. სპინოზა შეეცადა ამ ორ მოძღვრებაში მოენახა თავისუფლების გამართლებელი პრინციპები.

ეს არის ერთი ნაკადი სპინოზას თავისუფლების ფილოსოფიაში. მეორე ნაკადი ამაზე უფრო ობიექტურია. ის განსაზღვრავს სპინოზას, როგორც იმ დროინდელ ჰოლანდიელ მოქალაქეს. მე-17 საუკუნის ჰოლანდია აყვავებული და მდიდარი ქვეყანა იყო. ახლად აღმოცენებულ ბურჟუაზიულ ცივილიზაციას აქ მოეშენებინა თავისი პირველი ბაღი, და მაშინდელ ჰოლანდიაში ყველაზე ადრე ამოვიდა ბურჟუაზიული კულტურის უფასო დამატება: ინდივიდუალური თავისუფლების იდეა. თავისი შინა-სოციალური რაობით ეს თავისუფლება, რასაკვირველია, ვაჭრობის თავისუფლების უზრუნველყოფას და ინგლისელების



ბატონობისაგან განთავისუფლებას ნიშნავდა, მაგრამ ფილოსოფიური რეფლექსია სოციოლოგიური საფუძვლის სიმდაბლეს არ დადის, მას თავისი საკუთარი რეფლექსიური არე აქვს; მხოლოდ ამ არეში შეუძლია მას ფრთებისგაშლა და მოქმედების დაწყება. და სპინოზას აზროვნებაში ამ თავისუფლების რეფლექსებს უნდა მოენახა თავისი გამართლება.

ამიტომ ობიექტიური გარემოების მიხედვითაც თავისუფლებას რეფლექსი სპინოზას ნააზრევის ცენტრში უნდა მოქცეულიყო. და ასეც მოხდა; სპინოზას „ეთიკა“ თავისუფლების გამართლებას ემსახურება. სპინოზას, როგორც კლასიკოსს, თავისუფლება ესმის მისი დიალექტიური ნახევრის, ე. ი. აუცილებლობის არ დავიწყებით და სწორედ მთელი „ეთიკის“ მიზანია აუცილებლობიდან თავისუფლების გამოკვეთა. თუ დამტკიცებულია, რომ ადამიანი თავისუფალია, თუ ეს თავისუფლება განმტკიცებულია აუცილებლობასთან საერთო და სადაო საკითხების მორიგების გზით — მაშინ მიღწეულია ფილოსოფიის უდიდესი იდეალიც — ადამიანის ბედნიერება.

და აქ სპინოზას გზა წარიმართა სწორედ ისე, როგორც ამავე პრობლემების სფეროში ძველი კლასიკები მოიქცნენ. ეპიკურმა, მაგ., დემოკრიტის ატომისტური ფიზიკა იმიტომ განიმეორა, რომ ამ გზით ადამიანის წარმოდგენის არე ცრუ ძალების გავლენის, და ცრუ რწმენის ბატონობიდან განთავისუფლება და ადამიანისათვის მიენიჭებია ის, რაც უპირველეს ყოვლისა, ადამიანურია: ბედნიერება და სიამოვნება.

ასეთია სპინოზას გზაც. ადამიანის დანიშნულებაა, რათა ნათელჰყოს მისი ადამიანური ბუნება; ამას ხელს უშლის სხვადასხვა აფექტები. ამიტომ ეთიური მოქმედების მიზანია აფექტების ხელიდან თავის დახწევა. „ადამიანის თავისუფლება“ და „ინტელექტის ძლიერება“ ერთი და იგივე ცნებაა. ინტელექტი გვაძლევს საშუალებას დავძლიოთ აფექტები. აფექტების დაძლევა კი ეთიური მოქმედებაა, ამიტომ სპინოზას ეთიკა ბოლოს და ბოლოს ნატურალისტური ფსიქოლოგიის ერთერთი ნაწილია. ასე იწყება გზა სპინოზას თეორიისაკენ. „ინტელექტის ძლიერება“, რომ განმტკიცდეს და ქვეყნად სულიერი სიმშვიდე ანუ სიკეთე დამყარდეს, ამისთვის ინტელექტმა უნდა იცოდეს თავისი ადგილი უნივერსის მიხართ. ამიტომაც რომ ფორმალურად თეორეტიკა წინ უსწრებს პრაქტიკას, შინაარსეულად კი პრაქტიკას ემსახურება თეორეტიკა. როგორც თეორია ვაქვს, ისეთივე იქნება შენი პრაქტიკაც; არ შეიძლება გწამდეს ალქაჯების არსებობა და მასთან ერთად კოპერნიკის კანონიც!

სისტემატიურის მოსაზრებით ფილოსოფოსისათვის პირველია თეორეტიკა. თვითონ სპინოზას აზროვნებაზე ნათლად მტკიცდება ამ დებულების სიძლიერე. მთავარი სადაო საკითხი სწორედ რომ სპინოზას თეორიული ფილოსოფიის რაობას შეეხება.

როგორია სპინოზას თეორია, როგორც სისტემა?

ჩვენ უკვე ავლნიშნეთ, რომ ებრაული რელიგიური დოგმის უკუგდება სპინოზაში შემუშავდა კარტეზიანული ფილოსოფიის გაცნობისა და მე-17 საუკუნის ბუნებათმეცნიერების შესწავლის შემდეგ. თავისი საკუთარი სისტემის ჩამოყალი-



ბების წინ სპინოზასთვის აუცილებელი იყო ამ ორი წყაროდან გამომდინარე შედეგების ან საფასურით მიღება, ან მათი კრიტიკა. რომ დეკარტის ფილოსოფია მომწიფებულ სპინოზას აღარ აკმაყოფილებს, ეს უდავოა. ხოლო როგორ განწყობილებაში რჩება ის მისი დროის ბუნებათ-მეცნიერებებთან — ეს საკითხი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ცნობილია, რომ მე-16—მე-17 საუკუნეებში ევროპის მატერიალურ აღორძინებასთან ერთად წარმოიშვა ის დარგი ცოდნისა, რასაც ჩვენ ზუსტი მეცნიერების სახელით ვიცნობთ. ახალ ბუნებათ-მეცნიერებას ახასიათებდა ორი რამ: ქვანტიფიკატიური მეთოდი და მექანიკური არქიტექტონიკა. ე. ი. მთელი მსოფლიო და მასში მიმდინარე მოვლენები წარმოდგენილი იყო, როგორც ერთი ვებერთელა, დასაბამიდან მოწყობილი მექანიზმი, რომელიც მოქმედებდა მკაცრი კავხალური კანონების მიხედვით და რომელშიაც მოვლენათა ტრანსფორმაციები და სხვადასხვაობა, გამოწვეული იყო დაგვარი ელემენტების რიცხოვრივი სხვადასხვაობით. მატემატიკური კანონის საშუალებით გონება ანგარიშობდა ბუნების მოვლენებს და ბუნების მოვლენებში ამავე ანგარიშს უხმოდ და უკამათოთ ემორჩილებოდნენ, ან, დიდი გალილეის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს ასე ხდებოდა იმიტომ, რომ ბუნების დიდ წიგნში ქეშმარიტება მათემატიკური ანბახით იყო ჩაწერილი.

გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მე-17 საუკუნის თვითოეული დიდი მოაზროვნე არამც თუ გავლენას განიცდიდა ამ ახალი მექანიკური მსოფლგაგების, არამედ თვით იყო ამ მექანიკის ერთ-ერთი ბორბლის არქიტექტორი. აქ ჩვენ გვჭირია ეს დებულება თავდაპირველად გამოვსცადოთ დეკარტის მიმართ. დეკარტი ახალს ფილოსოფიაში იდიალიზმის მამამთავარია — ერთის მხრით, მეორეს მხრით ის იყო ბუნებით მეცნიერული მექანიზმის და მატერიალიზმის მნიშვნელოვანი მესიტყვე. ფილოსოფიის ისტორია იცნობს დეკარტს, როგორც იდიალიზმის მამამთავარს, მაგრამ მეცნიერების ისტორია დეკარტს იცნობს არა მარტო როგორც ანალიტიკური გეომეტრიის შემომქმედს, არამედ, როგორც ისეთს ბუნებისმეტყველსაც, რომელმაც მექანიკური და მატერიალისტური მეთოდი გაატარა ბუნების ცოდნის თითქმის ყველა დარგში. დეკარტის ფიზიკა მკაცრი მატერიალისტურია. ზეციურ მექანიკის გვერდით ის მიწის მექანიკასაც აყალიბებს და იმდენს შორსმჭვრეტელობას იჩენს, რომ მატერიის გვერდით ცალიერი სიფრცის არსებობას უარჰყოფს. დეკარტი ის კაცია, რომელმაც მექანიკური მეთოდი ანორგანული ბუნებიდან გადაიტანა ორგანიულზე. ის შემქნელია ნერვების ფიზიოლოგიის მექანიკისა. მექანიკურად არის ნაშენები ანორგანული ქვეყანა. მექანიკურია ორგანულიც, უპირველეს ყოვლისა — მცენარეთა სამეფო. მექანიკაა აგრეთვე ცხოველთა სამეფოც, ცხოველი არის მანქანა — აცხადებს დეკარტი — და ამ მანქანას აქვს აზროვნების უნარი. რა უნდა მოჰყოლოდა ამ გაბედულ ნაბიჯებს? ცხადია, უკანასკნელი ნაბიჯი: ადამიანის სულის მექანიკა. მაგრამ აქ დეკარტი შეჩერდა (ჩვენ ვერ გამოუდგებით მიზეზებს), მაგრამ მან განაცხადა, ადამიანი მანქანა არ არის, და არც მექანიკის კანონებს ექვემდებარებაო. აქ იწყება დეკარტის ფილოსოფია, მისი მეტაფიზიკა.



ადამიანის სულში არ არის მექანიკა, არამედ ეს სული ცნობიერებაა, ხოლო ფილოსოფია არის სიბრძნე ცნობიერების შესახებ. ასე წარმოიშვა დეკარტის ცნობიერების იდეალიზმი. ის ემყარებოდა იმ ფაქტს, რომ მან ადამიანი ვერ მოაქცია ბუნებას საერთო წიაღში. ეს არის სათავე კარტეზიანული მეტაფიზიკის. ამ მეტაფიზიკამ მოგვცა არამც თუ გაორება, არამედ გასამეცაც იმ მთლიანი ერთი სათავისა, რომელსაც დეკარტის ფიზიკაში კარტეზიანული თეორია ანვითარებდა. დეკარტმა—ფილოსოფოსმა ქვეყნიერება სამი სუბსტანციის მიერ ნაშენ უნივერსად წარმოიდგინა.

აქ იწყება სპინოზას საქმე. სპინოზამ უარყო დეკარტის მეტაფიზიკის სამი სუბსტანციის თეორია და პრინციპიალურად აღადგინა ისეთი, რომელიც დეკარტის ბუნებათმეცნიერების სათავე იყო. ამაში იყო უპირველეს ყოვლისა ნატურალისტური სიძლიერე სპინოზას რეფორმის. სპინოზას ორგინალობა კი იმაშია, რომ დეკარტის მეტაფიზიკის რეფორმა მან ჩაატარა, არა დეკარტის მექანიკური ფიზიკის მეთოდების უბრალო რესტავრაციის გზით, არამედ იმ ახალი ფილოსოფიურ-მეთოდური საშუალებით, რომლის პირველი გზები პირველად დეკარტის ფილოსოფიამ უჩვენა.

ჩვენ შევნიშნეთ, რომ აზროვნების ისტორია ორ დეკარტს იცნობს. საინტერესოა ვიცოდეთ, რომელი დეკარტია რაციონალისტი? ცხადია, რომ დეკარტი ბუნების-მეტყველი, ის დეკარტი, რომელიც *per rationes mechanicas* აზროვნობს. სპინოზამ უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა ეს რაციონალიზმი, მაგრამ მან მოიმოქმედა ეს იმ დრომდე რაციონალიზმისათვის თითქმის უცნობ, განყენებულ ცნებების ენაზე. ამან გამოიწვია შიში სპინოზას ფილოსოფიის გაუგებრობისა. სპინოზას აბსოლუტური რაციონალიზმი ვითომც ვერ ეგუება მისი მსოფლმხედველობის ნატურალიზმს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რაციონალიზმი ნატურალიზმის გზით მიდიოდა დეკარტის ნააზრევში და თავისი პირვანდელი გაგებით სხვას კი არაფერს ნიშნავდა გარდა სინამდვილის მოვლენების რიცხვისა და გეომეტრიის კანონების მიხედვითი ანგარიშისა.

ეს რაციონალიზმი ერთნაირად ახასიათებდა როგორც გალილეის, ისე რაციონალისტ-ფილოსოფოსებს და, მათ შორის, თავდაპირველად დიდ მატერიალისტს ჰობსს. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეს რაციონალიზმი იყო მატერიალისტური. ყოველ შემთხვევაში ის მექანიკური იყო, და ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში სიტყვა „მექანიკი“ უდრიდა სიტყვას „მატერიალისტი“.

### სპინოზას სისტემის ონტოლოგიური საფუძველი

დეკარტის პირველი ფილოსოფიური საკითხი უსათუოდ გნოსეოლოგიური იყო. მეთოდური შეეჭვების და მასთან დამოკიდებული ქეშმარიტების ძიების თეორია წმიდა გნოსეოლოგიური საკითხია, ამიტომ დეკარტის პირველი პასუხი, მისი პირველი ამოსავალი, ან გასავალი, *cogito ergo sum*, შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ გნოსეოლოგიურად. დეკარტის ფილოსოფიის მისავალი კი არის სუბსტანციის მეტაფიზიკა; დუალიზმი და შინაგანი გაორება, რომელიც ახა-



სიათებდა დეკარტის მთლიან ნამოქმედარსა და ნააზრევს, ყველაზე ნათლად სუბსტანციების მოძღვრებაში იჩენს თავს. დეკარტი, რომელიც ფილოსოფოსობის დასაწყისს  $2+2=4$ -ის ქეშმარიტებაში ექვის შეტანით იწყებდა, ფილოსოფოსობის დასასრულს სამ ტოტალურ და მარად რაობას ღებულობს. ეს არის მისი სამი სუბსტანცია: ღმერთი, აზრი და განფენილობა.

სულ სხვა არის სპინოზას გზა. სპინოზა ფილოსოფიის განხორციელებიდან არ იწყებს. იმის სისტემაში გნოსეოლოგია არ არის *prima philosophia*. სპინოზას სისტემის დასაწყისი იმ პრობლემათა არეში ტრიალებს, რომლებითაც დეკარტეს ფილოსოფოსობის კარების დახურვა სურდა. სპინოზას პირველი პრინციპი, ე. ი. *causa sui* წმიდა ონტოლოგიური ცნებაა. ამან, რასაკვირველია, ხელი არ უნდა შეუწყოს იმ ყოვლად ყალბსა და ტენდენციური შეხედულების გავრცელებას, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში კანტიანელებმა თითქმის მოღათ გადააქციეს, ე. ი. იმ შეხედულების, რომელიც ამტკიცებდა, ვითომც სპინოზას გნოსეოლოგიის გაგების უნარი აკლდაო. პირიქით, ჩვენ ვნახავთ, რომ რაციონალიზმის მთელი ეპოქის გნოსეოლოგიური ცდების დამსრულებელი სწორედ რომ სპინოზაა, მაგრამ ის მხოლოდ იმიტომ იწყებს ონტოლოგიით და არა გნოსეოლოგიით, რომ მისი ფილოსოფია მთელი თავისი აღნაგობით მოფიქრებულია დეკარტის სისტემის გასასწორებლად. სპინოზას აზრით ფილოსოფოსობის დაწყებისათვის უნდა ჰქონდეს ისეთ მტკიცე პრინციპი, რომელიც სკეპტიკური *ei-gito*-დან კი არ გამომდინარეობდეს, არამედ ამ „*ei-gito*“-საც არსებობის უფლებას ანიჭებდეს. „*Cogito*“-ს კრიტერიუმი ბოლოს და ბოლოს მაინც ის აღამიანია, რომელიც ცდება, ამიტომ სულ ადვილია, რომ რაც ჩვენ ქეშმარიტების თეორიის სახით გვაქვს, სინამდვილეში მცდარობის სისტემა იყოს.

ნამდვილი ქეშმარიტება კი სპინოზას გაგებით არის *norma sui et falsi*. ასეთი ქეშმარიტების უტყუარი კრიტერიუმი კი ის ღებულება არის, რომლითაც იხსნება „ეთიკა“: „მიზეზი თავისი თავისა, ჩემი გაგებით, არის ის, რომლის არსება მისსავე არსებობას ჰგულისხმობს, ანუ ის, რომლის ბუნება მხოლოდ არსებულად შეიძლება იქნას შემეცნებული“. ამ რიგად ეს *causa sui*—მიზეზი თავისი თავისა—არის ის პირველი პრინციპი ფილოსოფოსობისა, რომელიც ამბობს: რაიმე არსებობს, არსი არის.

ყოველი დროის იდეალიზმი თავის საქმეს არსის არსებობაში შეეჭვიანებით იწყებდა, ან და, თუ ასე შორს არ წავიდოდა, ყოველ შემთხვევაში ამტკიცებდა, რომ არსი თავის არსებობას მხოლოდ მას შემდეგ შეიტყობს, როცა აზრი მოვა და მას ამის შესახებ ცოდნას მიანიჭებს. აქედან გამომდინარეობს აზრის პირველობის თეორია. სპინოზა შეგნებულად იწყებს არსის პირველობით, ე. ი. იგი ის იდეალიზმის საწინააღმდეგოთ რეალისტია; ქვევით ჩვენ ვნახავთ, რომ ეს ონტოლოგიური რეალიზმი ნაკარნახევი იყო სპინოზას ნააზრევის მექანიკურ-მატერიალისტური საფუძვლებიდან.

არსი ერთია და ამიტომ არის, რომ პირველი პრინციპი, ე. ი. ის, რაც *causa sui* შინაარსეულად არის, არის ერთი სუბსტანცია, ანუ ღმერთი, ანუ ბუნება. აქედან ცხადია, რომ სპინოზასათვის შეუძლებელია დეკარტეს სამ



სუბსტანციანლობის დატოვება. ის ლებულობს ერთს სუბსტანციას. სუბსტანცია არის causa sui-ის გაშინაარსიანება.

Causa sui შინაარსისგან გაცლილი ცნება იყო, სუბსტანცია ამხადებს მას შინაარსის მისაღებათ, მაგრამ რა გვარია თვით სუბსტანცია? რა არის მისი შინაარსი? სუბსტანცია, ღმერთი, ანუ ბუნება, ერთი და იგივეა ეს ღმერთის ცნება აქ გაუგებრობის გამომწვევია. ამ ცნებამ გამოიწვია მარტინ ბუტერის-ლოგო-გიურ სამოსელში გამოხვევის შესაძლებლობა. მაგრამ ვინაა ეს გაგება სურს და სინათლეზე გამოსვლა ეხალისება, იმან ჩემის აზრით სპინოზას „ეთიკაში“, იქ, სადაც სიტყვა „ღმერთი“ სწერია, სიტყვა „ბუნება“ უნდა ჩასწეროს \*).

აი ორი უძლიერესი არგუმენტი ამის დასამტკიცებლად. პირველი: მარტლაკ, მთელს „ეთიკაში“ სიტყვა „ღმერთი“ სიტყვა „ბუნება“-დ, რომ შესცვალოთ, ამით „ეთიკის“ აზრის წაკითხვა ოდნავადაც არ შეიცვლება. მაგრამ წაშალეთ მთელს ეთიკაში სიტყვა ბუნება, ამოიღეთ ეს სიტყვა natura—სპინოზას ლექსიკონიდან და ნახავთ, რომ „ეთიკის“ გადამწყვეტი პარტიები გაგების უფლებას დაკარგავენ. მაგალითისათვის აიღეთ „ეთიკის“ მესამე ნაწილის ფრიად საინტერესო შესავალი. აი რას ვკითხულობთ იქ: „ბუნებაში არაფერი არ ხდება ისეთი, რაიც მას შეცდომით მიეწერებოდეს. მარტლაკ, ბუნება ყოველთვის ერთი და იგივეა და მისი საქმიანობა და ძლიერება ყოველგან ერთი და იგივე რჩება; ეს ნიშნავს შემდეგს: მუნების ის წესები და კანონები, რომელთა მიხედვით ყველაფერი მიმდინარეობს და ფორმას იცვლის, ყოველგან და ყოველთვის ერთი და იგივენი არიან“ და სხვ. რას ნიშნავს ეს? ძალიან უბრალო ამბავს. ეს გახლავთ ფილოსოფიურ ენაზე გადმოცემა იმ უბრალო (და არა უნაკლო) მექანიკურ-ქვანტიფიკატიური პრინციპისა, რომელიც სწორედ სპინოზას დროს ახლად აღორძინებულ ბუნებისმეტყველების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს შეადგენდა. ბუნებისმეტყველები ამ პრინციპს სახელად უწოდებდნენ ბუნების ერთ და გვარობის კანონს (Das Prinzip der Eindeutigkeit der Natur). ეს პრინციპი, მაგ. საფუძველია ექსპერიმენტის, როგორც მეცნიერული ძიების მეთოდის.

\*) ვინ იცის, შეიძლება სპინოზას ეთიკის დედანში არც კი წერებულა სიტყვა ღმერთი. სპინოზას ერთმა უკიდურესმა მოწინააღმდეგემ მის „დასამტკიცებლად“ პირველად გამოსთქვა ასეთი აზრი. „ეთიკა“ გამოვიდა ავტორის სიკვდილის შემდეგ და თუ გაეხსენებთ იმ დროინდელ პირობებს და სპინოზას ათეისტობის გარშემო შექმნილ ვაი-ვაგლასს, მაშინ ყოველი ასეთი შესაძლებლობა დასაშვები იქნება. სპინოზას „ეთიკის“ გამოცემის ისტორიის შესახებ ჩვენ ზოგი ვიცით დიდათ დამახასიათებელი გარემოება. მან ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს მოამზადა თვისი მთავარი შრომა დასაბეჭდათ. სტამბაშიაც მიიტანა, მაგრამ რა ბედი ეწვია მას, ამის შესახებ ჩვენ ვტყობილობთ ინგლისის სამეცნიერო აკადემიის სეკრეტარ-ოლდენბურგისადმი მიმართულ წერილიდან: „როდესაც მე წიგნის დაბეჭდვის სამზადისში ვიყავი, —სწერს სპინოზა—ყოველგან ხმები გაავრცელეს, რომ სტამბაში არის ჩემი ახალი წიგნი ღმერთის შესახებ, რომელშიაც მე ვამტკიცებ, რომ არაერთი ღმერთი არ არსებობს“. თეოლოგები დაირაზმენ ჩემ წინააღმდეგო, — ვკითხულობთ ქვევით წერილში, და ზოგი კარტეზიანელების წაქეზებითაც პოლანდიის მთავრობის წინაშე საჩივარი აღძრესო. სპინოზამ რომ ეს ამბავი გაიგო თავისი წიგნი სტამბიდან წამოიღო. იგი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ. ასეთი პირობების გათვალისწინების შემდეგ, ადვილი წარმოსადგენია თუ რა გზებით უნდა შესულიყო სიტყვა „ღმერთი“ სპინოზას სისტემაში.



ბუნებისმეტყველი ახდენს ერთს ექსპერიმენტს ერთჯერ და ამით ხშირად მთელი ბუნების ახალ კანონს და ახალ ფენომენს აღმოაჩენს. ბუნება, რომ ყველა თავის ნაწილებში ერთნაირად არ მიმდინარეობდეს, მაშინ როგორ შეიძლება მასზე რაიმე კოდნის შედგენა, ან რა აზრი ექნებოდა ექსპერიმენტს და ცდას ასე ფიქრობდენ და მუშაობდენ ახალი დროის დიდი ბუნებისმეტყველები — მექანიკოსები. სპინოზადან მოყვანილი ციტატა ამ მეთოდის უბრალოდ გამოყენებაა. და წარმოიდგინეთ, რომ ვინმემ აქ სიტყვა ღმერთი ჩასწერონ. ამ შემთხვევაში ან ღმერთმა, როგორც თეოლოგიურმა და თეოსოფიურმა ცნებამ, უნდა დაჰკარგოს ყოველივე აზრი, ან და სპინოზას ნააზრევის კონსტრუქციამ.

არგუმენტი მეორე: ეს არის სპინოზას ცნობილი ფრაზა *Deus sive natura*, რომელიც რელიგიურად ნახმარია „ეთიკის“ მეოთხე განყოფილების წინასიტყვაობაში. „ღმერთი ანუ ბუნება“ რას ნიშნავს? ნუ თუ ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნება ზღმერთი იმ გაგებით ერთი ზ იგივეა, რომ თეოლოგიური ზ ნატურალისტური პრინციპი ერთი-მეორეშია არეული? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ასე არ არის. ვინც საკმაო ცოდნით და გაგების უნარით შეისწავლის „ეთიკის“ დასახელებულ ნაწილს, ის დარწმუნდება, რომ ამ საგანზე ჩვენი აზრი სწორია.

სპინოზას თითოეული სადაო დებულების სწორი ინტერპრეტაცია შესაძლებელია იმ კონტექსტის სრული გამოკვლევით, რა კონტექსტშიც ეს დებულება არის ნახმარი. დასახელებული პრობლემა ნახმარია აუცილებლობისა და მიზანშეწონილების საკითხის მოგვარების დროს. სპინოზა უარჰყოფს ღმერთისათვის ტრადიციულს, ე. წ. მიზნის თეორიას და ღებულობს ბუნებისმეტყველების მიერ ბუნების აუცილებლობის მიხედვით მოქმედების თეორიას, ე. ი. ის უარჰყოფს თელეოლოგიის ყველა პრეტენზიებს და ღებულობს მექანისტური თეორიიდან გამომდინარე აუცილებლობის პრინციპს. რა გამომდინარეობს ამის გათვალისწინებიდან *Deus sive natura*-ს გაგებისათვის? ის, რომ აქ ღმერთს დაკარგული აქვს თავისი ტრადიციული აზრი და ის დარჩენილა, როგორც ყოველად უბრალო *façon de parler*.

ამრიგად, სპინოზას ფილოსოფიის სათავეში მოთავსებული პირველი ონტოლოგიური რეალობის ნატურალისტურ-ფაქტიური შინაარსი არის სუბსტანციის ბუნების ერთიანობის და ერთობლიობის ენაზე გადათარგმნა, და სხვა არაფერი. თუ ძველი ონტოლოგიის ცნებების მიხედვით ვილაპარაკებთ, სპინოზა იწყებს ასე: არსებობს ერთი სუბსტანცია. ეს სუბსტანცია, ანუ ბუნება შეიცავს თვისებების დაუსრულებელ მრავალ სახეებს, ანუ ატრიბუტებს. ატრიბუტი არის ის, რასაც ინტელექტი სუბსტანციის არსებითი თვისებად ღებულობს. ატრიბუტების რიცხვი დაუსრულებლად დიდია, მაგრამ საინტერესოა ის გარემოება, რომ ჩვენ ადამიანურ შემეცნებას (შემეცნების სხვა ფორმა კი არ არსებობს), მხოლოდ ორი ატრიბუტის გაგება შეუძლია. ეს ორი ატრიბუტია: განფენილობა და აზროვნება. ატრიბუტი არის სუბსტანციის უნარი გამოსთქვას თავისი თავი, და რადგან სუბსტანციის გამოთქმა შესაძლებელია ისე, როგორც თვით სუბსტანცია არის, ე. ი. დაუბოლოვებლად, ამიტომ თუ ატრიბუტის რიცხობრივი არსებობის შესახებ დაისმება საკითხი, ცხადია, ისიც დაუბოლოვებელი უნდა



იყოს. მაგრამ შემეცნებაში ხდება უცნაური ამბავი: დაუბოლოვებელი რიცხვი ხურდავდება ორს შორის. ასეთი მოქმედების დიალექტიურს აზრს ჩვენ ქვემოთ შევეხებით, აქ კი დავიხსომოთ, რომ ჩვენ აზროვნებისათვის სუბსტანციაზე გასარჩევია ორი ატრიბუტი. თითოეულ ამ ატრიბუტთან ეძებს თავისი თავის გამოთქმის საშუალებას, და ეს ინდივიდუალური და საგნობრივი წესი ატრიბუტის გამოთქმისა არის მოდუსი. ასეთია სპინოზის სისტემის ამოსავალი პირველი პრინციპები. ჩვენს მიზანს არ შეადგენს, რასაკვირველია, თვით სისტემის გაშლა და ვადმოცემა, არამედ სისტემის გაგებისათვის საჭირო გასაღების გამონახვა.

### გნოსეოლოგიისა და დიალექტიკის საკითხები სპინოზას ნააზრებში

როგორც შევნიშნეთ სპინოზას ფილოსოფიური მოწინააღმდეგენი ავრცელებენ იმ შეხედულობას, ვითომც პოლანდიელ ბრძენს შემეცნების კრიტიკის და თეორიის უნარი მოჰკლებოდეს. ამ ბრალდების მსგავსი უსამართლობა ჩვენ არ გვეგულება. ადვილია იმის დამტკიცება, რომ სპინოზამ ამოსწურა ყველა ის გნოსეოლოგიური შესაძლებლობანი, რაიც რაციონალიზმის კლასიკის განკარგულებაში იმყოფებოდა. წმინდა გნოსეოლოგიურად მოფიქრებულ, მაგრამ საუბედუროდ დაუმთავრებელ ნაშრომს Tractatus de intellectus emendatione-ს რომ თავი გავანებოთ, „ეთიკის“ მთავარი პარტიების განხილვაც საქმით თვალნათლობით დაამტკიცებს ჩვენს ნათქვამს.

და მართლაც, რა საკითხს უნდა ემსახურებოდეს ეს, ე. წ. გნოსეოლოგია? ერთ ძალიან უბრალოს: როგორ არის შესაძლებელი შემეცნება? ასეთი საკითხი, ცხადია, ორი პრობლემის შემცველია. პირველი: როგორ არის შემეცნება შესაძლებელი ჩვენთვის, ადამიანთათვის, რა ძალით შევთანხმდით ყველანი იმაში, რომ „მარტივი წყალში დნება“, ან და იმ პირველმა სუბიექტმა, რომელმაც ასეთი ქეშმარიტება აღმოაჩინა, როგორ გაუზიარა ეს ამბავი მის თანამოდმე სუბიექტს და სხვ. ყველა ასეთი საკითხები თავს იყრიან, ე. წ. შემეცნების ინტერ-სუბიექტურ შეთანხმების საკითხში. აქედან გამომდინარე ზოგად მეცნიერული ძიება იკვლევს შემეცნების ზოგად შესაძლებლობას; რასაკვირველია, შემეცნება ჯერ გაგებულია, როგორც სიკეთე და უნარი სუბიექტისა.

ესთქვათ, ეს საკითხები მოვაგვარეთ. შემეცნების თეორია ამით არ ამოიწურება. უმთავრესი საკითხი დაისმება ამის მიღმა. ეს საკითხია: როგორ არის შემეცნება შესაძლებელი, როგორც თანხმობა სუბიექტსა და ობიექტს შორის. მაგ. მეცნიერი ფანქარით ხელში ანგარიშობს, რომ 1000 წელიწადის შემდეგ ამ დროს და ამ ადგილას მოხდება მზის დაბნელება და ეს ფენომენი უდიდესი სისწორით მართლდება. რატომ? რათ ექვემდებარება ბუნების მსვლელობა ჩვენს ანგარიშებს? აქ შეიძლება ორი პასუხი: იდეალისტური: გონება უკარნახებს ბუნებას კანონებს; და რეალისტური: გონებას აქვს უნარი ნაწილობრივად გაიგოს და აითვისოს ბუნების ობიექტური კანონები. მაგრამ ამ რეალისტური თეზის მიღების შემდეგაც გასარკვევი რჩება ის საკითხი, რომელმაც მცდარი და მედიდური იდეალისტური თეზის წარმოშობა განსაზღვრა, სახელდობრ: სად უნდა



ვეძიოთ ამ „შეთანხმებულობის“ უნარი, რა პრინციპებს უნდა ეთანხმებოდეს ის, და სხვ.. ეს არის ცენტრალური საკითხები შემეცნების თეორიისა.

სპინოზა არამც თუ გრძნობს ასეთი სკითხვების დამუშავების აუცილებლობას, არამედ კლასიკურს პასუხსაც იძლევა შემეცნების ძირითადი საკითხის მოგვარების სფეროში:

„ეთიკა“ (ნაწილი მე-II, თეორემა მე-7) ამბობს: *ordo et connexio idearum idem est, ac ordo et connexio rerum.* — „რიგი და წესწყობა (ან წესრიგი და გადაბმულობა) იდეებისა არის ერთი და იგივე, როგორც რიგი და წესწყობაც აქვთ საგნებს“. ეს წმიდა გნოსეოლოგიური დებულებაა; ადვილია იმის შემჩნევა, რომ სპინოზა შემეცნების პრობლემის მოგვარებას იწყებს გნოსეოლოგიური პრობლემების მეორე, ე. წ. ობიექტური წყებიდან. ფაქტად ქცეულ შემეცნებაში სუბიექტის მიერ ნაანგარიშევი იმიტომ ეთანხმება ობიექტში მოთავსებულ მოვლენას, რომ ერთსა და იმავე შინაგან წესრიგს და კანონს ექვემდებარება, — როგორც სუბიექტი ისე ობიექტი, ანუ, სპინოზას სიტყვებით თუ ვილაპარაკებთ, შემეცნების შესაძლებლობა უზრუნველყოფილია იმ პრინციპიდან, რომლის მიხედვით მოაზროვნე სუბსტანცია და განფენილი სუბსტანცია არის ერთი და იგივე სუბსტანცია, ანუ ეს არის ატრიბუტთა ერთიგეგობა. სუბსტანცია არის ერთი. ყოველი კანონიერება ამ ერთის ბუნებიდან გამომდინარეობს, და არ შეიძლება აზროვნებას თავისი წესები და კანონები ჰქონდეს და განფენილობას კიდევ თავისი. მაგ., ბუნებაში არსებული წრე და აზროვნებაში არსებული წრე ერთი და იგივე წრე არის, მაგრამ სხვადასხვა ატრიბუტით გამოთქმული. არ შეიძლება აზროვნებაში არსებული წრე სხვა კანონებს ექვემდებარებოდეს ვიდრე ბუნებაში არსებული, რადგან სხვა დამოუკიდებელი კანონები აზროვნებას არ გააჩნია.

როგორც ვხედავთ, აქამდე იგივეობის ცნობილი თეზის საშუალებით სჭრის სპინოზა შემეცნების საკითხს; მაგრამ აქ ჩვენ ის უკანასკნელი საჭირ-ბოროტო საკითხი უნდა დავსვათ, რომელიც ყოველივე ერთ-იგივეობის თეორიას პირბადეს ახდის და თეორიის მიღმა ნაგულისხმევს მსოფლმხედველობას ნათელ ჰყოფს. ამ საკითხის დაყენება იწყება ასე: ძალიან კეთილი და მისაღები ამბავია, რომ განფენილობის თითოეულ წესრიგს და კანონს აზროვნებაში შესაფერი წესი და კანონი აქვს. მაგრამ სად უნდა გადაწყდეს საკითხი იმის შესახებ, რომ ის საგანი, რომელსაც ეს წესი და ეს კანონი გულისხმობს, მართლა არსებობს? აი ის უკანასკნელი საკითხი, სადაც ყოველივე გნოსეოლოგიური თეორია ან სუბიექტივისტურ-იდეალისტურად გადიქცევა, ან რეალისტურ-მატერიალისტურად.

მერმე იცნობს სპინოზას „ეთიკა“ ასეთს ცენტრალურ საკითხს?

საუცხოვოდ!

„ეთიკა“ (ნაწილი პირველი, თეორემა მე-11, ე. წ. მეორე დამტკიცება) შეიცავს უდიდესი მნიშვნელობის აზრებს, და საუბედუროთ ჩემის ცოდნით სპინოზას გარშემო მოკამათეთ სწორედ ეს ადგილი არ გამოუყენებიათ ჯეროვნად. გაკვრით შეეხო მას ჰ. ჰაოფდინგი: Kantstudien B. XXXII.



II. 1. 1927. არ გამოუყენებიათ ეს ადგილი არც მათ, ვინც სპინოზას მატერიალისტობას ამტკიცებენ — ეს კი ძალიან ცუდი ამბავია.

ეს მე-11 თეორემა ამტკიცებს, რომ სუბსტანცია არსებობს ატრიბუტების მიხედვით. იმისათვის კი, რომ დაამტკიცო რომელიმე საგნის არსებობა ან არ-არსებობა, საჭიროა გამოინახოს არსებობის ან არ-არსებობის შესაფერი მიზეზი ან საფუძველი — ასე იწყება სპინოზას მტკიცება. იმის დასამტკიცებლად, მაგალ., რომ ეს ფიგურა სამკუთხედი, ე. ი. სამკუთხედის სახით არსებული ფიგურაა, უნდა გამოინახოს ასეთი არსებობის საფუძველი. ორი შესაძლებლობაა: ან ეს არსებობის მიზეზი თვით საგნის ბუნებაში არსებობს, ან და ამ საგნის ბუნების გარეშე. მაგ. სუბსტანცია როგორც causa sui თვით არის თავისი არსებობის მიზეზი; მაგრამ ადგილი შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ ჩვეულებრივი საგანი თვითონ არ არის თავისი არსებობის განმსაზღვრელი მიზეზი. აბა სად უნდა ვეძიოთ საფუძველი იმისა, რომ სამკუთხედი ან წრე არსებობს ან არ არსებობს? აი სპინოზას პასუხი: „საფუძველი იმისა, რომ სამკუთხედი ან წრე არსებობს, ან არ არსებობს, ამ საგნების ბუნებისგან კი არ გამომდინარეობს, არამედ სხეულთა ბუნების ზოგადი წესწყობისაგან“ \*).

აი უდიდესი დამტკიცება იმისა, რომ სპინოზას გნოსეოლოგიის საფუძველები რეალისტურ-ნატურალისტურია და იმ ტერმინით თუ მოვნათლავთ, რომელიც სპინოზას დროს სრულიად არ იხმარებოდა, მატერიალისტურიც.

ე. ი. ის კონკრეტული საგანი შემეცნებისა, რომლის სისწორეს და ევიდენტურ ქეშმარიტების სახით მოცემულობას, იგივობის თეზა აწესრიგებს, თავის არსებობისათვის საჭირო პრედიკატს არ ღებულობს არც ღმერთისაგან, როგორც პანთეისტურ მონიზმს შეუძლია ეს წარმოიდგინოს (მაგ. ნიკ. კუზანელი), არც პინლოგისტურ ფორმებში მოვლენილ ინტელექტისაგან (მაგ. ასეთად გაგებული პარმენიდე), არამედ არსებულ საგანთა ქვეყნისაგან, ე. ი. ბუნებისაგან. ასეთი გადაჭრა საკითხისა კი წმიდა რეალისტურ-ნატურალისტურია, და ასე სკრის მას სპინოზას შემეცნების თეორიაც.

და თუ ეს პირველი საკითხი მოწესრიგებულია და გვეუბნება: თითოეული არსებული საგანი არსებობს იმიტომ, რომ მის წინ არსებობს საგანთა ბუნება და ამ ბუნებისაგან ღებულობს ის თავის არსებობას, — ამას იქით უკვე უფრო მკაფიოდ დაისმება ე. წ. თვით გნოსეოლოგიური საკითხიც, ე. ი. საკითხი ამ არსებული საგნის შეთანხმებულობისა ამავე საგნის აზროვნებაში მოცემულობასთან. „ეთიკა“ — II, თეორემა 7) სწორედ ამ საკითხს უპასუხებს. თუ დამტკიცებულია, რომ წრის არსებობა არსებულ ბუნების საგანთა წესწყობისაგან გამომდინარეობს, მაშინ, რასაკვირველია, სწორია და თან ნათელიც სპინოზას განმარტება: „რომელი ატრიბუტისაგანაც — გავიგებთ ბუნებას, განფენილობისა, — აზროვნებისა, თუ რომელიმე სხვა ატრიბუტისაგან ყოველთვის მიზეზები ერთსა და იმავე წესწყობასა და გადაბმულობას შეეხვდებით, ე. ი. ჩვენ ყოველთვის ერთისა და იმავე საგნების თანამიმდევრობასთან გვექნება საქმე“.

\*) At ratio, cur circulus vel triangulus existit, vel cur non existit, ex eorum natura non sequitur, sed ex ordine universae naturae corporeae.



ასეთია სპინოზას შემეცნების თეორია, ეს არის რაციონალიზმის უდიდესი მოხწევა. რაციონალიზმი იქ გაგებულა არა როგორც მხოლოდ ადამიანის ratio-დან გამომდინარე მსოფლი — გაგება, არამედ ისეთი ლოგიური მსოფლგაგება, სადაც თვით ადამიანის აზროვნება ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის როლს თამაშობს.

სპინოზა

ჩვენ უკვე ავლნიშნეთ, რომ შემეცნების თეორიისათვის სხვადასხვა-ნაირი გზა არსებობს: ერთი ამათგანი ამტკიცებს, რომ შემეცნების მოწესრიგება ნიშნავს სუბიექტების საზოგადო შეთანხმებას შემეცნების ფაქტის თანასწორ გაგებასთან. ჩვენ ვსთქვით, რომ ამ შემთხვევაში შემეცნება გამოდის, როგორც სიკეთე და უნარი სუბიექტისა. ფილოსოფიურ მსოფლმხედველობის ენაზე გადატანილი, ეს რეფლექსია მოგვცემს დასაბამს სუბიექტივიზმისა, რელატივიზმისა და იდეალიზმისას.

სულ სხვანაირია ის გზა, რომელიც სპინოზამ აირჩია. ეს არის შემეცნების გაგების ის მეორე გზა, რომელიც ყოველთვის ამოსავალ წერტილს ობიექტის სფეროში ხედავს, ამიტომ მთელი შემეცნება ამ შემთხვევაში იქნება აქსიოზობა ობიექტისა. რადგან სპინოზასათვის, თ. ციენის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, „ადამიანის აზროვნება მხოლოდ სპეციალი შემთხვევა იყო საერთო, დიდი და ზოგადი კანონზომიერებისა“ (Kantstudien B. XXXII H. 1.) ამიტომ ის რასაკვირველია, არსის ანუ ობიექტის აქსიოზობის სფეროდან აშენებს თავის შემეცნების თეორიას. ეს კი, მსოფლმხედველობის ენაზე რომ ვთარგმნოთ, არის სათავე რეალიზმის, ობიექტივიზმის და მატერიალიზმისა.

მაგრამ რამდენადაც ობიექტივისტი იყოს მოაზროვნე, მას მაინც არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ გარემოებას, რომ ფაქტიურად ყოველი შემეცნების მასალა ჩვენს ადამიანურს ცნობიერებაში ვლინდება. ამიტომ, ცხადია, ობიექტივისტური შემეცნების თეორია ბოლომდე მიყვანილი არ იქნება, თუ ის თავის ძირითად დებულებებს ვერ გაამართლებს იმ ცნობიერების სფეროში, რომელიც, როგორც რეალური ინსტანცია შემეცნებისა, საგანს და მოვლენას აღიქვამს და შეიმეცნებს. მერე გავლო სპინოზამ ეს საფეხური? რასაკვირველია! De intellectus emendatione-ში შეგვიძლია ამოვკრიფოთ საჭირო მასალა; მაგრამ არც „ეთიკაშია“ ეს საკითხი დავიწყებული. „ეთიკა“, (5, თეორემა 1.) ცდილობს გაატაროს იგივეობის თეორია ადამიანის სულის მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ სპინოზას სწავლა, ადამიანის სულისა და მისი აფექტების მოძრაობის შესახებ, დამუშავებულია ისე, ვითომც ეს იყოს ერთ-ერთი თავი ნატურალისტური ფსიქოლოგიისა.

გნოსეოლოგიის პრობლემასთან დაახლოვებულია მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხები, რომელთა გარკვევისათვის სპინოზა ნააზრევმა ერთგვარი როლი ითამაშეს სპინოზა, როგორც წარმომადგენელი აბსოლიუტური რაციონალიზმის და ოსტატი მკაცრი დედუქციებისა, ვითომცდა უყურადღებოდ უხდა სტოვებდეს ჩვენი შემეცნების ემპირიულ დატებს. მაგრამ სწორედ ეს არ არის ასე. სპინოზას გაგებით შემეცნების ფაქტიური მსვლელობა ზოგადიდან კერძოისაკენ კი არ მოდის, არამედ პირუკულმა—კერძოსაგან ზოგადისაკენ De intellectus etc. გვეუბნება: Cog-



uitio particularium quam maxima nobis petenda est—ყველაზედ მეტად ჩვენ კერძოულის შემეცნებისაკენ უნდა ვილტოდეთ“. და ეთიკა (5, თეორ. 24) ამტკიცებს: „რამდენადაც მეტს კერძოულ საგნებს შევიმეცნებთ, იმდენი მეტად შევიმეცნებთ ღმერთსაც. ვითომც და უცნაური უნდა იყოს სპინოზასათვის/ასეთი რამეს თქმა. ღმერთი ანუ სუბსტანცია, რომელიც არის მარადიულ პირობათა ტოტალური სავსეობა, აქ დამოკიდებული გამოდის იმისაგან, თუ რამდენად შეგვიმეცნებია კერძო საგნები, ე. ი. გონების დედუქცია დამყარებული ყოფილა ცდაში მოცემული ფაქტიური დატების რეფლექსზე. მაგრამ საკვირველი აქ არ არის არაფერი. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ დებულებას, რომ სპინოზა თავისი რაციონალიზმით მესიტყვებდა სწორედ იმ ახალ ბუნებისმეტყველობას რომლისათვის კერძო ფაქტიდან ზოგად კანონზე გადასვლა არამც თუ საჭირო იყო, არამედ ერთად ერთი აუცილებელი და უსათუოდ გასაველელი გზაც. გარეშე ასეთი გზისა შეუძლებელი იქნებოდა როგორც ექსპერიმენტის აზრის გაგება, ისე მათემატიკური კანონის კერძოულ ფაქტზე გამოყენება.

ჩვენ გვინდა აქ ვილაპარაკოთ აგრეთვე სპინოზას ნააზრევის დიალექტიკურ კვანძებზე. ჩვენის აზრით კუზანელსა და ლაიბნიცს შორის სპინოზა დიალექტიური აზროვნების ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენელია. ჩვენ შევხებით აქ მარტო ერთ პრობლემას.

თუ მექანიკისა და რაციონალიზმის ზოგად სახეს შევხედავთ, უსათუოდ შევამჩნევთ, რომ მექანიკური მსოფლმხედველობა დიალექტიური აზროვნების პრინციპებს საკმაო ანგარიშს ვერ უწევს. მე-16 და მე-17 საუკუნეში ბუნებისმეტყველება, და ყველაზე უფრო ზუსტი მათ შორის, მექანიკა, ისე ვითარდებოდა, რომ ეს განვითარება დიალექტიკის საწინააღმდეგოთ იყო მიმართული. და მართლაც, ლეონარდო დე ვინჩიდან დაწყებული ნიუტონამდე, მოაზროვნეთ ქვეყანა წარმოუდგენიათ როგორც საათივით ნაშენი მექანიზმი. ეს სრულქმნილი დიდი მანქანა სდგას მსოფლიოს სივრცეში, ტრიალებს და მოქმედებს, მოძრაობს და ექვემდებარება ზუსტს მათემატიკურ კანონებს, მაგრამ არავინ არ იცის, საიდან მოსულა ის, ან დასაით მიდის მისი გზა. ერთი სიტყვით, ასეთს მსოფლგაგებას აკლია უნარი ქვეყანა წარმოიდგინოს, როგორც განვითარება, როგორც დიალექტიური პროცესი.

ამ ბუნებისმეტყველების ნაკლს საუცხოვოდ ახასიათებს ენგელსი თავის „ნატურ დიალექტიკაში“. ამ პერიოდშიო—ვკითხულობთ ჩვენ იქ,—გამომუშავდა განსაკუთრებული მსოფლგაგება, რომლის ცენტრალური ნაწილი არის ბუნების აბსოლიუტური უცვლელობის რწმენა (იხილეთ: Архив К. Маркса и Фр. Энгельса, том II, გვ. 158). მთელი მაშინდელი ბუნებათმეცნიერება იმდენად გატაცებული იყო უამრავი ფაქტიური მასალის დამუშავების წყურვილით, რომ ლოღკური რეფლექსიისათვის ძალიან მცირე დრო რჩებოდა ან და ასეთი რეფლექსია მხოლოდ ფაქტების უბრალო რეფლექსს ემყარებოდა და ამიტომ ადვილად ეგუებოდა ძველი ფორმალური ლოღიკის მეტაფიზიკურ წესს აზროვნებისას.



მაგრამ ამავე ბუნებისმეტყველების წიაღიდან ვითარდებოდა ახალი დისციპლინა ცოდნისა, რომელიც თავისი ბუნებით ეწინააღმდეგებოდა ძველს მეტაფიზიკას და დიალექტიური ლოგიკის აღორძინებისათვის საჭირო მასალებს იძლეოდა. ეს იყო დაუბოლავებელის მათემატიკა, რომელიც კავალიერიდან დაწყებული შეუჩერებელი ნაბიჯებით მიდიოდა წინ და ცოდნის ახალ-ახალს პოზიციებს იღებდა. სადაც ახალმა მათემატიკამ გარდამწყვეტი რევოლუციური ნაბიჯი აქ მათემატიკის ლოგიური რეფლექსი უსათუოდ დიალექტიური იყო. ჩვენი გაგებით ასეთი გარდამტეხი მომენტები არის დეკარტის მიერ ანალიტიური გეომეტრიის ჩამოყალიბება და ლაიბნიცის მიერ ინტინიტისიმალი სისტოს აღმოჩენით დიფერენციალი აღრიცხვის შედგენა. ორივე ეს დიდი კვანძი ახალი მათემატიკისა უაღრესად დიალექტიურად ნაშენები იყო და ამიტომ ვითომცდა წინააღმდეგობაში მყოფი მექანიკურ ბუნებათმეტყველების მიერ წამოყენებული პრობლემისა.

სპინოზა, რომელიც თავისი დროის მეცნიერულ მოძრაობას ჩინებულად იცნობდა და მას მთელი სიძლიერით განიცდიდა, ჩვენი გაგებით, მოძრიგებელის როლში გამოდის აქ და ერთ-ერთი დიალექტიური უძველესი პრობლემის ფილოსოფიურ-მათემატიკური მოგვარებით რაციონალიზმის სისტემაში საბოლოოდ ამარჯვებინებს აზროვნების დიალექტიურ ნაკადს. ჩვენ არ გვინდა ავიჩემოთ, ვითომ ის, რაზედაც აქ ლაპარაკი იქნება, თვით სპინოზას სავსებით შეგნებულად ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგრამ იმისაგან, რაიც მის მიერ მოცემულია, ასეთი ინტერპრეტაციის გაკეთების უფლება გვაქვს.

დიალექტიური აზროვნების საუცხოო ნიმუშს იძლევა სპინოზას ანალიზი აუცილებლობის და თავისუფლების პრობლემისა, მაგრამ ეს არ იქნება ჩვენი ახლანდელი თემა. ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ, რომ მისი სისტემის თვით პირველ შენება დიალექტიკის მიხედვით არის ნაშენები. ეს გახლავთ დეკარტის სამი სუბსტანციის ერთად დახურდავება და შემდეგ ამ ერთის ატრიბუტთა მრავალსახიანობათ გაყოფა.

რეფლექსიის პირველსაწყისში სპინოზა მონისტია, ის აღიარებს ერთ სუბსტანციონალობას, მაგრამ ცნობილია, რომ მონისტური თეორიის წამოყენება ძალიან ადვილი საქმეა. ფილოსოფიური სიძნელე იწყება იქ, სადაც საკითხი დაისმება მონისტური ერთიდან მრავალსახიანობის წარმოშობის შესახებ.

ერთისა და სიმრავლის პრობლემა უძველესი დიალექტიური პრობლემაა: დიალექტიკოსმა და თან დიალექტიკის მტერმა ძველმა ძენონმა სიმრავლის ცნების წინააღმდეგ ასპარესზე გამოიყვანა დაუბოლავებელის პარადოქსიები და აქედან ააშენა თავისი აპორეტიკა, და მას შემდეგ თითქმის თვითეული მოაზროვნე-დიალექტიკოსი ამ ცნებას დასტრიალებდა, ასე რომ ჰეგელს კიდევ უფლება ჰქონდა გაეცხადებინა—ძენონი ჯერ დაუძლეველი და პასუხგაუცემელიაო. ძენონის პრობლემა თვითონ ჰეგელს შემდეგაც სავსებით დაუძლეველი დარჩა. ამას ნათლად აჩვენებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ 40 წელს თეორიული მათემატიკა განსაკუთრებული ინტენსიობით მუშაობდა სწორედ ერთისა და მრავალის პრობლემის გარშემო.



აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სიმრავლეთა თეორიის შემქნელმა გ. კანტორმა სიმრავლის ცნების ესეთივე მოგვარება მოგვცა, როგორც ჰეგელის დიალექტიკის მიერ უკვე მოცემული იყო. ე. წ. აქტუალურ დაუბოლოებულობის, ანუ ტოტალურად დიდი სიდიდის ცნებაში. აქ კი ასინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ეს უძველესი დიალექტური პრობლემა სპინოზას მიერ რაციონალისტური საშუალებებით უკვე სავსებით გადაჭრილი იყო:

არსებობს ერთი სუბსტანცია და მას აქვს ატრიბუტტა დაუბოლოებელი რიცხვი—საკითხავია, რა დამოკიდებულება უნდა იყოს ერთსა და ამ დაუბოლოებელ სიმრავლეს შორის? ყოველად უეჭვოა, რომ სპინოზა იგივეობის ნიშანს სვამს მათ შორის:

ერთი დაუბოლოებლობას.

ე. წ. საღი გონების წინაშე ეს ხომ ნამდვილი წინააღმდეგობა იქნება, მაგრამ სწორედ ეს წინააღმდეგობა ნათელჰყოფს ამ პრობლემის დიალექტიურს შინაარსს. წინააღმდეგობა მიღებულია სპინოზას სისტემაში, ხოლო სისტემის რაციონალური გაშლა მოითხოვს წინააღმდეგობის რაციონალურ გადალახვას—ეს კი იქნება დიალექტიური კვანძის გახსნა. ამისათვის კი აუცილებელია განვიხილოთ ჩვენი შეთანასწორების მეორე ნახევარი. ეს მეორე ნაწილი შეეხება ატრიბუტებს. ატრიბუტები შემეცნების სფეროსათვის მოცემულია ახალი რიცხვის სახით, მისი სახელია ორი (2). სუბსტანცია, რიცხვით ერთი (1), მოცემული იყო თავისთავად, როგორც ობიექტის აქსიოზობა, ატრიბუტები კი, რიცხვით ორი (2), მოცემული ჩვენთვის, ე. ი. შემეცნებისათვის. ამრიგად, ორი მეტია ერთზე, რადგან განმეორებაა ერთისა და თან შეთანასწორების თანახმად ნაკლებია ერთზე, რადგან ერთი შეიძლება არამც თუ ორს, არამედ ისეთს სიმრავლეს უდრიდეს, რომელიც დაუბოლოებელი იქნება. ეს ასეა შესაძლებელ ონტოლოგიურ სფეროსათვის, მაგრამ შემეცნების რაციონალურ სფეროში დაუბოლოებელი=2 და თუ ეხლა პირველ შეთანასწორებას ხელ-ახლა დავწერთ, ცხადია, რომ  $1=2$ .

აქედან ჩვენთვის კი უკვე სავსებით ნათელია, თუ საიდან წარმოშობილა პირველი სიმრავლე, ე. ი. 2. ის წარმოშობილა იმ დიალექტიური წინააღმდეგობიდან, რომელიც არსებობს საგნის ონტიურ სფეროში არსებობასა და ამავე საგნის რაციონალური სფეროს საგნად გახდომას შორის. მაგრამ ამ წინააღმდეგობის აღიარებით სპინოზას ეძლევა საშუალება მიიღოს პირველი სიმრავლე, ანუ 2, და თუ ორი დიალექტიურ-ლოლიკურ გზით მიღებულია, მაშინ მონისტური ერთის გაუგებრობა გაგებულა და მისი ციხე-სიმაგრე ემპირიული ქვეყნის საგანთა სიმრავლისაგან არის აღებული.

მათემატიკური ხერხი, რომელიც აქ სპინოზას სისტემას საფუძვლათ დაედო, საუცხოვოთ სჩანს თვით სისტემის აღნაგობაში: სისტემაში დაშვებული ატრიბუტების რიცხვის დაუბოლოებლობა არამც თუ იყოფა ორს რაციონალურს სფეროს კუთვნილ ატრიბუტად, არამედ რომელიმე *intellectus intuitivus et infinitus*—საშუალებით რომ ამ დაუბოლოებულობის უსასრულო დაყოფა წარმო-



ვიდგინოთ, ის სულ წყვილ-წყვილად დაიყოფა. ასეთი გონების მათემატიკას მხოლოდ წყვილი რიცხვების ბუნებრივი მწკრივი ეცოდინება.

აქ პირველად იბადება უდიდესი დიალექტიური გახსნა პრობლემა, სახელდობრ ის უბრალო, მაგრამ გენიალური აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ სიმრავლე ყველა შესაძლებელ წყვილ-რიცხვთა ერთდროულად წყვეტის ცენტრიცხვთა სიმრავლისა. ამიტომ 2 სავესებით გამოხატავს წყვილ-რიცხვების სიმრავლის ლოგიკურ ბუნებას. დიდი გონება-მახვილობა არ არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ სპინოზას სისტემისათვის „ორზე მეტი“ ატრიბუტის არსებობას არავითარი აზრი არ აქვს. მწკრივის რა რიგის არ იყოს ეს „ორზე მეტი“, ის ბოლოს მაინც ორამდე დაიყვანება, ორიდან მივიღებთ 4, 8, 16-სა და პირუკულმაც რომელ. წყვილ რიცხვიდანაც შემოვბრუნდებით, უეჭველად ჩამოვალთ ორამდე. თუ რა არის თვით „ორი“, ეს ჩვენ უკვე ვიცით. ორი ისე ნათლად გვაქვს მოცემული, როგორც ერთი. თუ ერთი ონტიური საფუძველია არსებობისა, ორი საფუძველია იმ ონტიური ერთის ჩვენ რაციონალურ ფორმებში ორმაგის გამეორებისა—ამას ემყარება სუბსტანციის და ატრიბუტების სწავლა.

ასე გადასჭრა სპინოზამ დიალექტიკის ეს უძველესი პრობლემა, ის პრობლემა, რომელიც ნათლად ამოვიდა ბერძნული აზროვნების განთიადზე და მის საღამოს ჟამზე პლოტინის ნააზრევში ერთხელ კიდევ განათლდა და მომავალი თაობისათვის გადასაჭრელი პრობლემის სახით ჩამოყალიბდა. სპინოზას პასუხი პლოტინის პრობლემაზე საინტერესოა იმ მხრივაც, რომ სადაც პლოტინის სისტემაში ამ პრობლემის გადასაჭრელად ღმერთის დახმარების საჭიროება იყო წამოყენებული, სპინოზამ პრობლემა გადასჭრა უღმერთოდ, ჩვენი ადამიანური რაციონს ფორმალური საშუალებათა მოხმარებით. ამიტომაც, რომ სპინოზას ასეთი მაღალი დიალექტიური სპეკულიაციაც კი, ყოველდღიურობის ენაზე გადატანილი, უსათუოდ ნატურალიზმის და მატერიალიზმის ენით უნდა გადმოითარგმნოს.

ეს თარგმანი იქნება ასეთი: არსებობს მხოლოდ ერთი ბუნება, მას აქვს უნარი თავისი თავის ახსნისა, და არ შეიძლება მის მიღმა სხვა რაიმე არსებობდეს. ამ არსებულს ერთს ანუ ბუნებას აქვს შინაგანი ძალა წარმოშვას სიცოცხლე და აზრი, ამიტომ ის ერთი სინამდვილეში შემცველია ორისა. ამიტომ ამ ორის შემცველ ერთს შეუძლია აწარმოოს ქვეყნიერ საგანთა მრავალფერაობა და დაუსრულებელი მრავალსახიანობა.

### მატერიალიზმის ელემენტები სპინოზას სისტემაში.

პირველად ჰეგელმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ფრანგული მატერიალიზმი სპინოზას სუბსტანციის რეალიზაცია იყო. ფოერბახი რომ სპინოზაში ახალი დროის მატერიალიზმის მესიტყვეს ხედავდა, არსებითად ჰეგელის აზრს იმეორებდა. იმ დროს ეს აზრი განმტკიცებული იყო, მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იდეალისტური ფილოსოფიის ახალმა რესტავრაციამ მიზნათ დაისახა სპინოზას თავის ბანაკში გადათრევა. ბევრი რამ დაწერილა ამის გარშემო და



ყველაფრის განხილვას, რასაკვირველია, ვერ ვიკისრებთ, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია საკითხის გარკვევისათვის აუცილებელ არგუმენტებს მაინც შევეხოთ.

პირველყოვლისა საკითხავია, როგორ უნდა გვესმოდეს მატერიალიზმის ცნება ამ შემთხვევაში? ჩვენ ვიცით; რომ სპინოზას დროს ეს სახელწოდება სრულიადაც არ არსებობდა, ალ. ფრ. ლანგე აი რას გვეუბნება ამის შესახებ:

„ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასაწყისში სანამ სიტყვა მატერიალიზმი ხმარებაში არ შემოსულიყო, მატერიალისტის მაგივრად ხმარობდნენ სიტყვას „mechanici“ ე. ი. მატერიალისტი ნიშნავდა ისეთს ხალხს, რომლების აზროვნების ამოსავალ წერტილს ბუნების მექანიკური გაგება შეადგენდა. ეს მექანიკური ბუნების-მეტყველება გამოძინარეობდა დეკარტიდან. მასვე ანოციერებდა სპინოზა და მასზე არანაკლებ — ლაიბნიცი, მიუხედავად იმისა, რომ ის თავისი პიროვნებისათვის გადაჭრით უარს იტყოდა ასეთს რაიმეზე“. (იხ. A. Fr. Lange: geschichte des Materialismus“ ტ. I გვ. 269).

ამ რიგად, ამ სფეროში სპინოზას მატერიალისტობა დავის საგანს არ შეადგენს. სპინოზა, როგორც ერთ-ერთი წარმომადგენელი ახალი ბუნებისმეტყველებისა, მექანიკოსია და ეს იმ დროის გაგებით იმასვე ნიშნავს, რასაც შემდეგში მატერიალისტი ეწოდა.

ჩვენ ვნახეთ, რომ დეკარტი გალილეის შემდეგ ასეთს მექანიკურ მსოფლმხედველობას ბელადობდა, ფილოსოფიაში კი იდეალიზმის დამაარსებელის როლში გამოვიდა. ამიტომ საკითხავია, რას ნიშნავს ეს „ფილოსოფიაში“ და რა დამოკიდებულება აქვს სპინოზას ამასთან? „ფილოსოფიაში“ ნიშნავს შემეცნების ფილოსოფიურ გაგებაში, და აქ კი სპინოზა დიამეტრიულად ეწინააღმდეგება დეკარტს, აქ ის რეალისტია.

და თუ ეხლა სახელმძღვანელოდ ავიღებთ იმ ცნობილ კლასიფიკაციას ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ მსოფლგაგებისას, რომელიც პირველად ფიხტემ წამოაყენა, ჰეგელმა გაიზიარა, ხოლო შემდეგ ფრ. ენგელსმა სხარტულ და პოპულიარულ ფორმებში ჩამოაყალიბა, მაშინ სიტყვა „რეალისტი“ უდრის მატერიალისტს და ჩვენ გვგონია, რომ სპინოზას სისტემის ძირითადი პრინციპების კრიტიკული განხილვის დროს არაერთხელ მიუთითეთ იმ გარემოებაზე, რომ სპინოზა, რომელმაც არსის პირველობა აღიარა, შემეცნების კონკრეტული საგნის რეალი არსებობა ბუნების სხეულთა არსებობიდან გამოიყვანა და სხვ. — უსათუოდ ფილოსოფოსების იმ ბანაკს ეკუთვნის, რომლებიც აღიარებენ რომ ობიექტი არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად და შემეცნებისათვის პირველად. ენგელსი სწორედ ასეთს ფილოსოფოსებს უწოდებს სახელად მატერიალისტებს.

აქ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ავღნიშნოთ ის გარემოებაც, რომ მე-17 საუკუნის მეორე დიდს ფილოსოფოსს, რომლის მატერიალისტობაში ეჭვის შეტანა თითქმის შეუძლებელია, ჰობბს, ანალოგიურათ ესმის თავისი ფილოსოფიის დედა პრინციპი. ცნობილია, რომ იმ ფილოსოფიურ-გნოსეოლოგიურ რაობას, რასაც „მატერია“ გამოხატავს, ჰობბსი სახელად „სხეულს“ უწოდებდა. აი როგორ განმარტავს თომას ჰობბსი სხეულის ცნებას: „სხეულია ყველაფერი, რაიც დამოუკიდებლად ჩვენი აზროვნებისაგან სივრცის რომელსამე ნაწილს ყდრის ან



მასთან განფენილია“ (ib. De Corpore) „სხეულია“ ცნება ჰობბსის მიერ მოფიქრებულია დეკარტის „იდეის“ საწინააღმდეგოთ და თავისი ბუნებით ისეთსავე ობიექტიურ რეალობას გამოხატავს, რომელიც ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს და ამ პუნქტში სავსებით ჰგავს სპინოზას სუბსტანციას.

როდესაც მე-18 საუკუნის მატერიალისტებმა ეს „სუბსტანცია“ და „სხეული“ უბრალო ბუნების ფენო-მენების ენაზე გადასთარგმნეს და აქედან ამხელებულ მსოფლმხედველობას სახელად „მატერიალიზმი“ უწოდეს, ცხადია, მათ უფლება ჰქონდათ თავი სპინოზისტებად ეგრძნოთ.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც სპინოზას მე-18 საუკუნის ფრანგი მოაზროვნეების ნამდვილ მამამთავრად ხდის. ეს გახლავთ გაგება თვით ადამიანის რაობისა.

ჩვენ გაკვრით უკვე ავლნიშნეთ, რომ ბუნებისმეტყველი დეკარტი, ფიზიკიდან დაწყებული ბიოლოგიამდე, ყოველგან მექანიკურ პრინციპს ატარებს. ცხოველი მისთვის არის უკანასკნელი და ურთულესი მანქანა; ისეთი მანქანა, რომელიც აზროვნობს. მაგრამ ნამდვილი აზროვნებით დაჯილდოვებული ცხოველი არის ადამიანი. და სწორედ აქ მიაკლდა დეკარტის აზროვნებას საჭირო გამბედაობა. ტრადიციისა და კლერუსის შიშით შეპყრობილმა დეკარტმა განაცხადა, რომ ადამიანი არ არის მანქანა, რომ ადამიანის სული არ ექვემდებარება ბუნების კანონებს, რომ ის მონაწილეა ღვთაებისა და სხვ.

მე-18 საუკუნის მატერიალისტებმა დეკარტის ორპირობა გამოასწორეს. ლამეტრიმ თავდაპირველად ადამიანის სული ჩარიცხა ბუნების მექანიკის ტრიალში და გამოაცხადა: მე იმასვე ვაკეთებ, რაიც ხუცებისგან შეშინებულს დეკარტს გაუკეთებელი დარჩაო.

მე არ ვიცი, იცოდა თუ არა ლამეტრიმ, რომ აგივე საქმე დიდი ხნით ადრე უკვე შესრულებული ჰქონდა სპინოზას. სპინოზამ პირველად შეიტანა ადამიანი ბუნების სხვა საგანთა რეგისტრაციაში და ადამიანის ამპარტავანი სული დაუქვემდებარა მექანიკის პრინციპებს. სწავლა აფექტებზე, ადამიანის სულიერ მოძრაობაზე, და სხ., ნათლად აჩენენ სპინოზას ფსიქოლოგიის ნატურალისტურ საფუძვლებს. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ არ გვინდა ვიხელმძღვანელოთ „ეთიკის“ ნატურალიზმისათვის ხშირად უცხო ენაზე გამოხატული არგუმენტაციით. ჩვენ მივმართავთ უფრო უბრალო და ნათელ წყაროს. ეს წყარო არის სპინოზას წერილები.

ცნობილია, რომ სპინოზა მიწერ-მოწერას აწარმოებდა თავისი დროის თითქმის ყველა წარჩინებულ მოაზროვნესთან. ჩვენ მოგვებოება ორი ძალიან საინტერესო წერილი, რომელიც ადამიანის რაობას შეეხება და სპინოზას შეხედულობას ამ საგანზე ძალიან ნათლად აშუქებს. ეს წერილები დაწერილია 1665 წელს და მიწერილია ერთხელ უკვე დასახელებულ ინგლისის სამეცნიერო აკადემიის სეკრეტარ ჰ. ოლდენბურგისადმი. პირველ წერილში სპინოზა ატყობინებს ოლდენბურგს:

„ჩემის აზრით ადამიანი, როგორც ყველაფერი დანარჩენი, ბუნების მხოლოდ ერთი ნაწილია“.



ოლდენბურგი მართლმორწმუნე ინგლისელი, გარეგნულად მაინც დარწმუნებულია, რომ ადამიანი ღვთაებრივ ბუნების მონაწილეა, ამიტომ ეს, გაკვირვებული ეკითხება სპინოზას და სთხოვს უფრო დაწვრილებით განმარტებას ამ უცნაური აზრის შესახებ.

და სპინოზაც იმავე წელს, 20 ნოემბერს ოლდენბურგს, ~~ქვეყნის-კლდე~~ პასუხს: ყოველმხრივი არგუმენტაციის საშუალებით ~~დაამტკიცებდა~~ ის აზრი, რომ ადამიანის სხეული უნივერსის სხეულთა კრებადობაში არავითარ გამონაკლისს არ შეადგენს და რომ მის მოძრაობას და მოქმედებას იგივე კანონები განაგებენ, რომლებიც უნივერსის დანარჩენ ნაწილებზე ბატონობენ და სხვ. მაგრამ სპინოზა ამით არ კმაყოფილდება და თავის თეორიას ავრცელებს ადამიანის სულზედაც. აი რა სწერია ამის შესახებ ამ წერილში:

„ახლა თქვენ ხედავთ, თუ რა საფუძვლითა და მოფიქრებით ვიხილავ მე ადამიანის სხეულს ბუნების ერთ ნაწილად. მაგრამ რაც შეეხება ადამიანის სულს, მე ისიც ბუნების ერთ-ერთ ნაწილად მიმჩნია. მე ვიზიარებ, რომ ბუნებაში აზროვნების დაუბოლოვებელი შესაძლებლობა არსებობს და რადგან ეს შესაძლებლობა დაუბოლოვებელია, ამიტომ მასში მთელი ბუნებაც ობიექტიურად არის მოცემული“ და სხ. (იხილეთ: Spinoza Briefweschel, übertragen von K. Cerhardt წერილები № 30 და № 32).

მეტი არგუმენტაცია საჭირო აღარ არის. მე-18 საუკუნის მატერიალისტებს, რომლებმაც ეს სახელწოდება ადამიანის განატურალისტებისათვის მოიხვეჭეს, სრული უფლება ჰქონდათ თავისთავისათვის სპინოზისტები ეწოდებინათ. სპინოზა იყო მათი ახალი და რევოლუციონური მსოფლმხედველობის პირველსათავე.

\* \* \*

სპინოზას ნააზრევის კრიტიკული მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ თან არ გავითვალისწინებდით ფილოსოფოსის შეხედულებას თავისი დროის საზოგადოების და სახელმწიფოს წესწყობილებაზე. ახალი აზრები სპინოზამ გამოსთქვა არა მარტო ადამიანზე, როგორც ბიოლოგიურ ერთეულზე, არამედ მისი აზრები ახალი და მოწინავე იყო იმ თვალთაზრისის სფეროშიაც, რომელიც ადამიანს იხილავს, როგორც სოციალურ კოლექტიურ მომქმედ მორალურ ერთეულს. თუმცაღა აქ სპინოზას უსათუოდ ემჩნევა ინგლისის ბურჟუაზიის უდიდესი ფილოსოფიური მესიტყვე თომას ჰობსის გავლენა, მაგრამ სპინოზას თავისუფლების მოყვარული და ტრადიციების სულთაძნუთაობისგან განთავისუფლების მოტრფიალე აზროვნება აქაც საკუთარ გზებს პოულობს და მომავალი თაობისათვის ბევრს საჭირ-ბოროტოდ გადაქცეულ პრობლემას აყალიბებს. ინგლისის რევოლუციის დასაწყისში ჰობსი რევოლუციის მოწინააღმდეგეთა ბანაკში რომ მოჰყვა, ეს თავის დანიშნულების გაუთვალისწინებლობა იყო მის მხრივ: ემიგრაციაში ყოფნის დროს შინაგანი რწმენით მიხვდა ჰობსსი, რომ მისი საქმე ინგლისში კეთდებოდა, და სამშობლოში დაბრუნდა. მაგრამ ჰობსის სოციალ-პოლიტიკურ ნააზრევს მისმა პოლიტიკურმა ქანაობამ ერთგვარი დაღი დაასვა. ჰობსს,



როგორც ახალგაზრდისა და ჯერ კიდევ მებრძოლი კლასის მესიტყვეს, ამ კლასის საკუთარი ხელისუფლებისა და მოწყობილ სახელმწიფო აპარატის ტრფიალი გადაეჭვა მკაცრ მონარქიზმის ტრფიალად, რომლის შინაგანი აღნაგობა დემოკრატიულ-არისტოკრატიულს ჩამოჰგავდა.

სპინოზა კი თეორიულ მოფიქრების სფეროში ჰობბსის მანგრამ რა წამს სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ხელისუფლების საკითხს დააყენებს და არჩევანს დაიწყებს, ის უმაღლვე დგება დემოკრატიის ნიადაგზე და ამტკიცებს, რომ გონიერი სახელმწიფო უნდა იყოს რესპუბლიკა, რესპუბლიკას კი ხალხი უნდა განაგებდესო. ტყუილია ის შეხედულება, გვასწავლის სპინოზა, ვითომაც მასას შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი უნარი აკლდეს. თუ მართლაც მასას შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი უნარი აკლდეს. თუ მართლაც მასას შემოქმედებითი და სახელმწიფოებრივი უნარი აკლდა, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მასები სრულს უმეცრებაში ჰყავდათ. გონების კანონების მიხედვით აშენებულ სახელმწიფოში, ე. ი. დემოკრატიაში, სადაც თვითოეული მოქალაქე შეგნებული წევრია სახელმწიფოს მთლიანი ორგანიზმისა, იქ პოლიტიკური ბრძენი და პოლიტიკურად სავსებით უმეცარი მასა არ არსებობს.

საინტერესოა ვიცოდეთ, რად სჭირდება ადამიანს უსათუოდ თავისთავზე სახელმწიფოს ხელისუფლება მიიღოს და ამით გახდეს ქვეშევრდომი? სპინოზას ეთიკის აღნიშვნით ადამიანის არსებობის მიზანი ხომ თავისუფლებისა კენ ტრფიალია და არა ქვეშევრდომად გახდომა! სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იდეალად სპინოზას თუმცა დემოკრატია მიაჩნია, მაგრამ ის, როგორც თითქმის ყველა მისი თანამედროვენიც, ანარქიზმსა და მონარქიზმს შორის, რასაკვირველია, მონარქიზმს აირჩევს.

საქმე იმაშია, რომ ადამიანში ორი სათავე სჩქეფს, ერთჯერ ის არის ბუნებრივ ძალის ობიექტი, მეორეჯერ კი ის არის პოლიტიკური ცხოველი. ადამიანები, როგორც ბუნების ობიექტები, მოქმედობენ და აზროვნობენ აფექტების მიხედვით. ეს იწვევს ინტერესთა წინააღმდეგობას, ბრძოლას და სხვ. მეორე მხრივ კი ადამიანმა, როგორც პოლიტიკურმა ცხოველმა, გამოცდილებით იცის, რომ ეს უთავბოლო ბრძოლა მავნებელია სწორედ იმისათვის, რაც ყოველი ადამიანური ბრძოლის მიზანს შეადგენს; მერე სად უნდა მოწესრიგდეს ეს წინააღმდეგობა? ცხადია, ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში, რომელიც შესძლებს რეგულიატორის როლი ითამაშოს და ადამიანის ბუნებრივ ძალთა მოძრაობა კანონის, ე. ი. გონების ძალას დაუქვემდებაროს. ასეთი ორგანიზაცია კი არის სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოიშობა სწორედ იმისათვის, რომ მოქალაქე დაიცვას და მისცეს მას საშუალება დასძლიოს აფექტი და ემსახუროს გონებას. ამიტომია რომ ადამიანის ბუნებრივ სამართლიანობის იდეას ყოველთვის პოლიტიკური სამართლიანობა ემატება და სახელმწიფო, როგორც ამ უკანასკნელის განხორციელება, არის თავისთვის ჩამოყალიბებული ორგანიზაცია.

თუმცა სახელმწიფო კოლექტივის ცნებაა, მაგრამ ის მოქმედობს, როგორც ერთი მთლიანი ინდივიდი და ცდილობს თავისი არსებობა ყოველმხრივ უზრუნველყოს და შეინარჩუნოს. აქედან ხშირად წამოიჭრება კონფლიქტი მოქალა-



ქესა და სახელმწიფოს შორის. ასეთი კონფლიქტის მოგვარების დროს სპინოზა ყოველთვის სახელმწიფოს მხარეზე დგას. მაგრამ სახელმწიფოც უნდა ცდილობდეს თავისი პოლიტიკური ორგანიზაცია ისე მოაწყოს, რომ მოქალაქის ბუნებრივი უფლებანი, ე. ი. თავდაპირველად თავისუფლების ტრფობა უნებლად არ შეულახოს და ყველასთვის წვლილი ერგოს. ერთი სიტყვით, ქვეშევრდომი უნდა იყოს მოქალაქე და არა ყურმოჭრილი მონა. „რომ შესაძლებელი იყოს ადამიანებს ისე წაართვათ მათი ბუნებრივი უფლებანი, რომ მომავალში ვერავინ ვერაფერი მოიმოქმედოს იმათი სურვილების წინააღმდეგ, ვინც სათავეში მოხვედრილა და უმაღლესი უფლება ხელთ აუღია, მაშინ შესაძლებელი იქნება ქვეშევრდომებზე უსასტიკესი და უმკაცრესი ბატონობა და ამისათვის პასუხს არავინ არ აგებდა“ (იხ. „პოლიტ.-თეოლ. ტრაქტატი“ თავი, XVII). მაგრამ საქმე იმაშია, რომ გონიერ სახელმწიფოს ასე არ შეუძლია მოიქცეს, თუ ასე მოიქცევა, ის ჰკარგავს უფლებას იყოს ორგანიზაცია ადამიანთა კეთილდღეობისა და იქცევა ბოროტებად.

ამიტომ სპინოზა მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რათა მან მოქალაქეს დაუტოვოს იმდენი უფლება, რადენიც მას უსათუოდ სჭირია, რათა იყოს თავისუფალი მოქალაქე. უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეს უნდა მიენიჭოს „ფილოსოფოსობის თავისუფლება“, ე. ი. თავისუფლება სიტყვისა და მსჯელობისა. გონიერ სახელმწიფოში „ადამიანები ისე უნდა იქცეოდნენ, რომ თავისუფლად და საქვეყნოდ აღიარებდნენ სხვადასხვა საწინააღმდეგო აზრებს, მაგრამ მაინც ერთსულოვნად ცხოვრობდნენ“. ის სახელმწიფო, რომელიც ყველა ამ მოთხოვნისას საუკეთესოდ განახორციელებს დემოკრატიული იქნება. სპინოზაც დემოკრატიის პირველი მესიტყვეა ახალს დროში.

სპინოზა არამც თუ ფილოსოფიური დოქტრინების სფეროში იყო დიდი ფრანგი რევოლიუციონერების წინამორბედი, არამედ ის მათი წინამორბედი იყო თვით სოციალ-პოლიტიკურ იდეალების გაგებაშიაც. სპინოზას სწავლა სახელმწიფოს შესახებ უსათუოდ ერთგვარი მოსამზადებელი საფეხური იყო დიდი რევოლიუციის სოციალ-პოლიტიკური იდეალებისა. პოლიტიკური სიბრძნე სპინოზამ ჰობსისაგან ისწავლა, მაგრამ ის აქ არ შეჩერდა, ისე როგორც ბურჟუაზიის რევოლიუცია ინგლისში დაიწყო, მაგრამ სრულქმნილი სახით საფრანგეთში დამთავრდა.

მაგრამ უკანონო იქნებოდა სპინოზაში მხოლოდ ბურჟუაზიის იდეოლოგი დაგვენახა. ის, რასაკვირველია, როგორც მოწინავე მოაზროვნე თავისი ეპოქისა და მაშინდელი პოლანდიელი მოქალაქე, კარგად ხედავს მომდინარე ბურჟუაზიულ კულტურას, და ამ კულტურის დამახასიათებელ მომენტებს გამოხატავს, მაგრამ სპინოზა როგორც ყველა სხვა გენიოსი, აფართოებს ამ კლასის სოციალ-პოლიტიკურს, ან სხვა მსგავს იდეალს და საკაცობრიო მოტივებისაკენ იხედება. ამას საუცხოვოდ გვიჩვენებს ზოგადი პრინციპები სპინოზას სახელმწიფოს მოძღვრებისა. სახელმწიფო კოლექტიური სამართალის იდეაა, მაგრამ ეს „კოლექტივიზაცია“ სპინოზას ესმის უფრო ფართოდ, ვიდრე ამას რომელიმე ცალმხრივი ბურჟუაზიული იდეოლოგი გაიგებდა.



სახელმწიფოში ცხოვრება აუცილებელია თავისუფლების მოყვარულ ადამიანისათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უსათუოდ თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს. მაგრამ ნამდვილი თავისუფლება გარეშე აუცილებლობიდან გამომდინარეობისა არ არსებობს; არ არსებობს იმიტომ, რომ არც ერთი ეთიური ღირებულება თავისთავად და განყენებულად არ არსებობს, არც არსებობს განყენებული ბოროტება, ან განყენებული სიკეთე — თვითუფლები კონკრეტული და თან დიალექტიური, ე. ი. ერთი მეორედან გამომდინარე და ერთი მეორეს ადგილის შემცვლელი ვითარება. ერთ წერილში სპინოზა სწერს, რომ თავისუფლება მისი გაგებით არის ის, რაიც აუცილებლობის შეგნებიდან გამომდინარეობს, ამიტომ თავისუფლებისა და აუცილებლობის შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. თავისუფლება არის შეგნებული აუცილებლობა. „თავისუფლება თვითნებობას კი არ ნიშნავს, არამედ თავისუფალ აუცილებლობას“ — გვასწავლის ჰოლანდიელი ბრძენი.

გონების ძლიერების გამარჯვება, ე. ი. ფილოსოფიის უკანასკნელი იდეალის მიღწევა, ნიშნავს სწორედ ამის შეგნებას და ამის მიხედვით პრაქტიკულ მოქმედებას. მორალური ადამიანი მარადიულად თავისუფლებისაკენ ილტვის, მაგრამ, რადგან ის ამავე დროს გონიერი ადამიანია, ამიტომ ის თავისუფლებას აუცილებლობას უფარდებს. ამიტომაც, რომ სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს ადამიანის ამ მორალურ მოთხოვნილებას უნდა ემსახურებოდეს და აწესრიგებდეს იმას, თუ რა უნდა გააკეთოს თვითუფლები წევრმა და თან რა უნდა კეთდებოდეს თვითოეული წევრის მიმართ.

კოლექტივის იდეა საუცხოოდ ნათელჰყოფს იმ დიალექტიურ კვანძს, რომელიც თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის არსებობს: „თუ ორი ერთბუნებიანი ინდივიდი შეკავშირდება, მაშინ იქმნის ერთი ახალი ინდივიდი, რომელიც ორჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე თვითოეული ცალცალკე. ადამიანისათვის არაფერი არ არის უფრო საჭირო, ვიდრე ადამიანი“, — ვკითხულობთ „ეთიკაში“ (VI. 18. შენიშვნა).

ამრიგად, სპინოზას ეთიური იდეალი პრაქტიკულად კოლექტიურ სახელმწიფოს იდეალში გადადის. „ეთიკის“ ავტორმა ძალიან კარგათ იცის, რომ ეს სწორედ „იდეალია“, რომ შეგნებული აუცილებლობა ერთი დაკვრით მისაღწევი რამ არ არის. მაგრამ გონების პროგრესი კი ამისაკენ არის მიმართული. და როდესმე ეს უნდა განხორციელდეს, გონების გამარჯვება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს. სწორი თეორია ამ სანატრელი პრაქტიკის შესავალია. მათი ერთ სინთეზსში გაერთიანება კი არის უდიდესი და უაღმაღლებელესი იდეალი.

„მაგრამ ყოველივე აღმაღლებელი იმდენადვე ძნელია რამდენადაც იშვიათი.“

*Sed omnia praeclara tam difficilia quam rara sunt.*

ამ სიტყვებით თავდება სპინოზას „ეთიკა“.





## ჩინათის რევოლუციისა და კომუნისტურის გამოცანები

(სიტყვა, წარმოთქმული კ. ი. ალ. კ-ის მე-X-ე სხდომაზე 1927 წ. 27 მაისს)

### I. ზოგიერთი წაკილმანი საკითხები

ამხანაგებო! მე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ დავიგვიანე დღეს და ვერ შევძელი მომესმინა სავსებით ამხ. ტროცკის სიტყვა, რომელიც მან წარმო-სთქვა აქ აღმასკომის სხდომაზე.

მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამხ. ტროცკიმ უკანასკნელ დღეებში ისეთი დიდი ლიტერატურა მოგვცა, იმდენი თეზისები და წერილები წარმოადგინა აღმასკომში ჩინეთის საკითხის შესახებ, რომ ჩვენ მასალებში თპოზიციის კრი-ტიკისათვის არ შეიძლება გვექნეს დანაკლისი. ამიტომ ამხ. ტროცკის შეცდომე-ბის კრიტიკის დროს, მე დავეყრდნობი ამ საბუთებს, სრულიად არ შემდის რა ექვი იმაში, რომ ეს კრიტიკა იქნება იმავე დროს ამხ. ტროცკის დღევანდელი სიტყვის საფუძვლების კრიტიკაც.

მე შევეცდები, რამდენადაც შესაძლებელია, უკუ ვაგდო პოლემიკის დროს პირადი ელემენტი.

ამხ. ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის პირადი გალაშქრება საკ. კომ. პარ. ც. კ-ის პოლიტბიუროსა და კ. ი. ა. კ.-ის პრეზიდიუმის ცალკე წევრების წინააღ-მდეგ არ არის ყურადღების ღირსი. სჩანს, რომ ტროცკის აქვს სურვილი გა-მოიყვანოს თავი რაღაც გამირად კომინტერნის აღმასკომის სხდომებზე იმ მიზ-ნით, რომ აღმასკომის მუშაობა იმის საფრთხის, ჩინეთის რევოლუციის და სხვა საკითხებზე გადააქციოს მუშაობათ ტროცკის საკითხის შესახებ. მე ვფიქ-რობ, რომ ტროცკი ასეთი დიდი ყურადღების ღირსი არ არის. (ხმა აღვილი-დან: „მართალია!“). მით უმეტეს, რომ ის უფრო აქტიორს მოგვაგონებს, ვიდ-რე გმირს, ხოლო გმირის აქტიორში არევა ყოველად დაუშვებელია. მე აღარა-ფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ ბუხარინისა და სტალინისათვის არაფერი შეუ-რაცხმყოფელი არ არის იმაში, რომ ისეთი ხალხი, როგორცაა ამხ. ამხ. ტროც-კი და ზინოვიევი, რომელთა სოციალ-დემოკრატიული გადახრა გამოააშკარავე-ბულ იქნა აღმასკომის მე VII გაფართოებული პლენუმის მიერ, სრულიად უნიადაგოდ აგინებენ ბოლშევიკებს. პირიქით, ჩემთვის უდიდესი შეურაცყოფა



იქნებოდა, რომ ამხ. ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ტიპის ნახევრად მენშევიკები მე კი არ მაგინებდენ, არამედ მაქებდენ.

მე არ გავაგრძელებ სიტყვას აგრეთვე იმის შესახებ, დაარღვია თუ არა ოპოზიციამ თავისი დღევანდელი ფრაქციული გამოსვლით 1926 წ. 16 ოქტომბრის ვალდებულებანი. ამხ. ტროცკი გვარწმუნებს, რომ ოპოზიციის მიერ 26 წ. 16 ოქტომბერს გამოქვეყნებული დეკლარაციით, მას უფლებამოსილება აქვს თავისი შეხედულებანი. ეს რასაკვირველია, ნართალია. მაგრამ თუ ამხ. ტროცკი ფიქრობს იმის მტკიცებას, რომ დეკლარაცია ამით ამოიწურება, მაშინ მას (მტკიცებას) არ შეიძლება ვუწოდოთ სხვა სახელწოდება, თუ არა სოფიზმი. ოპოზიციის 16 ოქტომბრის დეკლარაციაში ლაპარაკია არა მარტო ოპოზიციის უფლებაზე, დაიცვას თავისი შეხედულება, არამედ იმის შესახებაც, რომ ამ შეხედულებათა დაცვა შეიძლება მხოლოდ პარტიული თვალსაზრისით დასაშვებ ფარგლებში, რომ ფრაქციულობა მოსპობილი და უკუგდებული უნდა იქნეს, რომ ოპოზიცია ვალდებულია უსიტყვოთ დაემორჩილოს პარტიის ნებას და ც. კ—ის დადგენილებებს, რომ ოპოზიცია არამც თუ უნდა დაემორჩილოს ამ დადგენილებებს, არამედ კეთილსინდისიერად უნდა „გაატაროს“ ისინი ცხოვრებაში. საჭიროა თუ არა კიდევ ყოველივე ამის შემდეგ იმის მტკიცება, რომ ოპოზიციის დეკლარაცია 1926 წლის 16 ოქტომბრიდან დარღვეულია და უხეშად დაგლეჯილია მათ მიერ.

არ გავაგრძელებ აგრეთვე სიტყვას საკ. კომ. პარ. ც. კ—ის და კომინტერნის პოზიციის შეუფერებელ და უხეშად გაყალბების გამო ჩინეთის საკითხის შესახებ, რომელიც მოცემულია ოპოზიციის მრავალრიცხოვან თეზისებში, სიტყვებში და წერილებში. ამხ. ამხ. ტროცკი და ზინოვიევი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ საკ. კომ. პარტ. ც. კ—ი და კომინტერნი ატარებდენ და ატარებენ ეროვნული ბურჟუაზიის დაცვის პოლიტიკას ჩინეთში. ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ამხ. ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ეს დებულება წარმოადგენს მათი გონების ნაყოფს, ცილისწამებას, საკითხის განზრახ დამახინჯებას. ნამდვილად კი საკ. კომ. პარ. ც. კ—ი და კომინტერნი ატარებდენ არა ეროვნული ბურჟუაზიის დაცვის პოლიტიკას, არამედ ეროვნული ბურჟუაზიის გამოყენების პოლიტიკას, სანამ რევოლუციის ჩინეთში ჰქონდა საერთო-ეროვნული მთლიანი ფრონტის სახე. და ეს პოლიტიკა მათ შესცვალეს შეიარაღებული ბრძოლის პოლიტიკით ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ მას შემდეგ, როდესაც რევოლუცია ჩინეთში გადაიქცა აგრარულ რევოლუციად, ხოლო ეროვნულმა ბურჟუაზიამ იწყო ჩამოცილება რევოლუციისაგან. საკმარისია გადახედოთ ისეთ საბუთებს, როგორცაა მე-VII გაფართოებული პლენუმის რეზოლუცია, კომინტერნის აღმასკომის ცნობილი მოწოდება, ამხ. სტალინის თეზისები პროპაგანდისტებისათვის, და ბოლოს, ამხ. ბუხარინის თეზისები, წარდგენილი ამ დღეებში კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმში, — რომ დარწმუნდეთ ამაში, ოპოზიციის უბედურება სწორეთ იმაში გამოიხატება, რომ მას არ შეუძლია არ მიმართოს ცილისწამებასა და დამახინჯებას.

გადავიდეთ პირდაპირ საკითხზე.



## 2. აგრარულ-გლეხური რევოლუცია, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველი

ამხ. ტროცკის ძირითადი შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ მას არ ესმის ჩინეთის რევოლუციის აზრი და ხასიათი. კომინტერნი გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდან, რომ ამჟამად ჩინეთში ჩაგვრის უმთავრესი ფაქტორს, რომელიც აძლევს სტიმულს აგრარულ რევოლუციას, წარმოადგენს ფეოდალიზმის ნაშთები. კომინტერნი გამომდინარეობს იქიდან, რომ ფეოდალიზმის ნაშთები ჩინეთის სოფელში და ამ ნაშთების მთელი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენი ყველა მისი დხიუდხიუნებით, გუბერნატორებით, გენერლებით, ჩანძო-ლინებით და სხვა, — წარმოადგენს იმ ბაზას, რომლის ნიადაგზე აღმოცენდა და თანდათანობით ფართო ხასიათს იღებს აგრარული რევოლუცია. თუ მთელ რიგ პროვინციებში გლეხის შემოსავლის 70 პროც. ეკუთვნის მემამულეს და დეენტრის, თუ მემამულენი, როგორც შეიარაღებულნი ისე შეუიარაღებელნი, წარმოადგენენ არა მარტო ეკონომიურ, არამედ ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებას, თუ დღემდის მთელ რიგ პროვინციებში სწარმოებს ქალების და ბავშვების ყიდვა-გაყიდვა საშუალო საუკუნოების წესით, — მაშინ არ შეიძლება არ ვალიაროთ, რომ ფეოდალური ნაშთები წარმოადგენენ ჩაგვრის ძირითად ფორმას ჩინეთის პროვინციებში. მხოლოდ იმიტომ, რომ ფეოდალური ნაშთები მთელი თავისი მილიტარისტულ-ბიუროკრატიული ზედნაშენით წარმოადგენენ ჩაგვრის ძირითად ფორმას ჩინეთში, — სწორედ ამიტომ განიცდის ჩინეთი ამჟამად უდიდესს თავის სიძლიერითა და გაქანებით აგრარულ რევოლუციას. ხოლო რას წარმოადგენს აგრარული რევოლუცია? ის წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის საფუძველსა და შინაარსს. სწორედ ამიტომ ამბობს კომინტერნი, რომ ჩინეთი ამჟამათ განიცდის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას.

მაგრამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში მიმართულია არა მარტო ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ. ის, ამავე დროს, მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგაც. რატომ? იმიტომ, რომ იმპერიალიზმი მთელი თავისი ფინანსიური და სამხედრო ძლიერებით ჩინეთში წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც იცავს, ამხნეებს, ანვითარებს და ამტკიცებს ფეოდალურ ნაშთებს მთელი მისი ბურჟუაზიულ-მილიტარისტული ზედნაშენით. იმიტომ, რომ შეუძლებელია ფეოდალური ნაშთების მოსპობა ჩინეთში. თუ იმავე დროს არ აწარმოვე რევოლუციონური ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში იმიტომ, რომ თუ არ აწარმოვე გადამწყვეტი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, შეუძლებელია ფეოდალური ნაშთების ჩაკვლა და მოსპობა ჩინეთში. სწორედ ამიტომ ამბობს კომინტერნი, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში წარმოადგენს იმავე დროს ანტი-იმპერიალისტურ რევოლუციას.

ამრიგად, თანამედროვე რევოლუცია ჩინეთში წარმოადგენს რევოლუციონური მოძრაობის ორი ნაკადის შეერთებას: პირველი ნაკადი არის მოძრაობა ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ, მეორე — იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ბურ-



ეუზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში წარმოადგენს ფეოდალური ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის დაკავშირებას ბრძოლასთან იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ასეთია კომინტერნის გამოსავალი პუნქტი (და მაშასადამე, საკ. კომ. პარ. ც. კ-ისა) ჩინეთის რევოლუციის საკითხის შესახებ.

ხოლო როგორია ამხ. ტროცკის პოზიციის თვალსაზრისით ჩინეთის საკითხზე? ის პირდაპირ ეწინააღმდეგება კომინტერნის თვალსაზრისს, რომელიც ჩვენ განვიხილეთ. ამხ. ტროცკი ან სრულიად არ სცნობს ჩინეთში ფეოდალური ნაშთების არსებობას, ან და არ აკუთვნებს მათ გადამწყვეტ მნიშვნელობას. ამხ. ტროცკი (და, მაშასადამე, ოპოზიცია) ვერ აფასებს რა სათანადოთ ჩინეთში ფეოდალურ-ბიუროკრატიულ ჩაგვრის ძალასა და მნიშვნელობას, ფიქრობს, რომ ჩინეთის ეროვნული რევოლუციის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ჩინეთის სახელმწიფოებრივი—საბაჟო დამოკიდებულება იმპერიალისტური ქვეყნებისაგან. ნება მომეცით მივითითოთ ამხ. ტროცკის თეზისებზე, რომელიც გადაეცა საკ. კომ. პარ. ც. კ—ს და კომინტერნის აღმასკომს რამოდენიმე დღის წინათ. ამხ. ტროცკის თეზისების სათაურია: „ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები“. აი რას სწერს ამხ. ტროცკი ამ თეზისებში:

„აბსოლუტურათ უნიადაგოა ამხ. ბუხარინის ცდა გაამართლოს ოპორტუნისტული, შემთანხმებელი ხაზი მით, რომ, თითქოს, ჩინეთის ეკონომიკაში უმთავრესი როლი ეკუთვნის „ფეოდალიზმის ნაშთებს“. კიდევ რომ ჩინეთის რევოლუციის შეფასება ამხ. ბუხარინის მიერ დამყარებული იყოს ეკონომიურ ანალიზზე, და არა სქოლასტიურ განმარტებებზე, „ფეოდალიზმის ნაშთები“ სულ ერთია მაინც ვერ გააძარტლებდენ იმ პოლიტიკას, რომელმაც აშკარად გაადვილა აპრილის გადატრიალება. ჩინეთის რევოლუციას ეროვნულ-ბურჟუაზიული ხასიათი აქვს იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ ჩინეთის კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა განვითარება დაეჯახა ჩინეთის სახელმწიფოებრივ—საბაჟო<sup>1)</sup> დამოკიდებულებას იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან“ (იხ. ტროცკი, „ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები“). თუ ყურადღებით არ ჩაუყვირდით ამ ციტატას, შეიძლება იფიქროთ, რომ ამხ. ტროცკი იბრძვის არა კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ, ჩინეთის რევოლუციის ხასიათის საკითხში, არამედ ამხ. ბუხარინის „შემთანხმებელი“ პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს რასაკვირველია, სწორი არ არის. ნამდვილათ, ამ ციტატაში ლაპარაკია ჩინეთში ფეოდალური ნაშთების „უპირატესობის“ უარყოფაზე. ნამდვილათ, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ამჟამათ ჩინეთში წარმოებული აგრარული რევოლუცია, რომელიც თანდათანობით ფართოვდება, აღიარებულ იქნას ზერელე რევოლუციათ, ასე ვთქვათ, საბაჟო სისტემის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციათ. ლაყბობა ამხ. ბუხარინის „შემთანხმებელი პოლიტიკის“ შესახებ დასჭირდა ამხ. ტროცკის იმისათვის, რომ დაეფარა თავისი უკანდახვევა კომინტერნის ხაზისაგან. ვიტყვი პირდაპირ, რომ ეს არის ამხ. ტროცკის ჩვეულებრივი უსინდისო ხერხი.

საზგანმულოა ჩემ მიერ, ი. სტალინი.



ამრიგად, ტროცკის მიხედვით გამოდის, რომ ფეოდალური ნაშთები ჩინეთში, მთელი თავისი მილიტარისტულ ბიუროკრატიული ზედნაშენით წარმოადგენს ამჟამათ არა ჩინეთის რევოლუციის ძირითად მიხეზს, არამედ მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო ძალას, რომელიც მხოლოდ იმის ღირსია, რომ ჩასმული იქნეს ბრჭყალებში.

ტროცკის მიხედვით გამოდის, რომ ჩინეთის ეროვნული რევოლუციის ძირითად მიხეზს წარმოადგენს ჩინეთის საბაჟო დამოკიდებულება იმპერიალისტებისაგან. რომ რევოლუცია ჩინეთში, ამის გამო არის, ასე ვსთქვათ, საბაჟოსისტემის წინააღმდეგ მიმართული რევოლუცია.

ასეთია ამხ. ტროცკის კონცეპციის ამოსავალი წერტილი. ასეთია ამხ. ტროცკის თვალსაზრისი ჩინეთის რევოლუციის ხასიათზე.

ნება მომეცით აღვნიშნო, რომ ეს თვალსაზრისი წარმოადგენს „მისი უდიდებულესობის“ ჩჟან-ძო-ლინის პირველხარისხოვანი მოხელეების თვალსაზრისს.

თუ ამხ. ტროცკის თვალსაზრისი სწორია, მაშინ უნდა ვალიაროთ, რომ მართალი არიან ჩან-ძო-ლინი და ჩან-კაი-ში, რომელთაც არ სურთ არც აგრარული და არც მუშათა რევოლუცია, და რომლებიც მიისწრაფიან მხოლოდ იმისაკენ, რომ დაარღვიონ უთანასწორო ხელშეკრულებანი და დააწესონ ჩინეთის საბაჟო ავტონომია. ამხ. ტროცკიმ მიიღო ჩან-ძო-ლინისა და ჩან-კაი-შის მოხელეების თვალსაზრისი.

თუ ფეოდალიზმის ნაშთები ბრჭყალებში უნდა ჩაისვას; თუ ამხ. ბუხარინი და მაშასადამე, კომინტერნიც, არ არიან მართალნი იმაში, რომ ფეოდალიზმის ნაშთებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს რევოლუციის არსებულ საფეხურზე; თუ ჩინეთის რევოლუციის საფუძველს წარმოადგენს საბაჟო დამოკიდებულება და არა ბრძოლა ფეოდალიზმის ნაშთების და მათი დამცველი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, — მაშინ რაღა რჩება აგრარული რევოლუციისაგან ჩინეთში? საიდან გაჩნდა აგრარული რევოლუცია მეშამულეთა მიწების კონფისკაციისა და ნაციონალიზაციის მოთხოვნისა? რა საფუძვლით სთვლიან ამ შემთხვევაში ჩინეთის რევოლუციას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციად? ნუ თუ აგრარულ რევოლუციას შეეძლო ჩამოვარდნილიყო ციდან? განა ის ფაქტი არ არის, რომ გლეხობის მილიონები და ათეული მილიონები ჩაბმულია უდიდეს აგრარულ რევოლუციაში ისეთ პროვინციებში, როგორცაა ხუნანი, ხუბეი, ხენანი და სხვ., სადაც გლეხობა ამყარებს თავის ხელისუფლებას, თავის სასამართლოს, აწყობს თვითდაცვას, აძევებს რა მეშამულეებს და უსწორდება მათ თავისებურად („ისი პლენუმის“)? საიდან შეიძლებოდა აღმოცენებულიყო გლეხობის ათეულ მილიონების ასეთი ძლიერი აგრარული მოძრაობა, თუ რომ ფეოდალურ-მილიტარისტული ჩაგვრა არ წარმოადგენს ჩაგვრის უმთავრეს ფორმას ჩინეთში? როგორ შეეძლო გლეხობის ათეულ მილიონთა ძლევამოსილ მოძრაობას მიეღო ამასთანავე ანტი-იმპერიალისტური ხასიათი, თუ არ დაუშვებთ, რომ იმპერიალიზმი წარმოადგენს ჩინეთის ხალხის ფეოდალურ-მილიტარისტულ მჩაგვრელთა ძირითად მოკავშირეს? განა ის ფაქტი არ არის, რომ გლეხურ კავშირში მარტო ხუნანის პროვინციაში ირიცხება ამჟამად ორ ნახევარ მილიონ წევრზე მე-



ტი? ხოლო რამდენია მათი რიცხვი ხუბეიში, ხენანში, და რამდენი იქნება მათი რაოდენობა უახლოეს მომავალში ჩინეთის დანარჩენ პროვინციებში? მაშ რას წარმოადგენენ „წითელი პიკები“ კუჭშიმხმართა კავშირები („*кучи подтянутых животов*“) და სხვა, — ნუ თუ ყოველივე ეს მხოლოდ გამოგონებულია და არა რეალობა? ნუ თუ შეიძლება სერიოზული მტკიცება იმისა, რომ ჩინეთში მილიონიან გლეხების აგრარული რევოლუცია შემამულეთა მიწებს — კანსუის კანსუის ლოზუნგით მიმართულია უეჭველად არა ნანდვილი ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, არამედ ოცნებით შეთხზულ ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძკვალეში? განა ცხადი არ არის, რომ ამხ. ტროცკიმ გაიზიარა „მისი უდიდებულესობის“ ჩან-ძო-ლინის მოხელეების თვალსაზრისი? ამრიგად, ჩვენ გვაქვს ორი ძირითადი ხაზი:

ა) **კომინტერნის ხაზი**, რომელიც ითვალისწინებს ფეოდალური ნაშთების არსებობას ჩინეთში, როგორც ჩაგვრის უმთავრეს ფორმას, ძლევამოსილ აგრარულ მოძრაობის გადამწყვეტ მნიშვნელობას, ფეოდალური ნაშთების კავშირს იმპერიალიზმთან, ჩინეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათს და ბრძოლის გამწვავებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ბ) **ამხ. ტროცკის ხაზი**, რომელიც უარყოფს ფეოდალურ-მილიტარისტულ ჩაგვრის უპირატეს მნიშვნელობას, ვერ ამჩნევს აგრარულ-რევოლუციონური მოძრაობის გადამწყვეტ მნიშვნელობას ჩინეთში და ჩინეთის რევოლუციის ანტი-იმპერიალისტურ ხასიათს, განსაზღვრავს ჩინეთის კაპიტალიზმის ინტერესებით, რომელიც მოითხოვს ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობას.

ამხ. ტროცკის (და მაშასადამე, ოპოზიციისაც) ძირითადი შეცდომა გამოიხატება იმაში, რომ ის სათანადოთ ვერ აფასებს აგრარულ რევოლუციას ჩინეთში, ვერ ერკვევა ამ რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათში უარყოფს მრავალ მილიონიან აგრარულ მოძრაობის წინამძღვრებს ჩინეთში, ვერ აფასებს გლეხობის როლს ჩინეთის რევოლუციაში.

ეს შეცდომა ახალი არ არის ამხ. ტროცკისათვის. ის ზედმიწევნით დამახასიათებელია ამხ. ტროცკის მთელი ხაზისათვის ბოლშევიზმთან ბრძოლის მთელი პერიოდის განმავლობაში. გლეხობის როლის შეუფასებლობა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლუციაში წარმოადგენს იმ შეცდომას, რომელიც თანსდევს ამხ. ტროცკის 1905 წლიდან, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამომჟღავნდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინ და რომელიც დღემდის ახასიათებს მას.

ნება მომეცით დავასახელო რამოდენიმე ფაქტი ამხ. ტროცკის ბრძოლიდან ლენინიზმის წინააღმდეგ, მაგ. 1917 წ. თებერვლის რევოლუციის წინა დროიდან, როდესაც ჩვენ მივდიოდით რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის გამარჯვებისაკენ. ამხ. ტროცკი მაშინ ამტკიცებდა, რომ რადგან გლეხობაში გაძლიერდა დიფერენციაცია, რადგან ჩვენ გვაქვს იმპერიალიზმი და პროლეტარიატი თავის თავს უპირისპირებს ბურჟუაზიულ ერს, გლეხობის როლი თანდათანობით დაეცემა, ხოლო აგრარულ რევოლუციას არ ექნება ის მნიშვნელობა, რომელსაც აკუთვნებდნენ მას 1905 წელში. რას უპასუხებდა ამაზე



ლენინი? ნება მომეცით მოვიყვანო ციტატა ლენინის 1915 წ. ნაწერებიდან გლეხობის როლის საკითხზე რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისაში:

„ტროცკის ორგინალური თეორია (ლაპარაკია ტროცკის „პერინენტულ“ რევოლუციისაზე. ი. სტ.) სესხულობს ბოლშევიკებისაგან მოწოდებას პროლეტარიატის გადამწყვეტ რევოლუციონური ბრძოლისაკენ და მის მიერ ქვეყნის დიქტატორული ძალა-უფლების დაპყრობისაკენ, ხოლო მენშევიკებისაგან — გლეხობის უარყოფას“. გლეხობა თითქოს დანაწილდა ფენებად, მასში მოხდა დიფერენციაცია; მისი მოსალოდნელი რევოლუციონური როლი თანდათანობით სუსტდება. რუსეთში შეუძლებელია „ეროვნული“ რევოლუცია: „ჩვენ ვცხოვრობთ იმპერიალიზმის ეპოქაში“, ხოლო „იმპერიალიზმი ბურჟუაზიულ ერს კი არ უპირისპირებს ძველ რეჟიმს, არამედ პროლეტარიატს უპირისპირებს ბურჟუაზიულ ერს“.

აი — „სიტყვა იმპერიალიზმით თამაშის“ სასაცილო მაგალითი. თუ რუსეთში პროლეტარიატი უკვე უპირისპირდება „ბურჟუაზიულ ერს“, მაშინ, მაშასადამე, რუსეთი პირდაპირ **სოციალისტური** რევოლუციის წინაშე სდგას!! მაშინ სწორი არ არის „მემამულეთა მიწების კონფისკაცია“ ლოზუნგი (რომელსაც ტროცკი იმეორებს 1915 წლიდან, 1912 წლის იანვრის კონფერენციის შემდეგ). მაშინ უნდა ლაპარაკობდე არა „რევოლუციონურ მუშაზე“ არამედ „მუშაზე **სოციალისტურ** მთავრობაში!! სანამდის მიდის ტროცკის გაურკვეველობა, სჩანს მისი სიტყვიდან, რომ პროლეტარიატი თავის გამბედაობით თანგაიყოლიებს „არა პროლეტარულ (!) ხალხურ მასებს“ (№ 217)!! ტროცკიმ არ მოიფიქრა, რომ თუ პროლეტარიატი თანგაიყოლიებს სოფლის არა პროლეტარულ მასებს მემამულეთა მიწების კონფისკაციისაკენ და დაამხობს მონარქიას, ეს იქნება „ეროვნული ბურჟუაზიული რევოლუციის“ დაგვირგვინება, ეს იქნება **პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურა!** <sup>1)</sup>,

უდიდესმა ათმა წელმა 1905-დან 1915 წლამდე დაამტკიცა მხოლოდ და ფენებად რუსეთის რევოლუციის ორი კლასიური ხაზის არსებობა. გლეხობის მხოლოდ დანაწილებამ გააძლიერა მის შიგნით კლასიური ბრძოლა, გამოაღვიძა მრავალიპოლიტიკურად მთვლემარე ელემენტი, დაუახლოვა ქალაქის პროლეტარიატს სოფლის პროლეტარიატი (მის **განსაკუთრებულ** ორგანიზაციას ბოლშევიკები მოითხოვედნ 1906 წლიდან და შეიტანეს ეს მოთხოვნები რევოლუციისაში სტოპვოლის, მენშევიკურ ყრილობაზე). მაგრამ „გლეხობისა“ და მარკოვ-რომანოვების ანტაგონიზმი გაძლიერდა, გაიზარდა და გამწვავდა. ეს ისეთი აშკარა კეშმარიტებაა, რომ ტროცკის პარიზული წერილების ათასი სიტყვაც კი ვერ „გააბათილებს“ მას. ტროცკი საქმით ეხმარება ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებს რუსეთში, რომელთაც გლეხობის როლის „უარყოფა“ ესმით როგორც გლეხობის რევოლუციონური ამოძრავების **სურვილის არ ქონება**. ხოლო ამაშია საკითხის სიმძიმე“ (იხ. ლენინი, XIII ტ. გვ. 213-214).

აი, ამხ. ტროცკის სქემის თავისებურება, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ის ამჩნევს ბურჟუაზიას, ამჩნევს პროლეტარიატს, მაგრამ ვერ ამჩნევს გლე-

<sup>1)</sup> ხაზგასმულია ჩემ მიერ.



ხობას და არ ესმის მისი როლი ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში, — სწორედ ეს თავისებურება წარმოადგენს ოპოზიციის ძირითად შეცდომას ჩინეთის საკითხში.

სწორედ ამაში გამოიხატება ამხ. ტროცკის და ოპოზიციის ნათქვამად მენშევიზმი ჩინეთის რევოლუციის ხასიათის განსაზღვრაში.

ამ ძირითადი შეცდომიდან გამომდინარეობენ ოპოზიციის ყველა დანარჩენი შეცდომები და ყოველგვარი გაუგებრობა, რომელსაც ადგილი აქვს ოპოზიციას თეზისებში ჩინეთის საკითხზე.

**მ. მემარჯვენეთა გომინდანი ნანკინში, რომელიც ანადგურებს კომუნისტებს, და მემარცხენეთა გომინდანი უხანში, რომელიც იცავს კავშირს კომუნისტებთან.**

ავილოთ, მაგალითად, საკითხი უხანის შესახებ. კომინტერნის თვალსაზრისი უხანის რევოლუციონური როლის შესახებ ყველასათვის ცნობილია და აშკარა. ვინაიდან ჩინეთი განიცდის აგრარულ რევოლუციას; ვინაიდან აგრარული რევოლუციის გამარჯვება წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას, პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციონური დიქტატურის გამარჯვებას; ვინაიდან ნანკინი წარმოადგენს ეროვნული კონტრ-რევოლუციის ცენტრს, ხოლო უხანი რევოლუციონური მოძრაობის ცენტრია ჩინეთში, — ამიტომ საჭიროა უხანის გომინდანისათვის მხარის დაჭერა, საჭიროა კომუნისტების მონაწილეობა ამ გომინდანში და მის რევოლუციონურ მთავრობაში, იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილი იქნება პროლეტარიატისა და მისი პარტიის ჰეგემონია, როგორც გომინდანში, ისე გომინდანის გარეთ. ეხლანდელი უხანის მთავრობა წარმოადგენს თუ არა პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოს? არა, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს და არც თუ მალე გახდება ჯერ-ჯერობითა სეთ ორგანოთ. მაგრამ მას აქვს ყველა შანსები გადაიქცეს ასეთ ორგანოთ რევოლუციის შემდეგი განვითარების პროცესში, ამ რევოლუციის წარმატებებთან ერთად.

ასეთია კომინტერნის თვალსაზრისი.

სრულიად სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს ამხ. ტროცკი. ის ფიქრობს, რომ უხანი არის ფიქცია, და არა რევოლუციონური მოძრაობის ცენტრი. იმის შეკითხვაზე, თუ რას წარმოადგენს ამჟამად მემარცხენე გომინდანი, ამხ. ტროცკი უპასუხებს: „ჯერ კიდევ არაფერს, ან თითქმის არაფერს“ (იხ. ტროცკი, „ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები“). დაუშვათ, რომ უხანი წარმოადგენს ფიქციას. მაგრამ თუ უხანი წარმოადგენს ფიქციას, რატომ არ მოითხოვს ამხ. ტროცკი გადამწყვეტ ბრძოლას ამ ფიქციის წინააღმდეგ? რამდენი ხანია, რაც კომუნისტებმა დაიწყეს ფიქციისათვის მხარის დაჭერა, ფიქციაში მონაწილეობა, ფიქციის მეთაურობა და სხვა? განა ის ფაქტი არ არის, რომ კომუნისტები ვალდებული არიან ებრძოლონ ფიქციას? განა ის ფაქტი არ არის, რომ ფიქციასთან ბრძოლის უარყოფა კომუნისტების მხრივ წარმოადგენს პროლეტარიატის და გლეხობის მოტყუილებას? მაშ, რატომ არ მოითხოვს ამხ. ტროცკი



გამოეცხადოს ბრძოლა ფიქციას, თუ გინდ კომუნისტების დაუყოვნებლივი გასვლით უხანის გომინდანისა და უხანის მთავრობიდან? რატომ იძლევა ამხ. ტროცკი წინადადებას, რომ კომუნისტები დარჩენ ამ ფიქციაში, არ გავიდნენ მისი შემადგენლობიდან? სად არის აქ ლოლიკა? განა ეს ლოგიური წინააღმდეგობა არ აიხსნება მით, რომ ამხ. ტროცკიმ გაილაშქრა რა უხანის წინააღმდეგ და უწოდა მას ფიქცია, შემდეგ შეშინდა და ვერ გაბედა შესაფერის დასკვნას თავის თეზისებში?

ან და, მაგალითად, ავიღოთ ამხ. ზინოვიევი. თავის თეზისებში, რომელიც დაუბრუნდა საკ. კომ. პარ. ც-კ. პლენუმს ამა წლის აპრილში, ამხ. ზინოვიევი კვალიფიციას უკეთებს უხანის გომინდანს, როგორც 1920 წლის პერიოდის ქემალისტების მთავრობას. მაგრამ ქემალისტების მთავრობა ეს არის მთავრობა ბრძოლისა მუშების და გლეხების წინააღმდეგ, — მთავრობა, სადაც კომუნისტებს არ აქვს ადგილი და არც უნდა ჰქონდეს. უხანის ასეთი კვალიფიციის შემდეგ, თითქოს, შესაძლებელი უნდა იყოს ერთი დასკვნა: გადამწყვეტი ბრძოლა უხანთან, უხანის მთავრობის დამხობა. მაგრამ ასე შეიძლება იფიქროს ჩვეულებრივმა ხალხმა ჩვეულებრივი ადამიანური ლოდიკით. ასე არ ფიქრობს ამხ. ზინოვიევი. ახასიათებს რა უხანის მთავრობას ხანკოუში, როგორც ქემალისტების მთავრობას, ის ამასთანავე ერთად წინადადებას იძლევა ზედმიწევნით ენერგიული დახმარება გაუწიოს ამ მთავრობას, არ გამოვიდნენ კომუნისტები მისი შემადგენლობიდან, არ ჩამოსცილდნენ გომინდანს უხანში და სხვა. ის პირდაპირ ამბობს: „საჭიროა უდიდესი ენერგიული და ყოველმხრივი დახმარება ხანკოუს მთავრობისათვის, რომ იქიდან მოეწიოს შეტევა კავენიაკების წინააღმდეგ. უახლოეს ხანებში საჭიროა ძალთა მოკრეფა იმისათვის, რომ დახმარება გაეწიოს მათ მოწყობასა და განმტკიცებას ხანკოუში“ (იხ. ზინოვიევის თეზისები). დეე, გაერკვიოს, ვისაც შეუძლია! ამხ. ტროცკი ამბობს, რომ უხანი წარმოადგენს ფიქციას. ამხ. ზინოვიევი, პირიქით, ამტკიცებს, რომ უხანი ქემალისტების მთავრობაა. აქედან გამოყვანილი უნდა იქნეს დასკვნა: ბრძოლა ფიქციასთან, ან ბრძოლა უხანის მთავრობის დასამხობად. ხოლო, როგორც ამხ. ტროცკი, ისე ამხ. ზინოვიევი უკან იხევენ ამ დასკვნისაგან. ამხ. ზინოვიევი კიდევ უფრო შორს მიდის, მოითხოვს რა „ხანკოუსათვის ენერგიულ და ყოველმხრივ დახმარებას“. რაზედ ლაპარაკობს ყოველივე ეს? იმაზე, რომ ოპოზიცია საბოლოოთ გაიხლართა წინააღმდეგობაში, მან დაჰკარგა ლოგიური აზროვნების უნარი და ყოველგვარი პერსპექტივა.

შეხედულებათა ბუნდოვანება, ყოველგვარი პერსპექტივის დაკარგვა უხანის საკითხში, — ასეთია ამხ. ტროცკის და ოპოზიციის თვალსაზრისი, თუ ბუნდოვანებას შეიძლება ვუწოდოთ თვალსაზრისი.

#### 4. მუშათა და გლეხთა დეკუბატების საგომების შესახებ ჩინეთში

ანდა, ავიღოთ, მაგალითად, საკითხი მუშათა და გლეხთა საბჭოების შესახებ ჩინეთში. საბჭოების ორგანიზაციის საკითხის შესახებ ჩვენ გვაქვს სამი რეზოლიუცია, რომელიც მოცემულია კომინტერნის მე-II-ე კონგრესზე: ლენინის



თეზისები არაპროლეტარულ, გლეხურ საბჭოების შექმნის შესახებ ჩამორჩენილ ქვეყნებში, როის თეზისები მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნის შესახებ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ჩინეთი და ინდოეთი, და სპეციალური თეზისები იმის შესახებ, თუ „როდის და როგორ პირობებშია შესაძლებელი მუშათა დეპუტატების საბჭოები“.

ლენინის თეზისებში ლაპარაკია „გლეხურ“, „სახალხო“ არაპროლეტარულ საბჭოების შექმნაზე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა თურქესტანი, სადაც არ არის, ან თითქმის არ არის, სამრეწველო პროლეტარიატი. ლენინის თეზისებში არ არის ერთი სიტყვა მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნაზე ასეთ ქვეყნებში. ამასთანავე ლენინის თეზისები ერთ-ერთ აუცილებელ პირობათ ჩამორჩენილ ქვეყნებში „გლეხურ“ „სახალხო“ საბჭოების შექმნისა და განვითარებისათვის სთვლიან ასეთ ქვეყნებში რევოლუციისთვის პირდიპირი მზარის დაქვრას ს. ს. რ. კ. პროლეტარიატის მხრივ. ცხადია, რომ ამ თეზისებს მხედველობაში აქვს არა ჩინეთი ან ინდოეთი, სადაც არსებობს სამრეწველო პროლეტარიატის განსაზღვრული მინიმუმი, და სადაც მუშათა საბჭოების შექმნა, გარკვეულ პირობებში, წარმოაოგენს გლეხური საბჭოების შექმნის წინასწარ პირობებს, არამედ სავა, უფრო ჩამორჩენილი, ქვეყნები მსგავსი სპარსეთისა და სხვა.

ამხ. როის თეზისებს მხედველობაში აქვს, უმთავრესად, ჩინეთი და ინდოეთი, სადაც არის სამრეწველო პროლეტარიატი. ამ თეზისებში მოცემულია წინადადება, განსაზღვრულ პირობებში, გარდამავალ პერიოდში ბურჟუაზიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე, — დაარსებულ იქნას მუშათა და გლეხთა საბჭოები. ცხადია, რომ ამ თეზისებს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩინეთთან.

მე-II-ე კონგრესის განსაკუთრებული თეზისები სათაურით „როდის და როგორ პირობებში შეიძლება მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა“, არკვევენ მუშათა დეპუტატების როლს რუსეთისა და გერმანიის რევოლუციის გამოცდილებათა საფუძველზე. ეს თეზისები ამტკიცებენ, რომ „საბჭოები პროლეტარული რევოლუციის გარეშე აუცილებლად იღებენ საბჭოების პაროდის სახეს“. ცხადია, რომ ჩინეთში მუშათა და გლეხთა საბჭოების დაუყოვნებლივად შექმნის საკითხის განხილვის დროს ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ეს უკანასკნელი თეზისებიც.

როგორ სდგას საკითხი ჩინეთში მუშათა და გლეხთა საბჭოების დაუყოვნებლივი შექმნის შესახებ, თუ მხედველობაში მივიღებთ ამავე დროს, ერთის მხრით ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას ამჟამად და უხანში გომინდანიის, როგორც რევოლუციონური მოძრაობის ცენტრის არსებობას, და მეორე მხრით კომინტერნის მე-II კონგრესის უკანასკნელ თეზისების მითითებას?

ამჟამად მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნა, მაგალითად, უხანის მთავრობის მოქმედების რაიონში, — ნიშნავს ორგვარი ხელისუფლების შექმნას, მემარცხენე გომინდანიის დამხობისა და ჩინეთში ახალი, საბჭოთა ხელისუფლების შექმნის ლოზუნგის წამოყენებას. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ ბრძოლის ორგანოებს არსებული ხელისუფლების ჩამოსაგდებათ,



ახალი ხელისუფლებისათვის მებრძოლ ორგანოებს. მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გაჩენას არ შეუძლია არ შექმნას ორგვარი ხელისუფლება, ხოლო ორგვარი ხელისუფლების არსებობას არ შეუძლია არ გაამწვავოს საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს **მთელი** ძალაუფლება. ასეთი იყო მდგომარეობა რუსეთში 1917 წ. მარტში, აპრილში, მაისში და ივნისში მაშინ არსებობდა დროებითი მთავრობა, რომელსაც ხელთ ჰქონდა ხელისუფლება, მაგრამ შედარებით უფრო რეალური, რადგან მას ჯერ კიდევ უკერდენ მხარს ჯარები. ამასთანავე ერთად არსებობდნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, რომელთაც აგრეთვე ნახევრათ ხელთ ებყრათ ხელისუფლება, თუმცა არა იმდენათ რეალური, როგორც დროებით მთავრობას. ბოლშევიკების ლოზუნგი იყო მაშინ დროებითი მთავრობის დამხობა და მის მიერ **მთელი** ხელისუფლების მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებისათვის გადაცემა.

არც ერთი ბოლშევიკთაგანი არ ფიქრობდა მაშინ დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შესვლას, რადგან შეუძლებელია შესვლა მთავრობის შემადგენლობაში, როდესაც სცდილობ მის დამხობას. შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ რუსეთის მდგომარეობა 1917 წლის მარტი — ივნისის განმავლობაში ანალოგიურია ჩინეთის დღევანდელ მდგომარეობასთან? არა, არ შეიძლება. ამის დადასტურება შეუძლებელია არა მარტო იმიტომ, რომ რუსეთი მაშინ იდგა პროლეტარული რევოლუციის წინაშე, მაშინ როდესაც ჩინეთი ამჟამად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინაშე სდგას, არამედ იმიტომაც, რომ დროებითი მთავრობა რუსეთში იყო მაშინ კონტრ-რევოლუციონური მთავრობა, მაშინ როდესაც უხანის დღევანდელი მთავრობა არის რევოლუციონური მთავრობა, ამ სიტყვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გაგებით.

რას მოითხოვს ამასთან დაკავშირებით ოპოზიცია? ის მოითხოვს მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების, როგორც რევოლუციონური მოძრაობის ცენტრების, დაუყოვნებლივ შექმნას ჩინეთში. მაგრამ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ არა მარტო რევოლუციონური მოძრაობის ორგანოებს. ისინი, პირველ ყოვლისა და უმთავრესად, წარმოადგენენ აჯანყების ორგანოებს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, ახალი რევოლუციონური ხელისუფლების შემქმნელ ორგანოებს. ოპოზიციას არ ესმის, რომ მუშათა და გლეხთა საბჭოების გადაქცევა რევოლუციონური მოძრაობის ცენტრებათ შესაძლებელია, **მხოლოდ** როგორც ახალი ხელისუფლების ორგანოების. ამის გარეშე მუშათა დეპუტატების საბჭოები იქცევიან ფიქციათ. არსებული ხელისუფლების დამატებათ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანიაში 1918 წელს და რუსეთში 1917 წ. ესმის თუ არა ოპოზიციას, რომ მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნა ამჟამად ნიშნავს ხელისუფლების განაწილებას საბჭოებსა და უხანის მთავრობის შორის და აუცილებლად გამოიწვევს უხანის მთავრობის ლოზუნგის წამოყენებას? მე დიდათ ვეჭვობ, რომ ამხ. ზინოვიევი ესმოდეს ეს უბრალო გარემოება. მაგრამ ამხ. ტროცკის ეს სავსებით შეგნებული აქვს. ვინაიდან ის პირდაპირ აცხადებს თავის თეზისებში, რომ „საბჭოების ლოზუნგი ნიშნავს მოწოდებას ხელისუფლების ნამდვილი ორგანოების შექმნისაკენ, ორ-



გვარი ხელისუფლების არსებობის ვარდამავალ რეჟიმის გზით“ (იხ. ტროცკის თეზისები „ჩინეთის რევოლუცია და სტალინის თეზისები“).

ამრიგად, გამოდის, რომ, როდესაც ჩვენ ვქმნით საბჭოებს ჩინეთში, ამასთანავე ვქმნით „ორგვარი ხელისუფლების რეჟიმს“, ვამხოვთ უხანის მთავრობას და ვქმნით ახალ, რევოლუციონურ ხელისუფლებას. ცხადია, ამხ. ტროცკი ამ შემთხვევაში ნიმუშად იღებს მოვლენებს რუსეთის რევოლუციის ისტორიიდან 1917 წ. ოქტომბრის წინ. მაშინ ჩვენ მართლაც ორგვარი ხელისუფლება გვქონდა, და ჩვენ, მართლაც, ვამხოვდით დროებით მთავრობას. მაგრამ მე უკვე ვილაპარაკე, რომ მაშინ არაფერი არ თქრობდა დროებით მთავრობაში შესვლაზე. რატომ არ მოითხოვს ამხ. ტროცკი ამჟამად დაუყოვნებლივ გამოსვლას გომბინდანიდან და უხანის მთავრობიდან? როგორ შეიძლება შექმნა საბჭოები, შექმნა ორგვარი ხელისუფლების რეჟიმი და ამავე დროს შედიოდეთ თვით უხანის მთავრობაში, რომლის დაღუპვასაც ამზადებ? ამხ. ტროცკის თეზისები არ იძლევიან პასუხს ამ კითხვაზე. მაშინ, როდესაც ცხადია, რომ ამხ. ტროცკი სრულიად დაიბნა და გაიხლართა თავის საკუთარ წინააღმდეგობათა კვანძში. მან აურია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია პროლეტარულ რევოლუციაში. მას „დაავიწყდა“, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჩინეთში არამც თუ არ დამთავრებულა და არამც თუ არ გაუმარჯვნია ჯერ, არამედ განვითარების პირველ საფეხურზე სდგას. ამხ. ტროცკის არ ესმის, რომ უარის თქმა უხანის მთავრობის მხარის დაჭერაზე, ორგვარი ხელისუფლების ლოზუნგის წამოყენება და უხანის მთავრობის ჩამოგდება **ამჟამად** საბჭოების დაუყოვნებლივი შექმნის გზით, — ნიშნავს პირდაპირი და უშუალო დახმარების გაწევას ჩან-კაი-შისა და ჩან-ძო-ლინისათვის.

ჩვენ გვეუბნებიან: როგორღა გავიგოთ ამ შემთხვევაში მუშათა დებუტატების შექმნა რუსეთში 1905 წელს, განა მაშინ ჩვენ არ განვიცდიდით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას? მაგრამ ჯერ ერთი, რომ საბჭოები მაშინ სულ ორგან იყო — ლენინგრადში და მოსკოვში, და ორი საბჭოს შექმნა ჯერ კიდევ არ ქმნიდა საბჭოთა ხელისუფლების სისტემას რუსეთში. მეორე, ლენინგრადისა და მოსკოვის საბჭოები წარმოადგენდნენ მაშინ აჯანყების ორგანოებს ძველი, მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არ შეიძლება საბჭოები ჩასთვალო მარტო რევოლუციის ორგანიზაციის ცენტრებათ, რომ საბჭოები შეიძლება გახდნენ ასეთ ცენტრებათ მხოლოთ, როგორც აჯანყების და ახალი ხელისუფლების ორგანოები. მესამე, მუშათა საბჭოების ისტორია გვეუბნება, რომ ასეთ საბჭოებს შეუძლია არსებობა და შემდეგი განვითარება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ შექმნილია ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პროლეტარულ რევოლუციით გადაქცევისათვის, თუ შექმნილია, მაშასადამე, ხელსაყრელი პირობები ბურჟუაზიული-რევოლუციიდან პროლეტარულ დიქტატურაზე გადასვლისათვის. განა იმიტომ არ დამარცხდნენ მუშათა საბჭოები ლენინგრადში და მოსკოვში 1905 წელს ისევე, როგორც გერმანიაში 1918 წ., რომ არ იყო შექმნილი ასეთი ხელსაყრელი პირობები?



შესაძლებელია, რომ 1905 წ. რუსეთში არ იქნებოდა საბჭოები, რომ იქ ყოფილიყო ისეთი ფართო რევოლუციონური ორგანიზაცია, როგორცაა მემარცხენე გომინდანი ჩინეთში. მაგრამ ასეთ ორგანიზაციას არ შეუძლო მაშინ არსებობა რუსეთში, ვინაიდან ეროვნული ჩაგვრის ელემენტს ადგილი არ ქონია რუსეთის მუშებში და გლეხებში, რუსები თვით სჩაგრავენ სხვა ერებს, ხოლო მემარცხენე გომინდანის მსგავსი ორგანიზაცია შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ეროვნული ჩაგვრის პირობებში; იგი თავს უყრის ერთ ფართო ორგანიზაციაში ქვეყნის რევოლუციონურ ელემენტებს. მხოლოდ ბრძობს შეუძლიათ უარყო მემარცხენე გომინდანის, როგორც რევოლუციონური ბრძოლის ორგანოების მნიშვნელობა, მისი როლი, როგორც მებრძოლი ორგანიზაციის ფეოდალური ნაშთებისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან გამომდინარეობს ის, რომ მემარცხენე გომინდანი ჩინეთში თამაშობს დაახლოვებით ისეთსავე როლს ჩინეთის თანამედროვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისათვის, როგორსაც თამაშობდნენ საბჭოები 1905 წელს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისათვის რუსეთში.

ამისდამიხედვით, ზოგიერთი ამხანაგი აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ გომინდანის გამოყენება შესაძლებელია მომავალშიაც, პროლეტარულ რევოლუციაში გადასვლის დროს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმის. ამასთანავე, იმაში ისინი ხედავენ მშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაში. რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა საერთოდ არ არის გამორიცხული. ჩვენში, რუსეთშიაც ამბობდნენ 1917 წელს რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესახებ საბჭოების საშუალებით. მაგრამ, პირველყოვლისა, გომინდანი არ წარმოადგენს საბჭოს, და თუ ის შეგუებულია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარებასთან, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ შესაძლებელია მისი შეგუება პროლეტარული რევოლუციის განვითარებასთან. მაშინ, როდესაც მუშათა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე უფრო შესაფერ ფორმას. მეორე, საჭიროების დროსაც კი რუსეთში 1917 წელს მშვიდობიანი გადასვლა პროლეტარულ რევოლუციაზე შეუძლებელი შეიქნა. მესამე, პროლეტარული ცენტრები ჩინეთში იმდენად ცოტაა, ხოლო ჩინეთის რევოლუციის მტრები იმდენად მრავალრიცხოვანია და ძლიერია, რომ რევოლუციის ყოველ მოძრაობის წინ და ყოველ საწინააღმდეგო შემოტევას იმპერიალისტების მხრივ აუცილებლათ თან-მოყვება ძალების ახალი ჩამოშორება გომინდანისაგან და კომპარტიის გაძლიერება გომინდანის ავტორიტეტის ხარჯზე. მე ვფიქრობ, რომ ჩინეთის რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი გზა გამორიცხულია. მე ვფიქრობ, რომ მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნა აუცილებლად საჭირო იქნება ჩინეთში გარდამავალ პერიოდში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისაგან პროლეტარულ რევოლუციაზე, ვინაიდან საბჭოების გარეშე შეუძლებელია ასეთი გადასვლა.



ჯერ საშუალება უნდა მივცეთ აგრარულ მოძრაობას გაფართოვდეს და მოედვას მთელ ჩინეთს, უნდა გავამაგროთ უხანი და დავიცვათ იგი ბრძოლაში ფეოდალურ-ბიუროკრატიულ რეჟიმის წინააღმდეგ, უნდა დავებმაროთ უხანს, რათა მან მიაღწიოს გამარჯვებას კონტრ-რევოლუციაზე, უნდა გავაფართოვოთ ყველგან გლეხთა კავშირები, მუშათა პროფ. კავშირები და სხვა რევოლუციონური ორგანიზაციები, როგორც საფუძველი საბჭოების შექმნისათვის უნდა მივცეთ საშუალება ჩინეთის კომ. პარტიას გაამაგროს თავისი ზეგავლენა გლეხობაზე და ჯარზე,—და მხოლოდ ამის შემდეგ საჭიროა შეიქმნეს მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციები, როგორც ორგვარი ხელისუფლების ფაქტორები, როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციისაგან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლისათვის მომამზადებელი ფაქტორები.

მუშათა საბჭოების შექმნა ჩინეთში არ არის ცარიელი სიტყვა ან ცარიელი „რევოლუციონური“ დეკლამაცია. ამ საკითხს არ შეიძლება შევხედოთ ისე მსუბუქად, როგორც ამას სჩადის ამხ. ტროცკი. მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნა ნიშნავს, პირველ ყოვლისა, გომინდანიდან გამოსვლას, ვინაიდან არ შეიძლება შექმნა საბჭოები, გამოიწვიო ხელისუფლების დანაწილება და გააღრმავო ეს დანაწილება, მოუწოდო მუშებსა და გლეხებს ახალი ხელისუფლების შექმნისაკენ, და ამავე დროს დარჩე გომინდანის და მისი მთავრობის შემადგენლობაში. მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნა ნიშნავს აქამდე გომინდანის შიგნით არსებულ ბლოკის შეცვლას ბლოკით გომინდანის გარეშე, იმ სახის ბლოკით, როგორც არსებობდა ბოლშევიკებსა და მემარცხენე ესერებს შორის 1917 წელში. რატომ? მიტომ, რომ თუ იქ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის დროს ლაპარაკია პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციონური დიქტატურის შექმნაზე და ამას სავსებით შეეფერება პოლიტიკა ბლოკისა გომინდანის შიგნით, აქ, საბჭოების შექმნისა და პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის დროს, ლაპარაკი იქნება პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა ხელისუფლების შექმნაზე, ხოლო ასეთ ხელისუფლების მზადება და შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ერთადერთ პარტიის—კომუნისტური პარტიის—ხელმძღვანელობით.

შემდეგ. მუშათა დეპუტატების საბჭოების არსებობა წარმოშობს ვალდებულებას. აქამდე ჩინეთში მუშები იღებენ თვეში 8-15 მანეთს, ცხოვრობენ წარმოუდგენელ პირობებში, ბევრს მუშაობენ. ამას შესაძლებელია და ამასთანავე აუცილებელიც დაუყონებლივ მოელოს ბოლო, სამუშაო ხელფასის მომატების გზით, რვა საათის სამუშაო დღის შამოღებით, მუშათა კლასის საბინაო პირობების გაუმჯობესებით და სხვა. მაგრამ მუშები საბჭოების არსებობის დროს ამაზე არ შეჩერდებიან. ისინი ეტყვიან კომუნისტებს—და მართალიც იქნებიან: თუ ჩვენ გვაქვს საბჭოები, ხოლო საბჭოები ხელისუფლების ორგანიზაცია, განა არ შეიძლება შევავიწროვოთ ბურჟუაზია და მოვახდინოთ მისი „ცოტაოდენი“ ექსპროპრიაცია. კომუნისტები იქნებიან უბრალო მოლაკბენი, თუ ისინი არ დაადგებიან ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის გზას მუშათა და გლეხთა



საბჭოების არსებობის პირობებში. შესაძლებელია თუ არა და საჭირო ამ გზაზე დადგომა რევოლუციის არსებულ საფეხურზე? არა, არ არის საჭირო. შესაძლებელია თუ არა და საჭირო უარყოფილ იქნეს მომავალში ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია მუშათა და გლეხთა საბჭოების არსებობის პირობებში? არა, არ შეიძლება. მაგრამ იმის ფიქრი, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელი იქნება გომინდანის **შიგნით** კომუნისტების ბლოკის შენარჩუნება, — ნუნანას ილიუზიას და კლასიურ ძალთა ბრძოლის მექანიკის გაუგებრობას ისეთ პერიოდში, როდესაც სწარმოებს გადასვლა ბურჟუაზიულ-რევოლუციისაგან პროლეტარულ რევოლუციამდე.

აი, როგორ სდგას საკითხი მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნის შესახებ ჩინეთში.

როგორც ხედავთ, ის ისე მარტივი არ არის, როგორც ამას გვიხატავენ ზოგიერთი გადამეტებით მჩატე აზრის ხალხი, ამხ. ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის მსგავსათ.

დასაშვებია თუ არა საერთოთ, **პრინციპიალური** თვალსაზრისით, მარქსისტების თანამშრომლობა რევოლუციონურ ბურჟუაზიასთან ერთ საერთო რევოლუციონურ-დემოკრატიულ პარტიაში, ან ერთ საერთო რევოლუციონურ-დემოკრატიულ მთავრობაში? ზოგიერთი ოპოზიციონერი ფიქრობს, რომ არ არის დასაშვები. ხოლო მარქსიზმის ისტორია ამბობს, რომ განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრულ დრომდე, ასეთი მონაწილეობა სავსებით დასაშვებია. მე შემეძლო დამესახელებია ისეთი მაგალითი, როგორიცაა მარქსის მოქმედება 1848 წელს გერმანიაში, გერმანეთის აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციის დროს, როდესაც მარქსი მისი თანამოაზრეებით შედიოდა რეინის პროვინციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში, და როდესაც ამ რევოლუციონურ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს რედაქტორობდა მარქსი. ირიცხებოდა რა ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში და ხელს უწყობდა რევოლუციონური ბურჟუაზიის წინსვლას, მარქსი და მისი თანამოაზრენი ყოველნაირად აკრიტიკებდნენ თავის მემარჯვენე მოკავშირეების მერყეობას ისევე, როგორც ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც შედის გომინდანში, ყოველმხრივად უნდა გააკრიტიკოს თავის მოკავშირეების, მემარცხენე გომინდანელების, მერყეობა და სისუსტე. ცნობილია, რომ მარქსმა და მისმა თანამოაზრეებმა დასტოვეს ეს ბურჟუაზიული კავშირი მხოლოდ 1849 წლის გაზაფხულზე და შეუდგნენ მუშათა კლასის დამოუკიდებელი ორგანიზაციის შექმნას სრულიად დამოუკიდებელი კლასიური პოლიტიკით.

როგორც ხედავთ, მარქსი კიდევ უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც შედის გომინდანში, როგორც პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასიური პარტია. შეიძლება შეედავო ან არ შეედავო იმას, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იყო მარქსისა და მისი თანამოაზრეთა შესვლა ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში 1848 წ. როზა ლიუქსენბურგი, მაგალითად, ფიქრობს, რომ მარქსი არ უნდა შესულიყო ამ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ კავშირში. ეს **ტაქტიკის** საკითხია. მაგრამ მარქსსა და ენგელსს **პრინ-**



ციპიალურად დასაწვებათ მიაჩნდათ შესაძლებლობა და მიზანშეწონილება შესვლისა ბურჟუაზიულ-რევოლუციონურ პარტიაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს, განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრულ ვადით. ამაში არავითარი ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

რაც შეეხება მარქსისტების მონაწილეობას რევოლუციონურ-დემოკრატიულ მთავრობაში და იქ რევოლუციონურ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობას, განსაზღვრულ პირობებსა და მდგომარეობაში, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს ისეთი მარქსისტების მითითებანი, როგორცაა ენგელსი და მარქსი. ცნობილია, რომ ენგელსი თავის ბროშიურაში „ანარქისტები მუშაობის დროს“ მხარს უჭერდა ასეთ მონაწილეობას. ცნობილია, აგრეთვე, რომ ლენინიც 1905 წელს მხარს უჭერდა ასეთ მონაწილეობის შესაძლებლობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ, რევოლუციონურ მთავრობაში.

### 5. ო რ ი ხ ა ზ ი

ამრიგად ჩვენს წინაშე წამოყენებულია ორი სრულიად სხვადასხვა ხაზი ჩინეთის საკითხში: კომინტერნის ხაზი და ამხ. ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ხაზი.

**კომინტერნის ხაზი.** ფეოდალური ნაშთები და მასზე დაყრდნობილი ბიუროკრატიულ-მილიტარისტული ზედნაშენი, რომელსაც ყოველმხრივად მხარს უჭერენ ყველა ქვეყნების იმპერიალისტები, წარმოადგენს თანამედროვე ჩინეთის სინამდვილის ძირითად ფაქტს.

ჩინეთი ამჟამად განიცდის აგრარულ რევოლუციას, რომელიც მიმართულია, როგორც ფეოდალური ნაშთების, ისე იმპერიალიზმის წინააღმდეგ. აგრარული რევოლუცია წარმოადგენს ჩინეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საფუძველსა და შინაარსს. გომინდანი უხანში და უხანის მთავრობა წარმოადგენენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციონური მოძრაობის ცენტრს. ნანკინი და ნანკინის მთავრობა წარმოადგენენ ეროვნული კონტრ-რევოლუციის ცენტრს. უხანის მთავრობისათვის მხარის დაჭერის პოლიტიკა ნიშნავს იმავე დონის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გაფართოებას, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. აქედან კომუნისტების მონაწილეობა უხანის გომინდანში და უხანის რევოლუციონურ მთავრობაში, მონაწილეობა, რომელიც კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს კომუნისტების მხრივ გომინდანში თავის მოკავშირეების მერყეობისა და სისუსტის ყოველმხრივ კრიტიკას. კომუნისტების ეს მონაწილეობა უნდა გამოყენებულ იქნას იმისათვის, რომ პროლეტარიატს გაუადვილდეს ჰეგემონიის როლი ჩინეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში და მოახლოვოს პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის მომენტი. იმ დროისთვის, როდესაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაუახლოვდება სრულ გამარჯვებას და როდესაც ბურჟუაზიულ-რევოლუციის მსვლელობაში თანდათანობით მოიხაზება პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის გზა, — ამ მომენტისათვის უნდა შეიქნას მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოები, როგორც ორგვარი ხელისუფლების არსებობის ფაქ-



ტი, როგორც ახალი ხელისუფლებისათვის მებრძოლი ორგანოები, როგორც ახალი ხელისუფლების, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები. ამ დროისთვის კომუნისტების ბლოკი გომინდანის შიგნით უნდა შეიცვალოს ბლოკით გომინდანის გარეშე, ხოლო კომუნისტური პარტია უნდა გახდეს ახალი რევოლუციის ერთადერთ ხელმძღვანელათ ჩინეთში.

ისეთი მოთხოვნების წამოყენება, როგორც ამას სჩანდა აშშ-ში. ტროცკი და ზინოვიევი, დაუყოვნებლივ შექმნა მუშათა და გლეხთა საბჭოებისა და ორგვარი ხელისუფლებისა ამჟამად, როდესაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ჯერ კიდევ თავის განვითარების პირველდაწყებით ფაზისში იმყოფება, როდესაც გომინდანი წარმოადგენს ჩინეთის სპეციფიურ თავისებურებასთან ყველაზე უფრო შეგუებულ ფორმას ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის ორგანიზაციისათვის, — ეს ნიშნავს რევოლუციონური მოძრაობის დეზორგანიზაციას, უხანის შესუსტებას, მისი დამხობის გაადვილებას და მხარის დაქვერას ჩან-ძო-ლინისა და ჩან-კაი-შისათვის.

ამხ. ამხ. ტროცკის და ზინოვიევის ხაზი. ფეოდალიზმის ნაშთების არსებობა ჩინეთში — ეს ამხ. ბუხარინის გამოგონებაა. მას (ფეოდალურ ნაშთებს) ან სრულიად არ აქვს ადგილი ჩინეთში, ან და ის იმდენად უმნიშვნელოა, რომ არ შეუძლია ჰქონდეს რაიმე სერიოზული მნიშვნელობა. აგრარულ რევოლუციას, თურმე აქვს ამჟამად ადგილი ჩინეთში. მაგრამ საიდან წარმოიშვა იგი, ამას თვით ეშმაკიც ვერ გაარჩევს (სიცილი). მაგრამ თუ ეს აგრარული რევოლუცია ფაქტია, ცხადია, საჭიროა მისთვის ასე თუ ისე მხარის დაქვერა. მთავარი ამჟამად აგრარულ რევოლუციაში კი არ არის, არამედ რევოლუციაში ჩინეთის საბაჟო დამოუკიდებლობისათვის, ასე ვსთქვათ, ანტი-საბაჟო რევოლუციაში. უხანის გომინდანი და უხანის მთავრობა ან „ფიქციას“ წარმოადგენს (ტროცკი), ან ქემალიზმს (ზინოვიევი). ერთი მხრით უნდა შეიქმნეს ორგვარი ხელისუფლების რეჟიმი უხანის მთავრობის ჩამოხაგდებად, საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის გზით (ტროცკი). მეორე მხრით, უნდა გამაგრებულ იქნეს უხანის მთავრობა, საჭიროა ენერგიული და ყოველმხრივი დახმარება უხანის მთავრობისათვის საბჭოების დაუყოვნებლივ შექმნის გზით (ზინოვიევი). წესიერათ თუ ვიმსჯელებთ, ასეთ შემთხვევაში კომუნისტები დაუყოვნებლივ უნდა გავიდნენ ასეთი „ფიქციიდან“, უხანის მთავრობიდან და უხანის გომინდანიდან. თუმცა ისევ უმჯობესი იქნებოდა მათი დარჩენა ამ „ფიქციაში“, ე. ი. უხანის მთავრობაში და უხანის გომინდანიში. მაგრამ თუ რისთვისღა უნდა დარჩენ ისინი უხანში, თუ უხანი წარმოადგენს „ფიქციას“, — ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის. ხოლო ვინც ამას არ ეთანხმება, ის გამცემია და მოლაღატე.

ასეთია ამხ. ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ეგრედწოდებული ხაზი.

ძნელია ამაზე უფრო შეუსაბამო და ბუნდოვანი ხაზის წარმოდგენა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარქსისტებთან, არამედ ცხოვრებისაგან დაცილებულ კანცელიარისტებთან. ან კიდევ უკეთესი, — „რევოლუციონური“ ტურისტებთან, რომელთაც სუბუმებსა და კისლოვოდსკებში მოგზაურობის დროს სრულიად გამოიჩათ კომინტერნის მე-VII-ე გაფართოებული



პლენუმი, რომელმაც გამოიმუშავა ძირითადი თვალსაზრისი ჩინეთის საკითხის შესახებ, შემდეგ გაზეთებში ამოიკითხეს, რომ ჩინეთში მართლაც მოხდა რადიკალური რევოლუცია, აგრარული თუ საბაჟო-სისტემის წინააღმდეგ მიმართული, და გადასწყვიტეს, რომ საჭიროა მთელი გროვა თეზისების შედგენა. — პარტიის ერთი თეზისები, მაისის დასაწყისში მეორე, მაისის დამლევს მესამე. — და დაავრთვეს რა თეზისების მთელი კრებული, გადასწყვიტეს მითი კომინტერნის პარტიის წინააღმდეგობით აღსაყვანი თეზისების სიმრავლე წარმოადგენს ჩინეთის რევოლუციის გადარჩენის ძირითად საშუალებას.

ასეთია ამხანაგებო, ორი ხაზი ჩინეთის რევოლუციის მიმართ.

თქვენ მოგიხდებათ მოახდინოთ არჩევანი ამ ორ ხაზს შორის.

მე ვათავებ ამხანაგებო. დასასრულ მინდოდა მეთქვა ამხ. ტროცკისა და ზინოვიევის ფრაქციული გამოსვლების პოლიტიკური აზრის შესახებ აშუშად. ისინი ჩივიან, რომ მათ არ აძლევენ საკმაო თავისუფლებას იმისათვის, რომ აწარმოონ საკავ. კომ. პარ. ც. კ-ისა და კ. ი. აღ. კ-ის უმაგალითო და დაუშვებელი ლანძღვა-გინება. ისინი ჩივიან კომინტერნში და საკ. კ. პ-იაში არსებულ „რეჟიმის“ გამო. არსებითად, მათ სურს თავისუფლება კომინტერნისა და საკ. კომ. პარ. დეზორგანიზაციისათვის. არსებითად, მათ უნდათ გადმოიტანონ კომინტერნში და საკ. კომ. პ-ში მასლოვისა და კ-ის ზნე-ჩვეულებანი. მე უნდა განვაცხადო, ამხანაგებო, რომ ამხ. ტროცკიმ თავის გამოლაშქრებისათვის პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ მეტად შეუფერებელი მომენტი ამოიჩია. მე ეს-ეს არის მივიღე ცნობა, რომ ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ გადასწყვიტა გასწყვიტოს კავშირი ს. ს. რ. კ-თან. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ეხლა დაიწყება გამოლაშქრება ყოველი მხრიდან კომუნისტების წინააღმდეგ. ეს გამოლაშქრება უკვე დაიწყო. ერთნი ემუქრებიან ს. ს. რ. კ-ს ომითა და ინტერვენციით, მეორენი კი განხეთქილებით. იქმნება რადიკალური მთლიანი ფრონტის მსგავსი ჩემბერლენიდან ტროცკამდე. შესაძლებელია, რომ მათ სურთ ამით ჩვენი შეშინება. მაგრამ ვფიქრობ საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ბოლშევიკები მოშიშართა რიცხვს არ ეკუთვნიან. ბოლშევიზმის ისტორიას ახსოვს მრავალი ასეთი ფრონტი. ბოლშევიზმის ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთი ფრონტები ნადგურდებოდნენ ბოლშევიკების რევოლუციონური სიმტკიცითა და უმაგალითო მხნეობით. შეგიძლიათ არ შეეკვდეთ იმაში, რომ ჩვენ შევძლებთ ამ ახალი ფრონტის დამარცხებასაც.



# კომუნისტური ინტერნაციონალის ალბანური მაისის კლანუების შედეგები



მე-VIII-ე პლენუმი შეიკრიბა საერთაშორისო მდგომარეობის უდიდესი გამწვავების მომენტში. ჩან-კაი-შის გადატრიალება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პროვოკაციული აქტები ს. ს. რ. კ-ის მიმართ—თავდასხმა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობაზე პეკინში, შემდეგ სავაჭრო წარმომადგენლობაზე ლონდონში და, დასასრულ, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტი ინგლისსა და ს. ს. რ. კ-ს შორის, — ყველაფერი ეს ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ომის საფრთხემ მიიღო უშუალო ხასიათი.

ამ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა მუშაობა პლენუმზე, და ამან სავსებით განსაზღვრა მისი ხასიათი.

მაისის პლენუმზე დასმული იყო მხოლოდ სამი საკითხი: ომი და სამხედრო საფრთხე, მდგომარეობა დიდბრიტანეთში და, დასასრულ ჩინეთის რევოლუცია.

ყველა ამ საკითხების შესახებ, მათი ზედმიწევნითი და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ კომისიებში, პლენუმმა ერთხმად გამოიტანა დადგენილებანი, რომლებიც ადასტურებენ კომინტერნის ხაზის სისწორეს წარსულში და ამასთანავე კონკრეტიულად მიუთითებენ, თუ როგორი უნდა იყოს ხაზი მომავალში, ისეთ პირობებში, როდესაც ბრძოლა—ერთის მხრით—იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და მეორე მხრით საერთაშორისო პროლეტარიატსა, ს. ს. რ. კ-სა და რევოლუციურ ჩინეთს შორის—ზედმიწევნით გამწვავდა.

დასკვნა, რომელიც მიიღო მაისის პლენუმმა **ომისა და სამხედრო საფრთხის შესახებ** არსებითად შემდეგში გამოიხატება:

„იმპერიალისტური პოლიტიკის ახალი ხანა ხასიათდება მით, რომ კაპიტალიზმი ემზადება **პატარა ომებიდან დიდ ომებზე** გადასასვლელად“. „კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული ყველა წინააღმდეგობანი უკანა პლანზე სდგება იმ გარემოებასთან შედარებით, რომლის გამოც სამყარო გაყოფილია ორ ბანაკად: ერთ ბანაკში მოქცეულია—ს. ს. რ. კ-ი და რევოლუციონური ჩინეთი, ხოლო მეორეში—მთელი კაპიტალისტური სამყარო. ჩინეთი და ს. ს. რ. კ-ი—ეს საერთაშორისო მდგომარეობის ორი ცენტრალური კვანძია“. ხაზი გაუსვა რა ომის საფრთხის მოახლოებას, პლენუმმა აღნიშნა, რომ „იმ ფაქტორს, რომელიც ყველაზე უფრო ემუქრება ზავს, წარმოადგენს ამჟამად დიდი ბრიტანეთი. ის ახალი გარემოება, რაც ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას იმაში გამოიხატება, რომ დიდმა ბრიტანეთმა კვლავ მოიპოვა ჰეგემონია ევროპის საქმეებში“.



პლენუმმა აღნიშნა, რომ მოახლოებულ ომს ჩინეთისა და ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ ახასიათებს არსებითი თავისებურება, რაც ანსხვავებს მას 1914 წლის იმპერიალისტური ომისაგან: „ეს ომი თავისებურია იმიტომ, რომ ის აშ-კარა კლასიური ომია. იმპერიალისტები ხალხთა დახმარებით კი არ მომბენ, არამედ იმპერიალისტების დამსჯელი ექსპედიციები ილაშქრებენ მუშებრსა და გლეხების დასამშვიდებლათ“. აქედან გამომდინარეობს, რომ <sup>კომუნისტური</sup> ~~კომუნისტური~~ ომის საწინააღმდეგო კამპანიის ცენტრალური ლოზუნგი უნდა იყოს „ერთსაერთო აბსტრაქტიული ლოზუნგი — „ომი ომს“, არამედ კონკრეტიული — „ჩინეთისა და რუსეთის რევოლუციის დაცვა“. ამ ორ ლოზუნგზე უნდა იყოს მიპყრობილი მასების ყურადღება“.

პლენუმი შემდეგ აღნიშნავს, რომ „მომავალი ომი — მექანიზაციაქმნილია. ყოველი ქვეყანა გადაქცეულ იქნება გამანადგურებელ საშუალებათა უზარმაზარ ფაბრიკათ“. „ომის ასეთი ხასიათის გამო გაიზრდება მუშათა კლასისა და მისი ორგანიზაციების მნიშვნელობა, პირველ რიგში პროფკავშირებისა, რომელთა მონაწილეობის გარეშე ომი წარმოუდგენელია. მათი ომის საწინააღმდეგო მოქმედება, დაკავშირებული ჯარის რევოლუციონურ ბრძოლასთან ომის წინააღმდეგ, გახდება საბედისწერო იმპერიალისტებისათვის“.

იმპერიალისტები სავსებით ითვალისწინებენ ამ გარემოებას, ამიტომ უდიდეს ძალღონეს ხმარობენ მუშათა მასების იდეოლოგიურ მოსამზადებლათ ომისათვის. ამაში მათ უდიდეს დახმარებას უწევენ — მე-II ინტერნაციონალი, პროფკავშირების ამსტერდამის გაერთიანება და კომინტერნისაგან ჩამოცილებული ულტრა-მემარცხენე ელემენტები, რომლებიც მოხერხებულათ ინაწილებენ ურთიერთშორის მუშაობას. იმის გამო, რომ მასების ჩაბმა ომში რევოლუციონური ჩინეთის წინააღმდეგ „საშობლოს დაცვის“ ლოზუნგით — სრულიად უიმედო საქმეა, ვინაიდან „არც ერთი ქკუათმყოფი კაცი არ დაიჯერებს, რომ ჩინეთი ემუქრება თავდასხმით დიდ ბრიტანეთის კუნძულებს, ბურჟუაზია და მისი ლაქიები იძულებული არიან წამოაყენონ ისეთი სოფიზმები, როგორცაა „ინტერესების დაცვა“... „დროშის დაცვა“, „ცივილიზაციის დაცვა“. ხოლო ს. ს. რ. კ-ის საწინააღმდეგო ომის მოსამზადებლათ მე II-ე ინტერნაციონალი აწარმოებს ყოველათ უსინიდისო პროპაგანდას „წითელი იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ. ამასთანავე ერთად, გამოცვეთილი მატყუარები გერმანეთის სოციალ-დემოკრატიის რიგებიდან სთესენ მუშათა მასებში ილიუზიას გერმანიის ნეიტრალიტეტზე მომავალ ომში, „კარგად იციან რა, რომ თუ მოხდა ომი, გერმანეთის ქიმიური ინდუსტრია, ალბად, მოხმარდება ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებს, რომ გერმანეთის ტრანსპორტი მოხმარდება მათვე იარაღის გადმოსაზიდათ ინგლისიდან, იტალიიდან და სხვ.“. ამასთანავე ერთად ულტრა-მემარცხენე რენეგატები სცდილობენ დაშალონ საბჭოთა ზურგი, მუშათა მასების თვალში საბჭოთა ხელისუფლების და საკ. კომ. პარტიის ხელმძღვანელობის დისკრედიტიზაციითა და ცილისწამების საშუალებით, რომელიც თითქოს თანდათანობით „ბობოლავედება“, „გადაგვარების გზას ადგია“ და იმსკვალება „ეროვნული ინტერესებით“ და სხვა...



ყოველივე ამისაგან კი გამომდინარეობს, რომ რუსეთისა და ჩინეთის დაცვის ერთ-ერთ არსებით მომენტს წარმოადგენს დაუნდობელი ბრძოლა ყველა ამ მატყუარებისა და ცილისმწამებელთა წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით პლენუმმა აღნიშნა, სხვათა შორის, ბრძოლისა უცილებლობა პაციფისტების წინააღმდეგ, რომლებიც ლაპარაკობენ განიარაღებაზე, რაც წარმოადგენს „უდიდეს პირმოთნეობასა და დაცინვას“ — საჭიროა განემარტოს მსხვერპლ-მსხვერპლ პლენუმში, — რომ ერთათ-ერთი საყრდენი, ერთათ-ერთი ქვეყანა, რომელსაც ჩამდვილად შეამცირა თავისი ჯარი მინიმუმამდე, არის ს. ს. რ. კ-ი, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების პროექტები განიარაღების შესახებ სრული სიყალბეა“ და მიზნათ ისახავს მხოლოდ მუშათა მასების ყურადღების აცილებას იმ გასაოცარი საომარი სამზადისისაგან, რომელსაც აწარმოებენ ეს სახელმწიფოები. მაგრამ პაციფიზმთან ბრძოლის დროს, — ამბობდა შემდეგ პლენუმში, — საჭიროა „გარჩევა ბურჟუაზიის მოცულ პაციფიზმისა, გრძნობის პაციფიზმისა, რომლითაც ჯერ კიდევ დაავადებულია მუშათა კლასი, ბურჟუაზიულ პაციფისტების, მღვდლების და სხვა გაიძვერების შეგნებული სიცრუისაგან“, რომელთაც დაბმარებას უწევენ სოციალ-დემოკრატები, როგორც მაგალითად, ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტია.

შემდეგ პლენუმში კონკრეტულად არჩეიდა იმპერიალისტური ომების საწინააღმდეგო ბრძოლის **ტაქტიკურ საკითხებს**. პლენუმმა ჯამი გაუკეთა ყველადფერს, რაც ნათქვამი იყო ლენინის მიერ ამის შესახებ, და რასაც შერჩა დღემდის ძალა. მაგრამ ის ამით არ დაკმაყოფილდა. მან დაწვრილებით განიხილა თუ როგორ უნდა იქნეს შეფარდებული ლენინის ტაქტიკა მოახლოებულ „აშკარა კლასიური ბრძოლის კონკრეტულ პირობებთან, რომელიც დიდად განსხვავებული იქნება 1914 წლის ომისაგან, იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის წარმოებულ ომებისაგან“.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ომთან დაკავშირებით **საყოველთაო გაფიცვის** საკითხს: „ცარიელ სიტყვას, ან შეგნებულ სიცრუეს წარმოადგენს, — ამბობდა პლენუმში, — მე-II-ე ინტერნაციონალის „გმირების“ დაპირება, რომ ომს „პასუხი გაეცემა“ საყოველთაო გაფიცვის სახით. ომთან ბრძოლა არ წარმოადგენს ერთობრივ აქტს, ის მოითხოვს მუშათა კლასისაგან დიდ მსხვერპლს, მთელ რიგ მასიურ მოქმედებას (დემონსტრაციები, გაფიცვები სამხედრო ქარხნებში და სხვა), რომელსაც აგვირგვინებს პროლეტარიატის ძლევამოსილი გამარჯვება. კომუნისტურმა პარტიებმა მთელი ძალ-ლოხვით უნდა იზმარონ იმისათვის, რომ სულ უფრო და უფრო გააფართოვონ ეს მასიური გამოსვლები და უფრო მეტი სიმტკიცით აიღონ კურსი საყოველთაო გაფიცვაზე... ამასთანავე არ შეიძლება იმისი უყურადღებოდ დატოვება, რომ რევოლუციონური სიტუაცისაგან დამოკიდებულია, თუ როდის იქნება გადმოსროლილი საყოველთაო გაფიცვის ლოზუნგი, როგორც **მოქმედების ლოზუნგი**“.

**დამარცხებას** (по разженчески) ლოზუნგი შეფარდებული უნდა იქნეს მომავალი ომის ახალ ხასიათთან: „თუ კაპიტალისტური ქვეყნების ჩვეულებრივ იმპერიალისტურ ომში მუშებს, რომლებიც მხარს უჭერენ თავიანთ მთავრობა-



თა დამარცხებას, არ შეუძლიათ გვერდში ამოუდგენ რომელიმე მებრძოლ მხარეს, სამაგიეროთ ჩინეთის რევოლუციისა (დღესდღეობით უხანის) და ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ მიმართულ უდიდეს იმპერიალისტურ და უდიდეს კონტრ-რევოლუციონურ ომში ისინი უნდა აწარმოებდნენ აქტიურ ბრძოლას ჩინეთისა და ს. ს. რ. კ-ის მშრომელთა გამარჯვებისათვის“. ასევე უნდა შექმნა <sup>საქართველოში</sup> იქნეს ახალ პირობებთან **დაძმობილების ლოზუნგი**, რომელსაც დღესდღეობით <sup>საქართველოში</sup> მერჩენილი აქვს თავისი ძალა. დაძმობილების ლოზუნგი იმპერიალისტების ომში რევოლუციონური ჩინეთის (დღესდღეობით უხანის) და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაკავშირებული უნდა იქნეს მოწოდებასთან, რათა იმპერიალისტური არმიის **ჯარის კაცები შესაფერ მომენტში** გადავიდნენ რევოლუციონური ჯარების მხარეზე“.

პლენუმმა კონკრეტულად დასვა აგრეთვე საკითხი მუდმივი ჯარის მოსპობის, „საყოველთაო მილიციის“, პროლეტარიატის შეიარაღების“ და „მშრომელთა მილიციის“ შესახებ: 1) თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთაც დაამთავრეს ბურჟუაზიული პერიოდი, კომუნისტურმა პარტიებმა—მუდმივი ჯარის მოსპობის მოთხოვნის ძალაში დატოვებასთან ერთად—უნდა წამოაყენონ, როგორც წესი, პროლეტარიატის შეიარაღების ლოზუნგი..... 2) წითელი არმიის ლოზუნგს მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ პროლეტარიატის მიერ... 3) მშრომელთა მილიციის ლოზუნგს..... არსებულ პერიოდში აქვს პროპაგანდისტული მნიშვნელობა. მისი განხორციელება დაკავშირებულია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებასთან მთელ რიგ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში. კომუნისტურმა პარტიებმა ამ ლოზუნგის პროპაგანდის დროს სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანონ ბურჟუაზიის, ფაშისტური რაზმების, პოლიციის და ჟანდარმერიის განიარაღებაზე. 4) საყოველთაო მილიციის ლოზუნგი.... უნდა წამოაყენებულ იქნეს: ა) კოლონიალურ ქვეყნებში; ბ) კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ფეოდალურ ნაშთების არსებობის გამო შესაძლებელია ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციები, სოციალისტურ რევოლუციაში გადასვლის პერსპექტივით; გ) მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც სამხედრო წრეები აწყობენ სახელმწიფოებრივ გადატრიალებებს..... დ) კაპიტალისტურ ქვეყნებში..... რომლებიც მსოფლიო კაპიტალისგან ნახევრად-კოლონიალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, იმ შემთხვევაში, თუ მათში აღვილი აქვს ეროვნულ-რევოლუციონური მოძრაობა“. ამასთანავე ერთად კომუნისტები ვალდებული არიან მხარი დაუჭირონ მეზღვაურებისა და ჯარისკაცების კერძო მოთხოვნებებს, როგორცაა: ოფიცრების არჩევა, სამხედრო სამსახურის მოხდის ტერიტორიალური სისტემა, ეროვნულ ერთეულებათ ჩამოყალიბება, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, ჯარის კაცების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა; ეს კერძო მოთხოვნებიანი დაკავშირებული უნდა იქნეს ზემოჩამოთვლილ საერთო ლოზუნგებთან.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პლენუმმა არალეგალურ მუშაობას ჯარში და ახალგაზრდათა შორის. დასასრულ, პლენუმმა აღნიშნა პარტიის შეცდომები და ნაკლი ამ დარგში: ომის საფრთხის სათანადოთ ვერ შეფასება,



თვალსაზრისი—თითქოს ომი ასე თუ ისე შორეული მომავლის მუსიკაა; ზოგან არ ცოდნა იმისა, თუ როგორ უნდა იქნეს დაკავშირებული თავისე შინაური საკითხები საერთაშორისო მდგომარეობის პრობლემებთან, ზოგან შეუფასებლობა იმპერიალიზმის როლისა თავის ქვეყანაში, ზოგიერთი ამხანაგის ეულგარული პაციფიზმის პოზიციისაკენ დაქანება, დაბოლოს, შემცდარი კლასიკური რომლებიც ზოგიერთ ამხანაგს გამოყავდა ლენინის შეხედულებათგან. ეს შეხედულება ლენინმა გამოსთქვა ინსტრუქციაში ჰააგის დელეგატების მიმართ. ამ ინსტრუქციებს იგებენ, ისე თითქოს გაფიცვა, როგორც ომის საწინააღმდეგო ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, უარყოფილია.

როგორც ვხედავთ. კ. ი. ა. კ-ის პლენუმში, ლენინიზმის ერთგული მიმდევარი, აყენებდა საკითხს ომის შესახებ არა აბსტრაქტულად, „მარადიულობის თვალსაზრისით“ (sub specie aeternitatis), არამედ სრულიად კონკრეტულად, არსებული ომის, არსებულ ისტორიულ პირობების, კონკრეტულ თავისებურებასთან შეფარდებით.

პლენუმის რეზოლიუციიდან დიდი ბრიტანეთის მდგომარეობის შესახებ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ორ პუნქტს:

1) პლენუმმა აღნიშნა, რომ „კლასიური ბრძოლის გამწვავება ინგლისში თავის გამოხატულებას პოულობს მუშათა მოძრაობის დიფერენციაციის ტემპის აჩქარებაში“. ერთი მხრით, „მუშათა პარტიისა და პროფკავშირების ხელმძღვანელები აშკარათ სდგებიან გაბატონებულ კლასებთან შეთანხმების გზაზე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა მძაფრი ხასიათის საკითხებში—როგორცაა მემადაროეთა ბრძოლა და ახალი კანონი პროფკავშირების შესახებ, ინტერვენცია ჩინეთში და ომის მზადება ს. ს. რ. კ-ის წინააღმდეგ, მშვიდობიანობა მრეწველობაში, ამერიკანიზაცია.... პროფკავშირების ბიუროკრატები და მუშათა კლასის ლიდერები ერთი მხრით მოუწოდებენ კაპიტალისტებთან მშვიდობიანი დამოკიდებულებისაკენ, ხოლო მეორე მხრით— დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ მუშა კომუნისტებისა, უმცირესობათა მოძრაობისა და მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ.... დამოუკიდებელი მუშათა პარტია სცდილობს გაემიჯნოს მემარჯვენე ფრთის რეფორმისტებს მემარცხენე ფრაზეოლოგიის საშუალებით. ნამდვილათ კი ყოველ პრაქტიკულ საკითხში ის მხარს უჭერს აშკარა რეფორმისტებს“. მეორე მხრით, ადგილი აქვს მუშათა მასების გამემარცხენებას: „მოსახლეობის ფართო ფენების განწყობილება თავის გამოხატულებას პოულობს მასში, რომ გადარჩევის დროს მთავრობისათვის მიცემული ხმის რაოდენობა თანდათანობით მცირდება.... მემარცხენე ფრთის ზრდა მუშათა პარტიის შიგნით, რომელიც შესდგება უბრალო ელემენტებისაგან, ენერგიული გამოძახილი იმ მოწოდებაზე, რომლითაც მიმართავს ხოლმე მათ უმცირესობის კონფერენცია და წარმატებანი, რომლებიც მიღწეულია პარტიისა და უმცირესობათა მოძრაობის მიერ მადაროების რაიონის პროფკავშირების არჩევნებში, ააშკარაებენ მემარცხენე მოძრაობის ზრდას მუშათა შორის“.

2) განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მეორე პუნქტი: პლენუმის გადაწყვეტილება დიდიბრიტანეთის მუშებისა და საბჭოთა რესპუბლიკის პროლე-



ტარიატის კავშირისა და ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ საკითხის გარშემო რუსეთის ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამართეს საშინელი დემაგოგია. ამ საკითხის შესახებ პლენუმმა გამოსთქვა თავისი აზრი სრულიად გარკვევით და აშკარათ, უკუაგდო ოპოზიციის ცილისწამებით აღსავსე ბრალდება იმას შესახებ, თითქოს კომინტერნს ამ საკითხში უკუაგდო „უპორტუნისტული“ პოზიცია. „კომუნისტურმა პარტიამ წინანდებურად უკუაგდო უპორტოს მუშებს დიდიბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მთლიანობის დიდი მნიშვნელობა; ეს მთლიანობა აუცილებელი ხდება ბრიტანეთის მთავრობის მილიტარისტული პოლიტიკის გამო. პარტიამ უნდა განუმარტოს მუშებს, რომ მთელი გენერალური საბჭოს საბოტაჟის გამო, ხიკსიდან და პერსელიდან დაწყებული ტომასამდე, ინგლის-რუსეთის კომიტეტს ჯერ კიდევ არ განუხორციელებია ეს უდიდესი ამოცანა... კომინტერნი სავსებით იწონებს ბრიტანეთის პარტიის განცხადებას, რომელშიაც ის გენერალურ საბჭოს აკისრებს ბერლინის უკანასკნელი კონფერენციის შედეგების პასუხისმგებლობას. ინგლის-რუსეთის კომიტეტის მუშაობის ისტორია ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში სავსებით ამართლებს ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოზიციას, რომელიც უმარტავდა მუშებს, რომ გენერალური საბჭო პასუხისმგებელია იმ დათმობისათვის, რომელზედაც წაყიდნ რუსეთის პროფკავშირები, რაც წარმოადგენს იმის ახალ საბუთს, რომ საბჭოთა პროფესიონალური მოძრაობა გულწრფელათ მიისწრაფვის მთლიანობისაკენ. ამავდროს პლენუმი იწონებს კომუნისტური პარტიის მიერ შემადაროელთა შორის წარმოებულ კამპანიას ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის შემადაროელთა მთლიანობის სასარგებლოთ.

პლენუმმა დაწვრილებით განიხილა აგრეთვე გენერალური საბჭოს 25 მარტის ულტიმატიური მოთხოვნები წინააღმდეგ ბრძოლის ზომები. ეს მოთხოვნებიანი გადმოეგზავნა პროფკავშირებს იმ მიზნით, რომ მას ხელი მოეწერა წერილობით საბუთზე, რომლითაც უკანასკნელი სწყვეტდა ყოველივე კავშირს უმცირესობის მოძრაობასთან.

პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩინეთის საკითხს, წამოაყენა რა იგი მთელი სიგრძე-სიგანით, როგორც კონკრეტული და აქტუალური და გადაკრით უკუაგდო ოპოზიციის ცდა წაელევა ეს საკითხი მოზღვავებულ აბსტრაქტულ რევოლიუციონური ფრაზებით, რომლის შინაარსი უაღრესად ოპორტუნისტული, პესიმისტური და ლიკვიდატორული ხასიათის იყო.

პლენუმმა, პირველყოელისა, აღიარა, რომ „უკანასკნელმა მოვლენებმა სავსებით დაადასტურა კომინტერნის თვალსაზრისი... რომ, კერძოდ, მან სავსებით გაამართლა მე-VII-ე გაფართოებული პლენუმის პროგნოზი ბურჟუაზიის აუცილებელ ჩამოშორების შესახებ ერთიან ეროვნულ-რევოლიუციონური ფრონტისაგან და კონტრ-რევოლიუციის მხარეზე გადასვლის შესახებ“.

პლენუმმა აღნიშნა, რომ „ჩან-კაი-შის გადატრიალება ქმნის ახალ საერთო პოლიტიკურ პირობებს ჩინეთში და კლასიურ ძალთა ახალ განწყობილებას“, რომ ის „მოასწავებს ჩინეთის რევოლიუციის ნაწილობრივ დამარცხებას და კონტრ-რევოლიუციონური ბლოკის ძალთა განსაზღვრულ ზრდას“. ამასთანავე



პლენუმმა აღნიშნა, რომ ტაქტიკა ბლოკისა ეროვნულ ბურჟუაზიასთან რევოლუციის წარსულ პერიოდში საესებით სწორი იყო, რომ „სრულიად არ არის სწორი ლიკვიდატორულ შეხედულება ჩინეთის რევოლუციის დღევანდელ კრიზისზე, რომელიც თითქოს სწყვეტს მის დამარცხებას“. პლენუმმა აღნიშნა, რომ „ბურჟუაზიის ღალატისა და მისი სამხედრო ბელადის ჩან-კაი-შის გაქცეულუბის შემთავრეს მიზეზს წარმოადგენდა ერთი მხრით, მუშათა კლასისა და „გლეხობის“ თანდათანობით მოზარდი მასიური მოძრაობა და კომუნისტური პარტიის წარმატება, და მეორე მხრით საერთაშორისო იმპერიალიზმის გაერთიანებული ძალების გაძლიერებული ზემოქმედება“. მოძრაობის ამ წარმატებასთან ერთად, რამაც გამოიწვია გადატრიალება, მან აღიარა აგრეთვე, რომ „რევოლუციის ნაწილობრივ დამარცხებას უპირისპირდება მისი გადასვლა განვითარების უფრო უმაღლეს ფაზისში და მასების უფრო ინტენსიური მობილიზაციის დასაწყისი“.

ჩინეთის რევოლუციის დღევანდელი მდგომარეობის არსებითი თავისებურებანი პლენუმმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „აგრარული რევოლუცია, რომელიც გულისხმობს მიწის კონფისკაციასა და ნაციონალიზაციას, ასეთია ჩინეთის რევოლუციის ახალი ეტაპის შინაგანი სოციალურ-ეკონომიური შინაარსი. ამჟამად ძირითადს წარმოადგენს აგრარული საკითხის „პლემბური“ რევოლუციონური გადაჭრა თვით გლეხების ათეულ და ასეულ მილიონების მიერ; ამასთანავე კომუნისტური პარტია უნდა დასდგეს მოძრაობის სათავეში და უხელმძღვანელოს მას“.

აღიარა რა, რომ ამჟამად ჩინეთის კომუნისტური პარტიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს გლეხური აგრარული რევოლუციის გაფართოება და ხელმძღვანელობა, პლენუმმა ამასთანავე ხაზი გაუსვა იმას, რომ „კომპარტიამ მთავრობის შიგნითაც ისეთი პოლიტიკა უნდა აწარმოოს, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარული რევოლუციის გაფართოებას თვით მთავრობის მხრივაც“ და მის (მთავრობის) გადაქცევას „პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციონური დიქტატურის ორგანოდ“. „მხოლოდ ასეთი პოლიტიკის საფუძველზე, — ამბობდა პლენუმი, — რომელიც ტარდება ქვევიდან ზევით, შესაძლებელია ნამდვილ შეიარაღებულ საიმედო ნაწილების შექმნა და მთელი ჯარის რეორგანიზაცია მტკიცე რევოლუციონურ საფუძველზე“.

პლენუმმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია შესძლებს ამ ამოცანის განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას „ექნება თავისი საკუთარი პოლიტიკური სახე, რომელიც განსხვავებული იქნება თვით უმემარცხენეს წვრილ-ბურჟუაზიულ რევოლუციონერების პოლიტიკური სახისაგან“. პლენუმმა მიუთითა, რომ „მან არ უნდა სთქვას უარი თავის უფლებაზე გააკრიტიკოს რევოლუციონურ წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის მერყეობა და სისუსტე“. მან აღნიშნა, რომ „ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში ადგილი ქონდა მერყეობას სწორედ ამ პუნქტში, რომ პარტია ყოველთვის არ ამკლავებდა სათანადო სიმტკიცეს მემარცხენე გომინდანის კრიტიკის დროს; პარტიის შიგნით ადგილი ქონდა ერთგვარ შიშს მასიური მოძრაობის გაძლიერების გამო, პირველ რიგში, გლეხობის მოძრაობისა, მიწების ჩამორთმევისა და დეენტრებისა და მე-



მამულეების გაძევების მიზნით და სხვა“. პლენუმმა გამოსთქვა „ღრმა რწმენა, იმაში, რომ ახალგაზრდა ჩინეთის კომუნისტური პარტია, რომელიც დიდად გაიზარდა და უკვე მოგვცა რევოლუციონური გამბეობის ნიმუშები, მალე გაასწორებს შეცდომებს, რაც აიხსნება მოვლენათა დიდი სირთულით და მით, რომ ჩინეთში კომუნისტური მოძრაობა ახალი მოვლენაა“.

ამრიგადა, კ. ი. ა. კ. მაისის პლენუმში ასწორებს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხაზს, ისე, როგორც ეს ქნა კ. ი. ა. კ-ის მე-VII-ე გაფართოებულმა პლენუმმა, რომელმაც გააფრთხილა იგი შემარჯვენე გადახრებისაგან. მაგრამ ამასთანავე ის „გადაქრით უარყოფს გომინდანიდან გამოსვლის მოთხოვნისაგან ისეთ პოზიციას, რომელსაც არსებითად მივყევართ ასეთ ნაბიჯამდე“. „პლენუმში ფიქრობს, რომ პოლიტიკა გომინდანის სათანადო შეუფასებლობისა, როგორც რევოლუციონური მოძრაობის თავისებური ორგანიზაციული ფორმისა, სინამდვილეში მიგვიყვანდა იქამდე, რომ გომინდანის დროშას ხელში ჩაიგდებდნენ შემარჯვენეები“, რომ „ეროვნული რევოლუციის ამოცანების დაპირისპირება პროლეტარიატის კლასიური ომის ამოცანებისადმი... რომელსაც აწარმოებენ, როგორც ევროპიული ულტრა-შემარცხენე დაჯგუფებანი, ისე სოციალ-დემოკრატია,—ნიშნავს ხელისაღებას პროლეტარიატის პეგემონიაზე ჩინეთის დემოკრატიულ რევოლუციაში, ხელისაღებას, თითქოს რაღაც, მუშური ამქრობის (ძეხოვშინი) სასარგებლოთ, რომელიც პოლიტიკურათ ოპორტუნიზმის ერთ-ერთი სახეა და იწვევს პროლეტარიატის გარდაქმნას დემოკრატიული ბანაკის მაჩანჩალათ“. ასევე გადაქრით უარყო პლენუმმა ხელისაღება ენერგიულ მონაწილეობაზე უხანის „დროებით რევოლუციონურ მთავრობაში“, და მაშასადამე, უარყო „ასეთი მონაწილეობისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება“. თუმცა ასეთი დამოკიდებულება ფორმით რადიკალურია და რევოლუციონური, ნამდვილათ კი კვლავ აცოცხლებს მენშევიკების 1905 წლის შეცდომებს“.

ამ, ფორმით ულტრა-შემარცხენე, მაგრამ არსებითად მენშევიკურ ტაქტიკას პლენუმმა დაუპირისპირა მეორე ტაქტიკა—გომინდანის მასიურ ორგანიზაციით გარდაქმნა: „მასების ფართოთ ჩაბმა გომინდანში, ხელმძღვანელ ორგანოების არჩევა ამ მასების მხრივ და ამ ამორჩეულ ორგანიზაციის მიერ ეროვნულ-რევოლუციონური მთავრობის ჩამოყალიბება,—აი, მშრომელი მასისა და რევოლუციონური ხელისუფლების კავშირის ის თავისებური ფორმა, რომელიც შეეფერება ჩინეთის რევოლუციის თანამედროვე საფეხურს“. „უხანის მთავრობა,—ამბობდა პლენუმში,—რომელიც წარმოადგენს შემარცხენე გომინდანის მთავრობას, კიდევ არ ნიშნავს პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურას, მაგრამ სდგას ასეთი დიქტატურისაკენ მიმავალ გზაზე, და პროლეტარიატის ძლევამოსილ კლასიურ ბრძოლის პირობებში, თანდათანობით დაჰკარგავს რა თავის რადიკალურ ბურჟუაზიულ თანამგზავრებს, დასძლევს რა მთელ რაგ ლალატს, განუწყვეტლივ წავა წინ ასეთი დიქტატურისაკენ.“

მაისის პლენუმში, კ. ი. ა. კ-ის მე-VII-ე პლენუმის მსგავსად, წინასწარმეტყველებს, რომ მომავალშიაც, აგრარული რევოლუციის განვითარებასთან ერთად, აუცილებლად ადგილი ექნება მერყეობასა და ქანაობას წერილ-ბურჟუა-



ზიულ მასაში, აუცილებლად მოხდება ძალების ახალი ჩამოშორება რევოლუციონური ფრონტისაგან და ლალატი. რომ ამ აუცილებელ ლალატის შემთხვევებს არ მიეცეს საბედისწერო მნიშვნელობა რევოლუციისათვის, რომ შექმნილი იქმნეს საკმაო გარანტიები ამ ლალატის შედეგების წინააღმდეგ, პლენუმმა ურჩია ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, პირველყოფლისა, მთელი ენერჯიი აწარმოოს აგრარული რევოლუციის და მუშათა მასების მოძრაობის განვითარება, ამ მოძრაობაზე თავის ხელმძღვანელობის განმტკიცების საშუალებით; მეორე, ყოველნაირად შეეცადოს გარდაქმნას გომინდანი მასიურ, რევოლუციონურ ორგანიზაციათ; მესამე, აწარმოოს გომინდანის ბელადების შეცდომებისა და მერყეობის კრიტიკა, და დასასრულ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაათქვოს ენერჯია ეროვნული არმიის ნამდვილ რევოლუციონურ არმიათ გარდაქმნისათვის. „კ. ი. ა. კ.-ი აღნიშნავს, რომ ამჟამად განსაკუთრებით მწვავეთ იჭრება შემდეგი საკითხები: ჯარის რეორგანიზაცია, აბსოლუტურათ ერთგული რევოლუციონური ნაწილების შექმნა, ჯარის დაკავშირება მუშებისა და გლეხების ორგანიზაციებთან, ჯარის ძირითადი შემადგენლობის უზრუნველყოფა და დაქირავებული ჯარის გარდაქმნა რევოლუციის რეგულიარულ არმიათ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აბსოლუტურათ საიმედო ნაწილების შექმნას რევოლუციონური გლეხებისა და მუშების წრიდან, კომუნისტების და მტკიცე მემარცხენე გომინდანელების დანაწილებას ჯარში, მის გაწმენდას კონტრ-რევოლუციონური ელემენტებისაგან, და მუშური გვარდიის დაარსებას.“

პლენუმმა წინადადება მისცა ჩინეთის კომუნისტურ პარტიას მიიღოს ენერჯიული მონაწილეობა უხანის მთავრობაში და კურსი აიღოს მის გარდაქმნაზე მუშებისა და გლეხების რევოლუციონურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანიზაციაში. ამასთანავე პლენუმი, იღებს რა მხედველობაში იმ უდიდეს დაბრკოლებებს, რომელთა დაძლევა უხდება და კიდევ უფრო მეტათ მოუხდება მომავალში უხანის მთავრობას, აცხადებს, რომ „უხანის მთავრობისათვის, ასეთ დაბრკოლებათა პირობებში, პრინციპიალურათ დასაშვებია აწარმოოს მოქნილი (Манипуляция) ტაქტიკა უცხოელი კაპიტალიზმის მიმართ“. პლენუმი „უარყოფს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც „ბრესტის“ ტაქტიკა, რომელიც ემყარება მოქნილობაზე და მანევრულ მოქმედებაზე პრინციპიალურათ გამორიცხებულია იმ საბუთით, რომ ხელისუფლება პროლეტარულ ხასიათს არ ატარებს“. რამდენათაც ჩინეთის კომუნისტური პარტია იღებს და კიდევ უნდა აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა უხანის მთავრობის მოქმედებისა, რომლის შემადგენლობაშიაც ის შედის, იმდენათ ის ვალდებულია თვით იკისროს პასუხისმგებლობა ამ მთავრობის აუცილებელ ტაქტიკური მანევრების გამო.

დასასრულ, პლენუმმა გარკვევით აღნიშნა, რომ მას მიზანშეუწონლათ მიაჩნია ამჟამად მუშათა და გლეხთა საბჭოების შექმნის ლოზუნგი, რაც არსებითად წარმოადგენს (უხანის ტერიტორიაზე) საბჭოთა ხელისუფლების შექმნის ლოზუნგს, ვინაიდან ის „გამოიწვევდა აუცილებლათ ორგვარი ხელისუფლების არსებობას, კურსის აღებას უხანის მთავრობის ჩამოგდებაზე, მასების და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანიზაციის გომინდანური ფორმისაგან დაუყო-



ნებლივ გადასვლას უშუალოთ საბჭოთა ხელისუფლების სისტემაზე ჩინეთში, როგორც პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმაზე.

„მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების შექმნა აუცილებელია საჭირო იქნება მხოლოდ რევოლუციის შემდეგი განვითარებისას, როდესაც დაიწყება დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციამდე გადასვლის პროცესი“.

კ. ი. ა. კ-ის მაისის პლენუმის ბრძოლის ხასიათს ატარებდა. ის ამწკრივებდა კომინტერნის რიგებს მონაწილე მძიმე ბრძოლებისათვის ომის მოახლოების პირობებში. ამის გამო პლენუმის მუშაობა სრული ერთსულოვნობით მიმდინარეობდა. კომისიებში საკითხები ყოველმხრივით მუშავდებოდა; ყურადღებით და მოთმინებით ისმენდნენ კრიტიკულ შენიშვნებს სხვადასხვა მხრიდან, მაგრამ ეს იყო საქმიანი კრიტიკა, კომინტერნის პრინციპიალურ ლენინურ საფუძველზე და დასასრულს ერთხმად იღებდნენ დადგენილებებს.

ამ ერთსულოვნებასთან საშინელ დისონანს წარმოადგენდა საკ. კომ. პარტიის ოპოზიციის წარმომადგენლებისა და ამხ. უოვიჩის მოქმედება. მათი სიტყვები, და აგრეთვე მრავალრიცხოვანი წერილები, თეზისები და დეკლარაციები, დამზადებული ამხ. ამხ. ზინოვიევისა და რადეკის მიერ, რომლებიც პლენუმზე არ იმყოფებოდნენ, ძლიერ უშლიდნენ ხელს პლენუმის მუშაობას. ამ ამხანაგებმა დიდათ სერიოზულ საერთაშორისო პირობებში, ისეთ მომენტში, როდესაც იმპერიალიზმის ყველა ძალები სასტიკათ ილაშქრებენ კომინტერნისა, საბჭოთა კავშირისა და რევოლუციონური ჩინეთის წინააღმდეგ, ვერ შესძლეს მოეცათ თუგინდ ერთი პრაქტიკული რჩევა, თუგინდ ერთი პრაქტიკული მითითება იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა მოვიგერიოთ მსოფლიო იმპერიალიზმის გააფთრებული შემოტევა რევოლუციის ძირითადი სიმაგრეების წინააღმდეგ. სამაგიეროთ მათ გამოიყენეს ჩინეთის რევოლუციის, საბჭოთა ხელისუფლების, საკ. კომ. პარტიის და კომინტერნის ყველა დაბრკოლებანი იმისათვის, რომ შეეძინათ ფრაქციული კაპიტალი, რომ ეწარმოებიათ სიბოროტით და სიბრაზით აღსავსე შეტევა კომინტერნის და ყველა მისი სექციების ხელმძღვანელობაზე, დაეცათ მისი ავტორიტეტი, წამოეყენებიათ გაუგონარი ბრალდებანი, და ამავე დროს ისინი ითხოვდნენ თავის აღმაშფოთებელ გამოსვლების ფართოთ გამოქვეყნებას „კრიტიკის თავისუფლების“ საფუძველზე. არსებითად ყველა ეს გამოსვლა წარმოადგენდა პრინციპიალურ უკან დახევას ლენინიზმიდან — ტროცკიზმისაკენ, მისი ყველაზე უფრო უვარგისი ფორმისაკენ.

მსგავსად იმისა, როდესაც ტროცკი 1914 წლის ომის დროს უარყოფდა ლენინის რევოლუციონურ ლოზუნგებს, რომლებსაც შეეძლო და კიდევ შესძლეს იმპერიალისტური ომის გარდაქმნა სამოქალაქო ომად, და უპირისპირებდა მათ რევოლუციონურ სიტყვებს, მსგავსად ამისა მან და მისმა თანამოაზრეებმა ვერც ეხლა წამოაყენეს ისეთი ლოზუნგი, რომელსაც შეეძლოს მასების მობილიზაცია მოსალოდნელი ინტერვენციის წინააღმდეგ. ერთათ-ერთი, რასაც ისინი მოითხოვდნენ ომის საფრთხესთან დაკავშირებით ეს იყო ინგლის-რუსეთს კომიტეტის დაშლა, და ეს ერთათ-ერთი მოთხოვნილებაც სავსებით ხვდებოდა იმას,



რასაც ასე მოუთმენლად ელოდა ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, და რისკენაც მიისწრაფოდენ ინგლისის რეფორმისტები—მუშათა კლასის გამცემლები, იცოდენ რა, რომ ეს ზედმიწევნით გაუადვილებდა ინგლისს სამხედრო შეტევისათვის ს.ს.რ. კ-ის წინააღმდეგ.

კომინტერნის კურსს მასების მობილიზაციაზე, რაც განსაკუთრებით აქტუალურ ხასიათს იღებს ამჟამად ომის საფრთხის გამო, ტროცკი და მისმა თანამოაზრეებმა დაუპირისპირეს ანარქო-სინდიკალისტებთან დაკავშირების კურსი. და ამას გვიჩვენებ მაშინ, როდესაც თითქმის ყველა პატიოსანი ანარქო-სინდიკალისტური ელემენტები, რომელთაც ძალუძთ შეუერთდენ კომუნისტურ მოძრაობას, უკვე ჩაბმულია მასში და ასიმილიაციაქმნილია ამ მოძრაობის მიერ, როდესაც ანარქო-სინდიკალისტების რიგებში დარჩენ მხოლოდ ნაძირალები, რომლებიც „ყველაზე უფრო სასტიკ თეთრგვარდიელებთან ერთად, უსაშინელესი ბინძური იარაღით იბრძვიან კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. კომინტერნის ხაზს, რომელიც მიმართულია ძალთა კონსოლიდაციისაკენ, რაც აუცილებელია ომის მოახლოების გამო, ისინი უპირისპირებენ „სრულ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ კავშირს გერმანიის კომ. პარტიიდან გამორიცხულ რენეგატებთან მასლოვ-რუტ ფიშერის ჯგუფიდან, მოითხოვენ რა მათ დაუყოვნებლივ დაბრუნებას კომინტერნში“. და ასეთ წინადადებას იძლევიან მაშინ, როდესაც ეს რენეგატები იწყებენ ანტი-კომუნისტური ყოველდღიური გაზეთის გამოცემას და სურთ დაარსონ კონტრ-რევოლუციონური „მე-IV ინტერნაციონალი“.

ჩინეთის რევოლუციის საკითხში კომინტერნის ტაქტიკას რევოლუციის წარსულ საფეხურზე მათ დაუპირდაპირეს ისეთი ტაქტიკა, რომელიც მიგვიყვანდა პროლეტარიატის ჩამოცილებამდე ეროვნულ-რევოლუციონური მოძრაობისაგან, პროლეტარიატის ჰეგემონიის უარყოფამდე ამ მოძრაობაში და ყველა სახელმძღვანელო სიმალეების გადაცემამდე კაპიტალისტური ბუზუაზიისათვის. მომავლისათვის კი ისინი მოითხოვდენ ორგვარი ხელისუფლების შექმნას უხანის მთავრობის ტერიტორიაზე საბჭოების სახით და დაუყოვნებლივ კურსის აღებას მემარცხენე გომინდანის მთავრობის ჩამოგდებაზე. „ეს იგივე ძველი ტროცკისტული პოზიციის განმეორებაა. გადახტომა რევოლუციის წვრილ-ბურჟუაზიულ სტადიაზე—პოზიცია, რომელსაც ამხ. ტროცკი იცავდა ჯერ კიდევ 1905 წელს ში მენშევიკებთან ერთად ამხ. ლენინის წინააღმდეგ“. ეს ულტრა-მემარცხენე პოზიცია, რომ დაუპირდაპიროთ იმავე ტროცკის მტკიცებას, რომ უკანასკნელ წლებში კომინტერნი და ჩინეთის რევოლუცია განიცდიდენ მხოლოდ დამარცხებას, სრულიად აშკარა გახდება, რომ ტროცკის და მისი თანამოაზრეების ულტრა-მემარცხენე სიტყვებში იმალება ულრმესი პესიმიზმი, ლიკვიდატორობა და დეზერტირობა რევოლუციისაგან.

მოახლოებული ომის საფრთხის მომენტში ამხ. ტროცკი, ანულებს რა ომისადმი ყურადღებას, აყენებს ლოზუნგს—„ყველაზე უფრო უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს პარტიული რეჟიმი“. ამ რეჟიმთან ბრძოლის გულისთვის ტროცკი, ისე როგორც ჩადიოდა ის მენშევიკებთან ერთად 1903 წელს, დაუყოვნებლივ მოითხოვს განუსაზღვრელ „კრიტიკის თავისუფლებას“, თუნდ ეს კრიტიკა გა-



მოიხატებოდა კომინტერნის საზიზღარ გინებაში, რომელიც, თითქოს, აწარმოებდა „სამარცხენო პოლიტიკას“, რამაც ხელი შეუწყო კავენიაკის—ჩანკაი-შის გამარჯვებას, თუგინდ ეს კრიტიკა უყენებდას საბჭოთა ხელისუფლებას ბრალდებას იმაში, რომ ის მომწყვდევლია „ეროვნულ-კონსერვატიულ ნაჭუჭში“. მოითხოვენ რა ფართო დისკუსიის თავისუფლებას ომის საფრთხის მომენტში, ისინი ემყარებიან დისკუსიას ბრეტის ზავის დროს, მაღაქნიან იმ უპროვოცებას, რომ ლენინი მაშინ ამ დისკუსიის წინააღმდეგი იყოს და ის დაშვებული იქნა მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხში ორ თანასწორ ნაწილად გაიყო, მაშინ როდესაც ეხლა ოპოზიციონერებს საკ. კომ. პარტიაში და კომინტერნში მხარს უჭერს პარტიული ამხანაგების სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა.

დასასრულ ტროცკიმ, იმის მაგივრად, რომ წამოეყენებია ლოზუნგი „ეხლა ჩვენ ბოლომდის უნდა ვებრძოლოთ იმპერიალისტების შემოტევას“, გადმოისროლა ლოზუნგი: „ჩვენ ბოლომდის ვებრძობეთ ამ კურსის წინააღმდეგ“, ე. ი. პარტიისა და კომინტერნის წინააღმდეგ.

პლენუმი ნებას რთავდა, მოითხოვდა და სიამოვნებით ისმენდა თავის კომისიებში ამა თუ იმ ნაკლის ამხანაგურ, საქმიან კრიტიკას კ. ი. ა. კ-ის წევრებისაგან. პლენუმმა მთლიანად, როგორც ერთმა კაცმა ზიზლით უკუაგდო გაბოროტებული, მტრული, ლენინიზმისაგან პრინციპიალურად დაცილებული და რენეგატ მასლოვსა და რუტ ფიშერთან შეთანხმებული კრიტიკა ოპოზიციონერებისა. პლენუმმა დაამტკიცა, რომ არსებულ მძაფრ პირობებში კომინტერნს შესწევს ძალა დაიცვას საბჭოთა რესპუბლიკა და რევოლიუციონური ჩინეთი, განამტკიცოს რკინის დისციპლინა თავის რიგებში და იმოქმედოს, როგორც მსოფლიო რევოლიუციის ნამდვილმა ლენინურმა შტაბმა.

უურნალ „კომუნისტური ინტერნაციონალის“ № 23, მოწინავე წერილი.





## ლიბიტრი და ალექსანდრა ჟაზგაგები

(მოგონებანი)

წინასიტყვა:

### I

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,  
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

შოთა რუსთაველი

დიდი ხანია მინდოდა ჩემი მემუარების დაბეჭდვა, მაგრამ სხვადასხვა დაშაბრკოლებელი მიზეზების გამო უნებურად გაჩუმებული ვიყავი. 1918 წელს, რუსეთიდან საქართველოში რომ მოვდიოდი, ბარგი მომპარეს, საცა ყოველი საჭირო ქაღალდები და ჩემი მემუარების რვეულებიც იყო. მაგრამ, ხსოვნა შემრჩა. შემძლიან მოვიგონო ყოველისფერი, რაც მინახავს, გამიგონია სანდო ხალხისაგან—სულ მახსოვს, რაც იყო შესანიშნავი. გარდა ამისა, არც საზოგადოებრივი ცხოვრების ცნობის სურვილი დამკლებია, და მონაწილეობასაც ვიღებდი ამ ცხოვრებაში.

საერთოდ ჩემს მემუარებს უწინ არ დაბეჭდავდენ, რადგანაც იქ აწერილი იყო საზოგადოების ნაკლი, სხვადასხვა ხელისუფალის უხნეო თუ უკანონო მოქმედება.

მე არ მიმაჩნდა საინტერესოთ, რომ ჩემი და ჩემი მახლობლების ცხოვრების აღწერით გამერთო საზოგადოება. ამას მხოლოდ იმდენად ვეხებოდი, რამდენადაც მას ჩვენს ცხოვრებაში ესა თუ ის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩემი ცხოვრება ასე მოეწყო: თითქმის არ იყო იმისთანა გამოჩენილი პიროვნება რუსეთში ან საქართველოში, რომ ოდნავ მაინც არ გამეცნო პირადად—დიდი ხელისუფალი, ცნობილი მწერალი, მხატვარი, არტისტი ან საზოგადო მოღვაწე.



ერთმა დიდმა, შორეულმა და სამწუხარო შემთხვევამ ამაღებინა ეხლა კალამი ხელში. აქამდის გაჩუმება ძალიან მემძიმებოდა, მაგრამ ეხლა მაინც უნდა გავხსნა დადუმებული პირი. ეს იმისთანა შემთხვევაა, რომ არათქმით დაშავდება. რუსებმა იციან: „ისევ გვიან სჯობია, ვინემ არასოდესო“. თუმცა დაგვიანებულია ჩემი წერილი, მაგრამ მაინც არ შემძლია არ ავასრულო ჩემი სინიდისის მოთხოვნა, რომელიც მიკარნახებს ხმის ამოღებას. ~~ჩემი წერილი~~ ჩემის მხრით იქნებოდა მხოლოდ სულმოკლეობა და გაუბედურება.

სიმართლის აღდგენის მეტი სხვა არავითარი ინტერესი არა მაქვს ამ შემთხვევაში. ეს სამწუხარო ამბავი შეეხება ჩემს ორ ღვირძლ ბიძაშვილს: დიმიტრი ნიკოლოზის ძეს და ალექსანდრე მიხეილის ძე ყაზბეგებს.

ორივესთან ერთად გავიზარდე, იმათს სიკვდილამდე სიახლოვე მოწყვეტილი არა მქონდა და ყოველი მათი მოქმედება ვიცოდი. ჩემთვის, როგორც ქართველისთვის და ორივე ყაზბეგის თანაბარი ნათესავისთვის, სულ ერთია, რომელი იყო ავტორი ამ თხზულებისა, რომელიც დაბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგმა თავისი სახელით, მოჩუბარბის ფსევდონიმით, მაგრამ მაინც ვალად მიმაჩნია სინიდისის ქვეშ სიმართლის თქმა.

ალექსანდრე, გარდა ჩემი ბიძაშვილობისა, ჩემი ქმრის ნათესავიც იყო, რადგან იმისი დედა კეკე და ჩემი ქმარი თარხნიშვილები იყვნენ.

ავტორობის ამბავი, ცხადია, მეტად ეინტერესებოდა ყოველ განათლებულ ქართველს, ამიტომ ვბედავ სიმართლის თქმას, როგორც უკანასკნელი ნამდვილი მოწმე და ორივეს ნათესავი. გარდა ამისა, ამ ჟამად მარტო მე ვარ ცოცხალი დიმიტრის ახლო ნათესავებისა და მეგობრებისაგან, რომელსაც იმის სიკვდილამდე იმასთან სიახლოვე არ მოუსპია.

ამის გამო, ვგონებ, ჩემი სიტყვები უყურადღებოდ არ იქნება დარჩენილი. ჩემს სიცოცხლეში ტყუილი მუდამ მეჯავრებოდა და ეხლა, 71 წლისას, როცა ერთი ფეხი სამარეში მიდგას, სინიდისს არ გადაუდგები და ტყუილებს არც ჩემს თავს ვაკადრებ, არც ქართველ ხალხს. რასაკვირველია, იმისთვის არ ვიწყებთ ჩემი მემუარების ბეჭდვას, რომ სიბერის დროს მწერლის სახელი დავიმსახურო.

ოღონდ არ მინდა სამარეში ჩავიტანო ის მრავალი მასალა, რაც ხანგრძლივ სიცოცხლეში დამიგროვდა.

სამწუხაროდ, იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ მცოდნე, ნიჭიერი ადამიანის ცხოვრება ისე მიმდინარეობდეს, რომ მან ვერ მოასწროს ყოველი თავისი კეთილი აზრებისა და სურვილების ასრულება. მუდამ ვემზადებით ცხოვრებისთვის, მაგრამ თითქმის არა ვცხოვრობთ, ისე მოუვიდა ჩემს ბიძაშვილს დიმიტრი ყაზბეგსაც.

სანდროს, გარდა კარგი ხსოვნისა, ერთი ნიჭიც მქონდა — უტილიტარული, რომელსაც ყოველ შემთხვევაში ხმარობდა. მას არ ეჩოთირებოდა ყოველი უზნეო საქციელი. ეს ნიჭი აქაც მოიხმარა. ჯერ მიითვისა შემუშავებული, დიმიტრის ნაწერები, მერმე ნედლი მასალებიც გამოიყენა, ხოლო მათი რიგიანათ შემუშავება ვერ შესძლო. როცა დიმიტრის მასალებს ბეჭდავდა, თავისი



საკუთარი უნიჭო, უხეში ფელეტონების გამოქვეყნებაც დაიწყო. ყველას უკვირდა—ნიჭიერი მწერალი ამისთანას როგორ სწერსო.

დიმიტრის სიკვდილის შემდეგ მივედი ყაზბეგში. იქ ძალუას მეთი არაენი იყო, როცა ალოშკა შადურს, დიმიტრის მოურავს, ვკითხე, რატომ არ დაუშალე სანდროს, რომ დიმიტრის განჯინა გასტეხა და ქალაქები გამოიღო, სანდროს ის ქალაქები რატომ ლიზამ არ გამოართვა მეთქი, მიპასუხებენ: „ლიზამ ხელში ვერ ჩაიგდო სანდრო, ქალაქში წავიდაო. სანდრომ ქალაქები დასწვა, ხელნაწერები კი თან წაიღო და ლიზაც ქალაქში გამოუდგა. დიმიტრი ჩემი ძმად ნაფიცო იყო. იმისი ნაშრომი, რაც ჩემს თვალწინ დაუწერია, ჩემის თვალით ვნახე, სანდრომ განჯინიდან გამოიღო ის ნაწერები. სუყველამ რომ აპატიოს, მე მაინც არ ვაპატიებ. სად წავიდა, აქ არ მოვა! ყელიდან ამოვაძრობ!“

მაგრამ სანდრო აღარ მოდიოდა ყაზბეგში.

რადგან სანდრომ სუყველაფერი გაჰყიდა ყაზბეგში, აღარც საქიროებდა იქ მისვლას, აღარც დადიოდა. ერთხელ ამოვიდა უცებ. მცირე ხნის შემდეგ ალოშკა შადური მოჰკლა თავისმა შვილმა ვანიამ. რა მიზეზი იყო ამისთანა საშინელი ბოროტებისა—მამის მკვლელობისა—გამოურკვეველი დარჩა.

ვანია შადური ელისაბედ ყაზბეგის გაზრდილი იყო. მას ის თან ჰყავდა ახალციხეში. იქ სკოლაში ატარებდა, რადგან ნიჭიერი და კარგი ბავშვი იყო. ლიზამ მოინდომა, რომ იმას სწავლა გაეგრძელებინა, ამისთვის წაიყვანა ქალაქში და მისცა სასწავლებელში. სანდრომ უთხრა, ჩემთან იცხოვროსო, და ლიზამაც იმასთან დასტოვა ეს ბავშვი.

ვანიამ ლიზას შესჩივლა, მთელი ღამეები მტანჯავსო ალექსანდრე, არ ვიცი, რაღაცას მიშვება, რასაც მოისურვებს მაქნევინებს, მე კი იმ საღამოების შემდეგ სწორეთ გიჟივით ვხდებიო.

თურმე გიპნოტიზმის სენსები ჰქონდა. ალექსანდრეს აწუხებდა, რომ იმის ბოროტმოქმედების ორი მოწმე ცოცხლები იყვნენ—ალოშკა და ელისაბედი. ვანია ჯერ დაბრუნდა ახალციხეში. უცნაურად იქცეოდა. ლიზას შეეშინდა, არ მომკლასო, ძალიან გაუფრთხილდა და ამის გამო გადარჩა.

ვანია წავიდა ყაზბეგში, საცა უცებ სანდროც მივიდა. ვანია იმასთან იყო იმ საღამოს, როცა თავისი მამა მოჰკლა. სანდრო უცნაურად იქცეოდა: ჯერ ერთი, იმ საღამოს მასთან ისეთი სტუმარი იყო, რომელიც თავის დღეში ალექსანდრესთან ღამით არ დარჩენილა.

როცა თოფი გავარდა, პირველი ალექსანდრე გამოვარდა. ამ სტუმრის დარჩენა ალექსანდრეს თავის ალიბისთვის ესაჭიროებოდა, ვითომ მე არა ვარ მონაწილე ამ მკვლელობაში. მაგრამ მაინც ძალიან საეჭვო იყო მისი მოქმედება იმ საღამოს. სრულებით არ იყო მიზეზი, რისთვის უნდა ჩაედინა ვანიას ასეთი საშინელჯება—მამის მოკლევა? მისი უცაბედი ყაზბეგში მოსვლა, სპირიტუზმის სენსები—ამან უმალ დაბადა ეჭვი და შემდეგ ღრმა რწმენაც, რომ ვანიამ მამა სპირიტუზმის გავლენით მოჰკლა, ხოლო ეს საქმე ამ უბედურს ალექსანდრემ შეასმინა. ეს რწმენა ყველას ასე შერჩა გულში. უბედურ ალოშკას სიკვდილი გაგრძელება იყო იმ საზარელი შემთხვევისა, რომელიც ალექსანდრემ მოახდინა



დიმიტრის სიკვდილის დროს, როცა წაიღო მისი ნაშრომი: „მას უნდა მოეშორებინა საშიში მოწმე—ალოშკა—და მოიშორა კიდევაც.“

ქალაქში შემხვდა ლიზა. ვკითხე: „გამოართვი ალექსანდრეს დიმიტრის ნაწერები თუ არა მეთქი“.

— არა, ისევ სანდროს აქვს—მიპასუხა.

— უბრიანი არ არის იმისმა ცოლმა შეუნახოს შვილებსა—<sup>ვუთხარი მე.</sup>

— ძალიან კარგი ქომაგი კი ჰყევნარ ტასოს—<sup>მიპასუხა.</sup>

— მე იმას ვამბობ, რასაც ჩემი სვინდისი მეუბნება.

— რა ვქნა სანდრო თავისუფლად ვერ ჩავიგდე ხელში. ალექსანდრემ იმიტომ გამოიღო ის ქალაქები, რომ დიმიტრის შვილებს შეუნახოს. აბა ტასიამ, რომელმაც არც წერა, არც კითხვა არ იცის, რა იცის იმ ნაწერების ღირებულებისა, ვინმე დასტყუებს.

— მაინც ჰკუიანი დედაკაცია—<sup>ვუთხარი.</sup>—კარგად იცის, რომ იმისი ქმარი უხეშს უნიჭოს არას შეინახავდა, და არავის მისცემს, სანდროს კი როგორ ენდობა იმისთანა ძვირფასი ნაწერები! მან არ იცის არც თავისი, არც სხვისი ყადრი. შენ არ წაგიკითხავს დიმიტრის ნაწერები, მე კი წამიკითხავს და ვიცი. გარდა ამისა, სხვა საჭირო ქალაქებიც იყო იმ განჯინაში.

— მეც მაწუხებს. კარგი, კარგი, გამოვართმევ—<sup>დამამშვიდა.</sup>

— ვიცი, შენი ხასიათი, როცა გინდა შეასრულო რამე, ადამიანს რჯულამდის ჩაჰყვები—<sup>ვეუბნები მე.</sup>—ამ შემთხვევაში ამისთანა დაუდევრობა გაუგებარია. ნუ თუ შენისთანა მტკიცე ხასიათის პატრონმა უხასიათო სანდროს ვერ გამოართვი, რაც ეკუთვნის შენს ძმისწულებს?

იმ დროს მე გაგონილი არა მქონდა, ვითომ იმ საქმეში ელისაბედიც ერია და არ მესმოდა „სად იყო ძალდი ჩაფლული“. ლიზას კარგად ვიცნობდი. უხასიათო ადამიანი არ იყო, და არ თანაუგრძობდი იმის სანდროსადმი გულჩვილობას. მაინც დაჯერებული ვიყავი, რომ ამ ბაასის შემდეგ გამოართმევდა ხელნაწერებს და შეინახავდა ან როგორმე მოუვლიდა.

იქნება უგულობაში ჩამომართვან: ცუდი ხასიათი მჭირდა: ჩემთვის საკმაო არ იყო თუნდაც წმინდა სახარების სიტყვებიც, ყოველისფრის გამორკვევა მესაჭიროებოდა. რამდენადაც უფრო მახლობელი იყო ადამიანი, იმდენად უფრო მეტს მოვითხოვდი მისგან, რაც უნდა გულის საყვარელი ყოფილიყო, თუ დავინახავდი, რომ ცუდი ზნეობისა იყო, ჩემს გულში იმას ადგილი აღარ ჰქონდა.

ჩვენც (მე, დიმიტრი და ალექსანდრე), როგორც ლიზა მათთვის, ღვიძლი ბიძაშვილები ვიყავით, ერთად აღზრდილები. მისაკერძოებელი არაფერი მაქვს, ამიტომ პირდაპირ უნდა ვსთქვა ყოველივე. არ მახსოვს შემთხვევა, რომ ალექსანდრეს ადამიანობა გამოეჩინა, თუნდაც ერთი მისი კეთილშობილი მოქმედება გვენახა. ელისაბედიც ძალიან კარგად იცნობდა ალექსანდრეს. ისიც ცხადათ ასწერს თავის ბიძაშვილს უზნეო ადამიანად, მე არ მესმის, როგორ ვერ მოახერხა ამისთანა ღონიერმა, დალაგებულმა ადამიანმა, რად შეარჩინა, რატომ ვერ გამოართვა იმისთანა საბრალო და უხასიათო კაცს, როგორიც სანდრო იყო, დიმიტრის ნაშრომები? ლიზა სრულებით დაშორდა დიმიტრის და, რასაკვირვე-



ლია, მას იმისი ნაწერები არ წაუკითხავს. მაგრამ კარგად იცოდა, რომ დიმიტრი სწერდა, ამ ნაწერების გარდა განჯინაში სხვა საჭირო ქაღალდებიც იყო. მან არ მოიხმარა ყოველი შესაძლებელი ღონისძიება, რომ წაერთმია სანდროსათვის ეს ქაღალდები. მართლა ძალიან უნდა შეეწუხებინა სვინდისს! სამწუხაროა რომ სანდროს ეუუუნა თვალები ავიწყებინებდა მას თავის წმინდა მოვალეობას.

როცა გავიგე, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა, მოჩუბაურეფი უფსუფლონიმით, გამოსცა მეტად ნიჭიერი თხზულებებიც, გამიკვირდა, ანუ ვინაა ვინაა რადგან მე მას კარგად ვიცნობდი: მას არც წერაში, არც კამათში თავის აზრის დამთავრება (მას აზრებიც არ ჰქონდა) სრულებით არ შეეძლო, ის მოკლებული იყო ლოდიკურ აზროვნების ნიჭს. ერთი აზრიდან მეორეზე გადახტებოდა. იმასთან მსჯელობა ყოველად შეუძლებელი იყო. მისი ჰკუა თუ უჰკუობა მუდამ მომაგონებდა ტურგენევის სიტყვებს: „ეკამათე ჰკვიანს, რასმე შეისწავლი იმისაგან; ეკამათე სულელს—ასწავლი რასმე, მაგრამ ნუ ეკამათები იმისთანა ადამიანს, რომელსაც ვერც შენ შეასმენ, ვერც ის დაგიმტკიცებს რასმე“. იმის წერილები უხეშად და უნიჭოდ დაწერილები, აშკარად ამტკიცებდნენ, რომ მას არავითარი წერა და ავტორობა არ შეეძლო. რადგანაც არ მოველოდით ამისთანა სამწუხარო შემთხვევას, რასაკვირველია, იმის ნაწერებს არც ვინახავდით.

როცა წავიკითხე სინდროს სახელით გამოცემული ნაწერები თუმცა დამახინჯებული, მაინც უმაღ ვიცანი, რომ ეს იყო დიმიტრისა, რადგანაც წაკითხული მქონდა. „წერილი უნდა გამოვაცხადოთ მეთქი“—გადავწყვიტე. ვნახე დიმიტრის ძმა გიორგი და ვთხოვე ნება მოეცა დამებეჭდა. გიორგი ძალიან გაჯავრდა, მითხრა: „მეტიჩარა ნუ ხარო“.

მე გამიკვირდა, ვუთხარი:

— თქვენ დაშორებული იყავით დიმიტრისაგან, ამიტომ ალბად არ წავიკითხავთ იმისი ნაწერები, მე კი ყველაფერი წავიკითხე და არ შემიძლიან მოვიწინელო ამისთანა უსვინდისო ამბავი, ამისთანა აშკარა პლაგიატი. არ მესმის, როგორ უნდა აპატიოთ ალექსანდრეს დიმიტრის შრომების დაჩემება.

იმ დროს ახალქალაქში ვცხოვრობდი. იქ ამოვიდნენ აკაკი წერეთელი, რომელიც ჩემი მეგობარი იყო, და მასთან სერგეი მესხიც. ბევრი ლაპარაკის შემდეგ მესხმა მითხრა:

— მიკვირს, რატომ არ ჰკევხარ სხვა კნეინებს.

— იმიტომ, — უპასუხა აკაკიმ — რომ, ეს გაიზარდა თავის ბიძაშვილის დიმიტრის გავლენით. მერე სერგეი მესხმა მთხოვა:

— გთხოვთ სინამდვილე მითხრათ: თქვენ გეცოდინებათ, რა მიზეზია ამ ჭორების, ვითომ ალექსანდრე ყაზბეგის გამოცემული ნაწერები დიმიტრის ეკუთვნოდეს — მეც ვუპასუხე:

— ეს ჭორი კი არ არის, სიმართლეა, დიმიტრის სიკვდილის შემდეგ მან მოიპარა ნაწერები და დამახინჯებული გამოსცა.

ვუთხარი, რომ მე მაქვს ყოველი ნაწერი წაკითხული. ძალიან შეწუხდა მესხი.



— მიკვირს—უთხრა მას აკაკიმ—შენ მაინც არა გჯერა, რომ იმისთანა სულელმა მარტო ის მოახერხა, რომ ღიმიტრის ნაწერები მოიპარა და დაამახინჯა. აბა იმისთანა სულელს რა წერა შეუძლია?

როგორც ზემოთ მოვიხსენე, როცა წავიკითხე დაბეჭდილ ღიმიტრის ნაწერები თუმცა დამახინჯებული იყო, მაინც უმაღ ვიცანი და გულუფასე ვუთხარი, უნდა გამოვაცხადო მეტქი. მან მიპასუხა:

— შენის მეტმა წერა არავინ იცის? რომ საჭირო იყოს, მე არ დავწერიდი? გთხოვ თავი დაანებო ამას. სახელს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. გვარი ხომ ჩვენია. მადლობა ღმერთს, რომ ღიმიტრის შრომა საქართველოს სულ არ დაეკარგა.

როცა ვუთხარი, ალექსანდრემ დაამახინჯა მეტქი, მიპასუხა:

— ჩვენ შესწორებას ვერ შევსძლებთ. რომ ჰქონდეს კიდევაც სანდროს ღიმიტრის ნაწერები (თუ არ დასწვა, ან არ დაკარგა), მაინც არ მოგვცემს. მეც დარწმუნებული ვარ, რომ მართლა ღიმიტრის ნაწერებია. შენი გამორკვევა კი ბევრს ტალახს გამოაჩენს, ეს მოეცხობა მთელს ჩვენს გვარს, რადგან, საუბედუროდ ესეც ჩვენი გვარისა არის.

მე არ მესმოდა ამისთანა გულგრილობა, მაშინ არც ის ხმები ვიცოდი, ვითომ სანდრომ ლიზას თანხმობით გამოიტანა ეს ქალაქები, არც ლიზას მემუარების შესახებ ვიცოდი რამე. მაინც ღიმიტრის და-ძმანი რომ გაჩუმებულნი იყვნენ, არასოდეს არ თანაუგრძნობდი.

გიორგიმ არ მომცა ნება იმის გამოცხადების, რის მოწამეც მე პირადად ვიყავი: ვხედავდი როგორ აგროვებდა ღიმიტრი მასალებს „ელგუჯასი“, „მოდვრისა“, „ხევის ბერი გოჩასი“, და სხვებისას, ჰკრეფავდა სოფლებში მოხუცებულ ხალხს, გამოჰკითხავდა, იქვე ჩასწერდა. არ უყვარდა იმის შესახებ ლაპარაკი, რასაც სწერდა. მაინც რამდენჯერმე უთქვამს ჩემთვის გმირების თავგადასავალი.

ჩვენი სიახლოვე დაიწყო ნამეტნავად მაშინ, როცა ღიმიტრიმ ცოლი შეირთო. იმის ცოლს ძალიან გადაემტერა ოჯახი, ნამეტნავად ღიმიტრის მამა და ლიზა. თუმცა მე ამ ბოროტმოქმედების შესახებ არ დამაწერინეს, მაინც იმ წრეებში, რომლებიც კარგათ იცნობდნენ ღიმიტრის — იცოდნენ რომ ის სწერდა, ალექსანდრესაც იცნობდნენ, — იმათში დიდი ბაასი იყო ამ საგანზე, მაგრამ რადგანაც პატრონები ჩუმიად იყვნენ, ისინიც უნებურად გაჩუმდნენ. რაც უნდა იყოს, მთის ჩვეულებამ, უფროსის სურვილის შესრულებამ ჩემზედაც იქონია გავლენა. გიორგი ღვიძლი ძმა იყო, მე კი — ბიძაშვილი. გარდა ამისა, გიორგი ნასწავლი, ჰკულიანი და ჩვენი უფროსი, ჩვენთვის ავტორიტეტი იყო. ამიტომ გავჩუმდი და ხმას აღარ ვიღებდი.

როცა გიორგი მოკვდა, ამ საგანზე ბევრი რამეც დაიბეჭდა. დიდი მითქმამოთქმაც ყოფილა. მე რუსეთში ვიყავი, არაფერი არ ვიცოდი. ეხლა კი, როცა ჩამოვედი, ამ საგანზე ყოველი ნაწერი წავიკითხე. მეც ჩემ თავს ვალდებულად ვხდი: რაც მე წამიკითხავს და ჩემის თვალით მინახავს, გამიგონია — დავწერო.

მე ამ ნაწერებს არაფრის და არავის გავლენით არა ვწერ. არ შემიძლიან



არ გამოვსთქვა ჩემი აზრიც ამ ნაწერებზე, რადგანაც ზოგი ქართველი ერთი კრიტიკოს-მკვლევარის გავლენის ქვეშ არის, ზოგი—მეორის.

ცოლის შერთვის შემდეგ, დიმიტრის თითქმის ყველანი დაშორდნენ. ის ქალი თუმცა ჭკვიანი იყო, ნიჭიერი, თვალ-ტანადი, მაგრამ არ იყო დიდი გვარიშვილი, დიმიტრი, როგორც ნაროდნიკი, ადამიანობას მჭიდროდ ატარებდა, ის გვარიშვილობას არაფრად აგდებდა, არც ჯვარის წერის, რადგანაც ატეისტი იყო. ლიზას მეტად ეჯავრებოდა დიმიტრის ცოლი ტასო. დიმიტრი ამბობდა:

— მე სხვა ცოლშვილი არასოდეს მეყოლება, ვინც პატივს მცემს და ვუყვარვარ, იმან უნდა იცოდეს, რომ ეს არის ჩემი ნამდვილი ცოლ-შვილი.

მართლა, ის იმისთანა ზნეობის ადამიანი იყო, რომ თავის დღეში არ უღალატნია ცოლისთვის. მე დიმიტრის სუყოველთვის თანავუგრძნობდი, და იმის სიკვდილამდის სიახლოვე არ მომისპია.

ბავშობის დროს და გათხოვების შემდეგაც, რადგან ჩემი ქმარი კავკავში მსახურობდა, ზაფხულობით ყაზბეგში ვცხოვრობდი ორი წლის განმავლობაში, ბიძა ჩემის მიხეილის ალექსანდრეს მამის სახლში. მერმე, როცა ალექსანდრეს მამა გარდაიცვალა, ძია ნიკოლოზის სახლში, ხოლო შემდეგ დიმიტრისთან. იმისი ძმები შორს სამსახურში იყვნენ; ოღლა, მისი და, გათხოვდა, და ისიც შორს იყო, ლიზაც სამსახურში იმყოფებოდა. მე კი მეგობრულად ვიყავი დიმიტრის ცოლთან, ზაფხულში მასთან მივდიოდი და ისინიც ჩემთან კავკავში დადიოდნენ.

მერმე ჩვენ საქართველოში გადმოვედით საცხოვრებლად. ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, დიდი მეგობრები ვიყავით. უკანასკნელად დიმიტრი ვნახე 1879 წელს ნოემბერში. არ იყო საგანი რომ არ გაგვეჩხრიკა, არ მოგველაპარაკნა მასზე. ჩვენი ბავშვობა მოვიგონეთ.

ერთხელ მითხრა:

ნიჭი და ჭკუა არც შენ გაკლდა, არც მე, მაგრამ ვერ მოვიხმარეთ.

მე მაშინ გადაწყვეტილი მქონდა რუსეთში წასვლა, სწავლის გაგრძელება და ვუთხარი დიმიტრის:

— შენ ყოველ ღირსებასთან ერთად დიდი სწავლაცა გაქვს, მე კი სწავლა მაკლია. ვგონებ ეს ნაკლებულეა აღარ შექნება. ვისწავლი და ჩემს ცოდნას და ნიჭსაც მოვიხმარ, მაგრამ შენ კი არა ხმარობ შენს ნიჭს. „მავენე სულეები“ რომ დაბეჭდეს, დანარჩენი იმოდენა მასალა რა უყავი?

— „მავენე სულეები“ ჩემი თხზულება არ არის,— მიპასუხა მხოლოდ გლეხის ნაამბობია, თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩაწერილი. იმას რა ლიტერატურული ღირსება მოეთხოვება; ფიდოს ვაჩვენე, მოეწონა, მთხოვა და მივეცი, მოიხმარე მეთქი როგორც მასალა. იმან აჩვენა პეტრე უმიკაშვილს, პეტრეს მოეწონა და დაბეჭდა. ხომ იცი, ჩვენში ძალიან სჯერათ მავენე სულეები. გახსოვს, ჩვენი გამზრდელი ქიქო რომ ბავშობის დროს გვარწმუნებდა, თითქოს იმასთან მოდიოდნენ მავენე სულეები?



— ეს ყოველისფერი საინტერესოა, მაგრამ შენ ჩემ სიტყვებს ბანზე ნუ აგდებ. რაც გკითხე, იმისი პასუხი მომეცი. რატომ არ ბეჭდავ შენს ნაწერებს?

— რადგან შენ კარგა ხანს რჩები აქ, არამც თუ გეტყვი, ყოველისფერს წაგაკითხებ, რაც შემუშავებული მაქვს.

გაალო განჯინა, გამოიღო ცხრა რვეული და მითხრა:

— ეს შემუშავებული მაქვს, ეს კი მასალებია, ჯერ არ არის შემუშავებული. აქ ზოგი რამ ჩემი საკუთარი თხზულებაა, ზოგი კი რუსულიდან და გერმანულიდან გადმოვთარგმნე. ლექსებიცა მაქვს.

დამუშავებულ რვეულში იყო: „ელგუჯა“, „მოძღვარი“, „მამის მკვლე-ლი“, „ელისო“, „ხევის ბერი გოჩა“, „განკიცხული“, „ციკო“, „ციცია“ და „ციცკა“.

როცა წავიკითხე, ალტაცებაში მოვედი. დიმიტრიმ მითხრა:

— ხომ გესმის ეხლა: ამათ ცენზურა ასე არ დაბეჭდავს, დაამახინჯებს. მაშინ რაღა ღირებულება ექნება. ბევრი ვიცადე, ცოტასაც მოვიცდი, სანამ აღარ იქნება ეს მართებლობა და წესები. ნუ თუ შენ არ გესმის, რომ შორს აღარ არის რევოლიუცია? ხელმწიფე აღარ იქნება, ყოველი უსამართლობა გათავდება, ცენზურაც სხვანაირი იქნება. აი, მაშინ დავბეჭდავ ყველა ჩემს ნაწერებს.

როგორც ხედავთ, ამაშიაც არ შესცდა დიმიტრი, მაგრამ სამწუხაროდ, არ მოესწრო იმ დროს, რომელსაც ისეთის სასოებით ელოდიბოდა.

თითქო ჩვენი გულები გრძნობდნენ, რომ უკანასკნელად ვხედავდით ერთ-მანეთს. ალბად ამიტომ ვისწრაფოდით ყოველივეს თქმას, რაც კი გულში თუ თივში გვქონდა.

— იქნება ველარც კი გნახო, -- მითხრა მაშინ -- შენ რუსეთში მიდიხარ, მე კი...

სიტყვა მივეცი, ზაფხულში შენთან მოვალ მეთქი. მაგრამ აღარ დამცალდა. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. 1880 წელს, თებერვალში გარდაიცვალა.

თუ დაიჯერებს მკითხველი ამ ჩემს ნამდვილ აღსარებას და გულდასმით, დაფიქრებით წაიკითხავს, მას აღარ დასჭირდება ყაზბუგის ნაწერების დეტალური გარჩევა. გაიხსენოს მხოლოდ, რომ მათ შორის დიდი განსხვავება არის. ზოგი მათგანი უფრო ნიჭიერია. ეს ხშირად მოხდება ხოლმე, მართლა ნიჭიერიც ყოველისფერს ერთნაირად ნიჭიერად ვერ დასწერს, და როცა ავტორობის ეჭვი არ არის, გამორკვევაც არ ესაჭიროება. ამ შემთხვევაში კი სულ სხვა არის. ალექსანდრეს სახელით დაბეჭდილ ყოველ თხზულებაში ნათლად დაინახავთ — თუმცა დამახინჯებულს — რომ ზემოხსენებულს შესწორებულს ცხრა თხზულებაში დიდი ნიჭი მოსჩანს. ხოლო დანარჩენი მასალების შემუშავება ვერ მოახერხა ალექსანდრემ. ამიტომ ნაკლები ნიჭი ეტყობა მათ.

მრავალი მოწმე ამოწმებს, რომ იმ დროს, როცა ალექსანდრემ განჯინა გატეხა და დიმიტრის ქალაქდები გამოიღო, არაფინ არ იყო იმ დროს ყაზბუგში, გარდა 11 წლის კოლასი და ალექსანდრესი. არის იმისთანა მოწმეც, რომელიც ამბობს, ვითომ დიმიტრიც და ელისაბედიც იქ ყოფილიყო, ვითომ ქალაქდები ერთად გამოეღოთ, მაგრამ იყო თუ არა იქ მართლა იმ დროს ელისაბედი, გამოურკვეველი დარჩა. ერთ წამსაც რომ დავიჯეროთ, ვითომც ელი-



საბედნი მართლა რეულიყო ამ საძაგელ საქმეში, ვითომ დიმიტრის ცოლისა და შვილებისათვის მოეპარნათ ყოველი ღირებულნი ქალაქდები, ეს იქნებოდა მეტისმეტად სამწუხარო ელისაბედის მახლობლებისათვის. ამისთანა ყოველად უზნეო საქციელში გარდა ალექსანდრესი დიმიტრის ჭკუიანი განათლებული და ცერია... მაგრამ ერია თუ არა, ეს არა სცვლის ფაქტს: იმის ნებადართვით, თუ ალექსანდრეს უზნეო სურვილით მოხდა, რომ განჯინა გატეხა ალექსანდრესი ყოველისფერი ნაწერები გამოიღო, ზოგი დასწვა, ზოგი დამახინჯებულნი გამოიქცა და ჩივდა.

დიმიტრის სიკვდილის შემდეგ, როცა მივედი ყაზბეგში, ალოშკა შადურმა, დიმიტრის მოურაუმა, მითხრა: სანდრომ განჯინა გატეხა, ქალაქდები გამოიღო, ზოგი დასწვა, ზოგი კი თან წაიღო. მაგრამ არ გაუხსენებია, იმ დროს ლიზაც იქ იყო თუ არა.

### დიმიტრი ნიკოლოზის ძე უაზბეგი

ჩემს სიცოცხლეში ორი იდეალილა შემრჩა: ერთი მამაჩემისა, მეორე—ჩემი ბიძაშვილის დიმიტრისა.

ძალიან იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ რაც უნდა კეთილი ზნეობის ადამიანი იყოს, მაინც რამე ნაკლებულემა არ შეამჩნიოთ.

ოთხი წლისა ვიყავი, როცა მამა მომიკვდა, დედა ჩემი ჭკუიანი და კეთილი დედაკაცი იყო, მაგრამ ამავე დროს მეტად მედიდურიც. ძალიან აფასებდა გვაროვნობას, ხარისხებს. მამა ჩემი კი სრულებით სხვა ხასიათისა იყო: ღარიბსა და გაჭირვებულს უფრო პატივით მიიღებდა. იმისთვის სულ ერთი იყო გვაროვნობა, ოღონდ რიგიანი ადამიანი ყოფილიყო, ხელს მოუმართავდა. ერთხელ მამას და დედაჩემს დიდი კამათი ჰქონდათ ძია მიხეილზე და ნიკოლოზზე. დედაჩემი უფრო პატივსა სცემდა და აფასებდა მიხეილს, მამა-ჩემი კი ნიკოლოზს. მამამ უთხრა:

— რაშია ღირსება მიხეილისა? დენერლობას მე არ ვაფასებ. თუ კაცს თავში ჭკუის მაგივრად ჩალა უდევს, გენერლობაც ვერ უშველის. ნიკოლოზი კი ჭკუიანი, ნიჭიერი და კეთილი ადამიანია.

ამ ლაპარაკის შემდეგ ჩვენ ყაზბეგში წავედით ძია ნიკოლოზთან. იქ დღეობა იყო. მამაჩემი კავკაზში მსახურობდა და იქვე ვცხოვრობდით. ბევრი სტუმარი ჰყავდათ. ძია მიხეილმა კალთაში ამიყვანა, მიაღერებდა. მე შუბლზე ხელი დაგვარი და ვკითხე:

— ძია, აქ მართლა ჩალა გიდევს? მამამ სთქვა, ვითომ შენ ჩალა გქონდეს თავში, ძია ნიკოლოზი კი ჭკუიანი არისო.

— რას მიჰქარავს ეს ბავშვი!—ჰკითხა დედა-ჩემს.

არ მახსოვს, რა უპასუხა დედამ. ის კი მახსოვს, მეორე ოთახში გამიყვანა და უნდა ეცემნა ამოდენა ხალხში ძია შეარცხვინეო, მაგრამ მამაჩემმა ნება არ მისცა, უთხრა:

— ჩვენვე ვართ დამნაშავე, რომ ბავშვის წინ იმისთანა ლაპარაკი დავიწყეთ. აბა რა ესმის, რომ ამის თქმა არ შეიძლებოდა.

ერთხელ პატარა გოგომ მითხრა:



— მამა-შენს სძინავს. საფულე მაგიდაზეა. წადი, ფულები ამოიღე, კანფეტებს გიყიდიო.

მამას თურმე არ ეძინა. დამინახა, დამიძახა, მკითხა: ეგ რა ჰქენიო?

— ჩემი ბრალი არ არის, აგაშკამ მასწავლა, იმიტომ ამოვიღე ვიშართლე თავი.

გნზ...  
გნზ...  
გნზ...

დედას დაუძახა და უთბრა:

— ისე უნდა გადაახდევინო, რომ თავის დღეში აღარ დაავიწყდეს. ჯერ ერთი, მოიპარა; მეორეც, თავისი დანაშაული სხვას დააბრალა.

რასაკვირველია, ძალიან გადამახდევინეს.

ოდნავ მახსოვს, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, ბევრი მეგობარი ჰყვანდა, ბევრნი იცნობდნენ. არ შემხვედრია იმისთანა, რომ არ ეთქვას:

— მამა-შენისთანა პატიოსანი და კეთილი კაცი იშვიათია.

ამასვე ამბობდნენ დიმიტრის შესახებაც. ვინც კი კარგად იცნობდა, და-ამოწმეს: არ იყო შემთხვევა, რომ იმის ცხოვრებიდან ერთი ცუდი ქცევა მოაგონდეს ვისმე, რომ იმის სიტყვასა და მოქმედებაში განსხვავება ყოფილიყო როდესმე.

ჩემი ბედნიერება ეს იყო: იმისთანა ბუნება მქონდა, რომ დედა-ჩემის მედიდურობა და ყოველისფერი, რაც კი ვნახე ბიძა-ჩემის მიხეილის სახლში, იმის ცოლის კეკესგან, ალექსანდრეს ყოველი უზნეობა, არამც თუ არ შევითვისე, შემზიზნდა კიდევაც.

ჩემი დედ-მამა პეტეგორსკში იყვნენ. ცხენებმა მოიტაცეს. მამა-ჩემმა ისე დაჰკრა თავი მიწას თუ ქვას, რომ ტვინის ანთება მოუვიდა და მესამე დღეს მოკვდა. ოთხი წლისა დავრჩი. დედა-ჩემი იმ მწუხარე შემთხვევის შემდეგ ერთავად ავად იყო, თითქმის ლოგინიდან აღარ დგებოდა. ისიც ისე დამტვრეულიყო, რომ ორი თვე უგრძობლად იწვა. როცა გონს მოვიდა და შეიტყო ქმრის სიკვდილი, ამ უბედურებამ ისე შეაწუხა, რომ თითქმის ხელი აიღო სიცოცხლეზე—აღარაფერი აღარ ეინტერესებოდა.

შვიდი წლის ვიყავი, როცა ბიძა-ჩემმა, მიხეილ ყაზბეგმა, თავის სახლში წამიყვანა. ორი წელიწადი ვიყავი ტანჯვაში. დედა-ჩემი ავად იყო და იქ არ მოდიოდა. ძალუა კეკე კი სწერდა მას, მითომ კარგად მასწავლიდნენ და დიდად ნებიერად მზრდიდნენ.

ბიძა-ჩემ ნიკოლოზს ძალიან ვუყვარდი და ვებრალებოდი, მუდამ ამბობდა:

— ამ საცოდავ ობოლს ძალიან სტანჯავენო.

იმ დროს იმის ქალმა ოლღამ, რომელიც მოსკოვში იყო თავის დედის ძმასთან, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დუდაროვთან, სწავლა დაასრულა და ყაზბეგში ჩამოვიდა. მოსწერა ძიამ დედა-ჩემს, სონას ჩემთან გადმოვიყვანო, ოღლა ასწავლისო.

თავისთან გადმომიყვანა. ჯოჯოხეთიდან სამოთხეში ჩავვარდი. მალე დიმიტრიმაც დაასრულა საზღვარგარეთ სწავლა და დაბრუნდა. ამის შემდეგ დიმიტრის სიკვდილამდე სიახლოვე არ მოგვისპია. ყოველ ზაფხულს იმათთან ვი-



ყავი, გათხოვების შემდეგაც. რასაკვირველია, ალექსანდრესაც ვხედავდი, ერთ სოფელში სცხოვრობდნენ.

მთელი ჩემი სიცოცხლე მამი-ჩემის და დიმიტრის აზრების გავლენის ქვეშ ვიყავი. ცუდი აზრიც რომ მომსვლოდა, არამც თუ ცუდი მოქმედება, მაშინვე წარმომიდგებოდა ეს ორი სახე და გავწითლდებოდი. ასეთი-მსგავსი დაუ-ვიწყარი ხსოვნა შემრჩა ამ ორის, მართლა რომ ბროლივით წმინდა, ადამიანებისა.

დიმიტრი იყო პირველი შვილი ნიკოლოზ ყაზბეგისა. სწავლა დაასრულა ქალაქის პირველ გიმნაზიში, საცა ითვლებოდა ძალიან ნიჭიერად. 1857 წელს რუსეთში წავიდა სწავლის შესრულებისათვის. შევიდა თუ არა პეტერბურლის უნივერსიტეტში, მაშინვე ჩაეწერა ჩერნიშევსკის ხალხოსნურ ჯგუფში. ამ ჯგუფის მუშაობაში დიდ მონაწილეობას იღებდა. იყო მიღებული, როგორც ნიჭიერი, შრომის მოყვარული და სასარგებლო წევრი. იღებდა მონაწილეობას აგრეთვე რუსულ ჟურნალ „სტარინა“-ში, სამწუხაროდ არ ვიცი, რა ფსევდონიმით. ჯგუფის წევრებს მალე დატუსაღება დაუწყეს. ბევრი იქმნენ დატუსაღებულნი. დაირღვა ჯგუფი. დიმიტრი კი საზღვარ-გარეთ წავიდა, პარიზში, საცა დაჰყო მხოლოდ ცხრა თვე. იქ არ მოეწონა და გერმანიაში გადმოვიდა, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში. იქ დაასრულა კურსი. 1865 წელს ჩამოვიდა საქართველოში, პირდაპირ ყაზბეგში.

იმის დაბრუნების დროს, ზაფხულში, მე და ფილო, რომელიც მაშინ ქალაქის პირველ გიმნაზიის მოწაფე იყო, და იმისი უმცროსი ძმაც, იქ ვიყავით.

მშვენიერ დროს ვატარებდით დიმიტრის ჩამოსვლამდის. დღისით დავსეირნობით, საღამოობით კი ერთი ვინმე ხმამაღლა კითხულობდა. იშვიათი იყო ახალი წიგნი ფილოსოფიური, სოციალური ან ბელეტრისტული, რომ არ წაგვეკითხნა. ჟურნალ-გაზეთებიც მრავლად მოგვდიოდა. დიმიტრის ჩამოსვლის შემდეგ ბევრი აკრძალული ლიტერატურაც მოგვდიოდა, სხვათაშორის „კოლოკოლიც“.

ერთ ვინმეს ჩვენგანს უნდა დაეწერა წაკითხულის შესახებ თავისი აზრი. მერმე ამას ერთად წავიკითხავდით. ასე საინტერესოდ ვატარებდით დროს. ასეთი შრომა ძალიან სახალისო უნდა ყოფილიყო, და სასარგებლოც, ალექსანდრესთვისაც—იმისთანა კაცისთვის, რომელიც ემზადებოდა მწერლობისთვის, მაგრამ ალექსანდრე მონაწილეობას არ იღებდა. რასაკვირველია, მაშინ ალექსანდრე მწერლობას არ აპირებდა, რადგან ჯერ არ იცოდა, რომ იმის ბედნიერება აშენდებოდა დიმიტრის უბედურებაზე და თვითონ გახდებოდა მფლობელი დიმიტრის ნაშრომისა, იმისი ძვირფასი მასალებისა, ნაწარმოებისა. ამის გამო იმას არ ესაჭიროებოდა ამგვარი დროს გატარება.

დიმიტრი სოფლებში დადიოდა და მოხუცებულებში აგროვებდა მასალებს: ძველებურ მოთხრობებს, ლეგენდებს, ლექსებს, ზღაპრებს. შემდეგ წაგვიკითხამდა ხოლმე. დროს ასეთს ვატარებდით ალექსანდრე ძალიან ნაკლებ მონაწილეობას იღებდა. ჯერ კი დადიოდა საღამოობით ჩვენთან, ხოლო დიმიტრის ჩამოსვლის შემდეგ, როცა უფრო საინტერესო გახდა ეს საღამოები, იშვიათად მო-



დიოდა. ბოლოს სრულებით მოსპო სიარული. ალექსანდრეს სხვანაირი გართობა უფრო მოსწონდა, უფრო სხვაგან ატარებდა დროს.

დროს ასეთმა გატარებამ გასტანა დიმიტრის ცოლის შერთვამდე, და ნამეტნავად, ძია ნიკოლოზის სიკვდილამდე. შემდეგ სრულებით დაიშალა ჩვენი ჯგუფი.

დიმიტრი გვეუბნებოდა:

— კარგად დაიხსომეთ: როცა ჩავარდებით განათლებულ საზოგადოებაში გაპატიებენ პრაქტიკული ცხოვრების უცოდინარობას, მაგრამ საერთო უსწავლელობას, გაუნათლებლობას და ჭკუის გაუხსნელობას რა გაპატიებენ. ამიტომ ეცადეთ სწავლა დაამთავროთ და კითხვით გონება გაიხსნათ. დროს ასეთი გატარება ძალიან ხსნის ჭკუას.

დიმიტრი დიდი წინააღმდეგი იყო სახელმწიფო სამსახურისა. თუმცა, რასაკვირველია, იმ დროში იმდენად ცოტანი იყვნენ საქართველოში იმისთანა განათლებულნი, რომ კარგ ადგილს ადვილად იშოვიდა, მაგრამ იმას სხვა სურვილები და აზრები ჰქონდა. იმას უნდოდა თავის ცოდნა და ცხოვრება ხალხის სასარგებლოდ გამოეყენებინა, როგორც ნამდვილ ხალხოსანს შეეფერებოდა, და ეცხოვრა ხალხთან.

დიმიტრის მამას ძალიან სწყინდა, რომ დიმიტრი სამსახურში არ შედიოდა, ამიტომ ბოლოს დაუთმო, მამის სურვილი აასრულა და ერთი ზამთარი იმსახურა დუშეთში, საცა იმისი ამხანაგები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, შაქრო მაღალაშვილი, ჩიკვაიძე და სხვებიც. მაგრამ შემდეგ თავი დაანება სამსახურს, ისევ სოფელში დასახლდა და დაიწყო ხალხის შესწავლა და წერა.

როცა დიმიტრის პირველი შვილი როსტომი ეყოლა, თურმე უმაღლედნენ დიმიტრის მამას. მე ეს არ ვიცოდი. ძალუა კეკე, ალექსანდრეს დედა, არ იყო გულკეთილი ადამიანი. გამაბრიყვა, რადგან იცოდა, ბიძაჩემს ეწყინებოდა და მითხრა:

— წადი, ბიძა შენს მიულოცე, შვილის-შვილი გეყოლათქო. შიტკას ვაჟი დაებადა, ძალიან ასიამოვნებ.

მეც მეგონა მართლა ვაამებ მეთქი. წავედი და მიულოცე. ვუთხარი:

— ძალუამ მითხრა, დიმიტრის ვაჟი ეყოლა, ძიას მიულოცეო, მამილოცავს.

ბიძა ჩემი ყოველთვის ძალიან ზრდილობიანი, თავდაპირველი ადამიანი იყო. ჩემს დღეში არ მინახავს გაანჩხლებული, ეხლა კი ვნახე: ძალიან გამიჯავრდა, კინაღამ ყალიონის ტარი დამკრა.

დიმიტრის ცოლს ნამეტნავად ელისაბედი ემტერებოდა, ვერ ინელებდა. რასაკვირველია, ტასოს თავისთან არ უშვებდნენ, არც იმასთან მიდიოდნენ. დიმიტრიც ძალიან დაგვშორდა.

ოჯახის ამისთანა უსიამოვნებამ დიმიტრი იძულებული ჰყო იქიდან წამოსულიყო. ოსეთში წავიდა, საცა იმის ცოლის მშობლები სცხოვრობდნენ, კავკასის ახლოს, სოფელ გიზელში. იქ სკოლა გახსნა და ბავშვებს ასწავლიდა. ოსუ-



რაც კარგად იცოდა, რადგან იმის დედაც ოსის აღდარის დუდაროვის ქალი იყო.

კავკავში დიმიტრი და მისი ცოლი ჩემი ხშირი სტუმრები იყვნენ, სხვა ნათესავეებს კი თითქმის არავის ეკარებოდა.

1868 წელს ბიძაჩემი ნიკოლოზი გარდაიცვალა. ამის შემდეგ დიმიტრი სახლობით ისევ ყაზბეგში დასახლდა და სიკვდილამდის იქვე ცხოვრობდა და ლიზა იქ აღარ სცხოვრობდნენ. ჯერ ჩემთან იყვნენ კავკავში, მერმე ლიზა და ფილო სასწავლებლად რუსეთში წავიდნენ, ოღონდ კი ქალაქში წამოვიდა. იმის ძმამ გიორგიმ აკადემია დაასრულა, და ტფილისში ადგილი მიიღო. გაბრიელიც შორს იყო, სამსახურში. ალექსანდრეც რუსეთში იყო. მხოლოდ მე ვიყავი დიმიტრისთან ზაქხულობით.

სოფელში რომ დასახლდა, დიმიტრიმ მაშინვე მოსპო აკრეფა ტყისა და სხვა ღაღების, რომელსაც მანამდე ახდევინებდნენ ხალხს. რაც შემოდიოდა შემოსავალი, თითქმის სულ უგზავნიდა თავის მეგობარ რევოლიუციონერებს, რომლებთანაც კავშირს არა სპობდა. თავის ოჯახს ცოტას ახმარებდა, ისიც თავის ნაშრომიდან.

მე, როცა ტფილისში ჩამოვედი, სამწუხაროდ ისე ხშირად აღარ ვხვდავდი ერთმანეთს. შემდეგ, როცა გადავწყვიტე ჩემ ქმართან დაშორება, რუსეთში წასვლა სწავლის გაგრძელებისათვის, ისევ ავედი ყაზბეგში. ეს იყო 1879 წელს ნოემბერის ბოლოს. ახალწლამდის დიმიტრისთან დავყავი. მინდოდა იმისი აზრი გამეგო ჩემს გადაწყვეტილ სურვილზე. ეს იყო უკანასკნელი ნახვა დიმიტრისა. როცა უთხარი: გადავწყვიტე ჩემს ქმარს დავშორდე, რუსეთში წავიდე, ვისწავლო, რომ შევიძლო შვილების გაზრდა ჩემი შრომით მეთქი, მიპასუხა:

— აბა, რა უნდა გირჩიო! როცა გეუბნებოდი, ნუ შეირთავ მეთქი ქმარს, ძალიან ყმაწვილი ხარ, ჩვენ მას არც ვიცნობთ მეთქი, მაშინ არ დამიჯერე და მაინც გათხოვდი. აბა, ეხლა რა გიშველო, რა გირჩიო? მითხარი, რა მიზეზია, რომ ქმარს შორდები?

მე ვუთხარი: დიდი ხანია ვატყობ, რომ ჩემზე გულგრილად არის. მე კი ისე მიყვარს, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო ჩემი სული ჩემს სხეულს შორდება, მაგრამ ჩემი ადამიანური თავმოყვარეობა და ჭკუა აღარ მაძლევენ ნებას ასეთი ცხოვრება ავიტანო. არ შემიძლიან ასეთი ცხოვრების გაგრძელება. ნუ თუ 26 წლის ადამიანი, რომელსაც საღი სხეული აქვს, არც ჭკუა და არც ნიჭი აკლია, ვერ შესძლებს სწავლას, შრომას, შვილების აღზრდას? ცოლქმრობაში ბედნიერება ბედმა არ მარგუნა. ეს არის რჩეული ხალხის ხვედრი, რომელშიაც მე წილი არ მერგო. მაგრამ სიყვარულის გრძნობის გარდა განათლებულს მრავალნაირად შეუძლიან ისე აამუშაოს და ასიაშოვნოს თავისი სული და ჭკუა, რომ უსიყვარლობის უბედურება აღარ მოაგონდეს მეთქი.

— რასაკვირველია, მითხრა იმან, — შენი აზრი ძალიან პატიოსანი და საქებიანია, მაგრამ ერთი რამ ნუ გავიწყდება: თუმცა შენ ძალიან ღონიერი და ყმაწვილიცა ხარ, მაინც მეტად მძიმე ტვირთს იღებ კისერზე, არ გეშინია, რომ ვერ შეასრულო?



ვუბასუხე: „გამბედავს ღმერთი შეეწყვა“.

მართლა დიდი გაბედავა იყო, რომ ცხოვრებაში მოუმზადებელმა, ამისთანა ტვირთის აღება გაგბედა, მარტო ჩემი შრომით შევძელი ჩემი მოვალეობისა და სურვილის შესრულება.

არასოდეს არ ვინანე, რომ ქმარს მოვშორდი, რომ არ მოვშორებოდი, უსიამოვნების და ტანჯვის მეტი არა მომელოდა-რა, და შევიღებოდი მისი დასრულებით.

— ღმერთმა შევადლებინოს ყოველი შენი სურვილის ასრულება—მიტბრა დიმიტრემ—მაგრამ შენ ამბობ, ჩემი ქმარი პატიოსანი ადამიანიაო, მაშ რა მიზეზია თქვენი გაყრისა? იქნება ძარღვები გაქვს აშლილი და ამის გამო გგონია, ვითომ მოშორების მეტი აღარა გარგებს-რა? თქვენს ექვს შვილს რას უბირებთ?

— ხომ იცი—ვუბასუხე—ჩემი დიდი საცხოვრებელიდან მე აღარაფერი შემრჩა, არც ქმარი მანებებს. ამ უამათ არ შემიძლიან შვილები წავიყვანო. პატარებიც არიან. ვფიქრობ, მანამ დედაჩემი შეინახავს, რომელსაც პენსია აქვს, თავის საზრდოთ ეყოფა, იმასთან რჩებიან ბავშვები. როცა მოიზრდებიან, შევიყვან სასწავლებელში, თუ შევძლებ—სულაც წავიყვან. მე მხოლოდ გიამბობ ჩემს უკანასკნელ ლაპარაკს ჩემს ქმართან, როგორც ვითხარი; დიდი ხანია შევატყე გულის სიგრილე. ამას კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ, ეს მაკვირვებს: ჩემი ქმარი ყოველ შემთხვევაში დიდად პატიოსანია. მე არ მახსოვს, რომ ოდესმე უსამართლო, უსწინდისო საქმე მოეხდინოს, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს: სრულებით მოკლებულია ცოლშვილის წინაშე მოვალეობის შეგნებას და იმათზე ზრუნვის გრძნობას. აი ამ ნიადაგზე გაჩნდა უსიამოვნება. უკანასკნელად ვუთხარი ჩემს ქმარს: „ჩემთვის სულ ერთია, ვინ გიყვარს, მაგდალინა თუ აკულინა. თუ არავინ გიყვარს და მაინც ასე გულგრილად ხარ ჩემზე და ჩემ შვილებზე, ეგ კიდევ უფრო სამწუხაროა. ასეთ ცხოვრებას სჯობიან ერთმანეთს დავშორდეთ. მოგვეცი საზრდო, მე და ჩემი შვილები ცალკე ვიცხოვრებთ“.

ქმარმა მიპასუხა: „შენ უქკუო არა ხარ. ნამდვილს გრძნობ. მე არ მიყვარხარ. შვილებს კი არ მოგცემ. თუ ვინმე მოგეწონება, შეირთე, ნებას გაძლევ.“ მე ვუბასუხე: „ამის შემდეგ მე შენს ცოლობაზე ხელი ამიღია. სამწუხაროთ, მე არა მაქვს შეძლება შევინახო შვილები. ამის გამო დედაჩემსა და შვილებს დროებით აქა ვტოვებ, მაგრამ იცოდეთ: ყოველთვის, როცა ყოველ ჩემს შვილს სწავლის დრო დაუდგება, დავბრუნდები ხოლმე და წავიყვან. კარგად ვიცი, შენ მაგათზე ზრუნვა არ შეგიძლიან. შენთან იმდენად მექნება კავშირი, რამდენადაც აგი შეეხება ჩვენ შვილებს. მე კი ჩემს დღეში აღარ გავთხოვდები, სისულელეს აღარ ჩავიდენ. მე რომ ჩემი სიყმაწვილე, სული და გული შეგწირე, რა მივიღე სამაგიეროდ? ან ვის უნდა ავკიდო იმისთანა ტვირთი? ჩემი მკვდარი გული, ძარღვები აშლილი და ექვსი შვილიც მეყოფა. თუ შენთან ბედი არა მქონდა, განა შეიძლება იმედი მქონდეს, რომ ასეთ მდგომარეობაში ვისთანმე ბედნიერი ვიქნები? კიდევ გავსულელდე? მეორედ ტანჯვა მივიღო! აი, მე კი თქვენ ნებას გაძლევთ ცოლი შეირთოთ, რადგან, როგორც ცოლი, მე თქვენთვის ამ დღიდან



საუკუნოდ მკვდარი ვარ. ვწუხვარ, რომ ესოდენი ჯანი და გრძნობა ასე უადგილოთ ჩავხარჯე“.

ამის შემდეგ სამი წელიწადი გავიდა. ერთხელ მომწერა, მე შენი პატივისცემა ყოველთვის მქონდა, შემცდარი ვიყავი, გთხოვთ ყოველისთვის დაივიწყო, ისევ ერთად ვიცხოვროთო. მე გაგონილი მქონდა, იმ დროს მას მოჯინურმა უღალატა.

ვუპასუხე, „რაც ერთხელ მოკვდა, აღარ გაცოცხლდება“. დიდი ტანჯვა გამოვიარე, მაგრამ ცოლქმრობის ყოველი გრძნობა ჩვენში უკვე ძალიან ღრმად არის დამარხული. მე ჩემს დღეში არ თანაუგრძნობდი იმ მარიამ-მაგდალინებს, რომელნიც ჯერ ათასჯერ შესცოდებდნენ და შემდეგ ამ ცოდვებს ნანობდნენ; არც იმათ, ვინც წრიდან გამოდიოდა, მერმე ნანობდა. ამისთანა ხალხს ჩემს დღეში არ ვენდობოდი. წარსულზე ლაპარაკი უსარგებლოა. სიმწუხარის და ძარღვების აშლის მეტი არა გამოვა-რა“.

როცა ზაფხულობით ბავშვები იქ მიმყვანდა, როგორც დავპირდი, ყოველთვის ვახერხებდი მასთან ყველაფერზე ლაპარაკს, ოღონდ წარსულს არ ვიგონებდი, რადგან ეს კაცი ჩემთვის სულ უცხო იყო, თუმცა სრულებით კავშირის გაწყვეტაც ბავშვების გამო არ შემეძლო. ესე მოეწყო ჩემი ცხოვრება, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება უსარგებლო და უვარგისი გახდა.

მაგრამ წინ გავიქეცი, ჩემს თავზე გადავედი. ვუბრუნდები დიმიტრის. როცა ყველაფერი ვუამბე, მითხრა:

— რასაკვირველია, თქვენი ერთად ცხოვრება ძალიან ძნელია. მაინც შენთვისა დვილი არ იქნება, ნამეტნავათ ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაში სწავლის გაგრძელება. საერთოდ ძნელია ერთხელ შეწყვეტილი სწავლის ხელ-ახლად დაწყება. შენ შეძლება არა გაქვს, ქმარსაც მოშორდი, რასაკვირველია, იმისაგან დახმარებას არ მიიღებ. გარდა ამისა, განა შეიძლება ქალმა შრომით იმდენი იშოვნოს, რომ ექვსი შვილი შეინახოს და კიდევ გაზარდოს?

ვუთხარი, ნივთები შენჩა, გავყიდი, როგორც იქნება ამას ვიკმარებ, ვიდრე სწავლას გავათავებ მეტქი. მერმე, იმედი მაქვს, იმდენის შოვნას შევძლებ, რომ შვილები უსწავლელი არ დამრჩნენ.

— გისურვებ ყოველი კეთილის შესრულებას. — ამოიოხრა და დაუმატა: — ეხ ჭკუა და ნიჭი არც შენ გაკლდა, არც მე, მაგრამ ღირსეულად ვერ მოვიხმარეთ. მე ვუპასუხე:

— ცოდნა მაკლია, ვცდილობ რ იმედიც მაქვს, მივიღებ. აი შენ კი ყოველისფრით სავსე ხარ, მაგრამ ვერა ხმარობ. ბოდიშს ვიხდი, რომ ამ საგნებს ვეხები, მე შენზე უმცროსიცა ვარ, არც შენისთანა ნასწავლი ვარ, არც შენისთანა ჭკუიანი, მაინც გეტყვი, როგორც შენი მეგობარი და კეთილის მსურველი: ადამიანს იქამდის აქვს უფლება თავის აზრების მიხედვით იცხოვროს, სანამ ის სხვას არ ავნებს. მართალია, შენ ატიესტი და ხალხოსანი ხარ, ამიტომ ჯვარის წერა და გვაროვნების უფლებათა მოხმარება შენს რწმენას არ ეგუება, მაგრამ რა ნება გაქვს შენს შვილებს უფლებანი წაართვა? იქნება ერთი უფლება მაინც მოიხმარონ — სახელმწიფო ხარ-



ჯზე მაინც აღიზარდნონ. შენ კი ეხლაც არა გაქვს იმდენი შეძლება, რომ კარგი სწავლა მისცე. ყველანი მომაკვდავები ვართ. ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს, მაგრამ წარმოიდგინე, რამე შეგეშთხვეს, შენმა შვილებმა ხომ უნდა დაკარგონ თავიანთი საგვარო უფლებანიც და ქონების წილიც. საკვირველი არ არის, რომ ტასოს, დედას, აწუხებს შვილების მომავალი და ბედი. ხოლო, როცა ჯვარს დაიწერ, შენს ცოლსაც სხვა ადგილი ექნება. შენ ქვეყანას ვერ დააკეთებ. კარგად იცი, რომ სამოქალაქო ცოლქმრობა კანონიერად არ ითვლება. არ მეგონა შენც იუკადრისებდი უბრალო ფორმალობას: მღვდელი რამდენჯერმე შემოგატრიალებს, პირჯვარს გადაგსახავს და ყოველივე ამით გათავდება.

— ჩემს შვილებს იმისთანა სწავლას მივალეებინებ — მიპასუხა მან — რომ უფლებებზე ზრუნვა აღარ დასჭირდეთ. რაც შეეხება ჩემს სამამულო წილს, ნუ გგონია ჩემი და-ძმები ისეთები იყვნენ, რომ ჩემს შვილებს წილი წაართვან.

შემდეგ ჩემი ნათქვამი გამართლდა: ისე გაზარდა დიმიტრის ცოლმა შვილები, რომ მათ ხვედრს, წილს არ აძლევდნენ. უარესიც მოხდა: როცა იმისი ვაჟი, როსტომი გაიზარდა და ცდილობდა გვაროვნობის დამტკიცებას, ასეთი ქალაქი მისცეს ნათესავებმა: „ვთვლით ჩვენ ძმისწულებათ, მაგრამ მამის წილის მიღებაში უფლება არა აქვთო“.

შემდეგ დიდის ტანჯვით, რომელშიაც მეც მივიღე მონაწილეობა, ეს წილი გამოიტანეს.

— რა ვქნა, ორ ცეცხლ-შუა ვიწვი — ჩიოდა დიმიტრი. შენც იცი, როგორ მიყვარს ჩემი და-ძმები. მათთან დაშორება მკლავს. შეუძლებელია ცოლშვილზე ხელი ავიღო. ამ ჩემს ცოლსაც ვერ შევასმინე, რომ მე არ შემიძლიან ჩემი რწმენის ღალატი. ან რა შეიცვლება, როცა ჯვარს დავიწერ? ჩემი ოჯახობის მდგონის ღალატი. ან რა შეიცვლება, როცა ჯვარს დავიწერ? ჩემი ოჯახობის მდგონის ღალატი. ან რა შეიცვლება, როცა ჯვარს დავიწერ? ჩემი ოჯახობის მდგონის ღალატი. ან რა შეიცვლება, როცა ჯვარს დავიწერ? ჩემი ოჯახობის მდგონის ღალატი. ან რა შეიცვლება, როცა ჯვარს დავიწერ? ჩემი ოჯახობის მდგონის ღალატი.

როგორც ზევით მოვიხსენიე, ვკითხე:

— აბა, ის მრავალი მასალეები რომ გქონდა, რა უყავი, რატომ არ ბეჭდავ?

— „ნუ გგონია ისე მოვეშვი, რომ შრომისათვის აღარ ვვარგოდე. — მითხრა დიმიტრიმ — დრო გაქვს, წაიკითხა და დარწმუნდები, რომ ჯერჯერობით ამის დაბეჭდვა არ შეიძლება. ცენზურა დაამახინჯებს.“

განჯინა გააღო, გამოიღო ცხრა რვეული და მითხრა:

— ეს შემუშავებულია, წაიკითხე, დანარჩენი კი უბრალო მასალაა.

ამ ცხრა რვეულში, რომელიც წამაკითხა დიმიტრიმ იყო „ელგუჯა“, რომელსაც მაშინ არ ჰქონდა ეხლანდელი უხეში ბოლო და შესავალი.

იმ რვეულებში გარდა „ელგუჯასი“ იყო „მამის მკვლეელი“ „მოძღვარი“ „ელისო“, „ხევის ბერი გოჩა“, „ციცკა“, „ციცია“, „ციკო“, „განკიცხული“.



უველაფერი ეს წაეკითხე. შემდეგ ამაზე ბევრი ლაპარაკი მქონდა დიმიტრისთან. წასვლის დრო მომიახლოვდა. ეს ძალიან გვაწუხებდა მეც და დიმიტრისაც.

მაგრამ წასვლა საჭირო იყო და წავედი.

სამწუხაროდ, დიმიტრი ვერ მოესწრო იმ დროს, რასაც ველოდებოდი. აქაც არ შესცდა: იმისი ნატერა და ტყუილად, თუმცა არც ისე ჩქარა. არ ვიცოდი, რომ საუკუნოდ ვესალმებოდი. იმის მოშორება ძალიან მაწუხებდა. სხვა დროს ასე არ შევწუხებულვარ.

დიმიტრის სიკვდილის შემდეგ, როცა ყაზბეგში დავბრუნდი, აღარავინ დამიხვდა—ძალუა კეკესი და დიმიტრის მოურავის ალოშკას მეტი. ამ დროს მოვიდნენ ეანდარნები დიმიტრის დასატუსაღებლად. გაჩხრიკეს მისი სახლი, მერე ალექსანდრესიც. ეძებდნენ საბეჭდავ დაზგებს, ან სტამბას.

დაინახეს აგურის გასაკეთებელი ჩარჩოები და დააპირეს მისი წაღება. ერთმა სთქვა:

— აი საბეჭდავი სტამბა!

მე არ დავანებე, ძლივს დაუმტკიცე, რაც იყო.

როცა ვერა იპოვნეს-რა, მივიდნენ ძალუა კეკესთან, ბოდიში მოიხადეს. ძალუამ მითხრა:

— მე რუსული არ ვიცი, შენებურათ უთხარი ჩემ მაგიერად.

მეც ვუთხარი:

— ძალუა ამბობს, რომ ის თავის თავს ისე არ დაიმცირებს, რომ თქვენი საქციელი თავისთვის სათაკილოდ მიიღოს, მხოლოდ სწუხს, რომ რუსის სახელმწიფოში ამისთანა წესებია: თურმე შეიძლება ყოვლად უმიზეზოდ ხალხი შეაწუხონ. გარდა ამისა, განა შესაძლებელია, რომ ამაზე მცოდნე და კკუიანი მოსამსახურენი არა ჰყავდეს სახელმწიფოს? ამით არც კი იციან სტამბის მაშინა რა არის, და აგურის ყალიბი სტამბად ერევენებით.

ჩემის სიტყვებით შერცხვენილნი და შეწუხებულნი, რომ ვერაფერი იპოვნეს, მალე წავიდნენ.





## თეატრი და კინო

### 2. კინოს გამარჯვების საფუძვლები

თეატრის კრიზისის საფუძვლები მოქმედობს თუ არა კინო ხელოვნებაში? კინოს გამარჯვება ემყარება თუ არა თეატრის კრიზისს? თეატრის კრიზისის საფუძვლები კინოში არ მოქმედობს. მორალის კრიზისს კინოსთვის არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც აქვს თეატრისთვის. თეატრი დრამატული ხელოვნებაა, კინო არ არის დრამატული ხელოვნება: კინომ საბოლოოდ დატოვა თეატრალური პიესების დადგმა თეატრალური შესრულებით. არც ერთი მნიშვნელოვანი კინო ფილმი არ არის დამყარებული თეატრალურ, დრამატულ ნაწარმოებზე თუ სიუჟეტზე. ის ფორმალური მგზავსება, რომ კინოშიაც შემოქმედნი არის რეჟისორი და მსახიობი, როგორც თეატრში არაფერს ამბობს კინოს დრამატულ ხელოვნების რიგში ჩარიცხვისთვის. კინოში სულ სხვა პრინციპებს ემყარება რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედება, ვიდრე თეატრში.

დღეს კინო შემოქმედება არ იღებს დრამატულ მასალას. არც კინო თეორეტიკოსები ამტკიცებენ კინოს დრამატულ ხასიათს. კინოს უახლოვებენ ჩრდილების ჩინურ თეატრს და პანტომიმას (რ. გარმსი) ლირიკას (ბ. ბალაში) ეპოსს (ს. შერვინსკი) დამოუკიდებელ კინემატიურ ხელოვნებათ მიიჩნევენ (ლ. მუსინაკი). მაგრამ დღეს არავინ სცდილობს კინო დაუახლოვოს თეატრს და ის თეატრალურ, დრამატულ შემოქმედების წრეში მოაქციოს. აქ იმარხება კინოს გამარჯვების უმთავრესი სოციალური საფუძველი. რაც თეატრში იწვევს კრიზისს—დრამის მორალის კრიზისი, ის არ მოქმედობს კინო ხელოვნების დარგში კრიზისის ფაქტორად. კინოს ლიტერატურული მასალა ან უშუალოთ სცენარია, აგებული სპეციფიურ კინო პრინციპებზე, ან რომანი, მოთხრობა, ზღაპარი, ლეგენდა, პოემა. ერთი სიტყვით, ლიტერატურული შემოქმედების ყველა დარგი. აქ კი მორალის კრიზისს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან დრამის კოლიზია არ სჭირდება ლიტერატურული შემოქმედების სხვა დარგებს. აქედან კინოს შესაძლებელია უფრო ფართოა ლიტერატურული მასალის შერჩევის დარგში, ვიდრე თეატრის.



კინო შემოქმედება ცხადია, არ არის დაცლილი არც მორალური ელემენტით, არც მორალური შემოქმედების და ზეგავლენის შესაძლებლობით აუდიტორიაზე. კინო უძლიერესი იარაღია მასების აღზრდის, ახალი ფსიქიკის ორგანიზაციის, ახალი ყოფის მშენებლობის. ამიტომ, როცა ჩვენ ვაყენებთ დებულებას, რომ კინო შემოქმედების დარგში მორალის კრიზისი არ იწვევს კინოს კრიზისს, მხედველობაში გვაქვს არა საერთოდ მორალის კრიზისის მსუბუქება, რასაც ხელოვნების ყოველი დარგი განიცდის მეტად თუ ნაკლებად, არამედ კინოს სპეციფიური დრამატიული კოლიზიის, კონფლიქტის, ბრძოლის ელემენტის მომენტი, რომელიც დრამატიულ ხელოვნებაში წინა რიგში სდგას, კინო ხელოვნებაში კი უკანა რიგში ექცევა და ამიტომ ის კრიზისის ფაქტორად ვეღარ გამოდის.

კინო თუ დრამატიული ხელოვნება არ არის ხელოვნების რომელ დარგს უნდა მივაკუთნოთ ის? ამ კიდხვაზე ჯერ პასუხი ნაადრევი იქნებოდა, ვიდრე ჩვენ არ განვიხილავთ თეატრისა და კინოს ელემენტებს. აქ საკმაოა დავიხსოვოთ, რომ **კინო არ არის დრამატიული ხელოვნება**, რაც შეეხება კინო ხელოვნების ბუნებას და ადგილს ხელოვნების დარგთა შორის. ამაზე ქვევით ვიმსჯელებთ.

როგორ სდგას საზოგადოებრივი ტექნიკის გამოყენების საკითხი კინო შემოქმედებაში? იზიარებს თუ არა თეატრის ბედს კინო ტექნიკის დარგში? ამ მხრივ კინო ბედნიერ პირობებშია ჩაყენებული. ეს ემყარება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ფიზიკისა და ქიმიის კანონები კინო-მუშაობის ძირითადი კანონებია. გადამღები აპარატი ტექნიკური მიღწევების უკანასკნელი სიტყვაა, ამიტომ კინომ არ იცის არც ადგილის სივიწროვე, არც ტექნიკურად შეუძლებელი მომენტი. ის თავბრუდამხვევი ტრიუკები, რომელსაც ჩვენ ვხვდებით კინოში უმრავლეს შემთხვევებში მხოლოდ ტექნიკური ტრუქებია, გადამღები აპარატის საიდუმლოებისაგან წარმომდგარი. ამიტომ კინო მისწვდა სცენათა დაუსრულებელ ცვალებადობას, ამით შეჭქმნა, თეატრთან შედარებით, დიდი ღირებულება, მთელი ცოცხალი ბუნება აღბეჭდა ფირზე დაუსრულებელ კომპოზიციებით, უარპყო ბუტაფორია და თეატრალური დეკორაციები. დახატული ტყე, რომელიც მსახიობის ფეხის გადადგმით ირხევა, უზარმაზარი სახლები, რომელთა იქით კულისებში მდგომარე მსახიობების აჩრდილი სჩანს. კინომ შესძლო ტექნიკისა და მეცნიერების მიღწევათა გამოყენება, უკეთ, ამ მიღწევათა უკიდურესმა განვითარებამ მოგვცა კინო, და ამიტომ მან შესძლო თანადროული ცხოვრების რიტმისა და დინამიკის დაჭერა, თანამედროვე საზოგადოების სულიერი მოთხოვნებისათვის შესაფერისი პროდუქციის მიცემა ტექნიკურ-მეთოდურის მხრით.

თეატრისა და კინოს შედარების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ თეატრი ერთ გეოგრაფიულ, მეტად მცირე სიბრტყეზეა გაადგილებული, ლოკალიზაციაქმნილი, მაშინ, როდესაც კინო ინტერნაციონალური ხაზით მიდის. მსოფლიო-კინოში ამერიკის შემოქმედებას 90 პროცენტი უჭირავს. თეატრი კი ნაციონალურ-კუთხურ ჩარჩოების სფეროშია ჩასმული. ამ ჩარჩო-



ებში ის გამოხატავს ამა თუ იმ კლასის იდეოლოგიას და ფსიქოლოგიას. ამას გარდა თეატრი მხოლოდ მის დროის აუდიტორიისთვის იქნება. მეორე ეპოქას ვერ გადაეცემა. კინო შეიძლება მომავლისთვის შეიქნეს, მომავალმა თაობამ გაიგოს და დააფასოს ფილმი.

თეატრი მკაცრად ატარებს ეპოქის ზეგავლენას. თეატრმა თუ ზედმეტად გაუსწრო განსაზღვრული აუდიტორიის ესთეტიურ გემოვნებას, აუდიტორიის წევრები გაიგებს თეატრს, ხოლო როცა აუდიტორია ცარიელია, სცენაზე აღარ იქმნება სიტბო და სილამაზე. თუ თეატრი ზედმეტად ჩამორჩა აუდიტორიას, ასეთივე მდგომარეობა შეიქმნება. ნაშასადავს, სათეატრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპია აუდიტორიის ანგარიშში აღება იმ მიზნით, რომ რეპერტუარი და მისი განსაზღვრება არც აუდიტორიის ესთეტიურ გემოვნებამდე დავიდეს და არც დიდად გაუსწროს მას. აუდიტორიას თეატრმა უნდა მისცეს არა ის, რასაც აუდიტორია მოითხოვს, არამედ მეტიც. ეს მეტი იქნება თეატრის აღმზრდელობითი გავლენა აუდიტორიაზე, რადგან აუდიტორია თუ ჰქმნის თავის თეატრს, თეატრმაც ხანგრძლივი მუშაობით უნდა შეჰქმნას, და კიდევ შეუძლია შეჰქმნას, თავისი აუდიტორია. ყოველ შემთხვევაში თეატრი მკაცრად დაკავშირებულია კულტურ-გეოგრაფიულ და ნაციონალურ სფეროს და ამ სფეროში მოცემულ კლასობრივ, ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მოტივებს.

### 3. კლასობრივი მოტივები თეატრსა და კინოში

როგორი სახით სდგას კლასობრივი მოტივები ხელოვნებაში საზოგადოდ და თეატრსა და კინოში კერძოდ?

ესთეტიური შეფასების მომენტი სხვადასხვა კლასს ერთი და იგივე არა აქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაც ბურჟუაზიისათვის ლამაზია, ის პროლეტარიატისათვის მახინჯია და პირიქით. არა—ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კლასობრივი ფსიქოლოგია განსაზღვრულ ესთეტიურ კრიტერიუმს ჰქმნის, რომელიც მეორე კლასის ესთეტიურ კრიტერიუმს არ უდრის.

საილიუსტრაციოდ ნ. ჩერნიშევსკის კლასიკური მაგალითი მოვიყვანოთ. ის შეეხება ქალის სილამაზის შეფასებას სხვადასხვა კლასის ფსიქოლოგიის მიხედვით. სოფელს გლეხს მოსწონს ძარღვიანი, ჩასკენილი წითელ-ლოყებიანი ქალი. „ნახევრად ჰაეროვანი“ ლამაზი ქალი მასზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. სოფლის ლამაზ ქალს—ამბობს ჩერნიშევსკი—არ შეიძლება ჰქონდეს პატარა ხელები და ფეხები, რადგან ის მუშაობს. ხალხური ლექსებიც ქალის სილამაზეს არ ხედავენ ამ პატარა ხელებსა და ფეხებში.

უქმად მყოფ წოდებაში, კლასში თაობიდან თაობით მცირდება ჯანსაღობის და მუშაობის თვისებანი: ის ფერმკრთალი ხდება, ხელ-ფეხი პატარავდება, რადგან ის მუშაობაში და მოძრაობაში შესაფერისად არ არის. ამიტომ უქმი კლასის ფსიქოლოგია სილამაზეს მის სისუსტეში, ფერმკრთალობაში, ნერვების ფაქიზობაში და სხ. ჰხედავს.

თუ ეს ხელოვნურად გაფუჭებული გემოვნებააო—დასძენს ჩერნიშევსკი—ამსთან ერთად აღსანიშნავია, რომ განათლებული ადამიანი აფასებს გონებისა



და გრძნობის ცხოვრებას, რაც თავის დაღს ასვამს სახის გამომეტყველებას. ამიტომ, სახის გამომეტყველება, რომელზედაც უმთავრესად თვალების გამომეტყველებას აქვს დიდი გავლენა, ხალხურ ლექსებში არაფრად ფასობს, ხოლო განათლებულ ადამიანს ხშირად მხოლოდ იმიტომ მოსწონს ვინზე, რომ მას მშვენიერი და მრავალმეტყველი თვალები აქვსო.

საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს კლასობრივ ურთიერთობას, საზოგადოებრივი ურთიერთობა კჰმნის კლასობრივ დანაწილების გზით: სოციალ-პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს — ყველა ესენი თავისებურ იდეოლოგიურ-კულტურულ ფიზონომიას, რომელიც განსაზღვრავს კლასობრივ ფსიქოლოგიას.

კლასობრივი ფსიქოლოგია გავლენას ახდენს შემოქმედებით ფსიქოლოგიაზე ე. ი. შემომქმედნი, რაც უნდა გენიალური იყოს, მთლიანად მაინც ვერ გაეჭყვევა იმ სოციალურ უჯრედს, სოციალურ წრეს, რომელსაც ის ეკუთვნის. მაშასადამე, ყოველი კულტურა, კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, კლასობრივი კულტურაა.

ამ საერთო მოსაზრებებს ასაბუთებს ისტორიულად მოცემული მასალა. არისტოკრატიის ბატონობა კლასიციზმს ანვითარებს. კლასიკურ ტრაგედიაში მომქმედნი „მათი უმაღლესობა და უდიდებულესობაა“. ასეთ თეატრს სურს ხელოვნური და „მაღალი“ პათოსი, შესაფერისი არისტოკრატიის „მაღალ“ მეტყველების. არა თუ დრამის სიუჟეტი ეგუება არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრებას, არამედ მსახიობების შემოქმედებაც ემყარება არისტოკრატიულ მანერებს, ინტონაციას, საერთოდ არისტოკრატიის ესთეტიურ მოთხოვნილებებს. თეატრი იღებს მოკლილ და გარყვნილ არისტოკრატიის გართობის ხასიათს.

ფეოდალური კულტურის დაცემის ეპოქაში ვითარდება მეშჩანური დრამა. სცენაზე ხელმწიფეების, მეფეების და თავადების ადგილს იჭერს ჩვეულებრივი ადამიანი, „საშუალო კაცი“. ეს „საშუალო კაცია“ მოსაქმე-კაპიტალისტი, მოქალაქე, ფულიანი ადამიანი თავისი ყოფით, განცდით, გრძნობით. თეატრი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის არგნა ხდება.

ბურჟუაზიული კულტურის განვითარება თავის უმაღლეს წერტილამდე მიდის, ის, ერთ დროს პროგრესიული, ჯანსაღი, იდეალის მქონე და სიცოცხლით სავსე, ეხლა მოქანცულობას, ნერვიულობას და მოუსვენრობას იჩენს. მას დღეს არ სურს იდეური შინაარსის ნაწარმოები. მას ესთეტიური ტკბობის ნაცვლად, „ესთეტიური“ გართობა სწადია. ღრმა განცდა, დიდი აზრი, ფსიქოლოგიური ტეხილები მას აშინებს, იგი მას გაურბის. კაპიტალისტური კულტურა შედის თავის გადაგვარების პერიოდში. ამიტომ ის ვეღარ იძლევა დიდ ბუმბერაზებს, დიდ შემომქმედებს, დიდ მოაზროვნეთ. თეატრალურ შემოქმედებაში კაბარე, ვოდევილი, ფარსი, მსუბუქი ჟანრის და მცირე ღირებულების ნაწარმოები საღდება. დღეს წვრილფეხა ხალხი გამოდის შემოქმედების ასპარეზზე. დღევანდელ ბურჟუაზიას თეატრში არა ჰყავს გენიალური შემომქმედნი.

ამიტომ დასავლეთის თეატრი გაკოტრდა, გაიცივითა, დავიდა სექსუალურ ბალაგანურ მომენტებამდე. ნერვებაშლილი ბურჟუაზიის გართობის საგნამდე.



ამ პროცესთან ერთად აღსანიშნავია მეორე მიმდინარეობა. კულტურაში თავს იჩენს ახალი ხაზი, ახალი კლასის კულტურა, ამხ. ლენინი ამბობდა, არის ველიკორუსული კულტურა: პურიშკევიჩის, გუჩკოვის და სტრუვენი, მაგრამ არის ველიკორუსული კულტურა ჩერნიშევსკის და პლეხანოვისო.

ახალი კლასის გამოსვლიდან იწყება ახალი თეატრების, კომუნისტური საიმპერატორო თეატრების მაგივრად მოდის მეიერხოლდის ფედატოვი, მემორიკხენე იდეითა და ფორმით. ყველა თეატრი, ძველი რეპერტუარიდან გამოდის, ეძებს ახალს, რომელიც შეეფარდება ახალ აუდიტორიის მოთხოვნილებებს.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე კულტურას ხელმძღვანელობს სხვადასხვა კლასი. ის აძლევს კულტურულ შემოქმედებას თავის შინაარს, იგი გამოდის კულტურტრეგერად, ხოლო ისტორიული განვითარების პროცესში ადგილს უთმობს ახალ კლასს. კულტურული პროგრესი ისევე ცვალებადია, როგორადაც თვით მისი საფუძველი—სოციალური ცხოვრება. გამარჯვებული კლასი გავლენას ახდენს, იპყრობს კულტურულ სიმაღლეებს, უპირველესად თეატრს, როგორც სოციალური ბრძოლის იარაღს.

ხელოვანი, შემომქმედი, როგორი გენიალურიც უნდა იყოს იგი, შეილია განსაზღვრული ისტორიული ეპოქის, ერის, საზოგადოების, სოციალური ჯგუფის. ამ გარეშე სფეროს დიდი გავლენა აქვს მის შემოქმედებაზე, მისი ნაწარმოების შინაარსა და ფორმაზე. გენიაც ვერ გაექცევა ეპოქის ხასიათს, რომელიც კლასის ფსიქოლოგიითაა ავსილი.

გენიალურ პიროვნებას შეუძლია თავის ეპოქის კულტურულ-ესთეტიურ განცდათა, მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა საუკეთესო გამოსახვა. ამაშია მისი გენიალობაც. გენიალური ხელოვანი ვერ შესცვლის კულტურული და ხელოვნური განვითარების საერთო ფონს, საერთო მიმართულებასა და ხასიათს.

ელისაბედის მეფობის დროს აღორძინდა და აყვავდა ინგლისური დრამა. შექსპირი ამ ეპოქის გიგანტია, მაგრამ ის არ არის ამ ეპოქის ლიტერატურის განსაზღვრელი. შექსპირის გვერდით მუშაობდნენ უფრო სუსტი დრამატურგები: მარლო, ბენი, ჯონსონი, უბსტერი, ბომონი და სხ. ისინიც სწერდნენ შექსპირისებური მანერით, იგივე ბრძოლა, იგივე ტრაგიზმი და საშინელი ფსიქოლოგიური კოლიზიები, რითაც ხასიათდება შექსპირის შემოქმედება. შექსპირის გენიალობა კი იმაშია, რომ მან თავისი შემოქმედებით ყველაზე უკეთ გამოხატა ეპოქის ლიტერატურული მიმართულების სახე და მისცა მას საკაცობრიო ღირებულების შინაარსი. გენიას შეუძლია ეპოქის ისეთ საერეთო ხზებში მიცემა, რომ ის იღებს მარადიულ, საკაცობრიო მნიშვნელობას.

მაშასადამე, კულტურის ხასიათს, შინაარსს განსაზღვრავს არა კონკრეტი გენიალური პიროვნება, ან შემომქმედთა სურვილი, არამედ თვით ეპოქის ფიზიონომია, რომელიც კლასობრივი ინტერესებით, სულისკვეთებით და შემეცნებით ივსება. ამავე მომენტით არის აღვსილი დღევანდელი ბურჟუაზიული თეატრი და კინო. თეატრი კაფე-შანტანამდე დადის, ავხორცობისა და ვნებიანობის ბუდედ იქცევა. კინო ინდივიდუალური ფსიქოლოგიის აპოლოგიით მოდის. ომისა



და რევოლუციის პერიოდში საფრანგეთში, ინგლისში, გერმანეთში და იტალიეთში სდგამენ ნაციონალისტურ-რეაქციონურ ფილმებს, რომლის მიზანი იყო საკუთარი ქვეყნის იმპერიალიზმის გამართლება და ისეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა იმპერიალისტურ მტაცებლობას. რუსეთის რევოლუციის მიმართაც არ დარჩა ბურჟუაზიული კინო გულგრილი და ათასგვარი ინსინუაციები და კორები გადაიტანა ეკრანზე რეაქციონერების ცხოვრების შესახებ. ბურჟუაზიამ კინო გახადა თავისი კლასობრივი სულიკვეთების მოცემა. ბურჟუაზიულ სურათში არ სჩანს კლასობრივი ინტერესების სიშიშვლე; მოცემულია ზოგადი მშვიდობიანობა, ზოგადი კეთილდღეობა, ზოგადი სიყვარული და ამით, ზოგადადამიანური გრძნობების ქვეშ დამალულია ბურჟუაზიული საზოგადოების კლასობრივი ხასიათი, ქონებრივ-უფლებრივ და ყოფა-ცხოვრების დარგების უთანასწორობის ფაქტი. ტრიუკული სურათები, თითქოს სავსებით თავისუფალია ბურჟუაზიული იდეოლოგიისაგან, თითქოს იქ მოცემულია მხოლოდ ადამიანთა და ცხოველთა ტრიუკული მომენტები ყოველგვარ კლასობრივ ინტერესს გარეშე-არსებითად კი ტრიუკული სურათები ჰქმნის ინდივიდუალისტურ სულიკვეთებას, გატაცებას ტრიუკების შესრულებით, პირადი დახელოვნებით, რაც მუშათა მასებში მასობრივ-კოლექტიურ გრძნობებს ჩრდილავს, ავიწყებს განუვითარებელ მუშებს კლასის საერთო ინტერესს და მიმართავს მის შემეცნებას პიროვნული, უაზრო, მესჩანური, რაინდობისაკენ. ამ მხრით ბურჟუაზიამ ხელოვნების დარგთა შორის კინო უფრო მეტად გახადა თავისი იდეების გამტარებლად მასებში, კლასობრივი ბრძოლის მისაჩქმალავ ფარად. ჩვენ ჯერ პირველი ცდები გვაქვს კინო-გამოყენებისა მასების განვითარებისთვის. რევოლუციონური, ვიწრო აგიტაციურ-ტენდენციობას მოკლებული ფილმები მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში იქმნება. „პატიომკინი“, „დედა“ და სხ. პირველ საუკეთესო მიღწევებს წარმოადგენენ ამ დარგში.

როდესაც ლენინი ყორადღებით ეტკეოდა კინოს და ამბობდა, რომ „ჩემის აზრით, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელოვნება კინოა“-ო, ის კარგად გრძნობდა იმ გარემოებას, რომ კინო ყველა ხელოვნებაზე მასიური ხელოვნებაა და ყველა ხელოვნებაზე მეტად კინოშია შესაძლებელი, როგორც იდეოლოგიური ზეგავლენის გატარება, ისე ცოდნისა და განათლების მიწოდებაც მასებისთვის. ჯერ კიდევ ვერა გვაქვს ეს ძლიერი იარაღი სათანადოდ გამოყენებული, ჯერ ვერც სათანადო იდეოლოგიურ მიღწევებს ვხედავთ, მაგრამ უკვე არის სერიოზული ცდები ამ დარგში ჩვენი კავშირის სინამდვილე—მილიონიანი მასები, ცხოვრების ასპარეზზე გამოსულნი, განათლებისა და ცოდნის, გართობისა და აღტაცების მაძეპარნი, სახელმწიფო კაპიტალი კინოში, რომელიც ამ მასების ინტერესებიდან გამოდის და არა მოგების მიზნიდან, აშკარაა, მტკიცე საფუძველს წარმოადგენს, როგორც კინო-მრეწველობის განვითარების ისე, იდეოლოგიურ-კლასობრივ მიზნების მიხედვით მისი მომარჯვებისთვის.



თუ, საზოგადოდ, ხელოვნებაში შეიძლება ვეძიოთ მასების ფსიქოლოგიის ორგანიზაციის საფუძველი, კერძოდ, კინოში ყველაზე მეტად უნდა გვგულისხმობს ეს თვისება. კინოში მილიონები იღებენ ცოცხალი სახეებით იღებენ, აზრობენ, განცდებენ; კინოში მილიონები მიდიან, რომლებიც სხვა ხელოვნებისგან ძალიან შორს არიან და მიდიან იმიტომ, რომ კინო ადვილად ადვილად აღვივლებს, ადვილად მისაღები, იაფი, მცირე ხნის განმავლობაში მრავალფეროვნების შემთავალი.

ამიტომ პროლეტარიატის სახელოვნო პოლიტიკაში კინოს საქმეს უპირველესი ადგილი უნდა ეკუთვნოდეს.

#### 4. მარკსული მოტივები თეატრსა და კინოში

საერთო სოციალ-ეკონომიურ პირობებს გარდა, ხელოვნურ ნაწარმოების ხასიათზე გავლენა აქვს ეროვნულ მომენტსაც.

აქ კატეგორიული მსჯელობა მეტად სახიფათოა. ნაციონალური ფსიქოლოგია ჯერ არ არის ზუსტი მეცნიერება. ჯერ მისი სახელწოდებაც ყველასაგან არ არის ცნობილი. (ზოგი მას „ინტერფსიქოლოგიას“ უწოდებს, როგორც ტარდი, ზოგი „კოლექტიურ ფსიქოლოგიას“, როგორც კოვალევსკი, ხოლო ზოგი „ხალხთა ფსიქოლოგიას“, როგორც ლაზარიუსი და შტეინტალი).

ერთი სიტყვით, ნაციონალური ფსიქოლოგიის და იმ გავლენის შესწავლა, რომელიც მას აქვს ხელოვნებაზე, მეტად ძნელია. მიუხედავად ისეთ კომპეტენტურ მეცნიერთა, როგორიც არიან, ვილიამ ვუნდტი (ავტორი სხვა ცნობილ შრომათა შორის „ხალხთა ფსიქოლოგიის პრობლემის“) და ადოლფ ფულერე, (ავტორი „საფრანგეთის ხალხის ფსიქოლოგიის“), ან მოაზროვნე ოტტო ბაუერი, ეს სწავლა ნახევრად პოეტურ-მეცნიერულ დისციპლინად უნდა ჩაითვალოს.

როგორია თვით ემპირიული ფაქტები? არის თუ არა ნაციონალური კულტურათა შორის სხვაობა? უეჭველად არის. მიუხედავად საერთაშორისო მასშტაბით მოვლენათა მიმდინარეობისა, მსოფლიო ნაწილთა მჭიდრო ურთიერთობისა და ადამიანთა დაუდგომელი მოძრაობისა, ნაციონალური სხვაობა, სპეციფიურობა, ნაციონალური ინდივიდუალობა და ნაციონალური კულტურა მაინც არსებობს.

ამხ. ლუნაჩარსკი ამბობს ნაციონალური საფუძველი, ცხადია, დარჩება დიდხნობით, შეიძლება სამუდამოთაც, მაგრამ ინტერნაციონალიზმი არ მოითხოვს ნაციონალურ მოტივთა მოსპობას საერთო საკაცობრიო სიმფონიაში, იგი მოითხოვს მხოლოდ მის მდიდარ და თავისუფალ ჰარმონიზაციას.

ეს სწორი შეხედულებაა. ნაციონალური კულტურის თავისებურობა საზოგადოების ორგანიული განვითარების ორმხრივი პროცესის შედეგია. ეს განვითარება, ერთი მხრით, ინტერგალური ხაზით მიდის, ზოგადობის, ინტერნაციონალიზმისაკენ, ხოლო, მეორეს მხრივ, იგი მიდის დიფერენციალური ხაზით, კერძობითი, ინდივიდუალობისაკენ. ეს პროცესი არ არის მარტო ეროვნული განვითარების, ან ერთა შორის ურთიერთობის პროცესი, არა.



იგი საყოველთაო სოციოლოგიური კანონია, რომელიც ყოველ საზოგადოებას ახასიათებს.

ნაციონალური კულტურა არ ჰკარგავს სავსებით თავისებურებას.

ფრანგული მუსიკა სუბუქი, ადვილად გასაგები, ცინცხალი, მხიარული და მგრძნობიერია, ხოლო გერმანული მუსიკა მძიმე, ღრმა, შენაარსიანი, რთულ-გრძნობიანია. საფრანგეთი უფრო ოპერეტებს გვაძლევს, ვიდრე ოპერებს, ხოლო გერმანეთი უფრო ოპერებს, ვიდრე ოპერეტებს.

საფრანგეთის კლასიკურ დრამაში მოცემულია დიდი გრძნობები, მაგრამ მოქმედება ზომიერია, თავდაჭერილი და გეგმაშეწონილი, ისე როგორც მოქმედება თვით ფრანგის. ინგლისში ასეთივე დრამებში ვნებება გრიგალია, ტანჯვის წარღვნაა, შეუკავებელი და აწყვეტილი კატასტროფაა.

მზგავსი მოვლენაა მხატვრობაშიც. როცა რაფაელი იტალიაში, იტალიური ხალისობით, მზიურობით, მშვენიერებით გვაძლევდა სურათებს, ამავე დროს დიურერი გერმანეთში, გერმანული სიდიდით, სისადავით და სიღრმით ხაზავდა თავის შემოქმედებას.

მაშასადამე, საქმე გვაქვს ნაციონალური კულტურის ინდივიდუალობასთან-ცხადია, ეს ინდივიდუალობა არ არის შედეგი რაიმე მეტაფიზიკური არსის „ნაციონალური სულის“, როგორც ამას ჰფიქრობდა სამართლისმეტყველების ისტორიული სკოლა. არა. ნაციონალური სპირიტუალიზმი მეტაფიზიკური ბუნებისაა. ის არ არის გამართლებელი პოზიტიურად, შემოწმებული მეცნიერულად.

ნაციონალური თავისებურება არის შედეგი წასულისა და აწმყოს ბუნებრივ-სოციალური სფეროს ზეგავლენის, რომელიც საზოგადოების განვითარების პროცესში იცვლება. აქ გვაქვს მრავალმოვლენათა ურთიერთ შორის გავლენა და შემოქმედება.

ფრ. ენგელსი თავის წერილში სწერდა 1894 წ. შტარკემბურგს: პოლიტიკური, უფლებრივი, ფილოსოფიური, სარწმუნოებრივი, ხელოვნური და სხ. განვითარება ემყარება ეკონომიურ განვითარებას. მაგრამ ყველა ესენი გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და თვით ეკონომიურ საფუძვლებზედაც. საქმე სრულიადაც არ არის ისე, თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა იყოს ერთად-ერთი აქტიური მიზეზი, **ხოლო დანარჩენი მხოლოდ პასიურ ფაქტორებს წარმოადგენდენ**. სრულიადაც არა. აქ არის ურთიერთ მოქმედება ეკონომიური აუცილებლობის ნიადაგზე, რომელიც ბოლოსა და ბოლოს ყოველთვის აშკარავდებაო.

მრავალ მოვლენათა ეს ურთიერთობა განსაზღვრავს ნაციონალური კულტურის ინდივიდუალობას.

როგორ სდგას ნაციონალური, ეროვნული მოტივების საკითხი თეატრსა და კინოში? თეატრი ეროვნული ხასიათის შემოქმედებაა. ყოველი ერის თეატრი უმთავრესად იღებს საკუთარ, ეროვნულ დრამატურგიას, სადაც მოცემულია ნაციონალური ხასიათები, სახეები, სულისკვეთებანი, ზნეობრივი შემეცნებანი. ამავე დროს თეატრი, ამა თუ იმ ერის ენაზე მეტყველებს და მხოლოდ ამ ენაზე შეიძლება მისი მიღება, როგორც მხატვრული ფაქტის, მეცნიერული, ფილოსო-



ფიური, მხატვრული ნაწარმოები ითარგმნება სხვადასხვა ენაზე და ამით მსოფლიო საგანძური ხდება. თეატრი კი არ ემორჩილება ამ გზას. წარმოდგენა არ ითარგმნება, არ გადაიციემა სხვა ენაზე. ზედმიწევნითაც რომ იცოდნენ მსახიობებმა მეორე ენა და ერთი და იგივე წარმოდგენა ორ ენაზე იქნეს <sup>ერთი</sup> და იგივე მსახიობებით ჩატარებული, ერთგვარ დადგმაში, ამ წარმოდგენათა შორის მაინც უფსკრული იქნება. ენის თავისებურება, ხმის ინტონაცია, სიტყვათა რიტმის სპეციფიურობა ამ ორ წარმოდგენას ორი ეროვნული სანიწარმოდგენათ აქცევს. მსახიობების ტემპერამენტი საკუთარ ეროვნულ ელფერს მისცემს ორივე წარმოდგენას. შეუძლებელია წარმოდგენის მიღება საუკეთესო თარჯიმანის საშუალებით თუ წარმოდგენის ენის ცოდნას მოკლებული ხარ. დაიკარგება სიტყვა და სიტყვის ბგერითი მხატვრული მოხმარება, რაც წარმოდგენის სულს შეადგენს. ამიტომ თეატრმა რომ სულ კლასიკოსების ნაწარმოებიდან შეჰქმნას რეპერტუარი, რაც კულტურულ კაცობრიობისათვის გასაგებია, მსახიობის ნაციონალური ტემპერამენტი, მეტყველების თავისებურება და ენის ნაციონალური თვისებანი, თეატრს მაინც ეროვნულ თეატრად აქცევს. ამიტომ სინამდვილემ იცის რუსული, ქართული, სომხური, თურქული, გერმანული, ფრანგული, ინგლისური, ჩინური, და სხვ. თეატრები და არა საერთო საკაცობრიო, ან ევროპული თეატრი. მაშასადამე, თეატრალურ შემოქმედებაში რჩება ის ზოგადი ნაციონალური კოლორიტი და ბუნება, რაც საერთოდ მხატვრულ შემოქმედებას ახასიათებს, ხოლო ამას ემატება კიდევ თეატრის სპეციფიური ეროვნული თვისებანი, რომელიც წარმოსდგება დრამატურგიაში აღებულ სულიერ — მორალურ მომენტთა ეროვნული თავისებურებით, მეტყველების. ეროვნული ხასიათით, არტისტიული შემოქმედების ეროვნული კოლორიტით, და იმ საერთო თვისებით, რომ თეატრალური შემოქმედება არ ემორჩილება გადათარგმნას, სხვა ეროვნულ ენაზე გადატანას. ამიტომ მხატვრული შემოქმედების დარგთა შორის თეატრი შედარებით ყველაზე მეტად ეროვნული შემოქმედებაა.

თუ თეატრი ნაციონალური შემოქმედებაა, კინო უმთავრესად ინტერნაციონალური ხელოვნებაა. კინოს არ სჭირდება თარგმნა სხვადასხვა ენებზე, რადგან კინო პლასტიური სახეებით მეტყველებს უმთავრესად და ის გასაგები ხდება მთელ მსოფლიოსთვის. როგორ უნდა გავიგოთ კინოს ინტერნაციონალური ბუნება? ემყარება თუ არა დღეს ეს ბუნება ნაციონალურ შემოქმედებას? ცხადია, ემყარება. ბურჟუაზიული ქვეყნების კინო-შემოქმედება, საერთო კლასობრივ ხასიათს გარდა, ნაციონალურ კოლორიტსაც შესამჩნევად ატარებს. ეს კოლორიტი სჩანს როგორც სცენარისტის, ისე რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედებაში. ამასთან ერთად, გარკვეული ერის სოციალ-პოლიტიკური და მხატვრული სიმაღლის დონე, განსაზღვრული ნაციონალური ფსიქოლოგია გავლენას ახდენს სიუჟეტის არჩევაზე კინოში. თემატიურად სხვადასხვა ქვეყნის კინო საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამერიკის კინო ტრიუკულ სენსაციურ, სპორტსმენულ სურათებს იძლევა. ზერელე განცდა, საბედნიერო ფინალი, ოპტიმიზმით გაქლენთილი, მესჩანური თემა ახასიათებს ამერიკის კინოს. საფრანგეთი სალონურ დრამებსა სდგამს, გერმანეთი ღრმა ფსიქოლოგიურ სურათ-



თებს, იტალეთი ისტორიულ ფილმებს. ფორმის მხრივაც არ არის ერთი და იგივე ასახვა. სიუჟეტის თავისებურობას ფორმის თავისებურობაც ახლავს.

რატომ ხდება ასე? ავილოთ მაგ. ამერიკა და გერმანეთი. ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებს სულიერი კულტურის სიღარიბე, მატერიალური სიმდიდრე. აქედან ამერიკის ხალხის ფსიქოლოგიაში მოცემულთა სიმდიდრე და იმედიანობა. ამერიკელი საქმის კაცია. იანკის ტიპი, ჯანსაღი, უსუსტო კულტურის მიერ მისი სული არ არის დატვირთული, ქვეყანა კი მდიდარია და მისი ასპარეზი ფართო. ამერიკელი კინო-მსახიობები უცნაურ ნახტომს წარმოადგენენ სიღარიბიდან სიმდიდრისაკენ. რადგან ამერიკაში სიმდიდრე-სიღარიბით იწონება ადამიანის ღირსება, ხოლო გამდიდრება-გაკოტრება წარმოადგენს დაუსრულებელ ხვეულებს ამერიკის სიმდიდრის ზრდის პროცესში. ამერიკელიც იმედს არ ჰკარგავს, მაშინაც კი, როცა გაკოტრებულია. ამერიკელს არ სურს ტრაგედია, ტირილი, ღრმა განცდა, უნუგეშო მდგომარეობა, სულიერი მღელვარება. ამ სულიერ ფონზე იწლება პიკტორდ-ფენმენკს-ჩაპლინის შემოქმედება. ორი პირველი ოპტიმიზმის სიმბოლოა. მესამე სიცილის მეფეა. ვილიამ ჰარტი კეთილშობილური თავდადების ტიპია, რაც ეგუება მდიდარი ამერიკელის რაინდულ კეთილშობილურ სიმპატიებს, რომელსაც ის მხოლოდ ოცნებაში ატარებს.

ამერიკის მსახიობები და თვით კინო შემოქმედება გარეგან ეფექტს, ტრიუქს, ტეხნიკურ მიღწევებს ეწყობა. ამერიკელი კინო-მსახიობი საერთოდ წარმოადგენს სპორტსმენს, პლასტიურ მასალას საერთო ტიპების მოსაცემად. გამონაკლისს აქ ვხედავთ დ. გრიფიტის და კრუზეს დადგმებში, სადაც შინაგანი ფსიქოლოგიური მხარე მძაფრია და მაგარი.

გერმანეთის ცხოვრება არ არის ისე მარტივი, როგორც ამერიკისა. გერმანეთის სულიერი კულტურა დიდია. გერმანეთის ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, მთელი სულიერი კულტურა ჰქმნის გაცილებით რთულ სოციალურ პიროვნებას თავისი განცდებითა და დამახასიათებელი სულიერი თვისებებით. აქ სიღრმეა, აზრთა, გრძნობის სიმძაფრეა. აქ ამერიკის სისადავე და სიმდიდრე სპორტსმენებსა და აკრობატებს კი არ ბადებს კინო-ხელოვნებაში, არამედ გრძნობის სირთულეებს, ღრმა რომანტიკას, ძლიერ განცდებს. ამიტომ გერმანეთის მსახიობს ახასიათებს ფსიქოლოგიაში თავის შემოქმედებაში, ამერიკისას სპორტი და ტრიუკი. გერმანეთის კინო იძლევა სოციალურ ხასიათებს, ბრძოლას, მონუმენტალურ ტიპებს, ფანტასტიკას, ამერიკა იძლევა ზოგად ტიპებს, ზოგად თვისებებს, სიმშვიდეს და ზერელე განცდებს, ბედნიერებასა და ქორწილს.

ფ. პიზანი (წიგნი „კინოს ქვეყანაში“) სწერს, რომ როდესაც შტატ ნევადის ქ. რენოში მოხდა ორი განქორწინება (ამ შტატის კანონმდებლობით შეიძლება მხოლოდ განქორწინების მოხდენა და ამიტომ აქ მიდიან ამერიკის ყოველი კუთხიდან განსაქორწინებელი პირები). როდესაც — დუგლას ფერმენსკი გამოჩნდა თავის ცოლს და მერი პიკტორდი კი ქმარს, რათა დაქორწინებულიყვნენ, ერთი კვირის შემდეგ მისის ფერმენსკი გაჰყვა ჩიკაგოელ ერთ-ერთ მი-



ლიონერს, ხოლო პიკფორდის ქმარმა, ოუენ მურმა სცენარი დასწერა და გადაიღო თავისი ოჯახური მარცხი.

ეს მაგალითი შეიძლება ყველაზე კარგად ახასიათებდეს თანამედროვე ბურჟუაზიულ ამერიკის ზერელე ცხოვრებას.

ბ. მაზინგი (წიგნი „გერმანეთის კინო მსახიობი“) მოუყვანს რამდენიმე გერმანეთი პირველი შეეცადა მოეცა კინოში ექსპრესიონისტული დადგმები. ამ ექსპრესიონისტულ დადგმებში გერმანეთის კინო მსახიობის შემოქმედების ფსიქოლოგიზმი ისახება ირრეალურ ხაზებში. კ. ვეიდტი და ვ. კრაუსი ამ დადგმებში. ავტორის გადმოცემით, იძლევიან ექსპრესიონისტულ რომანტიკას.

ეს მაგალითიც დამახასიათებელია გერმანეთის ცხოვრებისა და გერმანეთის კინო-მსახიობის შემოქმედებისათვის. გერმანეთის აზროვნებამ უკანასკნელ წლებში ენშტეინი და შპენგლერი მოგვცა, გერმანეთის ლიტერატურამ ექსპრესიონისტული სკოლა. ამ ფაქტშიც სჩანს გერმანეთის ინტელექტიური და ემოციონალური განცდის სიღრმე და სიძლიერე. დეე, შემცდარად სცნოს აზროვნების და ლიტერატურის ისტორიამ ამ მოვლენების შინაარსი, მაგრამ ერთი კი ფაქტია, ეს მოვლენები ღრმა ძიებისა და განცდის ნიადაგზეა აღმოცენებული. ამერიკამ არ იცის ასეთი ფაქტები. იქ საწოლი ოთახის რომანები და ტეხნიკური გამარჯვებები, სპორტი და ბოქსია ცხოვრების ზედაპირზე ამოსული. ამიტომაც რომ კინო-ხელოვნება, რომელიც ხელოვნების ყველა დარგზე უფრო მეტად აწერს თანამედროებასა და ხალხის ხასიათს, ამერიკაში და გერმანეთში ერთმანეთის საწინააღმდეგო შინაარსს იძლევა.

ეს მაგალითები ჩვენ გვარწმუნებს, რომ კინოს ინტერნაციონალური ბუნება არ არის ნაციონალური ხასიათის გარეშე მდგომი, მაგრამ ამის მიუხედავად კინო ხელოვნების ყველა დარგთა შორის მაინც ინტერნაციონალური ხელოვნებაა. რადგან კინოში აუდიტორიათ მოცემულია მთელი მსოფლიოს კინო მაყურებელი, რადგან კინოს ენა გასაგებია ყველასათვის, ამიტომ აქ დიდი შესაძლებლობაა ზოგადი ხასიათების სიუჟეტის, თემის აღებისათვის, რაც ინტერნაციონალურ რეზონანს ატარებს.

### 5. ინტერნაციონალური მოტივები თეატრსა და კინოში

ბელა ბალაში სწერს—მეტად საინტერესოა ის კინო პიესები, რომლებშიც მონაწილეობენ არა ევროპიელი რასები: ხანგები, ჩინელები, ინდოელები, ესკიმოსები. ავტორს მოჰყავს მაგალითი, რომ ინდოელი მსახიობის ქალის სახე შეუწყვეტლად ილიმებოდა მკვდარი ბეშვის წინაშე და ამით გამოხატავდა დედის განუზომელ ტანჯვასო. მართალია, არის რასობრივი და ეროვნული სხვაობა მიმიკაში, პლასტიურ მოძრაობაში, მაგრამ სოციალური პროგრესი ვიწრო-კუთხურ სახეს უეჭველად უკარგავს მნიშვნელობას. რაც სპეციფიურ-ეროვნული კილოს კოლორიტის სახით რჩება, ის მსოფლიოს უდიდესი უმრავლესობისათვის უკვე გასაგები ხდება. თუ ჩვენ ხანგების, ჩინელების, ინდოელებისა და ესკიმოსების სახეები საინტერესოდ მიგვაჩნია კინო-პიესაში, მათ არა



ნაკლებ საინტერესოდ მიაჩნიათ ეროვნული ცხოვრება კინოში. ჩვენ არ ვიღებთ მათ ცხოვრებას, გვიტაცებს მხოლოდ მისი ორიგინალობა, ჩვენს ცხოვრებას კი ისინი ითვისებენ და კინო გამოდის, როგორც კულტურული ცხოვრების ზეგავლენის ერთი უძლიერესი იარაღი ჩამორჩენილ ხალხთა მიმართ.

საზოგადოდ საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცება, ნაციონალურ ერთეულთა შორის მჭიდრო კავშირის შექმნა, მატერიალურ და სულიერ კულტურის მონაპოვართა გაცვლა-გამოცვლა ჰქმნის ნაციონალურ კულტურათა პარმონიზაციას. ყალიბდება ინტერნაციონალური ტიპი, ინტერნაციონალური შინაარსი და ფორმა, ინტერნაციონალური, ზოგად-კაცობრიული ნაწარმოები. განვითარება ამ პროცესის გაღრმავებისაკენ მიდის.

მაშასადამე, კულტურული განვითარების პროცესი თავისი მოცულობის მხრით შეიძლება წარმოვიდგინოთ თანდათან გაფართოვებული გზით მიმავალ პროცესად. იგი იწყება ვიწრო კუთხური ელფერით და მიეშურება ინტერნაციონალური კულტურის შექმნისაკენ. შინაარსის მიხედვით ყოველი კულტურა აღმოცენდება განსაზღვრულ სოციალ-ეკონომიური ყოფის ნიადაგზე. აქედან წარმოშობილ საზოგადოებრივი ჯგუფისა და კლასის შემეცნების საფუძველზე. განსაზღვრული ეპოქა განსაზღვრული კლასის ჰეგემონობით ხასიათდება. ამ ეპოქის კულტურაც გაბატონებული კლასის კულტურაა, მისი სულისკვეთების, ზრახვის, მისწრაფების სოციალური საჭიროების მატარებელია და გამომსახველი.

თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ერების ურთიერთობა მტკიცეა და მკვიდრი ფეოდალურ საზოგადოებასთან შედარებით— იგი მაინც სუსტია სოციალისტურ საზოგადოებაში ხალხთა მოსალოდნელ მჭიდრო ურთიერთობის საზომით. რამდენადაც სოციალისტური წყობილება ადამიანთა საზოგადოების მჭიდრო პარმონიულ კავშირს შეჰქმნის, იმდენად გაღრმავდება, ერთის მხრით, სხვადასხვა სახის კულტურული მუშაობის ურთიერთზე გავლენა, ხოლო მეორეს მხრით, სხვადასხვა ხალხთა კულტურის ურთიერთზე მოქმედება.

ეროვნულ კულტურაში რაც უმთავრესი, უმაღლესი, ფასეული და შესანიშნავია, ის ამავე დროს ზოგად ადამიანური, საერთო საკაცობრიო ღირებულების მატარებელია. ასეთი ღირებულება დღეს იშვიათია იმდენად, რამდენადაც კლასობრივ საზოგადოებაში ზოგად ადამიანური და ზოგად საკაცობრიო ღირებულება იშვიათობას წარმოადგენს. რამდენათაც საზოგადოების კლასობრივი დანაწილება თავის დასასრულისაკენ გაემართება, იმდენად გამრავლდება ზოგად ადამიანური ღირებულება და იმდენათვე ინტერნაციონალური იქნება კულტურული განვითარების პროცესი.

დღეს ბუნებრივი დაბრკოლებანი ქვეყნებს არა თუ აცილებს, არამედ აერთებს. მაგ. მდინარეები, რომლებიც წინედ ხალხთა დაშორების საშუალება იყო— დღეს ხალხთა დაახლოვების გზაა, მთები, რომლებიც ხელს უშლიდენ ხალხთა ურთიერთობას, დღეს გათბრილია გვირაბებით და დაძლეული საპაერო მიმოსვლით. ზღვები და ოკეანე, რომლებიც ძველად ადამიანისათვის გაუვალი იყო, დღეს ყველაზე იაფი, იოლი და ადვილი ბუნებრივი გზაა უმძიმეს ტვირთთა და უამრავ მგზავრთა გადასაყვანად.



კაცობრიობის მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი აკავშირებს მსოფლიოს ყოველ ნაწილს და ჰქმნის პირობებს ინტერნაციონალური კულტურის ჩამოყალიბებისათვის. ამ კულტურაში, ამხ. ა. ლუნაჩარსკის თქმით — **მოხდება ნაციონალურ სიმფონიათა თავისუფალი ჰარმონიზაცია.**

ამხ. სტალინი აღნიშნავს, რომ პროლეტარული კულტურის შექმნის მიზანით იქნება პროლეტარული, (ე. ი. ინტერნაციონალური სუბკულტურის) შექმნის ფორმით ნაციონალური. ეს სწორია, რადგან სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა შორის სოციალ-მოტივთა მთლიანობაა, ხოლო ისტორიულ ცხოვრებას, თავისებურებასა და ენათა შორის სხვაობაა.

როგორ სდგას თეატრისა და კინოს საკითხი ამ მხრით? თეატრი ინტერნაციონალურ მოტივებსაც უაღრესად ნაციონალური ხასიათით იძლევა. კინო ინტერნაციონალურ მოტივებს ინტერნაციონალური არით გაშლის. კინოს შეუძლია მსოფლიო მასშტაბის აღება. ამერიკული ფილმები, ისე როგორც გერმანული, მსოფლიოს იპყრობს, ატარებს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და ფსიქოლოგიას. კინოს ტექნიკური საშუალება აქვს ვრცეულებითი გაფართოების. თეატრი, როდესაც საგასტროლო მოგზაურობას მართავს, არასოდეს მისი წარმოდგენა არ უდრის მის პირვანდელ სახეს. თეატრი უნდა შეეგუოს ახალ სცენას, მის სიდიდეს, ტექნიკურ შესაძლებლობას, ახალ აუდიტორიასა და მის ზეგავლენას და გარკვეულ დროს მხოლოდ ერთი წარმოდგენის მოცემა შეუძლია. კინო კი არ საჭიროებს არავითარ შეგუებას. სადაც კი საპროექციო აპარატია და თეთრი კედელი, იქ კინო მიდის ისე, როგორც ნიუ-იორკის საუკეთესო თეატრში. ამას გარდა, ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე სურათი შეიძლება გაშვებულ იქნეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ერთ და იმავე ნეგატივიდან კინო იღებს მრავალ პოზიტივს (ამერიკაში საშუალოდ 100 პოზიტივს), რომელიც ერთი და იგივე ხარისხით მიაწვდის აღებულ სურათს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს. ამ ტექნიკური უპირატესობით კინომ გადალახა კუთხურ-ნაციონალური წრე. აქ მას მიეშველა თვით კინოს შემოქმედების მეთოდი. კინო, როგორც პლასტიური ხელოვნება, გასაგები გახდა ყველა ერისათვის, ყოველ ენაზე მოლაპარაკე ხალხისათვის. თეატრში მოცემული მოქმედება, სიტყვით გამოხატული, ამ ხელოვნების რეჟონანსს თეატრის ენაზე მოლაპარაკე ხალხით განსაზღვრავს. კინო მოცემულ მოძრავ პლასტიურ სახეებში გამოხატავს ადამიანის განცდებსა და მდგომარეობას ყველასათვის. დაახლოვებით, ერთგვარად, რადგან ადამიანის განცდების პლასტიური გამოხმაურება დაახლოვებით ყველგან თანაბარია, ცნობილი იაპონელი კინო მსახიობი ხარუკავა მთელი მსოფლიოსათვის მისაწვდომი გახდა კინომ, მისივე მუშაობა იაპონიის თეატრში. მხოლოდ გარკვეულ ქალაქს არ გაშორებია.

მაშასადამე, ხელოვნებაში ინტერნაციონალური პროცესის ერთი დიდი ნაკადია კინო-ხელოვნება. კინო ინტერნაციონალურია თავისი გაგებისა და განმოსახვის მხრით. ეს ინტერნაციონალობა არ ჰკლავს კინო-შემოქმედებაში ნაციონალურ მომენტს. სურათი ეტნოგრაფიულ-ნაციონალური კოლორიტითა და



ცხოვრებით მაინც ინტერნაციონალურ ენას პოულობს და მთელ მსოფლიოსთან შიდას.

მაშასადამე, თეატრის კრიზისი უმთავრესად უნდა აიხსნეს — მოკბლის კრიზისით, თეატრალური ტექნიკის ჩამორჩენილობით, კუთხურ-ნაციონალური ლოკალიზაციით. კინოს გამარჯვება — დრამატიული ნაწარმოების, როგორც მორალის საფუძველზე აგებული მხატვრული ფაქტის გვერდის აწვლინების შეუძლებლობით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებით, აქედან ეპოქის რიტმისა და დინამიკის დაქვრით, ინტერნაციონალური რეზონანსით, პლასტიურ მოძრაობაზე დამყარების გამო.

## 6. თეატრისა და კინოს ხვალისდელი დღე

ეს სხვაობა არ არის სავსებით ამოწურვა თეატრისა და კინოს სხვაობის. ეს მხოლოდ მთავარი ხაზებია ამ სხვაობის ნათელსაყოფად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საკითხი თეატრის კრიზისის და კინოს გამარჯვების შესახებ, ისე მარტივად არ სდგას, თითქოს თეატრი დაბერდა და მის ნაცვლად მოვიდა კინო. თეატრის და კინოს გზა არ არის ერთი გზა. რაც მეტად დაშორდებიან ისინი ერთმანეთს, იმდენად მოიგებს ორივე დარგი, თეატრის აღორძინების უდიდესი პერსპექტივებიც სჩანს. ახალი საზოგადოება, დამყარებული თანასწორობასა და ჯანსაღ მორალურ გრძნობებზე, ტექნიკური მიღწევები, რომლითაც შეიძლება სავსებით შეიცვალოს დღევანდელი თეატრის სახე, უდიდეს გამარჯვებას უმზადებს თეატრს. თეატრი, როგორც დრამატიული ხელოვნება, და კინო, როგორც არა დრამატიული ხელოვნება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთმანეთის კონკურენტები გახდნენ. თუ დღეს თანამედროვე თეატრი ხშირად ცარიელია და კინო კი სავსე, ეს წარმავალი ფაქტორების შედეგია. თეატრის განვითარება არ დააბრკოლებს კინოს განვითარებას. თუ დღეს ამერიკაში ყოველ კვირეულად 50 მილიონი კაცი დადის კინოში, ეს ამერიკის თეატრის კრიზისით არ აიხსნება. კინომ შეჰქმნა თავისი აუდიტორია და თეატრის აღორძინება სრულიად არ უჭადის მას დამარცხებას. მომავალი საზოგადოება, დამყარებული ზოგად ადამიანურ გრძნობებზე, თავისუფლების პრინციპზე გახდება წყარო დრამატურგიის შემოქმედებისა და აუდიტორიის მორალურ ფსიქიური დონის სიმტკიცის. თუ ამ მხრით დრამატურგიისა და აუდიტორიის კრიზისი დაძლეულ იქნება, თეატრის კრიზისიც დასრულდებულად იქნება ცნობილი. ჩვენ თვით ისტორიით მივდივართ ამ გზით და, აშკარაა, ყოველი ახალი წელი დიდი ნაბიჯი იქნება თეატრის კრიზისის დასაძლევად გადადგმული.

მართალია, დასავლეთის რეფორმატორებმა ვერ განკურნეს თეატრი კრიზისისაგან. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. დასავლეთის თეატრის კრიზისის საფუძველთა დაძლევა აღემატება რეფორმატორთა პერსონალურ ნიქსა და ძალას.

თეატრალური ფორმის მხრით აზიის ხალხებში ჩვენ გვაქვს სულ სხვა სახის თეატრალობა ვიდრე ევროპაში. ჩვენ ქვეყანაშიც მრავალი ნაშთებია ძველი თეატრალობის. ჩინეთისა და ინდოეთის თეატრები მეტად ორიგინალურ და



თავისებურ სახეს წარმოადგენენ თეატრალურ კულტურაში. საჭიროა ევროპიული სისტემატიკითა და დაკვირვებით აზიურ მრავალფეროვანებათა და თავისებურობათა აკრებვა ახალი თეატრის ესთეტიური გზების ძიებისათვის. ჩინეთის თეატრი რომანტიულ სიმბოლკაში იძლევა საგანთა და მოვლენათა რაობას და არ სცილდება ამ რაობის ჩარჩოებს. შეიძლება ისტორიის უბეჭედიანად თეატრიდან დაიწყოს ახალი თეატრის ფორმის აღორძინება, რადგან ჩვენს თეატრში უხედავთ სიმართლისა და სიცოცხლის ასახვას, რომელიც იძლევა არა მარტო ცხოვრებასა და სიცოცხლეს, არამედ მათ შინაგან არსებას, მათ უმთავრეს ნაწილსა და რაობას, მათ კვინტესენციას.

თეატრის აღორძინებისათვის თავის ფორმების მხრივ თუ საჭიროა ევროპული სისტემატიკით მოცემული აზიური მრავალფეროვნება, თავისი შინაარსის მხრით საჭიროა რევოლუციონური ყოფა-ცხოვრების დამკვიდრება სინამდვილეში, მთელი სულიერი კონსტიტუციის ჩამოყალიბება საზოგადოებაში.



# გიგლიოგრაფია



საქართველოს  
წიგნწერის კავშირი

„ძუძუდამშრალი მშობელი მიწა“ და... პროლეტარული პოეზი (გესლიან რეცენზიის მაგიერ).

„დახილი აღმოსავლეთს“.

ვგვონია, პროლეტარული პოეტი კარგო კალაძე ეძახის აღმოსავლეთის ასმილიონიან დამონავებულ ხალხებს, მოუწოდებს მათ თავგანწირულ ბრძოლებსაკენ.

აბა რა უნდა იყოს: სათაურიც ასეთია, ავტორის მარკაც—პროლეტარული.

მაგრამ... Гора радила мышь!

წაიკითხეთ ავტორისვე ეპიგრაფი:

„აღმოსავლეთში მრავალი მოდგმა ამოშრა, მათ შორის ბევრი იყო ნათესავი ჩვენ სისხლთან. საქართველოს ხსოვნაც ჩაჰკრებოდა დროთა სვლაში, რომ არ ყოფილიყო ქედმაღალი კავკასიონი... ჩვენ დავასრულეთ უკანასკნელი ბრძოლა საკუთარ ხანის შესანარჩუნებლად“.

ნუ თუ ეს პროლეტარული პოეტის საკუთარი სიტყვებია?

ნათესავი ჩვენ სისხლთან! ქედმაღალი კავკასიონი, რომელმაც გადაარჩინა (ვისგან?) საქართველო ჩაქრობას! საკუთარი ხანის შენარჩუნება! რა არის აქ პროლეტარული? ვისია ესეთი იდეოლოგია? „ლიტერატურული ჯიბგირობა“. ჩვენს დროში სხვა რა უნდა იყოს, თუ არა პროლეტარული პოეტის ნიღაბით ძველ, დრომოქმულ ნაციონალისტურ მწერლობის მოტივებზე წერა და გოდება?!

მოვეუსმინოთ კალაძეს.

„კრულ იყოს ორგულ ვაჟკაცის მკლავი და გამძაფრებულ სისხლის მგმობელი“.

ცხადზე უცხადესია, რაზეა ლაპარაკი.

პროლეტარული პოეტი სწყველის ყველას, ვინც გამობს სისხლს, რადგან ეს სისხლი უბრალო, ფიზიკური, წითელი როდია. ეს არის სისხლი ეროვნული, (ალბათ — სამყუეროვანი!)

დავიმახსოვროთ.

„ვგრძნობდი გულმართალ კვნესას მშობლიურს!

და მე ვიფიქრე: მიწის ძარღვებთან თუ ვარ შეზრდილი, როგორც ხევსური,

სისხლის დახილით უნდა გესმოდეს“.

აქაც ცხადია: პროლეტარული პოეტი კალაძე შეზრდილია მშობლიურ მიწის ძარღვებთან, მას ესმის სისხლის დახილი!

„ჩემი სხეულის ყოველი კუნთი უცნობის ხელით გამოძეწული, — მშობლიურ მიწის მზურვალ გულიდან

მოთხრილი ხორცი არის უთუოდ“.

ესეც ჩვენი პროლეტარული პოეტი და პროლეტარული პოეზია!

განმარტება არაა საჭირო, მგონი.

მაგრამ საინტერესოა, ვის ეძახის კალაძე, პოეტი პროლეტარიატის დარეკოლიუციის?

ვის? — „არის ცხრა მინდორ გაღმა სხვა საქართველო ფერეიდანის“.

გასაგებია.

ფერეიდონის ქართველებო,

„ვინ შემოკრიბოს ვარსკვლავებით მშობლიურ ცის ქვეშ თქვენი თვალები“? არაეინ? მაშ

„ნუ შეგვერგოს მშობელის ძუძუ ოდესღაც ერთად რომ გვიწოვია“...

ასე სტირის და კვნესის პოეტი... პროლეტარული.



„და მიტოვებულ ვზებიდან ეხლა  
გამზერენ მხოლოდ მამათა ძვლები.  
საწყალი ფერეიდან! ისიც კარგი,  
პოეტ კალაძის გარდა, მამათა ძვლებსაც  
არ დაუვიწყნია!

პროლეტარულ პოეტს ვერ მოუნელე-  
ბია „ხსოვნა შორეულ საქართველოსი“.  
პროლეტარული პოეტი არ გმობს,—  
რა საკვირველია!—გამძაფრებულ სის-  
ხლს და არც ურიგდება „ქართველ  
ძმების“ არსებობას „ცხრა მინდორს  
გაღმა“. მას ქართველი მხოლოდ საქარ-  
თველოში წარმოუდგენია. მით უმეტე-  
სად დღეს, როდესაც

„ქედმაღალ კავკასიონის ძვირუფასი  
მიწა ისევ ჩვენია“.

აქედან ლოზუნგი—**საქართველო-  
სკენ!**

„აქლემების გრძელ ქარავნებით

სპარსეთის ველებს გადმოუარეთ“.  
არ მიიღებს „განახლებული საქართ-  
ველო“ „ჩვენთან შეხორცებულ“ „შორე-  
ულ საქართველოს“? მაშინ

„დაგიშრეს ძუძუ მშობელო მიწავ  
საყვარელ დედათთუ ვერ ივარგო.“

ასეთია პროლეტარულ პოეტს ქართლ  
კალაძის ძახილი... **ფერეიდანს.**

ყველაფერი ცხადია, აშკარა, ნათელი.  
დანარჩენი არაა საინტერესო.

საგულისხმოა მხოლოდ:

თუ პროლეტარული პოეტი კართლ  
კალაძე კარგად ეგუება „ძუძუდამშრალ  
მშობელ მიწას“, საკვირველია ეს „ძუძუ-  
დამშრალი მშობელი მიწა“ როგორ  
ითმენს პოეზიას და ისიც... პროლეტა-  
რულს?!

საყვედური გამომცემლობას...

განი

**სიმონ ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტომი  
პირველი. ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმი საქართველოში. სახელმწიფო  
გამომცემლობა. ტფილისი 1927.**

ავტორი მიზნად ისახავს „მიაწოდოს  
დაინტერესებულ ქართველ მკითხველს მა-  
სალეები ქართული სოციალისტური აზ-  
როვნების ევოლუციიდან“. ამ მიზნის  
განსახორციელებლად მას განუზრახავს  
დააღაგოს ამ ევოლუციის ისტორია სამ  
ტომად, რომელთაგან პირველი ორი შეე-  
ხება მე XIX საუკუნეს მთლიანად, ხო-  
ლო მესამე ტომი განკუთვნილია მე-XX  
საუკუნის განხილვისათვის და, როგორც  
სჩანს, შეიცავს საქართველოში მე XX  
საუკუნე მომქმედ პოლიტიკურ პარტიე-  
ბის ისტორიას. ჯერ-ჯერობით გამო-  
ქვეყნებულია პირველი ტომის პირველი  
წიგნი. დამსჯელობის და შეფასების სა-  
განიც, ცხადია, მხოლოდ იგი შეიძლე-  
ბა იყოს.

წიგნის პირველი ორი თავი თითქოს  
შესავლის როლს თამაშობენ. პირვე-  
ლი თავი მიზნად ისახავს განიხილოს  
სოციალისტური იდეების განვითარება  
რუსეთში და ჩვენში და ამ ისტორიულ  
პარალელს ცხადია, ევალება ნათელჰყოს

როგორც მთავარი მომენტები სოცია-  
ლისტურ შეხედულებათა და თეორიე-  
ბისა რუსეთში, ისე—რაც მთავარია ავ-  
ტორისათვის—ნათელი გახადოს რო-  
გორც შინაგანი პრაგმატიზმი ამ იდეე-  
ბისა საქართველოში, ისე მისი კავში-  
რი რუსეთის სინამდვილესთან. აქვეა  
მოცემული ცდა თვით რუსეთშიაც სო-  
ციალისტურ შეხედულებათა ისტორია  
მოყვანილ იქნას ერთგვარ კავშირში  
დასავლეთ ევროპის სოციალისტების  
შეხედულებებთან.

შრომის ეს ნაწილი გამოკვლევას არ  
წარმოადგენს. იგი პირდაპირ ემყარება  
თითო-ორიოლა მიმოხილვას და ამდე-  
ნად გარკვეულად კომპილიატიური ხა-  
სიათი აქვს. უფრო საინტერესოა ცდა  
ქართულ სოციალისტურ აზროვნების  
კლასიფიკაციისა. თუ მთავარ მომენ-  
ტებს ავიღებთ, აქ ავტორი ასხეავებს  
სამ მთავარ ნაკადს: ა) ლიბერალურ სო-  
ციალიზმს, ბ) ნაროდნიკულს და გ) მარქ-  
სისტულს. თითოეულ მათგანს, ავტო-



რის აზრით თავისი შინაგანი განვითარების საფეხურები დი პერიოდები გააჩნდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ეს დაჯგუფება და კლასიფიკაცია ყოველთვის თანმიმდევრით და ნათლად იყოს ჩატარებული. თავი რომ დავანებოთ ლიბერალურ და ნაროდნიკულ სოციალიზმს, მარქსისტული სოციალიზმის მიმართაც არა სჩანს ასეთი გარკვეულობა. ავტორი აყენებს დიდს და სადაო საკითხს მარქსიზმის საქართველოში პირველად შემოტანის შესახებ და არ შეიძლება, რომ აქაც ყველაფერი რიგზედ იყოს. კერძოდ რაც შეეხება „ლეგალურ მარქსიზმს“ მართალია იგი „სრულიად დამოუკიდებლად აღმოცენდა“ ჩვენში, მაგრამ მას არსებითადაც არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რაც ცნობილია რუსეთში „ლეგალურ მარქსიზმის“ სახით.

33—60 გვერდამდე ავტორი ცდილობს გაარკვიოს ჩვენი ეკონომიკა შეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თუნდაც იმ ფარგლებში, რომ შესაძლებელი გახდეს, რომ „სოციალისტურ აზროვნების მიმოხილვა ჩვენში ეკონომიური და სოციალური კლასების გაცნობით დავიწყოთ.“ (32)

აღნიშნავს რა მოკლედ ბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის ხასიათს ევროპასა და ჩვენში, ავტორი ერთხელ კიდევ აღნიშნავს 60-იან წლებიდან მოყოლებულ სოციალ დიფერენციაცი ს ეკონომიურ და სოციალურ საფუძველს და შემდეგ პირდაპირ გადადის იმ მასალის დახასიათებაზე, რომელმაც მას უნდა მისცეს, როგორც ახალი თაობის ინტელიგენციის სახე, ისე მისი სოციალისტურ შეხედულებათა ისტორიულ განვითარების ხაზები.

მართალია ავტორი იმ თავითვე სცდილობს, თავის გამოკვლევას საფუძვლად დაუდოს ცნობილი მარქსისტული დებულება სოციალურ ჯგუფებზე სწორი აზრის შემუშავების წესის შესახებ, მაგრამ ეს ვერ აძლევს ავტორს საშუალებას გარკვეულის წესით ჩამოქნას საკითხები რომლის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს განოკლვა, რათა მას გარკვეუ-

ლი ისტორიულ-პრაგმატიული ხასიათი ჰქონდეს. აქ წამოყენებულია მუშათა საკითხისადმი ჩვენი ინტელიგენციის დამოკიდებულება, შემდეგ ერთბაშად საკითხი ლასალის შესახებ კანათის გამო, შემდეგ ასევე ანაზღვეულად მოდის ჩვენი ინტელიგენციის შეხედულება ინტერნაციონალზე და მარქსისტულ აზრზე, ქალთა განთავისუფლების საკითხი და სხვა შემდეგ, თითქოს ავტორი თვითონ რწმუნდება, რომ გარკვეულ საკითხების ირგვლივ, რომელთაც უნდა მოგვეყენ დალაგებულ გამოკვლევას ჩონჩხი, მასალის თავის მოყრა ხანგრძლივ დამუშავებას მოითხოვს და იღვება ინდივიდუალ-ბიოგრაფიულ გზას, რომელიც ნ. ნიკოლაძის პიროვნების აღწერაში თავის უმწვერვალესობას აღწევს.

ავტორს ძალიან დიდი და საინტერესო მასალა ჰქონებია ხელთ. რა თქმა უნდა, მისი დამუშავება ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ ცოტა მეტი ხნით და ყოველმხრივობით მათი შემუშავება მაინც სასურველი იყო. მით უფრო, რომ თუ საქმე მხოლოდ იმ გაშუქებაში დარჩება, როგორსაც ავტორი ჯერ-ჯერობით იძლევა, მაშინ ჩვენ გვყოლებია მხოლოდ ამა თუ იმ, შეიძლება ძალიან მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც განცალკევებულ საკითხებზე შეხედულებათა მქონე ინტელიგენცია, მაგრამ სოციალისტურ იდეების, სტორია კი არა. შემთხვევითი შეხედულებების ამოკრფთა ისტორიის არც ჰქონებას ნიშნავს და არც წერას.

წიგნი დიდს ინტერესს წარმოადგენს და ასევე იქნება წაკითხული ქართველი მკითხველის მიერ. ეს უდაოა, მაგრამ ეს ავტორის დამსახურებას იმდენად არ შეადგენს, რამდენადაც დაკავშირებულია იმ მასალებთან, რომელსაც ავტორი აქვეყნებს. ამიტომ ის არ შემცდარა არც მაშინ, როდესაც მთლიანი წერილების ციტატებად მოყვანა გადაწყვიტა და არც მაშინ, როდესაც თავის წიგნს მხოლოდ მასალები უწოდა. სასურველი იყო მხოლოდ რომ ეს მეცნიერული მოკრძალებით მიდგომა, მარტო სათაურით არ გათავებულყო







ქმნა კურსი რელიგიურობისაკენ, უარყო „ნექანიკური“ და „მიხეზობრივი“ მეთოდები, (რაც მისი აზრით „შკვდარია“). ტექნიკურ ინტელიგენციის კლასიკურ მხარეში—ამერიკაში ჯვაროსნული ომები გაუმართეს ევოლიუციონურ თეორიას და სხ. ამას ზედ დაერთო ზოგიერთ გზააბნეულ წვრილფეხა ინტელიგენტების „ფილოსოფიები“... კალუგაშიაც ამღერდა ბუღბული.

**მზის ლაქები და... ოქტომბრის რევოლიუცია!** წიგნის სათაურში აღნიშნულია: მზის მოქმედება, მისი საერთო გავლენა დედამიწაზე.

მზის მოქმედების პერიოდულ გავლენის და მის თანდროულ ისტორიულ პროცესთა პერიოდულ რყევათა ურთიერთობა. კოსმიურ და გეოლოგიურ ფაქტორების გავლენა ცალკე პიროვნებაზე და კოლექტივებზე.

სარეცენზიო ფაქტში მოცემულია ყველა ქვეყნისა და ყველა დროის ისტორიულ მოვლენათა სტატისტიკური „დამუშავება“ შეფარდებული მზის მოქმედებასთან (მაგნიტური ქარიშხალი და მზის ლაქები). როგორც უკვე ცნობილია, ლაქები მზეზე პერიოდულად ხან მატულობს და ხან კლებულობს. ასეთივე პერიოდულ კანონიერებას ექვემდებარება მაგნიტური ქარიშხალი და მზის სხვა პროცესები, რაც დედამიწას თავის კვალს ამჩნევს.

როგორც მეცნიერებაში უკვე დამტკიცებულია: მზის ამ მოქმედებაში თერთმეტწლეული პერიოდია შენიშნული. ყოველ თერთმეტ წელში მზის ლაქების გაჩენა მაქსიმუმს აღწევს; მაქსიმუმთა შორის მოდის მზის მოქმედების მინიმუმი.

წიგნის ავტორი, თავის სტატისტიკურ დასკვნების მიხედვით ძალზე მოულოდნელად და თამამად ასკვნის: **ისტორიაც თერთმეტწლეულ პერიოდებს ემორჩილება და სხ.**

ავტორი აგებს მრუდეებს, რომლიდანაც სჩანს, რომ ომები და რევოლიუცია ხდება სწორედ იმ დროს, როდესაც მზის მოქმედების მაქსიმუმია. ავტორი სცნობს, რომ ამიერიდან კაცობრიობამ

გამონახა ისტორიულ მოვლენათა განვითარების ვასალებზე, ამიერიდან იგი შესძლებს წინასწარ იწინასწარმეტველოს მომავალი მოვლენანი ისევე, როგორც აქტუალურად, კოსმიურ მოვლენებს წინასწარ განსკორიტავენ ხოლმე. ავტორი ფიქრობს (!), რომ შესაძლებელია მზის ამ გავლენა შევებრძოლოთ და კაცობრიობა მივმართოთ სასურველ გზისაკენ, შეიძლება ისტორიის წინასწარ დაგვეგმა და სხ.

ჩიქეესკის შრომამ მთელი მოძრაობა გამოიწვია საზღვარგარეთ. სატრანგეთის დიდმა გაზეთმა („ტან“) ნეთაური მოათავსა, სადაც ხაზი გაუსვა ჩიქეესკის თეორიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამისდა პარალელურად ამერიკაში—კოლუმბიის უნივერსიტეტში ამ თეორიაზე მოხსენებასთან დაკავშირებით ეს „თეორია“ რთულ სოციალურ საკითხების ერთადერთ სწორ და ამომწურავ ფაქტად იქნა გამოცხადებული. მერე რატომ? ჩიქეესკის თეორიის „ფილოსოფია“ ძალზე სადაა: **„რევოლიუციები, ომები არაა შედეგი კლასიურ წინააღმდეგობების, არამედ სრულიად და მთლიანად მზის ლაქების რაოდენობაზეა დამოკიდებული. სკდებიან ისინი, რომელნიც კაპიტალისტებს ყველა იმ შესაზარ შეჯახებების დამნაშავეებად სთვლიან, რომელთაც ჰკონდათ ადგილი და რომელნიც შესაძლებელია ახლო მომავალშიაც იყვნენ. ყველაფერ ამაში დანაშავეა მზე“** და ა. შ.

გრძნობენ რა, რომ ადამიანთა მილიონებს აღარ სწამთ ისტორიის მეტაფიზიკური გაგება, ისტორიის ბედის, ისტორიის ფილოსოფიის განგებასთან დაკავშირება, კაპიტალისტები და მათი იდეოლოგიები სცდილობენ მის (ე. ი. ლმერთის) ადგილზე მოათავსონ ყველაფერი ის, რაც კი ასე თუ ისე „ლმერთის“ როლს შეასრულებს.

ჩიქეესკის ისტორიის „ფილოსოფია“ სწორედ ამ ორიენტაციითაა მოცემული და განათვებული, რომელიც ცდილობს ვითომდა „მეცნიერული“ თვალსაზრისით გაატაროს ულტრა-რევოლუციონური მოსაზრებანი.



წიგნი, თუმცა ინტერესით იკითხება, ანტიმეცნიერულ ლიტერატურულ ფაქ-  
საერთოდ კრიტიკას ვერ უძლებს და ტათ უნდა ჩაითვალოს.



კონსტანტინე ლორთქიფანიძე. „ლიმილი“. ლექსების წიგნი. სახელგამი.  
1927 წ. გვ. 120. ფასი 1 მან. და 20 კაპ.

პროლეტარულ მწერლებში ერთერთი  
მთავარი ადგილი უჭირავს კონსტან-  
ტინე ლორთქიფანიძეს. მისი ლიტერა-  
ტურული ნუშაობის მანძილი სამი წლით  
განისაზღვრება. ამ სამი წლის შედეგია  
სარეცენზიო ლექსების წიგნი „ლიმი-  
ლი“.

კ. ლორთქიფანიძის შემოქმედება უმ-  
თავრესათ ლირიკული ხასიათისაა. შე-  
ნოქმედების ლირიკული ენარი ყველა-  
ზე უფრო რთულ ასრულებას ითხოვს.  
ბურჟუაზიული ლირიკა თვითმყოფად  
სუბიექტიურობით და ინდივიდუალიზ-  
მით ხასიათდება. პროლეტარული პოე-  
ტის წინაშე სდგება ამოცანა, დაარლ-  
ვიოს და დასძლიოს ძველი ლირიკის  
განწყობილება და ფორმა, რომელიც  
უმთავრესათ ცხოვრებიდან განდგომის  
საშუალება იყო. ლირიკოსი პოეტი  
სულ ადვილათ შეიძლება დაცემულ-  
ბის გზით წავიდეს. ამის ცოცხალი მა-  
გალითია ს. ესენინის პოეზია, მისი სი-  
ცოცხლის ტრაგიული დაბოლოვებით.  
ქართულ პოეზიაში „კისფერი ყანწელებ-  
ბის“ მიერ შექმნილი დეკადენტური გან-  
წყობილება ითხოვს გენერალურ წმენ-  
დას და ახალი ჯანსაღი ლირიკული  
განცდების მოცემას.

კ. ლორთქიფანიძის ლექსების წიგ-  
ნი „ლიმილი“ პროლეტარულ ლირიკის  
თვალსაზრისით გამართლებული მოელე-  
ნაა. ეს წიგნი ამჟღავნებს ავტორის  
დიდ შესაძლებლობას მასალის ლირა-  
კულ დამუშავების სფეროში. ლექსების  
ცენტრალური განწყობილება თანამე-  
დროვე აღმშენებლობითი ცხოვრების  
ორგანიულ შეგრძნებას ემყარება. მთა-  
ვარი, რაც უნდა აღინიშნოს პოეტის  
შემოქმედებაში, ეს არის ლირიკული  
ლექსალობის სადა და დამაჯერებელი  
სტილი.

პროლეტარულ პოეტის დანიშნულე-  
ბა კ. ლორთქიფანიძეს მოცემული აქვს  
ორი წლით ადრე დაწერილ ლექსში:

„უნდა მობრუნდეს პოეზია  
დღეს მეგობრებო,  
ბრძოლისთვის ხალისს  
ისევე მოვსჭრით  
მიწის გულიდან...  
მიწაზე ვდგევართ,  
არასოდეს არ მოვედებით  
აღტაცებისთვის  
ჭერკულესს, ან ქალებს ლუვრიდან“  
(„თემა მეორე“)

შემდეგ პოეტის მებრძოლ დანიშნუ-  
ლებას ავტორი ინტენსიურათ ანვითა-  
რებს ლექსში „პოეტი“:

„სევდის მორევმა თუ ოდესმე გა-  
დაგითრიათ,  
მაშინ ეს ლექსი მშობელივით ჩაგე-  
კონებათ;  
რამდენჯერ მშიშარ კაცის გულში მე  
დამინთია  
ბრძოლის სურვილი და მხედრული  
ატორტმანება“.

„ლიმილი“-ში თანამედროვე აქტუა-  
ლური თემები არის წამოყენებული:  
ნების შეფასების, აღმშენებლობის, მემ-  
კვიდრობის, მოპირდაპირე ფენების  
მწერლებთან კლასიურ-ემოციონალურ  
დაპირდაპირების, პოლიტიკურ, აგიტა-  
ციური ღმ წმინდა ლირიულ ხასიათის თე-  
მები: სიყვარულის, სიკვდილის, ბუნე-  
ბის ძალებთან ურთიერთობის და სხვ.  
ყველა ამ თემების დამუშავებაში იგრ-  
ძნობა პროლეტარულ პოეტის რეალუ-  
რი ხედვა და მასალისადმი ლირიკულ  
მიდგომის ყველა ატრიბუტები:

„რა უყოთ მერე, რომ სიცოცხლე ჩე-  
მიც აქ ენთოს,  
ეს რას მავალებს, მე სიცოცხლეს სხვა  
თვალთ უმზერ.“



არ არის სივრცე, რომელმაც დღეს  
 არ არის სიტყვა, ერთნაირათ რომ მო-  
 გვხდეს გულზე.  
 არ მეშინიან უცხოეთშიც ბედის მო-  
 ლუნვის,  
 ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლო  
 მიწის სრშორე,  
 სანამდე ღელავს გაბასრული ხმალი კო-  
 მუნის,  
 მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან  
 ვიშოვი“.

(„წინაპრებს“).

„რაო! ავიღეთ! ჩვენ ეს ვიცოდით,  
 ჩვენ ამ ცოდნით ვართ დროთა მფლო-  
 ბელი.

თითო ნაბიჯი ჩვენი სიცოცხლის  
 არ არის ჩვენთვის შეუცნობელი“.

(„ჩინელ მხედრებს“).

„ლიმილ“-ში არის ჯანსაღი ემოციე-  
 ბის საწყისები, ფაქტები, მაგრამ ეს  
 მოვლენა მთლიანათ მთელ წიგნზე არ  
 ვრცელდება. მასში დისონანსი შეაქვს  
 ზოგიერთ დეკადენტურ განწყობილების  
 მონათესავე სტრიქონებს. თემის განვი-  
 თარების მოტივიროვკა ზოგან პროლე-  
 ტარულ ლიტერატურისთვის მიუღებელ  
 მიდგომით არის აღებული და ლექსის  
 ლექსიკონში ვხვდებით კონკრეტულ  
 საგნობრივობას დაცილებულ ზღაპრულ,  
 მითიურ და დეკადენტიზმით დაღდას-  
 მულ სიტყვების არჩევანს.

წიგნში მოთავსებულ მთელ რიგ ლექსე-  
 ბში („წინაპრებს“, „წერილი სატრფოს“  
 „პოეტი“, „თემა მეორე“, „სიტყვა საქარ-  
 თველოს და სხ.) სჩანს პროლეტარულ  
 პოეტის რეალური ხედვა. მაგრამ ლექ-  
 სების ერთ ნაწილში იდეოლოგიურ  
 ბუნდოვანებას და „გადახრებათ“ წო-  
 დებულ ემოციონალურ გადახვევებსაც  
 აქვს ადგილი. (მაგ. „ხან სიტყვა“, „მა-  
 ტარებელი ველზე“, „ტყესთან“ და სხ.):

„მე მარტო ვარ, არ სჩანს სულიერი  
 ირგვლივ:

მარტოობით გული უცნაურად მი-  
 ძგერს...

ნე მაშინებს შავათ გაწოლილი  
 თხრილი.

და მუხების აჩრდილი, ქაჯივით რომ  
 მიცქერს“

„მაგრამ ეს რაა ჩემივე ზანდი,  
 ვით შავი კატა წინ გადაშირბენს,  
 გადამხდის თავზე ოცნების მანდილს  
 და სინამდვილის კბილებზე მიკბენს“.

(ერთი ლექსი მაგნიტის ერთაზე  
 „ლიმილი“-ს სიტყვის მასალობრივი)  
 ინვენტარი უმთავრესათ ბუნების მოვ-  
 ლენებისა და სოფლის ელემენტებისა-  
 გან შესდგება:

„რა ვქნა თუ ვერ მოვშორდი გაშ-  
 ლილ ველთა სიმშვიდეს  
 და განთიადს ღობესთან“.

ეს გარემოება რამოდენათმე ნაკლს  
 შეიცავს, რამდენათ პროლეტარულ მწე-  
 რალს მოეთხოვება ტექნიკურ-კულტუ-  
 რულ მოწინავეობის ფონზე გამალოს  
 თავისი შემოქმედება.

„უწინ პოეტი თაობების იყო მედროშე,  
 ერთის სიკვდილით მოკვდებოდა მთე-  
 ლი თაობა,

დღეს კი ცხოვრება განახლებულ სა-  
 ქართველოში,  
 ისე ჩქარია, რომ პოეტიც უკან და-  
 ტოვა.

ყველას ბევრი გვაქვს ჩვენ წარსული,  
 მაგრამ გონება  
 დედაბერივით მოგონებით ვერ და-  
 ბერდება“.

(სიტყვა საქართველოს).

პოეტის ასეთი გაგება განსაკუთრე-  
 ბული დიალექტიური მსოფლგაგების  
 შედეგია. ეს კი აუცილებელი საწინდა-  
 რია მხატვრულ-საზოგადოებრივ ფრონ-  
 ტზე მისი შორიგი გამარჯვებისა.

წიგნში წმინდა ლირიკული ლექსების  
 გარდა, არის ეპიური ლექსი „სტენკა  
 რაზინ“. კ. ლორთქიფანიძე პარალელუ-  
 რათ და ინტენსიურათ მუშაობს მხა-  
 ტვრული პროზის სფეროშიაც, მაგრამ  
 ეს რეცენზიის ფარგალში არ შედის.

კ. ლორთქიფანიძე ერთერთი ძლიე-  
 რი პროლეტარული მწერალია, რომელ-  
 საც ახასიათებს შემოქმედებითი ძიების  
 ნომენტი და იდეოლოგიურ და ემოცი-  
 ონალურ მოვლენების ორგანიული შე-  
 თავსების ნიშნები.



**კონსტანტინე კაპანელი.** ქართული სული ესთეტიურ სახეებში. წ. პირველი. ქართული ლიტერატურა. თემატიური ანალიზი სოციოლოგიური თვალთახედვით. ზ. 6×10. გვ. 258. ფ. 2 მ. 60 კ.

ქართული სულის ევოლიუცია მე-19 საუკუნეში კ. კაპანელს შემდეგი სქემით აქვს წარმოდგენილი: 1. ინდივიდუალიზმი და კოსმიური სევედა; 2. ფეოდალისა და გლეხის სოციალური ურთიერთობა; 3. გლეხი და საქართველოს კაპიტალიზაცია. ავტორი თითქმის ბოლომდე მისდევს ამ თემატიურ დალაგებას, თუმცა ეს დალაგება თავის-თავად ქრონოლოგიურიც გამოდის (ალ. ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ნ. ბარათაშვილი—ერთი რკალი; ილია ჭავჭავაძე—სოციალური პრობლემების მგოსანი და თითქოს განმარტოებით მყოფი ვაჟა-ფშაველა).

კ. კაპანელი ცდილობს ყველა ავტორი ყოველმხრივ შეაფასოს და არც ერთი მხარე მისი შემოქმედებისა გაუშუქებელი არ დასატოვოს, იგი ამ საქმეში, მართალია ბევრს ახალს არაფერს აწვდის, მაგრამ საერთოდ სათანადო კრიტიკულ უნარს იჩენს და ალაგ-ალაგ საყურადღებო შენიშვნებს იძლევა. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვინდა აქ მოვიხსენიოთ ორიოდ შეხედულება ავტორისა, რომელსაც ბევრი ვერ დაეთანხმება.

კ. კაპანელი საესებით მართალია, როდესაც ნ. ბარათაშვილი მიაჩნია ისეთ დიდ მგოსნად, რომელმაც ქართული ლიტერატურა მსოფლიო საკითხების რკალში შეიყვანა. მაგრამ შემდეგ ავტორი ამბობს: „ბარათაშვილი პოეტია აქტიობისა და ბრძოლის: კაცის ცხოვრება ბარათაშვილს წარმოუდგენია როგორც ბრძოლა და ღელვა, მოძრაობა; ბარათაშვილის ფილოსოფია სასოწარკვეთილებისა და ბრძოლის ფილოსოფიაა“ (გვ. 93).

ბარათაშვილი ნამდვილად ისეთი სათუთი, ნაზი ბუნებისა იყო, რომ შეუძლებელია მის აქტიობაზე ლაპარაკი. მართალია, მას ცხოვრება ბრძოლად და ღელვად წარმოუდგენია, მაგრამ, იგი სწორედ ამ ღელვისა და ბრძოლის უკმაყოფილოა, ყველაფერი ეს ამაობედ

მიაჩნია („ფიქრნი მტკვრის პირად“). პოეტი თავის აზრს დასკვნის: „მაგრამ რადგანაც კაცი გეძევან, შეიძლება სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდით მას. გვესმას მშობლისა“. ეს არის დამორჩილების და არა აქტიობის ხმა. ცხადია ბარათაშვილის დროში აქტიობისა და ბრძოლის უნარის გამოჩენას ბევრად უფრო ხერხემალმაგარი და ტემპერამენტიანი ბუნების ადამიანი სჭიროდა, ვიდრე ბარათაშვილი იყო თავისი „ობლობითა“ და რომანტიული სევდით.

ილია ჭავჭავაძის შეფასება კ. კაპანელის მხრით საერთოდ სამართლიანად მიგვაჩნია, მაგრამ ჩვენ ვაოცებით უნდა აღვნიშნოთ ის პირდაპირ გულუბრყვილო განმარტება, რომელსაც კრიტიკოსი იძლევა ი. ჭავჭავაძის „განდევილის“ შესახებ: „საშუალო საუკუნეებში ქრისტიანობამ დაარღვია მთლიანობა ქართული სოციალ-ისტორიული ვითარებისა; ნაწილი ქართველობისა გადიოდა საქართველოდან და გამოქვაბულებში ლოცულობდა, სახარებასა და ბიბლიას კითხულობდა, ან თარგმნიდა წიგნებს.“

„ილია ჭავჭავაძის აზრით გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ეს ნაწილი ქართველი ერისა დარჩენილიყო საქართველოში ოჯახური ცხოვრების მოსაწყობად: ბერებს რომ განდევილობის მაგიერ ოჯახური ცხოვრება მოეწყობათ, შესაძლებელია დღეს ქართველი ერი რიცხვით უფრო მეტი ყოფილიყო“ (გვ. 173-4).

ეს, მეტი რომ არა ვთქვათ რა, საკითხის ძალიან დიდი გამარტივებაა „განდევილი“ ეხება ქრისტიანობის დამახასიათებელ კოლიზიას: სულისა და მატერიის შეტაკებას (ამას კაპანელიც აღნიშნავს 170 გვ.) და ილია, როგორც რეალისტი, ცხოვრებას ამარჯვებინებს განყენებულ იდეაზე. ან კი რად დასჭირდებოდა მგოსანს უკანა რიცხვით საშუალო საუკუნეების ბერებისათვის „ოჯახური ცხოვრების“ ქადაგება?



ძალიან კარგია ეტიუდი ვაჟა-ფშაველას შესახებ. ვამბობთ ეტიუდი, რადგან ცალკე თავები მაინცა და მაინც ურთიერთ შორის მჭიდროდ ვერ არის დაკავშირებული. სრულიად ზედმეტია აქ ბოლო თავი — „ქართული აზროვნებისა და მეტყველების კულტურისათვის“, — რომელსაც წიგნთან ორგანიული კავშირი არა აქვს და პოლემიკური ხასიათისაა.

კ. კაპანელის ნაშრომი, განსაკუთრებით მისი კრიტიკული ნაწილი, გამოადგება სკოლებსაც: მასწავლებლებსა და

მოწაფეებს. ადვილ-ადვილ ისეც მოგმჩვენებათ, რომ ავტორს მოწაფეებიც ჰყოლია მხედველობაში: თემებზე დალაგებულია სახელმძღვანელოების სერია, ხშირია განმეორებანი და სხვ. სტილი ავტორისა საეროოდ დაწერილია, მაგრამ მას აქვს უცხო სიტყვები: კ. კაპანელია მოძაველში ეს გარემოება უეჭველად მხედველობაში უნდა მიიღოს.

წიგნი კარგ ქალაღზეა დაბეჭდილი და კორექტურაც კარგი აქვს.

ქ. რ.

რედაქტორი: მ. კახიანი.



# უნივერსი:

მხატვრული ლიტერატურა

საქართველო



ეროვნული ცენტრი

ბიზნეს-ცენტრი

- |   |     |
|---|-----|
| 1. ალ. აბაშელი — ახალი ტფილისი . . . . .  | 5   |
| 2. ი. მოხაშვილი — ზაპეს, შენ გიმღერ . . . . .   | 7   |
| 3. კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ჩემი ცხოვრება . . . . .   | 9   |
| 4. ვალერიან გაფრინდაშვილი — პასუხი . . . . .  | 10  |
| 5. მიხეილ ჯავახიშვილი — ორი შვილი . . . . .   | 11  |
| 6. ა. შანშიაშვილი — ცოლი რუსთველის . . . . .  | 25  |
| 7. დავით სულიაშვილი — ლოდინი . . . . .  | 41  |
| 8. ტიციან ტაბიძე — ამორძალები . . . . .   | 59  |
| 9. ანასტ. ერისთავ-ხოშტარია — სალი (გაგრძელება) . . . . .  | 85  |
| <b>სომხეთი</b>  |     |
| 10. არაზი — მტრის სიმღერა (თარგმ. სომხურით ლ. კარაპეტია-<br>ნისა) . . . . .   | 100 |
| 11. მ. ღარბინიანი — მტრები (თარგმ. სომხურით ლ. კარაპეტია-<br>ნისა) . . . . .  | 102 |
| 12. სიმონ ნაბახტიანი — ზადელე (თარგმ. სომხურით ლ. კარაპეტია-<br>ნისა) . . . . .   | 106 |
| <b>დასავლეთი</b>  |     |
| 13. სტეფან ცვაიგ — „ამოკ“ (თარგ. ლელი ჯავარიძისა) . . . . .   | 109 |
| <b>კრიტიკა, მხატვრობა, პუბლიცისტიკა</b>   |     |
| 14. შ. რადიანი — სიმბოლიზმი საქართველოში . . . . .  | 137 |
| 15. მოსე გოგიბერიძე — ბენედიქტ სპინოზა . . . . .  | 149 |
| 16. ი. სტალინი — ჩინეთის რევოლუცია და კომინტერნის ამოცა-<br>ნები . . . . .  | 176 |
| 17. ჟურნალ „კომუნისტურ ინტერნაციონალის“ № 23, მოწინავე წე-<br>რილი კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის მაისის<br>პლენუმის შედეგები . . . . . | 194 |
| 18. სოფიო თარხნიშვილისა — დიმიტრი და ალექსანდრე ყაზბეგები . . . . .   | 206 |
| 19. ს. ამაღლობელი — თეატრი და კინო . . . . .  | 22  |
| <b>გიგლიოგრაფია</b>   |     |
| 20. განი — „ძუძუდამშრალი მშობელი მიწა“ . . . . .  | 238 |
| 21. შ. ნ. — სიმონ ხუნდაძე. სოციალიზმის ისტორიისათვის საქარ-<br>თველოში . . . . .  | 239 |
| 22. ტორი — А. Л. Чижевский, Физические факторы историче-<br>ского процесса . . . . .  | 211 |
| 23. დ. რ. — კონსტ. ლორთქიფანიძე, „ლიბილი“ . . . . .   | 243 |
| 24. ქ. რ. — კონსტანტინე კაპანელი . . . . .  | 245 |